



მ. ს. სერგეივი

ქველი რუმის ისტორიის ნარკვევებები

ნაწილი II

დაშეებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს-
თან არსებული უმაღლესი სკოლის საკავ-
შირო კომიტეტის მიერ როგორც დამზმა-
რე სასწავლო წიგნი ისტორიის ფაკულტე-
ტებისათვის




სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი — 1941

0 2 3 2 6 0 5





თ ა ზ ი X I V .

პ რ ი ნ ც ი პ ა ტ ი

1. ა ვ ზ უ ს ბ უ ს ი ს კ რ ი ნ ც ი პ ა ტ ი

სამოქალაქო ომის გათავებისთანავე, მას შემდეგ რაც ანტონიუსი მოკვდა და მეორე ტრიუმვირატს ბოლო მოეღო, რომის სახელმწიფოს მესვეური შეიქმნა ოქტავიანე. 29 წელს ოქტავიანე იტალიაში დაბრუნდა. ბრუნდიზიუმში, სადაც ის გემიდან გადმოვიდა, მის პატივსაცემად აღმართულ იქნა სატრიუმფო კამარა, მთელ გზაზე, ღიდრე რომამდე. გამარჯვებულს მიესალმებოდნენ უთვალავი დეპუტაციები, უამრავი ხალხი, ქალი და ბავშვი. რომში ოქტავიანეს პატივსაცემად მოეწყო სამმაგი ტრიუმფი დალმაციაში, აკციუმთან და ეგვიპტეში გამარჯვების გამო; გამართეს ბრწყინვალე ასპარეზობანი, მსხვერპლს სწირავდნენ, აწყობდნენ საზეიმო პარაკლისებს, ქუჩებში ხალხის ტევა არ იყო და რამდენიმე დღის განმავლობაში საბოდვარს არიგებდნენ. სამხედრო ტყვეებს შორის, რომელნიც განსაკუთრებით იზიდავდნენ ხალხის ყურადღებას, იყოფებოდნენ კლეოპატრას შვილები ალექსანდრე და სელენა; ესენი უკან მისდევდნენ თავიანთი დედას ნილაბს, რომელიც სიკვდილის სარეცელზე იყო გადაღებული და სავანებო საკაცით მიჰქონდათ.

სამოქალაქო ომი დამთავრებული იყო, ლეთაება იანუსის ტაძარი გამოკეტილ იქნა. ოქტავიანემ, რომელმაც მანამდე მოიხსნა ტრიუმვირის წოდება, 29 წ. მიიღო სიკვდილამდე იმპერატორობა და ხელი მიჰყო იმ უშველებელი მემკვიდრეობის რეორგანიზაციას, რაიც მას რომის რესპუბლიკის სახით ხვდა წილად. მაგრამ ის ჯერ კიდევ ჯერ გრძნობდა თავს საკმაოდ მომავრებულად, მას კარგად ახსოვდა თავისი „ლეთაებრივი“ მამის იულიუს ცეზარის ამასწინან-

დელი მწარე გაკვეთილი და ამიტომაც ოქტაგიანეს თავი მეტად ფრთხილად ექირა. რომ შეერბილებინა სახელმწიფოს გადატრიალების სიშწავლე. იგი გამოდიოდა არა მონარქიის დამფუძნებლის ჩოლში, არამედ რესპუბლიკის რესტავრატორის უფრო თავმდაბლურ ჩოლში. რესპუბლიკური დაწესებულებები, ზენი და ჩვეულებანი ისე მტკიცედ იყო შესისხლხორცებული რომის ცხოვრების მთელ წყობილებასთან, ოქტაგიანეს თანამედროვეთა გრძნობებთან და ზნე-ჩვეულებებთან, რომ ძნელი იყო ერთბაშად წარსულთან კავშირის გაწყვეტა და მოქალაქეთა გადაქცევა ქვეშევრდომებად. ეს არც თვითონ ოქტაგიანეს სურდა, როგორც საკმაოდ ჭკვიანსა და ანგარაშიან პოლიტიკოსს. რესპუბლიკის გარდაქმნა მონარქიად წარმოებდა ნელა, სოციალურ-ეკონომიური საძირკველის შეცვლისა და ახალ სოციალურ დაჯგუფებათა წარმოქმნის შესაბამისად.

რესპუბლიკის აღსასრულისა და იმპერიის დასაწყისის ფორმალურ თარიღად ითვლება 27 წელი, როცა სენატის საზეიმო სხდომაზე ოქტაგიანე ზთხოვდა გაეთავისუფლებინათ იგი მისდამი მიცემულ საგანგებო რწმუნებათაგან. საბაბად ოქტაგიანე ასახელებდა ჯანმრთელობის სისუსტეს, ლაშქრობებმა რომ გაუტეხეს და ხანგრძლივ დასვენებას რომ საჭიროებდა.

კასიუს დიონის „რომის ისტორიაში“ შემონახულია ოქტაგიანეს სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა სენატის სხდომაზე 27 წ. 13 იანვარს განსაკუთრებულ რწმუნებათაგან განზრახულ ხელისაღებასთან დაკავშირებით. ეს სიტყვა, როგორც საერთოდ ყველა სიტყვა ანტიკური ისტორიკოსების მიერ გადმოცემული, წარმოადგენს ლიტერატურულ კომპოზიციას, ოღონდ ისეთ კომპოზიციას, რომელიც შედგენილია გარკვეული ისტორიული ფაქტის საფუძველზე და ამიტომ არ არის მოკლებული ისტორიული საბუთის მნიშვნელობას.

„ჩემი სიტყვები, — ასე დაიწყო თავისი სიტყვა ოქტაგიანემ, — ბევრს დამსწრეთაგანს შეიძლება ცბიერ სიტყვებად ეჩვენოს, ვინაიდან ცბიერად ყველას ის მიაჩნია, რაც თავად არ ძალუძს მოიპოვნედოს. ამჟამად ჩემ ხელთაა დავიტოვო ან ხელი ავიღო რომაელი ხალხის მიერ ჩემდამი მოცემულ საგანგებო რწმუნებებზე. ყველა, ვინც მე რაიმე სამსახური გამიწია, ამჟამად ანაზღაურებულ-დაჯილდოებულა და გულმონადირებული მყავს.

ჩემი ჯარები ძალღონითა და კმაყოფილებით არიან აღსავსენი. მე გარს მახვევია სიყვარული, ძალა, სიმდიდრე, აურაცხელი მოკავშირეები. ხოლო ყველაზე უმთავრესი ის არის, რომ თქვენ და რომაელმა ხალხმა თქვენი კეთილგანწყობილებით, სიყვარულითა და

ნდობით ამამდღეთ მე ხელისუფლების თხემზე. და აი, რათა არავის არ დარჩეს აზრად, რომ მე მოძალეობით ვინარჩუნებ ჩემდამი მოცემულ ერთმპყრობელურ ძალა-უფლებას, მე ამ წუთას თქვენ წინაშე ვიხსნი ყველა ჩემ რწმუნებას და ვუბრუნდები კერძო ცხოვრებას.

შგონია, რომ მე აღეასრულე ყოველივე ის, რის საშუალებასაც კი მძლევდა ჩემი ძალღონე და ნიჭიერება. თანამდებობა-ვალდებულებათა შესრულების დროს მე არაფერი მაშინებდა: არც მტრების მუქარა და სამარის თხრა. არც ამბოხებულთა სიმრავლე, არც ბოროტის მოსურნეთა გააფთრება. ახლა თქვენ ჩემი წყალობით სტკებებით სასიამოვნო მყუდროებით და თავისუფლებით.

შგონია, რომ ძნელია ადაშიანმა გაიკვიროს ჩემი განზრახვა ძალა-უფლებაზე ხელის აღებისა, იცით რა ჩემი ხასიათი, რომელიც ნებას არ მძლევს მივიღო ყველა შემოთავაზებული საწარჩინო ნიშანი. რაოდენად მცირე და თავმდაბალი მოჩანს შედარებით ჩემ ერთმართველურ ძალა-უფლებაზე ხელის აღებასთან ყველა ეს გალიის დაპყრობანი, ეგვიპტეს დამორჩილება. ფარნაკისა, იუბას ალაგმვა, ლაშქრობანი ბრიტანეთში და სხვ. ის, რის გულისაუთვისაც ეგოდენ ბევრი სისხლი დაიღვარა. — ერთმართველური ძალა-უფლება, — ისპობა ნებაყოფლობითი უარის თქმით.

რასაკვირველია, ჩემს ნების მიერ უარისთქმას არ შეიძლება შეხედოს კაცმა როგორც იმის სურვილს, რომ სახელმწიფო და თქვენ დაგტოვოთ ალალ ბედზე, მიგცეთ თქვენ პატივმოყვარე და ბიწიერი ხალხისა და ეგოდენადვე მანკიერი ბრბოს ხელში, რომელიც ყოველთვის ძირს უთხრის საზოგადოებრივ წესრიგს. თვითონ თქვენ. უპატიოსნესო და პატივშოსილო პირნო, გადმოგცემთ ამიერიდან სახელმწიფოს გამგებლობას. საერთო კეთილდღეობისათვის მე მოვიმოქმედე ყველაფერი, რაც კი შემეძლო. ახლა კი ვგრძნობ თავს დაღლილად და ვსაქიროებ ღრმა მოსვენებას. ჩემი სული, ჩემი ძალღონე დაშვრა“¹.

ძნელი სათქმელია, ოქტავიანეს უარისთქმა განსაკუთრებულ რწმუნებაზე გამოიწვია მისმა მოღლილობამ და რესპუბლიკური კონსტიტუციის მიმართ ლოიალობამ, თუ ეს იყო მისი ჩვეულებრივი ცბიერება, ზუსტად გამოზომილი პოლიტიკური ნაბიჯი.

სენატში ოქტავიანეს სიტყვამ დიდი შეშფოთება გამოიწვია — სენატორები სთხოვდნენ მას არ მოეხსნა რწმუნებანი სახელმწიფოს სრულ დამშვიდებამდე და მიუთითებდნენ იმაზე, რომ მისი მამია, „ღვთაებრივი იულიუსის“ პიერ დასახული პროგრამა ჯერ არ იყო

¹ Dio Cass., LIII, 3—10.

შესრულებული. პართია და ბრიტანეთი ჯერ კიდევ არ არის დაპყრობილი და სახელმწიფოს შიგნით მშვიდობიანობა უზრუნველყოფილი არ არისო¹.

რომის რესპუბლიკის უკანასკნელი ათეული წლების ობიექტური გარემო იტალიის მონათმფლობელურ კლასს ნებას არ აძლევდა საესეპით აეღო ხელი სამხედრო დიქტატურაზე და დაბრუნებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების წინანდელ რესპუბლიკურ ფორმებს. მეურნეობის მოშლა, გარეგანი წესიერების უქონლობა, ქონებრივ ურთიერთობისა და უფლებრივ ნორმათა გაურკვეველობა, ახალი სამოქალაქო ომის ატეხის მუდმივი შიში, აჯანყებანი პროვინციებში, მონათა ამბოხებანი და მისთანა სხვა—ყოველივე ეს რწმენით რესპუბლიკელებსაც კი იძულებულს ხდიდა წასულიყვნენ პოლიტიკურ კომპრომისზე და აღეარებინათ სამხედრო დიქტატურა „რესპუბლიკური მონარქიის“ ანუ პრინციპატის შერბილებული ფორმით.

მტკიცე ხელისუფლების მომხრე იყო, უპირველეს ყოვლისა, ის 90 ათასი ვეტერანი, რომელიც ოქტავიანემ დასხა იტალიური მუნიციპიების მიწა-წყალზე. მრავალმა მათგანმა უკვე მოასწრო გამხდარიყო შეძლებული მესაკუთრე, შექმნილიყო ადგილობრივ სამუნიციპალო საბჭოს (კურიის) წევრად (დეკურიონებად), გაეჩინა კარგი მოწყობილობა, მოჰკიდებოდა ოჯახს და სხვა. ამათ მარტო ერთიარამ სწყუროდათ—მშვიდობიანობა და წესრიგი. მშვიდობიანობის სურვილი აერთიანებდა ვეტერანებთან და ოფიცრებთან აგრეთვე სხვა სოციალურ ჯგუფებს. გარდა ამისა, ძალა-უფლების კონცენტრაციას მოითხოვდა დედაქალაქის მოსახლეობა, რომელიც იტანჯებოდა სურსათ-სანოვავის ნაკლებობით, რის შემოზიდვაც გაძნელებული იყო ომის დროს. რესპუბლიკურ ორგანოებს (სენატს) არ შეეძლოთ მოეწყოთ წესიერი მომარაგება.

რესპუბლიკის ბოლო დროის რომაული საზოგადოების მდგომარეობა აღბეჭდილია თანამედროვე ლიტერატურასა, პოეზიასა და საისტორიო თხზულებებში. საკმარისია, მაგალითად, მოვიყვანოთ რამდენიმე ნაწყვეტი ორი პოპულარული რომელი მწერლის-რესპუბლიკელის ნაწარმოებებიდან, რომელნიც ერთი მეორის დაშორებული არიან საუკუნეზე მეტი დროით; ესენი არიან ჰორაციუსი და ტაციტუსი.

„აი უკვე ორ თაობას,—ამბობს ჰორაციუსი,—გული აქვს გაწვრილებული სამოქალაქო ომით. რომი ინგრევა საკუთარი ძალ-

¹ Horat., Od., III, V; 1, 21, 15; Verg., Georg., I, 30.

ლონითვე. რომი ვერ დაღუპა ვერც მარსების ძლიერა ტომმა, ვერც ეტრუსკთა მეფის პორსენას მრისხანე ლაშქარმა, ვერც კაპუას მემამბოხე სულმა, ვერც სპარტაკის სიშმავემ, ვერც ალობროგებმა, რომელთაც გამოიყენეს რომის სახელმწიფოს შინაგანი შფოთიერება; ბოლოს, რომი არ შედრკა არც მანამდე უძლეველი ჰანიბალის წინაშე და ლურჯთვალა გერმანელების ურდოს წინაშე. ყოველივე დაამარცხა რომის სულმა, მან ყოველივეს სძლია. მარტო ერთი-რამის დაძლევა არ ძალუძს მას—ძმათაშორისი ბრძოლისა, შინაგანი ომი გვიქადის ისეთ შედეგებს, რაზედაც ფიქრიც კი საშინელია“¹.

სახელმწიფოს მდგომარეობა რომეულ პოეტს საშინელ და გამოუვალ მდგომარეობად ეხატება. ამოძრავებულ რომაულ საზოგადოებას იგი ადარებს ხომალდს, რომელსაც მიმოაქანებს მღელვარე აბობოქრებული ზღვის ტალღები:

„ოი, ხომალდო, კვლავ ზღვაში გაგიტაცებენ შენ ტალღები-
რა გემართება? მოიცა! ღუზა ჩაუშვი ნავსადგურში.

ნუთუ ვერ ჰედავ, რომ შენმა ძვამ უკვე

დაჰკარგა ნიბები—შენი ანჰა ქარიშხალმა მოსტეხა.

შენი კახნულობა შემხარავად იზნიკება. სამაგრი ყველა აწყვეტილია
და ძროს ძლივსლა ძალუძს შეიმაგროს ზვირთების ძალუმე ძალა.

შენ უკვე აღარ გაქვს აფრა, არც ღმერთები საკებუ—
უბედურებათა დროს თავსაფარი.

ოი, მწარე ფიქრის ამასწინანდელი საგანო,
რომელმაც აღძარ ახლა შეილობრივი გრძნობანი,

ნუ გახვალ ზღვაში,

ციკლადებს შორის რომ ღმუი².

ვაი, ჩვენ ბარბაროსი დაგვამარცხებს და ნალთა თქარა-თქურით
აახმაურებს ჩვენს რომს, წინაპართა ფერფლს შევკვირინებს.

კვირინის ძვლები, რომელთაც საუჯუნეთა სივრცეზე არც მზე ენახათ
და არცა ქარი,
ვაი, საშინელებავე!—კადნიერებით შეიქნება გაცამტვერებულ³.

იმავე სურათს საერთო დაღლილობისა, დაბნეულობისა და მშვიდლობიანობის მოსურნეობისას გვიხატავს რომეული ისტორიკოსი კორნელი ტაციტუსი. ტაციტუსი აღნიშნავს იმ ღრმა დაღლილობას, რომელმაც დამბლა დასცა რომის საზოგადოების შემოქმედებით ძალებს, მშვიდობიანობის წყურვილს და ოქტავიანეს დემაკოგიურ პოლიტიკას, რომელიც ზოგიერთების გულს იზიდავდა საბოძვართა

¹ Horat., Epod., I, XVI.

² Horat., Od., I, XIV.

³ Horat., Epod., XVI, 10—15.

გაცემითა და დაპირებებით, ხოლო სხვებს შიშით, საერთოდ კი ყველას „ტკბილი მყუდროების“ იმედით¹.

„აკციუმთან ბრძოლის შემდეგ ერთის მმართველობა მშვიდობიანობის პირობად შეიქმნა“².

იმავე იდეას უფრო კატეგორიულად გამოსთქვამს III საუკუნის ისტორიკოსი კასიუს დიონი: „მმართველობამ ამ დროს მიიღო უკეთესი და საზოგადოებრივი კეთილდღეობის თვალსაზრისით უფრო მხსნელი ფორმა, ვინაიდან ყველა რომაელისთვის ცხადი შეიქნა, რომ აბსოლუტურად შეუძლებელია თავის გადაარჩენა რესპუბლიკური ფორმის პირობებში“³.

„ოი, ნელიბევ,—აცხადებს ტიტირი ვერგილიუსის პირველ ბუკოლიკაში, რომელიც დაწერილია დაახლ. 41 წელს ძვ. წელთაღრიცხვით,—ეს ღმერთია, რომელმაც მოგვანიჭა ჩვენ ნამდვილი მშვიდობიანობა. დიახ, იგი სამუდამოდ დარჩება ჩემთვის ღმერთად“⁴.

თანამედროვეები 27 წლის ამბებს უყურებდნენ არა როგორც მონარქიის ოფიციალურ აღიარებას, არამედ როგორც დაბრუნებას რესპუბლიკურ წყობილებისა, თავისუფლებისა, სამართლისა და კანონიერებისადმი და როგორც სამოქალაქო ომის დასასრულს.

„ძლივს,—გვითხულობთ ველეუს პატერკულის „რომის ისტორიაში“,—ჩაქრობილ იქნა სამოქალაქო უთანხმოება, დაიმარხა საგარეო ომი, აღდგენილია მშვიდობიანობა, იარაღის სიშმაგე ყველგან ჩაბშულია, კანონებს დაუბრუნდა ძალა, მოსამართლეებს—ავტორიტეტი, სენატს—დიდება“ (*revocata pax, sopitus ubique armorum furor; restituta vis legibus, iudiciis auctoritas, senatui maiestas*)⁵. იგივე გრძნობებია გამოთქმული ჩვენამდე მოსულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში (წარწერებში).

„მან (ავგუსტუსმა) აღადგინა რომაელი ხალხის რესპუბლიკა“,—ნათქვამია, მაგალითად, პრენესტეს ერთს წარწერაში. ფულებზე ავგუსტუსი სახელდებულია, როგორც „თავისუფლების მოსარჩლე“ (*libertatis vindex*).

ერთი მხრით, ობიექტური აუცილებლობა იმისი, რომ ყოფილ-იყო მტკიცე ხელისუფლება, ხოლო, მეორე მხრით, „ღვთაებრივი იუდიუსის“ მწარე გამოცდილება, რესპუბლიკელებსა და ოქტავიანეს

¹ Tacit., Annales, I, 1.

² Tacit., Historiae, I, 1.

³ Dio Cass., LIII, 19.

⁴ Vergil., Bucolica, I, 6—7.

⁵ Vell. Pat., II, 89.

იძულებულს ჰყოფდა კომპრომისზე წასულიყვნენ. რესპუბლიკელები, ასეთები კი რომის საზოგადოებაში მაშინ ცოტა არ იყვნენ, თანხმდებოდნენ იმაზე, რომ ოქტავიანეს მისცემოდა საგანგებო რწმუნებანი შეზღუდვილ ფარგლებში. პოლიტიკური წყობილება, რომელიც დამყარდა რომში ოქტავიანეს დროიდან, ატარებს პრინციპატის სახელწოდებას, რაც „რესპუბლიკის ერთგვარ მიმსგავსებას“ წარმოადგენდა (*quaedam imago rei publicae*, — ტაციტუსის თქმით)¹.

თავდაპირველად ფიქრობდნენ ოქტავიანე გამოეცხადებინათ მეფედ, მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებებით ამაზე ხელი აიღეს, რადგან თვით სიტყვა „სამეფო“ ან „მონარქია“, კასიუს დიონის სიტყვით, მაშინ იმდენად საძულველი იყო რომაელებისათვის, რომ ისინი თავიანთ იმპერატორებს არც დიქტატორებს უწოდებდნენ და არც მეფეებს. მაგრამ, რადგანაც უმაღლესი ძალა-უფლება მაინც მათ ზელში იყო, მაშ რატომ არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი მეფეების მიერ არიან გაბედნიერებული. ყოველივე კეთდება ისე, როგორც ამას მოისურვებენ იმპერატორები. ოლონდ, რათა მოეჩვენებინათ, რომ ისინი ყოველივეს ფლობენ არა თვითნებურად, არამედ უფლებით, — ითვისებენ ყველა საზოგადოებრივ ფუნქციასა და უფლებას, რასაც კი უალრესი მნიშვნელობა აქვს ხალხის მმართველობის პირობებში².

ტერმინი „პრინციპსი“ ფართოა ტერმინ „იმპერატორზე“, რომელიც შედიოდა მასში როგორც ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი. პრინციპსი — ეს არის სახელმწიფოს პირველი მაგისტრატი, რომლის ხელისუფლებაც აღიარებულია ხალხის მიერ და შეზღუდულია ხალხის სუვერენიტეტით, ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით — ის სიკვდილამდელია და არ გადაიცემა მემკვიდრეობით³.

„პრინციპსი“ — რესპუბლიკური ტერმინია რომელიც არ შეიცავდა რაიმე ოლიოზურს კონსტიტუციის თვალსაზრისით. პრინციპსი — პირველი მოქალაქეა (*princeps civitatis*) და პირველი სენატორია (*princeps senatus*). მაგრამ უკვე ოქტავიანეს დროს პრინციპსი რაღაც უფრო მეტს აღნიშნავდა, ვიდრე მარტო პირველ მოქალაქეს და პირველ სენატორს. ამის შემდეგ მე ყველასგან განვირჩეოდი ჩემი გავლენით (*auctoritate omnibus praestiti*), — ასე ახასიათებს

¹ Tacit., *Annales*, XIII, 25.

² Dio Cass., LIII, 17.

³ Léon Homo, *Auguste*, Paris, 1935, p. 168.

თავის მდგომარეობას სახელმწიფოში თვითონ ოქტავიანე,—მაგრამ ჩემს განკარგულებაში იმაზე მეტი უფლება არა მქონია, რაც ჰქონდათ ჩემს ანხანაგებს თანამდებობითა⁴. შემდეგში, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ორი საუკუნის მანძილზე, პრინციპსი ევოლუციური გზით ვითარდება იმპერატორის მდგომარეობამდე ამ ტერმინის უფრო გვიანდელი გაგებით, ე. ი. შეიქნება განუსაზღვრელი თვითმპყრობელი ანუ მეფე. რომის ისტორიის ზოგად მიმოხილვებში და რომის სამართლის ისტორიაში პრინციპატს ჩვეულებრივ უწოდებენ რომის იმპერიის პირველ ნახევარს—ჩვ. წელთაღრიცხვით I—III საუკუნეთა დროის აღრეულ იმპერიას, რომელსაც უპირისპირებენ დომინატს ანუ გვიანდელ იმპერიას (IV—V საუკ.-ები). ანალოგიური ევოლუცია გამოიარა კეისრის (Caesar) ტიტულმაც, რომელიც თავდაპირველად იყო იულიუსების საგვარეულო სახელი (cognomen), ხოლო შემდეგ გადაიქცა რომის პრინციპსებისა და იმპერატორების ერთ-ერთ ტიტულად. იმპერატორის ტიტული თავის მხრივ სამხედრო სარდლის საპატიო წოდების ვიწრო მნიშვნელობიდან გაიზარდა სახელმწიფოს მესვეურის ტიტულად, უფრო გვიანდელი გაგებით იმპერატორის ტიტულად.

პრინციპსად, კეისრად და იმპერატორად წოდებასთან ერთად რომის მმართველები იწოდებოდნენ კიდევ ავგუსტუსებად. როგორც საპატიო სახელწოდება ავგუსტუსის ტიტული ოქტავიანეს მიართვა სენატმა ისტორიულ სხდომაზე 27 წ. 13 იანვარს, როცა მან თავიდან მოიხსნა დიქტატორის რწმუნებანი. იურიდიული თვალსაზრისით „ავგუსტუსს“ არავითარი შინაარსი არა ჰქონია, მაგრამ მას ჰქონდა საკრალური მნიშვნელობა. ავგუსტუსი (Augustus) წარმოებულია ზმნისაგან augere—გაზრდასა და გამრავლებას რომ ნიშნავს; (ბერძნულად Sebastus)—სიკეთეთა გამრავლებელი და მომნიჭებელი—შეიცავს რაღაც მისტიკურს, ღვთაებრივს, რაც ამ საპატიო ტიტულის მატარებელს ანათესავებს ავგურებთან, იმ ღვთაებრივი ნება-სურვილის ამხსნელ-განმმართველებთან, რაც გამოვლინდება ღმერთების მიერ გამოგზავნილ სხვადასხვა ნიშნებით (divinatio).

27 წლიდან ოქტავიანემ ავგუსტუსად იწყო წოდება და აძღროდიან ავგუსტუსი შეიქნა პირადი სახელი და ტიტული ყველა იმათთვის, ვინც მომდევნო ჭანებში იყო უზენაესი ხელისუფლების მატარებელი კრომში. ახლად შენებული იულიუსის კურიის (Curia

⁴ Monum. Ancyg., 34.

Julia) კარებზე ჩამოჰკიდეს ოქროს ფარი, ავეუსტუსისადმი მიძღვნილი, წარწერით: „Senatus populusque Romanus Augusto dedit clupeum virtutis, clementiae, iustitiae, pietatis causa“ (სენატმა და რომის ხალხმა მიუქდენა ავეუსტუსს ფარი მისი სიმამაცისა, მოწყალებისა, სამართლიანობისა და კეთილმსახურებისათვის)¹.

სახალხო ტრიბუნის პაკუვიუსის წინადადებით, რომელი კალენდრის მეექვსე თვე (sextilis) გადარქმეულ იქნა ავეუსტუსის თვედ (Augustus)².

თანამედროვენი, მათ რიცხვში თვითონ ავეუსტუსიც, 27 წ. 13 იანვარს სთვლიდნენ სამოქალაქო ომის დამთავრებისა და რესპუბლიკის აღდგენის დღედ (res publica restituta), ხოლო ისტორია ამ დღეს უნდა სთვლიდეს იმპერიის დასაწყისად.

კონსტიტუციური სამართლის თვალსაზრისით, რესპუბლიკა და იმპერია წარმოადგენდნენ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომელნიც ერთი მეორეს გამოირიცხავენ; მაგრამ მთელ ფორმალურ სხვაობასთან ერთად მათ შორის არსებობდა ერთი არსებითი მსგავსება. როგორც რესპუბლიკა, ისე იმპერია წარმოადგენდნენ მონათმფლობელური საზოგადოების პოლიტიკურ ზედნაშენებს, თუმცა ისინი სხვადასხვაგვარად იყვნენ ორგანიზებული და იმყოფებოდნენ ისტორიული განვითარების სხვადასხვა სტადიაზე.

„მონათმფლობელობის პერიოდში,—ამბობს ლენინი,—მაშინდელ ყველაზე უფრო მოწინავე, კულტურულ, განათლებულ ქვეყნებში, მაგ., ძველ საბერძნეთსა და რომში, რომელნიც სავესებით ემყარებოდნენ მონობას, ჩვენ უკვე ვხედავთ სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმას. ჯერ კიდევ მაშინ წარმოიშვა განსხვავება მონარქიასა და რესპუბლიკას შორის, არისტოკრატიასა და დემოკრატიას შორის...“

ყველა ეს განსხვავება წარმოიშვა მონობის ეპოქაში. ამ განსხვავებათა მიუხედავად, მონათმფლობელური ეპოქის სახელმწიფო მონათმფლობელური სახელმწიფო იყო, სულერთია—მონარქია იყო. ის თუ არისტოკრატიული ან დემოკრატიული რესპუბლიკა“³.

2. იმპერატორის ხელისუფლების ზრდა

რესპუბლიკურ დაწესებულებათა კვდომა და იმპერატორის ხელისუფლების ზრდა წარმოადგენდა კანონზომიერ შედეგს ქალაქ-

¹ C. I. L. IX, 551.

² Macrob., Sat. I, 12, 35.

³ ვ. ი. ლენინი, სახელმწიფოს შესახებ, სახელგამი, 1938 წ., გვ. 21.

სახელმწიფოს ხმელთაშუა ზღვის მონარქიად გადაქცევისას, მედმივეჯარისა და ბიუროკრატიული აპარატის შექმნისას. რომის იმპერიის ხუთასი წლის მანძილზე იმპერატორის ხელისუფლების სოციალური ბუნება არ დარჩენილა უცვლელი, იგი იცვლებოდა სოციალურ ძალთა შეფარდების ცვლილებასთან ერთად. მის პარალელურად პირველი დინასტიის იმპერატორები იულიუსების—კლავდიუსების სახლიდან უფრო მეტად იყვნენ დაკავშირებული იტალიასა და ნობილიტეტთან, ვიდრე მომდევნო დინასტიები, რომელნიც ემყარებოდნენ პრივილეგიურ ზედაფენებს, პროვინციულ პლუტოკრაციას და ვეტერანებს.

პრინციპატის პირველ ათწლეულების ისტორიისათვის ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს „ღვთაებრივი ავგუსტუსის საქმენი“ (*Res gestae divi Augusti*), რაღაც პოლიტიკური ანდერძის მსგავსი, რომელიც შედგენილ იქნა ავგუსტუსის სიცოცხლის ბოლო ხანებში და შეიცავს მისი მმართველობის მთელ ისტორიას, პოლიტიკურ ასპარეზზე პირველი გამოსვლიდან მოკიდებული ვიდრე მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლამდე. ბრინჯაოს ორ დაფაზე დაწერილი „საქმენი“ აღმართულ იქნა რომში ავგუსტუსის მავზოლეუმის წინ და გამეორებულია მრავალ იტალიურსა და პროვინციულ ქალაქში. ერთ-ერთი ასეთი პირი ავსტრიულმა ექსპედიციამ იპოვნა XVI საუკუნეში ხანებში მცირე აზიის ქალაქ ანკირაში (ანგორაში) და მეცნიერებაში ცნობილია ანკირის წარწერის სახელით (*Monumentum Ancyranum*)¹.

„ღვთაებრივი ავგუსტუსის საქმეთა“ პოლიტიკური აზრი ექვს არ იწვევს. ესაა კარგად მოფიქრებული გამართლება ოქტავიანე ავგუსტუსის მთელი პოლიტიკისა, დაწერილი მშრალი, საქმიანი და სერიოზული სტილით, ნავარაუდები არა გრძნობებისათვის, არამედ ლოგიკისათვის. სცილდება რა ხშირად ისტორიულ რეალობას, ავგუსტუსი ლამობს თავისი მოღვაწეობა წარმოგვიდგინოს როგორც კანონიერ კონსტიტუციურ აქტების ერთობლივობა, რაც შესრულებულია სენატისა და რომაელი ხალხის თანხმობითა და ნება-სურვილით.

„შობითგან ცხრამეტი წლისამ,—გვაუწყებს „საქმეთა“ პირველი პარაგრაფი,—საკუთარი თაოსნობითა და საკუთარი თანხებით (*privato consilio et privata impensa*) მე შევკრიბე ჯარი, რომლის წყალობით თავისუფლება დაუბრუნე სახელმწიფოს, ბოროტ-

¹ Th. Mommsen, *Res gestae divi Augusti*, 2 Aufl., 1883.

განმზრახველთა პარტიის მიერ რომ იყო დაბეჩავებული (*rem publicam dominatione factionis oppressam in libertatem vindicavi*).

ამის ძალით სენატმა საგანგებო საპატიო დეკრეტებით შემოიყვანა მე თავის შემადგენლობაში, მომანიჭა მე უფლება აზრის გამოთქმისა კონსულარებთან ერთად და ჩამაბარა *imperium*¹.

„ზღვა გავწმინდე მეკობრეებისგან. ამ ომში მე ხელთ ვიგდე 30 ათასამდე მონა... და გადავეცი იხინი დასასჯელად ჭათ ბატონებს. მთელმა იტალიამ მე ნებაყოფლობით შემომოძეცა ერთგულებაზე და მოითხოვა, რათა მე ვყოფილიყავ წინამძღოლად იმ ომში, რომელშიაც მე ძლევით შევიმოსე აკციუმთან. პროვინციებმა—გალიამ, ესპანეთმა, აფრიკამ, სიცილიამ და სარდინიამ—მე ასეთივე ფიცი მომცეს“².

„ნიშნად მადლობისა ამ დამსახურებისათვის, სენატის დადგენილებით, მე გამოცხადებულ ვიქმენ ავგუსტუსად“ (*Quo pro merito meo senatus consulto Augustus appellatus sum*)³.

ისტორიულად ხელისუფლება პრინციპსისა, რომელიც კანონზომიერად ხდებოდა აბსოლუტურ მონარქად „შეწევნითა ღვთისათა“,—განვითარდა ორი რესპუბლიკური მაგისტრატურისგან: პროკონსულარებისა და სახალხო ტრიბუნატისგან. რესპუბლიკას დროს პროკონსულური იმპერაჟი (*imperium proconsulare*) მის მატარებელს ანიჭებდა უმაღლეს სარდლობას ერთი (*imperium tinitum*) ან რამდენიმე პროვინციის (*imperium maius intinitum*) ფარგლებში. ხოლო ტრიბუნული ძალა-უფლება (*potestas tribunicia*) კანონდებლობითი ინიციატივის უფლებას ანიჭებდა და მის მატარებელს მოსავდა ხალხის ავტორიტეტის სანქციით. მაგრამ რესპუბლიკისა და იმპერიის დროს ხსენებულ მაგისტრატურებს შორის იყო არსებითი სხვაობაც. მაშინ როდესაც რესპუბლიკის დროს ერთი მაგისტრატურაც და მეორეც შეზღუდული იყო დროსა და სივრცეში გარკვეული ტერიტორიით (პროვინცია, ქალაქის პომერიუმი) და ერთი წლის ვადით პროროგაციის (ძალა-უფლების ვაგრძელების) უფლებით, ავგუსტუსის პროკონსულობა და ტრიბუნატი არ იყო შეზღუდული არც სივრცითა და არც დროით. სწორედ ამაში მდგომარეობს მისი პრინციპული განსხვავება რესპუბლიკურ მაგისტრატურებისგან.

¹ Monum. Ancyra, 1.

² Ibid., 25.

³ Ibid., 34.

პროკონსულური იმპერიუმის ძალით ავგუსტუსი იყო უმაღლესა სარდალი. (იმპერატორი) ყველა შეიარაღებული სახმელეთო და საზღვაო ძალებისა სახელმწიფოს მთელ სივრცეზე, მათ შორის იტალიაშიც და თვით რომში, რამდენადაც იქ იმყოფებოდა სამხედრო ნაწილები—პრეტორიანელთა გვარდია, ქალაქის მცველი კოჰორტები, ცეცხლის ჩამქრობი რაზმი და ა. შ. ჯარების მეტი ნაწილი კი თავმოყრილი იყო მოსაზღვრე პროვინციებში, რომელნიც რომს ჯერ კიდევ საესებით არ ჰყავდა დაუფლებული და სადაც არსებობდა აჯანყებათა და მტრის შემოჭრის მუდმივი საშიშროება. ამ პროვინციებს, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდნენ ესპანეთი, გალია, თრაკია, დალმაცია, სირია, ენიჭებოდა საიმპერატორო ანუ საცეზარო პროვინციათა (provinciae Caesaris) სახელწოდება, ე. ი. ისეთ პროვინციებისა, რომელნიც სამხედრო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. საიმპერატორო პროვინციებს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე ეგვიპტეც, რომელიც შეადგენდა იმპერატორის პირად საკუთრებას ანუ პატრიმონიუმს. საიმპერატორო პროვინციებს უპირისპირდებოდა სენატის პროვინციები (provinciae senatus), რომელთაც განაგებდნენ რესპუბლიკური მაგისტრატები—პროპრეტორები და პროკონსულები—და რომელნიც ავგუსტუსს—იმპერატორს ექვემდებარებოდნენ მარტო სამხედრო დარგში.

მუდმივი სამხედრო მდგომარეობის გამო იმპერატორის ხელისუფლება საიმპერატორო პროვინციებში არსებითად იყო დიქტატორული. დიქტატორის მსგავსად იმპერატორსაც „მახვილის უფლების“ (ius gladii) ძალით სიკვდილ-სიცოცხლის უფლება ჰქონდა მისდა დამორჩილებულ პროვინციათა მცხოვრებლების—მკვიდრებისა და რომაელების—მიმართ, იგი სცემდა დეკრეტებს, აწერდა და აწესებდა გადასახადებს, ხელმძღვანელობდა საზოგადოებრივ სამუშაოებს, მშენებლობას, საზოგადო წომარაგებას და იყო უმაღლესი სააპელაციო და საკასაციო სასამართლო ორგანო. მაგრამ ყოველივე ამას მნიშვნელობა არ ექნებოდა, რომ იმპერატორს არ ჰქონოდა მტკიცე მატერიალური ბაზისი. ოქტავიანე ავგუსტუსის ძალა მარტო მის დიქტატორულ უფლებებში კი არ მდგომარეობდა, არამედ აგრეთვე მის უშველებელ საადგილმამულო და ფულად სიმდიდრეშიაც. ის იყო მეტად მსხვილი მემამულე მაგნატი. პრინცეპსისა და მისი ოჯახის მამულები გაფანტული იყო მთელს სახელმწიფოში, მათი კვალი დარჩა როგორც საიმპერატორო, ისე სასენატო პროვინციებში.

პრინციპის მამულებში, რომელნიც შეადგენდნენ მისი სიმდიდრის ძირითად ბირთვს, წარმოებდა ფართო მეურნეობა; ამას ხელმძღვანელობდნენ იმპერატორის მოურავები—პროკურორები (procuratores), რომელთაც ნიშნავდა და ჯამაგირს აძლევდა თვითონ იმპერატორი, საერთო სახელმწიფო დაწესებულებათაგან დამოუკიდებლად. თავიანთ ხელქვეით ოლქებში იმპერატორის პროკურორებს ჰქონდათ არა მარტო სპეციალურად ფისკალური ფუნქციები, არამედ აგრეთვე სასამართლო უფლებებიც. მათ განკარგულებაში იმყოფებოდა თავისუფალთა, ლიბერტინებისა და მონათა ფართო მომსახურე პერსონალი. თვითონ პროკურორები მეტწილად ეკუთვნოდნენ მხედართა წოდებას. ყველა დანარჩენ მიწათმფლობელებთან შედარებით პრინციპის ვილები განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მრავალი უპირატესობით სარგებლობდა.

პატრიმონიუმთან ერთად ავგუსტუსი, როგორც იმპერატორი, განაგებდა საიმპერატორო პროვინციების ყველა შემოსავალს, რაც შედიოდა არა საერთო სახელმწიფო ხაზინაში (aerarium Saturni), არამედ სპეციალურ საიმპერატორო ხაზინაში—„კალათში“—ფისკუსი (fiscus). ფისკებს (fisci) რომში უწოდებდნენ დაწულ კალათებს, რომლებშიაც ჰკრეფდნენ ზეთისხილს გამოსახდელად, —აგრეთვე კალათებსა ან ქისებს ფულისა და ძვირფასეულის შესანახად.

რაკი დიდძალი სახსარი გააჩნდა, პრინციპს შეეძლო თავისთვის კლიენტები მოეგროვებინა, ეწარმოებინა აგიტაცია, მოეწყო ზეიმები, ასპარეზობანი, შეესყიდა პური, გაესტუმრებინა სენატორთა ვალები, შეეძინა მიწები ვეტერანებისთვის, ეწარმოებინა საკუთარი ხარჯით ომი, ერჩია მისთვის სასურველი კანდიდატები საზოგადოებრივ თანამდებობაზე და მოეცილებინა არასასურველი პირნი; ფორმალურად ყოველივე ეს ხდებოდა კონსტიტუციის კანონიერ ფარგლებში.

მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ჯარი მთლიანად და სავსებით იმპერატორზე იყო დამოკიდებული: ის აგროვებდა ჯარს მისთვის სასურველი პირების მიღებით, ამარაგებდა, ურიგებდა ჯილდოებსა და ხარისხებს (praemia militiae), ათავსებდა კოლონიებში, ნიშნავდა და გადააყენებდა ხოლმე მეთაურთა შემადგენლობას.

„ოთხჯერ, —აცხადებს ოქტავიანე-ავგუსტუსი, —ჩემი პირადი სახსრებიდან (pecunia mea) შევეწიე სახელმწიფო ხაზინას და საერთო ჯამში სახელმწიფო ხაზინის გამკეს გადავეცი 150 მლნ. სე-

სტერკაუმი¹. 6 წ. ახ. წ. ავგუსტუს თაოსნობით დაარსებული იქნა სპეკიალურად ჯარისათვის საფინანსო უწყება (*aerarium militare*) ძირითადი ფონდით 170 მლნ. სესტერციუზის რაოდენობით იმპერატორის პირადი სახსრებიდან. სამხედრო ერატიუმის შესავსებად ეთი პროცენტი ირიცხებოდა ქონებაზე შეწერილ გადასახადებიდან².

სამხედრო ხაზინიდან ეძლეოდათ პენსიები ჯარისკაცებსა და მეთაურებს, გაიცემოდა აგრეთვე ერთდროული საჩუქრები. სამხედრო უწყების განკარგულებაში იმყოფებოდა მოხელეთა და მსახურთა შტატი, რომელთა უზენაეს მეთაურადაც ითვლებოდა თვითონ იმპერატორი.

იმპერატორის ხელისუფლების ზრდამ გავლენა მოახდინა მისი მატარებლის ტიტულატურაზეც. სახელმწიფოს მესვეურის თავმდაბლურ სახელწოდებას—„პრინცეპსს“ ზედ დაერთო მთელი რიგი ახალი საპატიო ტიტულები და შეიქმნა დიდმშვენიერი ტიტულატურა ყველა იმ მაგისტრატურის ჩამოთვლით, რომელთაც კი თავისი პიროვნებით ათავსებდა იმპერატორი, და ყველა გამარჯვების, ნამდვილისა და მოგონილის, აღნუსხვით. რომის იმპერატორის სრული ტიტული მეტყველებდა: „იმპერატორი ცეზარი, ავგუსტუსი, ღვთაებრივის შვილი, უზენაესი ქურუმი, სახალხო ტრიბუნის ძალაუფლებით მოსილი, მამულის მამა, კონსული, ვენერასა და ენის ჩამომავალი“ (*Imperator, Caesar, Augustus, Divi filius, pontifex maximus, tribunicia potestate, pater patriae, consul, suboles Veneris Aeneisque*). პრინცეპსის პიროვნება, როგორც სახალხო ტრიბუნისა და უზენაესი სარდლსა, საღვთო პიროვნებად (*sacro-sancta persona*) ითვლებოდა. გარეგნულად იმპერატორი დანარჩენ მოქალაქეებისგან განიზიჩეოდა ტანისამოსით (*toga praetexta paludamentum*) და კონსულის მსგავსად მას ჰყავდა ამაღლა 12 ლიქტორის შემადგენლობით. პრინცეპსის ადგილსამყოფელს წარმოადგენდა ფართო სასახლე პალატინუმის ბორცვზე, რომელსაც ჰქონდა ქალაქზე მბრძანებელი მდებარეობა.

მუდმივ მაგისტრატურების—პროკონსულობისა და ტრიბუნატის—გარდა ავგუსტუსი დროგამოშვებით მიიღებდა ხოლმე თავის თავზე კიდევ რამდენიმე განსაკუთრებულ რწმუნებას, მაგალითად, ზრუნეას რომის სურსათით მომარაგების შესახებ (*cura annonae*),

¹ Monum. Ancy., 17.

² Dio Cass., LV, 23.

ზრუნვას საზოგადო ზნეობრივობაზე (cura legum morumque) და ა. შ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პროკონსულისა და ტრიბუნის ძალა-უფლებებზე მიმატებას უმაღლესი ქურუმობის თანამდებობისა, რაც ავგუსტუსს ხდიდა სიკვდილამდე უმაღლეს ქურუმად (pontifex maximus), ყველა საქურუმო კოლეგიის მეთაურად; ხალხსა და ღმერთებს შორის შუამავლად.

3. ჯარის რეორგანიზაცია

აკციუმთან ბრძოლის შემდეგ რომის რესპუბლიკის ყველაზე უფრო დიდი, მრისხანე და ორგანიზებული ძალა იყო რომის ჯარი. სწორედ მისთვის, პირველ ყოვლისა, უნდა გაეწია კიდევ ანგარიში ოქტავიანე ავგუსტუსს, რომლის განკარგულებაშიც ანტონიუსისა და კლეოპატრას განადგურების შემდეგ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა 500 ათასი კაცის რაოდენობით. ასეთი დიდი ჯარის შენახვა ძნელიც იყო და. სახიფათოც, ამიტომაც ავგუსტუსმა ხელი მიჰყო თანდათან დემობილიზაციას, გადაჰყავდა რა არმია მშვიდობიან მდგომარეობაში და, შეძლებისამებრ, ჯარისკაცები მიწათმომქმედთა როლში. 500 ათასი ჯარისკაცისგან 300 ათასი განთავისუფლებულ იქნა და მათ ჯილდოდ მიიღეს ფული და მიწები. იმის შიშით, რომ უკმაყოფილება არ მოჰხდარიყო მშვიდობიან მოსახლეობაში მასობრივი კონფისკაციის შედეგად, ავგუსტუსმა ხელი აიღო თავის წინანდელ მეთოდაზე კოლონისტების ძალათი ჩასახლებაზე მუნიციპიების მიწა-წყალზე და გადავიდა მიწათა შეძენის ახალ მეთოდზე — შესყიდვაზე.

ვეტერანთა სამოსახლოდ მიწებს იძენდნენ იტალიასა და პროვინციებში. თვითონ ავგუსტუსი აღნიშნავს იტალიაში მიწების ორ დიდ შეძენას, რაც მან საკუთარი ხარჯით მოახდინა 30 წ. ძვ. წელთაღრიცხვით, უშუალოდ აკციუმის შემდეგ, და მეორედ 14 წ. ძვ. წ. მიწების შეძენაზე გაღებულ იქნა დიდი თანხები—600 მლნ. სესტერციუმი იტალიაში და 260 მლნ. სესტერციუმი პროვინციებში¹.

ვეტერანების მასობრივი გადაყვანა მიწებზე გამოწვეული იყო ორი მოსაზრებით: 1) თვითონ ვეტერანების მოთხოვნისა, რომელთაც ემძიმებოდათ სამხედრო სამსახური, და 2) სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მოსაზრებებით, იმის მისწრაფებით, რომ განმტკიცებულიყო წვრილი და საშუალო შეძლების მიწათმფლობელობა, რაც ნაწილობრივად კიდევაც იყო მიღწეული.

¹ Dio Cass., LI, 3, 23.

იტალიაში იმყოფება 28 ჩემ მიერ დაფუძნებული ახალშენი, რომელნიც ჩემ სიცოცხლეში ძალიან მრავალრიცხოვანნი იყვნენ და აყვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ* (celeberrimae et frequentissimae fuerunt)¹. ხოლო ჯარის დარჩენილი ნაწილი დააბანაკეს საზღვრების გაყოლებაზე, იგი იმყოფებოდა იმპერატორის სარდლობის ქვეშ და გადაიქცა მუდმივ არმიად. სამოქალაქო მილიციის მუდმივ რეგულარულ არმიად გადაქცევის ტენდენცია გამოჩნდა რესპუბლიკის დროსვე, მაგრამ კანონმდებლობითი სანქცია ამან მიიღო მხოლოდ იმპერიის დროს. კადრის არმია შედგებოდა 25 ლეგიონისგან, თითო ლეგიონში 6 ათასი კაცი ირიცხებოდა, ამათში 700 კავალერისტი იყო. საერთო რიცხვით რომის არმია პრინციპატის პირველ ათწლეულებში, მგონია, არ აღემატებოდა 250 ათას კაცს.

ძირითად სამხედრო ერთეულად რჩებოდა ლეგიონი (legio), რომელიც იყოფოდა 10 კოჰორტად 6-რ ცენტურიით. 8 ლეგიონი იღვა რაინის საზღვარზე, 8—ესპანეთში, 2—აფრიკაში, 2—ეგვიპტეში, 4—სირიაში და ა. შ. ყველა პროვინციის მთელი არსებული ჯარი იმყოფებოდა იმპერატორის მოადგილის — ლეგატის (legatus Augusti pro praetore) მესვეურობის ქვეშ. ლეგიონის ლეგატზე იყვნენ დამოკიდებულნი სამხედრო ტრიბუნები (tribuni militares). რომის არმიის ყველაზე უფრო წვრილ ერთეულს წარმოადგენდა ცენტურია, რომელსაც ცენტურიონები მეთაურობდნენ. სახმელეთო არმიის მესვეური, იმპერატორი, იყო აგრეთვე რომის საზღვაო ძალთა მესვეურიც.

რომის ფლოტის ეკიპაჟს აგროვებდნენ რომაელ მოქალაქეთა დაბალ ფენებში — პროლეტარებში, განთავისუფლებულ მონებსა და ნაწილობრივად მონებში. ფლოტი წარმოადგენდა რომის ჯარის უფრო მეტად დემოკრატიულ ნაწილს და რომის სამხედრო ორგანიზაციის სისტემაში მას შეორეხარისხოვანი ადგილი ეკავა. ფლოტი ასრულებდა საგუშაგო სამსახურს და თავმოყრილი იყო ორს ნავსადგურში — მისენისაში სამხრეთით, და რავენისაში იტალიის ჩრდილოეთით.

არმიაში სასტიკად იცავდნენ კლასობრივ პრინციპს. სამეთაურო თანამდებობანი ლეგიონებსა, კოჰორტებსა და მანიპულებში ეძლეოდა განსაკუთრებით უმაღლეს კლასს — სენატორებსა ან მხედრებს. წინასწარ სამხედრო მომზადებას არისტოკრატიული ახალგაზრდობა იღებ-

¹ Monum. Ancyr., 28.

და სპეციალურ სამხედრო სკოლებში, რომელთაც ეწოდებოდათ „ახალგაზრდობის კავშირები“ (*collegia iuvenum*), სადაც სენატორებისა და მხედართა შვილები იღებდნენ ზოგადაა და სპეციალურ განათლებას. პროვინციებშიც აგრეთვე არსებობდა „ახალგაზრდობის კავშირები“ ადგილობრივი არისტოკრატიის (დეკურიონების) შვილებისათვის, რომელთაც უფლება ჰქონდათ სამეთაურო ადგილების დაქვრისა. სამეთაურო შემადგენლობის არისტოკრატიზაციით ავგუსტუსს იმედი ჰქონდა, პირველ ყოვლისა, იმისი, რომ შეასუსტებდა დაბალ მეთაურთა—ცენტურიონების გავლენას, რომელნიც დიდ როლს თამაშობდნენ სამოქალაქო ომის პერიოდში და ახლოს იდგნენ ჯარისკაცებთან.

არმიაში ჯარისკაცის მდგომარეობას, მის მოვალეობათ, უფლებებსა და უპირატესობებს (*conditio militiae*) განსაზღვრავდა სპეციალური სამხედრო წესდება. წესდების თანახმად, სამსახურის ვადა ლეგიონებში განისაზღვრებოდა 20 წლით, საგვარდიო ნაწილებში (პრეტორიანთა გვარდიაში)—16 წლით. სამსახურისათვის ჯარისკაცი იღებდა გარკვეულ ჯამაგირს—230 დენარის, ე. ი. 100) სესტერციუმს, წელიწადში ლეგიონერი, ხოლო პრეტორიელი 360 დენარის. ამას უნდა დაემატოს კიდევ ექსტრაორდინალური ჯილდოები და საჩუქრები მიწის ნაკვეთებისა და ფულის სახით. რომის ჯარში სამსახურის სავალდებულო პირობად ითვლებოდა უქორწინობა, არმიაში შესვლისას ქორწინება ირღვეოდა. ვეტერანების უფლებები და უპირატესობანი (*privilegia veteranorum*) ჩამოთვლილი იყო განსაკუთრებულ განტევებით სიგელებში (*diploma militum*), რომელთაც სამხედრო პირები იღებდნენ სამსახურის დაწყებულ ვადის გათავების შემდეგ.

იმპერატორისა და სამეთაურო შემადგენლობის ჯარისკაცებთან დამოკიდებულება შედარებით რესპუბლიკურ ხანასთან—გამოიცვალა; შემოღებულ იქნა სასტიკი დისციპლინა, გააძლიერეს სასჯელთა ღონისძიებანი და სხვ.

„სამოქალაქო ომის გათავების შემდეგ ავგუსტუსი არც კრებებზე, არც ბრძანებებში აღარ უწოდებდა ჯარისკაცებს თანამხანაგებს (*commilitones*), როგორც ეს წინათ იყო, არამედ მარტივად ჯარისკაცებს (*milites*) და ნებას არ აძლევდა, რომ მის შვილებს ან გერებს, რომელთაც ეჭირათ უმადლესი სამეთაურო თანამდებობანი, მათთვის სხვაგვარად ეწოდებინათ. პირველი მიმართვა კი მას მიაჩნდა მეტისმეტ ლაქტუცად და შეუსაბამოდ სამხედრო სამსახურის წესიერებისა, მყარი პოლიტიკური მდგომარეობისა და თავისი მაღალი

რანგისა და სახლისათვის. განთავისუფლებული მონები მას ჯარისკაცებად მიჰყავდა მხოლოდ სახანძრო სამსახურისათვის რომში, ან როცა სიძვირის გამო სახალხო მღვლეარების აფეთქების ხიფათი შეიქმნებოდა¹.

არსებული ჯარი განაპირა ქვეყნებში, საიმპერატორო პროვინციებში რომ იყო დაქსაქსული, არ კმაროდა არათუ შეტევისათვის, არამედ მოსაგერიებლადაც კი. საარმიო კადრების მომატება კი არ იყო შესაძლებელი არც ფინანსიურ და არც პოლიტიკურ მოსაზრებებით. ჯარის შენახვა ძალიან ძვირად ღირდა და აღემატებოდა რომის სახელმწიფოს შესაძლებლობას, რომელიც ნიათგამოლეული იყო წინა ომების წყალობით.

მღვომარეობიდან გამოსავალი გამონახულ იქნა: დაუბრუნდნენ მოკავშირეთა ძველებურ და მხმარე რაზმებს (auxilia), რომელნიც მსახურობდნენ ქვეითა ჯარში (cohortes) და კავალერიაში (alae) და აგროვებდნენ არა იტალიკებს შორის, არამედ რომის ხელქვეით ბარბაროს ხალხებში—თრაკიელებსა, იბერებსა, გალებსა და გერმანელებში. რომის ჯარში სამსახურისათვის ბარბაროსები ჯამაგირს არ იღებდნენ და მარტო ერთ ჯილდოს ჯერდებოდნენ—რომის მოქალაქეობის უფლებას.

რომის ჯარის შემადგენლობაში მოკავშირე ბარბაროს ხალხების შეყვანას არსებითი შედეგები ჰქონდა რომის შემდგომი ისტორიისათვის. ერთი მხრით, იგი ხელს უწყობდა განაპირა ქვეყნების რომანიზაციას, ხოლო, მეორე მხრით, განაპირა ქვეყნებში იქმნებოდა შეიარაღებული ძალა, რომელიც სრულიად არ ემორჩილებოდა სამოქალაქო კანონებს და დამოკიდებული იყო თავის სარდლებზე და იმპერიის ყველა ჯარის მთავარ უფროსზე—პრინციპსზე ანუ იმპერატორზე.

დამხმარე ჯარების მნიშვნელობა საუკუნეიდან საუკუნემდე იზრდებოდა და რომის არმია თანდათან ბარბაროსული შეიქმნა, აითქვიფა პროვინციული ჯარის მასაში. ბარბარიზაციასთან ერთად ჰქრებოდა დისციპლინა, ეცემოდა არმიის საომარი ტექნიკა, ტლანქდებოდა ტაქტიკა და სტრატეგია. სამოკავშირეო ნაწილებში ამბოხებანი და აჯანყებები ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდნენ, მიუხედავად გამაფრთხილებელ ზომებისა, რომელთაც იმპერატორები იღებდნენ; ასეთები იყო: ხშირი გადაყვანა ერთი ადგილიდან მეორეზე, მონათესავე და ერთ ენაზე მოუბარი ხალხების თავმოყრის თავიდან

¹ Suet., August., 25.

აცილება, ჯილდოების, სამსახურში დაწინაურების შემოღება, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, სასტიკი სასჯელთა დაწესება.

სასაზღვრო არმიასა და დამხმარე რაზმებთან ერთად ავგუსტუსის დროს არსებობდა კიდევ პრეტორიელთა გვარდია, 9 კოჰორტისაგან შემდგარი, თითოეულში ათასი კაცის შემადგენლობით (*cohortes praetorianae*). იდეთ პრეტორიელთა გვარდია შეადგენდა იმპერატორის პირად მცველ რაზმსა და საპოლიციო კორპუსს. პრეტორიელთა კოჰორტები იმყოფებოდნენ იმპერატორთან და სხვა სამხედრო ნაწილებთან შედარებით ბევრი უპირატესობით სარგებლობდნენ. პრეტორიელთა ერთი ნაწილი მოთავსებულ იქნა რომის განაპირა უბნებში, მეორე ნაწილი კი იტალიურ ქალაქებში იყო დაბანაკებული. პრეტორიელთა კოჰორტები ემორჩილებოდნენ ორ პრეტორიელ პრეფექტს (*praefecti praetorio*) მხედართა წოდებიდან. პრეტორიელთა შორის იყო გერმანელთა ცალკე კოჰორტა (*cohors germanorum*).

იმპერატორის ხელისუფლების ისტორიაში პრეტორიელთა გვარდიამ ძალიან დიდი როლი ითამაშა: იმპერატორის მსახურთა და მცველთაგან პრეტორიელები დროთა განმავლობაში შეიქმნენ მის პროტექტორებად, რომელთაგანაც იყო დამოკიდებული სახელმწიფოს მესვეურის ბედ-იღბალი. პრეტორიუმის პრეფექტები ხშირად ნიშნავდნენ და გადააყენებდნენ ხოლმე იმპერატორებს ისე, რომ მათ ნება-სურვილს ანგარიშს არ უწევდნენ.

4. ავგუსტუსის საგარეო პოლიტიკა

სახელმწიფოს საშინელი გამოფიტვისა, პოლიტიკური მერყეობისა და საყოველთაო მოღლილობის გამო ავგუსტუსი იძულებული იყო შეენელებინა დაპყრობითი პოლიტიკა და დასჯერებოდა რომის სახელმწიფოს საზღვართა დაცვას მეზობელ სახელმწიფოთა და ხალხების თავდასხმისაგან. ავგუსტუსისა და მისი მომდევნო პრინციპების (I საუკ.) ხანა ცნობილია როგორც „რომაული ზავის“ პერიოდი (*pax romana*) და რომის სამფლობელოებში შემავალ ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების შინაგანი კონსოლიდირების ხანა.

ანკირას წარწერაში საგარეო პოლიტიკის მიმართ ავგუსტუსი ორ ერთიგეორის მოპირისპირე მომენტს აყენებს. ერთი მხრით, ის ხაზს უსვამს თავის მშვიდობისმოყვარულობას, მაგრამ, მეორე მხრით, არ ივიწყებს რომის იარაღისა და დიპლომატიის წარმატებებზე მითითებასაც. „იანუს ქვირინის ტაძარი, — მეტყველებს „საქმეთა“ მე-13

პარაგრაფი, — რომელიც, ჩვენი წინაპრების ჩვეულებისამებრ, გამოიკეტებოდა ხოლმე, როცა რომის ხალხის ყველა ხელქვეით ქვეყნებსა და ზღვებში სუფევდა ძლიერამოსილებით მოპოებული მშვიდობიანობა; და რომელიც მთელი ხნის განმავლობაში ქალაქის დაფუძნების დროიდან მოკიდებული ვიდრე ჩემ სიცოცხლემდე მხოლოდ ორჯერ დაიკეტა, ჩემი პრინციპატის დროს, სენატის დადგენილებით, სამჯერ „იქმნა დაკეტილიო“¹.

მაგრამ ავგუსტუსის მშვიდობისმოყვარულობამ, როგორც შემდგომი პარაგრაფებიდან ჩანს, მას ხელი არ შეუშალა მოეწყო სახმელეთო და საზღვაო ექსპედიციები შორეულ ქვეყნებში, დაეპყრა ეს ქვეყნები და დაეხარკა კიდევ ისინი. „მე გავაფართოვე, — ვკითხულობთ ანკირას წარწერის 26 პარაგრაფში, — რომაელი ხალხის ყველა პროვინციის საზღვრები, რომელნიც ემიჯნავენოდნენ იმ ტომებს, ჩვენს ძალა-უფლებას რომ არ მორჩილობდნენ (quae non parent imperio nostro). ჩემი ფლოტი ოკეანეთი ავიდა რაინის შესართავამდე, აღმოსავლეთით კიმვრების საზღვრებამდე (ad fines cimbriorum navigavit), სადაც დღემდე არც ერთი რომაელი არ მისულა არც ზღვით და არც ხმელეთით“—ო².

რესპუბლიკასთან შედარებით პრინციპატი მართლაც იყო ზავისა და მშვიდობიანობის ხანა; მართალია, ომები „რომაული ზავის“ განმავლობაში, ახ. წ. I და II საუკუნეებში არასდროს არ შეწყვეტილა, მაგრამ სხვაობა იყო მათგან მიღებულ სარგებლიანობის მასშტაბსა და რაოდენობაში³.

ავგუსტუსის დროს ომები წარმოებდა აღმოსავლეთსა, დასავლეთსა, ჩრდილოეთსა და სამხრეთში. აღმოსავლეთში ავგუსტუსის დროს ყველაზე დიდ სახელმწიფოს წარმოადგენდა პართიის სამეფო (Regnum Parthorum), კასპიის ზღვასა და ინდოეთის ოკეანეს შორის. პართიის სამეფოს საზღვრებში შედიოდა მრავალი ძველი კულტურული ხალხი — ქალდეები, სპარსელები, მიდიელები და სხვანი, პართიის მოსახლეობის დიდი ნაწილი კი შედგებოდა ნომადებისა და ნახევრად ნომადებისაგან. პართიას განაგებდა მეფე, რომელიც ატარებდა „მეფეთა მეფის“ ტიტულს და რომელსაც ჰყავდა უამრავი მსახური, კლიენტი და მონა. პართიის სამეფოს ეკონომიურ ძალას

¹ Monum. Ancyr., 13.

² Monum. Ancyr., 26.

³ Gardthausen, Augustus und seine Zeit 1891—1904; Drumann, Groebe, Geschichte Roms, 2 Auflage.

შეადგენდა საშუამავლო ვაჭრობა შორეულ აღმოსავლეთსა და რომს შორის. საშუამავლო ვაჭრობის, ფულად ოპერაციათა და ხელოსნობის ცენტრს წარმოადგენდა სელევკია მდინარე ტიგრზე, ანტიკური დროის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი (700 ათასზე მეტი მცხოვრებით); პართიის სხვა ქალაქებს შორის უნდა აღნიშნულ იქნენ ბაბილონი და კტეზიფონი, უძველესი კულტურული ცენტრები. აყვავების ხანას პართიამ მიაღწია მეფე ოროდის დროს, ძვ. წ. I საუკ. შუა ხანებში, შემდეგ დაიწყო დინასტიური ომი, რომლის დროსაც ოროდი მოკლულ იქნა თავისი შვილის ფრაატის მიერ, მის ტახტს რომ დაეუფლა.

პართიის შინაგანი სისუსტით აიხსნება ის სიადვილე, რომლითაც ავგუსტუსმა მიაღწია მნიშვნელოვან დიპლომატურ წარმატებებს აღმოსავლეთის საქმეებში. დიპლომატური გზით რომაელებმა მოახერხეს თავიანთი გავლენის განმტკიცება მთელ რიგ აღმოსავლურ სამეფოებში, რომელნიც მდებარეობდნენ რომსა და პართიას შორის: კაპადოკიასა, სომხეთში, კომაგენეში, ბოსფორის სამეფოში. ფრაატი ვერ გრძნობდა თავს მტკიცედ ქვეყნის შიგნით და არც რწმენა ჰქონდა მას თავის ვასალების ერთგულებისა, ამიტომ დათმობაზე წავიდა: რომაელებს დაუბრუნა დროშები, რომელნიც კარასთან ბრძოლის დროს (53 წ.) წაართვეს, და დათანხმდა საზღვრების შესწორებაზე. რომსა და პართიას შორის საზღვრად აღიარებულ იქნა მდინარე ეფრატი (20 წ.).

მრავალი წლის სიწყნარისა და მარცხების შემდეგ აღმოსავლეთში მიღწეულმა წარმატებებმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა რომაულ საზოგადოებაზე და ხელი შეუწყო ავგუსტუსის მდგომარეობის განმტკიცებას. საზოგადოებრივი აზრის გამოხმატველები იმ დროს იყვნენ კარის პოეტები და მწერლები. მათ წარმოადგენაში ავგუსტუსის ძლევაჰოსილებანი იზატებოდა იმ მომენტის დასაწყისად, როცა რომი, ერთი მბრძანებლის მესვეურობით, მივიდოდა ოკეანეს საზღვრებამდე და დაიმორჩილებდა მსოფლიოს ყველა ხალხს.

„მზის ამოსავლის ქვეყნიდან მისი დასავლის კიდემდე სუფევს იმპერიის დიდება. ვერავინ ვერ ბედავს დაარღვიოს კეისრის ბრძანებულებანი... ვერც ისინი, ვინც სვამს ლაქვარდოვანი დუნაის წყალს, ვერც გეტები, ვერც სერები (ჩინელები), ვერც მზაკვარი სპარსელები (პართიელები), ვერც დონთან მდებარე შორეული ქვეყნის მკვიდრნი“¹.

¹ Horat., Od., IV, 15.

პორაციუსის აღტაცებას იზიარებდნენ სხვა პოეტებიც, ავგუსტუსის თანამედროვენი: ვერგილიუსი, პროპერცი, ტიბული და სხვანი, რომელნიც გაიტაცა მილიტარიზაციის ტალღამ.

თვითონ ავგუსტუსი სიამაყით მოგვითხრობს რომის აღმოსავლური პოლიტიკის წარმატებებზე:

„ჩემთან მორბოდნენ, მემუდარებოდნენ დაცვას, მეფენი პართიისა და მიდიისა... პართიისა და მიდიის ხალხმა მიიღო ჩემგან თავისი ელჩების მეშვეობით მათ მიერ ნათხოვნი მეფეებიო“¹.

აღმოსავლეთის დაზავებას ჰქონდა არა მარტო სტრატეგიული, არამედ პირველხარისხოვანი საკომერციო მნიშვნელობაც—რომაელების ხელში გადადიოდა საშუამავლო ვაჭრობა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. კვლავ იხსნებოდა სავაჭრო გზები და მყარდებოდა სავაჭრო ურთიერთობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან—ჩინეთთან და ინდოეთთან, რომელთაც ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკირათ რომის საგარეო ვაჭრობაში.

„ჩემთან, — ამბობს „ღვთაებრივი ავგუსტუსის საქმეთა“ 31 პარაგრაფი, — ინდოეთის მეფეებმა არაერთხელ წარმოგზავნეს დესპანები, რომელნიც არასდროს არ ენახათ მანამდე არც ერთი ბელადის დროს... ჩვენს მეგობრობას ეძიებდნენ თავიანთი ელჩების საშუალებით ბასტარნები, სკვითები და სარმატები, ტანაისის გამოღმა რომ ცხოვრობდნენო“².

რომის სამფლობელოთა ფარგლებში ეგვიპტის მოქცევა რომისთვის უზრუნველჰყოფდა სავაჭრო გზებს მეწამული ზღვით ინდოეთში და ნილოსით აფრიკის სიღრმიე—ეთიოპიაში.

ეგვიპტეზე მიიმართებოდა სავაჭრო გზები არაბეთსა და ინდოეთში, საიდანაც შემოჰქონდათ მდიდარი არაბეთ-ინდოეთის ბუნების საგნები, სანელებელი, ფუფუნებისა და საფარეშო საგნები, ბამბა, ინდიგო, ტყვია. სტრაბონი მოგვითხრობს მთელ ფლოტილიებზე, რომელნიც სამხრეთით იგზავნებოდა მეწამული ზღვით³.

არაუკანასკნელი ადგილი ეკირა სავაჭრო ინტერესებს რომის ჩრდილო-დასავლურ პოლიტიკაშიაც. რომაელთა მრავალრიცხოვან ომებს ჩრდილოეთსა და დასავლეთში მიზნად ჰქონდა უზრუნველყო სავაჭრო გზები და დაეცვა საზღვრები მეზობელ ტომთა თარეშისაგან, თანაც შეეცნოთ ტყვეების დაცალიერებული ბაზარი. მთავარი სავაჭრო გზა მიდიოდა ალპებზე, და აქი ამიტო-

¹ Monum. Ancy., 32, 33.

² jbid., 31.

³ Strab., XVII, 1.

მაც ალპის გადასავალთა გამაგრებაზე იყო კიდევ მიმართული ავგუსტუსის ყურადღება. რომაელებმა მოახერხეს მთის ტომების დამორჩილება, შემომტკიცება გზებისა და ოქროს მადნებისა და მონების ხელში ჩავდება. განსაკუთრებით დიდი შრომა გასწიეს სალასთა ტომის დამორჩილებაზე, რომელიც ცხოვრობდა ცისპადანურ გალიაში (მცირე ბერნარის მახლობლად). ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ 25 წელს სალასებმა განიცადეს სასტიკი მარცხი, მრავალი მათგანი დაიღუპა, ხოლო ცოცხლად გადარჩენილი 44 ათასი კაცი მონებად იქმნენ გაყიდულნი საჯარო ვაჭრობით¹.

რომის მიერ ალპის გადასავალთა შემომტკიცება უზრუნველყოფდა გალიასთან წესიერ კავშირს, რომლის დედაქალაქი ლუგუდუნი (ლიონი) იტალიასთან დაკავშირებული იყო იმ გზით, ბერნარის გადასავალზე რომ გადიოდა. ჩრდილოეთი იტალიიდან ლუგუდუნამდე გზა ორ დღეზე მეტს ხანს არ გრძელდებოდა. ალპის დამორჩილებული ადგილები დაყოფილ იქნა სამ პატარა პროვინციად, რომელთაც განაგებდნენ პროკურატორები მხედართა წოდებიდან.

დაახლოვებით იმავე დროს გალია ადმინისტრაციულ-პოლიტიკური მიზნით დაიყო ოთხ პროვინციად: ნარბონის გალიად (Gallia Narbonensis), ლუგუდუნის გალიად (Gallia Lugudunensis), ბელგიკად (Belgica) და აკვიტანიად (Aquitania). ნარბონის გალიას გარდა, რომელიც სენატს დაეტოვა, მთელი დანარჩენი გალია გამოცხადებულ იქნა საიმპერატორო პროვინციად და მას განაგებდა იმპერიის ბიუროკრატია.

ალპის ტომთა წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად წარმოებდა ომი ესპანეთში ესპანეთის მთის ტომებთან—ასტურებთან და კანტაბრებთან, რომელნიც ცხოვრობდნენ ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. სამხედრო ოპერაციებს ესპანეთის ტომების წინააღმდეგ ხელმძღვანელობდა ვიფსანი აგრიპა (29—19 წლები). მრავალი ცდისა და გარჯის შემდეგ აგრიპამ დაიმორჩილა ესპანეთის მთის ტომები, დაანგრია მათი „არწივის ბუდეები“ და მთის მცხოვრებთა დიდი ნაწილი გადაასახლა ბარად. ადმინისტრაციულ-ფისკალური მიზნით პირენეის ნახევარკუნძული დანაწილებულ იქნა სამ პროვინციად: 1) ტარაკონის (Tarraconensis) ანუ მახლობელ ესპანეთად (Hispania Citerior), 2) ლუსიტანიად (Lusitania) და 3) ბეტიკად (Baetica) ანუ შორეულ ესპანეთად (Hispania Ulterior). თითოეული აქ დასახლებული პროვინცია იყოფოდა რამდენიმე ოლქად (civitates).

¹ Dio Cass., LIII, 25; Plin., Nat. hist., XVIII, 20.

გალიის შენარჩუნების მისწრაფება იწვევდა რომაელების შეტაკებას გერმანელებთან, სადაც უკმაყოფილო გალები ჰპოვებდნენ ბოლნე თავშესაფარს და დიხმარებას რომაელების წინააღმდეგ. ძვ. წ. 12 წ. რომელი ჯარი დრუზუს კლავდიუს ნერონის, აგუსტუსის გერის, უფროსობით გადავიდა რაინს და კარგა ღრმად შეიჭრა გერმანიაში. რომაელები ოპერაციებს აწარმოებდნენ ხმელეთიდანაც და ზღვიდანაც და 12—8 წლების ლაშქრობის განმავლობაში დაეუფლნენ გერმანიის მთელ ჩრდილოეთ ნაწილს ელბამდე, წარმოქმნეს რა დამორჩილებულ მიწებისაგან ახალი პროვინცია გერმანია. რაინს გაღმა ოლქების დაპყრობასთან ერთად მიმდინარეობდა დუნაის პირა მიწა-წყლის დამორჩილებაც (14—9 წლები), რომელიც დასახლებული იყო გეტებით და სხვა ბარბაროსი ხალხებით. სავაჭრო მოტივებისა და მონათა ხელში ჩაგდების გარდა ჩრდილოელ ხალხების დამორჩილების დროს, მეტადრე გერმანელების დაპყრობისას, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო ძალის შექმნას. დამორჩილებულ ოლქებისგან აგროვებდნენ დამხმარე რაზმებს (auxilia), რომელთა მნიშვნელობაც რომის არმიის შემადგენლობაში უფროდაუფრო იზრდებოდა. არსებითად რომ ითქვას, ამაზე შეჩერდა რომაელების წარმატება გერმანიაში.

პროვინციათა საერთო მდგომარეობა აგუსტუსის მმართველობის ბოლო წლებში არ ყოფილა მშვიდი; ყველგან მღელვარება იყო და იზრდებოდა უკმაყოფილება რომის ფისკალური პოლიტიკით, გადასახადებითა და ხალხის გაწვევით სასამსახუროდ. მღელვარება მოხდა ეგვიპტის, ესპანეთის, გალიის ყველა პროვინციაში, მაგრამ იგი განსაკუთრებით ძლიერი იყო ორ ჩრდილო-აღმოსავლურ პროვინციაში—დალმაციასა და პანონიაში. კარგა ხნის დაგროვილმა უკმაყოფილებამ ახ. წ. 6 წელს აშკარა ომის ხასიათი მიიღო. ისარგებლეს რა პროვინციის ნაცვლის მარკოს ვალერიუს მესალას გერმანიის ფრონტზე გამგზავრებით, დალმაციელებმა აჯანყების დროშა ააფრიალეს, მოსპეს დარჩენილი რომაული გარნიზონი და უკვე ემზადებოდნენ თვითონ რომის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. დალმაციელებს შეუერთდნენ პანონიელები. აჯანყებულთა საერთო რიცხვი, ველეი პატერკლუსის მოწმობით, აღწევდა 800 ათას კაცამდე, ამათგან 200 ათასი შეიარაღებული იყო, მათ შორის 9 ათასი ცხენოსანი¹.

¹ Vell. Pat., II, 110, 3.

აჯანყებულ პროვინციებიდან მოსული შენაფიქრიანებელი ხმების ზეგავლენით, საზოგადოებრივი სულსიკვეთება რომში ამ წლებში უიმედო იყო, შექმნილ მდგომარეობას აღარებდნენ მეორე პუნიკური ომის დროებასთან. საერთო განწყობილებას აჰყვამთ თვითონ იმპერატორიც, რომელიც ერთ-ერთ თავის სიტყვაში სენატში ამბობდა, რომ მტრები 10 დღის შემდეგ რომს აიღებენო. სასწრაფო წესით ხდებოდა ჯარის შეგროვება, ყოველი მხრიდან თავს უყრიდნენ ვეტერანებს, ჯარში გაჰყავდათ მონები და აზატები; ახლად შედგენილი ლეგიონები დაუყოვნებლივ იგზავნებოდნენ ფრონტზე, ბრძანება იქნა გაცემული აღმოსავლური ლეგიონების ილირიკში გადატყორცნის შესახებაც.

აჯანყებულთა არმიამ სამი ფრონტი შექმნა: ერთი ნაწილი დაიძრა ტრიესტით იტალიისკენ, მეორე გაემართა სალონზე, ხოლო იქიდან მაკედონიაში, მესამემ კი, პანონიის არმიამ, თავი მოიყარა სირმიუმის მახლობლად. რომაელების მდგომარეობას კიდევ ის აუარესებდა, რომ თვითონ რომში ამ წლებში სასურსათო სიმწიფეთა ნიადაგზე მღელვარებანი იყო, რაც მთავრობის ყურადღებას ბოჰავდა; არ იყო სიწყნარე არც სხვა პროვინციებშიც, მეტადრე მეზობელ გალიასა და გერმანიაში. და მაინც, მიუხედავად ასეთი განწირული მდგომარეობისა, რომმა ეს საშიშროებაც სძლია. 15 ლეგიონითურთ საომარ მოქმედებათა ასპარეზზე გაგზავნილმა გერმანიკმა, აევუსტუსის გერმა, დიდი გაჭირვებითა და დანაკარგით ჩაახშო აჯანყება¹.

დალმაციის ომის გათავებისას ხუთი დღის განვლის შემდეგ რომში მოვიდა ცნობა გერმანიაში კვინტილი ვარის განადგურების შესახებ. პანონიის აჯანყებამ აღაფრთოვანა გერმანელი ტომების სული, რომელნიც გააერთიანა ხერუსკების ტომთა თავადმა არმინიუსმა, გერმანიის ფედერაციის შექმნაზე რომ ოცნებობდა. აჯანყების საბაბად შეიქნა რომის ნაცვლის პუბლიუს კვინტილი ვარის წინდაუხედავი პოლიტიკა, რომელმაც გერმანელებს გადასახადები შეაწერა, ტომობრივ თავადების დამოუკიდებლობა შეზღუდა, გააუქმა სისხლის აღება, გვაროვნული სასამართლოები და ა. შ. ახ. წელთაღრიცხვით 9 წელს კვინტილი ვარი, არმინიუსის მიერ ჩასათვრებულ ადგილას შეტყუებული, 20 ათასი ქვეითა ჯარისკაცით და 9 ათასი ცხენოსნით გერმანელების მიერ განადგურებულ იქნა ტევტობურგის ტყეში (Teutoburgiensi saltus), ქალაქ ოსნაბრიუკის ჩრდილოეთით.

¹ Vell. Pat., II, 110—115; Dio Cass., Vv. 33.

ვარის დამარცხება ორი მიზეზის შედეგი იყო — ერთი მხრით, რომელიც ნაცვლის წინდაუხედავი პოლიტიკისა და მეორე მხრით, გერმანული ტომების გაძლიერებისა. რომის კულტურასთან შეხებისა და შინაგანი ზრდის გავლენით გერმანელი ტომები მაგრდებოდნენ, ნომთაბარე ცხოვრებიდან მკვიდრ, ბინადარ ცხოვრებაზე გადადიოდნენ, აარსებდნენ ქალაქურ სამოსახლოებს (oppida), აღგენდნენ ფედერაციებს და წარმატებით იგერიებდნენ რომაელების თავდასხმებს.

ვარის დამარცხების შესახებმა ცნობამ რომში თავისი მოულოდნელობის გამო იძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. ქალაქი გადაყვანილ იქნა გაძლიერებული დაცვის მდგომარეობაში. თვითონ პრინციპსი მთლად სასომიხილი იყო, ტანისამოსს იხევედა, თავს კედელს ურტყამდა, რამდენიმე თვის განმავლობაში არ იპარსებოდა და განუწყვეტლივ ერთ ფრაზას იმეორებდა: Quintili Vare, legiones redde! (კვინტილი ვარ, დამიბრუნე ლეგიონები!)¹. გარდა ამისა, მოუძღვრებული პრინციპსის აღშფოთებას და ღრმა მწუხარებას აძლიერებდა შეგნება იმისი, რომ იტალიის გაუკაცურების პრობლემაში შეუძლებელი იყო სამი რჩეული ლეგიონის თავმოყრა გერმანიის გაშვალ ტყეებში დაღუპულთა ნაცვლად.

5. კომის საზოგადოების თავისუფალი ფენები პრინციპატის პირველ ათწლეულში

სამოქალაქო ომის წლების მანძილზე სახელმწიფო დაწესებულებანი, სოციალური ორგანიზაცია და რომის წოდებრივი იერარქია სრულიად მოიშალა. მრავალი ხალხი დაიღუპა, ბევრი დაქვეითდა, ბევრი აღზევდა, მოხდა ცვლილებები საზოგადოებრივ დაჯგუფებებში. საჭირო შეიქნა სახელმწიფო დაწესებულებათა გადაუდებელი რეორგანიზაცია და წოდებათა შორის უფრო მკვეთრი ხაზის გავლება.

მეორე, ტრიუმვირატის მოსპობის წუთიდან და ოქტავიანეს ნიერ საგანგებო რწმუნებათა მოხსნის დროიდან საკითხი რომის სახელმწიფოს მომავალი პოლიტიკური კონსტიტუციისა შეიქნა გაცხარებული კამათის საგანი ავგუსტუსის მეგობრებისა და მრჩეველთა წრეში. ამ კამათის ხასიათისა და ამ საგანზე გამოთქმულ შეხედულებათა შესახებ ჩვენ ვგებულობთ კასიუს დიონის „ისტორიიდან“, რომელმაც შემოგვინახა ამ საუბრების მთავარ მონაწილეთა და ავგუს-

¹ Suet., Augustus, 23.

სტუსის დროს უმაღლესი პოლიტიკის ხელმძღვანელთა სიტყვები. ესენია: ვიფსანი აგრიპა, მეცენატი და სხვანი.

მიუხედავად იმისა, რომ დიონი, III საუკუნის ისტორიკოსი, უშვებს მოდერნიზაციას, მის მიერ გადმონაცემ სიტყვათა ისტორიულ ბირთვის მაინც რჩება საისტორიო დოკუმენტის მნიშვნელობა¹.

პოლიტიკური კონსტიტუციის საკითხების შესახებ თავისი აზრის გამოთქმელ ავგუსტუსის ყველა მეგობარს შორის პრინციპატის გენერალური ხაზი უფრო სრულად გამოვლენილი აქვს გაიოს ცილნი მეცენატს, პრინციპის უახლოეს მეგობარს.

თავის სიტყვას მეცენატი იწყებს რომის სახელმწიფოს მდგომარეობის აღწერით იმ მომენტიდან, როცა დამთავრდა მეორე ტრიუმვირების ომები და ხელისუფლებას დაეპატრონა ოქტავიანე ავგუსტუსი.

„ჩვენი სახელმწიფო, — ლაპარაკობს მეცენატი, — ემსგავსება უშველებელ საბარგო ხონალდს, რომელიც სავსეა ყოველგვარი ნაყარ-ნუყართ, მაგრამ რომელსაც არა ჰყავს მესაქე და რამდენიმე თაობის მანძილზე ქანაობს ყოველი მიმართულებით“².

შესავალ სიტყვებს მისდევს „ბრბოს“ კრიტიკა და „რესპუბლიკური მონარქიის“ ანუ პრინციპის დასაბუთება.

„ბრბოს საბედისწერო თავისუფლება, — განაგრძობს ორატორი, — წარმოადგენს ყველა საუკეთესო ადამიანისთვის მონობის უმწარეს სახეობას. იგი, ბოლოსდაბოლოს, მოგვიტანს დაღუპვას პირველებსაც და უქანასკნელებსაც... ყველა უბედურება, ამბობება, აჯანყება და სხვა გამომდინარეობს ბრბოსაგან და წარმოადგენს მოსახლეობის ზრდისა და სახელმწიფოს გადიდების გარდაუვალ შედეგს“.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა მონარქიის აუცილებლობისა და მასთან „საუკეთესო ადამიანთა“ თანამშრომლობის შესახებ; უნდა ითანამშრომლონ სენატორთა და მხედართა წოდებებმა, რომელთა კლასობრივ ორგანოდაც უნდა იქნეს რეჟოორმირებული სენატი. — იარაღი სახეიდრო დიქტატურის ხელში.

„მე საკიროდ და აუცილებლად მიმაჩნიაო, — მიმართავს მეცენატი პრინციპს, — რათა შენ არ მოსტყუვდე, მიაქცევ რა ყურადღებას ლამაზ სიტყვებს, მაგრამ შენ უნდა არსებითად ასწონ-დასწონო საქმის ვითარება, მოსპო ბრბოს კადნიერი გამოსვლები და სახელმწიფოს მმართველობა მიანდო შენს თავსა და სხვა საუკეთესო

¹ უახლეს მკვლევართა შორის ასეთ თვალსაზრისზე დვას Hammond, The Augustan principate, 1934, p. 197.

² Dio Cass., LII, 16.

ადამიანებს... ხოლო მე რომ გირჩევ ყოველგვარ სხვა წყობილების წინაშე უპირატესობა მონარქიას მიანიჭო, ამაში, როგორც მე მგონია, შენ თვითონაც დარწმუნდი. თუ ეს ასეა, მაშინ ხალხით და განმზადებულმა იტვირთე უზენაესი ხელისუფლება და, რაც მთავარია, არ გაუშვა იგი ხელიდან“¹.

„სახელმწიფოში მდგომარეობის ბატონად უნდა დარჩეს სენატი. ყველა კანონი სენატის საშუალებით გაატარე და საერთოდ ცხოვრებაში ნურაფერს ნუ გაატარებ სენატის დადგენილების გარეშე“².

მაგრამ სენატი არას გზით არ შეიძლება თავის ნებაზე მიუშვა: უმაღლესი დაწესებულება სახელმწიფოში უნდა იმყოფებოდეს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს—„ზნეობის პოლიციის“ ფხიზელი კონტროლის ქვეშ; ეს ზნეობის პოლიცია შედგებოდა ქალაქის პრიფექტისაგან და პრინცეპსის განსაკუთრებული ნდობით მოსარგებლე სენატორებისგან, რომელთაც თვალყური უნდა სჭეროდათ უმაღლესი წოდების როგორც მამაკაცების, ისე ქალების წარმოშობასა, მდგომარეობასა და აზრთა ვითარებაზე.

სენატის წევრთა დანიშვნა და გადაყენება დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს თვითონ მესვეურისგან—პრინცეპსისგან. „ყოველივე შენ თვითონ აარჩიე და არ მიანდო არჩევანი ქალაქის მასას, ვინაიდან ეს ამბოხებას გიქადის. მაგრამ ეს საქმე არც სენატს მიანდო, ვინაიდან მაშინ ინტრიგები დაიწყება“.

და აი სწორედ დემოკრატიული დაწესებულებების ლიკვიდაციით და სენატისა და სენატორთა წოდების რეორგანიზაციით, მეცენატის მიერ ნაჩვენები მიმართულებით იწყება კიდევ რომის პირველი იმპერატორის პოლიტიკური მოღვაწეობა.

სამოქალაქო ომის განმავლობაში სენატმა ბევრი ცვლილება განიცადა. სენატის პირადი შემადგენლობა მუდმივ იცვლებოდა და იბერებოდა, რესპუბლიკის არსებობის ბოლო დროისთვის სენატის წევრთა რიცხვი ათას კაცამდე ავიდა. ამასთანავე ერთად იცვლებოდა სენატის პოლიტიკური როლიც, დამოუკიდებელი ორგანოსგან იგი ხდება სახელმწიფო საბჭოდ—ბიუროკრატიის ორგანოდ³.

პრინციპატის განმტკიცებისთანავე სენატის ევოლუცია ნაჩვენები მიმართულებით გრძელდებოდა და წარიმართა უფრო ჩქარი ნაბიჯით. სენატის გადაქცევა სახელმწიფო საბჭოდ წარმოებდა აღ-

¹ Dio Cass., III, 14.

² Ibid.

³ A bele, Der Senat unter Augustus, 1907.

რანდელ იმპერიის მთელი ისტორიის განმავლობაში, საბოლოოდ კი დამთავრდა მხოლოდ III საუკუნეში სევეროსების დროს.

პრინციპატის პოლიტიკური კონსტიტუცია და ავგუსტუსის სოციალური პოლიტიკა განისაზღვრებოდა სოციალურ ძალთა შეფარდებით არისტოკრატიისა და პლუტოკრატიის გავლენით და დემოკრატიის სისუსტით. ამიტომაც ავგუსტუსი, მისდევდა რა ნეცენატის რჩევას, მიისწრაფოდა, უპირველეს ყოვლისა, თავის ხელისუფლებასთან შეერიგებინა სენატორები და მხედრები, რომის საზოგადოების ორი უფრო გავლენიანი ჯგუფი, რომლებთანაც იგი ამასთანავე მჭიდროდ იყო დაკავშირებული საერთო კლასობრივი ინტერესებით და ტრადიციებით, და, გარდა ამისა, მოეხდინა სენატის, არისტოკრატიის კლასობრივი ორგანოს, რეორგანიზაცია.

რათა აემულლებინა სენატის სახელი საზოგადოების თვალში, ავგუსტუსმა იგი გასწმინდა იმ ელემენტებისგან, რომელთა ყოფნაც სახელმწიფოს უმაღლეს დაწესებულების შემადგენლობაში რამე მოტივით მიზანშეუწონელად და სახიფათოდ ეჩვენებოდა. ამასთანავე ერთად სენატორთა რიცხვი შემცირებულ იქნა 600 კაცამდე, ე. ი. ჩამოყვანილ იქნა იმ ნორმალურ შემადგენლობამდე, რომელიც სულამ დააწესა ძვ. წ. I საუკუნე დასაწყისში.

„სენატორთა რიცხვი ძალიან დიდი იყო. ისინი წარმოადგენდნენ უმწყობრო, უწესრიგო კორპორაციას. ისინი ათასზე მეტი იყვნენ, და მათ შორის — ხალხი, საესებით უღირსი და კეისრის მოკვლის შემდეგ მიღებულნი პროტექციის გზით და ფულით. ხალხი მათ ეძახდა იმ ქვეყნიდან, საიქიოდან გაიოსულებს (Orcini). ავგუსტუსმა აღადგინა სენატორთა წინანდელი რიცხვი და დაუბრუნა მათ ძველი მნიშვნელობა ორმაგი არჩევნების გზით“¹.

სამგზისი წმენდის გზით (28 წ., 18 წ. ძვ. წ., და 4 წ. ახ. წ.), რომელიც ჩაატარა პირადად თვითონ ავგუსტუსმა, სენატიდან გაძევებულნი იქნენ ყველა „საიქიოს პირი“ და დატოვებულ იქნენ მარტო ისეთნი, ვინც, პრინციპატის აზრით, ღირსი იყო სენატორის მაღალი წოდებისა.

შესვლას სენატში და სასენატორო წოდების მიღებას უყურებდნენ როგორც მაღალ პატივს და იგი ხდებოდა ორნაირი გზით: ნ რესპუბლიკურ მაგისტრატურათა დაკავებით, რაც უფლებას აძლევდა სენატში ადგილის დაქვრისას და რაც გულისხმობდა სენატორულ გვარებისადმი მიკუთვნებას, ან კიდევ პრინციპატის ნიერ ბო-

¹ Suet., Augustus, 35.

ძების გზით (adlectio). სასენატორო წოდებაში შესასვლელად (ordo senatorius) სავალდებულო პირობად ითვლებოდა ქონებრივი ცენზი მილიონ სესტერციის რაოდენობით და „ლათინური რასისადმი“ კუთვნილება, თუმცა ეს უკანასკნელი დებულება არ იყო ხოლმე დაცული პირველ, არისტოკრატიულად განწყობილ პრინციპლების (ავგუსტუსისა და ტიბერიუსის), დროს. „ავგუსტუსმა და ტიბერიუსმა, — მენიშნავს ტაციტი, — ახალი წესით (novo more) შეიყვანეს სენატში კოლონიათა და მუნიციპიების მთელი ნარჩევი ყვავილი (omnem floram ubique coloniarum ac municipiorum), კაცნი, რასაკვირველია, კარგნი და მდიდრები“ (bonorum scilicet virorum ac locupletium)¹.

შენიშვნაში გეოგრაფიული წრე, რომლისგანაც ივსებოდა სენატი და სენატორთა წოდება, უფროდაუფრო ფართოვდებოდა, სანამ ბოლოს, არ მოიცვა მთელი რომის სამყარო.

სასენატორო წოდების მატერიალურ საფუძველს წარმოადგენდა მიწა; სენატორთა ბირთვს შეადგენდნენ საადგილმამულო მაგნატები, რომელთა შორის პირველი ადგილი ეჭირა თვითონ პრინციპსს, მის ოჯახს და მრავალრიცხოვან ნათესაობას. სენატორთა ზედა ფენას შეადგენდნენ რესპუბლიკური ნობილების ჩამომავლები, რომელთაც მისდევდნენ სენატორთა სხვადასხვა თანრიგები იმისდა მიხედვით, თუ რა მდგომარეობა ჰქონდა სამხედრო ან სამოქალაქო სამსახურში.

სენატის პირველ თავმჯდომარედ იყო თვითონ იმპერატორი (princeps senatus).

შედარებით სხვა წოდებებთან სენატორთა წოდება სახელმწიფოში სარგებლობდა მრავალი უპირატესობით. უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობანი შეეძლოთ დაეჭირათ მარტო სასენატორო გვარების წევრებს; სენატს ეკუთვნოდა გასამართლება განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამო და მაგისტრატების არჩევა — ფუნქცია, რომელიც ოდესღაც ეკუთვნოდა კომიციებს; შემდეგ სენატს ეკუთვნოდა უფლება თვითონ იმპერატორების არჩევისა და გადაყენებისა, რომელნიც იღვით ითვლებოდნენ სენატისა და რომის ხალხის (senatus populusque Romanus) არჩეულებად; დაბოლოს, სენატისავე იყო უფლება მათი გაღმერთებისა (consecratio) ან მათი ხსოვნის დავიწყებისადმი მიცემისა (damnatio memoriae, rescissio acrorum).

სენატორთა წოდება გამოირჩეოდა მოქალაქეობის დანარჩენი მასისგან არა მარტო თავის სიმდიდრითა და უპირატესობებით, არა-

¹ Tacit., Annales, III, 55; XII, 23; Dio Cass., LIX, 9.

მედ გარეგნობითაც: კოსტიუმი-ტოგა განიერი ძოწეული არწიით, განსაკუთრებული ადგილები თეატრში და საზოგადო კრებებში და კლიენტებისა და მონების უშველებელი ამაღლა—აი რით განირჩეოდნენ სენატორები ყველა დანარჩენი წოდებისგან. ყოველივე ანას მიზნად ჰქონდა სენატი გაეხადა ავტორიტეტითა და ყოველგვარი გარეგანი წარჩინებითი ნიშნებით მოსილ საიმპერიო დიდკაცობის ნამდვილ კლასობრივ ორგანოდ.

როგორც ტანისამოსის მხრივ, ისე სენატში შინაგანი წესიერების მხრივ სენატორები შებოქილები იყვნენ პრინციპის მიერ დამტკიცებული გარკვეული წოდებრივი წესდებით. რაც შეეხება იმ სენატორებს, რომელნიც ცნობილი იქნენ ღირსეულებად და დატოვებულ იქნენ თავიანთ წოდებაში, რათა იძულებული შექმნილიყვნენ გამსჭვალულიყვნენ თავიანთ მოვალეობათა საღვთო მნიშვნელობის შეგნებით და არ დაძძიმებოდნენ მათ ეს მოვალეობანი, მან (ავგუსტუსმა) დაადგინა, რათა უწინარეს იმისა, ვიდრე დაიჭერდა თავის ადგილს სხდომაზე, მსხვერპლი შეეწირა საკმლითა და ღვინით იმ ღმერთის ტრაპეზეზე, რომლის ტაძარშიაც სხდომა მიმდინარეობდა. მან (ავგუსტუსმა) აგრეთვე დაადგინა, რათა ყოველთვიურად ყოფილიყო სენატის რეგულარული კრება არა უმეტეს ორისა, კალენდებსა და იდუსში, შემდეგ, რათა სექტემბერში სენატში ყოფილიყვნენ მარტო სპეციალურად კენჭით არჩეულები, რომელნიც საკმარისი უნდა ყოფილიყვნენ დეკრეტების შესადგენად.¹

მიუხედავად სავსებითი წოდებრივი ვიწროობისა და ფებქვეშ გაგებისა, სენატი, კომიციების ფაქტიური დახურვის წემდეგ, მაინც რჩებოდა ერთადერთ პოლიტიკურ დაწესებულებად, სადაც რამდენიმედ მაინც კიდევ ჩანდა სიცოცხლის ნატაბალი, აყენებდნენ და მსჯელობდნენ საკითხებზე და თვით კრიტიკულ აზრებსაც კი გამოსთქვამდნენ ხოლმე იმპერატორის მხარდი აბსოლუტიზმისა და ბიუროკრატიული თვითნებობის მიმართ.

სენატისა და იმპერატორის ნოქმედებისა და უფლების სფერო ზუსტად იურიდიულად არ იყო განსაზღვრული და ყოველთვის ამ სფეროს ადგენდა და არკვევდა ძალთა რეალური განწყობილება. ამით აიხსნება ისტორიკოსებისა და იურისტების შეცნედეულებათა სხვაობა პრინციპატის სოციალურ-პოლიტიკურ ბუნებაზე. მაშინ როდესაც ერთნი მომზენის კვალდაკვალ² შესაძლებლად ცნობენ სენა-

¹ Suet., Augustus, 35.

² Th. Mommsen, Das römische Staatsrecht, 1868, II, 748; III, S. 1252.

ტისა და იმპერატორის ორ ხელმწიფებაზე (დიარქიაზე) ილაპარაკონ, სხვანი (დესაუ, კორნეშანი, გარდტჰაუზენი) ხაზს უსვამენ მონარქიულ ელემენტს რომის სახელმწიფო წყობილებაში პრინციპატის არსებობის დასაწყისიდანვე. ერთი რამ კი ცხადია, რომ სენატმა, როგორც არისტოკრატიისა და პლუტოკრატიის გამაერთიანებელმა ცენტრმა, შეინარჩუნა პოლიტიკური მნიშვნელობა და გავლენა მთელი რომის ისტორიის მანძილზე, მეტადრე პირველ პრინციპატის დროს, როცა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო რესპუბლიკური ტრადიციები, იმპერატორის ხელისუფლება ჯერ კიდევ არ იყო მომაგრებული, ხოლო არისტოკრატიას სხვა წოდებებზე უფრო მეტად შენარჩუნებული ჰქონდა თავისი ეკონომიური დამოუკიდებლობა და რესპუბლიკური განწყობილებანი. რესპუბლიკური ოპოზიციის ბირთვს სენატში შეადგენდნენ იტალიური დიდკაცობის ჩამომავალნი (ნობილები), რომელთაც ემხრობოდნენ სხვა ფენების წარმომადგენლებიც, ერთმპყრობელობის დამყარებას რომ ვერ ურიგდებოდნენ.

იმპერატორობის უფრო ფართოსა და მყარ სოციალურ დასაყრდენს წარმოადგენდა რომის მეორე წოდება—მხედრობა. სენატორების, იმპერიის უმაღლეს დიდკაცობის—მიწათმფლობელ-მაგნატების, უმაღლეს მოხელეთა და სამხედრო პირების—თხელ ფენასთან შედარებით, მხედრობა (*ordo equester*) წარმოადგენდა რომის მეორე წოდებას, რომელსაც ეკუთვნოდნენ მოქალაქენი, ვისაც ჰქონდა ქონებრივი ცენზი 400 ათასი სესტერციის რაოდენობით. სენატორთა წოდების მსგავსად, იმპერიის მხედრობაც ჩამოყალიბდა რესპუბლიკური დროის მხედრობისაგან, რომლის წრეც შეივსო ახალი ხალხით ქონებრივი ცენზისა და პრინციპატის მიერ პირად ბოძებათა საფუძველზე. მაგრამ იმპერიის მხედრობის სოციალური როლი უკვე სხვაგვარად გვევლინება, ვიდრე იყო რესპუბლიკის დროს. იმპერატორის ეპოქის მხედრები, პირველ ყოვლისა, იყვნენ სამხედრონი და მოხელეები, რომელნიც სამხედრო სამსახურთან იყვნენ დაკავშირებული ადმინისტრაციით და სახელმწიფო მეურნეობით. მხედრობა წარმოადგენდა სენატორობის საფეხურს—„სენატის სანერგეს (*seminarium senatus*). მხედრების კარიერა იწყებოდა ჯარში სამსახურით პრეფექტის წოდებით ან დამხმარე კოჰორტების, საქალაქო კოჰორტების, სახანძრო რაზმების ტრიბუნის წოდებით და სხვა. მხედრებად ითვლებოდნენ აგრეთვე სენატორთა შვილები, სანამ ისინი მიიღებდნენ პირველ მაგისტრატურას — კვესტურას ან ედილიტეტს.

სენატორებთან ერთად მხედრებს ეჭირათ ყველა უმაღლესი თანამდებობა სამხედრო და საფინანსო უწყებაში, პრინციპატის სა-

ხელმწიფო და კერძო მეურნეობაში. პრეფექტურათა და პროკურატურათა მეტი წილი მხედრების ხელში იყო, რომელთაც თავიანთ განკარგულებაში ჰყავდათ ხელქვეით მოხელეთა შტატი და ტექნიკური პერსონალი ლიბერტინებისა და მონებისაგან. უმაღლესი თანამდებობანი მხედართათვის იყო სხვადასხვა პროკურატურები (procuraturae), განსაკუთრებით საფინანსო პროკურატურები (a rationibus) და პრეფექტურები (praefecturae)—ანონას პრეფექტი, ფლოტის პრეფექტი, ეგვიპტის პრეფექტი და ყველაზე უმაღლესი პრეფექტურა—პრეტორის პრეფექტი.

სხვა მოქალაქეთაგან მხედრები გამოირჩეოდნენ თავისი სიმდიდრით, მდგომარეობით სახელმწიფო სამსახურში და გარეგნობით. სენატორების მსგავსად მხედრებსაც ჰქონდათ თავიანთი ადგილები თეატრში, საზოგადო საკრებულოებში, ისინი ატარებდნენ ოქროს ბეჭედს (anulus aureus) და ირიცხებოდნენ სახელმწიფო ცხენის მიძღვრულთა (equites equo publico) ნუსხაში. სინამდვილეში მხედრები არაავითარ ცხენს არ იღებდნენ, მაგრამ ეს იყო საპატიო წოდება, რაც გზას უხსნიდა მხედრობის უმაღლეს თანრიგში (equites illustres). მხედართა უფლებების შემოწმება (recognitio) ხდებოდა ყოველწლიურად ივლისში იმპერატორის თანადასწრებით და მას ჰქონდა სამხედრო აღლუმის მნიშვნელობა.

მოხელეობა შეადგენდა იმპერიის მხედრობის ბირთვს, რომლის ირგვლივ თავს იყრიდა სხვადასხვა სოციალური ფენა, მხედრის ცენზის მოთხოვნილებას რომ აკმაყოფილებდა. მხედართა წოდებას ეკუთვნოდნენ მდიდარი ნეგოციანტები, მონათა სახელოსნოების პატრონები, იჯარადრები, წამომწყებნი, ინტელიგენცია და ა. შ., რომელთა შორის უმრავლესობას შეადგენდნენ პროვინციელები და აზატები ¹.

შემდგომ საზოგადოებრივ ფენას მხედრებსა და ხალხს შორის წარმოადგენდა საშუალო შეძლების ფენა 200 ათასი სესტერციუმის ცენზით, რომელიც ატარებდა ერაარიუმის ტრიბუნთა სახელწოდებას (tribuni aerari). ძველად ერაარიუმის ტრიბუნებს უწოდებდნენ პლებეების მოლარე-ხაზინადრებს, რომელნიც პასუხისმგებელი იყვნენ გადასახადის (ტრიბუტუმის) შეტანისათვის. შემდეგში ერაარიუმის ტრიბუნები გააქრნენ, ხოლო ტერმინი „ერაარიუმის ტრიბუ-

¹ O. Hirschfeld, Die kaiserlichen Verwaltungsbeamten bis auf Diocletian, 1905; P. Willems, Le Sénat de la République Romaine, 1883; W. Drumann, Geschichte Roms in seinen Uebergängen von der republikanischen zur monarchischen Verfassung, 1919; A. Stein, Der römische Ritterstand, München 1927, S. 54 და შდგ.

ნი“ შეიქნა მდიდარი პლემების სინონიმად. ერარიუმის ტრიბუნებს ეკირათ საქალაქო ოლქებისა და უბნების უფროსთა (vicorum magistris) ადგილები და ჰქონდათ საზეიმო ტანისამოსი—პრეტექსტა,— თანაც ჰყავდათ ორი ლიქტორი. რომი იყოფოდა 265 უბნად; თითოეულ უბანში იყო 4—5 მაგისტრი, მამასადამე, საერთო ჯამში დაახლოებით 1200 კაცი.

ერარიუმის ტრიბუნებს მისდევდა ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენა—პლემები, რომელიც ასევე რამდენიმე თანრიგად იყო დანაწილებული. მოქალაქეთა დაბალ ფენას შეადგენდნენ პროლეტარიები, რომელთაც საზოგადოებრივ იერარქიაში მისდევდნენ აზატები და მონები; ესენი წარმოადგენდნენ ზემოაღწერილი სოციალური პირამიდის საძირკველს, რომელთა რიცხვსა და როლზე რომის საზოგადოებაში ლაპარაკი გვექნება სხვა გარემოებასთან დაკავშირებით.

იტალიის ტიპის მსგავსად ვითარდებოდნენ აგრეთვე რომის პროვინციებიც. „რომაული ზაფის“ დამყარებისთანავე იწყება პროვინციათა აღორძინების ხანა ახალ საფუძველზე. „...იმპერიამ ექსპლოატაცია კი არ მოსპო, არამედ პირიქით, მოაწესრიგა“¹. მაგრამ პროვინციათა ექსპლოატაციის ფორმები კი რადიკალურად შეიცვალა. იმპერიის დროს პროვინციათა მმართველობა მოწყობილი იყო უფრო რაციონალურად და, მიუხედავად ფისკალური გადასახადებისა და სარეკრუტო ბეგარისა, იმპერიის პირველ ორ საუკუნეს ახასიათებს საწარმოო და კულტურულ ძალთა განვითარება ახალ საფუძველზე. დასავლეთში პროვინციური ქალაქების მოსახლეობის ბირთვს წარმოადგენდნენ რომის კოლონისტები—ვაჭრები, ხელოსნები, ფინანსისტები, მოსამსახურენი და ვეტერანები. ამ ძირითად ბირთვს უერთდებოდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი, უმთავრესად ადგილობრივი მოსახლეობის რომანიზებული ზედა ფენები, რომელთაც დასავლეთში წარმოქმნეს გალურ-რომაული, ესპანურ-რომაული, ხოლო აღმოსავლეთში ელინურ-რომაული და მისთანა სხვა არისტოკრატია.

„რომაული ზაფის“ დამყარებას, წესიერების შემოღებას, ტრანსპორტის გაუმჯობესებას, მეკობრეობის მოსპობას, ადმინისტრაციულ რეფორმებს, იჯარით შესყიდვის შეცვლას პირდაპირი გადასახადით და სხვას—ყოველივე ამას დაღებიანი გავლენა უნდა ჰქონოდა პრო-

¹ ენგელსი, ოჯანის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, ტფ., 1932., გვ. 176.

ვინციების სოციალურ-ეკონომიურ ვითარებაზე. პროვინციათა აღმავლობას მოწმობენ სამუნციპალო წესდებები (leyes municipales), ქალაქთა ნანგრევები და უთვალავი წარწერები, რომელნიც ადიდებენ ავგუსტუსსა და მის ოჯახს. ერთს მცირე აზიურ წარწერაში ავგუსტუსი იდიდება როგორც „კაცობრიობის მოდემის მხსნელი, რომლის ზრახვამ არათუ აღასრულა, არამედ გადააქარბა საყოველთაო ვედრება-ლოცვას... ამიერიდან მშვიდობით იმყოფებთან მიწა და ზღვა, ქალაქები სარგებლობენ კანონებით და ჰყვავიან... ყოველივე სიკეთე უზვადაა...“-ო.

მეცნიერების თანამედროვე ვითარების პირობებში ყველაზე უფრო მეტი არქეოლოგიური მონაცემი მოიპოვება გალიისა და აფრიკის ქალაქების შესახებ. ფრანგ მეცნიერთა ჟულიანისა, კლერკის, ბაზენის, შატელენის და სხვათა ზოგად და სპეციალურ შრომებში, რომელნიც მიძღვნილია თვით გალიისა და გალიის ცალკეულ ქალაქებისადმი, საკმაო მასალა მოიპოვება, რაც მიგვითითებს ცეზარისა და ავგუსტუსის დროს გალიაში საქალაქო ცხოვრების განვითარებაზე. გალიის ქალაქებს შორის, რომელთა ქვედა არქეოლოგიური ფენები მიეკუთვნება იმ ხანას, ჩვენ რომ ვსწავლობთ, შეიძლება დასახელებულ იქნენ (Forum Iulii (ფრეიუსი), არელატე, ლუგუდუნი, ტოლოზა და სხვანი. გარდა ამისა, უკანასკნელ წლებში მრავალი ისეთი არქეოლოგიური ცნობა დაგროვდა, რომელნიც შეეხება ესპანეთს, აღმოსავლურ პროვინციებს, გერმანიას, ბრიტანეთს და აფრიკას.

იმპერიისათვის დამახასიათებელი, ადამიანთა სოციალური მდგომარეობის მათ სიმდიდრესა და სამსახურზე დამოკიდებულება, პროვინციებში უფრო მეტი სიძლიერით ჩანდა, ვიდრე თვითონ რომშიაც კი. დგებოდა დრო, როდესაც სიმდიდრე „ადამიანს აკეთებდა“, უჩინარს საჩინოდ და დიდკაცად, ხოლო სულელს ჰკვიანად აქცევდა. პროვინციებში მდიდრები უფრო ხშირად გამოდიოდნენ აზატთაგან, რომელნიც პროვინციულ და საერთო იმპერიის (საქალაქო) მოსახლეობის დიდ პროცენტს შეადგენდნენ.

6. ავგუსტუსის სოციალური პოლიტიკა

კონსერვატიულ-კომპრომისული ბეჭედი აზის ავგუსტუსის ყველა სოციალურ ღონისძიებას და მის მთელ სოციალურ პოლიტიკას. რომის საზოგადოების ბუნებრივი ევოლუცია რესპუბლიკის ბოლო დროიდან მიდიოდა გვაროვნულ ორგანიზაციათა დაშლის მიმართულებით, ტომობრივ და ლოკალურ სხვაობათა შესუსტებისა და სიმდიდრის,

როგორც სოციალური დიფერენციაციის ძირითადი ფაქტორის, მნიშვნელობის გაზრდის გეზით. მიწასთან, ვაჭრობასა და ხელოსნობასთან ერთად, გამდიდრების წყაროდ და სოციალური აღზევების საშუალება იყო სახელმწიფო სამსახური და პრინციპსთან პირადი სიახლოვე. ძველი დიდკაცობა გადაგვარების გზას ადგა, მას ცვლიდა იმპერიის მომსახურე დიდკაცობა, რომელიც შეივსებოდა იტალიკებისა, პროვინციალებისა და ბარბაროსებისგან.

რომის დიდკაცობის პლუტოკრატიზაციისა და პროვინციალიზაციის ამ ბუნებრივი ისტორიული პროცესის შეჩერებას ავგუსტუსი ცდილობდა თავისი პოლიტიკის საერთო სტილის შესაბამისად, ან, უკიდურეს შემთხვევაში, შერბილებას მაინც და ახალ ურთიერთობასა და ახალ შინაარსს ჰმოსავდა ძველს, თვალისა და ყურისათვის ნაჩვევ ფორმებში. ეს გარემოება მთელ მის პოლიტიკას აძლევდა მკაფიოდ ჩამოყალიბებულს კონსერვატიულ-რესტავრატორულ ხასიათს. პრინციპს იმედი ჰქონდა, რომ შეარბილებდა გადასვლის სიმკვეთრეს, სტოვებდა რა ძველ დაწესებულებებს ან წინანდელ სახელწოდებებს ახალი ურთიერთობისათვის. იგი ცდილობდა განემტკიცებინა და ძველის ავტორიტეტით შეემოსა ის სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობანი, რომელნიც ისტორიულად მქარდებოდა.

ძველსა და ახალს შუა ქანაობა ჩამარხული იყო თვითონ რომის იმპერიის ბუნებაშივე, რომელიც ჩამოყალიბდა ათას სრულიად სხვადასხვაგვარ წინააღმდეგობათა შედეგად. იმპერატორის წყობილება მოწოდებული იყო არა მარტო დაეცვა მონათფლობელთა ინტერესები მონათა წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე მოეხდინა კონსოლიდაცია იმ წინააღმდეგობებისა, რომელნიც წარმოიშვებოდა ხოლმე თვით მონათმფლობელური საზოგადოების წიაღშივე. რომის იმპერატორების პოლიტიკა, რომელნიც გამოდიოდნენ ცენტრისა და პროვინციებისა, ქალაქისა და სოფლისა, მსხვილი და წვრილი მიწათმფლობელობისა, თავისუფლებისა და აზატებისა, რესპუბლიკურ და საიმპერიო დაწესებულებებისა და მრავალ სხვათა შემარიგებელ როლში, ყოველთვის იყო ორპირა, წინააღმდეგობით აღსავსე და კომპრომისული¹.

ავგუსტუსის ყველა სოციალურ ღონისძიებას მიზნად ჰქონდა აეღორძინებინა ძველი წესები, დაწესებულებანი, ზნე და ჩვეულებანი, რამდენადაც ესენი, რასაკვირველია, პირდაპირ არ ეწინააღმდეგებოდნენ პრინციპატს.

¹ Th. Mommsen, Das römische Staatsrecht, III, 1, 449 და შდგ.

„ვემედი რა ახალ კანონებს, მე ვცდილობდი აღმედგინა მრავალი უკვე დაღიწყებული მამა-პაპეული ჩვეულება და ნრავალმზრივ დაფუყენე ჩემი თავი მისაბად მაგალითად ჩაჰომავლებსო“ (ipse multarum rerum exempla imitanda posteris tradidi), —ამბობს „საქმეთა“ მერვე პარაგრაფი¹.

ავგუსტუსის პოლიტიკა მიმართული იყო რომის საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის განმტკიცებისაკენ, უმაღლეს წოდებათა უპირატესობების უზრუნველყოფისაკენ, არისტოკრატის პირად შემადგენლობაში ცვლილებასა და „ლათინობისთვის“ ყველა უცხო შენარევისგან მის განწმენდისაკენ.

„ლათინური რასის“ აღდგენის მისწრაფება სავსებით ეგუებოდა და ეთანხმებოდა საერთო პოლიტიკურ კურსს, რომელიც აღებული ჰქონდა რომის პირველ იმპერატორს.

ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლად საჭირო იყო ორი გარემოება: სამოქალაქო მოსახლეობის რიცხოვრივი შემცირებისა და მოქალაქეთა რიგებში პროვინციელებისა და აზატთა ჩათესლების დაძლევა. ამ ორ სახითათო ფაქტორისკენ, ისეთი კონსერვატული პოლიტიკოსის აზრით როგორც იყო ავგუსტუსი, იყო მიმართული კანონმდებლის ყურადღება. მოქალაქეთა რიცხვის გამრავლებას ვარაუდობდნენ საქორწინო კანონების (lex Julia de maritandis ordinibus) შემოღებით², რომელთა ძალით წესდებოდა გადასახადი უცოლოებზე და ჯილდოები მრავალოჯახიანთათვის, „სამი შეილის უფლება“ (ius trium liberorum)³. რამდენიმე წლის შემდეგ, ახ. წ. 9 წელს, გამოვიდა კანონი ქორწინებათა შესახებ, წოდებული იმ წლის კონსულების—პაპიუს მუტილასა და პოპეუს სეკუნდის სახელით (lex Papia—Poppaea); იგი ავსებდა იულიუსის კანონს და მრავალოჯახიანებს ანიჭებდა უპირატესობებს მაგისტრატურათა ძიების დროს⁴. კანონთა გამოცემას წინ უძღოდა საზოგადოებრივი აზრის სათანადო მიმართულებით გაძლიერებული მომზადება. თვითონ პრინცეპსისა და მისი „განათლების საქმეთა მინისტრის“ მეცენატის თაოსნობით დაიწყო მთელი ლიტერატურული კამპანია ოჯახის შესუსტებისა, უშვილობისა და ზნეობრივი გახრწინების წინააღმდეგ. ამ კამპანიის ნიშან-კვალი დარჩენილია ჰორაციუსის „ხოტბებში“, რომელიც იყო ერთ-ერთი მთავარი მოსაგრე

¹ Monum. Ancy., 8.

² Gaius, 1, 145; Ulp., 16, 2; Dio Cass., LVI, 1, 2, 10.

³ Dio Cass., 54, 16; Gaius, 1, 145.

⁴ Gaius, 1, 115; Ulp., 16, 2; Dio Cass., LVI, 1, 2, 10.

რომის საზოგადოების ოჯახობრივი და ზნეობრივი გამოჯანსაღების პოლიტიკაში. რომაელთა გახრწნილ ზნეს ჰორაციუსი უპირისპირებდა სკვითების შეურყენელ ზნესა და ძლიერ ხასიათს.

განა უმჯობესი არ არის სკვითებრ იცხოვრო ტრამალბებში, რომლის ქონსაც წარმოადგენს სალაშქრო ჩარდანხიანი

ურემი?

განა უმჯობესი არ არის გეტი იყო და გაუზომავ

მინდვრებში

უხვად ჰკრიფო ნაყოფი და პური?

იქ მიწის მუშას არ სურს წელიწადზე მეტხანს

იმუშაოს თავის ნაკვეთზე,

და ის, ვისაც გაყოფის დროს უბრძანებენ,

შენაცვლება მას სამუშაოებში.

იმათში უმანკოებით სავსე დიასახლისი

უბედურ გერებს ზომამში არ დააკლებს;

მზითვით მოტრიაბახე ცოლი იქ

ქმარზე არ პარპაშობს, საყვარელს არ ერწმუნება.

იმათში მზითვად აძლევენ

მზობელთა პატიოსნებას და შიშს უცხო მამაკაცის წინაშე.

იქ ერთგულებას შეუბილწავად ათაყვანებენ.

იქ სიკვდილი უჯობთ უპატიურობის მიზეზად გახდომას¹.

მართალია, რამდენიმედ პარადოქსალური იყო ის, რომ თვითონ ჰორაციუსი, რომელიც ამათრახებდა თავის თანამედროვეთა გარყვნილებას, არ ეკუთვნოდა მეტად ზნეობრივ პირთა რიცხვს და ამასთანავე ის ისევე, როგორც პრინცეპსის გარშემოხვეულ პოეტებისა და მწერლების უმეტესობა, გაუსწორებელი სალთიც იყო². ჰორაციუსისათვის დიდი პატივი იყო პრინცეპსის მიერ მიცემული წინადადება შეედგინა კანტატა ახალგაზრდობის დღესასწაულისთვის (*carmen saeculare*), რომელზედაც პირველად უცოლოთა დაშვებაც კი არ უნდოდათ.

მოქალაქეთა რიგებში პროვინციელებისა და მონების ჩათვლების წინააღმდეგ გამოცემულ იქნა შემზღუდველი კანონები, რომელნიც უძნელებდა პროვინციელებს რომაული და ლათინური

¹ Horat., Od., III, 24.

² ენგელსის წერილი მარქსთან, 1866 წ., 21 დეკ. თარიღით. Собр. соч. т. XXII, გვ. 390.

უფლების მოპოვებას და განსაზღვრავდნენ განსათავისუფლებელ მონათა რიცხვს.

„ავგუსტუსი დიდ მნიშვნელობას აძლევდა იმას, რომ რომაელ ხალხს დაეცვა სიწმინდე თავის შემადგენლობაში და თავის სისხლში არ შეერია უცხოელები და მონები. ამიტომ იგი ძალიან ძუნწად ანიჭებდა ვისმეს რომის მოქალაქეობას და ზღუდავდა მონათა განთავისუფლების უფლებას“¹.

ფუფი კანინიუსის კანონი (lex Fufia Caninia) ახ. წ. 2 წ. აწესებდა გასათავისუფლებელ მონათა გარკვეულ რიცხვს: ვისაც სამი მონა ჰყავდა ნება ეძლეოდა 2 გაეთავისუფლებინა, თუ 10--4, ასზე 25 და ა. შ., მაგრამ საერთო ჯამში არა უმეტეს 100 კაცისა. მეორე კანონი, ელი სენტიუსისა (lex Aelia Sentia), ითვალისწინებდა განთავისუფლებული მონის წინანდელ მდგომარეობაში უკუმიქცევის შემთხვევას.

საერთოდ ავგუსტუსის რომაელ მოქალაქეთა რაოდენობის განსაზღვრის პოლიტიკამ ვერ მოიტანა ხელშესახები შედეგები. სახალხო აღწერილობის ცნობათა მიხედვით, მოქალაქეთა რიცხვი იზრდებოდა: 28 წ. ძვ. წ. იყო 4.063 ათასი, ახ. წ. 5 წ.—4.233 ათასი და 14 წ.—4.937 ათასი. მაგრამ ეს ციფრები მოწმობს იმდენად არა მოქალაქეთა ზრდას, რამდენადაც მოქალაქეთა რიგებში პროვინციელებისა და მონების ინფილტრაციას.

რომის იმპერიაში მოსახლე ხალხას დანარჩენ მასაში, იმ დროს 75 მილიონს რომ აღწევდა, რომაელი მოქალაქეები უმცირესობას წარმოადგენდნენ, რომელნიც რომის იმპერატორის ყველა დანარჩენ ქვეშევრდომთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამით აიხსნება პროვინციელებისა და აზატთა დაუძლეველი მისწრაფება რომის მოქალაქედ გახდომისა და ის დიდი აღტაცება, რომელსაც ისინი იჩენდნენ თავისი იდეალის განხორციელების დროს, რის მოხსენებასაც ისინი არ იგიწყებდნენ თავის საფლავის ქვის წარწერებში. რომის მოქალაქეები განირჩეოდნენ არამოქალაქეთა მასიდან, რომელიც დასახლებული იყო რომის იმპერიის ტერიტორიაზე, ხოლო თვით რომის მოქალაქეთა შორის განსაკუთრებით პრივილეგიურ მდგომარეობაში იყვნენ ქალაქ რომის მოქალაქენი, რომელნიც იმყოფებოდნენ თვით იმპერატორის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ.

¹ Suet., August., 40.

დედაქალაქის მოსახლეობის უპირატესობას შეადგენდა იათი და მუქთი პურის მიღება და უფასო გაართობანი, რომელთაც ავგუსტუსის დროიდან მიიღეს არა შემთხვევითი, როგორც ეს იყო რესპუბლიკის ხანებში, არამედ „პურისა და სანახაობათა პოლიტიკის“ (panem et circenses) ორგანიზებული ხასიათი¹.

პურის დარიგებასთან და დღესასწაულებისა, საციკო და სათეატრო წარმოდგენათა გამართვასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქალაქის მომარაგების საკითხი საკირო სურსათ-სანოვაგით, პირველ რიგში, რასაკვირველია, პურით და ხორცეულით. ქალაქის მომარაგება სურსათ-სანოვაგით (cura annonae) განსაკუთრებით სერიოზული და მნიშვნელოვანი საქმე ხდებოდა კრიზისების დროს, რაც ძალიან ხშირი იყო სამოქალაქო ომის პირობებში. რესპუბლიკის ხანებში საგანგებო რწმუნებანი ქალაქის მომარაგების მხრივ ეკისრებოდა საგანგებოდ დანიშნულს „მომარაგების მეურვეს“ (curator annonae), თითქმის დიქტატორული რწმუნებით რომ იყო მოსილი. იმპერიის დროს კი მომარაგებაზე ზრუნვა სხვა დანარჩენ საზოგადოებრივ „საზრუნავთან“ ერთად ავტომატურად გადავიდა პრინციპსის ხელში. სასტიკი შიმშილიანობისა და ეპიდემიის დროს, რომში რომ მძვინვარებდა 22 წელს, სენატმა, ხალხის მოთხოვნილებით, ავგუსტუსს შესთავაზა დიქტატურა და ამით დააკისრა კიდევ მას მთელი პასუხისმგებლობა სასურსათო საკითხის გადაწყვეტაში. შეთავაზებულ დიქტატურაზე პრინციპსმა წინდახედულად უარი განაცხადა, მაგრამ მიიღო თავის თავზე „ზრუნვი ქალაქის სურსათ-სანოვაგით მომარაგებაზე“, სახელმწიფო და პირადი სახსრებით შეისყიდა პური და შიმშილი შეანელა².

პრინციპსს ეკუთვნოდა მარტო ხელმძღვანელობა, მთელი ტექნიკური მხარე კი დაკისრებული ჰქონდა სპეციალურ მომარაგების უწყებას, რომელიც ემორჩილებოდა მომარაგების პრეფექტს (praefectus annonae).

წყლით მომარაგების საქმეებს, რაც შეადგენდა მომარაგების უწყების ცალკე დარგს, განაგებდა წყალთა პრეფექტი (praefectus aquarum).

იაფი პურის მიმღებთა საერთო რიცხვი ავგუსტუსის დროს განისაზღვრებოდა საშუალოდ 200 ათასი კაცი, ცალკეულ შემ-

¹ „იაფმა პურმა აღმართა მეფის ტახტი; შემდეგშიაც იაფი პური შეადგენდა რომის იმპერატორების განუყრელ საზრუნავს“. K. Hoffmeister, Die wirtschaftliche Entwicklung Roms, Wien, 1899, S. 76.

² Monum. Ancyrae, 5; Dio Cass., LIV, 1. 4.

ახეივანში კი იგი აღემატებოდა 300 ათასსა და მეტ კაცს. ეს იყო შნიშენელოვანი მასა, ნამდვილი არმიის თანატოლი. სასურსათო ულუფის რაოდენობა, ხაზინა რომ აძლევდა, დიდი არ იყო. რაციონს იღებდნენ მარტო მოზრდილი მამაკაცები—თევში ოჯახზე ხუთ-ხუთ მოდიუსს (მოდიუსი—დაახლ. 9 ლიტრამდე), რაც საშუალოდ დღეში შეადგენდა დაახლოვებით 2,5—3 გირვანქამდე. ასეთსავე ნორმას კატონთან იღებდნენ მონებიც, სოფლის პლანტაციებში რომ ეძლეოდათ. „პურისა და სანახაობათა პოლიტიკა“—ეს იყო მონათმფლობელური საზოგადოების მიერ საკუთარი უძღურების აღიარება, რომ მას არ შეეძლო გამოენახა უფრო რადიკალური და ნაკლებ გამანადგურებელი, საზოგადოებრივი თვალსაზრისით, საშუალებანი სოციალური საკითხის გადასაწყვეტად¹. განსაკუთრებით საზეიმო შემთხვევებში—მოპოვებულ გაზარჯეობათა, საიმპერატორო გვარეულების საოჯახო ზეიმების, ტაძრების კურთხევისა და მისთანა სხვა შემთხვევის გამო—საგანგებოდ ეწყობოდა ფულის და ყოველგვარი საჩუქრების გაბოძება.

„ღვთაებრივი ავგუსტუსის საქმეებში“ მოყვანილია მეტად უხვ გაბოძებათა რამდენიმე მაგალითი; პრინციპსს ამით უნდოდა დაეჩრდილა თავისი წინამორბედი.

„თითოეულ რომეელ პლებების მე გადავუთვალე: მამაჩემის ანდერძით (44 წ.) სამას-სამასი სესტერციუმი, ხოლო ჩემი სახელით ჩემს მეხუთე კონსულობაში (29 წ. ძვ. წ.) ოთხას-ოთხასი სესტერციუმი სამხედრო ნადავლიდან; შემდეგ ჩემს მეათე კონსულობაში (24 წ. ძვ. წ.) ოთხას-ოთხასი სესტერციუმი საჩუქრის სახით ჩემი პირადი სახსრებიდან. შემდეგ, მეთერთმეტე კონსულობაში მე-12 ჯერ ვიყიდე ჩემი ფულით პური დასარიგებლად და მეცამეტე კონსულობაში (2 წ. ძვ. წ.) მე მივეცი ხალხს, რომელიც სახელმწიფო ხარჯზე იღებდა პურს, სამოც-სამოცი დენარი სულზე, ამასთანავე მიმღებთა რიცხვი იყო 200 ათასზე მეტი“-ო². საერთო ჯამით, სანამ ავგუსტუსს ხელთ ეპყრა ძალა-უფლება, ხალხსა და ჯარს მიეცა დაახლოვ. 2,5 მლრდ. სესტერციუმი ანუ 600 მლნ. დენარი.

პურის დარიგებასთან და საჩუქრებთან ერთად იმპერატორის სატახტო ქალაქში კეთილ-სასურველი განწყობილების შენარჩუნების მიზნით იმართებოდა გრანდიოზული სათეატრო და ცირკის წარმოდგენები, რაც რომში დედამიწის ზურგის ყოველი მხრი-

¹ А. И. Тюменев, История ант. рабовлад. обществ, ОГИЗ, 1936.

² Моним. Ансур, 15.

დან ათასობით მაყურებელს იზიდავდნენ. რომის მასობრივი სანახაობანი მხატვრული თვალსაზრისით თავს ვერ მოიწონებდნენ; ეს სანახაობები ნავარაუდევია იყო მაყურებელთა მეტად ტლანქი და დაბალი ესთეტიკური გემოვნებისათვის. განსაკუთრებული წარმატება სატახტო ქალაქისა და პროვინციულ მაყურებლებში ჰქონდა საგლადიატორო ბრძოლებსა და კრიეს, რაც საყვარელ გასართობს წარმოადგენდა რომაელებისათვის, მათ რიცხვში თვითონ იმპერატორისთვისაც.

„ავგუსტუსი უდიდესი სიამოვნებით უყურებდა მოკრივეებს (pugiles), მეტადრე ლათინელ მოკრივეებს, ამასთანავე არა მარტო პროფესიონალებს, რომელნიც კრივობდნენ წესების თანახმად და რომელნიც მას გამოჰყავდა ბერძენ მოკრივეების წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე მოხალისეებსაც მოქალაქეთა შორის, რომელნიც კრივობდნენ კედელ შეკვრით ვიწრო ქუჩებში, როგორც მოხვდებოდათ ისე, ხელოვნების ყოველგვარი წესის დაუცავად“¹. მძლეოსნები და გლადიატორები განთავისუფლებულნი იყვნენ იმის ვალდებულებისაგან, რომ სულის ამოხდამდე ებრძოლათ, ხოლო მაგისტრატებს ჩამოერთვათ ძველითგანვე კუთვნილი უფლება ყოველ წუთს და ყოველ ადგილას დისციპლინარული სასჯელის დადებისა მსახიობებზე. საგლადიატორო ბრძოლები და ასპარეზობანი იმართებოდა რომელიმე სახელმწიფო მნიშვნელობის საზეიმო ამბავთან დაკავშირებით; მაგალითად, ასეთი იყო აკციუმთან გამარჯვება, ტაძრების კურთხევა, მოგზაურობიდან იმპერატორის დაბრუნება და მისთანანი.

„საგლადიატორო ასპარეზობანი,—მოგვითხრობს თავის „საქმეებში“ ავგუსტუსი,—მე სამჯერ გავმართე ჩემი სახელით და ხუთჯერ ჩემი შვილებისა და შვილიშვილების სახელით. ასპარეზობებში მონაწილეობა მიიღო 10 ათასამდე გლადიატორმა“.

საგლადიატორო ბრძოლების გარდა, რომის საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა აფრიკის მხეცებზე ნადირობა და საზღვაო ბრძოლები (ნავმაქიები), რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ ნამდვილი საომარი ხომალდები. ნავმაქიებისთვის ავგუსტუსმა მოაწყო უშველებელი აუზი ტიბრთან, „ცეზარის ქალის“ მახლობლად.

ავგუსტუსი არ ჰკარგავდა იმის შემთხვევას, რომ განცვიფრებაში მოეყვანა სატახტო ქალაქის საზოგადოება სხვადასხვაგვარი მოულოდნელობით, რარიტეტებით, ზღვის ურჩხულებით, მხეცებით,

¹ Suet., August. 45.

მოლაპარაკე ფრინველებით, მოცეკვავე სპილოებით და სხვა ამგვარით. „თუკი რომში ჩაიტანდნენ ან ჩაიყვანდნენ რაღაც არაჩვეულებრივსა და ინტერესის ღირსსა, ავგუსტუსი სასანახაობოდ დანიშნულ დღეების გარეშეც კი გამოჰყენდა ხოლმე ასეთებს რომელსაღამე აღგილას საჩვენებლად, მაგალითად, მარტორქას—მოლობილში მარსის ველზე, ვეფხვს—თეატრის სცენაზე, გველს, სიგრძით ორპოცდაათ ადლიანს,—კომიციების წინ“¹.

არანაკლებ ყურადღებას აქცევდა ავგუსტუსი აკრეფვე საალმშენებლო პოლიტიკას, რომელიც სულ სწავდასწავა მიზნებს ემსახურებოდა. დედაქალაქის გამშენიერება ნაგებობებით ზრდიდა იმპერატორის ხელისუფლების სახელს, იზიდავდა უცხოელებს, აწვლავდა ქალაქში გაბატონებულ უმუშევრობას და აკმაყოფილებდა მოსახლეობის ესთეტიკურ მოთხოვნილებებს. ავგუსტუსის დროს აგებულ შენობათა შესახებ უფრო დაწვრილებით მოთხრობილია იმ თავში, სადაც ლაპარაკია პრინციპატის კულტურაზე.

რაც უფრო მეტად მტკიცდებოდა იმპერატორის ძალა-უფლება, მით უფრო მეტად—მმართველობის ცენტრი, ქვეყნის მთელი ძალა, თავს იყრიდა მსოფლიოს ცენტრში (caput mundi),—ადმინისტრაციულ, სავაჭრო, ფინანსურსა და კულტურულ ცენტრში. ავგუსტუსის დროს რომი ხისა და აგურის ქალაქიდან გადაიქცა მარმარილოს ქალაქად და საფუძვლიანად იყო რეორგანიზებული; იგი დანაწილებულ იქნა 14 კვარტალად (regiones), 265 უბნად. ქალაქის მმართველობა ჩაბარებული ჰქონდათ ქალაქის პრეტორებს, ტრიბუნებსა და ედილებს. პოლიციურ სამსახურს ქალაქში ასრულებდნენ პრეტორიელთა კოჰორტები, პოლიციელთა სპეციალური კოჰორტები (cohortes urbanae) და მონებისგან შემდგარი სახანძრო რაზმები (cohortes vigilum). საადმინისტრაციო-საპოლიციო ნაწილს სათავეში ედგა ქალაქის პრეფექტი (praefectus urbi), რომლის ერთ-ერთ მოვალეობას შეადგენდა „სწრაფად ანგარიშის გასწორება და ალაგმვა მონებისა და მემბოხე მოქალაქეებისა“². დამატება მემბოხე ელემენტების ალაგმვის შესახებ იმას გვიჩვენებს, რომ სატახტო ქალაქში არ ყოფილა ის სიმშვიდე და მორჩილება, რის იმედიც ჰქონდა ავგუსტუსს. პირიქით, წყაროების ცალკეულ შენიშვნებისა და მიხედვით შეიგრძნობა, რომ დედაქალაქშიაც, ისევე როგორც იმპერიის სხვა ქალაქებში,

¹ Suet., August., 43.

² Tacit., Annales, VI, 11.

ყველაფერი ოდნავადაც კი არ ყოვილა წყნარად და სასურველად, რომ ხშირად ხდებოდა აჯანყებები და თავდასხმები თვითონ პრინციპსა და მის მსასურებზე.

როორგანიზაცია განიცადა აკრთვე იტალიამაც, რომელიც საფინანსო-საადმინისტრაციო მიზნით დაყოფილ იქნა 12 ოლქად (regiones), რაც კოორდინირებულ იქნა ძველ ტომობრივ დანაწილებასთან¹.

იტალიის მოსახლეობის საერთო რიცხვს ავგუსტუსის დროს შეადგენდა 14 მლნ. სული, ამათგან 10 მლნ. იყო თავისუფალი, ხოლო 4 მლნ. მონა და აზატი².

პრინციპატის პოლიტიკის კონსერვატიულ-რესტავრატორულ ხასიათს არსად არ უჩენია თავი ისეთი სიცხადით, როგორც რელიგიურ დარგში. ავგუსტუსმა დაისახა არაადვილი ამოცანა: აღედგინა ძველი რომაული რელიგია, ძველებური რწმენა ღმერთებისა და აელორძინებინა რელიგიური განცდები. ამის მიღწევის იმედი ჰქონდა ძველის ძველი ტაძრების განახლებით, ახალთა აგებით, ახალ კულტების დაწესებით, ღმერთების სავალდებულო თაყვანის ცემის შენობებით და წესების სასტიკი დაცვით. მარტო რომში ავგუსტუსის დროს ახლად აგებული და განახლებული იყო 82 ტაძარი, აღდგენილ იქნა ლართა თაყვანება, რომელთა გამოხატულებანიც სახლებში იყო და აღმართულ იქნა ყველა ქუჩასა და შესახვევში. თვითონ ავგუსტუსი წვერი იყო რომის მთავარ საქურუმო კოლეგიებისა. ავგუსტუსი ცდილობდა ყოველი მარჯვე შემთხვევა გამოეყენებინა იმისთვის, რომ განეცხოველებინა თავის ქვეშევრდომთა სარწმუნოებრივი განცდები და საჭიროდ ეჩვენებინა თავისი სოლიდარობა მათთან. არაჩვეულებრივი ბრწყინვალეობით იუქმეს ახალი საუკუნის პირველი წელიწადი (17 წ. ძვ. წ.), როგორც ქვეყნად მშვიდობისა და სათნოების ახალი ერის, „ოქროს საუკუნის“ დასაწყისი³. ბიკებისა და გოგოების გუნდი მღეროდა „საუკუნეთა სიმღერას“ (carmen saeculare), რომელიც შეთხზა ავგუსტუსის დროის საუკეთესო პოეტმა ჰორაციუსმა.

მაგრამ ავგუსტუსის რელიგიური პოლიტიკა არ დასჯერდა წმინდა ადგილების განახლებას და უცხო, უმთავრესად აღმოსავლურ კულტებთან ბრძოლას, იმ კულტებთან, რომელნიც მრავალ-

¹ Plin., Nat. Hist., III, 46.

² T. Frank, Census Statistics from 225, „Class. Phil.“, 1924, XIX.

³ Horat., Carmen saeculare, 57.

რიცხოვან მიწვევებს პოვებდნენ ხოლმე რომის იმპერიის მთელ სივრცეზე. აღმოსავლურ, უპეტეს წილად საიდუმლო, კულტებისადმი დასაპირისპირებლად ავგუსტუსი ცდილობდა მოეწყო იმპერატორის კულტი „ღვთაებრივი იულიუსის“, თავისი მამის (divus Iulius), მისი დედის ვენერასი (Venus Genetrix) და განსაკუთრებით თვითონ ავგუსტუსის გენიის ოაყვანების სახით. ავგუსტუსის თაყვანისცემა უფრო მეტად გავრცელდა აღმოსავლურ პროვინციებში, სადაც იგი ყველაზე უწინარეს გაჩნდა კიდეც მცირეაზიულ ქალაქებში—პერგამონში, ფეესოში, ნიკომედიაში და სხვაგან,—ამენებულ იქნა პირველი ტაძრები ავგუსტუსის და ქალღმერთ რომას პატივსაცემლად, დაწესდა იმპერატორის კულტის სპეციალური საქურუმო კოლეგია და შემოღებულ იქნა დღეობა ამ კულტისა. შეწირულობათა წარწერებში ავგუსტუსი სრულიად აშკარად იწოდება ღმერთად და მას სხვა ღმერთებსავე უგებენ ტრაპეზებს, სწირავენ მსხვერპლს და მის სახელს იფიცავენ. „ფიცავ, — ეკითხულობთ ერთს ფიცში, მცირე აზიიდან რომაა და ეკუთვნის 3 წ. ძვ. წ.—ზევს, მიწას, მზეს, ყველა ღმერთსა და ქალღმერთს და თვითონ ავგუსტუსს, რომ ხელს შეეუწყობ კეისარს ავგუსტუსს, მის შვილებსა და ჩამომავლობას ყველაფერში და ყოველ დროს სიტყვით, საქმით და აზრით.

მის მეგობრებს ჩავთვლი ჩემ მეგობრებად, მის მტრებს ჩემ პირად მტრებად. მისი ინტერესების დასაცავად არ დაეზოვავ არც ჩემ ძალ-ღონეს, არც კეუას, არც სიცოცხლეს, არც ჩემს შვილებს, არ შეეუშინდები არავითარ საფრთხეს“¹.

7. ავგუსტუსის ფინანსური ღონისძიებანი

არმიის, ფლოტის, კარის, ბიუროკრატიის და „პურისა და სახანაობათა პოლიტიკის“ ხარჯების დასაფარავად საჭირო თანხები გადიოდა პრინციპსის პირადი სახსრებიდან და სახელმწიფოს სახსრებიდან. ავგუსტუსის დროს შემოსავლის წინანდელ წყაროებს მიემატა კიდეც ახალი წყაროები, მოხდა რაციონალიზაცია გადასახადების აკრეფის სისტემაში და შემოღებულ იქნა ახალი გადასახადები შრომასა, შემოსავალსა და კაპიტალზე. ავგუსტუსის დროს არსებობდა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები, გამოსა-

¹ Fr. Cumont, Un serment de fidélité à l'empereur Auguste. „Revue des études grecques“, Paris, 1900, p. 26.

ლებნი და ბაჟი, რაც ვრცელდებოდა მთელ იმპერიაზე იტალიის ჩათვლით.

პირდაპირ გადასახადთა შორის ავგუსტუსის დროს შემოღებულ იქნა 5%¹-იანი გადასახადი მემკვიდრეობაზე (*vicesima hereditarum et legatorum*); მართო იმ მემკვიდრეობათაგან, რაც ავგუსტუსის ხელში გადავიდა, აღებულ იქნა 3,5 მლნ.-მდე მანეთი ოქოზე გადატანით; შემდეგ დაწესდა გადასახადი 1%-ის რაოდენობით რომსა და იტალიაში გასასყიდ საქონელზე (*centesima rerum venalium*), 4%-იანი გადასახადი მონათა გასყიდვასა და განთავისუფლებასზე (*vectigal quintae et vicesimae venalium mancipiorum*), რაც მუიდეველს უნდა გაეღო. მერე მიდიოდა ბაჟები (*portoria*), რომელნიც იტალიაში ცეზარმა შენიღო და ავგუსტუსმაც დასტოვა.

სავაჭრო ბაჟებს და გადასახადს კაპიტალზე რომის ბიუჯეტში ეკირა შეორებაისხოვანი ადგილი შედარებით საადგილმამულო (*tributum soli*) და სულადობრივ გადასახადთან (*tributum capitis*), რომელსაც იხდიდნენ პროვინციელები. ავგუსტუსის თაოსნობით შექმნილ იქნა აგრიპას ხელმძღვანელობით ცალკე კომისია, სპეციალისტ-მიწათმზომლებისა (*agrimensores*), რომაელებისა და ბერძნების საქმეში ჩაბმით, რათა მოეხდინათ რომის სახელმწიფოს მოსახლეობის აღწერა (*descriptio imperii Romani*). აღწერის მიზანი იყო—გამოერკვია რომის სახელმწიფოს არსებული სახსრები და მოსახლეობის რიცხვი მასზე გადასახადის შესაწორად და სახელმწიფო ბეგარაში მათი გამოყენების აზრით. თავისთავად უაღრესად ძნელი სამუშაო აღწერის დარგში მიმდინარეობდა არახელსაყრელ პირობებში, იწვევდა მოსახლეობის უკმაყოფილებას, ხოლო ზოგიერთ პროვინციაში, როგორც, მაგალითად, გალიაში, ეს უკმაყოფილება ნამდვილი აჯანყების სახეს იღებდა (*tumultus, qui ab censum exortus in Gallia erat*)¹.

სახელმწიფო შემოსავლის გადიდებისა და გადამხდელთა რიცხვის გაზრდის მიზნით ფიქრობდნენ გამოყენებინათ საადგილმამულო ფონდი საშუალო შეძლებისა და წვრილ იჯარადრებისათვის ნაკვეთების დასარიგებლად. საშუალო შეძლებისა და წვრილი მწარმოებლების აღდგენა და სოფლის მეურნეობის აღორძინება წარმოადგენდა ავგუსტუსის და მის მომდევნო იმპერატორთა სოციალურ-ეკონომიური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას.

¹ Liv., Epit., 136, 137.

რომის ხელმძღვანელი წრეების თვალსაზრისი აგრარულ საკითხზე ასახულია მეცენატის ზემოთ ციტირებულ სიტყვაში, რომელიც იყო პრინციპატის თავისებური საპროგრამო სიტყვა.

„ჩვენ სახელმწიფოში, — ამბობდა მეცენატი, — მოიპოვება მიწის უშველებელი ფონდი, რომელიც მეტწილად ძვეს მკვდარ კაპიტალადო“.

მეცენატი წინადადებას იძლეოდა ეს ფონდი გაენაწილებინათ პოსესორების ინტერესთა შესაბამისად, „რომელნიც საკუთარი მარჯვენით ამუშავენ თაფიანთ მიწას“. სახელმწიფო სადღეღამეო ფონდის დიდი ნაწილი უნდა გაყიდულ იქნეს, ხოლო აქედან აღებული თანხები სესხად უნდა იქნეს გაცემული ზომიერი სარგებლითო.

„ამრიგად გადიდებულ იქნება იმ მიწის ნაყოფიერება-შემოსავლიანობა, რაც ეძლევა საკუთარი მარჯვენით დამამუშავებელ მეურნე-პატრონებს, ხოლო ეს უკანასკნელნი, შეიძენენ რა ამ გზით საარსებო საშუალებას, უფრო შეძლებულნი შეიქნებიან, სახელმწიფოს კი ექნება საესებით საქმას მუდმივი შემოსავალი“¹.

სოციალურ-ეკონომიური პოლიტიკის ღონისძიებათა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე ბარბაროსთა დასახლება რომის ტერიტორიაზე, რასაც ორნაირი მიზანი ჰქონდა: სახლვრების დაჭრა, მუშახელის გაზრდა. ავგუსტუსის დროს გერმანიის ომის ხანებში გალიაში დასახლებულ იქნა 40 ათასი ტყვე გერმანელი, რომელთაც ნაკვეთები მიიღეს და რომელნიც დასახლეს რაინის ნაპირის გაყოლებაზე (*iuxta ripam Rheni sedibus adsignatis collocavit*)². ბიუჯეტისა და ეკონომიის საკითხები სახელმწიფო საბსრების ხარჯვაში მეტად მწვავე საკითხები შეიქნა ავგუსტუსის სიკოცხლის ბოლო წლებში; ეს წლები აღბეჭდილია სერიოზული ეკონომიური კრიზისით, რაც გამოიწვია დაღმაცია-პანონიის აჯანყებამ, გერმანიაში დამარცხებებმა და, როგორც მათმა შედეგმა, ვაქრობის შემცირებამ, მონაპოვარი ნედლეულისა და მონების ჩამოყვანის შეჩერებამ. ახალი გადასახადების შემოღებამ და უფრო მეტად მათი აკრეფის სისასტიკემ ავგუსტუსი არაპოპულარული გახადა გადამხდელთა ფართო წრეებში. სახელმწიფოზე ზრუნვით, წლებითა და საკუთარ ოჯახში უთანმოებით დამძიმებული ავგუსტუსი გარდაიცვალა 14 წელს ნოლაში, 76 წლის ჰასაკისა, გარდაიცვალა ისე, რომ არ დასტოვა პირდაპირი ჩამომავლობა.

¹ Dio Cass, LII, 23.

² Suet., Tiberius, 9; Eutrop., VII, 9.



თ ა ვ ი XV

იულიუს-კლავდიუსების დინასტია

1. ტიბერიუსი (14—37 წლ.)

ავგუსტუსის სიკვდილის შემდეგ, რომელმაც პირდაპირი მემკვიდრე არ დასტოვა და არც შეიმუშავა კანონი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ, უმალ წამოიჭრა საკითხი მომდევნო მოადგილისა. ავგუსტუსის საოჯახო საქმეები რთული და არეული იყო. ავგუსტუსის ძმისწულის მარცელის სიკვდილის შემდეგ, რომელსაც ყველაზე უფრო მეტი უფლება ჰქონდა ტახტზე, მოადგილეობას უპირებდნენ მარკოზ აგრიპას, ავგუსტუსის ქალის იულიას ქმარს, რომელიც ასევე მალე გაოდაიცვალა, შემდეგ კი მის შვილებს, იულიასაგან რომ დარჩა, — გაიუსსა და ლუციუს კეისრებს. მას მერე კი, როცა ისინი დაიხოცნენ, ავგუსტუსმა იშვილა ერთადერთი და ცოცხლად დარჩენილი თავისი ოჯახის წევრი ტიბერიუს კლავდიუს ნერონი (Tiberius Claudius Nero), თავისი მესამე ცოლის, ლივია დრუნილას შვილი, მიზი პირველი ქორწინებიდან ნაყოლი.

ტიბერიუსით იწყება რომში პირველი დინასტია კლავდიუსებისა, რომელსაც წარმოადგენდნენ ოთხი იმპერატორი: 1) ტიბერიუსი (14—37 წლ.), 2) კალიგულა (37—41 წლ.), 3) კლავდიუსი (41—54 წლ.) და 4) ნერონი (54—68 წლ.).

ტიბერიუსი დაწინაურდა გერმანულ ლაშქრობათა დროს და მონაწილეობდა პანონიაში აჯანყების ჩაქრობაში. სახელმწიფოს წინაშე გამოჩენილ სამსახურისთვის ავგუსტუსმა იგი უხვად დაასაჩუქრა

და თავის მემკვიდრედ დანიშნა. პირველად ტიბერიუსი ჯიჯტად უარობდა უმალეს ხელისუფლებას და ამბობდა: „მარტო ერთი ღვთაებრივი ავგუსტუსის გენიას ძალუქს მოიცვას ეკოდენ დიდი საქმის ყველა მხარე. საკუთარი გამოცდილებით მან (ტიბერიუსმა) იცის, თუ რაოდენ ძნელია და ათასგვარ შემთხვევაზეა დამოკიდებული სახელმწიფოს მმართველობა; უფრო ადვილია სახელმწიფო მოვალეობათა აღსრულება მრავალთა გაერთიანებული მეცადინეობით“¹.

ბოლოს, დაჰყვა რა ტიბერიუსი სენატორებისა და მხედრების დაჟინებით თხოვნას, დათანხმდა მიეღო „ვარეული მხეცი“ (*quanta bellua esset imperium*), როგორც იგი უწოდებდა იმპერატორის ძალაუფლებას. სენატი მიესალმა ახალი იმპერატორის არჩევას. „კონსულები, სენატორები და მხედრები ფიანდაზად ეფინებოდნენ და ვინც უფრო წარჩინებული იყო, მით უფრო მეტი პირმოთნეობით, აჩქარებით და აგრეთვე სახის მოჩვენებითი გამომეტყველებით,—რათა ძალიან მხიარული არ გამოჩენილიყო ერთი პრინცეპსის სიკვდილის გამო და არც ძალიან დაღონებული ჰკონებოდათ ახალი პრინცეპსის ტახტზე ასვლისას,—ერთმანეთში ურევდა ცრემლსა და სიხარულს, მწუხარებასა და პირმოთნეობას“².

პრინციპატი, როგორც პოლიტიკური ფორმა, უკვე თითქმის აღარავისთვის იყო სადაო. „ზოგიერთიო,—ირონიულად შენიშნავს ტაციტუსი,—ჯერ კიდევ მეტყველებდა თავისუფლების სიკეთეთა შესახებ, უმრავლესობას კი ეშინოდა ძმათაშორისი ომების განახლებისაო“³.

2. პანონიისა და ჩაინის ლეგიონების აჯანყება

ცენტრალიზებული ძალაუფლებისათვის ხელის წაჭიდება მმართველ კლასს უხდებოდა კიდევ იმიტომ, რომ ავგუსტუსის ცხოვრების ბოლო წლები აღინიშნა სერიოზული სამხედრო აჯანყებებით ჩრდილოეთის, რაინ-დუნაის, საზღვარზე. რომის დაპყრობანი ჩრდილოეთში საკმაოდ დიდი, ოღონდ არამყარი, იყო. ავგუსტუსის დროს რომმა ვერ შესძლო შეენარჩუნებინა დაპყრობილი მიწა-წყალი გერმანიაში, როგორც ეს შესძლო იულიუს ცეზარის დროს გალიის მიწა-

¹ Tacit., Annales, I, 11.

² Tacit., Annales, I, 7.

³ Ibid., I. 4.

წყლის მიმართ. საამისოდ რომელებს არც სამხედრო ძალები ჰყოფნიდა, არც ფინანსები და არც შინაგანი სიმტკიცე.

ამასთანავე, როგორც გამოაჩინა იმის წინანდელმა კატასტროფამ ტექტობურგის ტყეში, გერმანელთა სამყარო უკვე აღარ იყო ისეთი, როგორც იულიუს ცეზარის დროს, ის აღარ იყო ჯგუფი დაქსაქსული და ერთი მეორესთან მოშულე ტომებისა.

რომის ლეგიონების დაუმარცხებლობის წინაშე შიშის შენელება, ერთი მხრით, ხოლო, მეორე მხრით, რომის არმიის არა ბრწყინვალე მდგომარეობა, ნიდაგს უქმნიდა ყოველგვარ არეულობას, მღელვარებას და აჯანყებას რაინ-დუნაის საზღვარზე. საზღვარზე მდგომი რომაული ჯარი, რომელიც სანახევროდ გერმანელებისგან შედგებოდა, საშინელ გაჭირვებასა და ათასგვარ სივიწროეს განიცდიდა. სამსახურის პირობები აუტანელად მძიმე იყო, შვებულება მთელი წლობით ვერ იღებდნენ, არავითარ აღთქმულ ჯილდოებსა და მიწებს ლეგიონერები არ იღებდნენ ან სახნავი მიწების მაგიერ მათ ეძლეოდათ დაუმუშავებელი ნაკვეთები მთებსა და ქაობებში, თანაც ჯარში გამეფებული იყო ჯოხის დისციპლინა და ფართოდ იყენებდნენ ფიზიკურ დასჯას.

ჯარის მტრული განწყობილება დროგამოშვებით თავს იჩენდა ხოლმე სამხედრო მღელვარებათა სახით, რაც განსაკუთრებით ხშირი და მრისხანე იყო ავგუსტუსის მმართველობის ბოლო წლებში. იმპერატორის რეჟიმის დროს ჯარისკაცთა აჯანყებები წარმოადგენდა კლასობრივი ბრძოლის უფრო ნამდვილსა და თითქმის ერთადერთ ფორმას. კომიციათა პოლიტიკური როლის ავგუსტუსის ხელში შემცირებისა, ხოლო ტიბერიუსის დროს მათი სრული ლიკვიდაციის შემდეგ, რომში აღარ არსებობდა საერთო პოლიტიკური ორგანო, რომელიც რამდენიმედ მაინც ასახავდა საზოგადოებრივ განწყობილებას და გამოსავალს მისცემდა პოლიტიკურ ვნებებს. პოლიტიკური ცხოვრება, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაკნინდა და დაიქსაქსა, ყოველივე, რაც კი იყო თავისუფლების მოყვარული და პროტესტის განმცხადებელი, არალეგალურ კოლეგიებში (collegia illicita) გადავიდა; მათი რიცხვი იმპერიის დროს დიდი იყო, მაგრამ ეს იყო წვრილი ორგანიზაციები პროფესიულ-რელიგიური განხორით. ერთადერთ მსხვილ ორგანიზებულ ძალას წარმოადგენდა ჯარი, რომლის რიგებშიც ცოტა არ იყო რომელიც პროლეტარი და მოსაზღვრე ხალხი, რომის წესებსა და უფროსების თვითნებობას რომ ჯერ კიდევ ვერ შეგუებოდნენ.

6—9 წლებში ახ. წ., როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მოხდა აჯანყება იმის წინათ დამორჩილებულ პანონიისა და დალმაციის ოლქებში, რაც დიდი გაკირვებით ჩააქრეს ტიბერიუსმა, მომავალმა იმპერატორმა, და მისმა ძმისწულმა გერმანიკმა, დრუზუსის შვილმა. უფრო მეტად მრისხანე იყო პანონიისა და გერმანიის ლეგიონების აჯანყება ავგუსტუსის გარდაცვალების წელს (14 წ.). პანონიაში დუნაის პირას მდგომმა სამმა ლეგიონმა, რომელიც მოღლილ-მოქანცული იყო, მრავალი წლობით ვერ იღებდა მთლიანად ჯამაგირს და რომელსაც არც სახლში უშვებდნენ სამსახურის გათავების შემდეგ, ისარგებლა უმეფობის დროით და მთელი რიგი მოთხოვნილებანი წამოაყენა. აჯანყების თავი იყო ვინმე პერცენიუსი, სამხედრო სამსახურამდე თეატრის კლაკიორად მყოფი. ტაციტუსის მიერ შეთხზულ სიტყვაში პერცენიუსი გვიხატავს რომიდან შორეულ ჩრდილო პროვინციაში მომქმედი ჯარის რომაული ლეგიონერის მდგომარეობას. „რატომ თქვენ,—ლაპარაკობდა პერცენიუსი,—მონებივით ემორჩილებით რამდენიმე ცენტურიონსა და ტრიბუნს? მართლაც, განა თქვენ საკმაოდ არ დაისაჯენით თქვენი სულმოკლეობისა და მონობის წყალობით? თქვენ ხომ თითოს 3¹—40 ლაშქრობა მაინც ჩაგიტარებიათ და უკიდურესად ხართ მოღლილნი. და, მიუხედავად ამისა, მაინც აქამდე გტოვებენ დროშებს ქვეშ, მიგათრევენ შორეულ ქვეყნებში, მინდვრების ნაცვლად სამსახურისათვის ჯილდოდ გაძლევენ ყოვლად გამოუსადეგარ ქაობს ან უფარგის ნაკვეთს...“¹.

„ჯარში სამსახური სამძიმოა და არც იძლევა არაფერს: სული და ხორცი შეფასებულა დღეში 10 ასსად. ამ ფულით ჩვენ ტანიამოსიც უნდა შევიძინოთ, იარაღიც, კარავიც, თავიც უნდა დავიხსნათ ცენტურიონთა სისასტიკისაგან და საბანაკო სამუშაოებისგან. სამაგიეროდ—ჰერკულესია მოწმე!—არა აქვს ბოლო ცემა-ტყუპასა და ქრილობებს. ზამთრობით გაიყინე, ზაფხულობით იშრომე, ღვარე სისხლი ომში და იმიშვილე მშვიდობიანობის დროს“.

პერცენიუსის სიტყვა შიგ გულში ხედებოდა ლეგიონერებს. ჯარისკაცები გამოსთქვამდნენ თავიანთ მხურვალე თანაგრძნობასა და მოწონებას. ერთნი უჩვენებდნენ მოუმუშავ ქრილობებს ტანზე, მეორენი—ქალარაზე, მესამენი—შემოფხრეწილ ტანისამოსზე, რომელიც ტიტველა ტანს ველარ ჰფარავდა.

¹ Tacit., Annales, 1, 17.

გაიგეს თუ არა აჯანყება დაიწყო, მეზობელი ბანაკების ჯარისკაცებმა ნიატოვეს საზოგადოებრივი სამუშაოები, რომელთაც ისინი აქ ასრულებდნენ, მიჰყვეს ხელი უახლოესი სოფლების რბევი-ძარცვას, შიანგრ-მოანგრის თვითონ ნავპორტიც, სადაც ბანაკი იყო მოთავსებული, და გაწეწეს ბანაკის პრეფექტი.

ლეგიონთა აჯანყების ხმებით შეშფოთებულმა ტიბერიუსმა ამბოხებულ ბანაკში გაგზავნა თავისი შვილი დრუზუსი სახელმწიფოს უსახელოვანესი დიდკაცების თანხლებით, პრეტორიელთა ორი კოჰორტით და პრეტორიელთა ცხენოსანი ნაწილით. ბანაკში ჩასულმა დრუზუსმა მარჯვედ წაიყვანა საქმე. მოისმინა ჯარისკაცების საჩივარი, აღუთქვა ყოველივეს მიღება ცნობად და საქმის გადაცემა მამისა და სენატის განსახილველად. რამდენიმე მეცადინეობის შემდეგ დრუზუსმა მოახერხა ლეგიონერების გათიშვა: ერთნი დატუქსა, მეორენი საჩუქრებით მიიზიდა, მესამენი დააშინა და მიუთითებდა ღმერთების ნება-სურვილზე, რომელიც გამოვლინდებოდა სასწაულებითა და წინა ნიშნებით. ამის მერე დრუზუსმა, რომელიც, ტაციტუსის თქმით, სასტიკი ზომებისკენ იხრებოდა, უბრძანა შეეპყროთ ამბოხების მთავარი მომწყობნი—პერცენიუსი და ვიბულენი და მოეკლათ ისინი.

უფრო მრისხანე იყო ქვემო რაინის ლეგიონების აჯანყება. რაინის საზღვარზე აჯანყებამ მოიცვა მთელი ოთხი ლეგიონი, სადაც ბევრი იყო რომაელი პროლეტარი, რომელიც უკანასკნელ გაწვევის დროს ჯარში იქნა გაწვეული.

„დადგა დროო,—ამბობდნენ ორატორი-ჯარისკაცები,—როცა ვეტერანებს მართებთ მოითხოვონ სწრაფი დათხოვნა, ახალგაზრდა ჯარისკაცებს გადიდებული ჯამაგირი, ყველას საერთოდ—შურისძიება ცენტურიონების მიმართ სიმკაცრის გამოო“.

„და ამას,—დასძენს ტაციტუსი—ამბობდა არა ერთი რომელიმე ადამიანი, რომელიც პერცენიუსივით აქეთ-იქით იყურებოდა პანონიის ლეგიონებს შორის, არამედ მრავალი მემამბოხე ხახა და ხმა, რომელთა ხელშიცაა რომის ბედიღბალი“¹.

„ერთბაშად ეს გაცოფებული ხალხი იშიშვლებს ხმლებს და ეძგერება ცენტურიონებს: ესენი იყვნენ ჯარისკაცთა სიძულვილის დიდინის საგანი და მისით იწყება მათი სიშმაგე. წააქევენ მათ მიწაზე, სცემენ შეუბრალებლივ კეტებით, თითოს—სამოცი კაცი... მერე.

¹ Tacit., Annales, 1, 31.

დასახიჩრებულთა და გაგლეჯილთ, ნაწილობრივად უკვე მკედრებს ისერიან ბანაკის სანგრებში ან პირდაპირ რაინში“¹.

ღუნაისა და გერმანიის ლეგიონების აჯანყება, ტაციტუსის მიერ მიუბაძავი მხატვრული ნიჭით აღწერილი, გვაოცებს არა მარტო თავისი მასობრივი ხასიათით, არამედ პროტესტის ძალუმობითა და მის მონაწილეთა ნების ერთობლივობით. ეს იყო დიდი ხნის დაგროვილი ბოღმისა და მწუხარების ვულკანისებური ამოხეთქვა იმ ხალხის მხრივ, რომელსაც იმედი დაეკარვა თავისი უკეთესი ბედისა.

„იმათვის, ვისაც უფრო ღრმად შეეძლო ჩახედვა ჯარისკაცების სულიერ განწყობილებაში, ძლიერი და გაშმაგებული—გაბოროტებული მოძრაობის განსაკუთრებულ ნიშანს ის წარმოადგენდა, რომ ისინი ცალცალკე კი არა ან რამდენიმე კაცის წაქეზებით, არამედ ყველა ერთნაირად აინთებოდა ხოლმე, ერთნაირადვე იყვნენ გაჩუმებულნი და ისეთ თანხმობასა და სიმედარეს იჩენდნენ, რომ შეიძლებოდა კაცს ეთიქრა ვიღაც განაგებს მათ“-ო².

გერმანიაში მყოფი ჯარის მთავარსარდალი გერმანიკი შეეცადა აჯანყების ჩაქრობას, მაგრამ ასეთი ცდა კინალამ სიცოცხლედ დაუჯდა. როცა გერმანიკმა უსაყვედურა, რომ ჯარისკაცები მზაკვრულად მოიქცნენ, დაარღვიეს სამხედრო დისციპლინა და ფიცი, ჯარისკაცები ეცნენ მას და უჩვენებდნენ მთელ ტანზე აჭრელებულ კრილობათა შენახორცს, უკბილო პირს უღებდნენ, ჩიოდნენ ჯამაგირის მიუღებლობაზე, შვებულებათა დაყოვნებაზე და ბანაკის მძიმე სამუშაოებზე—არხების გაქრაზე, საკვების შოვნასა, საშენი ხე-ტყის მოტანაზე და სხვა ამგვარზე.

რადგანაც მდგომარეობა არაჩვეულებრივ მრისხანე იყო, შესაძლებელი იყო აჯანყება გაერცვლებულიყო მთელ საზღვარზე და აჯანყებულთა გაერთიანება გალებთან და გერმანელებთან, გერმანიკი დათმობაზე წავიდა და აჯანყებულთა მოთხოვნილებანი დააკმაყოფილა. ვისაც 20 წელიწადი ჰქონდა ნამსახური, ის სრულიად თავისუფლდებოდა სამსახურიდან, 16 წელს ნამსახური თავისუფლდებოდა საბანაკო სამუშაოებისაგან, წინანდელი დავალიანება მას ორმაგი რაოდენობით ეძლეოდა.

ასეთი იყო პოლიტიკური სიტუაცია იმ მომენტში, როცა ტიბერიუსმა ხელისუფლება აიღო ხელთ. პანონიისა და გერმანიის აჯანყებანი პირველი რგოლი იყო იმ სამხედრო მღელვარებათა და ამბო-

¹ Tacit., Annales, I, 32.

² Ibid.

ხებათა ვრძელ წყებაში, რომელნიც გასდევნენ იმპერიის ისტორიას მთელ სიგრძეზე.

ლეგიონერთა ყურადღების შესუსტებისა და დისციპლინის აღდგენის მიზნით წამოწყებულ იქნა ახალი სამხედრო ექსპედიცია გერმანელების წინააღმდეგ ტევტობურგის ტყეში რომაელებისათვის მიყენებული მარცხის შურისსაძიებლად. ექსპედიციას მეთაურად დაუნიშნეს ტიბერიუსის ძმისწული გერმანიკი, რომელმაც რამდენჯერმე გაიმარჯვა გერმანელებზე (14—16 წლ.), მაგრამ გერმანიკის ექსპედიციები ძალიან მძიმე იყო, დიდძალ ხალხსა და სახსრებს ნთქავდა, რაც არ მოსწონდა მომჭირნე ტიბერიუსს. გარდა ამისა, გერმანიკი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჯარში, სახიფათო მეტოქედ ეჩვენებოდა საიმპერატორო ტახტზე. ამის ძალით ტიბერიუსმა უბრძანა შეეჩერებინა ჯარის შემდგომი წინსვლა გერმანიის შიდა ოლქებში და რომის საზღვრად ეცნო რაინი, ამასთანავე რაინს გაღმა მოზინადრე გერმანელი ტომები დაეტოვებინა მათ საკუთარ შუღლის ამარა. იმპერატორის მიწერილობით, გერმანიკმა ხელი აიღო ელბასკენ ლაშქრობაზე და რაინზე დაბრუნდა, დასტოვა რა თავის შემდეგ ნაალაფევი, მოწინააღმდეგისათვის წართმეული იარაღისაგან რომ იქნა აგებული.

„იმპერატორ ტიბერიუსის ჯარის ესე ძეგლი, ნიშნად მათი გამარჯვებისა გერმანელ ტომებზე რაინსა და ელბას შუა, მიედგენის მარსსა, იუპიტერს და ავგუსტუსს“,—ასე მეტყველებდა წარწერა, რომელიც გერმანიკის ბრძანებით ამოკვეთილ იქნა კლდეზე.

დაპყრობილი გერმანული მიწა-წყლის დიდი ნაწილი დასცალეს, ხოლო რომზე დარჩენილი ტერიტორია რაინის გაყოლებაზე მოეწყო სამხედრო საზღვრის სახით ზემო და ქვემო გერმანიის (Germania Superior, Germania inferior) სახელით.

ექსპედიციის დამთავრების შემდეგ გერმანიკი, რომელზედაც იმპერატორს ექვი ჰქონდა, რომ იგი სახელმწიფო გადატრიალებას ლამობდა, რომიდან გაძევებულ იქნა აღმოსავლეთში ომის მომიზეზებით.

3. ტიბერიუსის სოციალურ-ეკონომიური პოლიტიკა

თავის სოციალურ-ეკონომიურ პოლიტიკაში ტიბერიუსი მისდევდა ავგუსტუსის ანდერძს: იცავდა „რესპუბლიკურ მონარქიას“ და თავდავიწყებას არ ეძლეოდა საგარეო პოლიტიკაში. აქედან გამოსულს, მას, პირველ ყოვლისა, სურდა კარგი ურთიერთობა დაემყარე-

ბინა სენატთან. მის დროს სენატის განსახილველად მიდიოდა როგორც სახელმწიფოს ყველა დიდი, ისე წვრილმანი საქმეები: გადასახადების შემოღება ან გაუქმება, მონოპოლიები, ახალ შენობათა აგება, ჯარის გაწვევა სამსახურში და დათხოვნა, ლეგიონებისა და დამხმარე კოპორტების ახალი კონტინგენტის რაოდენობის დადგენა, სარდლობათა გახანგრძლივება, საგანგებო რწმუნებულებათა დანიშვნა, დიპლომატიური კავშირის დამყარება, ელჩების მიღება და მრავალი სხვ. მსჯელობის დროს სენატორები სარგებლობდნენ სიტყვის შედარებით დიდი თავისუფლებით. გარდა ამისა, სენატი აღიარებულ იქნა უმაღლეს სასამართლო ორგანოდ, რომელიც არჩევდა რომის ხალხისა და იმპერატორის შეურაცხყოფის შესახებ საქმეებს (*crimen laesae maiestatis*).

მმართველობის აპარატი მეტწილად ასევე სენატის ხელთ იყო, რამდენადაც ახლა მაგისტრატების არჩევა კომიციებისგან სენატის განმგებლობაში გადავიდა. ეს სავსებით ეთანხმებოდა ტიბერიუსის პოლიტიკურ იდეალს, როგორც „რესპუბლიკური მონარქიის“ წარმომადგენლისას, რომელსაც არ სურდა კავშირი გაეწყვიტა რესპუბლიკურ ტრადიციებთან. ტიბერიუსის პოლიტიკური იდეალი გამოხატულია მის მიერ სენატში წარმოთქმულ ერთ-ერთ სიტყვაში, სადაც ის აცხადებს: მონებისათვის მე ბატონი ვარ, ჯარისათვის — იმპერატორი, სენატორთა წოდებისა და რომაელი მოქალაქეობისათვის მე ვარ პრინცეპსი.

ტიბერიუსს განზრახვა ჰქონდა საზოგადოება გაეჯანსაღებინა, გაეუმჯობესებინა პროვინციების მმართველობა, ჩვეულებანი გაესპეციალებინა და აღედგინა ძველისძველი სათნოება „პურისა და სანახაობათა პოლიტიკის“ შემცირების გზით სანახაობებზე, საგლადიატორო ასპარეზობაზე და მისთანა სხვაზე ხარჯების შეზღუდვით. შემდეგ ფიქრობდა მოეწესრიგებინა ფასები სანოვაგებზე, აღემალლებინა ქალთა ზნეობა და შეემცირებინა უცხოური კულტები. შეკვეცილი იყო აგრეთვე მშენებლობითი პროგრამაც, რომელიც ფართოდ გაიშალა პირველ პრინცეპსის დროს. ტიბერიუსის განზრახულ რეფორმათა მეტი ნაწილი მაინც განუხორციელებელი დარჩა.

კლავდიუსების სახელეულობის პირველი წარმომადგენლის სოციალურ-პოლიტიკური პროგრამის მარცხის მიზეზი უნდა ვეძიოთ იტალიის საერთო მდგომარეობაში. უკანასკნელ ათწლეულებში საშინელი ქარტახილის გამოვლის შემდეგ, იტალია განიცდიდა სოციალურ-პოლიტიკურ კრიზისს, გაუკაცრიელდა, აკლებული და აოხრებული იყო და ძლივს-ლა ახერხებდა კრიზისისაგან გამომბრუნებას. ამასთანავე იმპერიის საერთო ეკონომიური კონიუნქტურა პრინ-

ციპატის დამყარებისა და „რომაული ზავის“ ჩამოვარდნის შემდეგ ვერ იყო იტალიისათვის ხელსაყრელი.

„რომაული ზავი“ ნიშნავდა იტალიის ჰეგემონიის აღსასრულს და რომის პოლისის კოლონიური სახელმწიფოს სახმელთაშუაზღვეთო იმპერიად გადაქცევას. როგორც ცნობილია, იტალიის ჰეგემონია პროვინციების მიმართ დამყარებული იყო არა მის ეკონომიურ უპირატესობაზე, არამედ სამხედრო-პოლიტიკურ და სავაჭრო მონოპოლიაზე. დაპრობათა შეწყვეტისათანავე კი იტალიის მონოპოლისტური მდგომარეობა შეირყა, სამხედრო ნადავლისა, ღირებულებათა და მონების დენა შემცირდა, ყოველივე ეს ერთად აღებული იწვევდა იტალიის ეკონომიურ დეპრესიას და მის დამოკიდებულებას პროვინციებზე. ზავის ჩამოვარდნის უმაღვე, პირუტყუ, პროვინციებში იწყება ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ხანა. საერთოდ პროვინციათა მდგომარეობა იმპერიის პირველ საუკუნეებში უფრო უკეთესი იყო, ვიდრე რესპუბლიკის დროს, როცა პროვინციას უყურებდნენ როგორც „რომის ხალხის ნადავლს“.

ერთ-ერთ თავის სასენატო სიტყვაში ტიბერიუსი მიუთითებდა სახელმწიფოს იმ სერიოზულ საფრთხეზე, რომელიც გამოძინარეობდა პროვინციებზე იტალიის დამოკიდებულებისაგან. „იტალიასო, — ამბობდა ის სენატში, — არ შეუძლია ცხოვრება გარეშე ქვეყნების დაუხმარებლივ: რომაელი ხალხის ცხოვრება მუდამდღე დამოკიდებულია ზღვის ცვალებადობასა და უამინდობაზე. თუ ჩვენი ბატონები, მონები და მინდვრები არ მიიღებენ პროვინციებიდან დახმარებას, მაშინ, რასაკვირველია, ჩვენი ბალები და ვილები ჩვენ ვერ გამოგვკვებავენ! აი, პატივცემულო სენატორებო, ის საზრუნავი, რომელიც ხელმწიფეს აწუხებს!“¹.

ყველაზე უფრო ძალუმად დეპრესია ემჩნეოდა სოფლის მეურნეობას, იტალიის ეკონომიკის მთავარ დარგს. მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის შემცირება, პროვინციათა მეტოქეობა და მონებზე ფასების გაზრდა ომებისა და მეკობრეობის შეწყვეტის გამო ძირს უთხრიდა იტალიის მეურნეობას. ტიბერიუსის ბიოგრაფიაში სევეტონიუსი გვაუწყებს, რომ ავგუსტუსის დროს იტალიელი მონათმფლობელები, რათა შეეფსოთ მონათა დაცარიელებული ყაზარმები, მიპართავდნენ სულ სხვადასხვაგვარ ღონისძიებას: იჭერდნენ მიყრუებულ ქსჩებში მოსიარულეებს და მიათრევდნენ თავიანთ ერგასტუ-

¹ T a c i t., Annales, III, 54.

ლებში, აქ მალავდნენ გამოქცეულებს, იბირებდნენ თავისკენ და იპარავდნენ სხვათა მონებს და მისთანა სხვ.

საყოველთაო აღშფოთებამ, რაც გამოწვეული იყო ამგვარი თვითნებობით, აიძულა ავგუსტუსი მოეხდინა ეროვანტულების რევიზია, გაეთავისუფლებინა იქ მყოფი მოქალაქეები და დაებრუნებინა იქ თავშეფარებული დეზერტირები¹.

სოფლის მეურნეობის მცირე შემოსავლიანობისა და იაფი კრედიტის უქონლობის გამო მრავალი მიწათმფლობელი გაკოტრდა, ვალებს იღებდა, ჩალის ფასად ყიდდა თავის ვილებს და მიდიოდა ქალაქში ან სახლდებოდა პროვინციაში. ხოლო მდიდარი ხალხი, სენატორები, მხედრები და განთავისუფლებული მონები, ჩალის ფასად იძენდა მიწებს და მათ აქცევდა საძოვრად ან სატყეო მეურნეობად. ექსტენსიური საიალალო-სატყეო მეურნეობა უზრუნველჰყოფდა გარკვეულ შემოსავალს ისე, რომ არ მოითხოვდა არც მნიშვნელოვან ხარჯებს და არც დიდ საორგანიზაციო გარჯას. კაპიტალი უფრო ხელსაყრელ გამოყენებას ჰპოვებდა პროვინციებში ან კიდევ მას სესხად აძლევდნენ დიდი სარგებლით.

კაპიტალი უმთავრესად იხარჯებოდა ფუფუნებით საგნების შეძენაზე. კლავდიუსების ხანა, ღრმა პოლიტიკური რეაქციის პერიოდი, ცნობილია როგორც ფუფუნების ფართო გავრცელების დრო, როცა ყველა, ვისაც კი ამის საშუალება ჰქონდა, იშენებდა მშვენივრად შემკულ ვილებს, დიდ შეძლებას ხარჯავდა ქამასა და ნადიმებზე, იძენდა ძვირფას მოწყობილობას, ავეჯეულობას, ტანისამოსს, ხელოვნების ნაწარმოებთ, ინახავდა მსახურთა და მონა-მოახლეების უშველებელ შტატს. ბოლოსდაბოლოს, ფუფუნების ზღვარდაუდებელი ზრდა მასობრივი სიღატაკის ფონზე სერიოზულ საშიშროებას ჰბადებდა სახელმწიფო თვალსაზრისით. ამის გამო სენატში გამოვიდა თვითონ იმპერატორი წინადადებით აღედგინათ დავიწყებული კანონი ფუფუნების წინააღმდეგ.

„მართლაც, — ამბობდა ტიბერიუსი, — რის წინააღმდეგ გემართებს, უპირველეს ყოვლისა, ბრძოლა, რა უნდა აიკრძალოს, რა შეიზღუდოს და როგორ დაეუბრუნოთ საზოგადოება წინანდელ ზნეჩვევებს? შევზღუდოთ მამულების განუსაზღვრელი მოცულობა? ან იქნებ შევამციროთ სხვადასხვა ეროვნებათა მონების რიცხვი? იქნებ შევამციროთ ოქრო-ვერცხლის წონა? შევზღუდოთ ბრინჯაოს საოცარ ნაკეთობათა და ხელოვნების ნაწარმოებთა შეძენა? იქნებ

¹ Suet., Tiber., 8.

ავკრძალოთ წმინდა აბრეშუმისა და მატყლის მშვენიერი ტანისამოსი, ძვირფასი თვლებით შემკული, რომლის შეძენაზე რომის იმპერიის საზღვრებს გარეშე გადის უამრავი ოქრო?¹

იტალიიდან ინდოეთსა და ჩინეთში გატანილი ოქროს რაოდენობა ახ. წ. 1-ლ საუკ.-ში იმდენად დიდი იყო და იგი ეგოდენ განანადგურებელ გავლენას ახდენდა რომის მეურნეობაზე, რომ ზოგიერთი მეცნიერი მას სთვლის რომის იმპერიის ეკონომიური და კულტურული კრიზისის მთავარ მიზეზად. პლინიუს უფროსის თანახმად, რომიდან ყოველწლიურად ინდოეთში გადიოდა დაახლოებით 100 მლნ. სესტერციუმით—დიდი თანხა იმ დროის კვალობაზე.

მაგრამ იმპერატორის ცდა—აღედგინა ფუფუნების შემზღვეველი კანონი (lex sumptuaria) წააწყდა სენატის პასიურ წინააღმდეგობას. „ჩემთვის არაა უცნობიო, —სწერდა ტიბერიუსი სენატს, — რომ ნადიმებზე და წრებში ჰკილავენ ამ ბოროტებას და მოითხოვენ მის შეზღუდვას; მაგრამ თუ ვინმე გამოსცემს კანონს, სასჯელს გადაუწყვეტს, მაშინ იგივე პირები დაიწყებენ ყვირილს, რომ სახელმწიფო გადატრიალების პირასაა, რომ სწადიათ მთელი დიდკაცობის ამოწყვეტა, რომ არავინ არაა თავისუფალი ამ დანაშაულში ბრალდებისგანაო“².

ფუფუნების საწინააღმდეგო კანონი არ იქნა გამოცემული და ფუფუნების ზრდა გრძელდებოდა იულიუს-კლავდიუსების დინასტიის დასასრულამდე, რამაც თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია ნერონის დროს. უკეთესი ბედი არ სწევია ტიბერიუსის არც მეორე კანონს, რომელიც მევახშეებს (feneratores) ავალებდა, —ამათ რიცხვს, ტატიუსის სიტყვით, ეკუთვნოდა სენატორების დიდი ნაწილი, — თავისი შეძლების $\frac{2}{3}$ დაებანდებინათ იტალიის საადგილ-მამულო სამფლობელოებში.

ტიბერიუსის მისწრაფება რომის საზოგადოების გამოჯანსაღების მხრივ წინააღმდეგობას აწყდებოდა როგორც უმაღლეს, ისე დაბალ კლასებში. რომის პლებსი უკმაყოფილო იყო ავეუსტუსის მემკვიდრით საბოძვართა შემცირებისათვის, სასტიკ სავალო კანონებისა და მისი არისტოკრატიზმის გამო. შინაგანი მშვიდობიანობა ტიბერიუსის მმართველობას არ ემჩნეოდა. დავალიანების ნიადაგზე და მოვალეთა წინააღმდეგ სასტიკი კანონების ნიადაგზე ქალაქში მუდამ იფეთქებდა ხოლმე ხალხის მღელვარება, რასაც დაუნდობლად

¹ Tacit., Annales, III, 53.

² Tacit., Annales, III, 54.

ახშობდნენ შეიარაღებული ძალით. „სახალხო მღელვარებათათვის ტიბერიუსს უნდოდა დაესწრო ყოველგვარი წინასწარი ზომით. ხოლო თუ მღელვარება მაინც თავს იჩენდა ხოლმე, მას იგი ახშობდა არაადამიანური სისასტიკით“¹.

სახალხო მღელვარებებში, რომელნიც მოხდა ტიბერიუსის დროს, მონაწილეობას იღებდნენ როგორც მონები, ისე თავისუფალთა დაბალი ფენები, რომელთა ინტერესები მკიდროდ იყო გადაჭედული. 24 წ. იტალიის სამხრეთში მზადდებოდა მონათა დიდი აჯანყება, რომელიც მოაწყო პრეტორიელთა კოჰორტის ყოფილმა ჯარისკაცმა ტიტუს კურტიუსიმ (T. Curtisius). აჯანყება ფართოდ იყო მოფიქრებული და შემზადებულ იქნა კონსპირაციულ საზოგადოებებში, რომელნიც მოწოდებებს ავრცელებდნენ მწყემს მონების, „მხეც და შეუპოვართა“ შორის. აჯანყებას ისეთი პირი უჩანდა, რომ იგი გადაიქცეოდა მონათა ნამდვილ ომად, მაგრამ იგი დასაწყისშივე ჩააქრო კვესტორ კუტილუსისა და ტრიბუნ სტაის დამსჯელმა ექსპედიციამ იმპერატორის ბრძანებით. „ქეისრის (ტიბერიუსის) მიერ სასწრაფოდ იქნა გაგზავნილი ძლიერი რაზმით ტრიბუნი სტაი, რომელმაც რომში ჩამოათრია მთავარი ბელადი და გაბედულობით მისი უახლოესი თანაშემწეები; რომი პანიკით იყო მოცული მონათა დიდი სიმრავლის გამო, რაც საშინლად გაიზარდა, მაშინ როდესაც თავისუფლად შობილი პლებების რიცხვი დღითიდღე კლებულობდა“². სწორედ რომ ითქვას, მონათა რიცხვი კი არ იზრდებოდა, არამედ განთავისუფლებული მონების რაოდენობა მატულობდა, რომელთა წრეშიც სრულიად ითქვიფებოდა თავისუფალი მოქალაქეობა, განსაკუთრებით იტალიეები და რომაელები, რომელნიც რიცხვობრივად უფროდაუფრო მცირდებოდნენ.

ტიბერიუსის მტრობა არისტოკრატისთან გამწვავდა ტიბერიუსის ძმისწულის გერმანიკის მოულოდნელი სიკვდილის დროიდან. მაღალი დანიშნულებით— აღმოსავლურ პროვინციათა რეორგანიზაციისათვის—გაგზავნილმა გერმანიკმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს, გადაახალისა მმართველობა კაპადოკიაში, აღადგინა არმიაში რომის შესუსტებული გავლენა და დასდო კავშირი პართიის მეფესთან. მაგრამ ტიბერიუსის ძმისწულის ეგოდენად ბრწყინვალედ დაწყებული საქმიანობა შესწყვიტა მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ ანტიოქიაში 19 წელს. ტიბერიუსისადმი მტრულად განწყობი-

¹ Suet., Tiber., 37.

² Tacit., Annales, IV, 27.

ლი პარტია, რომელსაც მეთაურობდა გარდაცვალებული გერმანიის ცოლი აგრიპინა, გერმანიის სიკვდილს მიაწერდა სირიის ნაცვალს პიზონსა და მის ცოლს პლანცინას. არაპირდაპირად გერმანიის ნაადრევ სიკვდილში ეჭვი იმპერატორსაც ეხებოდა, რომელიც პიზონს შეგობრობდა. ამ შემთხვევის გამო დაწყებულ სასამართლო პროცესში სენატმა გაიზიარა აგრიპინას პარტიის თვალსაზრისი და პიზონი აღიარა გერმანიის სიკვდილში დამნაშავედ. პიზონის ბრალდება საბაზად იქცა სენატსა და ტიბერიუსს შორის ჩამოვარდნილ მტრობისა.

საზოგადოებაში დადიოდა მეტად არასახარბიელო ხმები ტიბერიუსის პიროვნების შესახებ. იმპერატორს სთვლიდნენ თავისი ძმისწულის გერმანიის მკვლელად, რომელიც აგრიპინას პარტიამ ეროვნულ გმირად აქცია. ტიბერიუსს აბრალებდნენ უაღრესად საძაგელსა და საზიზღარ დანაშაულობას, თავაშეებულ გარყვნილებას, უკიდურეს ეგოიზმს, შურსა და კაცთმოძულეობას. ეს ხმები, ტაციტუსის ლიტერატურული ხელოვნების წყალობით, ისტორიის კუთვნილებადაც იქცა. ტიბერიუსის სანდო პირად ამიერიდან შეიქნა პრეტორის პრეფექტი ელი სეანი.

გაგულისებულმა იმპერატორმა თავისი რისხვა წარმართა, უპირველეს ყოვლისა, აგრიპინასა და მისი მეორე შვილის დრუზუსის წინააღმდეგ, მერე თავისი დედის, უფლებამოყვარული ლივიისა და, ბოლოს, მთელი სენატის წინააღმდეგ. დრუზუსი, ტიბერიუსის შვილი, მოწამლულ იქნა სეანის მიერ. დრუზუსი, გერმანიის შვილი, გამოამწყვდის ქვესკნელ საპრეზობილეში პალატინუმზე, აგრიპინა გადაასახლეს, ხოლო მრავალი სენატორი, რომლებსაც ეჭვი ჰქონდათ აგრიპინასადმი თანაგრძნობისა, გააძევეს რომიდან ან სიკვდილით დასაჯეს. იმპერატორის ნდობის მომპოვებელმა სეანმა იგი დაარწმუნა ხელი აეღო მმართველის მძიმე საქმეებზე, დაეტოვებინა რომი და წასულიყო განსამარტოებლად ერთ-ერთ თავის ვილაში—„იუპიტერის ვილაში“ (villa Iovis), კუნძულ კაპრიზე. ტიბერიუსის გამგზავრების შემდეგ (26 წ.) რომის ფაქტიური მმართველი შეიქნა სეანი, პრეტორიელთა მესვეური.

მაგრამ ტიბერიუსის შეგობრობა პრეტორიელთა უფროსთან დიდხანს არ გაგრძელებულა. სანდო პირების საშუალებით ტიბერიუსმა შეიტყო სეანის პატივმოყვარე ზრახვებისა და შემზადებულ სახელმწიფოებრივ გადატრიალების შესახებ. იმპერატორმა ვერ გაბედა აშკარად გამოსულიყო ყოვლად შემძლე მედროვის წინააღმდეგ და დაავალა თავის ერთგულს ქალაქის პრეფექტს—მაკრონს სენატში

წაეკითხა მის მიერ შედგენილი საბრალდებულო აქტი შეთქმულთა წინააღმდეგ. ეპისტოლე მოსმენილ იქნა, შეთქმულები, მათ რიცხვში სენიცი, ბრალდებულნი შეიქმნენ და სიკვდილით დასაჯეს, ხოლო მაკრონი დაინიშნა პრეტორიელთა გვარდიის უფროსად.

სენის ლალატმა წარუხოცელი შთაბეჭდილება მოახდინა ტიბერიუსზე, რომელსაც ადამიანის რწმენა დაეკარგა. ყველა, რამდენიმედ მაინც შესანიშნავი პირი, მას მიაჩნდა თავის მტრად, შეთქმულად და მემბოხედ. დაიწყო დაუსრულებელი პროცესები უდიდებულესობის შეურაცხყოფის შესახებ; მამბზლარის პროფესია შეიქნა ყველაზე უფრო პოპულარულ და ხელსაყრელ ხელობად. ერთს შერისხვას მეორე მისდევდა, ერთს სასიკვდილო განაჩენს მეორე მიჰყვებოდა. „კუნძულის იმპერატორი“, რომელიც თავისი ტერორით შიშის ზარსა სცემდა გარშემო მყოფთ, მთლად გადაიარია. მოხუცებულ იმპერატორს არ შეეძლო დიდხანს გაჩერება ერთ ადგილას და იგი მუდამ გადადიოდა ერთი ვილადან მეორეში, სანამ ბოლოს არ მოკვდა ვილაში, რომელიც მისენის კონცხზე მდებარეობდა. მისი სიკვდილი დააჩქარა პრეტორის პრეფექტმა მაკრონმა, რომელმაც ბრძანება მოახდინა საბნებით ამოეხრჩოთ ავადმყოფი იმპერატორი, თავისი ამასწინანდელი მფარველი.

ტიბერიუსი მოკვდა 37 წელს ისე, რომ არავითარი განკარგულება არ მოუხდენია ტახტის მემკვიდრეობის შესახებ¹.

4. გაიოს კალიგულა (37—41 წლ.)

ტიბერიუსის მოადგილედ პრეტორიელებმა გამოაცხადეს 24 წლის გაიოს კეისარი კალიგულა (Gaius Caesar Augustus Germanicus), გერმანიკისა და უფროსი აგრიპინას შვილი. პირველ პრინციპსებისგან განსხვავებით, რომელნიც ცდილობდნენ დატეულიყვნენ პრინციპატის კონსტიტუციის ჩარჩოებში, კალიგულა დაუბრუნდა იულიუს ცეზარის აბსოლუტისტურ პოლიტიკას და აშკარა სამხედრო დიქტატურას. გაიოს კალიგულა ტახტზე აყვანილ იქნა ჯარისკაცთა და ოფიცრების ნება-სურვილით, რომელთაც არ უყვარდათ მისი სასტიკი და ხელმოჭერილი წინამოადგილე ტიბერიუსი.

„რამდენად ძლიერი იყო მისადმი ჯარისკაცების სიყვარული. და ერთგულება, გამოწვეული მათ შორის ხანგრძლივად აღზრდით,

¹ Lang. Beiträge zur Geschichte des Kaisers Tiberius, 1911.

მეტადრე ცხადად ჩანს იქედან, რომ ავგუსტუსის სიკვდილის შემდეგ ზომხდარ ამბოხების დროს, როცა ისინი მზად იყვნენ ყოველნაირი სიშმაგე ჩაედინათ, მარტო ის (კალიგულა) მოქმედებდა მათზე დამაწყნარებლად¹.

სენატის მიმართ მტრულად განწყობილი ახალი იმპერატორი ჯარის გარდა დასაყრდენს ეძებდა ქალაქის პლებსში და ამ მიზნით მან აღადგინა კომიციების მიერ მაგისტრატების არჩევნებიც კი, რაც მის წინამოადგილის მიერ გაუქმებული იყო.

იმ მიზნით, რათა შეენარჩუნებინა სამხედრო დისციპლინა და საბრძოლო განწყობილება ჯარში, კალიგულამ წამოიწყო რამდენიმე პატარა ლაშქრობა გერმანელების, გალების და ბრიტანელების წინააღმდეგ. ლაშქრობათა შემდგომ დიდი დღესასწაულით გადახდილ იქნა ბრწყინვალე ტრიუმფი საბოძვართა გაცემით, ასპარეზობით, გართობით, სანახაობათა გამართვით—საგლადიატორო ბრძოლით, კრივით და მხეცებზე ნადირობითურთ.

კალიგულა ცდილობდა თავის საგარეო და საშინაო პოლიტიკისათვის მიეცა ფართო გაქანება „ღვთაებრივი“ იულიუს ცეზარის სტილის შესაბამისად, რომელსაც იგი ყველაფერში ჰბაძავდა, თუმცა არც საამისო ნივთიერი ბაზისი გააჩნდა და არც ქქუა და ნიჭი.

ჯარზე, მშენებლობასა და სანახაობებზე ხარჯების გარდა დიდძალ თანხებს ნთქავდა სა იმპერატორო კარი. ავგუსტუსისა და ტიბერიუსის შედარებით ზომიერი კარისგან კალიგულას სამეფო კარი განირჩეოდა დიდი ბრწყინვალეობითა და ადამიანს მოაგონებდა აღმოსავლეთის მეფეთა კარს: კარზე ირიცხებოდა მოახლე-მონათა და თავისუფალთა უშველებელი შტატი, ეწყობოდა ზემიანი ცერემონიები, შემოღებულ იქნა აღმოსავლური წესი იმპერატორის წინაშე მუხლმოდრეკისა, მისი ღმერთად აღიარება, ფეხზე ამბორი და მისთანა. სენატორებს კალიგულა ქედმაღლურად ეპყრობოდა და აიძულებდა არა მარტო თვითონ ეცნოთ ღმერთად, არამედ აგრეთვე მისი გარდაცვალებული და დრუზილა, რომელთანაც მას ერთხანად კავშირიც კი ჰქონდა.

ახალი პრინციპსის ბედოვლათური პოლიტიკის შედეგი იყო სახელმწიფო ხაზინის დაცარიელება, რომელსაც მარაგი ტიბერიუსის დროს 100 ათას სესტერციუმამდე ჰქონდა. გამოცარიელებული ფისკის შესაყსებად შემოღებულ იქნა ახალი გადასახადები. სახსართა მოპოვების მხრივ კალიგულას მთავრობა უდიდეს მოხერხებულობას

¹ Suet., Caligula, 9.

იჩენდა. არ არსებობდა არც ერთი საშემოსავლო წყარო, რომ მას გადასახადი არ სწერებოდა. მიწა, ხელოსნობა, ინტელიგენტური პროფესიები, მებარგულებების, მეეტლეების, საროსკიპო სახლების შემნახველთა, მეძაფთა და მისთანების ხელობა—ვერც ერთი ამათგანი ვერ გამოეპარებოდა საიმპერატორო ფისკის ფხიზელ თვალს. ყოველად დაუნდობლად იყენებდნენ „უდიდებულესობის შეურაცხყოფის“ კანონს, რომელიც საბაბი იყო ქონებათა ჩამორთმევისა და ფულის შოვნისათვის. ერთი კონფისკაცია, ერთი აუქციონი მეორეს მისდევდა.

აუქციონი ხდებოდა თვითონ იმპერატორის თანადასწრებით; იგი აწესებდა ფასებს გასასყიდ საგნებზე, აიძულებდა რა მათ ყიდვას ყველას, ვისაც კი სახელი ჰქონდა გავარდნილი მდიდარი კაცისა. ფასები ისეთი იყო დაწესებული, რომ მყიდველთა დიდი ნაწილი ჩანაგდებოდა. თავისი კონფისკაციებითა და აუქციონებით კალიგულამ ისეთი შიშის ზარი დასცა სენატორებს, მხედრებს და საერთოდ ყველა მდიდარ ხალხს, რომ მრავალი მათგანი ჩქარობდა იგი თავის მემკვიდრედ დაენიშნა და აღარ უცდიდნენ სათანადო ბრძანებას.

„მეორე კეისრის“ მთავარი და ერთადერთი საყრდენი იყო ჯარი, რომელიც მას იმდრომდე აძლევდა მხარს, სანამ გაიოსი მას ყველაფერში ასიამოვნებდა. მაგრამ როდესაც კალიგულა შეეცადა რამდენიმედ მაინც აელაგმა პრეტორიელები და სამხედრო დისციპლინა გაეძლიერებინა, მისი ავტორიტეტი ჯარში უმალვე შეირყა. გალიიდან კალიგულას დაბრუნების შემდეგ სამეფო კარზე მოეწყო შეთქმულება, რომელმაც ბოლო მოუღო რომის მესამე პრინციპსის სიცოცხლესა და საქმიანობას. შეთქმულთა მეთაურმა ხერეამ, როდესაც გაიოსი რომელიღაც ბიქს ელაპარაკებოდა, მახვილი ჩასცხო კეფაში, და პრინციპსი იქვე მკვდარი დაეცა.

ასე დაიღუპა სიცოცხლის ოცდამეცხუე წელზე „საუკეთესო მონა და უბოროტესი ბატონი“, როგორც უწოდებდნენ გაიოს კალიგულას თანამედროვენი.

5. კლავდიუსი (41—54 წლ.)

უკანასკნელი პრინციპსის ტერორისტულმა პოლიტიკამ სენატი იძულებული გახადა მისი სიკვდილის შემდეგ უფრო ფრთხილად მოჰქიდებოდა მისი მოადგილის არჩევას. მრავალი იმ აზრსაც კი გამოსთქვამდა, რომ გაეუქმებინათ ერთმპყრობელობა და აღედგინათ.

რესპუბლიკა, მაგრამ მათ დაასწრეს პრეტორიელებმა და ქალაქის ბრბომ, რომელთაც პრინციუსად გამოაცხადეს კლავდიუსი, მოკლული იმპერატორის ბიძა, გერმანიკის უმცროსი ძმა.

კლავდიუსი (Tiberius Claudius Nero Drusus Germanicus), დრუზუს ნერონის შვილი, დაიბადა იო წ. ძვ. წ. ლუგუდუნში, გალიაში, იყო სუსტი ჯანმრთელობის ადამიანი და ნაკლებ ნიჭიერად ითვლებოდა, სძულდა ყველას, ვინც გარს ეხვია, მათ შორის იმპერატორს გაიოსსაც. იმპერატორობაზე არც თვითონ კლავდიუსი და არც კარის წრე სრულიადაც არ ფიქრობდნენ. კლავდიუსის ხასიათში თითქოს არც ერთი ისეთი ნიშანი არ ჰქონია, რაც აუცილებლად საჭიროა სახელმწიფო მოღვაწისათვის, მით უფრო იმპერატორისთვის. და მაინც პრეტორიელთა ნება-სურვილისამებრ, წინააღმდეგ ყოველგვარი მოლოდინისა, ანგარიშისა და კომბინაციებისა, კლავდიუსი აღმოჩნდა ხელისუფლების მესვეური. იმპერატორად გამოცხადების მომენტში კლავდიუსი, რომელიც მაშინ 50 წლისა იყო, იმყოფებოდა საბაზანო ოთახში, სადაც იგი დაიბალა, გაიოსის მოკვლით შეშინებული. თავსაფარიდან გამოყვანილი კლავდიუსი გამოცხადდა ჯარისკაცთა კრებაზე, მიიღო ფიცი და თანაც დაჰპირდა თითოეულ პრეტორიელისთვის ეჩუქებინა 15 ათასი სესტერციუმი.

„ამგვარად კლავდიუსმა გააჭარა თავისი ცხოვრების მეტი ხანი, ხოლო 50 წლისამ მან რაღაც გასაოცარი შემთხვევითობის წყალობით მიიღო იმპერატორის ძალა-უფლება“¹.

კლავდიუსის პოლიტიკა იყო მისი წინამოადგილის გაიოს კალიგულას პოლიტიკის გაგრძელება, რომელიც მისდევდა იულიუს ცეზარის აბსოლუტიზტურ ტრადიციებს. ახალი პრინციუსის მთავარი ყურადღება მიმართული იყო სახელმწიფო აპარატის, სასამართლოს, ფისკალური სისტემის ორგანიზაციისა და დაპყრობითი პოლიტიკის განახლების მიმართ. რომის აბსოლუტიზმისა და საიმპერიო დაწესებულებათა ისტორიაში კლავდიუსის მმართველობა (41—54 წლ.) მთელ ეპოქას შეადგენს. მის დროს ძირითადად უკვე ჩამოყალიბდა ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც საბოლოოდ მომთავრდა შემდგომ საუკუნეებში. მიმავალ რესპუბლიკურ მაგისტრატურებს ცვლიდა ბიუროკრატიული დაწესებულებანი—კანცელარიები (officia), რომელთაც სათავეში ედგნენ და ემსახურებოდნენ მხედრები, გააზატებულნი და მონები. სახელმწიფო მმართველობის ყვე-

¹ S u e t., Claudius, 10.

ლა საქმეს კლავდიუსის დროს ხელმძღვანელობდა ორი გავლენიანი გააზატებული მონა—პალანტი, საფინანსო უწყების (a rationibus) მესვეური, და ნარციისი, საიმპერატორო კანცელარიის (ab epistulis), უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს, უფროსი. პალანტი და ნარციისი ნამდვილ მედროვეთა როლს თამაშობდნენ კლავდიუსის სახელო კარზე.

თვითონ იმპერატორი ყველაზე უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა სასამართლო საქმეებს, რომელთა რიცხვი იმპერიის დროს თვალსაჩინოდ გაიზარდა. კლავდიუსი დილა ადრინაიდან მოკიდებული სალამოს გვიანობამდე იჯდა ხოლმე ხანდახან მოედანზე და არჩევდა სასამართლოს დავებს, საჩივრებსა და ცილისწამებას. ხდებოდა ხოლმე, რომ ფიზიკურად არაჯანმრთელი იმპერატორი იძინებდა მოსამართლის ტრიბუნაზე და ამით საბაბს აძლევდა ყოველგვარი მახვილი სიტყვისა და დაცინვის წარმოთქმას.

სახელმწიფო აპარატის ორგანიზაციის გაუმჯობესებამ დადებითი გავლენა იქონია ფინანსების მდგომარეობაზე და საგარეო პოლიტიკის გამოცოცხლებაზე. კლავდიუსის დროს მოეწყო ლაშქრობა ბრიტანეთში. იმპერატორის პირადი წინამძღოლობით რომის ჯარი მივიდა ტემზამდე, მან აიღო ქალაქი კამალოდუნი, ლონდინი (ლონდონი) და სხვა ქალაქები. ბრიტანეთი გადაქცეულ იქნა რომის პროვინციად.

აფრიკაში რომმა შემოიმტკიცა მავრეტანია, ორ პროვინციად დაყოფილი. საქმე ყველაზე უფრო გართულებული იყო იუდეაში. კლავდიუსმა იუდეას დაუბრუნა დამოუკიდებლობა და მის სათავეში დააყენა მეფედ იროდის გვარიდან იროდი აგრიპა, მაგრამ იროდის სიკვდილის შემდეგ (44 წ.) იუდეა კვლავ შევიდა რომის სახელმწიფოს შემადგენლობაში, წინასწარ გაერთიანებული სირიის პროვინციასთან.

ნადავლის მოპოვებისა და საბრძოლო განწყობილების შენარჩუნების გარდა, ლაშქრობას ჰქონდა პოლიტიკური მიზანიც: განუტკიცებინა იმპერატორის ძალა-უფლება და დაეჩრდილა სენატი. ბრიტანეთში ლაშქრობის აღსანიშნავად კლავდიუსმა ერთ-ერთ თავის ვაჟს ბრიტანიკი უწოდა და გამართა უდიდესი სანახაობა — საზღვაო ბრძოლა ფუკინოს ტბაზე (52 წ.). ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა 50 ხომალდი და ეკიპაჟი 19 ათასი კაცისგან შემდგარი, მოგროვილი სასიკვდილოდ განწირულ დამნაშავეთაგან. ტბის ნაპირები გარშემორტყემული იყო ჯარებით იმ შემთხვისათვის, თუ ნებრძოლნი განიზრახავდნენ გაქცევას ან იარაღს მაყურებელი სა-

ზოგადობის წინააღმდეგ შეატრიალებდნენ. ჯარისკაცთა ზურგს უკან იდგა უთვალავი ბრბო, რომელიც ალტაცებაში მოდიოდა სისხლიანი სანახობით.

კლავდიუსის შემდეგი საზრუნავი იყო სატახტო ქალაქის სურსათ-სანოვაგით მომარაგების მოწესრიგება. ეს იყო გამოწვეული დედაქალაქის მოსახლეობის დაჟინებითი მოთხოვნილებით, რომელიც ძალიან გატანჯული იყო პურიით უსწორ-მასწოროდ მომარაგების გამო. ერთხელ, როდესაც პრინცესი ფორუმზე მიდიოდა, ბრბომ იგი გააჩერა, ლანძღვა-გინება დაუწყო და პურის ნატეხები ესროლა, ასე რომ იმპერატორმა ძლივს უშველა თავს თავის სასახლის უკანა შესავლიდან. ამ გარემოებამ კლავდიუსი იძულებული გახდა სერიოზულად მოჰკიდებოდა ზომარაგების პრობლემას. პურის გამყიდველებსა და გადასახიდ საშუალებათა პატრონებს მიეკათ სხვადასხვა შეღავათი, ეძლეოდათ გარანტიები გეკთდალუპვის შემთხვევებში, პური რიგდებოდა მთავრობის მალაზიებიდან და სხვა. ამასთანავე ერთდროულად წამოიწყეს ოსტიუმში ნავთსადგურის აგება, ეს იყო რომის მთავარი ნავთსადგური¹. ძველი ნავთსადგური ძალიან პატარა იყო და ვერ უზრუნველყოფდა ზამთრობით ხომალდებს იმედიანი სადგურით. რომ განუწყვეტილვ ყოფილიყო უზრუნველყოფილი წელიწადის ყოველ დროს საქონლის მოზიდვა, კლავდიუსმა ააგო ახალი ნავთსადგური აგეუსტა, რომელსაც ჰქონდა ჯებირები და სანაპირო აუზი, ზღვასთან დაკავშირებული. თუმცა ბევრი წინააღმდეგიც იყო ასეთი გრანდიოზული ნაგებობისა, მიუთითებდა უშველებელ ხარჯებზე და ადამიანის ძალ-ღონის ფლანგვაზე, იმპერატორმა მაინც თავისი გაიტანა და პროექტი განხორციელებულ იქნა. „ნავთსადგური ოსტიუმში მან ააგო, მარჯვნივ და მარცხნივ ტოტები გასჭრა, ხოლო ზღვასთან შერთვისას ღრმა ადგილას ააგო მიწაყრილი; რომ უფრო კარგი საძირკველი ჰქონოდა, მან წინასწარ ჩალუბა გემი, რომლითაც თავის დროზე რომში ეგვიპტიდან ჩამოტანილ იქნა დიდი ობელისკო, და მრავალი ხიმინჯი ჩაასო².

მიწაყრილის თავზე აღმართული იყო საშუქურო კოშკი, რომელიც აგებულ იქნა ცნობილი ფაროსის შუქურას (ალექსანდრიაში) ტიპის მიხედვით და რომელმაც გააადვილა გემების მიდგომა ნაპირზე ღამ-ღამობით.

¹ Suet., Claudius, 18.

² Ibid., 20.

კლავდიუსის მეორე დიდ ღონისძიებას წარმოადგენდა ფუციონოს ტბის გაშვება, რომელიც მდებარეობდა ცენტრალურ იტალიაში მარსების ოლქში. დამპალი ტბის ამოწრობას მიზნად ჰქონდა ადგილის გაჯანსაღება აყვავებულ მინდვრად გადაქცევის საშუალებით, და ტიბრში წყლის დონის ამალღება. თუ მივიღებთ მხედველობაში ანტიკური ტექნიკის საერთოდ არამალალ დონეს, ეს პროექტი განცვიფრებას იწვევს თავისი გაბედულობით და გრანდიოზულობით. მარტო წყლის გასაშვები არხის გაჭრამ მოითხოვა 11 წლის დრო 30 ათასი კაცის განუწყვეტელი მუშაობის პირობებში. ამოთხრილ იქნა უშველებელი არხი სიგრძით 3 ათას ფუტიანი, რომელიც გადიოდა მთებსა და კლდეებზე. ამ ნაგებობის აშენებამ შეიწირა უამრავი სახსარი და ადამიანის შრომა, მაგრამ მაინც სამუშაო ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. კლავდიუსის დროის ნაგებობათა სტილს მოწმობს ჯერ კიდევ დღემდე შენახული კლავდიუსის წყალსადენის (aqua Claudia) ნანგრევები.

სააღმშენებლო პოლიტიკაში კლავდიუსი ისევე, როგორც საერთოდ რომის ყველა იმპერატორი, ხელმძღვანელობდა იმდენად არა სამეურნეო, რამდენადაც პოლიტიკური მოსაზრებებით. სხვადასხვა სანაზაობისადმი ლტოლვის გარდა, პრინცეპსს ჰქონდა კიდევ ერთი გატაცება, რომლითაც შეპყრობილი იყო მრავალი მისი თანამედროვეც, — ეს იყო გატაცება სიძველეებით, ისტორიითა და არქეოლოგიით. ერთ-ერთ მის საყვარელ სამუშაოს შეადგენდა მეცადინეობა კართაგენელებისა და ეტრუსკების ისტორიაში, მეტადრე მათ რელიგიაში. კლავდიუსის ბრძანებით შეკრებილ იქნენ ეტრუსკული მისნები და აღადგინეს ეტრუსკული ქურუმების — ჰარუსპიკების (haruspices) — კოლეგია.

დასასრულს, საჭიროა აღინიშნოს კიდევ კლავდიუსის მოღვაწეობა პროვინციების მიმართ. რადგან კვლავ გრძელდებოდა პროვინციების ზრდა, საკითხი მათი შერწყმისა იტალიასთან უფრო დაუფრო აქტუალური და გადაუდებელი ხდებოდა. რომის ერთ-ერთი მთავარი პროვინცია იყო გალია. ამ დროისთვის გალიის ქალაქებმა, მეტადრე ნარბონის გალიის ქალაქებმა, მიაღწიეს თვალსაზრისით ნივთიერსა და კულტურულ აყვავებას.

გალიის ქალაქთა შორის გამოირჩეოდნენ არელატე, ნიმეს (Nimes), ვიენა და სხვ. გალიის დედაქალაქად ითვლებოდა ლუგდუნა, კლავდიუსის დაბადების ადგილი. როგორც საერთო პოლიტიკაში, ისე განსაკუთრებით პროვინციების მიმართ, კლავდიუსი მისდევდა იულიუს ცეზარს, უხვად ურიგებდა რა პროვინცილებს,

მეტადრე კი გალებს, უფლებებს. ამის გამო, 48 წელს, პრინციპის წინადადებასთან დაკავშირებით, სენატში შეეყვანათ წევრებად რამდენიმე მდიდარი ვალი, რომის სენატში გაიმართა საგულისხმო კამათი ცენტრისა და საერთოდ პროვინციების ურთიერთობის საკითხის შესახებ, კერძოდ კი ვალიის პროვინციის თაობაზე, როგორც რომთან ყველაზე უფრო მახლობელ და მდიდარ პროვინციაზე, თანაც იმპერატორის სამშობლოზე. რომის მოქალაქეობის უფლებათა გაფართოების მოწინააღმდეგენი და ამით, მაშასადამე, სენატში გალების შეყვანის მოწინააღმდეგენი, რომელნიც ეკუთვნოდნენ ძველ იტალიურ დიდკაცობას, ამტკიცებდნენ რომის სენატში ახალი წევრების შეყვანის მიზანშეუწონლობას. იტალიელები, ამბობდნენ ისინი, იმდენად არ არიან ღარიბები, რომ მათ არ შეეძლოთ თავიანთი წრიდან სენატის შევსება, და საერთოდ არ არის მიზანშეუწონილი სენატი შეივსოს მდიდარი უცხოელებით, რომელთა მამა-პაპანიც ცეცხლითა და მახვილით მუსრს ავლებდნენ რომის ჯარებსო.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა თვითონ კლავდიუსი. გონებამახვილურად აგებულ სიტყვაში კლავდიუსი მუხლობრივ არღვევდა იმ თავის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებებს, რომელნიც იცავდნენ იტალიკების უპირატესობებს და ეწინააღმდეგებოდნენ რომის მოქალაქეობის უფლებათა გაერცვლებას პროვინციალებზე. „ჩემი წინაპრებიო,—ლაპარაკობდა იმპერატორი,—საბინიდან არიან, ღვთაებრივი იულაუსის წინაპრები აღბადან გამოვიდნენ, კორუნკანიები—კამერიადან, პორციები—ტუსკულიდან და ა. შ. იტალია გაფართოვდა. ზღვიდან აღპაძღე, მან შეისრუტა სულ სხვადასხვა ეროვნებანი, და ამან შექმნა მისი ძლიერება და დიდება. პროვინციალებს შორის უკამაცესმა ხალხმა აღმოუჩინა დახმარება დასუსტებულ იმპერიას“.

თავისი სიტყვა, რომლის ნაწილიც ჩვენამდე მოვიდა ლიონში¹ აღმოჩენილ ერთ ბრინჯაოს დაფაზე, კლავდიუსმა დაამთავრა ფრთხილი მოწოდებით—დაჰყოლოდნენ მის რჩევას და გალები (ედუები) შეეყვანათ რომის სენატის შემადგენლობაში.

ჩვენთან დაკავშირებულმა ზნე-ჩვეულებით, ხელოვნებით, ნათესაობით, დეე მათ მოიტანონ ჩვენთან თავისი ოქრო და სიმდიდრე, ვიდრე ამით ისარგებლონ ჩვენგან განცალკევებით. ყოველივე, მამანო სენატორებო, რაც ახლა ძალიან მოძველებულად ითვლება, ოდესღაც ახალი იყო (*omnia, patres conscripti, quae nunc vetustissima c:edentur, nova fuere*).

¹ C. I. L. XIII, 1563; P. F a b i a, La table Claudienne, 1928; B r u n s. Fontes, 195.

პატრიციების მაგისტრატების შემდეგ გაჩნდნენ პლებების მაგისტრატები, მერე—ლათინელებისა, ლათინელებს შემდგომ—მაგისტრატები იტალიის სხვა ხალხებისაგან. ის, რასაც დღეს ვამტკიცებთ მაგალითებით, მალე თვითონ იქნება მაგალითების რიცხვში¹.

კლავდიუსის დემოკრატიზმი მელაუნდებოდა აგრეთვე მისი შედარებით რბილი მოპყრობით აზატებისა და მონებისადმი. როგორც ძველთა სიბრძნის მაგალითი, მიბაძვის ღირსი, მას მოჰყავდა აზატებისადმი უმაღლეს თანამდებობათა მინდობა და თვითონაც გამოსცა კანონი, რომელიც ამსუბუქებდა ავადმყოფ მონების მდგომარეობას.

სამეფო კარის სფეროებში კლავდიუსი ახირებულ ადამიანად იყო მიჩნეული. სხეულით უძლური, უსახური და დაძაბუნებული კლავდიუსი ნიშანში ჰყავდათ ამოღებული, მასზე ენა კვიმატიანობდნენ, დასცინოდნენ და აუგად იხსენიებდნენ. კლავდიუსის დროს დიდ როლს თამაშობდნენ პატივმოყვარე ქალები, რომელნიც იმპერატორისაგან ისრულდნენ ყოველნაირ თავიანთ ახირებულ სურვილს. პირველ ხანებში კლავდიუსი მთლიანად იყო თავისი ცოლის მესალინას გავლენის ქვეშ, არისტოკრატისთან დაახლოებული რომ იყო. კლავდიუსის სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში მესალინა შესცვალა არანაკლებ უფლებამოყვარულმა და პატივმოყვარე აგრიპინამ, გერმანიკის უმცროსმა დამ, რომელმაც, ბოლოსდაბოლოს, თავისი ქმარი მოწამლა სოკოთი, რის შემდეგაც ძალა-უფლება გადავიდა მისი შვილის კლავდიუს ნერონის ხელში.

6. ნერონი (54—68 წლ.)

კლავდიუსის მოკვლის შემდეგ პრეტორიელებმა იმპერატორად გამოაცხადეს 17 წლის ტიბერიუს კლავდიუს ნერონი (Nero Claudius Drusus Caesar Germanicus), გერმანიკის შვილი-შვილი. ნერონი ზედმეტი სახელია კლავდიუსებისა, რომელიც ერთ-ერთად კლავდიუსების დინასტიის ყველა წევრის სახელს.

იმპერატორად გამოცხადებულმა ნერონმა თავდაპირველად გვერდი აუხვია თავის წინამოადგილეების კეისრულ ტრადიციებს და სენატთან დაახლოვებას ცდილობდა. ნერონის მმართველობის პირველ ნახევარში პოლიტიკის ხელმძღვანელობა ხელში ჰქონდა ფილოსოფოსს სენეკას და პრეტორის პრეფექტს ბურუსს, იმპერატო-

¹ Tacit., Annales, XI, 24.

რის აღმზრდელებს, რომელთაც მომხრეები ჰყავდათ სენატში და რომელნიც ცდილობდნენ იმპერატორის განთავისუფლებას მისი დედის აგრიპინას გავლენისაგან, თავის მხრივ რომ აგრეთვე ჰყავდა მომხრეები სენატსა და ჯარში.

თავისი პოლიტიკური პროგრამა ახალგაზრდა იმპერატორმა გამოამჟღავნა სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა სენატში 55 წლის ბოლოს. მან დასდო აღთქმა, რომ მიჰყვებოდა განათლებულ და ბრძენ მმართველების მაგალითს, პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, დიდი ავგუსტუსის ანდერძს. ნერონი ამბობდა, რომ მისმა სიკბუთქემ განვლო მშვიდობიან გარემოში, რომ მას არ განუცდია ძმათაშორისი ომი და არც შინაური უთანხმოებისა იცოდა რაშე. მისი მმართველობა წარიმართება კონსტიტუციის ჩარჩოებში, იგი შეეცდება აღმოფხვრას წინამოადგილე პრინციპების დეფექტები, მისი სასახლე არ იქნება აღრეული სასახლის უწყებასთან. სენატი შეინარჩუნებს წინანდელ უფლებებსა და მოვალეობათ. იტალიასა და პროვინციას განაგებენ კონსულები და ტრიბუნები. ხოლო თავისთვის იგი საკმაოდ თვლის მართო საიმპერატორო პროვინციებს.¹

ნერონის მმართველობის პირველ ნახევარში გატარებული იქნა კანონები სახელმწიფო გადასახადთა პატიების, გაღარიბებულ სენატორებისათვის შემწეობის აღმოჩენის, მამებლართა თვითნებობის შეზღუდვის, ხალხისადმი საჩუქრების დარიგებისა და სხვა ამგვარის შესახებ².

მაგრამ ახალი იმპერატორის ლიბერალური პოლიტიკა დიდხანს როდი გაგრძელებულა. მწიფდებოდა არისტოკრატიასთან ახალი კონფლიქტი, რომელიც უახლოესად გამოიწვია სამეფო კარზე არსებულიმა დინასტიურმა შუღლმა.

მკვლელობათა, დევნათა და კონფისკაციათა მთელი წყება, რითაც ნერონი განირჩეოდა კლავდიუსების დინასტიის ყველა წარმომადგენლისაგან, დაიწყო ბრიტანიკის მოკვლით; ის იყო ნერონის ნახევარძმა, კლავდიუსისა და მესალინას შვილი. სუსტ გონებიანად გამოცხადებული ბრიტანიკი მოწამლეს (55 წ.) ნერონის დედის აგრიპინას თუ თაოსნობით არა, თანხმობით მაინც, ხოლო თვითონ ეს აგრიპინა რამდენიმე წლის შემდეგ მოკლულ იქნა ნერონის საყვარლის პოპეა საბინას დაჟინებითი მოთხოვნით (59 წ.). პოპეასაგან შეშინებულმა ნერონის აღმზრდელებმა აგრიპინას მკვლელობა გაამარ-

¹ Tacit., Annales, XIII, 4.

² Suet., Nero, 10; Tacit., Annales, XIII, 5.

თლეს, სენეკამ დასწერა კიდევ საგანგებო მოხსენებითი ბარათი, სადაც იგი ჩამოსთვლიდა მიცვალებული აკრიპინას ბოროტმოქმედებათ თავისი შვილის მიმართ და ლაპარაკობდა იმპერატორზე თავდასხმა მზადდებოდაო.

სენატმა თავის მხრივ ნერონისადმი თანაგრძნობის ნიშნად დანიშნა საყოველთაო სამადლობელო პარაკლისი და ბრძანა კურიაში იმპერატორის ქანდაკების გვერდით დაედგათ მინერვას ქანდაკება, რომლის სადღესასწაულო დღესაც ნერონი „გადარჩა“ განმზადებულ საფრთხეს.

დედის მოკვლისა და ნერონის ცოლის ოქტავიას ჩამოცილებიან შემდეგ ახალგაზრდა იმპერატორმა სრულიად დაკარგა წონასწორობა. გადაცემული იგი თავისი ამხანაგებითურთ დაყოლობდა ბნელ უბნებში, სამეძავო სახლებში, უწყისობას ჩაღიოდა, ჩხუბს აუტეხდა ზოლმე გზაზე მიმავლებს და ერთხელ ცემით სიკვდილის პირამდეც იქი იქნა მიყვანილი. ნერონის ყველაზე უფრო ძალუმი ტრფიალი იყო მუსიკოსისა, მომღერლისა და მოჯირითის გატაცება. ამ მხრივ ის სავსებით იყო თავისი დროისა და თავისი წრის ადამიანი. გატაცება თეატრით, საიმპერატორო პერიოდის ცირკით, სიმღერით, თამაშით და სპორტით მთელი რომის საზოგადოების, მეტადრე კი მისი ზედაფენების, შეზრდილი თვისება იყო. მომღერლის, პოეტისა და სპორტსმენის სახელი და დიდება ნერონს ყველაფერს ერჩია ამ ქვეყნად.

უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა იმპერატორს ბერძნულ წესზე მოწყობილი სამუსიკო, სასპორტო და საციკო სანახაობანი, სადაც თვითონ პრინციპსთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ყველაზე უფრო წარჩინებული გვარების წარმომადგენელნი. სვეტონიუსის სიტყვით, ერთ კრივში, რომელიც მარსის ველზე იქნა მოწყობილი, მონაწილეობას იღებდა 400 სენატორი და 600 რომაელი მხედარი¹.

საშინაო პოლიტიკაში შეტრიალებამ, გაელენა იქონია საგარეო პოლიტიკაზეც. ნერონის მმართველობის პირველ წლებში რომის საგარეო პოლიტიკას ემჩნეოდა აგრესივობის ნიშნები. აღმოსავლეთში რომის სარდალმა გაიუს დომიცი კორბულონმა მოაგვარა კონფლიქტი პართიელებთან, რომელიც სომხეთის გამო მოხდა, ხელთ იგდო არტაქსატა და სომხეთის მეფე თრდატი აიძულა ეცნო რომის სახელმწიფოს უზენაესობა. კორბულონი მეთაურობდა იმ სამხედრო ჯგუფს, რომელიც ლამობდა გაეფართოვებინა რომის საზღვრები, რომის იმპერიის ფარგლებში მოექცია მთელი წინა აზია,

¹ Suet., Nero, 12.

არაბეთი და ინდოეთიც კი, გზები გაეხსნა რომის ვაჭრობისათვის და პატრიმოყვარე იმპერატორი, თავის თავს რომ მეორე ალექსანდრე მაკედონელად რაცხდა, შეემკო ახალი ძღვევამოსილების დაფნის გვირგვინით. რომის ექსპანსია აღმოსავლეთში თავისი მსვლელობის გზაზე აპვეიდა ხოლმე ყველა ქვეყანასა და ხალხს, სობდა მათ თავისებურებას, ახდენდა მათ შერწყმას რომის სახელმწიფოს მასივთან; აი ეს ექსპანსია შეიქნა მიზეზი იუდეასთან გამწვავებული ომისა 66 წ., რის შესახებაც მოთხრობილია მომდევნო გვერდებზე. ბრიტანეთში ხანგრძლივი ომებისა და მრავალი მარცხის შემდეგ რომაელებმა შემოიმტკიცეს კამულოდუნუმი (Camulodunum—კოლჩესტერი), ლინდუმი (Lindum—ლინკოლნი), დევა (Deva—ჩესტერი) და რამდენიმე სხვა პუნქტი, სადაც რომის ლეგიონები იდგნენ.

მაგრამ ყველა ეს დაპყრობა არ იყო მტკიცე, რომს თავი არ ჰქონდა შეენარჩუნებინა დამორჩილებული ოლქები.

61 წ. ბრიტანეთში იცენების ტომში მოხდა სერიოზული აჯანყება რომაელების წინააღმდეგ, რაშიაც დამნაშავედ არა უსაფუძვლოდ თვლიდნენ სენეკას, რომელმაც ბრიტანელებს ასესხა 10 მლნ. დენარი საშინელი სავახშო სარგებლით. აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ ღრუილები, რომელთაც კავშირი ჰქონდათ ევროპელ კელტებთან, ხოლო აჯანყების მეთაური იყო ბოუდიკა ანუ ბონდიკა, იცენების ტომის მთავრის ცოლი, იცენები კი იყვნენ „ხალხი ძლიერი და ბრძოლაში შეუპოვარი“; აი სწორედ ამათ შორის დაიწყო აჯანყება. აჯანყებაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები, რომლებზედაც უმეტეს გავლენას ახდენდნენ ქურუმები. ბრიტანელებმა ისარგებლეს ბრიტანეთის ნაცვლის სვეტონიუს პაულინის იქ არ ყოფნით, დაარბიეს იქაურობა და ამოწყვიტეს 70 ათასი რომაელი მოქალაქე და მათი მოკავშირეები. ბრიტანეთში მღელვარება გრძელდებოდა ნერონის შემდეგ, ფლავიუსების ახალი დინასტიის დროსაც. უკმაყოფილების მიზეზი იყო დავალიანება, გადასახადები და მეტადრე ის ძალმომრეობა, რასაც პროვინციული მოსახლეობის მიმართ ჩადიოდნენ ახალმოშენ—ვეტერანები. ბრიტანეთის ნაცვლის აგრიკოლას ბიოგრაფიაში, ტაციტუსმა რომ შეადგინა, ერთ-ერთი ბრიტანელი ბელადის (კალგაკის) სიტყვაში სტილიზებული ფორმით დახასიათებულია რომის პოლიტიკა პროვინციების მიმართ და წარმოდგენილია პროვინციელების მიერ მოცემული შეფასება ამ პოლიტიკისა.

„თავიანთი ქედმაღლობითა და თავხედობითო, — ამბობდა კალგაკი, — რომაელები იქამდე მივიდნენ, რომ მათთან უკვე შეუძლე-

ბელი შეიქნა მშვიდობიანი თანამეზობლობა. მთელი ქვეყნის მძარცველები (*raptores orbis*), როცა მათ, ყველაფრის ამაფორიაქებელთ, აღარ ჰკოფნით მიწა, იწყებენ უკვე ზღვის მოჩხრეკვას; თუ მათი მტერი მდიდარია, ისინი ანგარნი არიან, თუ ღარიბია—პატიემოყვარენი; ეს ის ხალხია, რომელსაც ვერ აძლებს ვერც აღმოსავლეთი, ვერც დასავლეთი. ესენი ერთადერთნი არიან ყველას შორის, რომელნიც ერთნაირი სიხარბით ეკვეთებიან ხოლმე სიმდიდრესაც და სიღარიბესაც. მოტაცება, მოკვლა, გაძარცვა და მისთანანი,—ყოველივე ეს მათ ცრუ ენაზე იწოდება მმართველობად, ხოლო როცა ყველაფერს უდაბნოდ აქცევენ, მაშინ ამას მშვიდობიანობას უხმობენ“ (*auferre, trucidare, rapere falsis nominibus, imperium, atque, ubi solitudinem faciunt, pacem appellant*)¹.

თავისი სიტყვის შემდგომ ნაწილში ორატორი ხაზს უსვამდა რომის შინაგან სისუსტეს, მიუთითებდა, რომ რომაელები თავისთავად კი არ არიან ძლიერნი, არამედ მათ მტრებში არსებულ დაქსაქსულობისა და უთანხმოების გამოო. „მათ დიადად ხდის ჩვენი შუღლი და უთანხმოებანი, ისინი თავის ჯარის დიდებად აქცევენ თავიანთ მტრების მანკიერებას. ეს ანათქვეფი სულ სხვადასხვა ხალხებისა (*contractum diversissimus gentibus*) როგორც ერთად თავს იჭერს წარმატების წყალობით, ისე იშლება და ირღვევა დამარცხების უმალვე“. „ამრიგად,—ამთავრებს ორატორი,—მას მერე, რაც ჩვენ მოგვესპო იმედი შეწყალებისა, იყავით ვაჟკაცურად, რომელთათვისაც სიცოცხლე იმდენადვეა ძვირფასი, რამდენადაც ძვირფასია სახელი და დიდება. მე ურყევად და მტკიცედ მწამს, რომ დღევანდელი დღე და ჩვენი ერთსულოვნება შეიქმნება მთელი ბრიტანეთის თავისუფლების დასაბამად“².

ტყვედ წაყვანილ ხალხს ბრიტანელები მონებად კი არ ხდიდნენ, არამედ იქვე ხოცავდნენ, ახრჩობდნენ, სწვავდნენ ან კიდევ ჯვარს აცვამდნენ. პაულის მცირე შრომა არ დასჭირდა იმისათვის, რომ ჩაექრო „თავის ამისწინანდელი მონების“ აჯანყება. სასწორმა მაინც რომაელების მხარეზე გადაიხარა: ადგილობრივი მცხოვრებნი დანებდნენ, მათ მოუკლეს 80 ათასი. ბრიტანეთის აჯანყებით იწყებოდა მთელი რიგი სხვა აჯანყებებისა.

ბრიტანეთის აჯანყების წელიწადს რომში მოხდა ერთი საინტერესო ამბავი, რომელიც უუქსა ჰფენს რომის მონათმფლობელური

¹ Tacit., Agricola, 30.

² Ibid., 30—32.

საზოგადოების ხასიათსა და ურთიერთობას მონებსა და მონათმფლობელს წერს. ქალაქის პრეფექტი პედანიუს სეკუნდუსი მოკლულ იქნა ერთ-ერთი მონის მიერ. ამ საკითხის გამო სენატში გაიპართა გაცხოველებული კამათი: პედანიუს სეკუნდუსის ყველა მონა რიცხვით 400 კაცი უნდა დასჯილიყო სიკვდილით, როგორც ამას წოითხოვდა ჩვეულება, თუ შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყვნენ მარტო ერთი უშუალო დამნაშავეის სიკვდილით დასჯით? ამ კამათის ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ აქ სრული გარკვეულობით გამოვლავლდა მონათმფლობელური რომის კლასობრივი დედაარსი. ყველა მონის სიკვდილით დასჯის აუცილებლობის პრინციპული დასაბუთებით გამოვიდა სენატორი გაიუს კასიუსი, რომელიც მიუთითებდა იმაზე, რომ სახიფათოა მონებს რამე დაეთმოს და რომ ამით ისინი აღიძვრებიან სურვილით—ბატონებს აღარ დაემორჩილონ.

„დღეს,—ამბობდა იგი,—თავისი მონების მიერ მოკლულია კონსულის წოდების მატარებელი კაცი პედანიუს სეკუნდუსი. თქვენ წინადადებას იძლევით დამნაშავენი გავათავისუფლოთ, მაგრამ მე თქვენ გეკითხებით, მე რაღა დაემართება დანარჩენ მოქალაქე მონათმფლობელებს, რომელთაც არ უკავიათ ეგოდენ მაღალი მდგომარეობა?... ვილას დაცვას შესძლებენ მკირეოდენი მონები, თუ პედანიუს სეკუნდუსი ვერ დაითარა 400 მონამ? ვილას შიში-ლა ექნებათ მონებს და ვილასლა დაიცავენ, თუ ისინი ყურადღებას არ აქცევენ ჩვენ დაწესებულებებს მაშინაც კი, როცა სიკვდილით დასჯის შიში აქვთ?“.

თქმულიდან კი დასკვნა ასეთი იყო: მონები უნდა დასჯილი იქნენ იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც პედანიუს სეკუნდუსი სამართლიანად ყოფილიყო მოკლული. ჩვენს წინაპრებს მონათა სულიერი თვისებანი უნდობლობას უწერგავდნენ იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს უქანასკნელები დაიბადნენ ერთსადაიმავე მინდვრებში ან ერთსადაიმავე სახლებში და ბავშვობიდანვე სიყვარულს გრძნობდნენ თავიანთი ბატონების მიმართ. ასე იყო ძველ დროს, როცა ჯერ კიდევ არსებობდა პატრიარქალური ურთიერთობა ბატონებსა და მონებს წორის, მაგრამ რამდენად სერიოზული შეიქმნა მდგომარეობა ახლა, როცა ჩვენ მონებსავე გვყავს მთელი ტომები, რომელთა ზნე, ჩვეულებანი და კულტები სავსებით განსხვავდებიან ჩვენ ზნე-ჩვეულებათა და კულტებისაგან.

მონების ალაგვვა შეიძლება მარტო შიშით. ამასთანავე,—ამტკიცებდა ორატორი,—არ უნდა დაგვადონოს ამან, რომ დამნაშავეებთან ერთად დაიღუპებიან უდანაშაულონიც. ყოველი დიდი გან-

ზოგადება ყოველთვის შეიცავს რაიმე უსამართლობას, მაგრამ საზოგადოებრივ ცალკეულ პირთა დაზარალებისაგან მოგებაში რჩება ერთობლივ მთელი საზოგადოება“¹.

გაიუს კასიუსის გამოსვლამ თავის მიზანს მიაღწია. შეშინებულმა მონათმფლობელებმა ხმა მისცეს სიკვდილით დასჯას, ხოლო მეტად თავზე ხელაღებულები იმის წინადადებასაც კი იძლეოდნენ, რომ პასუხისმგებლობა დაჰკისრებოდათ არა მარტო მონებს, არამედ აზატებსაც. მაგრამ მაშინ საქმეში ჩაერია ქალაქის მასა, რომელიც სოლიდარობას უცხადებდა ბრალდებულებს და პროტესტს აცხადებდა მონებისა და აზატების სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. სიკვდილით დასჯის დღეს დიდმა ბრბომ გზა გადაუჭრა მცველებს და ემუქრებოდა ქვებით და ცეცხლის წაქიდებით. ბრბო გაჰთანტა შეიარაღებულმა ძალამ, მაგრამ სიკვდილით დასჯილ იქნენ მაინც მარტო ნონები, ხოლო აზატები გაათავისუფლეს.

62 წელს მოკვდა ბურესი, და პრეტორის პრეფექტად დანიშნულ იქნა სოფონიუს ტიგელინი, თავისი დროს ერთ-ერთი მეტად მანკიერი ადამიანი. კალიგულას დროს ტიგელინი გააძევეს რომიდან თავის დებთან უქანონო კავშირისათვის, მაგრამ მერე ისევ დააბრუნეს და ნერონის დროს მას დიდი თანამდებობა ეჭირა. ტიგელინი მორჩილი იარაღი იყო პოპეა საბინას ხელში და ცდილობდა ყველაფერში დაესწრო იმპერატორისა და მისი სატრფოსათვის მათი სურვილის შესრულებაში².

ტიგელინის სახელს უკავშირებენ უზარმაზარ ხანძარს, რომელმაც 64 წ. იფეთქა რომში და უფრო მეტად გაუტეხა მოსახლეობის თვალში სახელი და გავლენა ისედაც არაპოპულარულ იმპერატორს. ხანძარი დაიწყო ტიგელინის სამფლობელოს ტერიტორიაზე, დიდი ცირკის გვერდით პალატინსა და ცელიუმს შორის. ქარით გაძლიერებული ალი მოედო ცირკის მეზობლად გაშენებულ ხის ნაგებობებს, სახელოსნოებს, დუქნებსა და ღარიბი ხალხის სახლებს, მერე კი თვითონ ცირკსაც მოეკიდა ცეცხლი. აქედან ცეცხლი მოედო ქალაქის სხვა უბნებსაც. ცეცხლი ნთქავდა ძველ შენობებს, ტაძრებს, ბაზილიკებს, ქანდაკებებს, საქონლის საწყობებს და ა. შ. რომის 14 უბნიდან გადაიწვა ათი. ყველაფერი ნანგრევებად იქცა, დაზარალებულთა რაოდენობის აღრიცხვაც კი ძნელი შეიქნა—ისე დიდი იყო მათი რაოდენობა. :

¹ Tacit., Annales, XIV, 44.

² Ibid., 51; Hist., 1, 72.

„ექვსი დღე და შვიდი ღამე მძინვარებდა ეს უბედურება, ხოლო ხალხი თავშესაფარს ეძებდა სასაფლაოსა და სხვა ძველებში. ამ დღეებში, დიდი ზემოაღლანი სახლების უთვალავი რაოდენობის გარდა, ხანძრისაგან დაიღუპა ძველი სარდლების სახლები, საბრძოლო აღაფებით შემკულნი, აგრეთვე ღმერთების ტაძრები, რომელნიც ალექსანდრის საფუძველზე აგებულ იქნა მეფეების მიერ პუნიკურ და გალებთან ომების ხანებში ისე, როგორც ძველი დროის ყველა ღირსშესანიშნავი ძეგლი“¹.

ხანძრის დროს თვითონ იმპერატორი რომში არ ყოფილა: ის მაშინ იმყოფებოდა ქალაქ ანციუმში მუსიკალურ შეჯიბრებაზე და სატახტო ქალაქში ჩამოვიდა მხოლოდ ხანძრის დასასრულს. ჰქონდა რა სურვილი სახალხო უბედურება გამოეყენებინა თავისი ინტერესების შესაბამისად, ნერონმა გამოიჩინა ქველმოქმედება, ბრძანება გასცა დაზარალებულთათვის დაეთმობოდა გადაჩენილი საზოგადოებრივი შენობები, მოეწყობოდა დროებითი სადგომები, მიეცათ მათთვის საკმეღ-სასმელის მარაგი და მოწყობილობა. და მაინც ყოველივე ამან ვერ დაიფარა იმპერატორი ექვებისა და საყვედურებისაგან. ქალაქში დადიოდა მისთვის სავსებით არასახარბიელო ხმები: ლაპარაკობდნენ, რომ ხანძარში დამნაშავე თვითონ იმპერატორი იყო, რომელიც ოცნებობდა ავურიანი რომის მარმარილოსა და ოქროს რომით შეცვლაზე.

„იმპერატორის მხედველობას თითქოს შეურაცხყოფდა ძველი შენობების შეუხედაობა, ქუჩების მიხვეულ-მოხვეულობა და სიფიწროვე, და მან ცეცხლი წაუკიდა ქალაქს, ჩაიღინა რა ეს სრულიად აშკარად“².

ლაპარაკობდნენ, რომ იმპერატორის მსახურები ქუჩებში დარბოდნენ ანთებული ჩირაღდნებით და ძველ შენობებს ცეცხლს უკიდებდნენო. ქვის შენობებს განსაკუთრებული მანქანების საშუალებით არყევდნენ და მერე სწვავდნენო.

ხანძარში ოფიციალურ ბრალდებულებად გამოცხადებულ იქნენ ქრისტიანენი. ქრისტიანები მაშინ ეწოდებოდა იუდეველთა ერთ-ერთ სექტას, რომელსაც ბევრი მომხრე ჰყავდა რომის ღარიბ მოსახლეობაში. მეტადრე ებრაელთა უბნებში. ქრისტიანებს გავარდნილი ჰქონდათ ცული სახელი „მაგნე სარწმუნოებრივი სექტისა“ (genus hominum superstitionis novae ac maleficae)³, რომელიც ჰქადაგებდა ქვეყნის აღსასრულის მალე მოსვლას, უარჰყოფდა იმპერატორის კულტს და

¹ Suet., Nero, 38.

² Ibid.

³ Ibid., 16.

რომელსაც სძაგდა ყველა დანარჩენი, სხვაგვარად მოაზროვნე ხალხი. დამნაშავენი სასტიკად დასაჯეს. ზოგიერთები, ნადირის ტყაუებში გახვეულნი, ძაღლებს მიუგდეს გასაწეწად, სხვანი ჯვარს აცვეს, მესამენი აქციეს „ნერონის ჩირალდნებად“: მათ წასცხეს ფისი და ერბო და ისე სწვავენენ ხალხის თვალწინ. ამასთანავე ერთად გაზარდეს საბოძვართა რიცხვი და გაახშირეს დღესასწაულები¹.

ქალაქისათვის ნერონის მიერ ცეცხლის წაკიდების შესახებ ხმების გაგრძელების საბაბი მისცა „ოქროს სახლის“ (domus aurea) აშენებამ,—ეს იყო ბრწყინვალე სასახლე, რომელიც აღმართეს ხანძრის შემდეგ განთავისუფლებულ მოედანზე პალატინსა და ესკვილინუმს შორის². ნერონს უკვე კარგა ხანია ემძიმებოდა ძველი რომი და იგი სურვილს გამოსთქვამდა აეგო ახალი ქალაქი და შიგ მშვენიერი სასახლე, რომელიც თავისი ბრწყინვალეობით, გრანდიოზულობითა და არქიტექტურის სრულყოფით დაჩრდილავდა ძველი დროის ყველა შენობას. ხანძარმა დააჩქარა იმპერატორის დიდი ხნის ოცნების განხორციელება. მიუხედავად ფინანსიური და ტექნიკური ხასიათის ყოველგვარი დაბრკოლებისა, პრინცესმა თავისი გაიტანა და თავისი ახირებული სურვილი განახორციელა.

„ოქროს სახლს“ მისი მომიჯნავე შენობებითურთ ექირა მოედანი 270 ჰექტარის მოცულობით და იგი წარმოადგენდა პალატინის სასახლის გაგრძელებას. სასახლის მოცულობასა და შემკულობას მოწმობს შემდეგი დეტალები. სასახლეს ჰქონდა ვესტიბული, რომელშიაც იდგა ნერონის ცხენიანი უშველებელი ქანდაკება, 120 ფუტიანი (36 მეტრიანი). ხოლო თვითონ სასახლეში იყო სამი სტოათითაიული სივრცით 1000 ფუტი, გარდა ამისა, ზღვის მსგავსი გუბურა, რომელსაც გარს ეკრა შენობები, ესენი კი მთელი ქალაქების ოდენანი იყვნენ, შემდეგ მისდევდა ამას მინდვრები, ვენახები, ტყეები და ველები შიგ ათასგვარი აუარებელი ნადირითა და ფრინველით.

სასახლის შიგნითა ნაწილები მოპირკეთებული იყო ოქროთი და გამშვენიერებული ძვირფასი ქვით და სადაფით. სასადილო დარბაზებს კერი სპილოს ძვლისა ჰქონდა, რომელნიც ტრიალებდნენ განსაკუთრებულ სახსრებზე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ზემოდან ყვავილების

¹ მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ 64 წლის რომის ხანძარში ქრისტიანეთა მონაწილეობის საკითხი მეცნიერებაში არ ითვლება დადგენილ ფაქტად. ჩვენი ისტორიკოსების (სვეტონიუსისა და ტაციტუსის) ცნობებს მრაველი მეცნიერი ქრისტიან გადამწერლების გვიანდელი დროის ჩანართად (ინტერპოლაცია) თვლის.

² Suet., Nero, 35.

განმოუწვევად და სურნელებათა პეკურება. მთავარი სასადილო დარბაზი წარმოადგენდა სამყაროს და სამყაროსავით ტრიალებდა. „აი ახლა კი ძლივს დავიწყებთ ადამიანურად ცხოვრებასო“, — შენიშნა ნერონმა სასახლის დათვალიერების დროს. დანარჩენ ფართობზე, რომელიც სასახლემ ვეღარ დაიკავა, აზრად ჰქონდა აეგო საზოგადოებრივი შენობები და იმპერატორის ფავორიტების სახლები, გაეყვანა ვანიერნი ქუჩები, გაეკეთებინა სტოები, შადრევნები და მისთანა სხვა. ამასთანავე ერთად იყო პროექტი გაეჭრათ გემსავალი არხი ავერონის ტბიდან მოკიდებული, კამპანიაში რომ იყო, ვიდრე ტიბრამდე ზღვის ნაპირის გაყოლებაზე, მთებში.

სახელმწიფო სახსრები ვერ ფარავდა ნერონის განუსაზღვრელ ხარჯებს სანახაობებზე, სამეფო კარზე, საჩუქრებზე, კაზმულ-გასართობ გასვლებზე ქალაქიდან და შენობებზე, რის გამართლებაც არ შეიძლებოდა საზოგადოებრივი საჭიროებით და რაც გამოწვეული იყო მხოლოდ დესპოტის ჟინითა და მისი ესთეტიკური გატაცებით. დანაკლისი სახსრების მოპოვება უხდებოდა მასობრივი კონფისკაციების გზით, ყოველგვარი გადასახადებით და ძალათი წართმევით. ნერონის პოლიტიკა უქმყოფილებას იწვევდა საზოგადოების ყველა თენაში, მეტადრე კი არისტოკრატისა და ოფიცრობის წრეებში. 65 წ. გამოძეულანებულ იქნა შეთქმულება, რომელიც ამზადებდა სახელმწიფო გადატრიალებას. შეთქმულები ფიქრობდნენ ნერონის გადაყენებას და ტახტზე გაიუს კალპურნიუს პიზონის აყვანას. შეთქმულთა შორის ბევრი იყო დიდკაცი და პრეტორიელი ოფიცერი. შეთქმულთა გეგმას იზიარებდნენ სენეკა, ტრაზუა, პეტრი, ბარუა სორანიუსი და რომის სხვა გამოჩენილი პირნი. შეთქმულთა ერთი ნაწილი სიკვდილით იქნა დასჯილი, სხვანი კი რომიდან გააძევეს.

პიზონის შეთქმულებამ და პოპეას სიკვდილმა ვერ შესცვალა ნერონის ყოფა-ქცევა. იმპერატორის არტისტული გატაცება იზრდებოდა. პოპეას სიკვდილის შემდეგ ის საბოლოოდ ჩამოშორდა სახელმწიფო საქმეებს და მთლიანად ჩაინთქა არტისტულ საქმიანობაში. ნერონი არ სჯერდებოდა რომის საზოგადოების ქება-ხოტბას, მან მოინდომა თავისი ნიჭი ეჩვენებინა ბერძნებისათვის, ხელოვნებითი სილამაზის ფაქიზ დამფასებლებისათვის, და ამ მიზნით, ნეაპოლში წარმატებითი გამოსვლით წახალისებულმა და გათამამებულმა, მოაწყო ხელოვნებით-არტისტული მოგზაურობა საბერძნეთში და წარმატებაც მოაპოვა. ყველა ასპარეზობასა და შეჯიბრებაში, წინასწარი ორჯანიზაციისა და მაყურებელთა შერჩევის წყალობით, იგი იმარჯვებდა, იმსახურებდა ოვაკიებსა და ჯილდოებს.

ამასობაში საზოგადოების უკმაყოფილება იტალიაში იზრდებოდა. იმპერატორის მოადგილედ დარჩეული აზატი ეპაფროდიტე ამოად ეპატიჟებოდა ნერონს დაბრუნებულყო რომში. მალე კი ამის შემდეგ დაფნითა და პატივით შემკული „ოლიმპიელი ტრიუმფატორი“ დაბრუნდა რომში. 68 წლის მარტში ნერონის წინააღმდეგ იარაღი აღმართა ლუგუდუნის გალიის ლეგატმა გაიუს იულიუს ვინდექსმა (C. Iulius Vindex). მას შეუერთდა ესპანეთის ლეგატი სერვიუს სულპიციუს გალბა (Galba), ავგუსტუსის შორეული ნათესავი ცოლის ლივიას მხრით. რომის ქუჩებში გაჩნდა ნახშირით დაბლავნილი, იმპერატორის შეურაცხყოფი წარწერები: „რომის მამალმა (gallus) იქამდე იყივლა, რომ გააღვიძა გალიის მამლები“ (Gallos)¹. მალე ვინდექსს შეუერთდა პრეტორიელთა კორპუსის უფროსი.

როცა შეიტყო ესპანეთის ნაცვლის ლალატი, ნერონს სასო წარეკვეთა, განერთხო იგი მიწაზე, იგლეჯდა ტანისაპოსს, გულში მუშტს ირტყამდა და იმეორებდა, „ყველაფერი გათავდა“-ო. მერე გონს მოვიდა, გაერთო თეატრის წარმოდგენებით და ღვინით და დაიწყო ათასნაირი ფანტასტიკური გეგმის შემუშავება, რომ კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსულიყო, — ფიქრობდა საწამლავი მიეცა მთელი სენატისათვის, ცეცხლი წაეკიდებინა ქალაქისათვის, ხალხისათვის მზეცები მიესია, ამოეწკვიტა სამხედრო ნაწილთა უფროსები და ა. შ. მაგრამ ყოველივე ამას არავითარი წინაშენლობა არ ჰქონდა, ამო აღმოჩნდა აგრეთვე იმის ცდაც, რომ დახმარება მიეღო კარის მცველთა შორის. პრეტორიელთა გვარდია თავისი უფროსით — ოტონით — მიემხრო გამარჯვებულს, მიატოვა გამოცარიელებული სასაბლე და შიგ მყოფი იმპერატორი — ნერონი. ამის შემდეგ სხვა რაღა დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ გაქცეულიყო. და აი, გუშინდელი „ბატონი და ღმერთი“, რომლის წინაშეც მთელი ქვეყანა ძრწოდა, გასცემს უკანასკნელ ბრძანებას გაიტაცონ უწინებელ ადგილას ახალი დეკორაციები და სათეატრო მოწყობილობა. თავად კი რამდენიმე მსახურითურთ გაიქცევა რომიდან ერთ-ერთი თავისი აზატის მამულში. მაგრამ იქაც ყოფილმა იმპერატორმა და „ღიადმა მსახიობმა“ (artifex magnus) ვერ ჰპოვა სასურველი მოსვენება. სიკვდილის შიშით ატაცებულმა უბრძანა გაეთხარათ მისთვის სამარე და მოემზადებინათ ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო. დასაფლავებისათვის. როცა გაიგო მღვეარის მოახლოება, გადაყენებულმა იმპერატორმა სიცოცხლე

¹ Suet., Nero, 45.

მოისწრაფა. „რა დიდი არტისტი ვილუპებიო“,—ეს იყო ნერონის უკანასკნელი სიტყვები.

„ნერონი,—ამთავრებს თავის თხოვრებას კასიუს დიონი.—ცხოვრობდა 30 წელიწადი და 9 თვე, განაგებდა სახელმწიფოს 13 წელიწადი და 8 თვე. მასთან ერთად აღსრულდა ენეუსისა და ავგუსტუსის გვარი. ამ ამბავს მის წინა ხანებში მოასწავებდა დამკნარი დაფნის ხეები, რომელნიც ოდესღაც ლივიას მიერ იყო დარგულნი, და თეთრი ქათმების გაწყვეტა“-ო¹.

¹ Dio Cass., LXIII, 29.



თ ა ვ ი XVI

კრინციკატის პირველი საუკუნის კულტურა

1. რომის ლიტერატურისა და პოეზიის „ოქროს ხანა“

კულტურის დარგში რესპუბლიკის უკანასკნელი საუკუნე და იმპერიის პირველი საუკუნე წარმოადგენს დამთავრებულ მთელს— კლასიკური სტილისა, კლასიკური ლათინური ენისა და კლასიკური სიტყვაკაზმული ლიტერატურის ხანას. ხოლო ახ. წ. I საუკუნის დასასრულიდან, ფლავიუსების დროიდან, უკვე ვხედავთ კლასიკური სტილის დამახასიათებელი ნიშნების—სიმარტივის, ზემოქრობის ხაზთა ჩამონაკეთილობისა და ჰარმონიის—გადაღვარებას. კლასიკური სტილს სცვლის საიმპერატორო სტილი თავისი გრანდიოზულობით, ექსტრავაგანტობითა და დისპროპორციულობით.

რომაელების მასწავლებლებად ხელოვნებისა და მეცნიერების დარგში მთელი ისტორიის მანძილზე ბერძენივე დარჩნენ. ბერძენი მწერლების ნიმუშის მიხედვით, რომაელი პოეტები და პროზაიკოსები სთხზავდნენ თავიანთ ნაწარმოებებს, ხელოვნები ძერწავდნენ, აქანდაკებდნენ და ხატავდნენ, ხუროთმოძღვრები აშენებდნენ, ფილოსოფოსები ქმნიდნენ ფილოსოფიურ სისტემებს, ისტორიკოსები მოგვითხრობდნენ გარდასრულ საუკუნეთა ამბებს. ნაწარმოებთა რაოდენობის მხრივ საიმპერატორო დროის რომი აღემატებოდა არა მარტო რესპუბლიკას, არამედ ბერძნულ-ელენისტურ სამყაროსაც კი, ოღონდ ჩამოყვარდებოდა მათ თავისთავადობასა და სიცხოველესი.

ლამაზი ნაგებობანი შენდებოდა არა მარტო სატახტო ქალაქსა და დიდ ქალაქებში, არამედ წვრილ ქალაქებსა და დაბებშიც, დახუ-

რული სტოები ინკობოდა სურათებითა და ქანდაკებებით: ტაძრებში, რომელნიც მაშინ მუზეუმებსაც წარმოადგენდნენ, გამოფენილი ჰქონდათ ხოლმე სახელგანთქმულ ხელოვანთა ნაწარმოებნი და უჩვენებდნენ ძველებური საგნების კოლექციას, ხელოვნებითი ღირებულება და სიძველის ინტერესი რომ ჰქონდათ. თეატრებსა და ცირკებში, რომლებიც შეადგენდნენ თითოეული ქალაქის აუცილებელ კუთვნილებას, იღვებოდა დრამები, პანტომიმები და ფარსები, ეწყობოდა გლადიატორთა ბრძოლები, უჩვენებდნენ იშვიათ მსხეებს, საკონცერტო დარბაზებში (ოდეონებში) იმართებოდა მუსიკალურ-გოკალური წარმოდგენები და კითხვა-დეკლამაციები.

აღრინდელი საიბპერატორო დროის (ფლავიუსებამდე) ხელოვნების ნაწარმოებთა გამასხვავებელი ნიშანი იყო ფორმის სრულყოფა და მშვენიერი ხელოვნება. ამაში ადვილად შეიძლება დარწმუნება ხელოვნებითი ასლებითა და დედნების მიხედვით: შენობებით, ქანდაკებით, სამუზეუმო ექსპონატებით, რომლებიც აღადგენენ ანტიკურ ხელოვნებით ნიმუშებს, აგრეთვე რომელი მწერლებისა და პოეტების ლიტერატურული ნაწარმოებებით. იმპერიამ სრულყოფამდე მიიყვანა ფორმის წარმოსახულება და მოხდენილობა, მაგრამ ამასთანავე ერთად ჩაჰკლა ყოველგვარი დამოუკიდებლობა და სიღრმე. რომის კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ავგუსტუსის ხანას — რომის ლიტერატურისა და ხელოვნების „ოქროს ხანას“, როცა ჯერ კიდევ ცხოველი იყო რესპუბლიკური ტრადიციები და ჯერ კიდევ არ იყო დაშრეტილი რომაული შემოქმედების თავისთავადობის ნიშნები.

პრინციპატის დროის საისტორიო, სალიტერატურო და პლასტიკურ ნაწარმოებთა ცენტრალური იდეა იყო რომის განდიდების იდეა. სწორედ ამ დროს შეიქმნა ლეგენდები რომაელთა წარმოშობისა და ქალაქ რომის აღმოცენების შესახებ, რაც გადაიქცა პოეტური და ისტორიულ-პუბლიცისტური დამუშავების საგნად.

რომაელთა წარმოშობასა და რომის დაარსების შესახებ ლეგენდების შინაარსი ძირითადად ასეთია.

ტროას დანგრევის დროს, როცა ქალაქი ცეცხლის ალით იყო მოცული, ტროას ერთ-ერთი გმირი, ენეუსი, თავისი მოხუცებული მამით ანქიზეთი, ცოლით კრეუზათი, პრიამეს ქალით, ვაჟით ასკანიუსით (ანუ იულით) და თანამგზავრებითურთ, 20 ხომალდში ჩამჯდარი სტოებს ცეცხლწაქიდებულ ქალაქს და შეუდგება გზას ცოცხლად გადაარჩენილ ტროელებისათვის ახალ სამოსახლო ადგილებს საძიებლად. ხანგრძლივი და სამძიმო ხეტიალისა, ბრძო-

ლისა და მრავალი უბედურების შემდეგ გადმოსახლებულები მოადგნენ იტალიის ნაპირს, ბერძნულ ახალშენს კუმესს, ხოლო კუმედან ლაციუმს, სადაც ისინი აირივნენ ლათინთა ადგილობრივ ტომებში. ტროელების ლათინებთან აღრევისაგან, — ლათინებს კი მზარფაჟდა მეფე ლათინი, წარმოსდგნენ რომაელები, რომელნიც ლეგენდაში იტალიკებთან არიან გაიგივებულნი. ენეუსის შვილმა ასკანიუსმა, ანუ რომაულად იულმა, დააარსა ქალაქი ალბა-ლონგა. იჯლის შემდეგ ალბა-ლონგას მმართვედა იულის უმცროსი ძმა სილვიუსი, ალბას მეფეთა მამათმთავარი, რომელთაგანაც გაჩნდნენ რომული დარემი, ქალაქ რომის დამფუძნებელნი.

დაახლოვებით ასეთი სახით არის მოთხრობილი რომის დასაწყისი ისტორიის შესახები ლეგენდა დიონისე პალიკარნასელის „რომის სიძველეთა ისტორიაში“¹, რომელსაც მთავარ ხაზებში მისდევდნენ ავგუსტუსის დროინდელი პოეტები და ისტორიკოსები.

რომისა და რომაელების გაჩენისა და დიდების შესახები ლეგენდის უფრო თანამიმდევარსა და ცხოველ პოეტურ დამუშავებას ვგაძლევს პუბლიუს ვერგილიუს მარონი (Publius Vergilius Maro), რომის „ოქროს ხანის“ ერთ-ერთი საუკეთესო პოეტი (70—19 წლ.). ვერგილიუსის „ენეიდა“ (Aeneis) წარმოადგენს რომის დასაწყისი ისტორიის შესახები ლეგენდებისა და მოსაზრებათა პოეტურ დამუშავებას. ავტორმა XII წიგნად მოგვცა ლექსად დაწერილი რომის ისტორია. „ენეიდის“ ცენტრალურ ფიგურას, პომის გმირს, წარმოადგენს ენეუსი, ავგუსტუსის პოეტიზირებული სახე.

„ენეიდა“ — დიდი ნაწარმოებია, მისი შემდგენელის ხანგრძლივი და შეუპოვარი შრომის ნაყოფი. საბოლოო სახით „ენეიდა“ გამოქვეყნდა ავტორის სიკვდილის შექვევ, მაგრამ იგი ითხზებოდა მეორე ტრაჟევირატის დროის პოლიტიკური ამბების უშუალო გავლენით და მთლიანად გაქლენთილია პოლიტიკური განწყობილებით. „ენეიდა“ ასახავს რომის ხელმძღვანელი პოლიტიკური წრეების განწყობილებას და, უპირველეს ყოვლისა, თვით ავგუსტუსის განწყობილებას. „ენეიდის“ მიზანია ისტორიულად და თელეოლოგიურად გამართლოს ავგუსტუსის შინაგანი და საგარეო პოლიტიკა, როგორც ისტორიული პროცესის, ღმერთების ნება-სურვილისა და ბედის ბუნებრივად აუცილებელი შედეგი. „მამათმთავარი ენეუსი, საერთო ყურადღებით მოცული, ასე მოგვითხრობდა ღმერთების ნება-სურვილს

¹ Dion., Halicarn., Antiquit. rom., I, 45—63.

და გადმოგვცემდა თავის ხეტიალს“ (*fata renarrabat divum, cur-
sive et que docebat*)¹. ღმერთების ნებით ენეუსი თავისი თანამგზავრე-
ბით მიემგზავრება ცეცხლწაკიდებულ ტროადან ალთქმული ქვეყნის
საძიებლად (*tu, genitor, cape sacra manu patriosque penates*)².
ბედის ნებისამებრ საუკუნეთა უწინარესად დადგენილია რომაელები-
სათვის დიდი მომავალი—დაიმორჩილონ, გააერთიანონ და იყვნენ
ბელადები ყველა ხალხისა.

„ცნობილია,—ამბობს ვენერა, ენეუსისა და მისი თანამგზავრე-
ბის მფარველი, მიმართავს რა იუპიტერს,—რომ ოდესმე დროთა
ნაკადში ტევკრის (ტროას პირველი მეფის) აღდგენილი. სისხლიდან
გამოვლენ რომაელები—ბელადები, რომელნიც ერთობლივი ნებით
თავის ხელქვეით იქონიებენ ზღვასა და მიწა-წყალს“.

(*Certe hinc Romanos olim, volventibus annis,
Hinc fore ductores revocato a sanguine Teucri
Qui mare, qui terras omni ditione tenerent*)³.

„დაივიწყე შენი შიში, კიფერეა (ვენერა),—უპასუხებს იუპიტე-
რი,—შენიანებისთვის წინადადგენილი ბედი უცვლელი რჩება. შენ
იხილავ ქალაქს და ლაინის ალთქმულ კედლებს და ცის ვარსკვლა-
ვებამდე აღამალღებ გულმდინდარ ენეუსს. ჩემი გადაწყვეტილებანი
უცვლელია. შენი ვაჟი,—მე გაგიმჟღავნებ შენ ბედის საიდუმლოებათ
(*iatorum arcana*),—დაიწყებს საშინელ ომს იტალიაში, მოსდრეკს
ველურ ტომებს, ხალხებს აღუმართავს კედლებს და დაუდგენს მათ
კანონებს“⁴.

„მე მათ არც ზღვარს დავეუღებ მათ საქმეებში, არც შევზღუ-
დავ დროით, მე მივეც მათ ძალა-უფლება დაუსრულებლივ“.

(*Hic ego nec metas rerum, nec tempora pono
Imperium sine fine dedi*)⁵.

ტროას მშვენიერი გვიანგისგან დაიბადება იულიუს კეისარი,
რომლის სახელიც წარმოშობილია იულისგან, რომლის ხელისუფლე-
ბა მიაღწევს ოკეანეს, ხოლო დიდება—ვარსკვლავებამდე. კეისარისგან
გაჩნდა ავგუსტუსი კეისარი,—მისი ღვთაებრივი ჩამომავალი, რო-
მელმაც რომის ძალა-უფლება განავრცო გარამანტებზე აფრიკაში.

¹ Verg., Aen., III, 717.

² Ibid., II, 717, 721—725.

³ Ibid., I, 234—236.

⁴ Ibid., 253—265.

⁵ Ibid., 278—279.

და შორეულ ინდოეთზე, რომელმაც შეაძრწუნა კასპიის სამეფო და მეოტიის მიწა-წყალი.

უმორჩილებს რა რომის ხელისუფლებას ხალხებს, ავეუსტუსი კეისარი ამით მხოლოდ ასრულებს ბედის ნება-სურვილს, რომელმაც წინარე დაადგინა რომაელთა ბატონობა მთელ მსოფლიოზე.

„შენ, რომაელო, გახსოვდეს, რომ შენ გმართებს ხალხების მპართეველობა. ამაში იქნება შენი ხელოვნება: დაამყარო მშვიდობიანობა, დაზოგო დამორჩილებულნი და ალაგმო ამპარტავენები“.

(Tu regere imperio populos, Romane, memento;
Hæc tibi erunt artes, pacisque imponere morem,
Parcere subiectis, et debellare superbos)¹.

დაუმორჩილა რა ხალხის ხელისუფლებას „ქვეყნების წრე“, მოარიგა რა გოროზნი და ამაყნი, მიანიჭა რა კანონები და განამტკიცა რა მშვიდობიანობა, ავეუსტუსმა ალაღინა „ოქროს ხანა“ (aurea saccula), როგორც ეს იყო სატურნის დროს, რომელიც ოდესღაც მართავდა ლაციუმის მინდვრებს.

(Augustus Caesar, Divi genus; aurea condet
Saecula qui rursus Latio, regnata per arva
Saturno quondam)².

პატრიოტული ხმები გაისმის აგრეთვე ავეუსტუსის საუკუნის მეორე შესანიშნავი ლიტერატურული პიროვნების კვინტუს ჰორაციუს ფლაკის (Quintus Horatius Flaccus, 65—8 წ. ძვ. წ.) ნაწარმოებებშიაც. აზატის შვილმა ქალაქ ვენუზიონიდან, რესპუბლიკელმა, კასიუსისა და ბრუტუსის რიგებში რომ იბრძოდა, ჰორაციუსმა სამარცხვინოდ დაავდო ფარი (parma male relicta) ფილიპთან დამარცხების შემდეგ და გადავიდა ოქტავიანეს მხარეზე. იგი გრძნობდა საშინელ დაღლილობას განცდილი საზოგადოებრივი და პირადი ქართვეილის შემდეგ, ჰორაციუსს, თავის თანამედროვეთა უმრავლესობის მსგავსად, მარტო ერთი რამ სწყუროდა—ომის შეწყვეტა, მშვიდობიანობის და წესრიგის დანყარება. ომის გაგრძელება უქადის საშინელ ბრძოლებს, რასაც შეუძლია მოსპოს რომაული საზოგადოება და ჩანთქას მთელი მისი კულტურა. აფორიაქებულ რომის საზოგადოებას ჰორაციუსი ადარებს იმ ხომალდს, რომელიც ექანება ბობოქარ და გაშმაგებული ზღვის ტალღებზე.

¹ Verg., Aen., VI, 851—853.

² Ibid., 792—794.

მეშვიდე ეპოდში ჰორაციუსი მეხსა და რისხვას ატეხს ყველა ამბოხებულ ელემენტს, რომელიც აღვივებს და ახანგრძლივებს შინაგან შუღლს:

საით, საით მიისწრაფით, შეჩვენებულებო,
ხმალი რომ ამოგიწვდით უგუნურების ჟამს?
ნუთუ ცოტა მინდორი და ტალღა ზღვისა
არ ის მორწყული რომაელის სისხლით?
განა იმისთვის, რომ ხარბი კართაგენის
ციხე-სიმაგრე რომაელებმა გადასწვათ,
განა იმისთვის, რომ ძღვეულმა ბრიტანელმა,
შებორკილმა გაიაროს რომზე.
არამედ იმისთვის, რომ პართიელების სასიხარულოდ,
ჩვენი რომი საკუთარი ხელითვე დაიღუპოს?
არც ლომები, არც მგლები ასე არსად არ მძვინვარებენ,
ისინი მტრობენ მარტო სხვა ნადირს.
დაბრმავდით განა? მძვინვარებამ ზომ არ წარგიტაცათ?
ან იქნებ ვისიმე ცოდვამ აგიტანათ? მიპასუხეთ.
მღუმარებენ... და სახე ყველას მკვდარსავით უფითრდებათ,
კეჟა ეყინებათ...
ღიახ. რომაელებს სდევნის სასტიკი ბედი
იმ ძმათა შორისი მკვლევლობის დღისათვის,
როცა იღვრებოდა რემის სისხლი უმანკო,
სისხლი, ჩამომავალთა მაწყევარი ¹...

ომს ბოლო მოულო კეისარმა ოქტავიანე აევუსტუსმა, რომელიც ჰორაციუსის თვალში ჩანს ქვეყნად გამოგზავნილ ღმერთ მაცხოვრად—მესიად, რომის მხსნელად ანტონიუსისა და „გარყვნილი დიაცის“ (კლეოპატრას) მხეცური თვითნებობისგან.

სამყაროს მამავ და მუდმივო მცველო,
შენ ბედისაგან კეისარისთვის მცველად რჩეულო,
მოგემადღენ, რომ შენს მერე მეორე მბრძანებლად
კეისარი იყოს ჩვენზედა.
მოჰყავს ტრიუმფში, სიამაყისთვის სასიამოვნოში,
უხომოდ თავმომწონე პართები რომის წინაშე,
ან ძრწიან მძლავრის წინაშე აღმოსავლურ უდაბნოში
ინდოელები და სერები (ჩინელები),
შენზე უმრწემესმა, დეე, მან განაგოს მსოფლიო;
ხოლო შენ, მთიანო ოლიმპო, იგრგვინვე ეტლით,
შენ კალაკები უწმინდურები გადაბუგე განრისხებულნი
შენი მეხ-ელეიანი მარჯვენით ².

¹ Horat., Epod., I, 7.

² Ibid., Od., I, 12.

ჰორაციუსი ადიდებს ავგუსტუსს მისი რესტავრაციული პოლიტიკისათვის, რომელი სიმამაცის აღდგენის, ტაძართა განახლებისა, ზნე-ჩვეულებათა და ოჯახის გაჯანსაღების მეცადინეობისათვის. რკინის საუკუნემ განვლო, ამოდის ახალი ოქროს საუკუნის, ბედნიერებისა და სიხარულის სამყაროს, დილის ცისკარი.

ერთგულება, ზავი და პატივი, ძველთა სამართლიანობა, სიმამაცე, რაც შეურაცხყოფილ-დავიწყებული იყო.—თამამად მოდიან ჩვენსკენ, და მადლიანად იურქევეა სიუხვე სავსე ყანწიდან¹.

რესპუბლიკური წყობილება, ამბობს ჰორაციუსი, დასცა არა კეისრისა, ანტონიუსის და ოქტავიანეს მახვილმა, არამედ იგი გაიხრწნა შინაგანი სიბილწისაგან, ძველებური სიწმინდისა და სიმამაცის დაკარგვის გამო. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: პოლიტიკური წესწყობილება უნდა გადახალისდეს, იმიტომ რომ ხალხი გადავარდა.

არა ასეთი მამებისაგან იყო ოდესღაც შობილი ხალხი, რომელმაც ზღვის უფსკრულს წითელი ფერი მისცა კართაგენელთა გვამებით; ვინც პიროსი დაამარცხა და ძლიერი ანტიოქე, და ჰანიბალი მრისხანე. ისინი იყვნენ მეომარ-მხენელთა შვილები, ჩვეულნი საბინური წერაქვით ხნულის გადაბრუნებას; მათ დედისგან თავიდანვე ჩანერგილი ჰქონდათ შიშიც და შრომაც; ისინი საღამო ვაშს ეზიდებოდნენ მასთან შეშას, როცა დეღამიწის ბინდზე მზისგან მთისა თხემები წითლად ბრწყინავდნენ, და უუღლო ხარები ზღაზვნით ნელა მიდიოდნენ, და ღამეც მოიჩქაროდა ნათელი ეტლის კვალდაკვალ².

რომის განდიდებისა და ამ დიდების მატარებელთა—კეისრისა და ავგუსტუსის გაღმერთების იდეებმა მოიცა აგრეთვე ავგუსტუსის დროინდელი მესამე დიდი პოეტი პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი (Publius Ovidius Naso, ძვ. წ. 43 წლ.—17 წ. ახ. წ.). „მეტამორფოზებში“ (სახეცვლებში) ოვიდიუსი გადმოგვცემს მსოფლიო ევოლუციის ისტორიას, მოკიდებული ქაოსიდან და გათავებული იულიუს ცეზარის, ავგუსტუსის ღვთაებრივი წინაპრის, აპოთეოზით. ავგუსტუსის რომი ოვიდიუსის ისევე, როგორც ვერგილიუსის, წარმოსახვით წარმოდგენილია, როგორც მსოფლიო ევოლუციის უკა-

¹ Horat., Carm. saec., 56—60.

² Horat., Od., III, 6.

ნასკნელი რგოლი, რომელიც შეიცავს კაცობრიობის ყველა მიღწევას. ცეზარი სიკვდილის შემდეგ კი არ გაქრა, არამედ გადაიქცა მოელვარე ვარსკვლავად, რაც, ეს თავისთავად იგულისხმება, ავგუსტუსის მიმართაც უნდა მოხდეს.

ლიტერატურის ისტორიაში ოვიდიუსი ცნობილი იყო როგორც ეროტიკული პოეტი, როგორც სატრფიალო ელეგიების ავტორი— „ხელოვნება სიყვარულისა“ (*Ars amandi*) „სიყვარულის საწინააღმდეგო წამალი“ (*Remedia amoris*). რეაქციის ხანაში ადამიანის მისწრაფებათა კონცენტრაცია ორი რამის—ფულის შოვნისა და სექსუალური ემოციების—ირგვლივ ხდებოდა. რომი გადაიქცა მსოფლიო² მამულების სავაჭრო-სავაზშო კაპიტალის უშველელ ქალაქად, სადაც მოედინებოდა მთელი მსოფლიოს სიმდიდრე, ეს იყო სპეკულაციისა, ფულის შოვნა-გამდიდრებისა, გართობათა და გარყვნილების ქალაქი. ლტოლვა ფულისადმი საერთო ლტოლვა იყო.

„ჩვენ მიწას ვთხრით, რომ შიგ ოქრო ვიპოვოთ, იმის მაგიერ, რომ იგი მოეხნათ მოსამკელად“¹.

დაგროვილ სიმდიდრეს იყენებდნენ, უპირველეს ყოვლისა, პირად სიამოვნებაზე. ქეიფში დროს ტარება მოდად იქცა მაღალ კლასებს შორის, რომის ოქროს ახალგაზრდობის წრეებში. სწორედ ამ ახალგაზრდობის ფსიქოლოგია აქვს კიდევ აღბეჭდილი თავის სატრფიალო ელეგიებში ოვიდიუს ნაზონს, რომლისთვისაც აგრეთვე არ იყო უცხო ამგვარი განწყობილება.

ოვიდიუსის პოეზიის ძირითად მოტივს შეადგენს ენებიანობა და სიყვარული.

„იმის მსგავსად როგორც მხედარს ამაოდ უჭირავს აღვირი, ქაფით შესაპნული, და ვერ შეუძაგრებია ცხენი, მას რომ უფსკრულში მიაქანებს; იმის მსგავსად როგორც ხომალდს, რომელმაც, აი, უკვე ნაპირს მიაღწია, ერთბაშად წამოქროლილი ქარის ძალა შორს გადასტყორცნის, სწორედ ასევე მეც მუდმივ მიტაცებს კუპიდონი და ყოველთვის მისი ისრებით ვარ ხოლმე განაწონები“.

ოვიდიუსის ეროტიკული ფუქსავატი პოეზია არ ეწყობოდა ავგუსტუსის კონსერვატულ პოლიტიკას. ამ ნიადაგზე უნდა მომხდარა იყო მათ შორის უთანხმოება, რაც დამთავრდა ოვიდიუსის გადასახლებით პონტოს ჩრდილო-დასავლეთ ნაპირზე (ქალაქი ტომისი).

¹ Ovid., Met., I, 135.

მხის ქვეყნის მეფემ დასაჯა კაცი,
 ის ჩვენს მხარეში გადმოსახლა
 უსასტიკესი წესების დაცვით,
 იყო ხნიერი, მაგრამ სულით კი
 იავევ კაბუკი; ხელთ ეპყრა თარი;
 ჰქონდა მგოსნობის ნიჭი, უნარი
 და ხმაც ნაკადის ხმაურის დარი.
 დუნაის პირად ცხოვრობდა მუდამ
 წყნარად და მშვიდად, არვის ქირდავდა:
 ყველას უყვარდა; ყველა უყვარდა;
 ლამაზ ზღაპრებით ხალხსა ხიბლავდა.
 გამოცდილება არ ჰქონდა დიდი,
 ბაეშეს ჰგავდა იგი სისუსტით, მადით;
 სხვები არჩენდნენ: იკერდნენ მისთვის
 ტყეში ნადირს და წყალში თევზს ბადით.
 როცა ზამთარი წყალს გაჰყინავდა,
 შფოთავდა ქარი, ცივი, მაგარი,—
 ამ წმინდა მოხუცს ბეწვეულებში
 ხვევდნენ სათუთად, როგორც მარგალიტს.
 მაგრამ მოხუცი ვერ შეეჩვია
 ლარიბულ ყოფას და დღიურ ზრუნვას;
 მიმოდიოდა მთლად ჩამომხმარი
 და ეძღეოდა სევდას და ურვას.
 ამბობდა: ჩემზე განრისხდა ღმერთი,
 ცოდვებისათვის დამსაჯოს უნდა!
 და დადიოდა დუნაის პირად,
 რწყავდა ცრემლებით მიდამოს მუდამ.
 მოიგონებდა რა მშობელ ქალაქს,
 მის მწუხარებას არ უჩნდა ბოლო...
 და რომ კედებოდა, უკანასკნელად,
 ერთი ანდერძი დასტოვა მხოლოდ:
 რომ მისი ძვლები, ესდენ ტანჯული
 და დაგესლილი გველის ნესტარით,—
 გადაეტანათ სამხრეთის ცის ქვეშ,
 რომ მშობელ მიწის ესვათ ნექტარი¹.

„ოქროს საუკუნის“ ყველა ზემოხსენებულ მწერალსა და პოეტს—ვერგილიუსს, ჰორაციუსს, ოვიდიუსს და სხვებს,—პატრიოტულ მოტივებთან ერთად და რომის დიდებისა, აგრეთვე ოქტავიანე ავგუსტუსის პიროვნებაში მისი განსახიერების წინაშე აღტაცებასთან ერთად, ემჩნევათ ეპოქის ერთი ნიშანდობლივი თვის-

¹ ა. პუშკინი, ბოშები, თარგმანი ვარლამ რუხაძისა (ამოღებულია „ფედერაციას“ გამოცემიდან) პოემები, 1934, გვ. 18—19.

სებაც—სოფლის უბრალო ცხოვრების იდეალიზაცია და წარსულის თაყვანება. ამგვარი პატრიარქალური განწყობილება სავსებით ეთანხმებოდა ავგუსტუსის პოლიტიკის ოფიციალურ კონსერვატორულ-რესტავრატორულ კურსს. რომაული იდილიური პოეზიის სიტყვაკაზმულ ნიმუშს, რომელიც ეჭრფოდა და აქებდა ბუნებასა და ბუნების წიაღში ცხოვრებას, წარმოადგენენ ვერგილიუსის მწყემსურ-გლეხური ელეგიები—„ბუკოლიკები“ და „გეორგიკები“, დიდაქტიკური პოემები, რომელნიც მიძღვნილია იტალიის სოფლის მეურნეობას მთავარ სახეობათა: მესაქონლეობისა, მიწათმოქმედებისა, მებაღეობისა, მეფუტკრეობისა და მისთანათა მიმართ. მოხდენილი ერთ და მსუბუქი სტილით დაწერილი ვერგილიუსის გლეხური და მწყემსური სიმღერები (ელეგიები) უმღერის ბუნებას, სოფლურ ცხოვრებას და სოფლის მყუდროობას. ვერგილიუსი აღტაცებულია ბუნების სიდიადით და სოფლის მუშაობის გამაცხოვლებელი მოქმედებით. ბუნების მშვენიერ ფონზე წარმოისახება კეთილმსახური, შრომის მოყვარე მიწათმოქმედის ტიპი, ახალი პოლიტიკური წყობილების პოეტიზირებული საყრდენი ძალის ტიპი. ბუკოლიკურ იდილიათა ნიმუშად რომაელ პოეტებს ჰქონდათ სიცილიელი პოეტის თეოკრიტეს იდილიები.

სენტიმენტალური-იდილიური მოტივები და არქაიზაცია მოიპოვება აგრეთვე იმავე ვერგილიუსის მთავარ ნაწარმოებში „ენეიდა“-ში. ლათინები, რომელთაც შეერივნენ ტროელები, განებივრებულ აღმოსავლურ ხალხებისადმი დაპირისპირებით წარმოდგენილნი არიან ტლანქ ადამიანებად (*durum genus*), რომელნიც თავიანთ ბავშვებს აკაუებენ დაბადების დღიდანვე გაყინულ წყალში გაბანავენით. „მათი ქაბუკები დროს ატარებენ ნადირობასა, ომში, ცხენთა გახედნაში, ისრის სროლაში ან კიდევ თავიანთ მინდვრებზე მუშაობაში“. „ახალგაზრდობა მუშაობაში მომთმენია და მცირეს ჯერდება, მიწას თოხით აბრუნებს ან ომით ქალაქებს შიშის ზარსა სცემს“¹.

ძველი ლათინური ახალგაზრდობის უბრალოება. უპირისპირდება „ოქროს ხანის“ რომის საზოგადოების წარყვნილ ზნეს.

ჰორაციუსის, ოვიდიუსის, ტიბულუსისა და პროპერციუსის ლირიკულ ნაწარმოებებში ასახულია ბუნების სილამაზით აღტაცების იგივე მოტივები; ეს სილამაზეა სოფლად ცხოვრების სიწმინდე და სილალე ვენახებს შორის, მოჩქრიალე ნაკადულის პირას, წყლის

¹ Verg., Aen., IX, 603—613.

შხეფების მახლობლად, ოღონდ ამ მოტივებს ოდნავ გადაჰკრავს მელანქოლია და ეპიკურეიზმი.

ავგუსტუსის დროის პოეტების დიდი ნაწილი თვითონვე ეკუთვნოდნენ საშუალო შეძლების მიწათმფლობელ-მემამულეთა წრეს და ამიტომაც ისინი თანაგრძნობით მხარს აძლევდნენ ავგუსტუსს საშუალო შეძლების მექამულეთა სოფლის აღორძინების მის აგარაულ პოლიტიკაში და ლექსად გამოთქვამდნენ მათთვის კარგად ნაცნობ განცდებს. „მეო,—ამბობს ჰორაციუსი,—სოფლის მოყვარული ვარ... მე ალტაცებაში მოყვევარ ნაკადულს, თვალწარმატაც სოფელს, ხავს-მოკიდებულ კლდეებს, ჭალებს. ერთი სიტყვით, მე ვცოცხლდები, მე ვმეფობ, როცა კი ვტოვებ მას, რაც ყველა თქვენ ბრბოსთან ერთად ცამდე ავყავთ. როგორც ქურუმის ლტოლვილ მონას, მე არ მინდა თაფლიანი სამსხვერპლო ლავაშები, მე მესაქიროება პური, რომელიც ჩემთვის ყველა ნუგბარზე გემრიელია“¹.

ბუნების იდეალიზაციასთან ერთად გადაკლდეული იყო ძველებურ დაწესებულებათა და ცხოვრების პატრიარქალური წყობის იდეალიზაცია, რაც უპირისპირდებოდა თანამედროვე მოუძღურებულ სამყაროს. გარემომცველი სინამდვილე, მისი სასტიკი ბრძოლა არსებობისათვის, ზოგიერთების მხრივ ცხოვრების მოყირკება, ხოლო სხვათა მხრივ საშინელი და მძიმე გაქირვება წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც სოციალური იდეალის სრული წინააღმდეგობა. სოციალურ უტოპიებს „ოქროს საუკუნის“ (aevum aureum, aurea aetas) შესახებ თვალსაჩინო ადგილი ეკირათ ბერძნულ და რომაულ ლიტერატურასა და პოეზიაში. „ოქროს ხანის“ პოეტები—ვერგილიუსი, ჰორაციუსი, ოვიდიუსი, ტიბული, პროპერციუსი—არ კმაყოფილდებოდნენ გარემო სინამდვილით და თავის დროის მოდის ამყოლნი ოცნებით მიჰქროდნენ შორეულ წარსულში, სატურნის „ოქროს ხანაში“, როცა არ იყო არც ღარიბი, არც მდიდარი, არ სუფევდა არც მტრობა და არც მოტყუება.

იუპიტერამდეო,—ამბობს ვერგილიუსი,—არ იყო საქიროება მინდვრის დამუშავებისა, მიწის დაყოფისა ცალკე ნაკვეთებად და კერძო საკუთრებად,—ყველაფერი მაშინ საერთო იყო; დედამიწა ყოველივეს თავისდათავად იძლეოდა და იძლეოდა დიდი რაოდენობით, ამიტომაც არ იყო ძალმომრეობაო².

¹ Horat., Epist., I, 10.

² Verg., Georg., I, 125—128.

პოეტები მოუწოდებენ რომაელებს, ხანგრძლივი ომებით მოქანცულებსა და ქალაქური კულტურით თავმოებზრებულებს, გაიქცნენ ნეტართა ქვეყანაში ოკეანეს გაღმა მხარეში, გაიქცნენ მოწობისა და რაფინირებული კულტურის ატმოსფეროდან ბუნების წიაღში, გამოყრუებულ სოფელში, ნეტართა კუნძულზე. სატურნის სამეფოში ხალხი მართლაც კარგად ცხოვრობდა: მაშინ გემი ჯერ კიდევ არა სერავდა ზღვის მოქუშულ ტალღებს, იალქანი არ უშვერდა თავის ღია მკერდს ქარის გრივალს, სახლებს კარი არ ჰქონდათ შებმული და სამიჯნო ქვეები არ ყოფილა აღმართული თვალუწვდენელ მსუყე მინდვრებზე.

ოვიდიუსის პირველ „მეტამორფოზაში“ მოთხრობილია, თუ როგორ გულდასმით მოხაზა მიწათმომქმედმა გრძელი ხაზით მინდვრების მიჯნა, წინათ რომ საერთო სარგებლობაში იყო ჰაერივით და მზის შუქივით. არსებული წესწყობილებით უკმაყოფილების იმავე ნიადაგზე აღმოცენდებოდა ხოლმე რელიგიურ-მისტიკური იდეები და ისეთი განწყობილებანი, რომელნიც მკიდროდ იყვნენ გადაქდობილნი ძველებური ცხოვრების იდეალიზაციასთან და ბუნების კულტთან¹.

პატრიარქალურ-იდილიურმა განწყობილებებმა გაიტაცეს აგრეთვე ავგუსტუსის დროის უაღრესად გამოჩენილი ისტორიკოსიც, პადუელი ტიტე ლივიუსი (Titus Livius, 59 წ. ძვ. — 17 წ. ახ. წ.), 140 წიგნად დაწერილი „რომის ისტორიის“ ავტორი. ლივიუსის „ისტორიის“ ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა ანალოგიურია ვერგილიუსის „ენეიდასი“. დიდძალი საისტორიო მასალის (ანალების, ლეგენდების, ეთნოლოგიური მითების, საისტორიო პუბლიცისტიკისა და სხვა ამგვარის) საფუძველზე ლივიუსმა მოგვცა რომის ისტორიის მწყობრი თხრობა, მოკიდებული ქალაქის დაფუძნებიდან (ab urbe condita), ვიდრე პრინციპატის დასაწყისამდე. ლივიუსის ისტორია ერთსადაიმავე დროს არის ისტორიული და სიტყვაკაზმული ლიტერატურული ნაწარმოები, „მკვერმეტყველების პროფესორის“ მიერ დაწერილი. ლივიუსის ისტორიის ზოგიერთი სურათი, მეტადრე XXI და XXII წიგნები, რომლებშიც აღწერილია რომის კართაგენთან ბრძოლის ეპოპეა, მიეკუთვნება ანტიკური ლიტერატურის საუკეთესო ისტორიულ-მხატვრულ ძეგლებს.

ლივიუსმა მიზნად დაისახა იმის ჩვენება, თუ რომელი ისტორიული ნერვიდან გაიზარდა მისი თანამედროვე რომის სახელმწიფო,

¹ Ovid., *Metamorph.*, I.

და ქალაქი რომი და იტალია როგორ შეიქმნენ მთელი ხმელთაშუა-ზღვეთის ჰეგემონები. სწორედ ამ საკითხის გამოკვლევას მიეძღვნა 140 წიგნიანი „რომის ისტორია“, რომელშიც ლივიუსი ავითარებს ისტორიის მთელ ფილოსოფიას, მიუღწევებელ სიმაღლემდე აყავს მას რესპუბლიკური ტრადიციები და ფრთხილად უპირისპირებს თავის თანადროულობას, მას რომ ყველაფერში ვერ აკმაყოფილებდა, იმ დიად წარსულს, რომელმაც შექმნა imperium Romanum, ძალუმი ხასიათის მქონე პირებით, დრამატიზმითა და მიუბაძავი გმირობა-ვაჟაკობით აღსავსე. იმ ძალად, რომელმაც შექმნა დიდი რომი, ლივიუსი თელის რომაულ სიმამაცეს, რომაულ ვაჟაკობას (virtus romana), საზოგადოებისა და ინდივიდის ყველა მაღალ თვისებას,—სამართლიანობას (iustitia), ზომიერებას (moderatio), ერთგულებას (fides) და კეთილშესახურებას (pietas) რომ შეიცავდა. ამ თვისებათა ძალით ძველ რომაელებს ყოველთვის ომს ერჩიათ ირგვლივ მყოფ ხალხებთან კავშირი, ხოლო თვითონ ომის განმავლობაში ისინი ცდილობდნენ უფრო გაფრთხილებითა და ნდობით ემოქმედათ, ვიდრე მუქარით. ამ მხრივ რომაელთა პირდაპირ წინააღმდეგობას წარმოადგენდნენ რომის მტრები—ეტრუსკები და პუნები, რომელნიც მოქმედებდნენ მოტყუებით (fraus), მხაკრობით (perfidia) და ყოველგვარი უკუღმართობით (insidiae)¹, რომელთა ყველა ეს თვისება, გაერთიანებული ერთ სიტყვაში „რომაული სიმამაცე“ (virtus), ლივიუსის მიხედვით, ისევე როგორც ვერგილიუსით, მოცემულია რომაელთა ბუნებაში—იმ ხალხის ბუნებაში, რომელიც ბედის თუ განგების მიერ რჩეულია დიად საქმეთა მოსამოქმედად².

რომის საგარეო და შინაგანი ისტორია აღსავსეა, ერთი მხრით, მძიმე განცდებით და გარეშე მტრებთან ბრძოლით, ხოლო, მეორე მხრით, თვით მოქალაქეთაშორისი ბრძოლით. და მაინც, ყოველნაირი სიძნელის მიუხედავად, მისდა მინიჭებულ მაღალ თვისებათა ძალით, რომი ყველა ამ საფრთხიდან გამოვიდა ძლევამოსილი.

ლივიუსის „რომის ისტორია“ არ არის საისტორიო გამოკვლევა ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, ის უფრო წაავსებს საისტორიო რომანს, დრამატიზმით აღსავსეს, ან ეპოსს, რომელიც დაწერილია პირველხარისხოვანი ოსტატის მიერ, კარგად რომაა დაუფ-

¹ Liv., I, 15, 4; I, 53, 4.

² Ibid., XLIV, I.

ლებული საისტორიო მასალას და დაჯილდოვებულია ისტორიული კომპოზიციის ნიჭით.

ავგუსტუსის დროის პოეტებისა და ისტორიკოსების, მეტადრე ვერგილიუსისა და ლივიუსის, გავლენა მომდევნო თაობებზე ძალიან დიდი იყო: მათ აღიდეგდნენ, კითხულობდნენ, გადაიწერდნენ, სწავლობდნენ და მათით კომპილაციას ახდენდნენ. ლივიუსი იყო რომის უკანასკნელი დიდი ისტორიკოსი, რომელიც თავისი წერის სტილითა და აზრთა წყობით ენათესავებოდა რესპუბლიკური დროის ისტორიკოსებისა და ლიტერატორების დასს, ყველაზე უფრო მეტად სალუსტის და ციცერონს. ლივიუსის შემდეგ რომის ისტორიოგრაფიას დაახლოებით 100 წლის მანძილზე არ მოუცია დიდი ორიგინალური ისტორიკოსი. ამის მიზეზი მდგომარეობდა იმ ობიექტურ პოლიტიკურ პირობებში, რაც შეიქმნა ავგუსტუსის მომდევნო მოადგილეების, კლავდიუსების დინასტიის პრინციპსების დროს. გაშმაგებული ბრძოლა გაბატონებული კლასის შიგნით, თავისუფალი მოქალაქეობის წრეში მრავალი წინააღმდეგობის არსებობა და, როგორც ამის შედეგი, იმპერატორების მიერ თავისი მდგომარეობის მერყეობის შეგნება, შეუძლებლად ხდიდა რამდენიმედ მაინც სისწორითა და მართლად ამბების თხრობას და დამოუკიდებელი აზროვნების ხალხს ისტორიისკენ ვერ იზიდავდა. ყოველივე ის, რაც კი დაწერილი იყო რომის ისტორიაში ლივიუსსა და ტაციტუსის შორის ხანაში, არ წარმოადგენს დიდ ისტორიულ-კულტურულ ღირებულებას, სავსეა დუმილით გვერდზე ავლითა და სინამდვილისგან შეგნებული დაცილებით.

ისტორიის შედგენის სიძნელის მეორე მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ ისტორიული კვლევის თვითონ ობიექტი ფართო იყო. ძველ ქალაქურ რესპუბლიკასთან შედარებით იმპერია წარმოადგენდა უზარმაზარ სახელმწიფოს, რომელსაც შეადგენდა მრავალი ცალკეული ნაწილი და თითოეულს მათგანს ჰქონდა თავისი საკუთარი ისტორია. მასალის სიუხვე და მომქმედ პირთა სიმრავლე ისტორიკოსს სავსებით თრგუნავდა და მთელი სერიოზულობით აყენებდა საკითხს საისტორიო მასალის მეთოდსა და შერჩევაზე. ამ საგნის შესახებ მოიპოვება ისტორიკოს კასიუსის დიონის საინტერესო ნათქვამი, რომელიც ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელ დროს მიეკუთვნება, მაგრამ აზრით სავსებით უდგება მიმდინარე პერიოდსაც.

„მას შემდეგ, რაც,—მსჯელობს დიონი,—დამყარდა მონარქია, ყველაფერზე მღუმარებენ, როგორც სახელმწიფო საიდუმლოებაზე“—ო.

მასაც კი, როცა რაიმე ქვეყნდება, არ შეიძლება დაენდოს ადამიანი, რადგანაც ყოველივე თქმული და ყოველივე გაკეთებული ისეა თქმული და ისეა გაკეთებული, როგორც ეს სურთ მონარქსა და მის მსახურებს... დაბოლოს, თვით სახელმწიფოს ზრდა და მასში მომხდარ ამბების დიდი რაოდენობა სერიოზულ ისტორიკოსს მის სამუშაოს უაღრესად უძნელებს. რომში, პროვინციებში, სამხედრო მოქმედებათა ასპარეზზე, ყოველთვის, თითქმის ყოველდღიურად, ძალიან ბევრი რამ ხდება, რომელთა შესახებ პირწმინდა სიმართლის გაგება ადვილი არაა, თუკი თვითონ არ იღებდი ამ ამბებში. მონაწილეობას, ადამიანთა უმრავლესობა კი ვერასდროს ვერაფერს გაიგებს მომხდარი ამბისას¹.

საიმპერატორო რომის ტიპიური ისტორიკოსი იყო კავალერიის პრეფექტი ველეუს პატერკული, ტიბერიუსის დროს რომ ცხოვრობდა. ველეუს პატერკული არ იყო მოკლებული ლიტერატურულ ნიჭს, ბევრ ადგილას ნამგზავრი და ბევრი რამის მნახველი, სამსახურიდან გადადგომის შემდეგ მოკლილი, შეუდგა საისტორიო შრომის შედგენას, რომლის ნაწილი „რომის ისტორია მარკოს ვინიციუსის კონსულობამდე“ ჩვენამდე მოვიდა ორ წიგნად. ველეუს პატერკული, იმპერატორთა პერიოდის ისტორიკოსთა უმრავლესობასავე (ტაციუსი, ფლორი, დიონი და სხვანი), საისტორიო პროცესს იხილავს ბიოლოგიური თვალსაზრისით, განსხვავებს რა ერთი მეორისაგან ბავშვობის, ყრმობის, ჭაბუკობისა და მოხუცებულობის პერიოდებს. ხალხთა ცხოვრება—ასეთია დასახელებული ისტორიკოსების თვალსაზრისი—მიმდინარეობს იმ კანონების მიხედვით, რომელნიც ანალოგიურია ყოველი ცოცხალი ორგანიზმისა და, პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, ადამიანისათვის არსებული კანონებისა. რომის ისტორია ველეუს პატერკულის წარმოსახვით წარმოადგენს იმ ცალკეულ პირთა ისტორიას, რომელნიც ქმნიან ისტორიას ან, სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ესაა დიდ ადამიანთა ბიოგრაფია. ამ მხრივ პატერკულმა ხარკი მიუძღვნა თავის დროს. საისტორიო თხრობის ბიოგრაფიული ენარი იყო ერთ-ერთი მეტად გავრცელებული სახეობა ისტორიის წერისა იმპერატორთა პერიოდში. შინაგანი კავშირი ამბებს შორის ველეუს პატერკულის თხრობაში არ ჩანს საკმაო სიცხადით, ამბები ერთიმეორეს მისდევს ისე, რომ არაა აღნიშნული მიზეზობრივი კავშირი და ურთიერთშეპირო-

¹ Dio Cass., LIII, 19.

ბება. პატერკულის ისტორიის ცენტრში დგას იმპერატორი ტიბერიუსი, ისტორიკოსის მუარველი და მისი თაყვანების საგანი.

2. პლასტიკური ხელოვნება, მაცნიერება და ფილოსოფია

პრინციპატის მხატვრული სტილი აღბეჭდილია სააღმშენებლო და პლასტიკური ხელოვნების ძეგლებზე. რესპუბლიკის ბოლო დროიდან იწყება მშენებლობის ხანა, რომელიც გრძელდება იმპერიის თვით დასასრულამდე. ყოველივე ის, რაც კი გაკეთებული იყო წინა თაობების მიერ, რაოდენობით, გრანდიოზულობით და ბრწყინვალეობით ვერ შეედრებოდა იმპერატორთა პერიოდს. იმპერატორთა დროის შენობები, რომელნიც განიჩეოდნენ მრავალფეროვნებითა და დიდ მშვენიერებით, შენდებოდა სახელგანთქმულ ხელოვან-ხუროთმოძღვრების მიერ ძვირფასი მასალისგან, უმთავრესად მარმარილოსაგან.

იმ დროის საერთო ნიშანი—ფორმის სრულყოფა, ოსტატობა და მოხდენილობა—არანაკლებადაა აღბეჭდილი პლასტიკურ და სახვით ხელოვნებაში, ვიდრე ლიტერატურასა და პოეზიაში, მაგრამ ამასთანავე ერთად იმპერიის ხელოვნების ყველა ნაწარმოებს აზის დასესხების, ბერძნულ-ჰელინიკური ნიმუშებისადმი წაბაძვის ბეჭედი, იგრძნობა კარგი სკოლების გავლენა, მაგრამ თითქმის სრულიად არ ჩანს თავისთავადობა და დამოუკიდებლობა. აქედან გამომდინარეობს რომის კლასიკური პლასტიკური და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა, მათ ბერძნულ ნიმუშებთან შედარებით, უსიცოცხლობა, ზერელებობა და არამალალი მხატვრული ღირებულება.

ავგუსტუსის დროის შენობათა შორის ყველაზე უფრო მეტ მხატვრულ ღირებულებას წარმოადგენდნენ „მშვიდობიანობის ტრაპეზი“, „ფორტუნას ტრაპეზი“, „მაგნოლეთი“, — ავგუსტუსისა და მისი სახელეულობის განსასვენებელი, რომელსაც გარს არტყია მშვენიერი ბაღი, — და მრავალი სხვა. „მშვიდობიანობის ტრაპეზი“ (ara Pacis) ერთ-ერთ ფრიზზე გამოსახულია ნაყოფიერების ქალღმერთი ორი ბავშვით, რომელნიც სიმბოლიურად წარმოადგენენ ბედნიერ იტალიას, სავსეს და მდიდარს პურით, ღვინით, ნაყოფითა და საქონლით. იმპერატორის საპატივცემლოდ მოწყობილ სახვიმო პროცესიაში, რაც შეადგენს კომპოზიციის შინაარსს, მოცემულია მთელი რიგი დამახასიათებელი პორტრეტები იმპერატორისა, მისი ცოლის ლივიასი და მისი ოჯახისა.

ნაგებობათა დიდი ნაწილი აშენებული იყო თვითონ პრინციპ-სისა ან მისი მეგობრების პირადი სახსრებით. ავეუსტუსის მეგობართა თანხებით აგებულ შენობათა შორის უფრო მეტ ინტერესს წარმოადგენს აგრიპას „პანთეონი“¹, აგრიპას საზოგადოებრივი (თერმები), ავეუსტუსის ძმისწულის მარცელის თეატრი, პომპეუსის ახლადშეკეთებულ თეატრის გვერდით, და სხვ. ყველა შენობაში გაბატონებულია ერთი იდეა—რომისა და მისი გაღმერთებული მესვეურის—ავეუსტუსის დიდება.

აშენებდნენ არა მარტო საზოგადოებრივ შენობებს, ტაძრებს, სტოებს და სასახლეებს, არამედ კერძო შენობებსაც (palatia). რომის უმაღლესი კლასების ყოფა-ცხოვრება პრინციპატის ხანაში განირჩეოდა დიდი ფუფუნებით. მაგნატების სახლები სავსე იყო ძვირფასი სასაძილო და სამზარეულო ქურქლეულობით ოქროში დაფერილი ვერცხლისაგან, კოვზებით, სამარილეებით, ყოველნაირი კრატერით, ფიალებით, ტაფებით, ორთომელებით, კანდელაბრებით, სარკეებით და ნაირნაირი ბრინჯაოს, სპილენძის და ხის საგნებით. ყველაზე უფრო მეტი მოხდენილობით გამოირჩეოდა გემები—ძვირფას თვლებზე ამოჭრილი გამოსახულებანი. მეტადრე კი ავეუსტუსის გემმა (gemma Augustea), რომელიც გამოსახავდა ავეუსტუსს იუპიტერის სახით ნაყოფიერების ქალღმერთით, ზღვათა ღვთაებით ნეპტუნით, დედამიწისა და საწარმოო ძალთა ქალღმერთით კიბელათი გარემოცულს, რელიეფის ქვედა ნაწილში გამოსახულია ტიბერიუსის ტრიუმფი—რომაელი ჯარისკაცები ტროფეის აგებენ პანონიელებზე ტიბერიუსის გამარჯვების პატივსაცემად.

მდიდარი ვილებისა და სახლების კედლები, სვეტები და იატაკები შემკული იყო ფერადი მოზაიკით (სოფიას კენჭით), დეკორატიული მხატვრობით, ხანდახან ძალიან ღვლარქნილი სუეტიით და მოხდენილი ჩუქურთმით. კედლის დეკორატიული ხელოვნების, ორნამენტიკისა და სურათის ნიმუშს წარმოადგენს ლივიას ვილას კედლების მოხატულობა რომის მიდამოებში. რომაელთა მოზაიკური ნამუშევრის მრავალი ნიმუში შენახულია პომპეის სახლების კედლებზე. ასეთია, მაგალითად, ფრესკები „ბახუსის მოცეკვავე ქურუმი ქალები“, „ლვინის დამყენებელი“, „ჯამბაზები“, „სამსახიობო ნიღბები“ და სხვ.

რომაული ორნამენტიკის შესწავლისათვის პირველხა-

¹ აგრიპას „პანთეონი“ ხელახლა იყო გადაკეთებული აპოლოდორის მიერ II საუკუნეში; ჩვენ სწორედ ამ სახით ვიცნობთ მას.

რისხოვან წყაროს წარმოდგენენ გამოსახულებანი ფიალებსა, ორ-
თომელებზე და საყვავილე ვაზებზე, რომელნიც მიმობნეულია მსოფ-
ლიოს ყველა ქვეყნის ყველა მუხეუმსა, საზოგადო და კერძო კოლექ-
ციებში. ერთ-ერთი უმდიდრესი კოლექციაა ბოსკორეალეს (Bos-
scoreale) კოლექცია; ბოსკორეალე და ბოსკორენაზე—ორი იტა-
ლიური სოფელია ძველი პომპეის ადგილას. ხელოვნებით შესრულე-
ბულ სააქაქო, საოქრომქედლო და ათას სხვა ნამუშევართა შენახუ-
ლი ნიმუშები მოწმობენ რომის საზოგადოების სიმდიდრესა და მხატვ-
რულ გემოვნებას.

ყველაზე უფრო მეტი თავისთავადობა რომაელმა ხელოვნებმა
და მოქანდაკეებმა გამოიჩინეს საპორტრეტო ხელოვნებაში;
ესენი რეალურ ნიშნებს აერთებდნენ წარმოდგენილი პიროვნების იდე-
ალიზაციასთან და ამრიგად იძლეოდნენ მთლიან მხატვრულ ერთეულს—
ნახევრად რეალურ პორტრეტს. ასეთია, მაგალითად, ცნობილი ქანდა-
კება ავგუსტუსისა, რომელიც სიტყვას ეუბნება ჯარს. პორტ-
რეტული მსგავსების პირობებში ფიგურას მიცემული აქვს მმართვე-
ლის იდეალური ნიშნები, როგორც ეს რომაელებს ესმოდათ,—დამ-
შვიდებული სიდიადე, ნებისყოფის სიძლიერე და სირბილე სახის ნა-
კვეთებში. იგივე მხატვრული ხერხებია გამოყენებული ლივიას, აგ-
რიპას, იულიუს ცეზარის, ციცერონის სურათებში, მეტადრე კი ბავ-
შეების სურათებში: ამ უკანასკნელებში ჩქეფს უშუალობა, რეალიზმი
და თავისთავადობა. საერთოდ კი იმპერატორთა დროის რომის
პლასტიკური და სახვითი ხელოვნება თავის ბერძნულ-ჰელინიკურ
ნიმუშებზე შორს ვერ არის წასული, თითქოს უკანასკნელთა სრულ-
ყოფასა და ავტორიტეტს ჩაუხშვიათ ისინი.

ლიტერატურის, პოეზიისა და სახვითი ხელოვნების ძეგლები არ
ამოსწურავენ რომის კულტურულ ღირებულებათა სიმდიდრეს. სიტყვა-
კაზმულ ლიტერატურასთან ერთად ფართოდებოდა აგრეთვე ცნობათა
მოცულობა სპეციალურ დისციპლინებში—სამართალში,
სააღმშენებლო და სამხედრო ტექნიკაში, სოფლის
მეურნეობაში, დედამიწის მკოდნეობაში, მიწათმოქ-
მედებაში და ა. შ. საქონლად-ფულადი ურთიერთობის ზრდა,
სავაჭრო პირობათა, საკრედიტო ოპერაციების, მიწის სყიდვის, და-
ქირავების (locatio-conductio), სერვიტუტების, ფილემკომისების და
მრავალ სხვა საქმიანი ოპერაციის ზრდა-გადიდება ხელს უწყობდა
სამოქალაქო (ius civile) და საერთაშორისო სამართლის (ius gen-
tium) განვითარებას და მოქნილს ხდიდა სასამართლო პროცესს.

რომის სამართალი ყალიბდებოდა უმთავრესად სასამარ-

თლოს პრაქტიკის გზით, ჩვეულებათა, მაგისტრატების გადაწყვეტილებათა (*edicta magistratum*), სენატის გადაწყვეტილებათა (*senatus consulta*), ავტორიტეტულ იურისტების კომენტარიებისა და კანონის არანათელ და სადაო ადგილების განმარტებათა (*consilia prudentium*, *opiniones*, *sententia*, *regulae*) მიხედვით. დროთა განმავლობაში სასამართლო კაზუსების რიცხვი არაჩვეულებრივ გაიზარდა, დაგროვდა მრავალი ერთი მეორის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება და ედიქტი, რაც არახელსაყრელ გავლენას ახდენდა სასამართლოს პრაქტიკაზე. და ამიტომაც უკვე იულიუს ცეზარის დროს აღიძრა აზრი იურიდიულ კაზუსების სისტემატიზაციისა და კანონთა კრებულის შედგენის შესახებ. ავგუსტუსის დროს ამ აზრმა მიიღო თავისი კონკრეტული განხორციელება. ავგუსტუსის დროიდან იწყება რომაული სამართლის სისტემატიზაცია, რომელმაც საბოლოო შედეგად გამოიწვია რომის სამოქალაქო სამართლის ცნობილი კოდექსების შედგენა (*corpus iuris civilis*). რომის სამართალს საფუძვლად უდევს რამდენიმე ზოგადი პრინციპი (*ius boni et aequi*), რომელნიც შეიცავენ ერთობლივ იურიდიულ კაზუსებს და ამით მუშაობას უმსუბუქებენ იურისტ-პრაქტიკოსს.

რომის სამართალი ხელმძღვანელობს იმ უფლებამოსილი პიროვნების ინტერესებით, რომელიც თავისუფალია თავის მოქმედებაში და მათ გამო პასუხს აგებს. რომის სამართალი, ახალი დროის ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა მსგავსად, აგებულია ინდივიდუალისტურ საფუძვლებზე, რითაც აიხსნება კიდევ მისი რეცეფციის (დასესხების) შესაძლებლობა და აგრეთვე დასავლეთ ევროპის საზოგადოებათა სამართალზე გავლენის შესაძლებლობაც. იურისტებს შორის არსებობდა სხვადასხვა სკოლა და მიმართულება. ავგუსტუსის დროს იყო ორი გავლენიანი იურიდიული სკოლა—ანალოგისტებისა და ანომალისტებისა. პირველს სათავეში ედგა გამოჩენილი იურისტი ლაბეონი (*Labeo*), მეორეს—კაპიტონი (*Capito*). ლაბეონს მიაწერდნენ 400-მდე სხვადასხვა სახელწოდების თხზულებას, რომელნიც შემდეგში გადაამუშავა იურისტმა პავლემ და გადამუშავებული სახით შევიდნენ დიგესტებში. ლაბეონის მიმდევრები, რომელნიც ცნობილნი იყვნენ პროკულელების სახელით, ლაბეონის მოწაფის—პროკულეს სახელის მიხედვით, ლიბერალური შეხედულებისა იყვნენ და მრავალ საკითხში სცილდებოდნენ ტრადიციულ ნორმებსა და ჩვეულებებს. კაპიტონის მიმდევრები (საბინიანები), პირიქით, უფრო კონსერვატორული შეხედულებისა იყვნენ, გაუბრძოდნენ სამართალში ახალ რაიმეს შეტანას და სამართლის თა-

ვისუფალ განმარტებას, როგორც ამას ჩადიოდნენ პროკულებები. რომის ცივილურმა სამართალმა თავისი სრული განვითარება მიიღო ანტონინებისა და სევეროსების დროს, დიდი კლასიკოს იურისტებას საუკუნეში (II—III საუკ-ბი).

ტექნიკურ დისციპლინათა შორის რომში ყველაზე უფრო მეტად განვითარდა საალმშენებლო მექანიკა, რომლის მდგომარეობასაც გვაცნობს რომაელი ინჟინერ-მშენებლის ვიტრუვიუსის ტრაქტატი—საალმშენებლო მექანიკისა და საერთოდ მექანიკის ენციკლოპედია. მართო ჩამოთვლა ამ დარგის თხზულებებისა, რომელნიც ცნობილნი იყვნენ ვიტრუვიუსისთვის, უკვე ლაპარაკობს რომის საალმშენებლო ტექნიკის მაღალ დონეზე. სხვაგვარად არც შეიძლება აიხსნას რომაულ ნაგებობათა სრულყოფა, სიმყარე და მოცულობა.

გამოცდილებანი და დაკვირვებანი სოფლის მეურნეობის დარგში თავმოყრილია კოლუმელას დიდი მოცულობის შრომაში 12 წიგნად. კოლუმელას „სოფლის მეურნეობაში“ (De re rustica) სისტემატურ რიგზე გადმოცემულია მეურნეობის ყველა დარგი—მიწის ხვნა და პურის მოყვანა, მესაქონლეობა, ბალ-ბოსტნეულ კულტურათა გაშენება, მეფუტკრეობა, მეტყეობა, ბალახის თესვა და სხვა. კოლუმელა მკითხველს—სოფლის მეურნეს—სთავაზობს ბერძენ და რომაელ აგრონომების გამოცდილებას, შევსებულს მეურნე—პრაქტიკოსის, ტრაქტატის ავტორის რჩევა-დარიგებით.

ცნობათა ენციკლოპედიურობის მხრივ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს პლინიუს სეკუნდის უფროსის (Plinius Secundus, 23-79 წელი) „საბუნებისმეტყველო ისტორიას“ (Naturalis historia) 37 წიგნად, რომელიც შეიცავს კომპენდიუმებს სხვადასხვა დისციპლინებში—კოსმოგონიასა, გეოლოგიასა, გეოგრაფიასა, ანთროპოლოგიასა, საბუნებისმეტყველო ისტორიასა, ისტორიასა და ხელოვნებაში. პლინიუსის ენციკლოპედიის მეცნიერულ-თეორიული მნიშვნელობა დიდი არაა, მაგრამ როგორც საისტორიო წყარო პლინიუსის „საბუნებისმეტყველო ისტორია“ პირველხარისხოვანი ღირებულებისაა. ავტორმა გამოიყენა უშველებელი მასალა, საერთო რიცხვით 600-მდე რომაული და ბერძნული თხზულება.

რომის იმპერიის სამეურნეო წყობილების, ტექნიკისა, ენისა, ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებათა შესწავლისათვის პლინიუსის ენციკლოპედია წარმოადგენს განსაკუთრებული ღირებულების ძეგლს; რომელსაც ტოლი არ გააჩნია მთელს ანტიკურ ლიტერატურაში.

პლინიუსის უმცროსი თანამედროვე იყო ფრონტინი (40-103 წლ.), რომელმაც დასწერა მთელი რიგი სპეციალური ტრაქტა-

ტები: „სამხედრო ეშმაკობაზე“ და „წყალსადენთა შესახებ“. პირველი ტრაქტატი დიდი პოპულარობით სარგებლობდა იტალიელ კონდოტიერებს შორის დასავლეთი ევროპის რენესანსის ხანაში.

პრინციპატის დროს გაბატონებულ ფილოსოფიურ მიმართულებებს წარმოადგენდა ორი ფილოსოფიური სისტემა,—სტოიციზმი და ეპიკურეიზმი,—რომელნიც თანასწორად იყვნენ პესიმიზმით გამსჭვალულნი, თუმცა სხვადასხვაგვარად გამოთქმულნი. აღრინდელი იმპერიის სტოიკური მიმართულების ერთ-ერთი უაღრესად ნიჭიერი ფილოსოფოსთაგანი იყო სენეკა (4-65 წლ.), რომელიც ეკუთვნოდა „ვერცხლის ხანის“ პირველხარისხოვანი რომაელი მწერლების დასს. სენეკას თხზულებანი შეიცავს მრავალ საინტერესოს, ნასესხებსა და ორიგინალურ იდეას, ფორმით ბრწყინვალე და შინაარსით გონება-მახვილთ, მაგრამ თავიდან ბოლომდე გამსჭვალულთ ღრმა პესიმიზმით. სენეკას ფილოსოფია—არის სასოწარკვეთილების ფილოსოფია, რომელიც ჩამოყალიბდა ნერონის ტერორის ხანაში.

„ცხოვრება აბოზოქრებული ზღვაა, რომელიც გადაგვტყორცნის ხოლმე. ერთი კლდიდან მეორისკენო“,—ასეთია სტოიკური პესიმიზმის ცენტრალური იდეა.

ყოველივე იდეალური იმყოფება ან წარსულში ან კიდევ ცხოვრების მიღმა სამყაროში, სადაც ადამიანი მიდის სიკვდილის შემდეგ. ამით განისაზღვრება ფილოსოფიის ამოცანა. ფილოსოფიის ამოცანა, სენეკას აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ გაათავისუფლოს ადამიანის ბუნების უმაღლესი საწყისი—სული (animus)—სხეულისგან. „ყოველგვარ ბოროტებათა მიზეზი ჩვენი სხეულია, სხეული სულის ბოროკილია. სხეული მანკიერია, და მარტო ფილოსოფია იხსნის ადამიანს ბოროტისაგან, გადაჰყავს რა იგი მიწიერისგან ღვთაებრივისაკენ; ფილოსოფიის ამოცანაა გაათავისუფლოს სული სხეულისგან. ხოლო ადამიანის სული დიადია და კეთილშობილი, მას არა აქვს საზღვარი, ვინაიდან მისი საზღვარნი საერთოა ღმერთთან“,—ასეთია ნერონის აღმზრდელის ფილოსოფიის უკანასკნელი სიტყვა.

ფილოსოფიის დანიშნულება არ არის გამოიმუშავოს განყენებული ცნებანი, „იკამათოს სიტყვებზე“,—არამედ ასწავლოს ცხოვრება, სიკეთე და კარგი ქცევა-მოქმედებანი. ამგვარად, სენეკას შეგნებაში ფილოსოფია შეერწყმის ეთიკასა და რელიგიას, რაც მას აახლოვებს ქრისტიანობასთან. ლეგენდაც კი შეიქმნა, რომ რომაელ ფილოსოფოსს მიწერა-მოწერა ჰქონდა შოციქულ პავლესთან და რომ მისგან ისესხა ფილოსოფიისა და რელიგიური დოგმის შესატყვისობის იდეებიო.

„უმალღესი სათნოება არის სიყვარული ადამიანისადმი. ყველა ადამიანი თანასწორია, მონებიც კი. აღმოუჩინე დახმარება შენს მტერსაც კი“.

სენეკას, საქმოსანი კაცისა და მევახშის, პირადი ცხოვრება, როგორც ცნობილია, ძალიან დაშორებული იყო მის მიერ ნაქადაგებ ეთიკურ იდეალს.

სენეკას გამგრძელებელი ფილოსოფიის დარგში იყო ეპიქტეტე (დაიბ. 50 წელს) ფრიგიიდან, ნერონის აზატის ეპატროდიტეს, ნერონის კარზე ერთ-ერთი მეტად გავლენიანი ადამიანის, მონა. ანვითარებდა რა სენეკას აზრებს, ეპიქტეტე ასწავლიდა, რომ უმალღეს ცხოველ პრინციპს წარმოადგენს მოთმინება და თავდაკერილობა, რაც ადამიანს იფარავს გარე გავლენებისაგან, ადამიანის სულიერ მყუდროებას რომ არღვევენ და მის შინაგან თავისუფლებას რომ ავიწროებენ. ეპიქტეტეს მოძღვრებამ, მისი მასწავლებლის სენეკას მოძღვრებასავით, დიდი გავლენა იქონია რომის შემდგომ ფილოსოფიურ აზროვნებაზე, კერძოდ, მარკოს აერელიუსის ფილოსოფიაზე, რომელიც იყო „ტახტზე მჯდომი ფილოსოფოსი“, ანტონინების დინასტიიდან (II საუკ.).





თ ა ვ ი XVII

ფლავიუსების ღინასტია

1. იუდეველთა ომი

ნერონის შემცვლელი 73 წლის გალბა სულ რამდენიმე თვეს განაგებდა სახელმწიფოს და გადაყენებულ იქნა ოფიცრებისა და ჯარისკაცების მიერ, რომელთაც იგი არ უყვარდათ სიძუნწისა და სისასტიკის გამო. 69 წ. 13 იანვარს პრეტორიელებმა იმპერატორად გამოაცხადეს ლუზიტანიის ლეგატი სალვიუს ოტონი, რომელმაც ისინი დაახარბა საჩუქრებით, ფულის გაბოდებით და სამსახურში დაწინაურების დაპირებით. ოტონი შესცვალა ქვემო რაინელი ლეგიონების სარდალმა ავლ ვიტელიუსმა. ქეიფობითა და გაუმადლობით განთქმულმა ვიტელიუსმა ვერ შესძლო თავი დაეჭირა არმიისათვის, რომელმაც დაჰკარგა დისციპლინა და მისდევდა ძარვარბევას, ლოთობასა და ძალადობას.

ეს ის დრო იყო, როცა რომის სახელმწიფო იმყოფებოდა სრული ანარქიის მდგომარეობაში. დემორალიზებული ჯარები სრულიად არ მორჩილობდნენ, ხოცავდნენ თავიანთ სარდლებს და უწყობას ჩადიოდნენ. განსაკუთრებით სასტიკად დაზარალდა ქალაქი რომი, რომელიც რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. მოედნები, ტაძრები და სახლები სავსე იყო გვამებით, ხოცავდნენ განურჩევლად ყველას და ყოველივე მოტივის გარეშე. „მძვინვარება სისხლით ძღებოდა, ხოლო შემდეგ ანგარებად იქცა“. ყოველი მხრიდან მოდიოდნენ მახეზლარნი-მონები და თავისუფლები, რომელნიც ასმენდნენ თა-

ვიანთ ბატონებს. ყველგან გოდება, კივილი... დაპყრობილი ქალაქის ხვედრი¹.

ეს ის დრო იყო, „როცა გამარჯვებულთა შორის არ იყო არც ხელისუფლება, არც კანონები, ხოლო მოქალაქეებს აკლდათ კანონიერი ხელშეწყობა“.

უშუალოდ ნერონის სიკვდილის შემდგომმა ამბებმა მთელი აშკარაობით ცხადჰყვეს იმპერატორის ხელისუფლების სრული დამოკიდებულება ჯარზე, და ამასთანავე იმდენად არა პრეტორიელებზე, როგორც ეს მანამდე იყო, — რამდენადაც იმ არმიებზე, რომლებიც საზღვართა გაყოლებაზე იდგნენ. არმია ხდებოდა არა მარტო რომის იმპერატორებისა, არამედ მთელი რომის სახელმწიფოს სვე-ბედის გამგებელი.

„ნერონის სიკვდილმან, — შენიშნავს ტაციტუსი იმ ლაკონიკური ძლიერებით და სიმკვეთრით, მას რომ თანდაყოლილ თვისებად ჰქონდა, — სიხარულის პირველ გრძნობათა შემდეგ სხვადასხვა მოძრაობა გამოიწვია არა მარტო რომში, სენატსა, ხალხში და სატახტო ქალაქის ჯარში, არამედ მოძრაობაში მოიყვანა ყველა ლეგიონი და სარდალი, მას მერე რაც ვაიგეს იმპერატორის ხელისუფლების საიდუმლოება, რომ სახელმწიფოს მესვეურად შეიძლება გახდომა არა მარტო რომში, არამედ სხვა ადგილსაც“².

იმ დროს, როდესაც ვიტელიუსის ჯარისკაცები უწყსოებას ჩადიოდნენ იტალიაში, საომარ მოქმედებათა ასპარეზზე — პალესტინაში მყოფმა ლეგიონებმა რომის იმპერატორად გამოაცხადეს თავიანთი სარდალი ტიტე ფლავიუს ვესპასიანე. ვესპასიანეს აღზევება დაკავშირებულია იუდეველთა ომთან (66-70 წლები).

იუდეა ეკუთვნოდა ყველაზე უფრო დაუმორჩილებელ და დაუწყნარებელ რომაელ პროვინციათა რიცხვს. მუდმივი აჯანყებანი, უწყსოებანი, ძარცვა-რბევა და თავდასხმები, რაც ხდებოდა იუდეაში, გამოწვეული იყო შინაგანი და საგარეო მიზეზებით. პროვინცია იუდეა იყო განვითარებული ქალაქური ცხოვრებისა, ვაჭრობის, ხელოსნობისა და სოფლის მეურნეობის ქვეყანა. სოციალურ-ეკონომიური უთანასწორობა და ამ ნიადაგზე გაზრდილი კლასობრივი ბრძოლა იუდეაში უფრო ძველისძველი და მწვავე იყო, ვიდრე რომის იმპერიის მრავალ სხვა პროვინციაში. იუდეის ისტორიულ თავისებურებათა გამო კლასობრივი ბრძოლა მქდავნიდებოდა სხვადასხვა რელიგიურ სექტებისა და მიმართულებათა შეტაკების ფორმით.

¹ Tacit., Hist., IV, 1.

² Ibid., 1, 4.

კლასობრივი წინააღმდეგობანი იუდეაში უფრო მეტად რთულდებოდა პალესტინაში მოსახლე სხვადასხვა ეროვნებათაშორისი შუღლით, რომელიც აღმოცენდებოდა ხოლმე სოციალურ-ეკონომიურ ნიადაგზე და აგრეთვე რელიგიური ფანატიზმისა და ეთნიკურ ცრურწმენათა ნიადაგზე. განსაკუთრებით ძლიერი იყო მტრობა ებრაელებსა, ბერძნებსა და რომაელებს შორის იუდეის საქალაქო ცენტრებში—კესარიაში, იერუსალიმში და სხვაგან. არაებრაულ მოსახლეობასთან, რომელიც ატარებდა სირიელების ზოგად სახელს, იუდეველთა შეტაკებით დაიწყო კიდევ 6 წელს კესარიაში იუდეველთა ომი. რომის ნაცვალმა (პროკურატორმა) გესიუს ფლორმა გამოსცა დეკრეტი, რომელიც ებრაელებს მრავალ იმ უპირატესობას ართმევდა, რითაც ისინი სარგებლობდნენ თავისი ქვეყნის მთავარ ცენტრში. ფლორის დეკრეტმა დიდი მხიარულება გამოიწვია კესარიის მოსახლეობის არაებრაულ ნაწილში და ძალიან გააბოროტა იუდეველები. იუდეველთა გაბოროტება უკიდურესობამდე გაამწვავა იმან, რომ რომის პროკურატორი შეეხო მათ სიწმინდეებს და ხელთ იგდო 17 ტალანტი იერუსალიმის ტაძრის ხაზინიდან¹.

მას შემდეგ, რაც აჯანყებამ მოიცვა იუდეის დიდი ნაწილი, ფლორის საშველად მოვიდა სირიის ნაცვალი (იმპერატორის ლეგატი) ცესტიუს გალი, რომელმაც მარცხი განიცადა იერუსალიმის გარემოცვის დროს და შერცხვენილი იძულებული შეიქნა უკან დაეხია დიდი ზარალით. რომაელებმა დაჰკარგეს დაახლოვებით 5,5 ათასი ქვეითა ჯარი და 300 ცხენოსანი. ეს იყო ყველაზე უფრო დიდი მარცხი რომაელებისა აღმოსავლეთში კარასთან ბრძოლის შემდეგ². საქმის ასეთი ვითარების პირობებში, რადგან თანდათან იზრდებოდა საყოველთაო აჯანყება და იუდეაც შესაძლებელი იყო რომს დაეკარგნა, ნერონმა 67 წელს სარდლობა აღმოსავლეთში მიანდო ტიტე ფლავიუს ვესპასიანეს, გამოცდილ ჯარისკაცს, არადიდგვარიან ადამიანს³ და, ერთი შეხედვით, საიმპერატორო ტახტისთვის არასაშიშმეტოქეს. ვესპასიანეს განკარგულებაში იმყოფებოდა საკმაოდ დიდი ჯარი 60 ათასი კაცის რაოდენობით; იგი შეუდგა ქვეყნის გაწმენდას პარტიზანულ რაზმებისაგან და გალილეისა და სამარიის დამორჩილებას, თანაც ფიქრობდა მომდევნო წელს დაეწყო იერუსალიმის გარემოცვა, სადაც გაიმარჯვა „ისრაელის შურისმაძიებელთა“ (ზელოტების) პარტიამ, რომელსაც ბელადებად ჰყავდა იოანე ჰის-

¹ Jos. Flav., Bellum Iudaicum, II. 239.

² Ibid., 562—564.

კალიდან და სიმონი, ჰიორის შვილი. რომში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების ცნობამ ვესპასიანეს ყურადღება გაიტაცა იერუსალიმის გარემოცვისგან. 69 წ. ივლისში იმპერატორად გამოცხადებულმა ვესპასიანემ დასტოვა საომარ მოქმედებათა ასპარეზი, ხოლო იუდეველებთან ომის განგრძობა მთანდო თავის შვილს ტიტუსს, თვითონ კი გაემგზავრა ჯერ ალექსანდრიაში, ხოლო აქედან — რომში.

ვესპასიანეს იმპერატორად გამოცხადების დროს იტალიაში იმპერატორად იყო ავლ ვიტელიუსი, რომელსაც არ სურდა საიმპერატორო ტახტი დაეთმო თავის მეტოქისათვის. დავა იარაღით უნდა გადაწყვეტილიყო. ილირიის ლეგიონების უფროსმა ანტონიუს პრიმიუსმა კრემონასთან დაამარცხა ვიტელიუსის არმია, იგი გზადაგზა შეხვედრილ ქალაქებს აოხრებდა და იკლებდა და მერე გაემართა რომისკენ, სადაც იმ დროს იმყოფებოდა თვითონ ვიტელიუსი. ქალაქის გალავანთან და თვითონ ქალაქშივე მოხდა სასტიკი ბრძოლა. ფლავიუსელებსა და ვიტელიუსელებს შორის, ერთ-ერთი მეტად სისხლისმღვრელი ბრძოლა მთელი „ოთხი იმპერატორის რევოლუციის“ განმავლობაში, როგორც ხანდახან უწოდებენ ხოლმე დროს ნერონის დამხობიდან დაწყებული ვესპასიანეს ტახტზე ასვლამდე (68-70 წლ.). „ყველაზე უფრო საოცარი ამ ომშიო, — მოგვითხრობს დიონ კასიუსი, — ის იყო, რომ იბრძოდნენ არა ნამდვილი მტრები, არამედ ერთმანეთის კარგად მცნობი მოქალაქეები, მერე ამასთანავე ისეთი, რომელთაც ესმოდათ, რომ ისინი პაიკები არიან პატივმოყვარე საზღვების ხელში. და მიუხედავად ამისა, ისინი გამწარებით ჩეხდნენ და ხოცავდნენ ერთმანეთს თავიანთ ცოლშვილის თვალწინ... მართლაც რომ დიდია სამხედრო დისციპლინის ძალა!..“

„ჩამოწოლილმა ღამემაც კი ვერ შესძლო მებრძოლთა გაშვებება, ისე დიდი იყო მათი გაშმაგება და ვაჟაკობა, თუმცა ისინი ერთმანეთს სცნობდნენ კიდევ და ელაპარაკებოდნენ კიდევ. არაფერს არ აქცევდნენ ისინი ყურადღებას: არც შიმშილს, არც დაღლილობას, არც ყინვას, არც სიბნელეს, არც კრილობებს, არც სისხლისმღვრელ ბრძოლას, არც წინათ ამ ველზე დაღუპულთა ძვლებს, არც ხსოვნას წინანდელი მარცხისას, არც წუხილს და სინანულს უაზროდ დაღუპულთა უამრავ რაოდენობაზე. ორივე ჯარი მოცული იყო საშინელი სიმძიმით. ერთს უნდოდა გაემარჯვა, მეორეებს არ სურდათ დამარცხება, თითქოს ისინი უცხოებს ებრძოდნენ, და არა თავის ძმებს, თითქოს ამ წუთს უნდა გადაეწყვიტა — დაიხოცებინა ისინი, თუ მონებად ჩავარდებიან. ნიათგამოლეულნი, დასვენებას

მოწყურებულნი, ისინი ისვენებდნენ ერთი წუთით და ერთმანეთსაც კი ვსაუბრებოდნენ, ხოლო მეორე წუთში ისინი კვლავ ეკვეთებოდნენ ხოლმე ერთმანეთს...“

როცა კვლავ მთვარე ამოვიდა და მრავალი დიდი და პატარა ღრუბელი მიმოდრიდა ცაზე და ხშირად მას ჰფარავდა, მაშინ შეიძლებოდა იმის დანახვა, თუ ისინი ხან როგორ იბრძოდნენ, ხან კიდევ როგორ იდგნენ თავიანთ შუბებზე დანდობილები, ხან როგორ ისხდნენ მიწაზე და წამოიყვირებდნენ ხოლმე, ერთი მხრით ვესპასიანეს სახელს, ხოლო მეორე მხრით—ვიტელიუსის სახელს... ხან დაცინვით, ხან შექებით ისინი იწვევდნენ ერთმანეთს, ხან განკვევებით ეუბნებოდნენ ერთმანეთს: „ამხანაგო თანამოქალაქნო! ნეტა რას ვჩადივართ? რის გულისთვის ვიბრძვით? მოდი ჩემთან“.—„არა, სჯობია, შენ მოხვიდე ჩემთან“.

ქალაქიდან ღამით მოდიოდნენ ქალები და ვიტელიუსელებისთვის მოჰქონდათ საკმელ-სასმელი. ხოლო ესენი არა მარტო თვითონ სკამდნენ და სვამდნენ, არამედ აგრეთვე სთავაზობდნენ თავიანთ მოწინააღმდეგებსაც. ერთი მეორეს სახელით უძახოდა (რადგანაც თითქმის ყველა ერთმანეთს იცნობდა და სცნობდა). „აი, ამხანაგო, აილე და ქამე. ეს მახვილი კი არაა, არამედ პურია. აი, აილე, ეს ფარი კი არაა, ფიალას გთავაზობ, რომ ვინიცობაა შენ მე მომკლა ან მე შენ მოგკლა,—ჩვენთვის უფრო ადვილი იქნეს სიკვდილი და რომ ჩვენ ერთმანეთი მოვითავოთ არა დაღლილი და დაუძლურებული ხელით. ასეთ ქელეხს გვიმართავენ ვიტელიუსი და ვესპასიანე,—სანამ ისინი დაგვკლავენ, როგორც მსხვერპლს უკვე დახოცილთა სულის მოსახსენებლად“¹.

როცა ვესპასიანე 70 წელს რომში ჩავიდა, ჯარმა, სენატმა და ხახლმა იგი იმპერატორად აღიარეს.

რომის სახელმწიფო ვესპასიანეს იმპერატორად გამოცხადების ეამს იმყოფებოდა სრული რღვევის მდგომარეობაში. რომის ხელქვეითი ხალხები ჯანყდებოდნენ და მზად იყვნენ რომს გასდგომოდნენ, ფინანსები ქაოტიურ მდგომარეობაში იყო, სამეურნეო ცხოვრება-მოშლილი, ჯარი—დემორალიზებული. ომი იუდეაში გრძელდებოდა. იერუსალიმის გარემოცვას ხელმძღვანელობდა ვესპასიანეს შვილი ტიტე. 70 წელს პასეჩის დღესასწაულზე ტიტე შეუდგა ქალაქის გენერალურ გარემოცვას და აამუშავა ყველა მის განკარ-

¹ Dio Cass, LXIV, 12.

გულებაში მყოფი კედლის სანგრევი მანქანა და იარაღი. გარემო-
ცულნი იბრძოდნენ უკანასკნელ შესაძლებლობამდე, მაგრამ, ბოლოს-
დაბოლოს, შიმშილისაგან ღონე გამოცლილები, გადამდები სენით
და რომაული იარაღით შეწუხებულნი, ისინი დანებდნენ და თავისი
ბედი მიანდეს გამარჯვებულ მტერს. იერუსალიმი აღებულ და დან-
გრეულ იქნა, იერუსალიმის ტაძარი, იუდეველთა რელიგიურ-პოლი-
ტიკური ცენტრი, ანტირომაულ მოძრაობათა კერა, დანგრეულ იქ-
ნა, ქალაქის ტერიტორია ცხადდებოდა იმპერატორის პირად საკუ-
თრებად, ხოლო მართლმორწმუნეთა მიერ იალვეს სასარგებლოდ
განკუთვნილი გადასახადი ამიერიდან უნდა ეძლიათ იუპიტერ კაპი-
ტოლიუმელის სასარგებლოდ. რომაელთა მხარეზე გადასულთა რი-
ცხვში იყო, სხვათა შორის, რაბი, ისტორიკოსი იოსებ ფლავი-
უსი, იუდეველთა ომის ისტორიის შესახები კაპიტალური შრო-
მის ავტორი, რომელიც არის შთაფარი წყარო იუდეისა და იუდე-
ველთა ისტორიისათვის¹. იუდეველთა აჯანყების ისტორიაში იო-
სებმა და მისმა მეგობრებმა, იუდეველთა მეფემ აგრიპამ და მისმა
დამ ვერონიკამ ძალიან დიდი როლი ითამაშეს. იოსები და მისი მე-
გობრები ეკუთვნოდნენ ჰელინიზირებული და რომანიზირებული დიდ-
კაცობის ჯგუფს, პროვინციულ არისტოკრატიასა და პლუტოკრა-
ტიას, რომელიც თავისი ეკონომიური ინტერესებით დაკავშირებული
იყო რომის იმპერიასთან და ძლევამოსილ რომში ეძებდა და-
ხმარებას თავისი ქვეყნის რევოლუციურად განწყობილ მასების წი-
ნაღმდეგ. მარტო პალესტინისა და საერთოდ პროვინციული დიდ-
კაცობის მხარშიცემით შეიძლებოდა იუდეველთა რევოლუციის ჩა-
ქრობა, რომის იმპერიის გადარჩენა და ფლავიუსების ახალი დინა-
სტიის გამოცხადება, რომლის ფუძემდებელი ტიტე ფლავიუს ვესპა-
სიანე ებრაელ რაბინების მიერ მესიადაც კი, ღვთისაგან ქვეყნის
მსხნელად გამოგზავნილადაც კი, იქნა გამოცხადებული.

უთვალავ ნადავლთან და სარწმუნოებრივი კულტის საგნებთან
ერთად იუდეველთა ომში რომაელებმა ხელთ იგდეს საერთო რიც-
ხით 100 ათასამდე მონა. ცოცხლად დარჩენილი ებრაელები გან-
სახლდნენ მთელი რომის იმპერიის სივრცეზე, მაგრამ მაინც არ
დაუკარგავთ იმედი იუდეველთა სამეფოს მალიად აღორძინებისა და
მსხნელის (მესიის) მოსვლისა.

¹ იუდეველთა ომისა და მასთან დაკავშირებული ამბების მხატვრული გად-
მოცემა მოიპოვება ლიონ ფეიხტვანგერის რომანში „იუდეველთა ომი“.

2. ცივილისის აჯანყება

არანაკლებ სახიფათო იყო გალ-გერმანელების აჯანყება ცივილისის წინამძღოლობით. იულიუს კლავდიუს ცივილისი (Civilis), რომელიც ჩამომავალი იყო გერმანულ ტომის ბატავეებისა, სარგებლობდა „მამაცი, ჭკვიანი და განათლებული ადამიანის“ სახელით (ultra quam barbario solitum sollers) არა მარტო გერმანელებში და მათ მეზობელ გალებში, არამედ რომაელებს შორისაც. საორგანიზაციო ნიჭისა, რომაელებისადმი სიძულვილისა და გარეგნობის გამო ცივილისს ადარებდნენ ჰანიბალთან—ერთსაც და მეორესაც ცალი თვალი აკლდათ. ფრონტიდან თვითნებურად წასვლის გამო ცივილისს ბრალად დასდეს სახელმწიფო მოღალატეობა, იგი შეიპყრეს და რომაულ საპყრობილეში გამოამწყვდიეს. ნერონის სიკვდილის შემდეგ იგი გაათავისუფლეს და სათავეში ჩაუდგა გალ-გერმანელ ტომებს, რომელნიც რომს გაუდგნენ.

ან შემთხვევაში ერთად მომქმედ გალებისა და გერმანელების უკმაყოფილების მიზეზი იყო გადასახადები და სარეკრუტო ბეგარა, რაც განსაკუთრებით სამძიმო იყო ომის დროს. „ჩვენაო,—ამბობდა ცივილისი ბატაველ ახალგაზრდობის ღამის კრებაზე „საღვთო ქალაში“,—რომაელები გვიცქერიან უკვე არა როგორც მოკავშირეებს, არამედ როგორც მონებს, გვაძლევენ რა ჩვენ სრულ განკარგულებაში პროკონსულებისა და ლევატების ხელშიაც კი არა, არამედ პრეფექტებისა და ცენტურიონების ხელში, რომლებიც ძლებიან ჩვენი სისხლით და ჩვენთან მთელ შეძლებას იძენენ“-ო. შემდეგ ცივილისი მიუთითებდა, რომ რომაელები ამჟამად არაფერს თვალსაჩინოს არ წარმოადგენენ ისეთს, რაც ჩვენ ჩაგვინერგავდა მათდამი შიშსა და პატივისცემასო.

„ახილეთ მარტო თვალი და ნუ შეგეშინდებათ ლეგიონთა ცარიელი სახელისაო“¹.

ცივილისის მოწოდების—განუდგეთ რომაელებსო—პასუხად იყო მასობრივი დარბევა რომაელი ვაჭრებისა, რომელნიც მრავლად იყვნენ გაფანტულნი მთელ ქვეყანაში, რომაულ ციხე-სიმაგრეთა დანგრევა, თავდასხმა რომაულ კოჰორტებზე, ხანძრები და სხვა.

ცივილისის აჯანყება, რომელსაც თითქმის მთელი გერმანია და გალია მიემხრო, ძალიან მდგარი იყო და ორ წელიწადზე მეტ ხანს (69—71 წლ.) გრძელდებოდა. ცივილისი აღმოჩნდა მშვენიერი

¹ Tacit., Hist., IV, 14.

სტრატეგი და ორგანიზატორი, რომელიც იზიდავდა არა მარტო გერმანელებსა და გალებს, არამედ აგრეთვე რომაელ ლეგიონერებსაც. ცივილისის თანამგრძობი ლეგიონერები ხოცავდნენ თავიანთ ოფიცრებს და მის მხარეზე გადადიოდნენ. რომაული ბანაკები ზედოხედ ემხრობოდნენ აჯანყებას. ყველაზე უფრო მეტი წინააღმდეგობა გაუწია „ძველი ბანაკის“ (Castra Vetera) გარნიზონმა, რომელიც მარტო იმის შემდეგ დანებდა, როცა შიმშილმა უკიდურესობამდე მიაღწია, როცა ამოწყვეტეს ყველა კატები, ძაღლები, ვირთხები და მისთანა „უწმინდური და საზიზღარი ცხოველი“. გამარჯვებულის შეწყალებაზე დანდობილნი და ახლა დანებებულნი ყველა უკანასკნელ კაცამდე ამოწყვეტილ იქნა გაშმაგებული გერმანელების მიერ. „ძველი ბანაკის“ დაცემის შემდეგ მთელი ქვემო რაინი აჯანყებულთა ხელში იყო. ოთხი რომაული ლეგიონი იბრძოდა ცივილისის მხარეზე, უბიების, რომის ძველი მოკავშირეების დედაქალაქი, ქალაქი კიოლნიც კი შეყოყმანდა.

ცივილისის საბოლოო მიზანი იყო რომის ჰეგემონიისაგან განთავისუფლება და დამოუკიდებელი გალურ-გერმანული იმპერიის წარმოქმნა რომის იმპერიის მსგავსად. მაგრამ ცივილისის ეს უკანასკნელი მიზანი არ იქნა განხორციელებული. ახალმა იმპერატორმა მის წინააღმდეგ დასძრა იტალიის საუკეთესო ძალები პეტრილიუს ცერეალისის უფროსობით. ცივილისის დამარცხების შემდეგ იმავე „ძველ ბანაკთან“ გალ-გერმანელთა მოძრაობამ კლება იწყო, ტომებმა იწყეს ჩამოცილება და კიოლნი კვლავ გადავიდა რომაელების მხარეზე.

ცივილისის აჯანყებამ რომაელები აიძულა უფრო ფრთხილად ყოფილიყვნენ რომის სამსახურში გასაწევვ გერმანელების მიმართ. გერმანულ კოჰორტებს ამიერიდან სათავეში ედგნენ უკვე არა გერმანელი, არამედ იტალიელი ოფიცრები და, გარდა ამისა, გერმანელთა დამხმარე რაზმები ახლა მათი სამშობლოს ტერიტორიაზე კი აღარ მსახურობდნენ, არამედ მისი ფარგლების გარეშე, რითაც შემცირდა ტომობრივ კავშირებისა და აჯანყებების გაჩენის შესაძლებლობა. რაინის მარცხენა ნაპირის გერმანელები თანდათან აითქვიფნენ რომის იმპერიაში, ხოლო მარჯვენა მხარის გერმანელები ალალ ბედზე მიატოვეს. რაინ-დუნაის ხაზი გამაგრებულ იქნა მთელი რიგი ციხე-სიმაგრეებით და ბანაკებით (მოგონტიაკი, ვინდობონა, კარნუნტი და სხვ.).

ფლავიუსების დინასტია აღზევდა სამოქალაქო ომის ხანებში, როცა რომი, ტაციტუსის თქმით, იმყოფებოდა დარღსა და მწუხარებაში. ამან განსაზღვრა ახალ იმპერატორისადმი სენატისა და ხალხის განწყობილება, რომელთაც სწყუროდათ მშვიდობიანობა, წესიერება და ჯარის თვითნებობის მოსპობა. მეორე მხრით, ჯერ არც თვითონ გამარჯვებული ვესპასიანე გრძნობდა თავს საკმაოდ მტკიცედ და დამედებულად. საჭირო იყო ურთიერთ დათმობა. ურთიერთ დათმობათა ნიადაგზე მოხდა შეთანხმება სენატისა და იმპერატორს შორის (69 წ.), განმტკიცებული საგანგებო კანონით უზენაეს ხელისუფლების შესახებ (*senatus consultum de imperio Vespasiani*). ამ კანონის ძალით იმპერატორი ითვლებოდა ხალხისა და სენატის არჩეულ პიროვნებად. იმპერატორს ენიჭებოდა უზენაესი უფლებანი სახელმწიფოში იმ კანონებისა და დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად ხალხის საკეთილდღეოდ, რომელნიც ეთანხმებოდნენ მომქმედ კონსტიტუციას. „უფლება და ხელისუფლება (*ius potestasque*),—ამბობდა შეთანხმების ერთ-ერთი მუხლი,—აღასრულოს ყველა აქტი, რომელთაც იგი ჩასთვლის სახელმწიფოსათვის სასარგებლოდ და ღვთაებრივ და ადამიანურ, საზოგადო და კერძო საჭიროებათათვის ღირსეულად, როგორც ეს მინდობილი ჰქონდა ღვთაებრივ ავგუსტუსს, ტიბერიუსს, იულიუს ცეზარს ავგუსტუსს, ტიბერიუს კლავდიუს კეისარს, ავგუსტუს გერმანიკს“¹.

„ყველა აქტი, რაც შესრულებულია იმპერატორ კეისარ ვესპასიანე ავგუსტუსის მიერ, დეკრეტი და ბრძანება, მისგან გამოსული, ყოველივე, რაც შესრულებულია მისი იმპერიუმის ძალით თვით მის მიერ ან მისი ლეგატების საშუალებით ამ კანონის მიღებამდე,—ყოველივე ეს უნდა ითვლებოდეს ეგოდენადვე კანონიერად და წესიერად, თითქოს ეს გაკეთებული ყოფილიყოს ხალხის ბრძანებით“².

ვესპასიანეს მიერ ძალა-უფლების ხელში აღების ჟამს რომის სახელმწიფო განიცდიდა ფინანსიურ კრიზისს. სახელმწიფო საჭიროებათა დასაფარავად საჭირო იყო უშველებელი თანხა 40 მილიარდ სესტერციუმის რაოდენობით, ე. ი. დაახლოებით 3 მილიარდ მანეთამდე. დაცარიელებულ სახელმწიფო ხაზინის შევსებაზე იყო კიდევ მიმართული ახალი ხელმომჭირნე იმპერატორის მოღვაწეობა, რომელიც ჩამომავლობდა საბინურ ქალაქ რეატედან (*Reate*), ბაყების

¹ Bruns, *Fontes iur. Rom. ant.*, 7 ed., 202.

² *Ibid.*

ამკრეფისა და ხარჯების შემსყიდველის (პუბლიკანის) სახლიდან. ფლავიუსების დროს იმპარტველობაში შემოღებულ იქნა ეკონომიის პრინციპი: გაბოძებები წემციორდა, კარის ხარჯები შეამოკლეს და ახალი გადასახადები დააწესეს. ვესპასიანემ შემოიღო მთელი რიგი ახალი გადასახადები, მათ რიცხვში გადასახადები საჭიროების ადგილებზე და დასაფლავებაზე. როცა მისმა შვილმა ტიტემ პირველი გადასახადების გამო გაკვირვება გამოსთქვა, მამამ ცხვირთან მიუტანა ოქროს დენარი, მიღებული ასეთი გადასახადის სახით, და ჰკითხა: განა ამას რაიმე არასასიამოვნო სუნი უდისო? „ფულს სუნი არა აქვსო“ (non olet) — ასეთი იყო ვესპასიანეს დევიზი. როცა შეიტყო, რომ მარტო ერთი ადამიანის დაკრძალვაზე 10 მილიონი სესტერციუმი იქნა დახარჯული, იმპერატორმა შეჰყვირა: „მომეცით მე 10 მილიონი და მერე თუნდაც ტიბრში გადამაგდეთო!“ გაზრდილ იქნა აგრეთვე სახელმწიფო დომენების ექსპლოატაცია, რაც წინა დინასტიის ხელში ქაოტიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ფლავიუსების დროინდელი ცხოვრების საერთო სტილი, კლავდიუსების დინასტიასთან შედარებით, გვაოცებს ჩვენ თავისი ხელმომპირნობით, თადარიგიანობით და უხეში პროვინციული უბრალობით. ფლავიუსებისათვის უცხო იყო მათი წინა მოადგილეების მხატვრულ-ესთეტიკური გატაცებანი.

ფლავიუსების მიერ ძალა-უფლების ხელში აღება ნიშნავდა არა მარტო ერთი დინასტიის მეორეთი შეცვლას, არამედ ეს იყო რომის იმპერიის სოციალური საყრდენის შეცვლაც, — პროვინციათა უპირატესობის პოლიტიკური გამოხატულება. არისტოკრატის სოციალურ შემადგენლობაში, რომელსაც ემყარებოდა რომის იმპერია ფლავიუსების აღზევების მომენტისათვის, ჩანდა თვალსაჩინო ძვრები. ძველი რომაულ-იტალიური დიდკაცობა, რომელიც შეადგენდა კლავდიუსების მთავარ დასაყრდენ ძალას, ამ დროისათვის ამოწყდა, გადაშენდა ან გალატაკდა, რამაც, უპირველეს ყოვლისა, სენატის შემადგენლობაზე იქონია გავლენა. ვესპასიანეს დროს რომის სენატში, ძველი დიდკაცობის პოლიტიკურ ცენტრში, 450 კაციდან მარტო 10-ლა ეკუთვნოდა ძველ რომაულ დიდკაცობას. სენატორებისა და მხედართა გვარების შეთხელებული რიგები ვესპასიანემ შეავსო ახალი წევრებით პროვინციალებისა და მდიდარი აზატების რიცხვიდან.

ახალი იმპერატორის მეორე საზრუნავი იყო არმია. მემბოხე ლეგიონები დაშალეს, დაშალეს აგრეთვე პრეტორიელთა გვარდიაც,

სადაც მრავლად მოიპოვებოდნენ ვიტელიუსის მომხრენი. პრეტორიელთა საერთო რიცხვი 16 კოჰორტიდან ჩამოიყვანეს 9-მდე და, წინაუქმო, საკადრო ჯარის რიცხვი თვალსაჩინოდ გაზარდეს. ლეგიონების მეტი ნაწილი თავმოყრილი იყო რაინ-დუნაის საზღვარზე, ეგრეთ-წოდებულ საათეულო მინდვრებში (*agri decumates*); სადაც აღმართულ იქნა მთელი რიგი ციხე-სიმაგრეები და სახლდებოდნენ რომის მოკავშირე ბარბაროსი ტომები, რომელნიც რომს უზდიდნენ მიწა-წყლით სარგებლობისათვის ფასს შეჰოსავლის $\frac{1}{10}$ -ის რაოდენობით, — აქედან წარმოდგა კიდევ თვითონ ტერმინიც — „სათეულო მინდვრები“.

ვესპასიანეს მართველობის ბოლო დროისათვის, როცა გამომჟღავნდა მისი თვითმპყრობელური ტენდენციები, სენატსა და იმპერატორს შორის ურთიერთობა წახდა. ოპოზიციურ განწყობილებათა გამოხატულებას წარმოადგენდნენ პამფლეტები და სტოიკოსებისა და კინიკოსების პოლიტიკურ-ფილოსოფიური ქადაგებანი, რაც იწვევდა იმპერატორის უკმაყოფილებას. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ვესპასიანემ რომიდან გააძევა ყველა ამ მიმართულების ფილოსოფოსები და ფილოსოფიის სწავლება მიანდო მისი თვალსაზრისით უფრო საიმედო პირებს.

ვესპასიანეს შემდეგ სახელმწიფოს განაგებდნენ მისი შვილები ტიტუსი (79—81 წლ.) და დომიციანი (81—96 წლ.). ტიტუსს მმართველობას ძველი ისტორიკოსები ახასიათებენ როგორც რბილი აღამიანის მმართველობას, რომელიც წოდებულ იქნა „კაცობრიობის ნუგეშად“ (*deliciae generis humani*). ტიტუსს მიეწერებოდა ცნობილი თქმა, რომ ის დაკარგულად თვლიდა იმ დღეს (*amici, diem perdidit*); როცა რაიმე კეთილ საქმეს არ გააკეთებდა. ტიტუსს დროს დიდი მოვლენა იყო ვეზუვის ამოხეთქვა (79 წ.), რომელმაც თავისი ფერულ-ნაცრით დათარა რამდენიმე ქალაქი, მათ რიცხვში პომპეა და ჰერკულანუმი.

ტიტუსს „რბილი“ მმართველობის შემდეგ მით უფრო მძვინვარედ უნდა სჩვენებოდათ მისი უმცროსი ძმის დომიციანეს მმართველობა. დომიციანე კვლავ დაუბრუნდა კეისრის ტრადიციებს, აშკარა სამხედრო დიქტატურას და გარს შემოიხვია სამხედრონი და ოთხმაგად გაუდიდა ჯარისკაცებს ჯაშაგირი. მის დროს წამოწყებულ იქნა რამდენიმე ლაშქრობა, რომელთაგან ყველაზე თვალსაჩინო იყო ლაშქრობა რომის სამფლობელოებში შექრილ დაკების წინააღმდეგ. ლაშქრობა დამთავრდა რომაელების მარცხით. დომიციანე იძულებ-

ბული შეიქნა ზავი ეყიდა ძვირად—დაკის მეფე დეცებალისთვის უნდა ეძლია ხარკი ყოველწლიურად (90 წ.).

არმიაზე დიდი ხარჯებისა და სხვა გასავლის გამო სახელმწიფოს მარაგი ამოიშრიტა და კვლავ დადგა ფინანსიური კრიზისი: კონფისკაციები, ჩამორთმევეანი, დასმენები და მისთანა სხვა,—ერთი სიტყვით, ნერონის დროება დაბრუნდა. 91 წელს დომიციანე მოკლულ იქნა შეთქმულების მიერ¹. დომიციანეს სიკვდილის შემდეგ იმპერატორად გავლენიანი რომაელი სენატორის კოკცეუს ნერვას გამოცხადება ნიშნავდა არისტოკრატიის გამარჯვებას და ამან რამდენიმე ხნით აღადგინა წონასწორობა სენატსა და იმპერატორს შორის.



¹ Suet., Domitianus, 17.



თ ა ვ ი XVIII

ხელთაუზაზღვეთის იმპერია

1. რომის იარაღის უკანასკნელი წარმატებანი

ფლავიუსები შესცვალეს ანტონინებმა. ანტონინების დინასტია წარმოდგენილია შემდეგი ექვსი იმპერატორით: ნერვა (M. Cocceius Nerva, 96—98 წლ.), ტრაიანე (M. Ulpius Traianus, 98—117 წლ.), ჰადრიანე (P. Aelius Hadrianus, 117—138 წლ.), ანტონინე პიუსი (Aelius Hadrianus Antoninus Augustus Pius, 138—161 წლ.), მარკოს ავრელიუსი (Marcus Aurelius Antoninus, 161—180 წლ.) და მისი შვილი კომოდუსი (L. Aelius Aurelius Commodus, 180—192).

II საუკ. დასაწყისისათვის ბრძოლა სენატსა და პრინცებს შორის შენეღდა და მათ შორის შედარებითი წონასწორობა დამყარდა, რაც გაბატონებული კლასის წრეში ინტერესთა ერთგვარ ჰარმონიას მოწმობდა. უფრო მყარმა შანაგანმა მდგომარეობამ შესაძლებლად გახადა რომის დაპყრობითი პოლიტიკის გაგრძელება, რაც შენეღებული იყო პირველ დინასტიების დროს. ანტონინების დინასტიის იმპერატორთა შორის ყველაზე უფრო დიდი მებრძოლი იყო ულპიუს ტრაიანე, ესპანეთის მკვიდრი. საომარ მოქმედებათა მთავარი ასპარეზი იყო ღუნაის საზღვარი, სადაც იმ დროს არსებობდა დეცებალის დაკიის სამეფო. ხანგრძლივი და შეუპოვარი ომის შედეგად ტრაიანემ დაამარცხა

დღეცხვალ და ყოფილი დაკიის მიწა-წყლისგან დაარსა რომის პროვინცია დაკია (Dacia), დუნაის ქვემო დინების გაყოლებაზე¹. აქედან რომაელებმა გადაიწიეს ჩრდილო-აღმოსავლეთით, ყირიმისა და კავკასიის მიმართულებით.

დაკიის ომმა რომაელებს ხელთ ჩაუგდო ყოველგვარი ნადავლის დიდი რაოდენობა: სამხედრო ტყვეები, სამხედრო მანქანები, იარაღი, ამუნიცია და მისთანა სხვა. ამ შემთხვევის გამო მოწყობილ იქნა გრანდიოზული ტრიუმფი, რომელიც აღემატებოდა ყველა წინათ ცნობილ ტრიუმფს, გაიმართა დღესასწაულები, რომელნიც მთელ წელიწადს გრძელდებოდა. დღესასწაულების დროს იმართებოდა წარმოდგენები, გლადიატოროთა ბრძოლები, მხეცებზე ნადირობა, გაიცა ფული და სურსათ-სანოვაგე. დაკიაში მოპოვებულ გამარჯვებათა აღსანიშნავად აღმართულ იქნა 39 მეტრიანი ტრაიანეს სვეტი, რომელზედაც იყო წარმოდგენილი სცენები ტრაიანეს ლაშქრობიდან.

აღმოსავლეთში ტრაიანეს სარდლების მიერ დაპყრობილ იქნა ნაბატეველთა სამეფო, რომელიც ახლა იქცა არაბეთის პროვინციად. მეფობის დასასრულს, რომაულ სამფლობელოთა დარგვლების აზრით, ტრაიანემ მოაწყო ლაშქრობა პართიელების წინააღმდეგ და დაიჭირა სამხრეთი, რომელიც გადააქცია რომის პროვინციად. კავკასიის ზოგიერთმა ხალხმა აღიარა რომის ხელისუფლება.

ამის შემდეგ ტრაიანემ გადალახა პართიის საზღვარი და უომრად დაიჭირა მესოპოტამიის ქალაქები, დაიპყრო ბაბილონეთი და ხელთ იგდო ქტესიფონი, პართიის მეფის ადგილსამყოფელი. რომაული ჯარის შემდგომ წინსვლას აზიის სიღრმით ხელი შეუშალა ებრაელთა აჯანყებებმა მოქმედი არმიის ზურგში. ამ აჯანყებებს, რომელნიც წარმოადგენენ იუდეის ომის პირდაპირ გაგრძელებას, ჰქონდათ მესიანური ხასიათი, დიდი გაშმაგება ემჩნეოდათ და მრავალ მიწა-წყალსაც მოედო. აჯანყებამ მოიცვა ბაბილონეთი, მესოპოტამია, სირია და პალესტინა, გადავიდა აქედან კუნძულ კვიპროსზე და კირენაზე. ყველგან არბევდნენ და ხოცავდნენ რომაულ გარნიზონებს. აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნეს ჯარები, საკუთრივ თვითონ ტრაიანემ დაიპყრო ქალაქები სელევკია და ედესა, სასტიკი ეგზეკუციით დასაჯა და მოაწყო ებრაელთა დარბევები. აღმოსავლური კამპანია მიიწეოდა ჩაიშალა და უკუდახვევა მოუხდათ რომაე-

¹ J. Carcopino, Les richesses des Daces et le redressement de l'Empire romain sous Trajan, 1924.

ლებს. ამის შემდეგ იპერატორი მალე ავად შეიქნა ციებ-ცხელებით და მოკვდა კალიკის ქალაქ სელინუნტში 117 წელს.

ტრაიანეს სამხედრო მოქმედებანი წარმოადგენდნენ რომის იარაღის უკანასკნელ წარმატებებს, რომის იარაღი უკანასკნელად და აელვარდა საიმპერატორო პერიოდის რომის საგარეო პოლიტიკის მოღუშულ ცაზე. თანამედროვეებზე ტრაიანეს ლაშქრობებმა ძლიერი შთაბეჭდილება იქონია, რაბაც თავისი გამოხატულება ჰპოვა უამრავ ძეგლებში, რომელნიც აღიმართა ტრაიანეს პატივსაცემად, და იმ ხოტბა-ქებებში, რომისა და მისი პესვეურის სადიდებლად რომ ითქვა.

შემდგომი დროის დაპყრობანი უკვე აღმატებოდნენ რომის სახელმწიფოს ძალ-ღონეს. ტრაიანეს შემდეგ რომაელები ყველგან შეტრევიდან მოკვრივებზე გადადიან, რასაც ადასტურებს უთვალავი სასაზღვრო თხრილები მეზობელ ტომების თარეშიაგან რომის დასაცვად რომ იქნა გაკეთებული.

2. ხმელთაშუაზღვისთის ეკონომიური აღმავლობა

ახ. წ. I—II საუკ.-მეზო

II საუკ. დასასრულისთვის რომის სახელმწიფოში იტალიის გარდა შედიოდა შემდეგი ქვეყნები: 1) ჩრდილოეთის პროვინციები კელტური მოსახლეობით: გალია (Belgica, Lugudunensis, Aquitania, Narbonensis), ესპანეთი (Tarraconensis, Baetica, Lusitania), ბრიტანეთი (Britannia), ალპის პროვინციები (Alpes Poeninae, Alpes Cottae, Alpes Maritimae, Rhaetia, Noricum); 2) სამხრეთის პროვინციები: სარდინია (Sardinia), აფრიკა (Africa), ნუმიდია (Numidia), მაურეტანია (Mauretania), ყოფილი კართაგენის რესპუბლიკის ნაწილები; 3) დუნაისპირა ადგილები თრაკიელთა მოსახლეობით: პანონია (Pannonia), მოიზია (Moesia), დაკია (Dacia), თრაკია (Thracia) და 4) მთელი რიგი აზიური პროვინციები: აზია (Asia), ლიკია (Lycia), პამფილია (Pamphylia), პისიდია (Pisidia), კილიკია (Cilicia), ბითინია (Bithynia), პონტო (Pontus), გალატია (Galatia), პაფლაგონია (Paphlagonia), კაპადოკია (Cappadocia), სირია (Syria), პალესტინა (Palaestina), არაბეთი (Arabia), მესოპოტამია (Mesopotamia), ბოლოს, ეგვიპტე (Aegyptus).

ჩამოთვლილ პროვინციათა ნაწილს ჰქონდა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორია და მაღალი კულტურული დონე; ასეთი იყო, პირველ ყოვლისა, ჰელინიზებული პროვინციები, რომელთაც კულტურის მხრავ პირველი ადგილი ეკირათ რომის იმპერიაში.

რომის იმპერიას II საუკუნის შუა ხანებში, ანტონინების „ბედნიერ პერიოდში“, ეკირა 100 ათასამდე კვადრ. მილი. ეს იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით მსოფლიო სახელმწიფო (Oicoumene), რომელიც გადაქიმული იყო ჩრდილოეთით შოტლანდიიდან ვიდრე აფრიკის ატლასამდე და ნილოსის შესართავამდე სამხრეთით, ატლანტის ოკეანედან დაწყებული კაკასიასა, ეფრატსა, არაბეთისა და სპარსეთის ყურეებამდე. რა შთაბეჭდილებას ახდენდა ეს თანამედროვეებზე, მმართველი დინასტიის მომხრეებზე, აპას ლაპარაკობს ჩვენს განკარგულებაში არსებული ტრაიანესადმი თქმული ხოტბა რომის სენატორის პლინიუს უმცროსისა და გამოჩენილი სოფისტის ელიუს არისტიდეს სიტყვა, მარკოს ავრელიუსისადმი მიმართული.

თავისი მსჯელობის დროს ორივე ავტორი გამოდის ერთი დებულებიდან: რომის დაპყრობანი შეწყდა, დადგა „რომაული მშვიდობიანობის“ (pax Romana) ხანა. იმპერიამ მიალწია თავის ბუნებრივ საზღვრებს და იტალიელ მოქალაქეთა სახელმწიფოსგან იგი იქცა ხმელთაშუაზღვეთის იმპერიად, რომელიც აერთიანებს ყველა ხალხს ქალაქ რომის მესვეურობით. „ახლაო, — აღტაცებით ამბობს არისტიდე, მიმართავს რა რომის ხალხსა და იმპერატორს, — თქვენი სახელმწიფოს ფარგლები ფართოდაა გაშლილი, და არ შეიძლება გაიზომოს ის, რაც ამ ფარგლებშია მოქცეული. ყოველივე თქვენ გმორჩილობთ: ყველა ქალაქი, ხალხი, ნავსადგური, ყოველივე ადგილი, იქნებ მიოლოდ იმ ადგილებს გარდა, რაც თქვენ უფარგისად იცანიო, რასაც თქვენ უგულვებელყოფდით, როგორც უსარგებლოს. მეწამულა ზღვაც, ნალოსის ჩანჩქერებიც, მეოტიდის ტბაც, რაზედაც წინათ ლაპარაკობდნენ, როგორც დედამიწის საზღვრებზე, ახლა თქვენი ქალაქსთვის იკივია, რაც ღობე კარმიდამოსთვის. ეგოდენ დიდია და ვრცელი თქვენი სახელმწიფო...“¹

„შურიანობის დემონმა დაჰკარგა ძალა მთელი ქვეყნებისა და ხალხთა ვნებისა, მანვე ელემენტები გაძევებულნი არიან შორეულ განაპირა ქვეყნებს იქით, ხოლო მკურნალი ელემენტები თავს იყრიან მსოფლიო სახელმწიფოში დედამიწისა და ზღვის კიდებიდან“².

¹ Ael. Aristid., XXVI, 23.

² Ibid., 65.

სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ ფაქტორების ზეგავლენით წინანდელი დაყოფა მოსახლეობისა მოქალაქეებად და პროვინცილებად ჰკარგავდა თავის აზრს და ისპობოდა. იტალიკები და პროვინცილები ახლა შეირწყმინან რომაელ მოქალაქეთა ერთ მთლიან მასად; ისინი ემორჩილებიან ერთ ხელისუფლებას, სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით და ერთნაირივე იდეალებისა და დაწესებულებათა მქონენიც არიან.

II საუკ. მწერლები განსაკუთრებული დაბეჯითებით ხაზს უსვამენ რომის იმპერიის მსოფლიო ხასიათს. პლუტარქოსი რომს უწოდებს „ხსნის ღუზას“, რომელმაც შეივრდო წყნარ ნავსადგურში მსოფლიო, ვნებათა ღელვით აბობოქრებული და უმესაქეოდ მოყილე წყლის სივრცეში. რომმა მოაწყო და ჩამოაყალიბა საერთო საკაცობრიო საზოგადოება ადამიანთა, ქვეყნებისა და ტომების გაშმაგებული ბრძოლის პირობებში. დაამყარა რა დაპყრობილ ხალხებს შორის მშვიდობიანობა, რომმა ისინი თანაზიარნი გახადა სამოქალაქო წესიერებისა და ცივილიზაციის სიკეთეებისა, მისცა რა მათ ფართო გასაქანი დაძოჟიანდებელი განვითარებისათვის.

„თქვენს ხელში ყველაფერი ხსნილია ყველასათვის,—წერდა თავის ხოტბაში ქალაქ რომს ელიუს არისტიდეს.—ალარავინ, ვინც კი ღირსია მაგისტრატურისა ან საზოგადო ნდობისა, ალარ ითვლება უცხოელად. რომაელის სახელი ალარაა ქალაქის კუთვნილება, არამედ იგი შეიქმნა მთელი კულტურული კაცობრიობის საკუთრებად. თქვენ დაამყარეთ მსოფლიოს მმართველობა ერთი ოჯახის წყობილების მსგავსად“-ო¹.

„ერთ ქალაქადა გადაქცეული მთელი მსოფლიო (urbem fecisti quod prius orbis erat),—აცხადებს იმავე დროის მეორე მწერალი-პროვინციალი.—რომის ხელისუფლება დამორჩილებულ ხალხთა ბოროტებისგან იქცა მათ სიკეთედ. რომმა მრავალ ხალხს შეუქმნა ერთი სამშობლო“-ო.

თუმცა ამგვარ დოკუმენტებს სპეციფიკურობა ახლავს და პირობითნობაც საკმაოდ არის გამოჩეღავებული პანეგირისტების მხრივ მმართველი დინასტიების მიპართ, მაგრამ მაინც მათ სიტყვებში ერთგვარი ჭეშმარიტების მარცვალი უეჭველად მოიპოვება. რასაკვირველია, შეუძლებელია რომის იმპერიის ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის უარყოფა.

¹ Ael. Aristid., XXVI, 63.

ქალაქ-სახელმწიფო რომის გადაქცევა ხმელთაშუაზღვეთის იმ პერიად ხელს უწყობდა სავაჭრო კავშირ-ურთიერთობის გაცხოველებას ხმელთაშუა ზღვის ხალხებს შორის, სააღმოსავლეთო ურთიერთობის გაფართოვებას და სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების პერიფერიაში გადანაცვლებას. აღებ-მიცემამ და საქონლად-ფულადმა მუდურებამ ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში რომის იმპერიის აზსებობის პირველ სამ საუკუნეში მეტად მაღალ დონეს მიაღწია ანტიკურ სამყაროში.

რომის ოიკუმენა, რომელსაც უშველებელი სივრცე ექირა და დასახლებული იყო სხვადასხვა ეროვნებით და მდიდარი იყო ნაირ-ნაირი ბუნებრივი პროდუქტით, საზღვაო გზებითა და სახმელეთო გზებით დაკავშირებული იყო იმ დროინდელი სამყაროს ყველა ქვეყანასთან. საგზაო ქსელი გაიზარდა და განშტოებებით გამრავლდა. ყველა რომაული გზის გამოსავალი წერტილი იყო ქალაქი რომი. ოქროში დაფერილი, მილის აღმნიშვნელი ქვიდან, რომის ფორუმზე რომ იყო, იწყებოდა საგზაო მაგისტრალები, მიმავალი ყველა მიმართულებით და განშტოებული უთვალავ პატარა გზებად და ბილიკებად. ყველაზე უფრო ძველი მაგისტრალი მიმართებოდა სამხრეთით—რომიდან კაპუამდე და რეგიუმამდე. მეორე გზა მიდიოდა აღმოსავლეთი მიმართულებით ბრუნდიზიუმისკენ, რომელიც ადრიატიკის ზღვის ბერძნულ სანაპიროდან გრძელდებოდა ბიზანტიონამდე, აქედან კი ცალკე შტოები მიმართებოდა ჩრდილოეთით და სამხრეთისკენ; აზიის სანაპიროზე იწყებოდა აზიური გზების ქსელი.

რომიდან გამომავალი ავრელიუსის გზა მიჰყვებოდა ზღვის სანაპიროს სექსტუსის წყლებზე, არელატეზე და ნარბონზე გადავლით და უხვევდა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ესპანეთისკენ, ჰადესამდე. ჩრდილოეთით ფართოდ განშტოებულ გზათა ხშირი ქსელი უერთდებოდა ფლამინიუსისა და ემილიუსის გზებს, შემდეგ კი მიდიოდა სულ სხვადასხვა მიმართულებით—გერმანიაში, გალიასა და ბრიტანეთში, დუნაიზე, პანონიაში, მიოზიაში, დაკიაში და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით—ბიზანტიონზე. მოკლედ—მთელი რომის სამყარო დაკავშირებული იყო შარა და სასოფლო გზებითა და არხების ხშირი ქსელით, რაც პირველ რიგში განკუთვნილი იყო სამხედრო-ადმინისტრაციულ მიზნებისთვის და მერე კი კომერციულ მიზნებისთვის.

თვალსაჩინოდ გაფართოვდა რომის საგარეო ვაჭრობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან: ინდოეთთან, ჩინეთთან და არებეთთან.

რომის ინდოეთთან გაცხოველებული ურთიერთობის სახეობას ამტკიცებს რომის ფულები, რომელთაც პოულობენ ფენჯაბში და ინდოსტანის სხვა ნაწილებში. ინდოეთის პოემებში იხსენიება ისეთი საგნები, რომელნიც ჩაჰქონდათ შორეული დასავლეთიდან: ლვინო, ნათურები, ბრინჯაოს და მინის ნაკეთობანი¹.

აღმოსავლეთთან ვაჭრობა წარმოებდა ზღვით ან ხმელეთით საქარავნო გზების საშუალებით. მთავარი ნავთსადგურები აღმოსავლეთთან ალექსანდრიისათვის იყო: მიოს-ჰორმოსი (Myos-Hormos) და ბერენიკა (Berenice) მეწამულ ზღვაზე, და შემდეგ სირია-პალესტინის სანაპიროს ქალაქები, საქარავნო გზების საბოლოო პუნქტები. აღმოსავლეთსა და რომს შორის საშუამავლო როლს, რომლის ცენტრსაც წარმოადგენდა პალმირა (Palmyra), აწრულებდნენ არაბეთის შეიხები და ვაჭრები. აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობას პასიური ხასიათი ჰქონდა და რომის სავაჭრო ბალანსისათვის იგი ხელსაყრელი არ იყო. აღმოსავლეთის ქვეყნები— არაბეთი, ინდოეთი და ჩინეთი—რომს აწვდიდნენ სპილოს ძვალს, აბრეშუმს, ქსოვილებს, ყოველნაირ სურნელებას, აღმოსავლური კულინარიის რჩეულ ნაწარმოებს, სანელებელს და მისთანა სხვას. ძვირფას აღმოსავლურ საქონელში მეტწილად აძლევდნენ ძვირფას ლითონს, რომელიც ამ გზით იმპერიის საზღვარ გარეთ გადიოდა. პლინიუსის სიტყვით, რომიდან აღმოსავლეთში ყოველწლიურად გადიოდა 100 მილიონზე მეტა სესტერციუმში. ეს თანხა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ერთხანად რომის კრაზისს, ხოლო ამის შედეგად მთელი ანტიკურა კულტურის კრაზისს, ხსნიდნენ ოქროს გასვლით აღმოსავლეთის ქვეყნებში, მეტადრე ინდოეთში.

ხმელთაშუაზღვით აღმოსავლეთთან საშუამავლო ვაჭრობაში განსაკუთრებული ადგილი ეკირა ეგვიპტის ალექსანდრიას, ძველი მსოფლიოს ერთ-ერთ მეტად დიდსა (მილიონ ნახევრამდე მცხოვრებით), მდიდარსა და კულტურულ ქალაქს. ალექსანდრიაზე გადიოდა მთელი ქვეყნის საქონელა, ალექსანდრიაში ცხოვრობდნენ ვაჭრები და შუამავლები, რომელნიც ნაირნაირ ენებზე ლაპარაკობდნენ,—ებრაელები, ბერძნები, იტალიკები, ფინიკიელები, არაბები, სპარსელები და მრავალი სხვა. ალექსანდრიას არა მარტო შეჰქონდა, არამედ გაჰქონდა კიდევ საკუთარი წარმოების საქონელი—ქსოვილები, მინისა და ლითონის ნაკეთობანი, პაპირუსი და მისთანა სხვა.

¹ R. Mookerji, Indian shipping, a history of the sea-borne trade and maritime activity of the Indians from the earliest times, London, 1912.

ვაკროპისა და ხელობათა მხრივ ეგვიპტის ალექსანდრიას ეკორა ერთ-ერთი პირველი ადგილი რომის იმპერიაში, იგი ცნობილი იყო როგორც მდიდარი სავაჭრო-სამრეწველო ქალაქი, სადაც არა-ცინ არ იჯდა უსაქმოდ. ერთი ფეიქრობდა, მეორე ახვევდა, მესამე მინას ბერავდა, მეოთხე პაპირუსს ამზადებდა და ა. შ. შეხუთულები და დამბლა დაცემულნიც კი საქმეს შოულობდნენ. ეგვიპტელთა ერთად-ერთი მისწრაფება და ლტოლვა ფულის მოგება იყო¹.

შინა ვაკრობა წარმოებდა პროვინციებს შორის და თვითონ პროვინციათა ფარგლებში. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია თუნდაც მარტო გადავფურცლოთ სტრაბონის „გეოგრაფია“, საიდანაც ჩანს, რომ სავაჭრო ურთიერთობა არსებობდა არა მარტო რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილებში, რომელთაც ჰქონდათ ათასწლოვანი ისტორია, არამედ აგრეთვე ჩრდილო-დასავლურ პროვინციებშიც, რომელნიც ის-ის იყო მხოლოდ გამოდიოდნენ ისტორიის ასპარეზზე. იტალიის ოლქებს შორის ყველაზე მეტი გაცხოველება ემჩნეოდა იტალიის ჩრდილოეთ ნაწილს (ლომბარდიას) და მის მომიჯნავე გალიის ოლქებს. სტრაბონის მიხედვით, ყველა ჩრდილო-იტალიური ქალაქი ეწეოდა გაცხოველებულ ვაკრობას. ლიგურებისთვის სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა გენუა, ვენეტების ქვეყანაში ცალკეული სავაჭრო ქალაქები და ადგილები დაკავშირებულია გემსავალ მდინარეებითა და ტბების ქსელით, იგი ერთს მთლიანს წარმოადგენს და გაერთიანებულია „გაკვირების ღირსი“ მდინარე პადუსით (პოთი). სხვა სავაჭრო ქალაქებს შორის ჩრდილო იტალიაში სტრაბონი იხსენიებს პატავიუმს (Patavium), რომელიც რომში გზავნიდა გასასყიდად დიდი რაოდენობით ათასნაირ საქონელს, უმთავრესად ყოველგვარ ტანისამოსს, და აკვილას (Aquila), ვენეტებისა და ილირიის ეროვნებათა სავაჭრო ცენტრს. აკვილაში საქონელი ჩააქვთ ზღვიდან და ხმელეთიდან: ღვინო ხის კასრებით, ტყვეები, პირუტყვი, ტყავეულობა და მისთანა.

ხმელთაშუა ზღვის ვაკრობის ცენტრი იყო რომი, სადაც თავს იყრიდა არა მარტო სავაჭრო, არამედ აგრეთვე ფინანსიურ სპეკულაციური საქმიანობის ყველა ძაფი. რომში ხდებოდა გარიგება იჯარებზე და სააღმშენებლო სამუშაოებზე, აქვე ხდებოდა სესხის აღება, იმყოფებოდა საბანკირო კანტორები (ტრაპეზები), ყიდულობდნენ და ყიდდნენ შემსყიდველ ამხანაგობათა აქციებს (partes). რომში ტიბრით, არნოთი და სხვა მდინარეებით „განსაცვიფრებელი რაო-

¹ Script. Hist. Aug., Saturninus, VIII.

დენობით“ ჩაჰქონდათ ქვა, ხე-ტყე და საერთოდ მთელი მასალა, ნიშნებლობისათვის საჭირო. იტალიასთან ვაჭრობაში უფროდაუფრო ემბემოდნენ ისეთი შორეული პროვინციებიც კი, როგორც იყო ესპანეთი. „სავაჭრო გზები ჰერკულესის სვეტებამდე (columnae Herculis—გიბრალტარი) მარჯვეა ნაოსნობისათვის და იმყოფება ქარების მხრივ ხელსაყრელ ზოლში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მძიმე ტვირთთან ზომალდებისთვის. ტურდეტანიიდან (სამხრეთი ესპანეთი) შემოაქვთ პური, მრავალი ღვინო და დიდი რაოდენობით საუკეთესო ზეთი. შემდეგ მოდის სპილენძი, ცვილი, ფისი „ბლომად ათასნაირი საღებავი ნივთიერება, მეტადრე სინგური. გარდა ამისა, ტურდეტანიაში უხვადაა ხე-ტყე გემების ასაშენებლად, იქ მოიპოვება მინერალის დიდი მარაგი, მისი მცხოვრებნი მისდევენ თევზის დამარილებას და ამზადებენ მშვენიერ მატყლის ქსოვილებს“¹.

ვაჭრობა წარმოებდა ზღვით, მდინარეებითა და სახმელეთო გზებით. იმპერიის ხანაში, შარა და სასოფლო გზათა ქსელის გაფართოვებასთან ერთად², აგებული იყო ბევრი არხი, რომელნიც უმნიშვნელოვანეს მდინარეებს აერთიანებდნენ ერთ ფართო წყლის აუზად. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე სახელმწიფო ფოსტას (cursus publicus), ტვირთის დაზღვევას და საერთო საიმპერიო ფულს—„ოქროს“ (aureus), რომელიც იწონიდა 8,5 გრამს, ვერცხლის დენარს, წონით 3,9 გრამიანს, და სპილენძის ასს, ხურდა ფულს, წონით 1 უნციანს (27,3 გრამი).

რომაელი ვაჭრებისა და არგენტარიების სავაჭრო-სპეკულაციური საქმიანობა გავრცელდა მთელ „ქვეყნების წრეზე“. მთელ ხმელთაშუაზღვეთში—orbis terrarum-ის—ნაპირებზე, კუნძულებზე და შიგნითა ნაწილებში პოულობენ უთვალავ „რომის მოქალაქეთა კავშირების“ (Conventus civium Romanorum) არსებობის ნიშან-კვალს. ამ დარგში წარმოებულმა გამოკვლევებმა (კორნემანის, ფრანკის, გვიდოსი და სხვ.) დაგვანახვეს, რომ პროვინციებში მცხოვრები რომაელი მოქალაქეები, რომელნიც კონვენტებში შედიოდნენ, როგორც წესი, მისდევდნენ ვაჭრობასა და ხელოსნობას ან კიდევ იყვნენ სახელმწიფო და კერძო სამსახურში. „რომაელი მოქალაქეები, რომელნიც მისდევენ ვაჭრობას, ეწევიან ფულად ოპერაციებს, და სხვ.“ (cives Romanis qui consistunt, qui negotiantur და ა. შ.) წარწერათა ჩვეულებრივი ფრაზაა. რომაელ და ადგი-

¹ Strab, III, 2, 5, 6.

² M. P. Charlesworth, Trade routes and commerce of the Roman Empire, Cambridge, 1926.

ლობრივ სოვდაგრებთან და საშუალო შექლების ვაჭრებთან ერთად წყაროები იხსენიებენ ბითუმად მოვაჭრე სოვდაგრებსაც. ასეთია, მაგალითად, ოპრამ ზევქსიდე, რომელმაც შემოიარა მთელი რომის ოიკუმენა. მეორე ვაჭარია—წამომწყები ფირმი ალექსანდრიიდან, რომელსაც შეეძლო იმ შემოსავლიდან, რაც ჰქონდა მარტო საპაპირუსო წარმოებიდან, „ქალაღისა და წებოსგან“, მთელი არძია გამოეყვანა, რომლის დახმარებითაც იგი ძალა-უფლებას ეცილებოდა რომის იმპერატორს ავრელიანეს. ფირმი მეფესავით ფუფუნებით ცხოვრობდა, მეგობრობდა პალმირას დედოფალს ზინობიას, შეკავშირებული იყო ნახევრად მეკობრე ლიბიურ და არაბულ ტომებთან-ბლემიებთან და სარაციებთან—და მთელ სავაჭრო ფლოტილიებს გზავნიდა ინდოეთში.

რომის ეკონომიკის სიმალლისა და სირთულის ერთ-ერთი მაჩვენებელია რომის სამართალი თავის მკაფიოდ გამოხატული კერძო-მფლობელური, ინდივიდუალისტური ხასიათით. საბოლოო სახით რომის სამართალი ჩამოყალიბდა ახ. წ. II საუკ. კლასიკურ იურისტების ხანაში. ამ დროისთვის სანიეტო სამართალში ჩამოყალიბდა საკუთრებისა (*proprietas*) და მფლობელობის (*possessio*) ცნებათა ზუსტი განსხვავება, საკუთრების უფლებაში შეტანილია გამაუქმებელი და შემძენი ხანდაზმულობის (*possessio longi temporis*) ცნებები, გაფართოებულია სერვიტუტების დადგენისა და გადაცემის ხერხ-საშუალებანი (სერვიტუტი სხვის ნივთებით სარგებლობა), აგრეთვე ფიდეიკომისებისა (მემკვიდრის თავისუფლად დანიშვნისა), საოჯახო სამართლის დარგში შეტანილია მამის უფლების შეზღუდვა და ქალის უფლება აღიარებული. ამგვარადვე მაჩვენებელია ცვლილებები სავალდებულებო სამართალშიც. აქ მიეკუთვნება უსახელო ფორმულარული ხელშეკრულებანი (*per formulas*), რაც აჩქარებდა გარიგებას, ნივთების გაცვლა-გამოცვლას და გადაცემას ფორმულების მიხედვით: „გაძლევ, რათა მომცე“ (*do ut des*), „გაძლევ, რათა გააკეთო“ (*do ut facias*) და ა. შ.

იურიდიულ ძეგლებში ვაჭრობის, კრედიტის, ფულის ტრიალისა და აქედან გამომდინარე სასამართლო კონფლიქტების საკითხებს, ძალიან დიდი ყურადღება ეთმობოდა. სავაჭრო ხელშეკრულება (*emptio venditio*), რომელი იურისტების მოძღვრებით, ისეთი ხელშეკრულებაა, რომლის საშუალებითაც ერთი კონტრაგენტი იღებს ვალდებულებას მისცეს ნასყიდი ნივთი, მეორე კი—გაღიხადოს მისი ფასი (*pretium*). სავაჭრო შეთანხმება ძალაში შედის მაშინათვე, როცა გამრივე მხარეები შეთანხმდებიან ნივთსა და ფასზე (*emptio*

venditio contrahitur), ამასთანავე არაა საჭირო არაერთარი ფორ-
მალობა, არც წერილობითი ვალდებულებანი, არც ფულის ნაღდად
მიცემა. საბოლოოდ კი ანგარიშის გასწორება უნდა მოხდეს მოჭ-
რილი ფულით (*pretium in numerata pecunia consistere debet*)¹.

მყიდველისა და გამყიდველის ინტერესებს იცავდნენ მთელი
რიგი სპეციალურ სარჩელებით (*actio empti, actio venditi*). ყვე-
ლაზე უფრო ხშირად გარიგება ხდებოდა არგენტარიების საშუალე-
ბით, რომელთაც თავიანთ კანტორებში ჰქონდათ მრწმუნებულთა ან-
გარიშები (*argentariae rationes*)².

ჰ. ხელოვანი და სახელოსნოები

რომში ხელოსნობის მდგომარეობის შესწავლა ყველაზე უკე-
თესია კონკრეტული მაგალითებით ორი ყველაზე უფრო ცნობილი
იტალიური ქალაქის—პომპეისა (*Pompeii*) და ჰერკულანუ-
მის (*Herculaneum*)³ სინამდვილიდან.

პომპეა და ჰერკულანუმი მდებარეობენ ბედნიერ კამპანიაში
(*Campania Felix*). ნარევი ბერძნულ-იტალიური მოსახლეობა უძვე-
ლეს დროიდან აქ მისდევდა ხელოსნობას და ვაჭრობას, რაც აყვა-
ვებული იყო ამ ქალაქების სღვის პირას და აპიუსის გზის მახლობ-
ლად მდებარეობის წყალობით. სულას დროს პომპეაში დასახლებულ
იქნენ ვეტრანები, და ამის შემდეგ ქალაქმა მალე მიიღო მუნიცი-
პიუმის უფლებები. პომპეას აყვავება გრძელდებოდა 79 წელს იმპე-
რატორ ტიტუს დროს მომხდარ კატასტროფამდე, როცა სამი ქა-
ლაქი—პომპეა, ჰერკულანუმი და სტაბია—ფერფლ-ნაცრით დაიფარა
და ღველფმა წალეკა.

ფერფლისგან განთავისუფლებული პომპეა და ჰერკულანუმი
წარმოადგენენ უმაღლესი ღირებულების საისტორიო ძეგლს—ახ. წ.
I საუკ. რომაული ქალაქის ცოცხალ მუზეუმს⁴.

უკანასკნელ დროს ჩვენი ცნობები პომპეას სოციალურ-ეკონო-
მიური ისტორიის დარგში გაფართოვდა მასალის ახალი გამკვე-
ვისა და უკეთესი სისტემატიზაციის წყალობით⁵.

¹ *Instil.*, III, 2^o.

² P. Зом. „Институции римского права“, 1888 г., стр. 247.

³ E. Kornemann, *De civibus Romanis in provinciis Imperii consti-
tentibus*, 1891.

⁴ H. Thédénat, *Pompeii, Les villes d'art célèbres*, 1906.

⁵ Della Corte, *La fouille de Pompée*, 1935.

პომპეა გვაცნობს ჩვენ პატარა რომაული ქალაქის ყოფა-ცხოვრების ყველა მხარეს, მათ შორის მშრომელი მოსახლეობის — ხელოსნებისა და ვაჭრების — ყოფა-ცხოვრებასაც.

პირველ გაცნობისთანავე ჩვენ გაცნობაში მოვყავართ ათასნაირ დუქნებისა და სახელოსნოების სიუხვეს, რომელთა არსებობის კვალი ყოველ ნაბიჯზე გვხვდება პომპეაში, ხოლო ჰერკულანუმში ნაკლებად. პომპეასა და ჰერკულანუმში აღმოჩენილ ნივთებს შორის მოიპოვება მრავალგვარი საგნები: ნათურები, ტაშტები, მინები, რკინის ფოცხები, ბრინჯაოს ფიცრები, ბარები, თიხის თეფშები, ბრინჯაოს ფულები, სასწვრები, ქილები პომადით, სამედიცინო იარაღები და უამრავი სხვა საგანი. კედლებზე შეიძლება გაირჩეს განცხადებანი შენობათა გაქირავების, სახლების გაყიდვის, აბანოების იჯარით გაცემის შესახებ და მისთანანი. პომპეის თითქმის ყველა სახლში არის დუქანი ან სახელოსნო. ხელობათა შორის მოხსენებულა საოქრომკედლო, პარფიუმერიისა, სათრიმლავი, სათელი, საპაპირუსო, პურის საცხობი და რამდენიმე სხვა. მუშაობდა თვითონ ოსტატი, მეტწილად აზატი, მარტო ან მონათა მცირე რაოდენობით. ერთი სახლის სვეტზე პომპეაში გამოხატულია სამაუღო სახელოსნო (fullonica), რომელიც ეზოში იყო მოთავსებული, სადაც ყოფილა სამი აუზი და ქვევრები მატყლის მატერიის გასარეცხად. ეზოს გარს შემოვლებული აქვს სვეტნარი, რომლის ირგვლივ მოთავსებულია პაჭარა ოთახები (cellae) მონა-მუშებისათვის. სახელოსნოში მომუშავე მონა-მუშების რიცხვი განისაზღვრება 6—12 კაცით. სახელოსნო ეკუთვნოდა აზატს, შესაძლებელია იმასაც კი, ვისიც მშვენიერი ვილა ქალაქის პირას მდებარეობდა.

პომპეას ახლოს არის სასაფლაო მარმარილოს საფლავებით და ურნებით (urnae vel testae). სასაფლაო აქრელებულია ყოველნაირი წარწერებით: „იკავნ შენთვის მიწა მსუბუქი“ (sit tibi terra levis), „მიეძღვნა ქვეყნელია ღმერთებს“ (diis manibus sacrum) და ა. შ. ამ საფლავებისა და ურნების წარმოება განსაკუთრებულ პროფესიას წარმოადგენდა.

პომპეას სავაჭრო-სახელოსნო ცხოვრება რამოდენიმე შეზღუდვით შეიძლება გადატანილ იქნეს ბმელთაშუაზღვეთის სხვა ქალაქებზედაც. ყველაზე უფრო ინტენსიურად ვაჭრობა და ხელობანი ვითარდებოდა ზღვის პირას მდებარე ქალაქებსა და დაბებში, მაშინ როდესაც კონტინენტალურ რაიონში უფრო მტკიცედ იყო დაცული სოფლის მეურნეობა, გაცვლა-გამოცვლა უფრო სუსტად იყო განვითარებული და აქ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მამულის სახე-

ლოსნოებს. ქალაქებში სახელოსნოთა პატრონ-მფლობელებად უფრო ხშირად აზატები იყვნენ, რომელნიც კავშირს არა სწყვეტდნენ თავიანთ ბატონებთან და მათ კლიენტებად ითვლებოდნენ.

განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ ინტელიგენტურ პროფესიებს, რომელნიც მოითხოვდნენ ხანგრძლივსა და რთულ სწავლებას. აქ მიეკუთვნება ექიმის, ხუროთმოძღვრის, მექანიკოსის, მასწავლებლის, მსახიობის და მრავალი სხვა პროფესია. ერთ-ერთი პირველ ადგილთაგანი ეჭირა საექიმო პროფესიას, რომელმაც იმპერატორთა ხანაში დიდ სრულყოფას მიაღწია. ექიმები დანაწილებულნი იყვნენ სკოლათა მიხედვით—მეთოდისკოსები, ემპირიკები, ეკლექტიკოსები, ჰიდროთერაპევტები და სხვა—და აგრეთვე სპეციალობის მიხედვით—კბილის ექიმები, ქირურგები, თვალის ექიმები, ნერვიულ და ქალთა სნეულებათა ექიმები, თიაქრისა და მარგულის სპეციალისტები და მისთანანი. ცნობილი ექიმები, მეტადრე კარის ექიმები, პრაქტიკის წყალობით მოკლე ხანში დიდ ქონებას იძენდნენ.

რომაულ საზოგადოებაში დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ აგრეთვე ხუროთმოძღვრები და მექანიკოსები, რაც ჭკაპაგებიცაა იმ უშველებელ ნაგებობათა სიმრავლის გამო, რომელნიც შენდებოდა მთელ იმპერატორთა ხანაში. ინტელიგენტურ პროფესიათა წარმომადგენლებს შორის უმაღლესი მდგომარეობა ჰქონდათ პროფესორებს, რომელნიც განსაკუთრებული ყურადღებითა და პატივისცემით სარგებლობდნენ იმპერატორის კარზე. ძალიან დაბალი მდგომარეობა ჰქონდათ სკოლის მასწავლებლებს, რომელთაც თავი ძლივს გაჰქონდათ. ინტელიგენტურ პროფესიათა შორის არა უკანასკნელი ადგილი ეჭირათ აგრეთვე სცენიური ხელოვნების წარმომადგენლებს. თეატრით, ცირკით და მსახიობებით გატაცებული იყვნენ რომის საზოგადოების ყველა ფენები. რომის ინტელიგენციის დიდი ნაწილი გამოდიოდა მონათა და აზატების რიგებიდან. პირველ ხანებში ინტელიგენტური პროფესიები მხოლოდ უცხოელების ხელში იყო, უფრო ხშირად ბერძენ მონებისა და აზატების ხელში. მაგრამ დროთა განმავლობაში, მეტადრე იმპერიის დროს, ინტელიგენტურ პროფესიებს სიხალისით ხელს სჭიდებდნენ აგრეთვე თავისუფალი მოქალაქეებიც.

ინტელიგენტური პროფესიები ის სფერო იყო, სადაც თავისუფალთა შრომა უფრო ადრე და წარმატებით შეუდგა მონათა შრომასთან მეტოქეობას.

4. სახელოსნო ტექნიკა

ერთ ადგილზე არ იყო გაკინული სახელოსნო ტექნიკაც. ახალა წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეები აღბეჭდილია ძრავალი გაუმჯობესებით სააღმშენებლო, სამხედრო და საწარმოო ტექნიკაში. I—III საუკ.-თა დროის რომის იმპერია ანტიკური ეკონომიკისა და ტექნიკის უმაღლესი წერტილია. გაუმჯობესებანი სახელოსნო და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაში, რასაც ვხედავთ ამ ხანებში, დაკავშირებულია მონათა შრომის გამოყენების შეზღუდვა-შემცირებასთან, რაზედაც სხვა ადგილას არის საუბარი.

როგორც შეიძლება დავასკვნათ პოპიუსისა და სხვა იტალიურ და პროვინციულ ქალაქთა მასალებიდან, ახ. წ. I—III საუკ.-ობებში ძირითად საწარმოო ერთეულად კვლავ რჩებოდა სახელოსნო (officina), რომელაც ხშირად იმავე დროს იყო დუქანიც (tiberna), სადაც იყიდებოდა ამათივე წარმოების მზამზარეული პოდუქტები და შეკვეთებსაც იღებდნენ. ოსტატების მიერ დამზადებული საქონელი ნაწილობრივ ნაფარადევი იყო უშუალოდ შემკვეთლები-სათვის, ნაწილობრივ კი მიდიოდა ქალაქის ბაზარზე (basilica vestiaria, olearia, vasana და სხვ.) ან კიდევ იყიდებოდა წვირლ ვაჭრებზე და დამტარებლებზე (institores, circitores).

ქვემოთ მოყვანილია სახელოსნოთა მფლობელებისა ან იჯარადრების სია, რომელიც შედგენილია საქონთნე სახელოსნოთა პატრონებისა შტემპელებიან წარწერათა საფუძველზე; აქედან შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ რომაულ ოფიცინების მოკულობის შესახებ:

სახელოსნოთა მფლობელები	ოსტატების რიცხვი
1. P. Cornellus	58
2. L. Rasinius Pisanus	44
3. G. Annius	33
4. Publius	26
5. L. Unifricius Scarus	20

და ა. შ.

გუმერუსი, ამ ტაბულის შემდგენელი, მონა-ხელოსნების ძირითად ბირთვის მიათვლის ქარგლებისა, შეგირდებისა (discendes) და მსახურთა რიცხვს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ საქონთნე სახელოსნო-მანუფაქტურებში ჩაბმულ პირთა რიცხვი საშუალოდ უდრიდა 100 კაცს. ანალოგიურ დასკვნამდე მიდიან არქეოლოგიურ მონაცემთა საფუძველზედაც დამყარებით, ეს მონაცემები კია გამოსაწვავ ლუმი.

ლთა ნაშთები ლეზუში (Lesoux), ჰაიგენბერგში (Heigenberg) და რომის საქოთნო წარმოების სხვა ცენტრებში¹.

ხელოსნების ძირითად მასას შეადგენდნენ მონები, აზატეპი და თავისუფლები, ამასთანავე ორი უკანასკნელი კატეგორიის წარმომადგენელთა რიცხვი საუკუნიდან საუკუნემდე იზრდებოდა.²

პომპეის ერთ წარწერაში მოხსენებულია საფეიქრო, რომელსაც ჰყავდა 13 მხევალი, ქსოვაში ჩაბმული.³ მეორე საფლავის წარწერაში გამოყვანილია მდიდარი მეფუნთუშე, მ. ვერგილიუს ვერიზაკესი (M. Vergilius Eurysakes pistor), დიდი საცხობი წარმოების მფლობელი ან იჯარადარი.⁴ ამგვარი სახელოსნო-მანუფაქტურათა მდიდარი მფლობელების სიის გაზრდა ადვილად შეიძლებოდა. ხელოსან-წამომწეებთა კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს ზემოთხსენებული ალექსანდრიელი ფირმაც, რომელიც აპირებდა თავის „ქალაღისა და წებოს“ შემოსავლიდან, ე. ი. საპაპირუსო წარმოებიდან, მთელი არმიის მოწყობას. „მას იმდენად ბლოჯად ჰქონდა შემოსავალი თავის საქალაღო წარმოებიდან, რომ ხშირად საჯაროდ აცხადებდა, რომ მას შეუძლიან თავის პაპირუსებითა და წებოთა მთელი არმიის მოგროვება“ (tantum habuisse de chartis ut publice saepe diceret exercitum se alere posse papyro et glutine)⁵.

მდიდარი ეპიგრაფიკული მასალის გარდა, იმის დასამტკიცებლად, რომ ფართოდ იყო გავრცელებული რომის იმპერიაში საქალაქო ხელოსნობა და ვაჭრობა, შეიძლება მოვიყვანოთ ამ საკითხის შესახებ ავტორთა სიტყვებიც.

მაგალითად, ყურადღების ღირსია არქიტექტორ ვიტრუვიუსის შემდეგი, გაკვრით ნათქვამი შენიშვნა, რომ „სახლში ხომ არავინ ცდილობს რაიმე სხვა ხელობას, როგორც, მაგალითად, მეწაღეობას, მთელაობას ან სხვა უფრო იოლ ხელობას მოსკიდოს ხელი, არქიტექტურის გარდაო“ (itaque nemo artem ullam aliam conatur domi facere, uti sutrinam, fullonicam aut ex ceteris qui sunt faciliores nisi architecturam)⁶.

¹ J. Déchelette, Manuel d'archéologie, I, 146.

² Kuehn, De opificum Romanorum conditione privata quaestiones. 1913.

³ C. I. L., IV, 1507.

⁴ Ibid., 1013—1016; VI, 195².

⁵ Script. Hist. Aug.: Firmus, III, 2.

⁶ Vitruv., VI, praef. 7.

საორგანიზაციო მხარე დიდ ოფიცინებში შეადგენდა განსაკუთრებული მმართველებისა (officinatores) და მათი თანამშრომლების (magistri, praepositi) მოვალეობას. დიდ სახელოსნოებში ფართოდ ატარებდნენ შრომის განაწილებას. ასე მაგალითად, ლითონის დამამუშავებელ ხელობაში შემდეგი სპეციალობანი არსებობდა: მოყალიბენი, გამკრიალებელნი, სამკაულთა ამომკრელნი, მჭედლები და სხვ. შრომის განაწილებას ეხედავთ აგრეთვე მინის, სააღმშენებლო, სამღებრო, საფეიქრო, კერამიკულ, სამცხობრო და სხვა წარმოებაში. მაგალითად, ქსოვილების შეღებვის პროცესს უნდა გაეარა რამდენიმე სტადია. პირველად მასალა ირეცხებოდა და იწმინდებოდა ქსოვილის შემკენებელი ზეთით, მერე გოგირდის ბოლში გამოჰყავდათ და იწმინდებოდა ბუნებრივი ფერის კიშოლის ზეთით, გაწმენდისა და შეღებვის შემდეგ ქსოვილს აშრობდნენ და ზედ გოგირდს აყრიდნენ. ბოლოს, გოგირდის მერე დარჩენილ ხუნსა და სიმუქეს სპობდნენ კიშოლის ცარცოვანი ქვით, რომელიც აცხოველებდა გახუნებულ ფერებს¹.

ველაზე მეტი ცნობა მოიპოვება სამთამადნო საქმეზე და ლითონის დანამუშავებელი მრეწველობის შესახებ.

დიოდორეს, სტრაბონის, პლინიუსის აღწერილობებიდან და სხვა წყაროებით შეიძლება დაისკვნას, რომ რომაულ-ელისისტურ ხანაში არსებობდა გამოსაწვავი და სადნობი ღუმელები. დიოდორე მოგვითხრობს, რომ ქალაქ პოპულონიის მიდამოებში მოიპოვება სიდერიტის მდიდარი ბუდობებიო. რკინის შემცველ ჯიშებს გამოსწვავდნენ ხოლმე „მშვენიერად მოწყობილ ღუმელებში“. ძლიერი ცეცხლი ადნობს ცალკე ნაჭრებს-ნატეხებს და აცალკევებს მათში დაცულ ლითონს. გამოდნობილი ლითონი იჭრება სიმეტრიულ ნაჭრებად (ზოდებად), რომელნიც ღრუბელს შოგვაგონებენ. მადნის დამუშავების ადგილას მოდიან ვაჭრები; ისინი ყიდულობენ ზოდებს და მერე ჰყიდიან მათ სპეციალისტ-ოსტატებზე შემდგომ დამუშავებისათვის. მჭედლებს ამ ზოდებიდან გამოჰყავთ საომარი იარაღი, წერაქვები, ნამგლები და სხვა ხელოვნურად მომზადებული იარაღი².

რკინის იარაღებთან და საგნებთან ერთად მზადდებოდა დიდი რაოდენობით სხვადასხვა საგანი სპილენძისა და ბრინჯაოს-

¹ Plin., Nat. Hist., XXXV, 197-198. ამ საკითხის შესახები მასალა სინთეზირებულია გუმერუსის მიერ წერილში „ინდუსტრია და ვაჭრობა“ P July-Wissowa-ს ენციკლოპედიაში, IX, 2, გვ. 1530.

² Diod, V, 13, 1-2.

გან. წარმოების პროცესი რთული იყო და მოითხოვდა კვალიფიციურ ოსტატებს. ლითონს ადნობდნენ, ურევდნენ კალის ან თუთიას სათანადო რაოდენობას და ასხავდნენ ცალკე ყალიბებში. სპილენძისა და ბრინჯაოს საგნების დიდი რაოდენობა, რაც შენახულია ჩვენ დრომდე რომაული ეპოქიდან, მოწმობს იმას, რომ გავრცელებული ყოფილა სპილენძ-ბრინჯაოს წარმოება¹.

რომის სადნობ ღუმელების სრულყოფაზე მიგვითითებს მათში დამზადებულ რკინის მაღალი ღირებულება და მრავალფეროვნობა, რის შესახებაც არის ლაპარაკი პლინიუსის „საბუნებისმეტყველო ისტორიაში“. პლინიუსი მოგვითხრობს, რომ რკინის ხარისხი დამოკიდებულია ჰავაზე, ნიადაგზე და გამოდნობის ხასიათზეო. რკინის ზოგიერთ ხარისხს ადნობენ ერთნაირად, მეორეს—მეორენაირად. მაგალითად, ზოლოვანი რკინა მიდის ლურსმნების, გრდემლების, ჩაქურების და მისთანათა დამზადებაზე. საუკეთესო ხარისხის რკინად ითვლებოდა ჩინეთისა და პართიის რკინა. ორივე ამ ხარისხის რკინა მზადდებოდა წმინდა ლითონისგან, მაშინ როდესაც სხვა ხარისხიანი შეიცავდნენ რბილ შენაერთთა დიდ ნარევისაც. გამოსადნობი მადნის ხარისხი, პლინიუსის თანახმად, დამოკიდებულია წყალზე, რომელშიაც ზოდს უშვებენ გავარვარების შემდეგ და აგრეთვე ღუმელების, სახეთო და სალესავ ქვების სრულყოფაზედაც.

„გალესვის დროს განირჩევა ზეთისა და წყლის სალესავი ქვები: ზეთი პირს ათხელებს. აღსანიშნავია, რომ რკინა დნობის დროს წყალივით თხიერი ხდება და იშტერევა. რკინისაგან დამზადებულ უფრო თხელ ნაკეთობათა გაცივება ხდება ჩვეულებრივად ზეთით, რომ წყალმა მას მტკრევადი სიმტკიცე არ მისცესო“.² რა მოცულობისა იყო სამთამადნო წარმოება, ამაზე საკმაოდ მკაფიოდ ლაპარაკობს იმ მუშათა რიცხვი, რომელიც ჩაბმული იყო ესპანეთის ვერცხლის მადნებში. ვერცხლის მადნებს ახალი კართაგენის მახლობლად (ესპანეთში) ექირათ სივრცე 400 სტადიონის ფართობით და აქ ითვლებოდა 40 ათასზე მეტი მუშა. მუშათა აქ დასახელებული რიცხვი გაზვიადებულად არ გვეჩვენება, თუ მხედველობაში მივიღებთ წარმოების არამალალ მექანიზაციას, მანქანათა უქონლობას და მეორე მხრით ლითონზე მაშინ არსებულ დიდ მოთხოვნილებას.

¹ T. Frank, An economic history of Rome to the end of the Republic., 2 ed., 1927.

² Plin., Nat. Hist., XXXIV, 146.

მადნის მოპოვება არ განისაზღვრებოდა მარტო ნიადაგის ზედა ფენებით. სამთამადნო შახტები ღრმად იჭრებოდა დედამიწის წიაღ-წი და თავისი ტექნიკური კონსტრუქციით საკმაოდ რთული იყო¹. მალაროებში მუშაობისას იყენებდნენ წყალსაქცევ მანქანებს, რომელთაც ეწოდებოდათ „ეგვიბტური ლოკოკინა“. ამ ლოკოკინათა მექანიზმი ისეა მოწყობილი, რომ სავსებით ჩვეულებრივი მუშაობის პირობებში ყოველივე მოლოდინის გარეშე ზემოთ ააქვს დიდი რაოდენობის წყალი და მთელი ეს მდინარისეული ნაკადი მიიმართება მიწის წიაღიდან ზედა პირზე.² „ეგვიბტური ლოკოკინები“—ამწვევი მექანიზმები—ანტიკურ საზოგადოებებში დიდ სრულყოფას აღწევენ.

ერთ-ერთი ასეთი ამწე აღწერილია ძვ. წ. I საუკ. რომაელი ინჟინრის ვიტრუვიუსის ტექნიკურ ენციკლოპედიაში. აღწერს რა სხვადასხვა გვარ წყალამწვევ მექანიზმებს, ვიტრუვიუსი უფრო ვრცლად გადმოგვცენს თათიანი თელის აღწერილობას. „მას მერე რაც მექანიზმა მოძრაობაში მოვა ფეხების დაწოლით, იგი იწყებს წყლის აშოქაჩვას ჩაჩებით, რომელნიც გაკეთებული აქვს თათიან თვალს ნაპირებზე, და ღერძის გაყოლებაზე ამოკვეთილი ღარებით გააქვს წყალი, ხის ვარცლებში, აქედან წყალი დიდი რაოდენობით მიედინება იმ მილით, რომელიც ვარცლს აქვს მიმაგრებული, შემდეგ კი იგი მიდის ბალებში, რომელთა მორწყვაც უნდათ, ან მარილსახდელში, სადაც მარილს ხდიან“³.

სამთამადნო სარეწაოებში მუშაობა მეტად სახიფათო და მავნე, ამასთანავე მეტად სამძიმოც იყო იქ მომუშავეებისათვის. „ის ხალხი, ვინც მალაროებში მუშაობას მისდევს, მონები და თავისუფალნი, და რომელნიც თავიანთ ბატონებს დაუჯერებელი რაოდენობის დიდ შემოსავალს აძლევენ, წელში გაწყვეტილნი არიან მიწისქვეშა შახტებში დღისით და ღამით მუშაობისაგან, მრავალი მათგანი იხოცება გადამეტებული შრომისაგან. არ არის მათში არც სამუშაოსაგან განთავისუფლება, არც მუშაობისას შიგადაშიგ დასვენება. მეთვალყურეები სცემენ მათ და აიძულებენ აიტანონ მთელი თავისი საშინელებით ეს შავბედიითი მდგომარეობა, მიჰყავთ რა ისინი სიკვდილის კარაპდეო“.⁴

¹ Ardailon, Dict. Antiq., Metalla; O. Davies, Roman mines in Europe, 1935.

² Diod., V, 37.

³ Vitruv., X, 4, 2.

⁴ Diod., V, 38, 1—20.

მექანიზმების გამოყენება მარტო სამთამადნო წარმოებაში როდი იყო. მანქანებს (machinae) იყენებდნენ აგრეთვე სხვა წარმოებებშიც, რომელნიც დაკავშირებული იყვნენ სინძიმეთა აწევასა და ტრანსპორტთან. სასოფლო-სამეურნეო იარაღები—ძვირე გუთნები, საღებავები, რაც მოძრაობაში მოჰყავდათ პირუტყვის საშუალებით, სამკალი და მისთანა სხვა იარაღები, რაც აღწერილია სხვა თავში (კოლონატის შესახებ), ასევე შეიძლება მივაკუთვნოთ ანტიკურ მანქანათა რიცხვს. ანტიკური მწერლები მალალ შეფასებას აძლევენ მანქანათა როლს და უმთავრესად ხაზს უსვამენ მათ მნიშვნელობას, როგორც მამოძრავებელ და გადამცემ ძალას. მანქანები მზადდებოდა ხისაგან, რკინის წვრილმანებს კი იყენებდნენ განსაზღვრული რაოდენობით. „მანქანა არის ყველა თავისი ნაწილებით ასხმულ-დაკავშირებული ხის მოწყობილობა, რომელსაც უდიდესი უპირატესობა აქვს გადაზიდვისათვის. მანქანის მოქმედება დამოკიდებულია იმ ხელოვნებაზე, რომელიც დამყარებულია ბრუნვით მოძრაობაზე“.¹

როგორც აღმშენებლობითი ტექნიკის მაგალითი საკმარისია დავასახელოთ ტრაიანეს ხიდი დუნაიზე. „ტრაიანეზო,—მოგვითხრობს დიონი,—ააგო ქვის ხიდი, რომლის მიმართ მე ვერ მომიძებნია სიტყვა ჩემი აღტაცების გამოსატქმელად. ამის გარდა კიდევ იყო მრავალი სხვა შესანიშნავი ნაგებობა, მაგრამ ეს ხიდი ყველაფერს აღემატება. იგი აგებული იყო 20 უშველებელ ქვის ბურჯზე, ქვის კვადრატული ფიქალებსგან, სიმალით 150 რომაული ფუტისანზე (50 მეტრი), საძირკველის მიუთვლელად, ამის სიგანე კი შეადგენდა 60 ფუტს (20 მეტრს), ბურჯები ერთმანეთში დაკავშირებული იყო განსაკუთრებული კამარებით“.

„არ იცი, ამ შემთხვევაში რამ უნდა გაგაოცოს: იმ ხარჯებმა, რაც ამ საქმეზე იყო გაწეული, თუ იმ ხერხ-საშუალებებმა, რომლითაც თითოეული ეს ბურჯი აღმართულ იქმნა მრავალწყლიერი მდინარის შუა გულში, მორევებით უხვი დინების პირობებში, ლამიან ნიადაგზე“-ო.

მაგრამ ტრაიანეს გრანდიოზული ნაგებობა დიდხანს არ მდგარა. ტრაიანეს მოადგილემ ადრიანემ ბრძანა ხიდი დაენგრიათ იმის შიშით, რომ დუნაის გაღმელი ტომები ხილით ისარგებლებდნენ და თარეშს მოუხშირებდნენ. „ახლა მისი ბურჯები დგას უსარგებლოდ და საშუალებას არ იძლევიან ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასვლი-

¹ Vitruv., X, 1, 4.

სას, თითქოს ეს ბურჯები იმისთვის იყოს გაკეთებული, რომ კაცს დაანახვოს—აი, არაფერია ისეთი ძნელი-რამ, რის გაკეთებაც ადამიანმა ვერ შესძლოსა¹.

რომის არქიტექტურის, ხოლო არაპირდაპირი გზით საერთოდ ანტიკურ არქიტექტურის გასაცნობად დიდ ღირებულებას წარმოადგენს ზემოხსენებულ რომაელი არქიტექტორის მარკოს ვიტრუვიუს პოლიონის (Marcus Vitruvius Pollio) თხზულება „არქიტექტურის შესახებ“ (De architectura) 10 წიგნად. ვიტრუვიუსის ნაწარმოები ეკუთვნის ძვ. წ. I საუკ. დასასრულს, მაგრამ იგი თამამად შეიძლება გამოყენებულ იქნეს უფრო გვიანდელი დროის ტექნიკის დასახასიათებლადაც. მე-VI წიგნში ვიტრუვიუსი გამოსთქვამს საერთო შეხედულებას არქიტექტურაზე, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ რომის სააღმშენებლო ხელოვნება მალა იდგა და რომ იგი მრავალფეროვანი და თეორიულადაც გაფორმებული იყო.

„ყოველი არქიტექტურული ნაგებობის შეფასებაო, —წერს ვიტრუვიუსი,—სამი თვალსაზრისით ხდება: შესრულების ტექნიკური სრულყოფის თვალსაზრისით, ბრწყინვალეობისა და კეთილმშვენიერების თვალსაზრისით და არქიტექტონიკური დაგეგმვის თვალსაზრისით. როცა თვალწინ გიდგას შენობა, რომელიც წარმოადგენს უაღრესი კეთილმშვენიერების ნიმუშს, იგი იწვევს ქებას ფულადი ხარჯების მიმართ, ე. ი. იმის მიმართ, რაც დაპოკიდებულია შენობის მესაკუთრეზე. ხოლო როცა თვალწინაა ტექნიკური შესრულების სრულყოფა, მაშინ იწონებ ტექნიკოსის რუღუნებით მუშაობას. და, ბოლოს, როცა შენობას აქვს მოწიფული დამთავრების ბეჭედი პროპორციათა და თანაშემოძილობათა ჰარმონიის მეოხებით, მარტო მაშინ იქნება არქიტექტორის ნამდვილი სახელი და დიდება.

მაგრამ ასეთი წარმატების მიღწევა შეიძლება მარტო მაშინ, თუ საქმე წესიერად არის დაყენებული, როცა არქიტექტორს არ ეთაკილება მოისმინოს რჩევა ტექნიკოს-ხელოსნებისაგანაც და შენობის უვიცი პატრონისაგანაც. ვინაიდან ყველა ადამიანს, და არა მარტო არქიტექტორებს, შეუძლია იმსჯელოს იმაზე, რაც კარგია. მაგრამ სპეციალისტ-არქიტექტორებსა და მათდამი სამუშაოს მიმცემდილეთანტებს შორის ის განსხვავებაა, რომ უკანასკნელთა შორის არც ერთს არ შეუძლიან იცოდეს ის, თუ რა გამოვა, სანამ არ დაინახავს უკვე მზა შენობას. არქიტექტორს კი იმ წუთიდან, როცა ის

¹ Dio Cass., LXVIII, 14.

თავის კვაში შენობის კონსტრუქციას მოახდენს, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ იგი საქმეს შეუდგება, უკვე აქვს თვალ წინ შენობის საესებით გარკვეული კონცეფცია, როგორც იგი უნდა იყოს მოხდენილობის მხრივაც, პრაქტიკულობის მხრივაც და თავისი დანიშნულების შესაბამის გარეგნობითაც“.¹

მეორე ადგილას ვიტრუვიუსი ჩამოსთვლის შენობათა სახეობებს, რომელნიც მის დროს შენდებოდა სხვადასხვა საზოგადოებრივ და კერძო საქიროებათა და პროფესიებისათვის.

იმ პირთათვის, ვინც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასთან, ვესტიბულების ნაცვლად საჭიროა თავლები, დუქნები; მშენებრივად მოწყობილ დარბაზების მაგიერ—სარდაფები, ბელლები, საწყობები და სხვა შენობები, რომელნიც გამოდგება პროდუქტების შესანახად და არა მოხდენილობით თავის მისაწონებლად და რომელნიც შენდება თავისი უტილიტარული დანიშნულების შესაბამისად. ამგვარადვე მათ პროფესიებს უნდა შეეფერებოდეს არგენტარიებისა და პუბლიკანების შენობანი; ამათთვის საჭიროა კომფორტულობა და იმპოზანტურობა და აგრეთვე შესაძლებელ თავდასხმათაგან დაფარვა. მეორე მხრით, სახელმწიფო მოღვაწეებსა და ლიტერატორებს ესაჭიროებათ ისეთი სადგომი, რომელიც განირჩევა თავისი მოხდენილობით და სიფართოვით ხალხის მისაღებად და საკრებულოდ.

დაბოლოს, წარჩინებულ პირთათვის, რომელნიც, როგორც საპატიო თანამდებობისა და მაგისტრატურის მქონენი, მოვალენი არიან სამსახურებრივი მდგომარეობის გამო მოქალაქეებს აღმოუჩინონ შემწეობა საზოგადოებრივ საქმეებში, სადგომები უნდა შენდებოდეს მათი წოდებისა და მდგომარეობის შესაფერისად: მეფური ვესტიბიულები, მაღალი ატრიუმები და მონუმენტური პერისტილები, ბალის ხეივანების ნერვები მფლობელის მაღალი მდგომარეობის შესაბამისად და გარდა ამისა ბიბლიოთეკები, პინაკოთეკები, ბაზილიკები, რომელნიც თავისი მოწყობილობით ღირსეულად შეედრებიან დიდმშენებრივების მხრივ ამ სახელწოდების საზოგადოებრივ შენობებს, რადგან ამ მაღალი მდგომარეობის პირთა სახლებში განუწყვეტლივ წარმოებს სახელმწიფო თათბირები და კერძო საქმეთა გარჩევა“.²

მაგრამ საფაბრიკო წარმოებამდე და ინდუსტრიამდე, ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით, ანტიკური სამყარო შინაგან ვერ

¹ Vitruv., VI, 8, 9—10.

² Ibid., VI, 5, 2.

ამაღლდა, ანტიკურ საზოგადოებათა განვითარება წავიდა უფრო-სხვა ვხვით, ვიდრე ახალი დროის ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა გან-ვითარება. ანტიკურ გზას მთელი რიგი მიზეზების ძალით არ შეეძ-ლო მიეყვანა ცხოვრება მანქანიზმისადმი, არც ინდუსტრიალიზმი-სადმი და ამიტომაც მას, მაშასადამე, არ შეეძლო შეექმნა მუშათა კლასი (პროლეტარიატი) ამ სიტყვის საკუთარი გაგებით, რაც დამა-ხასიათებელია ევროპული ინდუსტრიალიზმისათვის. ტექნიკური პრო-გრესის და ამასთანავე ერთად საფაბრიკო ტიპის მსხვილი წარმოე-ბის განვითარების მთავარი შემაფერხებელი იყო: მონური შრომის ფართო გამოყენება, მამულებში სახელოსნოების (ოიკოსების) არსე-ბობა, კლიენტობის სისტემა, მოსახლეობის არამადალი მსყიდველო-ბითი უნარი და ანტიკურ საზოგადოებათა მთელი რიგი სხვა სო-ციალურ-ეკონომიური და ფსიქოლოგიური თავისებურებანი. წარმო-ების გაბატონებულ სახეობად ანტიკური სამყაროს არსებობის მთელ მანძილზე დარჩა სახელოსნოები და მუშაობა შეკვეთით (redempto- res, conductores).¹

ხელობის უკანასკნელი ფორმა ყველაზე უფრო მეტად გავრცე-ლებული იყო ქალაქ გარეთ, მამულებში, ხელოსნები მუშაობდნენ ცალცალკე თითოეული ან მთელი არტელებით რამდენიმე კაცი ერ-თად იჯარადრის პასუხისმგებლობით (conductor, redemptor). მუ-შაობა შეთანხმებით (locatio-conductio operarum) იჯარადრების საშუალებით მიღებული იყო ხელობის ყველა სახეობაში, უფრო ხში-რად კი მშენებლობაზე. მუშათა შრომის ანაზღაურება ხდებოდა დღეების მიხედვით ან კიდევ ცალობით (locatio-conductio operis) სამუშაოს გარკვეული რაოდენობის მიხედვით.

მანქანები იხმარებოდა უმთავრესად სიმძიმეთა ასაწევად, სა-დაც საჭირო იყო ხოლმე მოტორის ბრუნვითი ენერგია, საწარმოო ხელსაწყოები კი (დაზგები) ანტიკური ტექნიკის უაღრესი განვითა-რების ხანაშიაც კი მეტად პრიმიტიული რჩებოდა.

საწარმოო ტექნიკის დაბალი დონე და მუშაობის ცუდი ჰიგიე-ნური პირობები მაშინ, როდესაც შედარებით ფართო იყო წარმოე-ბის მოცულობა, მეტადრე მეტალურგიასა და სოფლის მეურნეობაში, გულისხმობდა მუშა-ხელის დიდ მარაგს და წარმოადგენდა მიზეზს მუშა ხელის პერმანენტური კრიზისისას, რაც დამახა-სიათებელია ანტიკურ საზოგადოებათათვის. ანტიკური ეკონომიკისა და ტექნიკის ყველა თავისებურობა ყველაზე უფრო მკვეთრად ჩანს,

¹ H. Gummerus, Industrie und Handel, Pauly-Wissowa, IX, 2.

თუ შევადარებთ მას კაპიტალიზმის ეპოქის ეკონომიკასა და სამანქანო ტექნიკასთან, რომლის ანალიზი მოცემულია მარქსის „კაპიტალის“ 1 ტომის XIII თავში.

ანტიკური ტექნიკისა და მისი სოციალურ წყობილებაზე გავლენის საკითხებში სპეციალურად შევყავართ ფრანგი მეცნიერის ლეფევერ დე ნოეტის შრომას „პირუტყვის მოძრაობითი ძალა საუკუნეთა მანძილზე“¹ და იმავე ავტორის მეორე შრომის „რომის გზა და თანამედროვე გზა“². ამ საკითხის შესახებ არა მცირედი ძვირფასი ცნობები მოიპოვება მარქს ვებერის წიგნში „რომის აგრარული ისტორია და მისი მნიშვნელობა სახელმწიფო და კერძო სამართლისათვის“³ და ზორლინგ დორინის წერილში „სოფლის მეურნეობა“⁴ და სხვ.

5. მუნიციპალური წარმოება და მუნიციპალური ცხოვრება რომის იმპერიის პირველ საუკუნეებში

ხელობათა, სოფლის მეურნეობისა და ინტელიგენტურ პროფესიათა ზრდა წარმოებდა ქალაქების ზრდასთან და საქალაქო ცხოვრების განვითარებასთან ერთად. რომის იმპერიის ისტორია ესაა ისტორია ქალაქების ზრდისა, პროვინციათა დაწინაურებისა და რომ-იტალიის სახელმწიფოს ხმელთაშუაზღვეთის იმპერიად გადაქცევისა. პროვინციათა ზრდა დაიწყო რესპუბლიკის ბოლო ხანებიდან და გრძელდებოდა იმპერიის დასასრულამდე. პროვინციათა აყვავების ხანა ემთხვევა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ორ საუკუნეს, ფლავიუსების, ანტონინების და ნაწილობრივად სევეროსების ხანას, რომელნიც წამოაყენეს პროვინციულმა ლეგიონებმა და მუნიციპიების ზედა ფენამ.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ორი საუკუნე აღბეჭდილია დიდი ძვრებით ხმელთაშუაზღვეთის ეკონომიკაში: სამეურნეო ცენტრების გადანაცვლებით, ძველი ქალაქების დაცარიელებით და მთელი რიგი ახალი ქალაქების გაჩენით. ერთ შემთხვევაში სა-

¹ Lefebvre de Noette, La force motrice animale à travers les ag'es, Paris, 1924.

² La voie romaine et la route moderne „Revue archéologique“, 1925, t. XXII.

³ M. Weber, Die römische Agrargeschichte in Ihrer Bedeutung für das Stats- und Privatrecht, Stuttgart, 1891.

⁴ Sorling Dorigni, Rustica res.; Daremberg et Saglio, Dictionnaire des antiquités, t. IV, p. 916.

ქალაქო ტიპის სამოსახლოები ჩნდებოდა ორგანიულად, შინაგან სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ ძალთა ზეგავლენით, მეორე შემთხვევაში ქალაქები არსდებოდა ხელოვნურად ცენტრალური ხელისუფლების მიერ სამხედრო-პოლიტიკური და ფისკალური მოსახრებით. ხან კიდევ ქალაქები აღმოცენდებოდა ხოლმე სამხედრო ბანაკებისგან, როგორც ეს იყო, მაგალითად, დაკიაში, ბრიტანეთში, რაინზე და ჩრდილო აფრიკაში. ხან ქალაქები წარმოიშობოდა რამდენიმე სოფლისა ან სამოსახლო პუნქტის გაერთიანებით (ლიონი). ბერძნულ აღმოსავლეთსა და კართაგენის სახელმწიფოს ადგილას ქალაქების მეტი წილი რომაელებს ხვდათ როგორც სამხედრო ნადავლი წინანდელ მცხოვრებლებისგან.

ძველ ქალაქებს მიემატა თვითონ რომაელების მიერ დაარსებული ქალაქები. ქალაქების რიცხვი სულ იზრდებოდა, სანამ ანტონინებისა და სევერების დროს მიიღწეოდა თავის უმაღლეს წერტილს. იტალიის, საფრანგეთის, ესპანეთის, ბელგიის, გერმანიის, იუგოსლავიის და ბრიტანეთის მთელი რიგი თანამედროვე ქალაქები გაჩნდა რომის მსხვილ საპროვინციო ცენტრების ადგილას: კიოლნი (Colonia Agrippina), მაინცი (Mogontiacum), სტრასბურგი (Argentorate), ვენა (Vindobona), ბუდაპეშტი (Aquincum), ბელგრადი (Signidunum), ლიონი (Lugdunum), ტარაკონი (Tarraco), კოლჩესტერი (Camulodunum), იორკი (Eboracum) და მრავალი სხვა.

ევროპის გარეშე მდებარე ქალაქებს შორის უაღრესად ცნობილი ქალაქები იყო: ალექსანდრია ნილოსის შესართავში, კართაგენი, ანტიოქია, ეფესო, სმირნა — აფრიკისა და აზიის ეკონომიური და კულტურული ცენტრები.

ყოველ ქალაქს ჰქონდა თავისი ისტორია და საკუთარი თავისებურებანი. ქალაქების განვითარება დაიწყო ჯერ კიდევ რესპუბლიკის დროს და გრძელდებოდა იმპერიის დროსაც.

რომაულმა მშვიდობიანობამ“ (pax Romana) კეთილი ზემოქმედება იქონია პროვინციების სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ ზრდაზე. იმპერიის პირველ საუკუნეებში გალიასა, გერმანიასა, აფრიკასა, ეგვიპტეში და დუნაის პროვინციებში გავრცელდა მეღვინეობა, ბოსტნეულის, ხილეულის და ყურძნის კულტურა. სოფლის მეურნეობასთან ერთად ვითარდებოდა აგრეთვე ხელოსნობაც. პროვინციები ყოველმხრივ და წარმატებითაც მეტოქობდნენ იტალიას. II საუკ.-ში იტალიის მეტად სერიოზული მეტოქე იყო გალია, რომელმაც იტალიის ბაზარი გაავსო მოხატული კერამიკული ნაწარ-

მოებებით (*terra sigillata*), საფეიქრო, შუშისა, ლითონისა და მის-
თანა ნაწარმოებით.

პროვინციული ქალაქები წარმოადგენდნენ ნამდვილ ასლს¹ იტა-
ლიის ქალაქებისას, ხოლო პირველ რიგში თვითონ რომისას. თითოეულ
მუნიციპალიტეტში არსებობდა ადგილობრივი სენატი (*curia, ordo,*
senatus), რომელიც შესდგებოდა 100 კაცისაგან (*decuriones; cu-*
riales), ამათ ირჩევდა ქალაქის სახალხო კრება. ადგილობრივ მდი-
დართა შორის კურიაში ასარჩევად საჭირო იყო დიდი ქონებრივი
ცენზი—არა ნაკლებ 100 ათასი სესტერციუმისა. აღმასრულებელი
ძალა-უფლება იყო არჩეულ მაგისტრატების ხელში: 1) დუო-
ვირებისა (*duoviri*), რომელნიც ასრულებდნენ კონსულებისა და მო-
სამართლეების ფუნქციებს; 2) ორი ედილისა—ამათ ხელში იყო პო-
ლიცია და ქალაქის მომარაგება; 3) ორი კვესტორისა—ესენი განა-
გებდნენ სამეურნეო ნაწილს და ჰკრეფდნენ გადასახადებს. კურიის
სიებს ადგენდნენ ხუთ წელიწადში ერთხელ არჩეული დუოვირები
(*duoviri quinquennales*), რომელთაც მინიჭებული ჰქონდათ ცენ-
ზორის რწმუნებულებანი. კურიის გარდა არსებობდა კიდევ კურიის-
პირველი ათი წევრის საბჭო (*decemprimi*), რომელიც ფაქ-
ტიურად განაგებდა ქალაქის ყველა საქმეს¹. ტრაიანეს დროიდან
ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ინიშნებოდა საგანგებო მოხელე, ქალაქის
კურატორი (*curator rei publicae*), რომლის ამოცანას შეადგენდა
ქალაქის ფინანსებზე მეთვალყურეობა. ეს დანიშვნა მაჩვენებელი იყო
მთავრობის ჩარევისა ადგილობრივ საქმეებში. დროთა განმავლობა-
ში კურატორები ჩნდება მრავალ ქალაქში, კურატორის თანამდებო-
ბა დროებითიდან მუდმივ თანამდებობად ხდება, და კურატორის
კომპეტენციის სფერო გაფართოვდება.

მუნიციპალური წყობილების ორგანიზაციას ვეცნობით ესპა-
ნეთის ქალაქების სალპენზას და მალაკას. საქალაქო
წესდებით, რომელიც შენახულია წარწერის სახით (*lex Salpen-*
sa, lex Malacitana)².

საზოგადოებრივი ცხოვრება რომის მუნიციპალიტეტებში რესპუბ-
ლიკის ბოლო დროიდან მოკიდებული და დაახლოვებით ახ. წ. III
საუკ. შუა ხანებამდე, როგორც გვიჩვენებენ ესპანეთის ქალაქების
წესდებები, პომპეის არქეოლოგიური მონაცემები და სხვა ძეგლები,
ძალიან იყო განვითარებული. საზოგადოებრივი თანამდებობის დაქე-

¹ W. Liebenan, *Städteverwaltung im römischen Kaiserreiche*, 1910.

² Bruns, *Font. iuris Romani* 142—157.

რა უმაღლეს პატივად ითვლებოდა არა მარტო იმისთვის, ვისაც იგი ეჭირა, არამედ მთელი მისი ჩამომავლობისათვის. საარჩევნო კამპანიები ნამდვილი ბრძოლის ხასიათს იღებდა მოქიშპე კანდიდატებს შორის, რომელნიც არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ თავის მხარეზე ამომრჩეველთა გადასაბირებლად. იტალიისა და პროვინციების მუნიციპალიტეტთა ცხოვრებაში საარჩევნო კამპანიები შეადგენდნენ ბრწყინვალე მომენტს, საზოგადო დღესასწაულს, რომელიც ხალხს აკიწებდა ერთფეროვან ყოველდღიურ ცხოვრებას. წინასაარჩევნო კამპანიებში ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ კოლეგები, როგორც უფრო მეტად ორგანიზებული სოციალური ერთეულები. კოლეგები აყენებდნენ თავიანთ კანდიდატებს მუნიციპალურ თანამდებობებზე, სრულიად დაურიდებლად აქებდნენ თავიანთ საარჩევნო პლაკატებში, რომელნიც დაწერილი იყო კედლებზე, ასარჩევი კანდიდატის დადებით თვისებებს—ხელგაშლილობას, გულსისყურიანობას, პატიოსნებას და სიმართლის მოკვარულობას.

იტალიისა და პროვინციების მუნიციპალიტეტებში საარჩევნო კამპანიათა ტექნიკას ვეცნობით იმ საარჩევნო პლაკატების საშუალებით, რომელნიც დაბლაჯნილია პომპეას კედლებზე. „დალაქებს—წერია ერთ საარჩევნო აფიშაში—სურთ მათ ედილად იყოს ტიბერიუსი“; „ხილით მოვაკრები ერთხმად მხარს აძლევენ გოლკონიუს პრისკუსს დუჟუმპირობაზე“, „მებარგულეები, ვირების გამრეკნი, ნივრით მოვაჭრენი და სხვები რეკომენდაციას აძლევენ თავიანთ კანდიდატს ვინმე კლავდიუსის სახით; ვეზონიუს პრიმუსი ხმას აძლევს გნეუს გელვიუსს როგორც ღირსეულ ადამიანს“.

ქუჩის მანდილოსნებსაც კი ჰყავთ თავიანთი კანდიდატი ვინმე კლავდიუსის სახით. ამასთანავე ხშირად იმასაც უმატებენ, თუ სახელდობრ რა სურთ ამომრჩეველებს თავიანთ კანდიდატისაგან: ახალი სვეტნარის აგება, ახალი ფორუმი, საგლადიატორო ბრძოლებისათვის ამფითეატრი, სადაც ბლომად დაიღვრება სისხლი.

მუნიციპალურ თანამდებობებზე კანდიდატებად გამოდიოდნენ შეძლებული პირნი, ადგილობრივი დიდკაცები, ესენი იყვნენ ამ მუნიციპალიტეტის მიწათმფლობელები, მდიდარი ვაჭრები, სახელოსნოების პატრონები და ინტელიგენტურ პროფესიათა პირნი. მუნიციპალურ დიდკაცობის წრეში ბევრი იყო სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირი, ოფიცერი და დამსახურებული ჯარისკაცი—ვეტერანი. გარდა ამისა, მცირე პროცენტს არ შეადგენდნენ გამდიდრებული აზატები, სპეკულიანტები და მოსაქმენი. აზატები, რომელთა ქონება უდრიდა მხედრის ცენზს, იღებდნენ უფლებას ოქროს

ბექდის ტარებისას (*ius aureorum anulorum*), რაც ითვლებოდა თავისუფალ მდგომარეობაში გადასვლის სიმბოლოსავით ახლად დაბადებად (*natalium restitutio*). მდიდარი აზატები ითვლებოდნენ ადგილობრივი კურიების წევრებად და ავგუსტალების კოლეგიის წევრებად (*seviri augustales*), ეს იყო გავლენიანი კოლეგია ქურუმებისა ექვსი კაცისაგან შემდგარი, დაკავშირებული იმპერატორის კულტთან.

ყოველი მდიდარი პროვინციალის უდიდესი ოცნება იყო დაექირა საპატო საზოგადოებრივი თანამდებობა დუოვირის, სევირის, კვინკვინალის, ედილისა და მისთანათა თავის მუნიციპიუმში. პატივმოყვარეობისა და დიდების მოყვარეობის გარდა, რითაც სწეული იყო ყველა მდიდარი მუნიციპალი უკლებლივ, სამუნიციპალო თანამდებობის შესრულება კარს უღებდა ადგილობრივ სენატში, ცალკეულ შემთხვევებში საერთო იმპერიის სენატშიც რომში, ხოლო ამით, მაშასადამე, გზა ეხსნებოდა სენატორისა ან მხედრის წოდებაში შესასვლელად, ეს კი უდიდეს პატივად ითვლებოდა ყოველ პროვინციალისთვის. მდიდარი ხალხი, ვისაც სურდა საზოგადოებრივი თანამდებობის მიღება, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ დაპირებაში სამაგიერო პატივისცემა გაეწიათ თავისი ამომრჩევლებისათვის, მოეწყოთ მდიდრულად დღესასწაული, გამოეწერათ გლადიატორები, აეგოთ აბანოები, წყალსადენი, ტაძარი, თეატრი და საერთოდ ეზრუნათ ქალაქის სილამაზეზე და მის მოქალაქეთა კეთილდღეობაზე. იყო შემთხვევები, როცა მაგისტრატები თავიანთი მაგისტრატურის დროს სრულიად ჩანაგდებოდნენ, გლახადებოდნენ და საზოგადოების შესანახი ხდებოდნენ. როგორც არქეოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებს, I—II საუკ.—თა რომაული ქალაქები გარეგნულად წარმოადგენდა კულტურულ ქალაქებს, ლამაზი საზოგადო და კერძო შენობებით, წყალსადენებით, პარკებით, თეატრებით და განვითარებული საქალაქო ცხოვრების სხვა ობიექტებით.

„ჩვენს დროშიო, — დიდი ამბით აცხადებს ზემოხსენებული რიტორი ელიუს არისტიდე „ქალაქ რომისადმი ხოტბაში“ — ყველა ქალაქი ერთმანეთს ეჯიბრება სილამაზესა და მიმზიდველობაში. ყველგან უამრავი მოედანია, წყალსადენი, პროპილეუმი, ტაძრები, სახელოსნოები და სკოლები. ქალაქები ბრწყინავს თვალწარმტაცობით და მიმზიდველობით და მთელი მიწა ბალივით არის გამშენიერებული“¹. არანაკლები აღტაცებით ლაპარაკობს პროვინციებზე და

¹ Ael. Arist., Orat., XXVI.

პროვინციალურ ქალაქებზე II საუკ: ბოლო დროის ქრისტიანი მწერალი ტერტულიანი, რომელსაც მხედველობაში აქვს აფრიკის პროვინცია.

„რამდენი დიადი რეფორმა მოიტანა ამ საუკუნემ! რამდენი ქალაქია აშენებული და რამდენი მათგანი დააფუძნა ახლანდელი მმართველების სიქველემ, გაზარდა ან ცხოვრებას დაუბრუნა. რამდენი ეროვნებაა გადაარჩენილი! რამდენი მოხელეა (ordines) განდიდებული! რამდენი ბარბაროსია განდიდებული! ქვეშაირიტად შეიძლება ითქვას, რომ ამ მეფობაში მთელი სამყარო აყვავებულ სოფლად იქცა“-ო. ¹

რომაულ მუნიციპიუმების მეტი წილი ჩვენთვის ცნობილი საზოგადო და კერძო შენობებისა აგებულია ადგილობრივი მდიდრების, ქალაქის პატრონთა, ხარჯზე. ადგილობრივი მდიდარი ხალხის ხელგაშლილობა გამოწვეული იყო იმდენად არა ქველმოქმედებით და მშობლიური ქალაქის მიმართ სიყვარულით, რამდენადაც უფრო რეალური მოტივებით. რაც უფრო მეტი კლიენტი ჰყავდა პატრონს, მით უფრო მეტი გავლენით სარგებლობდა იგი ადგილობრივ საბჭოებში, რომელთაც პოლიტიკა გაჰყავდათ მუნიციპალთა ზედაფენების ინტერესთა შესაბამისად. „პურისა და სანახაობათა პოლიტიკა“ მუნიციპიუმებში ისევე, როგორც თვითონ რომშიც, იყო მუნიციპალური არისტოკრატის გაბატონებული კლასის მხრივ გაბოძება დაბალ კლასებისადმი—მუნიციპალურ პლებეებისა და პროლეტარებისადმი—მათი გაჩანაგების სანაცვლოდ. რასაც მუნიციპალური პლუტოკრატია ხარჯავდა ქალაქის გამშვენიერებაზე და „პურისა და სანახაობათა პოლიტიკაზე“, იმას იგი მეტი მოგებით ინახლავდა დასახადებისა და ბეგრის გაწერის დროს.

6. კ. ო. ლ. ე. ბ. ი. ე. ბ. ი.

ერთ-ერთი მაჩვენებელი იმისა, რომ საქალაქო განვითარებული ცხოვრება იყო და დიდი რაოდენობით არსებობდა საქალაქო პროფესიები როგორც იტალიაში, ისე პროვინციებში რესპუბლიკის უკანასკნელ საუკუნეებში და იმპერიის პირველ საუკუნეებში, იყო უთვალავი კავშირები და ვაერთიანებანი.

რომაული კავშირების ისტორია, რომელნიც სხვადასხვა სახელს — კოლეგიებისას, ამხანაგობებისას, ძმობათას

¹ Tertul., De anima, 30.

და მისთანას-ატარებდნენ, ადის რომის ისტორიის დასაბამამდე—
შვიდი მეფის ხანამდე. სოციალურ გაერთიანებათა ყველა ტიპისთვის
ყველაზე უფრო გავრცელებული სახელი იყო კოლეგია (collegium).
რომში კოლეგია ეწოდებოდა საჯარო ან კერძო ხასიათის ყოველგვარ
გაერთიანებას სამი და მეტი წევრისგან (tres collegium faciunt).
კოლეგიაში გაერთიანებული იყო სულ ნაირნაირ პროფესიათა და
მდგომარეობათა ხალხი. ცნობილია ვაჭრების, ყველა სპეციალობის
ხელოსნების (collegia opificum, artificium, mercatorum, negoti-
atorum), ზღვისა და ხმელეთის ტრანსპორტის მოსამსახურეებისა,
ვეტერანებისა (collegia veteranorum), მეთევზეების, ყვავილთა გამ-
ყიდველებისა, მალამოს, სურნელებათა გამყიდველების კავშირები;
გიმნასტების ასოციაციები, უმანკოების ასოციაციები, „დასაძინებლად
გვიან დამწოლთა“ კავშირი, „ბევრის მსმელთა“ კავშირი და ა. შ.

„ამხანაგებად (sodales) იწოდებიან ამხანაგობათა წევრები
(qui eiusdem collegii sunt), რომელთაც ბერძნულ ენაზე ჰეტერი-
ების სახელი აქვთ. კანონით მათ უფლება აქვთ მინიჭებული გამოს-
ცენ წესდებანი და განკარგულებანი, თუ კი ასეთი-რამ, რა თქმა
უნდა, არ ეწინააღმდეგება კანონს“.¹

მეცნიერები, რომელნიც სპეციალურად იკვლევდნენ რომის კო-
ლეგიების საკითხს (ვალტცინგი, ლიბენამი, კორნემანი), როგორც
რომის საკავშირო ორგანიზაციების თავისებურებას, აღნიშნავენ
სარწმუნოებრივ მოტივს. რომის კოლეგიები არ იყო მხოლოდ
პროფესიონალური დაწესებულებანი, რომელთაც მარტო ისა აქვთ
მიზნად, რომ დაიცვან და დახმარება აღმოუჩინონ თავის თანამხა-
ნაგებს. პროფესიულ მიზნებთან ერთად რომის კოლეგიებში დიდი
მნიშვნელობა აქვთ რელიგიური ხასიათის მოტივებს.

რომის კოლეგიების სარწმუნოებრივი ხასიათი აიხსნებოდა ორი
მიზეზით: 1) პოლიტიკურით, იმის სურვილით, რომ სარწმუნოებრივ
ნიღაბ ქვეშ ამოფარებით (sub praetextu religionis et vote sol-
vendi) დაემალათ ორგანიზაციის ნამდვილი მიზნები, და 2) რელი-
გიური გრძნობის გაძლიერებით, რაც დამახასიათებელია იმპერიის
დროის რომის საზოგადოებისათვის. იმპერატორთა რეჟიმის დროს
მისი აბსოლუტისტური და გამათანაბრებელი ტენდენციების პირო-
ბებში სარწმუნოება წარმოადგენდა ერთადერთ შესაძლებელ იდეო-
ლოგიურ ფორმას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფართო მასე-
ბისათვის.

¹ Dig., XLVII, 22.

რელიგიურ-პროფესიულ კავშირების გარდა, არსებობდა კიდევ სპეციალურად სამარხი კავშირები (collegia funeratilia), ეგრეთ-წოდებული „პატარა ხალხის კოლეგიები“ (collegia tenuiorum). კოლეგიებში ხალხი თავს უფრო ხალისიანად, იმედიანად და ძლიერად გრძნობდა.

რომის კოლეგიების შინაგან ცხოვრებას გვაცნობს დიანასა და ანტინოეს მოთაყვანეთა კოლეგიის წესდება (133 წ.) (collegium salutare cultorum Dianae et Antinoi), დაწერილი ერთი ტაძრის სტოას შიგნითა კედლებზე, რომელიც აღმოჩენილ იქნა 1816 წელს ძველი ლანუვიუსის ნანგრევებში.

„ვის შეუძლია კავშირში შესვლა?—ამბობს წესდების ერთ-ერთი პარაგრაფი.—კავშირში შესვლა შეუძლია ყველას, ვინც თანახმაა იხადოს ყოველთვიურად ანარიცხი კავშირის წევრთა დასასაფლავებლად. პირველი შესატანი თანხა, წესდების თანახმად, განისაზღვრება 100 სესტერციუმის რაოდენობით და კაი ღვინის ერთი ამფორათი, ყოველთვიურად კი უნდა შემოიტანოს 5-5 ასისისი. კავშირი იკრებება თვეში ერთხელ მხოლოდ იმ მიზნით, რომ შესატანი გადაიხადოს დაკრძალვისათვის“.

ჩვენი იმპერატორის კეისრის ტრაიანე ადრიანეს ავგუსტუსის, სრულიად სამეუფო სახლის, ჩვენი და ჩვენი კავშირის სადიდებლად და საკეთილდღეოდ შესატან თანხას გადავიხდით გულმოდგინედ და წესიერად, რათა პატივით გავასვენოთ გარდაცვალებული წევრები. წესიერად შესატანი თანხის გადახდისას ჩვენ ვიგრძნობთ, რომ შეგვიძლია ვიცოცხლოთ ღრმა მოხუცებულობამდე“.

„კავშირის თითოეული წევრის დაკრძალვაზე გაიცემა 300 სესტერციუმი, რომელთაგან 50 ნაწილდება მიცვალებულის გამცილებელთა შორის კოკონთან. კავშირი პასუხს არ აგებს თავის წევრების ვალებზე“.

დადგენილია: „არავითარ სარჩელს (არც ბატონისას, არც კრედიტორისას) არა აქვს ძალა ჩვენი კავშირისათვის, გარდა ერთი შემთხვევისა: თუ პრეტენდენტი დასახელებულია ანდერძში“.

დიანას და ანტინოეს მოთაყვანეთა კოლეგიაში დაიშვებოდნენ აგრეთვე მონებიც.

თუ მონას თავისი ბატონი მოაკლებს სათანადო დაკრძალვას, „მაშინ კავშირი თავის ხარჯით უწყობს მას ფიქტიურ დაკრძალვას (კენოტაფიას)“.

კოლეგიათა შინაგანი ორგანიზაცია იმეორებდა მუნიციპალურ ორგანიზაციას, რომელიც თავის მხრივ ჰბაძავდა რომის წესებს.

ისინი, ვინც ელირსებოდა დიდ პატივს ყოფილიყვნენ ნადიმების განმკარგულბეზნი, კავშირში მიიტანენ „1 ამფორა კაი ღვინოს, ორ-ორ ასს კავშირის ყოველ წვერზე, ოთხ-ოთხ სარდინიურ თევზს, ბალიშს სასადილო ინახისთვის, ცხელ წყალს და სუფრის იარაღს“. საზეიმო კრებებისთვის ირჩევდნენ განსაკუთრებულ განმკარგულბეზლს (კვანკვენალს), რომელიც საზეიმო თეთრ კოსტიუმში აპკურებდა სურნელს ღმერთების პატივსაცემლად. კავშირის კრებებზე, მეტადრე საზეიმო ნადიმებზე, დაწესებული იყო ყველას „დაეცვა წესიერება და კეთილმსახურება—არ გადასულიყო ერთი ადგილიდან მეორე ადგილას, არ ეჩხუბნა და არავინ ეგინა. წესდების დარღვევაში დამნაშავენი ჯარიმდებოდნენ. უმნიშვნელოვანესი საქმეები და საჩივრები ირჩეოდა კავშირის (კონვენტის) საერთო კრებაზე“.¹

კოლეგიათა შემადგენლობა არ იყო ერთგვარი: ერთნაირი პროფესიის პირებთან ერთად კოლეგიაში შედიოდნენ სხვა პროფესიათა წარმომადგენლები, თავისუფლები, აზატები და მონები. ყველაზე უფრო მეტი მონა იყო „პატარა ხალხის კოლეგიებში“, ისეთი კოლეგიებიც კი არსებობდა, რომელნიც განსაკუთრებით მარტო მონებისგან შედგებოდა. საერთო წესად კი ყველა კოლეგიისათვის ითვლებოდა, რომ მონებიც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ კოლეგიების წევრებად, ოღონდ თავიანთა ბატონების თანხმობით². კოლეგიების სოციალური მნიშვნელობა ძალიან დიდია. თავისუფალი მოსახლეობის ღარიბი ფენებისათვის და აგრეთვე მონებისათვის ესენი ოჯახისა და სახელმწიფოს მაგიერობას ეწეოდნენ. კოლეგიებს ჰქონდათ თავიანთი სადგომები—კლუბები (scholae), ჩვეულებრივ რომელიმე ტაძართან, სადაც ისინი რეგულარულად იკრიბებოდნენ დანიშნულ დღეებში საერთო კრებებზე (conventus)³. „სკოლებში“ კოლეგიის წევრები რამოდენიმე ხნით ივიწყებდნენ ყოველდღიური ცხოვრების სიმძიმის, ურთიერთობის, დასვენების, ერთფეროვანი და მოსაწყენი სინამდვილისგან გართობის მოთხოვნილებას ისინი იკმაყოფილებდნენ და პოულობდნენ ურთიერთ საუბარში, შეხვედრებში.

¹ C. I. L. XIV, 2112.

² Dig., XLVII, 22, 2.

³ დროთა განმავლობაში კოლეგიებმა მიიღეს უფლება ჰქონოდათ საკუთარი მიწა და საკუთარი ქონება და ერთგვარი გაგებით იურიდიულ პიროვნების უფლებებიც მოიპოვეს. ასე, მაგალითად, პრენესტეს ერთ-ერთ წარწერაში ლაპარაკია „სხეულის საპყრობილისგან განთავისუფლებულ“ (გარდაცვალებულ) ადამიანზე, რომელმაც თავისი მამული კოლეგიას უანდერდა (Brunns, Fontes., Statua a collegio er recta, p. 400).

კოლეგიების ოჯახობრივი ხასიათი ჩანს კოლეგიათა წევრების ურთიერთ დამოკიდებულებაში, ისინი ერთმანეთს უწოდებენ ძმებს, დებს, მამებს, დედებს (*fratres carissimi, mater, pater, sorores*). რელიგიურ-გასართობ მოტივებს ერთვოდა პროფესიული და პოლიტიკური მოტივებიც.

თავის ორგანიზაციაში კოლეგიები მცირე მაშტაბით იმეორებდნენ და ჰბაძავდნენ რომის სახელმწიფოს (*ad exemplum rei publicae*), მათ ჰქონდათ თავიანთი მიწა (*area*), თავიანთი სალარო, ქონება (*res communes*), ჰყავდათ თავიანთი მაგისტრატორები (*magistri, actores, syndici*), თავიანთი არისტოკრატია (*decuriones*) და დემოკრატია—კოლეგიის პლებსი (*plebs collegii*)¹.

კოლეგიების წევრთა რიცხვი ერთნაირი არ იყო, ცნობილია კოლეგიები 3, 5, 50, 100, 1000, 1500 და 2000 კაციანი. ყოველ კოლეგიას, გარდა მფარველ ღვთაებისა, ჰყავდა აგრეთვე პატრონიც ამ მუნციპიუმის მდიდარ და გავლენიან პირთაგანი. კოლეგიები, როგორც წესი, არსებობდა მარტო ქალაქებში, მეტადრე დიდ კომერციულ ცენტრებში, ისეთებში, როგორიც იყო რომი, ოსტია, პუტეოლა, ალექსანდრია, ანტიოქია, იერუსალიმი და ა. შ. ყოველ კოლეგიას ჰქონდა თავისი გამასხვავებელი ნიშანი, თავისი საკოლეგიო დროშა (*vexillum*), თავისი საკრებულო ადგილი, სამლოცველო, სასაფლაო და თავისი უქმეები. კოლეგიათა ძირითადი მიზანი იყო როგორც გვიჩვენებენ წესდებები ან „კოლეგიათა კანონები“ (*lex collegii, pactio collegii*), დაკრძალვის, ქელების და უქმეების მოწყობა. დღესასწაულებს მართავდნენ ყოველნაირი შემთხვევის გამო: იმპერატორის დაბადების დღის, ადგილობრივი ქველმომქმედ-პატრონის, მისი ოჯახის დაბადების დღის გამო, ამ კოლეგიის დაარსების დღის გამო, კოლეგიის გარდაცვალებულ წევრთა დაკრძალვის და მრავალი სხვის გამო. საფლავის ქვის წარწერები გვიჩვენებენ, თუ რა ზრუნვით ეკიდებოდნენ მაშინ მიცვალებულის ხსოვნის პატივს და რა წყევლა-კრულვით ემუქრებოდნენ ამ ჩვეულებათა დამრღვევლებს.

თუმცა ადამიანს თვალში ეცემოდა რომაულ კოლეგიების საკრალობა, მაინც სწორი არ იქნებოდა მათი როლი შეგვეზღუდა მარტო რელიგიური და გამართობელი კავშირის როლით. რომის კოლეგიების სოციალური მნიშვნელობა უფრო ფართო და ღრმა იყო.

¹ Dig., III, 4, 1.

მართალია, იმპერატორის აბსოლუტიზმი მიისწრაფოდა სრულიად აღმოფხვრა პოლიტიკური სული კოლეგიებიდან და ისინი გადაექცია დამკრძალავ ბიუროებად, ხოლო უფრო გვიანა ხანებში—სახელმწიფოს ფისკალურ ორგანოებად, მაინც „ნებადაურთველი კოლეგიები“ განაგრძობდნენ არსებობას და დროგამოშვებით თავიანთ თავს გაახსენებდნენ ხოლმე თავისი გამოსვლებით და გაფიცვებით. პომპეას კედლებზე დაწერილი საარჩევნო აფიშები (grafitti) გვიჩვენებენ, რომ კოლეგიები მეტად ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ცნობილია შემთხვევები, როცა კოლეგიები იცავდნენ თავიანთი წევრების ინტერესებს უფრო რადიკალური საშუალებით, ვიდრე იყო საარჩევნო კამპანიები. ზოგიერთი კოლეგია ასრულებდა საიდუმლო კლუბების როლს, რომელნიც ამზადებდნენ აჯანყებებს და კოლექტიურ პროტესტებს. აჯანყებათა და არსებულ წესების საწინააღმდეგო პროტესტების ინციტაციორებად ყველაზე უფრო ხშირად იყვნენ „არალეგალური კოლეგიები“ (collegia illicita). ცნობილია, მაგალითად, რომ ნერონის დროს პომპეაში მოხდა მღელვარება, რომლის მეთაურად, სენატის გამოკვლევით, აღმოჩნდნენ კოლეგიები და ამის შემდეგ სენატის დეკრეტით „არალეგალური კოლეგიები“ დაუყოვნებლივ დახურულ იქნა (collegia quae contra leges instituerant dissoluta)¹. კოლეგიათა მნიშვნელობა უფრო მკაფიოდ ჩანს ფულის მომპრეტა მსხვილ გაფიცვაში ავრელიანეს დროს (III საუკ.), რაზედაც მოთხრობილია სხვა თავში.

სახელმწიფოს დამოკიდებულება კოლეგიებთან სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო, ხან მეტად ავიწროებდა, ხან ნაკლებად. იმპერიის დროს პრავეითარი ფორმით, როგორც ამას გვიჩვენებს ტრაიანეს მიწერ-მოწერა პლინიუსთან, არ იყო დაშვებული კოლეგიები პოლიტიკური განხრით (heteriae), „მეამბოხე ხალხის კრებები“ (coetus factiosorum hominum), მაგრამ ხელს უწყობდნენ „პატარა ხალხის კოლეგიებს“. ისინი ათავისუფლებდნენ სახელმწიფოს „პატარა ხალხის“ დაკრძალვისა და ინვალიდობის დროს შესანახად საჭირო ხარჯებისგან და ამასთანავე ერთად გამოყენებულნი იქნენ დასაპირისპირებლად სხვა კოლეგიებისა და კავშირებისა, პოლიტიკური თვალსაზრისით მანენი რომ იყვნენ.

„ნაკლებმქონე ხალხს,—მეტყველებს იმპერატორ სევერის ერთ-ერთი რესკრიპტი,—ნება ეძლევა შეაგროვოს ყოველთვიური შესაწირავი (stipem menstruam conferre) იმ სავალდებულო პირობით, რომ თავი მოიყაროს თვეში ერთჯერზე არა ხშირად და არა რაიმე არა-

¹ Tacit., Annales, XIV, 17.

ლევალური კოლეგიის მოწყობის მიზნით. რელიგიური მოტივებით (religionis causa) კოლეგიათა მოწყობა არაა აკრძალული, ოღონდ კი ეს არ ეწინააღმდეგებოდეს არალევალური ასოციაციების აკრძალვის სენატუს-კონსულტუსს. ესე განკარგულება ძალაში რჩება არა მარტო ქალაქ რომის მიმართ, არამედ აგრეთვე იტალიისა და პროვინციების მიმართაც, როგორც ეს დადგენილია ღვთაებრივი სევერის მიერ¹.

დასახელებული დებულების განსამარტებლად იურისტი ულპიანე დასძენს, რომ „ყოველი, ვინც გაბედავს მოაწყოს არალევალური კოლეგია, ისევე მძიმე სასჯელით უნდა დაისაჯოს, როგორითაც ისჯება ის ხალხი, ვინც შეიარაღებული ძალით დაიქვრს რომელიმე საზოგადოებრივ დაწესებულებას ან ტაძარს“ (qui hominibus armatis loca publica vel templa occupasse iudicati sunt)².

7. II საუკ. რომის იმპერიის სახელმწიფო წესწარმოებება

ცვლილებებმა სოციალურ ძალთა ურთიერთობაში და ცენტრისა და პროვინციათა მიმართებაში, რაც მოხდა ხმელთაშუაზღვეთის სამყაროში ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, გამოიწვიეს ცვლილებები რომის სახელიწიფოს პოლიტიკურ ორგანიზაციაშიც. პოლიტიკური წყობილების განვითარება ფლავიუსებისა და ანტონინების დროს მიმდინარეობდა ცენტრალისტურ და აბსოლუტიტურ ტენდენციათა მიმართულებით, რაც ჩაისახა ჯერ კიდევ პირველი პრინციპსების დროსვე. გამწვავებული ბრძოლა პრინციპსსა და სენატს შორის, რაც შეადგენს პრინციპატის პირველ ათწლეულთა პოლიტიკური ისტორიის შინაარსს, I საუკ. დასასრულიდან, ტახტზე ნერვას ასვლის დროიდან, შენედა. პრინციპსსა და სენატს შორის დაჰყარდა მშვიდობიანი ურთიერთობა, რაც გრძელდებოდა II საუკ. ბოლომდე. მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება პრინციპსსა და სენატს შორის აიხსნებოდა სენატის სოციალური შემადგენლობის შეცვლით და რომის პოლიტიკის კურსის შეცვლით პროვინციათა ინტერესებისა, უფრო სწორედ რომ ითქვას, მუნიციპალური პლუტოკრატიის ინტერესთა შესაბამისად.

ანტონინების „ბედნიერ საუკუნეში“ ძველი რომაულ-იტალიური დიდკაცობა, რომელიც ძლიერი იყო ჯერ კიდევ კლავდიუსების დროს, თითქმის სოულეობით გაჰქრა. ხოლო ახალი არისტოკრატია,

¹ Dig. XLVII 22, 1.

² Ibid., 22, 2.

რომელიც გამოდიოდა პროვინციელების წრიდან ან აღზევდა სახელმწიფო სამსახურში, გაცილებით უფრო მეტად გრძნობდა თავის დამოკიდებულებას იმპერატორზე და მოკლებული იყო მტკიცე წოდებრივ ტრადიციებს. მეორე მხრით, თვითონ II საუკ. იმპერატორებს. რომელნიც ჩამომავლობით, ნათესაური კავშირით და კულტურით ეკუთვნოდნენ პროვინციული დიდუცობის წრეს, არ მოეპოვებოდათ საფუძველი ამ არისტოკრატიასთან უთანხმოებისა. სწორედ ამ ინტერესთა სოლიდარობის ნიადაგზე დამყარდა კიდევ რამდენიმე ხნით მშვიდობიანი ურთიერთობა გაბატონებული კლასის წრეში, რამაც შესაძლებელი გახადა იმპერატორის აბსოლუტიზმის მეტად ტლანქი გამოვლენის შერბილება, საზოგადოებრივი აზრის განთავისუფლება მის შემავიწროებელი მუხრუჭისგან და, თუნდაც განსაზღვრულ ფარგლებში, სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფა. არისტოკრატიის განწყობილება „ბედნიერი ხანის“ იმპერატორებისადმი გამოთქმულია ტაციტუსის სიტყვებში „აგრიკოლას ცხოვრებაში“, რაც იყო თქმული ნერვას მიმართ, მაგრამ სრული უფლებით შეიძლება მიეკუთვნოს აგრეთვე ტრაიანესა, ადრიანეს და საერთოდ რომის „განათლებული აბსოლუტიზმის“ ყველა წარმომადგენელს, როგორც ხანდახან, XVIII საუკ. დასაველეთ ევროპის აბსოლუტიზმთან ანალოგიით, უწოდებენ ხოლმე II საუკ. რომის აბსოლუტიზმს. „ნერვამ, — შენიშნავს ტაციტუსი, — შეათავსა თითქოს ორი შეუთავსებელი რამ — თავისუფლება და პრინციპატო“.

ნერვას „განათლებული აბსოლუტიზმის“ პოლიტიკას აგრძელებდა მის მიერ ნაშვილვეი ქვემო რაინის ლეგიონთა უფროსი ესპანელი ულპიუს ტრაიანე, პირველი პრინციპსი პროვინციული წარმოშობისა. ტრაიანემ გააუქმა უდიდებულესობის შეურაცხყოფის საქმეთა გამრჩევი სასამართლოები, შეამცირა გადასახადები, კერძოდ, შეამცირა არაპოპულარული გადასახადი მემკვიდრეობაზე, დააბრუნა „გვირგვინის ოქრო“, რომელსაც ახდევინებდნენ ახალი პრინციპსის ტახტზე ასვლისას, სასტიკად იცავდა ტრადიციულ წესებს მაგისტრატების არჩევის დროს, შეანელა საცენზურო პირობები, წლიდან წლამდე იღებდა სახალხო ტრიბუნის წოდებას და ამით ხაზს უსვამდა ამ მაგისტრატურის პოლიტიკურ მნიშვნელობას, და ა. შ. ამის სანაცვლოდ მადლიერმა სენატმა ტრაიანე შეამკო „საუკეთესო“-ს (optimus) საპატიო ტიტულით¹.

¹ R. Paribeni, Optimus princeps, saggio sulla storia, e sui tempi dell'imperatore Traiano, Messina, 1927.

ტრაიანეს ლიბერალურ პოლიტიკას განაგრძობდნენ მისი მომდევნო მოადგილეები—ადრიანე, მეტადრე კი ანტონინე პიუსი და „იმპერატორ-ფილოსოფოსი“ მარკოს ავრელიუსი, რომელნიც ნაშეილევნი იყვნენ თავის წინამორბედ—იმპერატორების მიერ. I საუკუნეში დროიდან ჩვეულებად შემოვიდა მმართველი იმპერატორების მიერ შეილად აყვანა სარდლისა ან გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეებისა.

II საუკ. იმპერატორთა ზომიერ-კონსტიტუციურმა განხრამ მაინც ვერ შესცვალა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის საერთო აზრი და ვერ შეასუსტა იმპერატორის აბსოლუტიზმის ისტორიულად კანონზომიერი ზრდა. სახელმწიფოს ფუნქციები, როგორც გარკვეული საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, პრინციპულად ისეთივე დარჩა, როგორც იყო წინათაც. წინანდელივით ახლაც სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია წარმოადგენდა მონათა და თავისუფალი მდგომარეობის წვრილი მწარმოებლების მასაზე მონათმფლობელური კლასის დიქტატურის განმტკიცების საშუალებას შინაგანი წესიერებისათვის მხარის მისაცემად და საზღვრების დასაცავად მეზობელ ხალხთა თავდასხმისაგან. განსხვავება მარტო იმაში მდგომარეობდა, რომ წინა პერიოდში სახელმწიფო წარმოადგენდა უმთავრესად იტალიის მონათმფლობელური კლასის პოლიტიკურ ორგანიზაციას, „განათლებული აბსოლუტიზმი“ ხანაში კი სახელმწიფომ მოახდინა მთელი ხმელთაშუაზღვის, მთელი რომის ოიკუმენის მონათმფლობელების ინტერესთა კონსოლიდაცია და დაცვა. იმპერატორის ხელისუფლება იზრდებოდა „ობიექტურ ნიზეზთა“ ძალით, უზენაესი ძალა-უფლების ამათუბი მატარებლის ნება-სურვილის გარეშე. რესპუბლიკურ დაწესებულებათა და მაგისტრატურების გადაქცევა ბიუროკრატიულ ორგანოებად წარმოებდა ნელი ნაბიჯით, მაგრამ კანონზომიერად.

სახელმწიფო აპარატისა და სახელმწიფო დაწესებულებათა მხრივ ავგუსტუსისა და კლავდიუსის შემდეგ ყველაზე უფრო მეტი იყო გაკეთებული ადრიანეს მიერ. თავის წინამორბედებთან დაქსაქსული ღონისძიებანი სისტემაში მოიყვანა, გააფართოვა და შეავსო ადრიანემ, მანვე სახელმწიფო მანქანა შექმნა უფრო ძლიერი და მოახდინა მისი ცენტრალიზაცია და მექანიზაცია. რომის კონსტიტუცია ადრიანეს დროს დაახლოვებით შემდეგნაირად გამოიყურებოდა. მთელი სახელმწიფო მმართველობის ყველა ძაფი თავს იყრიდა იმპერატორის ინტიმურ საბჭოში (consilium principis), რომელიც შედგებოდა იმპერატორის მიერ საკუთარი შეხედულებით მოწვეულ სენატორებისა და მხედრებისგან. საიმპერატორო საბჭოზე

იყო დამოკიდებული დეპარტამენტების მთელი ქსელი, რომელთაც სხვადასხვა სახელწოდება ჰქონდათ: საფინანსო დეპარტამენტი (a rationibus), იურიდიული (a libellius), იმპერატორის სახელობაზე მირთმეულ თხოვნათა დეპარტამენტი (ab epistulis). თითოეულ დეპარტამენტში მუშაობდა სხვადასხვა რანგისა და სპეციალობის წვრილ მოხელეთა მასა: მწერლები, მოანგარიშეები (tabularii), მოლარეები (dispensatores) და მისთანანი. სახელმწიფო მმართველობის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის იმპერატორის პირადი ქონებისა და პირადი ხაზინის უწყებას (patrimonium).

სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა სათავეში მდგომი სენატორები და მხედრები თანდათან ჰყარგავდნენ თავის წოდებრივ სხვაობას და ითქვიფებოდნენ იმპერიის მომსახურე არისტოკრატის ერთ რიგში.

გადასახადებისა და ბაჟების აკრეფის დარგში შესყიდვითი სისტემა აღრიანეს დროს შესცვალა პირდაპირმა აკრეფამ იმპერატორთა პროკურატორების საშუალებით. ფისკის ინტერესებს, როცა წამოიჭრებოდა ხოლმე კონფლიქტები გადასახადის გაწერისა და აკრეფის ნიადაგზე, იცავდა იმპერატორის სპეციალური რწმუნებული, ფისკის მოხელე, ფისკის ადვოკატი ანუ ვეჭილი (advocatus fisci).

სახელმწიფოს ცალკეულ ოლქებს შორის კავშირისა და კონტროლის მიზნით აღრიანეს დროს დაარსებულ იქნა სახელმწიფო ფოსტა (cursus publicus).

ანტონინების ცენტრალისტურ ღონისძიებათა იმავე სერიას მიეკუთვნება აღრიანეს „მუდმივი ედიქტის“ (Edictum perpetuum) შექმნა; იგი შემუშავდა გამოჩენილი იურისტის სალვიუს იულიანეს თავმჯდომარეობით მოწყობილი მსწავლული კომისიის რთული სარედაქციო მუშაობის შედეგად. კომისიის მუშაობა მდგომარეობდა წინანდელ პრეტორთა ედიქტების (alba pretoris) გადასინჯვასა, ამოკრეფაში და იქაიდან კანონთა ერთი მთლიანი კრებულის შედგენაში. „მუდმივი ედიქტის“ მოთხოვნილება გამოწვეული იყო ადმინისტრაციული პრაქტიკით. იმპერატორის მოხელეები (პროკურატორები) საკიროებდნენ კანონმდებლობითი ნორმების კრებულს, რომლებითაც ისინი შესძლებდნენ ხელმძღვანელობას თავის საადმინისტრაციო პრაქტიკაში. აღრიანეს ედიქტი ნიშნავს მნიშვნელოვან აერას რომის უფლებრივ შეგნებასა და სასამართლოს პრაქტიკაში.

„მუღმივ ედიქტს“ საფუძვლად დაედო „ხალხთა სამართალი“ (*ius gentium*), რომელსაც II-III საუკ.-თა კლასიკური პერიოდის რომელი იურისტები უყურებდნენ როგორც ბუნებრივ სამართალს (*ius naturale*), ძველ სამოქალაქო, ანუ კვირიტულ, სამართალს რომ უპირისპირდებოდა. ისტორიულად „ხალხთა სამართალი“ განვითარდა პრეტორის სამართლისგან, მეტადრე კი პროვინციულ პრეტორების სამართლისგან (*ius honorarium*). რომის კონსტიტუციის მიერ პრეტორებისადმი მიკუთვნებული უფლების ძალით შეეთანხმებინათ იურიდიული ნორმები ცხოვრების მოთხოვნილებასთან, პრეტორებს შეეძლოთ თავიანთი შეხედულებისამებრ განემართათ, გაეთვართოვებინათ და, ცალკე შემთხვევებში, შეექმნათ კიდევ ახალი უფლებრივი ნორმები.

საუკუნიდან საუკუნემდე პრეტორის უფლება როგორც საერთოდ რესპუბლიკურ მაგისტრატურათა ყველა უფლება, თანდათან უქმდებოდა, სახელმწიფოს მმართველობა გადადიოდა იმპერატორის მიერ დანიშნულ მოხელის ხელში და იგი მმართველობა წარმოებდა წინანდელივით ზეპირად კი არა, არამედ წერილობით, კანცელარიის საშუალებით. აღრიანეს დროიდან უფლების განვითარება წარმოგვიდგება უკვე არა პრეტორის უფლების განვითარების სახით, არამედ იმპერატორის უფლების განვითარების სახით.

სახელმწიფო სამსახურში მყოფი მოხელეები იმპერატორისგან იღებდნენ ჯამაგირს 100-დან 600 ათას სესტერციუმამდე, დაქვრილ თანამდებობის მიხედვით, და ხარისხებს; ეს ხარისხები განლაგებული იყო ერთგვარი გრადაციით, რაც პრაქტიკაში შემოვიდა ანტიკინების დინასტიის ბოლო ხანებიდან: *vir clarissimus* (უგანათლებულესი), *vir perfectissimus* (უსრულყოფილესი), *vir egregius* (გამოჩენილი) და ა. შ. თანდათან იქმნებოდა თანამდებობათა და ხარისხთა იერარქია, რაც დამახასიათებელია გვიანდელი იმპერიისათვის.

მართველობის რთული ამოცანები მოითხოვდა უფრო კვალიფიციურსა და განათლებულ მოხელეობას. მეტადრე ფასი ეძლეოდა იურიდიულ განათლებას, აუცილებლივ საჭირო პირობას ყველა უმაღლესი თანამდებობის დასაქვრად. მაღალი მოხელეობის კადრების მუსამზადებლად აღრიანემ რომში დაარსა ათენეუმი (*Athenaeum*), უმაღლესი სკოლა, რაღაც აკადემიის მსგავსი ორი განყოფილებით: ბერძნულით და ლათინური. ათენეუმში მასწავლებლად მყოფი პროფესორები ითვლებოდნენ სახელმწიფო სამსახურში და უზრუნველყოფილნი იყვნენ გარკვეული ჯამაგირით.

როგორც ყველა სხვა დარგში, ისე განათლების დარგშიც მაგალითის აძლევდა თვითონ იმპერატორი. „ის ძერწავდა, ხატავდა და შას სურდა მცოდნე ყოფილიყო მშვიდობიანი და საომარი ხელოვნების ყველა სახეობისა, რაც კი შეეხებოდა უზენაეს მმართველს და კერძო ადამიანს, ამასთანავე იგი ვერ ითმენდა ვერავის მჯობნობას, ვისიც გინდა ყოფილიყო“¹.

8. ა რ შ ი ა

სახელმწიფო აპარატის გადახალისებასთან ერთად ხდებოდა არმიის გადახალისებაც და საიმპერიო საზღვრების განმტკიცება. რომის არმიის ისტორიაში პირველხარისხოვანი ადგილი უჭირავს ტრაიანეს და მისი მომდევნო მოადგილის ადრიანეს მოღვაწეობას, რომელნიც პირადი გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ რომის არმია სუსტი იყო, ხოლო მოსაგერიებელი ხაზი კი საკმარისი არ იყო.

ადრიანემ ხელი აიღო შემტევე პოლიტიკაზე და მან, „ნსოფლიოს აღმადგენელმა და გამამრავლებელმა“ (*restitutor et locupletor orbis terrarum*), მთელი თავისი ყურადღება მიაქცია პირველ რიგში ქვეყნის თავდაცვას და არმიის რეორგანიზაციას. საკმარისია თვალი გადავაგვლოთ II საუკ. რომის იმპერიის რომელსაც გინდათ რუკას, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ იმ უშველებელ მუშაობაზე, რაც რომაელებმა ჩაატარეს საზღვრების გამაგრების მხრივ, თხრილების გაკეთების, ციხე-სიმაგრეთა აგების, ბანაკების მოწყობისა და მისთანა სხვის მხრივ. თხრილების ნაშთები დარჩენილია არა მარტო რაინისა და დუნაის გაყოლებაზე, არამედ შორეულ ინგლისსა და შოტლანდიაშიც (*vallum Hadriani, vallum Antonini*).

II საუკუნის იმპერატორთა არმიის შესახები კანონმდებლობის კვალი დარჩენილია იურიდიულ ძეგლებში, სადაც დაცულია ტრაიანესა და ადრიანეს სამხედრო წესდებათა ცალკე პარაგრაფები და რომელნიც სანიმუშონი იყვნენ უფრო გვიანი დროის იმპერატორებისათვის. ჩვენამდე მოსულ მუხლებში უმთავრესად ლაპარაკია სამსახურიდან დათხოვნაზე და შვებულებაზე და ჩამოთვლილია დასჯის სხვადასხვა ზომა სამხედრო დისციპლინის დარღვევის შემთხვევებში — დეზერტირობისა, დაუმორჩილებლობისა ან უფრო — თა შეურაცხყოფის, შპიონაჟის, მტრებთან გაქცევის, თავის ვალდებულებათა უგულვებელყოფის, სიზარმაცის, ლოთობისა, უხეშობისა (*vel segnitiae crimen, vel contumaciae, vel desidiae*) და მისთანა სხვა შემთხვევა-

¹ Dio Cass., LXIX, 1.

წი. „სამხედრო პირების მიერ ჩადენილი დანაშაული შეიძლება იქნეს ორგვარი: საკუთრივ სამხედრო ან საერთო სამოქალაქო“ (*propria aut curu ceteris communia*).

აქედან ის სასჯელიც, რომელთაც ადებდნენ სამხედროებს, ვინც კი ჩადენდა ამათუიმ დანაშაულს, ორგვარია. საერთო სამოქალაქო და წმინდა სამხედრო. სამხედრო დანაშაულობად, ამ სიტყვის საკუთარი გაგებით (*militum delicta*), ითვლება „ჯარისკაცის, როგორც ასეთის, მიერ კანონის დარღვევა“ (*quod quis uti miles admittit*). ყველაზე უფრო მძიმე დანაშაულობად სამხედრო წესდების თვალსაზრისით ითვლებოდა ბოროტი დეზერტირობა ომის დროს და უფროსის შეურაცხყოფა. ერთიც და მეორეც ისჯებოდა დასჯის უმაღლესი ზომით—სიკვდილით. „ჯარისკაცი, რომელიც ომის დროს დაჰკარგავდა იარაღს ან მას გაჰყიდდა, სიკვდილით უნდა დაისაჯოს“ (*capite punitur*)¹.

„იმ პირობა მიმართ, ვინც თავს დაიპირდა და შეეცდებოდა რაიმე საშუალებით თავის მოკვლას, იმპერატორი აღრიანე მიუწერს დადგენილ იქნეს მსგავსი საქციელის მოტივი (*ut modus eius rei status sit*). და იმ შემთხვევაში, თუ გამოირკვევა, რომ თავის მოკვლის განმსრახველი ამჯობინებდა სიკვდილს სიცოცხლის წინაშე აუტანელი ტკივილისა, განუტკვრეტელი სევდისა (*taedio vitae*) უგუნურობისა ან სირცხვილის გამო, იგი არ უნდა დაისაჯოს, ხოლო თუ არაფერი ამის მსგავსი არ აღმოჩნდება, მაშინ დამნაშავე სასირცხვილოდ იქნეს გაძევებული ჯარიდან და უმაღლესი სასჯელით დაისაჯოს. ლოთობასა და გარყვნილობაში მხილებულნი სიკვდილით არ ისჯებიან, მაგრამ სამსახურში ქვეითდებიან“ (*militiae mutatio irroganda*).²

დანაშაულობათა ნაირნაირობა, დამნაშავეებზე დადებული მსჯავრის სიმკაცრე და ამის ხშირი გახსენება მოწმობს, რომ რომის არმია II საუკ.-ში ძალიან შორს იყო იმ იდეალზე, რომელიც ეხატებოდათ „ბედნიერი ხანის“ იმპერატორებს. სიმხდალე, სიზარმაცე, დეზერტირობა, თვითდასახიჩრება, უფროსების შეურაცხყოფა სიტყვიით და მოქმედებით, გარყვნილება, ლოთობა, თამაში, სპეკულაციები და ათასი ამგვარი მანკი სცემდა რომის არმიის ბრძოლის უნარიანობას და იძულებულს ჰყოფდა ანტონინებს გამოენახათ ლონისძიებანი ჯარის გაჯანსაღებისათვის.

¹ Dig., XLIX, 16, 2.

² Ibid., 16.

შეტვეიდან მოგერიებაზე გადასვლისთანავე არმიის ამოცანები გათართოვდა და გართულდა; ჯარი ხდებოდა დამცველი ძალა, რომელიც იცავდა რომის საზღვრებს ბარბაროსთა თარეშებისგან, განაპირა ქვეყნებს თანაზიარად ჰყოფდა რომის კულტურისა და გროვდებოდა უმთავრესად გარკვეული ადგილის მცხოვრებლებისგან. ტრაიანედან და ადრიანედან დაწყებული რომის არმია უფრო შვიდროდ უკავშირდება გარკვეულ რაიონს და შეიქმნება სამხედრო მოსახლეების ნაწევრად მომთაბარე არმიად საზღვრებზე. ბრძოლის უნარიანობის დაკარგვისა და „გაგლეხების“ საფრთხეს, რომელიც აქედან გამომდინარეობდა, თავიდან იცილებდნენ მეთოდური ვარჯიშობით, სამხედრო დისციპლინით, ჯარისკაცებში მათი სამსახურის (munitus) სოციალური მნიშვნელობის შეგნების დანერგვით და სამსახურის ვადის გასვლამდე და ვეტერანების რიგებში გადასვლამდე მიწების შეძენის აკრძალვით იმ პროვინციებში, სადაც ჯარისკაცები სამსახურს ასრულებდნენ¹.

თვითონ იმპერატორები უჩვენებდნენ სამხედრო დისციპლინის, ამტანლობის მაგალითს და სამსახურისადმი შეგნებულ დამოკიდებულებას, გერმანიის ცივ და პირქუშ ადგილებში ან ეგვიპტის გავარგარებულ ქვიშაზე სიძნელით გავლით და გადავლით. „ადრიანეო, — მოგვითხრობს დიონ კასიუსი, — ცდილობდა ყველაფერში სამაგალითო და მისაბაძი ყოფილიყო თავის ჯარისთვის. ის დიდ ინტერესს იჩენდა არა მარტო იმის მიმართ, რაც შეეხებოდა იარაღს, სამხედრო მანქანებს, თხრილებს, სანგრებს და მისთანას, არამედ იკვლევდა და სწავლობდა აგრეთვე იმასაც, რასაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა ცალკეულ ჯარისკაცთან: მისი ცხოვრების ნირს, ბინის პირობებს, მის ზნეობრივ დონეს. ეს ეხებოდა როგორც რიგით, ისე სამეთაურო შემადგენლობას. ყოველივეს, რაც დრომოკმულად ეჩვენებოდა ან აზრ-დაკარგულად, ის აუქმებდა ან ცვლიდა. თვითონ თავის თავს ავარჯიშებდა ბრძოლის ყველა სახეობაში. ვინც თავს ისახელებდა და გამოიჩინდა, იმათ აჯილდოვებდა, ხოლო ყველა დანარჩენს მიუთითებდა, თუ რა უნდა გაეკეთებინათ, რომ ყველასათვის სამაგალითოდ შექმნილიყვნენ, ის თვითონ ეწეოდა მხოლოდ მკაცრ ცხოვრებას. მეტ წილად ფეხით დაიარებოდა ან ცხენით მგზავრობდა და მარტო იშვიათ შემთხვევებში სარგებლობდა ოთხთვლიანი ეტლით.

მოკლედ რომ ითქვას, თავისი ხელისუფლების დროს მან შესძლო სიტყვითაც და საქმითაც ისე დაეყენებინა და აღეზარდნა არ-

¹ Dig., XLIX, 16.13.

მია, რომ მისმა სამხედრო წესდებამ დღემდეც კი შეინარჩუნა თავისი ძალა, როგორც სამხედრო წესების ნიმუშმა“¹.

9. II საუკ. იმპერატორთა სოციალურ-ეკონომიური პოლიტიკა

„ბედნიერი პერიოდის“ იმპერატორების სოციალურ-ეკონომიური პოლიტიკა მიიმართა საშუალო და წვრილი მიწათმფლობელობის ალორძინებისაკენ, განსაკუთრებით იტალიაში. იმ ღონისძიებათა შორის, რომელნიც მიღებული იყო საშუალო და წვრილი მიწათმფლობელობისათვის მხარის მისაცემად; პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ალიმენტარულ დაწესებულებათა (alimenta) შემოღება. ალიმენტაციითა ინსტიტუტის დედაარსი შემდეგში მდგომარეობდა. იტალიის ქალაქებში იხსნებოდა სპეციალური ფონდები, საიდანაც მცირე სარგებლით ოჯახთა გაჭირვებულ მამებს სესხს აძლევდნენ თავიანთი შვილების გასაზრდელად. ამისათვის საჭირო თანხები გროვდებოდა იმ პროცენტებისგან, რომელიც ადგილობრივ მიწათმფლობელებს შეჰქონდათ სახელმწიფოსაგან მიღებულ კრედიტებში მიწების დაგირავებით (obligatio praediorum)².

ამით იმედოვნებდნენ ერთბაშად ორი მიზნის მიღწევას: 1) შეეჩერებინათ მოსახლეობის შემცირება და 2) კრედიტით უზრუნველყოთ წვრილი და საშუალო შეძლების პატრონები. რომის იმპერატორთა ზრუნვა ბავშვებზე ნაკარნახევი იყო იმდენად არა ჰუმანიურობით, რამდენადაც სამეურნეო და სამხედრო-პოლიტიკური მოსაზრებებით. წინათ ქველმოქმედება კერძო პირთა საქმე იყო, რომელნიც თავიანთ თანხებს სწირავდნენ საზოგადოებრივ საქიროებაზე.

მაგალითად, ავგუსტუსის დროიდან ცნობილია, რომ ვინმე ჰელვიუს ბაზილამ 400 ათასი სესტერციუმში შესწირა გაჭირვებულ ბავშვთა სასარგებლოდ. ამგვარი მაგალითი სხვადასხვა ცნობილი. დროთა განმავლობაში ქველმოქმედება კერძო ინსტიტუტისგან იქცა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ინსტიტუტად.

იმპერატორმა ნერვამ ქველმოქმედების დაქსაქსული პრაქტიკა განაზოგადა და ბავშვებზე ზრუნვა კერძო პირთა ხელიდან გადასცა სახელმწიფოს. ნერვას მაგალითს მიჰბაძა ტრაიანემ, რომელმაც სახელმწიფო ხარჯზე აიყვანა 5 ათასი ბავშვი³. იმავე მიმართულებით

¹ Dio Cass., LXIX, 3.

² C. 1. L. XI, 1147; IX, 1455.

³ Piin. Secund., Panegyricus, XXVII.

მოქმედებდნენ ადრიანე, ანტონინე პიუსი და მარკოს ავრელიუსი. ბიჭები 18 წლამდე, ხოლო გოგოები 14 წლამდე იღებდნენ ყოველ-თვის სარგოს, თითო 10 სესტერციუმს.

ამასთან ერთად ნერვამ განაახლა მიწის დარიგება წვრილი მფლობელებისთვის, რომელნიც ამგვარად უშუალოდ დამოკიდებულნი ხდებოდნენ იმპერატორისგან. მისი წინადადებით, მარტო ერთ იტალიაში მცირე მიწიან იტალიკებისათვის ნაკვეთების დასარიგებლად შესყიდული იყო მიწა საერთო ჯამით 50—60 მილიონ სესტერციუმის ღირებულებისა¹. მიწების შესყიდვას და განაწილებას განაგებდა სენატორებისგან შემდგარი ცალკე კომისია.

მიწათმფლობელებზე მძიმე ლოდან დაწოლილ ვალების შემსუბუქების მიზნით 113 წელს გამოცემულ იქნა დეკრეტი ფისკისათვის უკანასკნელ¹ წლის დავალიანების პატიების შესახებ. ამ დეკრეტის დაშატებლად მარკოს ავრელიუსის დროს გამოიცა ნეორე დეკრეტი ვალების ნაწილობრივი კასაციის შესახებ.

II საუკ. იმპერატორები არა ჯერდებოდნენ ცალკეულ ღონისძიებებს და ცდილობდნენ მოეხდინათ ცენტრალიზაცია და მოეწესრიგებინათ საიმპერატორო მეურნეობა და გაეფარაოვებინათ საიმპერატორო დომენები. აგრარული ურთიერთობა, ურთიერთობა უშუალო მწარმოებელთა, მსხვილ იჯარადრებსა (კონდუქტორებსა) და მამულთა მფლობელებს შორის I საუკუნის სამოქალაქო ომის დროიდან მოყოლებული გაურკვეველი და არეულ-დარეული იყო. მათი მოწესრიგების მიზნით გამოიკეზოდა ხოლმე სპეციალური წესდებანი ან კანონები, რომელთა ნიმუშები ჩვენამდეა მოსული წარწერების სახით. საადგილ-მამულო ურთიერთობის მოწესრიგება დაიწყო ჯერ კიდევ ანტონინებამდე, ფლავიუს ვესპასიანეს დროს. ხოლო ანტონინების დროს იგი განაგრძეს, გაათაროვეს და შესცვალეს დროის მოთხოვნების შესაფერისად.

ამგვარი კანონებისა ანუ წესდებათა ხასიათს ვეცნობით საადგილ-მამულო წესდებით, რომელიც ეხება სპეციალურად აფრიკის მამულებს და ეკუთვნის ფლავიუსების ხანას. საადგილ-მამულო ურთიერთობათა წესრიგში მოყვანა აფრიკაში დაკისრებული ჰქონდა ლეგატს მანციუსს, რომლის სახელის იხედვითაც ხსენებული წესდება ატარებს მანციუსის წესდების ანუ მანციუსის კანონის (lex Manciana) სახელს.

¹ Dio Cass., LXIX, 2.

სპეციალური წესდების გამოცემა, რომელიც აწესრიგებდა აგრარულ ურთიერთობას ფლავიუს ვესპასიანეს დროს, სავსებით ეთანხმება მისი სოციალური პოლიტიკის საერთო მიმართულებას, რომელსაც ჰინანდ ჰქონდა სახელმწიფოს საზღინის შემოსავლის გადიდება, გადასახადების გადამხდელთა და იჯარათა რიცხვის გაზრდა და იმპერატორის პირად სამფლოჰელთა გაფართოვება.

ნერონის მიერ ჩატარებულ მასობრივ კონფისკაციებისა და სააღკლ-მამულო ცვლილებათა გამო მშფოთვარ და მძაფრ 68—69 წლების განმავლობაში საადგილ-მამულო ურთიერთობა არაჩვეულებრივ აწეწილი იყო და მოითხოვდა სახელმწიფო ხელისუფლების დაუყოვნებლივ ჩარევას. ღალა და გადასახადები უხეიროდ შემოდლიოდა, მოსახლეობა იყრებოდა მამაპაპეულ ადგილებიდან და სხვაგან მიდიოდა, ყველგან ბლომად იყო მიგდებული გაპარტახებული მიწები (*agri rudes, terrae relictae*).

მანციუსის წესდება აწესებდა საერთო ნორმას, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ მფლობელებს, იჯარადრებს (*conductores*) და საიმპერატორო და კერძო პირების მოურავებს (*villici*) აფრიკის პროვინციაში. ამ კანონის საფუძველზე ოლქების, რაიონების და მამულების პროკურატორები ადგენდნენ თავიანთ წესდებებს და სწყვეტდნენ სადაო შემთხვევებს, რომელნიც წამოიქრებოდა ხოლმე სხვადასხვა საბაბით. ამგვარი წესდებები და ამონაკრეფნი, რომელნიც ატარებდნენ „წერილების“ (*epistulae, litterae*) ან „გადაწყვეტილებათა“ (*sermo procuratorum*) სახელს, ამოიქრებოდა ხოლმე ტრაპეზებზე. ტრაპეზი ითვლებოდა წმინდა ადგილად და ყოველივეც, რაც ტრაპეზზე დაიწერებოდა, ასევე წმინდად ითვლებოდა და იმყოფებოდა იმპერატორის გენიის მფარველობის ქვეშ.

მანციუსის მიერ დადგენილი ნორმები აღრიანეს დროს დაარედაქტირეს, შეავსეს და გადაიქცნენ აღრიანეს კანონად (*lex Hadriana*), რომელიც ჩვენთვის ცნობილია პროკურატოროთა ბრძანებათა (*seromnes procuratorum*) ამონაკრეფებით. მანციუსის და აღრიანეს წესდებიდან ამოღებული ადგილები ნაპოვნია აფრიკის სხვადასხვა ადგილში.

ორივე კანონის მთავარი შინაარსი ეხება ორ ძირითად საკითხს: 1) მამულთა პატრონების (*domini*) ან მათი იჯარადრების—კონდუქტორების (*conductores*) და ვილიკების სახელმწიფოს მიმართ დამოკიდებულებას და 2) მამულებში მცხოვრებ კოლონების (*coloni, inquilini*) მოვალეობას. მანციუსისა და აღრიანეს კანონები

აწესებენ ნატურალურ და ფულად შენატანი თანხის ნორმას და ითვალისწინებენ შემოსავლის ყოველნაირ დარგს.

II საუკ. მამულთა შესახები კანონმდებლობის ნიმუშად მოვიყვანთ მამულის „დიდი ვილას“ (Villa Magna) პროკურატორების დადგენილებას, რომელიც ჩვენთვის ცნობილია ერთი აფრიკული წარწერით და წარმოადგენს გამოწაკრეფს მანციუსის კანონიდან.

„ავგუსტუსის, ჩვენი იმპერატორის, ტრაიანეს სასიკეთოდ,—ამბობს დასახელებული წესდება,—პრინციპისა და მთელი მისი საღეთო სახლისა, დიდმშვენიერისა, გერმანიისა, პართიისა, გამოცემულია პროკურატორების ლიცინიუს მაქსიმესა და ფელიციონერის, ავგუსტუსის აზატის, მიერ მანციუსის კანონის მაგალითისამებრ (ad exemplum legis Mancianae).

ამ შესავალს მისდევს ამ მამულში მცხოვრებ „პლებეური ხალხის“ (populus plebeius) გადასახადთა ნუსხა. ვარიანეს მამულის „დიდი ვილის“, ე. ი. Mappalia Siga (ადგილობრივი სახელია), ტერიტორიაზე ყველა მცხოვრებს ნება ეძლევა დაამუშაონ თავისუფალი მიწები, რაც გაუყოფელი დარჩა იჯარით გაცემისას (agros qui subcesiva sunt) მანციუსის კანონით იმ პირობით, რომ ვინც მათ დაამუშავეს, მათ მიიღებს სამუდამოდ სააარგებლოდ (usum proprium habeat). ამ მიწისგან მიღებული მოსავლიდან მამულში დაბადებული კოლონები (qui ex loco nati sunt) მანციუსის კანონისამებრ მამულის მფლობელებს, მათ კონდუქტორებს ან ვილიკებს უხდიან მოსავლის განსაზღვრულ წილს შევდეგ პირობებში. კოლონები აცნობებენ, საკუთარი გამოანგარიშებით (arbitratu suo), მოსავლის ჯამს, რაც მათ მართებთ მოიტანონ კალოზე და გალენონ. კოლონები მოვალენი არიან კონდუქტორებსა და ვილიკებს ჩააბარონ მოსავლის წილი, რაც ისინი ვალდებულნი არიან მთლიანად წარადგინონ: ხორბალი კალოზე ერთი მესამედი, ქერი კალოზე მესამედი, მუხუდო კალოზე მეოთხედი, ლენო ქვევრზე მესამედი, მოკრეფილი ზეთისხილიდან მესამედი, თავლი ფუტკრის გეჯებიდან თითო სექსტარი“.

„იმ პირუტყვზე, რომელსაც აძოვებენ „დიდი ვილის“ ტერიტორიაზე, მოვალენი არიან კონდუქტორებს და მამულთა მფლობელების ვილიკებს. თითო თავზე (სულზე) ოთხ-ოთხი ასისი გადუხადონ“.

„...თუ ვინმე მამულ „დიდი ვილაში“ მცხოვრებთაგანი მოსკრის, შეაქრის, გაიტანს, თან წაიღებს, დასწკავს; მოაქრის ნაყოფს, მდგმოიარეს, მსხმოიარეს, მოწეულს, ან მოუწევარს (მკვასეს),—(აუწახლათურებს) ზარალს... რამდენიც საჭიროა ანაზღაურდეს“.

„...ვინც დაუმუშავებელ ნაკვეთს დააპუშავენს და ზედ შენობას ააგებს... იმ დროიდან, რაც მიწის ნაკერი აღარ მუშავდება, მისი დამუშავების უფლებას (ius colendi) ინარჩუნებს მხოლოდ ორი უახლოესი წლის განმავლობაში... ხოლო ორი წლის გასვლის შემდეგ კონდუქტორი ან ვილიკი მოვალეა მისცეს (დაცარიელებული ნაკვეთი) დასამუშავებლად. არც ერთს კონდუქტორსა ან ვილიკს (არ შეუძლიან გააგდოს ინკვილინი)... „იდი ვილის“ ტერიტორიაზე მცხოვრები კოლონები ვალდებული არიან მამულის პატრონებს, კონდუქტორებს ან ვილიკებს მისცენ ორ-ორი სამუშაო დღე კაცის თავზე წელიწადში მოსახნავად, მოსამკელად, სამარგლად და ყოველგვარ სხვა სამუშაოზე ორ-ორი დღე“ (Lex de Villae Magnae colonis data ad exemplum legis Mancianae)¹.

ზემოდასახელებული კანონების გარდა ცნობილია კიდევ ადრიანეს სპეციალური კანონი ცარიელ და მიგდებულ მიწების შესახებ, რომელიც, შესაძლებელია, წარმოადგენდა ადრიანეს საერთო სამამულო წესდების ერთ-ერთ თავს.

ამის წინა სტატუტივით კანონი ცარიელი მიწების შესახებ (Lex Hadriana de agris rudis) დარჩა წარწერის სახით, რომელიც ამოკრილია ადრიანეს ტრაპეზზე (ara legis Hadrianae)². კანონის მიზანია—გააფართოვოს მარცვლეული და ბალ-ბოსტნეული კულტურის ფართობი, ჩააბას დაუმუშავებელ ნაკვეთების დამუშავებაში მოქირავენი შეღავათიან პირობებში მიცემით (ემფიტევისისი).

„კეისარი, —ამბობს ადრიანეს ხსენებული კანონი, —დაუღალავად ზრუნავს და დღე-მუდამ იღწვის კაცობრიობის სარგებლობისათვის, იგი ბრძანებს დამუშავებულ იქმნას მიწის ყველა ნაკვეთი, გამოსადეგი ყანები, ვენახები და მარცვლეული კულტურები... მათ, ვინც დაიჭერს ან მიწებს, ეძლევა უფლება ისარგებლოს და გადასცეს მემკვიდრეობით, რაც გათვალისწინებულია ადრიანეს კანონით ცარიელ მიწათა შესახებ და დაუმუშავებლად ათი წლის განმავლობაში დარჩენილთა თაობაზე... იმ ზეთისხილისგან, რომელთაც ვინმე კვლავ დარგავს ორმოებში ან ამყნობს გარეულ ზეთისხილზე, უახლოესი ათი წლის განმავლობაში არ გადახდება მოსავლის არავითარი წილი, ხოლო ხილეულისგან-უახლოესი შვიდი წლის განმავლობაში“.³

საიმპერატორო მეურნეობაში შედიოდა არა მარტო მამულები, არამედ საზოგადოებრივი ეკონომიკის მრავალი სხვა დარგიც-მად-

¹ Brunns, Fontes, 295—300.

² Ibid.

³ Ibid., p. 300.

ნები, ტყეები, ბაჟები, გადასახადები და ვაჭრობისა და მრეწველობის ზოგიერთი დარგი.

საიმპერატორო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგს მამულე-ბთან ერთად შეადგენდნენ მადნები და ქვის სატეხები. საიმპერატორო მადნების ორგანიზაციას ვეცნობით ესპანეთის ერთ-ერთი მადნის, ვიპასკაში რომ იყო, წესდების საშუალებით (*lex metalli Vipascensis*)¹. როგორც წესდებიდან ჩანს, სამადნო ტერიტორია ფართო იყო და იყოფოდა რამდენიმე სამადნო სამოსახლოდ (*pagi, vici, saltus*), რომელნიც წარმოადგენდნენ მუშებითა და სამთამადნო ადმინისტრაციით დასახლებულ დამოუკიდებელ უბნებს. ეკონომიურად და იურიდიულად სამთამადნო მოსახლეობანი წარმოადგენდნენ ერთ-ერთ სახეობას იმ საიმპერატორო დომენებისას ანუ სალტუსებისას, რომელნიც გარს მყოფ სამყაროსგან დამოუკიდებელი იყვნენ. სამთამადნო სამოსახლოებში ჰქონდათ საკუთარი სახელოსნოები, ღუქნები, სადალაქოები, სააბანოე ადგილები და მისთანა. მეურნეობის ყველა დარგი იჯარით ეძლეოდათ წვრილ იჯარადრებს (*conductores*) სალტუსებში მოწყობილ აუქციონების საშუალებით. სამადნო სამოსახლოს უმაღლეს ადმინისტრაციულ პიროვნებას წარმოადგენდა იმპერატორისგან დანიშნული პროკურატორი.

მიწის წიაღში მოპოვებული ლითონები მიდიოდა იმპერატორის სახელოსნოებში, საიარალო სახელოსნოებში, ზარაფხანებში და სხვაგან²; ეს ყველაფერი ირიცხებოდა იმპერატორის პროკურატორების განმგებლობაში (*procuratores metallorum*); მათი ექსპლოატაცია წარმოებდა სამთამადნო მუშების საშუალებით, მუშებად კი იყვნენ მონები, თავისუფლები, განსაკუთრებით კი რაინე დანაშაულისათვის მსჯავრდადებულნი. მალაროებში გადასახლება იყო დასჯის ერთ-ერთი მეტად გავრცელებული სახეობა (*damnatio ad metalla*). სამთამადნო მუშების მდგომარეობა განსაკუთრებით სამძიმო იყო. წყაროების ზემოდასახელებულ მოწმობებს დაეუმატებთ კიდევ ამონაწერს კვიპრიანეს წერილიდან, რომელიც იყო კართაგენის ეპისკოპოსის (III საუკ.) და გვიხატავს რომაულ მალაროებში მუშაობის პირობებს. „მათი ფეხები, — სწერს სამთამადნო მუშებზე ხსენებული მწერალი, — ბორკილებშია, რომელთა შეხსნა მკედელს კი არა და იქნებ მარტო ერთმა ღმერთმა შესძლოს. მათი სხეული მოკლებულია დასასვენებელ ადგილს და ყოველგვარ ზრუნვას; იგი უნდა-

¹ Bruus, Fontes, p. 289.

² Podles, Jahrbücher der Nationalökonomie, XV, S. 155.

იწვევს ცარიელ მიწაზე. მსჯავრდადებულები წყალს არ იღებენ, რომ განიბანონ სკლად დადებული მტვერი, რითაც ისინი ბუნებრივად იფარებიან. პური ეძლევათ უკმარად, ტანისამოსი ვერ იფარავს სიცივისაგან. თავი ნახევრად გადაპარსული აქვთ, ხოლო გაუპარსავად დატოვებული თმა ყალყზე უდგათ ქუქკისგან¹.

იმპერატორის მადნებთან ერთად განაგრძობდნენ არსებობას აგრეთვე კერძო პირთა მადნებიც, მაგრამ მათი მნიშვნელობა იმპერატორის მადნებთან შედარებით მცირე იყო.

საზოგადოებრივი ეკონომიკის აღნიშნულ პირველხარისხოვან დარგების გარდა, საიმპერატორო მეურნეობაში არა ნაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ მეურნეობის მრავალი სხვა სახეობანიც — განსაკუთრებით სამამულო სახელოსნოები და კეისრის ურიცხვ აზატების სახელოსნოები, რომელნიც მუშაობდნენ თავისი მაღალი პატრონის სასარგებლოდ.

თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საერთოდ და მთლიანად სამეურნეო ცენტრალიზაცია, დამახასიათებელი გვიანდელი იმპერიისათვის, ჩაისახა უკვე რომის პირველ დინასტიების დროსვე. ეკონომიურ მოსაზრებებთან ერთად იმპერატორების ცენტრალისტური პოლიტიკას წარმართავდნენ აგრეთვე პოლიტიკური მოტივებიც — იმპერატორების მისწრაფება შეექმნათ საიმპერატორო მეურნეობა უამრავი საშუალო შეძლებისა და წვრილი მწარმოებლებით (კოლონებით, მონებით და აზატებით) და ფართო ადმინისტრაციით, რომელიც უშუალოდ ემორჩილებოდა სახელმწიფოს მეთაურს და მის ფისკს. იმპერატორის აბსოლუტიზმის ზრდა წარმოადგენდა სამეურნეო ორგანიზაციის უკანა მხარეს. იმპერიის დასასრულისთვის რომის სახელმწიფო ხდება უშველებელ საიმპერატორო ოიკოსად (სახლად), რომელიც ნაქავედა მეურნეობის ყველა სხვა სახეობას. ამ ნაწილში თავის დადასტურებას რამოდენიმედ ჰპოვებს როდბერტუს — ბიუხერის ოიკოსური თეორია, რომელიც ხაზს უსვამს ანტიკური სამყაროს ეკონომიკის ოიკოსობას და ნატურალობას, მაგრამ რომელიც ამ ოიკოსობას მცდარად ავრცელებდა მთელ ანტიკურ ხანაზე და ამასთანავე უქველად ძალიან აზვიადებდა მას².

იმპერატორის ადგილსამყოფელად, მართველობისა და კულტურის ცენტრად კვლავინ ეებურად რჩებოდა ქალაქი რომი. იმპე-

¹ Cyprian, Epist., 77.

² Rodbertus, Zur Geschichte der agrarischen Entwicklung Roms, „Jahrbücher für Nationalökonomie und Statistik“, 1864, II; K. Bücher, Die Entstehung der Volkswirtschaft, 1904.

რატორები-პროვინცილები არანაკლები თავგამოდებით, ვიდრე მათი წინამორბედები, ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ რომისა და იტალიის უპირატესი მდგომარეობა ხმელთაშუაზღვეთის საზოგადოებათა და მუნიციპალიტეტების სისტემაში. „პურისა და სანახაობათა პოლიტიკის“ მიხედვით „ბედნიერი პერიოდის“ იმპერატორები მისდევდნენ თავიანთი წინამორბედების მაგალითს, რომის საზოგადოების ფართო ფენებში პოპულარობის მაძიებელმა ანტონინებმა არა მარტო არ შეამცირეს გაბოძებული, ტრიუმფები, საგლადიატორო ბრძოლები, კრივები, მხეცებზე ნადირობა და მისთანა, არამედ უფრო მეტად გაზარდეს ისინი. მაგალითად, ტრაიანეს დროს ასპარეზზე გამოდიოდა 13 ათას წყვილამდე გლადიატორი, ადრიანეს დროს ცირკის ასპარეზზე მოკლული დარჩა 100 ლომი, უქმე-დღესასწაულთა რიცხვი წელიწადში აღიზარდა 100, 150 და 200 დღემდე. „განათლებული მონარქია“ ძალიან აფასებდა გარეგან ეფექტებს, თეატრისა და ცირკის წარმოდგენათა სიბრწყინვალეს, საბოძვარის გაცემას, დიდ ნაგებობებს და ა. შ.

ნაგებობათა შორის საჭიროა აღინიშნოს: ნერვას დროს—ახალი ფორუმი, მინერვას ტაძარი, წყალსადენები და ახალი (მოკირწყლული) ქუჩები; ტრაიანეს დროს—სატრიუმო კამარები (ტრაიანეს კამარა), ტრაიანეს სვეტი, აბანოები, თეატრები, ქვის უშველბელი ხიდი დუნიხზე; ადრიანეს დროს—ციხის თხრილები (ადრიანეს თხრილები), მავზოლეუმი (ეხლანდელი ანგელოზის კოშკი), ადრიანეს ტიბურტინის ვილა და მრავალი სხვა. საზოგადოებრივი შენობები, ცირკები, თეატრები, წყალსადენები, ნავსადგურები, ბელები (პურსაცავები) და სხვა შენდებოდა არა მარტო სატახტო ქალაქში, არამედ პროვინციებშიც, რომის სამყაროს სავსებით შორეულ და განაპირა მხარეებშიც კი. რომაულ დაწესებულებათა გადატანა განაპირა ქვეყნებში ხელს უწყობდა მათ რომანიზაციას და ბერძნულ-რომაული კულტურის გარეგან ფორმების თანაზიარებას.

ყოველივე თქმულის შეჯამებისას ვხედავთ, რომ ანტონინების დროს სახელმწიფო მანქანა უკვე სავსებით იყო გამართული, სახელმწიფო დაწესებულებათა მრავალწლოვანი ევოლუცია ძირითადად დამთავრდა, შემდეგში კი ლაპარაკი შეიძლებოდა ყოფილიყო მარტო წვრილმანების შევსებასა ან შეცვლაზე და არა თვით პრინციპებზე. რესპუბლიკური მაგისტრატურები, —კონსულები, ტრიბუნები, ედილები, პრეტორები და სხვანი, —თითქმის არაფერს წარმოადგენენ, უბრალო ფიქციები იყვნენ და მათ არავითარი რეალური მნიშვნე-

ლობა არა ჰქონდათ. „განათლებული აბსოლუტიზმის“ დროიდან საზოგადოებრივ ცხოვრებას, პოლიტიკას, ხელოვნებას და მეცნიერებას ტონს აძლევენ მოხელეები, და ასე გრძელდებოდა იმპერიის დასასრულამდე. რომის იმპერიის შემდგომი განვითარება წავიდა ბერძნულ-ჰელენისტურ სამეფოთა გზით, მეტადრე კი ჰელინისტური ეგვიპტის გზით. კლასიკური პოლისის რესპუბლიკური წყობილება გადაგვარდა სამხედრო-ბიუროკრატიულ დესპოტიად.

ბიუროკრატიული აპარატი უზრუნველყოფდა გადასახადების უფრო წესიერ შეტანას, ფისკალურ შესაძლებლობათა უკეთეს აღრიცხვას და ადგილობრივი ორგანოების კონტროლს. მაგრამ, მეორე მხრით, თვალსაჩინო იყო ბიუროკრატიული სისტემის აგრეთვე უარყოფითი მხარეებიც—სახელმწიფო აპარტის შენახვის სიძვირე, მისი მოუქნელობა, სქემატიზმი, მოხელის უსულგულობა და წვრილმანობა, რაც ჰქლავდა ადგილობრივ დაწესებულებათა თვითთავადობას და დამოუკიდებლობას და ასუსტებდა ინდივიდუალურ თაოსნობას. მართალია, ყოველივე ეს ეკუთვნის უკვე უფრო გვიანადროს, III და მომდევნო საუკუნეებს, მუნიციპალიტეტების შესუსტების ხანას, მაგრამ ბიუროკრატიული მეურვეობისა და ბიუროკრატიული ზედწოდის ნიშნები შეიგრძნობა უკვე ანტონინების დროსვე. საკმარისია წავიკითხოთ ტრაიანეს მიმოწერა ბითინიის პროვინციის ნაცვალ პლინიუსთან, რომ წარმოვიდგინოთ, თუ სადამდე მიდიოდა უკვე მაშინ ბიუროკრატიული წვრილმანობა. პლინიუსი, რომელიც სარგებლობდა იმპერატორის განსაკუთრებული განწყობილებით და ნდობით, ყოველ აშბის გამო მიმართავს ცენტრს, პირადად თვითონ იმპერატორს ღირექტივებისა და რჩევის მისაღებად და ყველა თავის კითხვაზე იღებს დასაბუთებულ პასუხს, რჩევას და ბრძანებას. პლინიუსის პირადი თაოსნობა თითქმის არ ჩანს, მას არ შეუძლია დამოუკიდებლად, თუ იმპერატორს არ მიმართა, გადასწყვიტოს აბანოს, თეატრის აგებისა ანდა ძველი შენობის დანგრევის საკითხიც კი.

„ქალაქ პროზას მცხოვრებლებს, —სწერს პლინიუსი, —აბანო მეტად ძველი და უსუფთაო აქვთ. იმათ უნდოდათ მისი გადაკეთება, თუკი შენ კეთილინებებ... მე ვფიქრობ, რომ შენ შეგიძლია მათი თხოვნა დააკმაყოფილო. ამ შენობისთვის საჭირო სახსრები იქნება: პირველ ყოვლისა, მე უკვე დავიწყე კერძო პირთაგან ფულის აკრეფა საამისოდ, და მერე თვითონ იმათვე გადასწყვიტეს აბანოს მოახმარონ ის სახსრები, რაც, ჩვეულებისამებრ, მათში ზეთისთვის იკრი-

ბებოდა. აბანოს გადაკეთებას კი მოითხოვს სახელმწიფოს ღირსება და შენი მეფობის ბრწყინვალეობა“.¹

პლინიუსის წერილს მოჰყვა იმპერატორის პასუხი.

„თუ ახალი აბანოების აგება არ დაამძიმებს პრუსიის მცხოვრებლებს, ჩვენ შეგვიძლია შევიწყნაროთ მათი სურვილი, ოღონდ ისე, რომ ამით არ გაიზარდოს ის გადასახადები, რომელთაც ისინი იხდიან, და მოშავლისთვისაც არ შემცირდეს მათი გადახდის უნარიანობა ჩვეულებრივ დარგებში“.²

10. სოციალური მოძრაობანი ანტონინების დროს

იმპერატორის აბსოლუტიზმისა და ბიუროკრატიის უარყოფითი მხარეები უაღრესი მკათიურობით ჩანდა სამეურნეო და პოლიტიკურ კრიზისებისა და დეპრესიათა ხანებში, რომლებიც არღვევდნენ ანტონინების შედარებით მშვიდობიან მმართველობას. ანტონინების დროინდელ კრიზისებს მათგან გამომდინარე სოციალური მოძრაობებითურთ იწვევდა იმპერიის ჩაგრული ფენების ეკონომიური და პოლიტიკური უკმაყოფილება.

კლავდიუსების დინასტიის წინა პერიოდთან და III საუკ. მომდევნო კრიზისთან შედარებით ანტონინების მმართველობა ითვლება შედარებითი საგარეო და შინაგანი მშვიდობიანობის დროდ. მაგრამ ეს იყო მშვიდობიანობა მხოლოდ პირობითი გაგებით. შინაგან წინააღმდეგობათა ზრდა და კლასობრივი ბრძოლის ზრდა გრძელდებოდა „ბედნიერ საუკუნეშიც“, რამდენადაც რომის საზოგადოება რჩებოდა კლასობრივ საზოგადოებად და იყოფებოდა მონებად და თავისუფლებად, ექსპლოატატორებად და ექსპლოატირებულებად. მუნიციპალური ქალაქების გარეგანი ბრწყინვალეობით და ეპიტაფიების მიხედვით, რომელნიც ლაპარაკობენ დასაფლავებულთა კეთილდღეობაზე, არ შეიძლება დაუშვათ საერთო კეთილდღეობა. მუნიციპალური პლუტოკრატია შეადგენდა რომის საზოგადოების თხელ ფენას, ხოლო მონების, აზატების და თავისუფალი მდგომარეობის წვრილი მწარმოებლების მასა ოდნავადაც არ ცხოვრობდა ბრწყინვალე პირობებში და ამის გამო ყოველთვის პოტენციურად მზად იყო მიმხრობოდა რომელსაც გინდა იმ მოძრაობას, არსებული წყობილების წინააღმდეგ მიმართულს, რომელი მხრიდანაც კი არ უნდა

¹ Plin., Epist., XXXIV.

² Ibid.

დაწყებულიყო იგი და რა მიზეზებითაც კა არ უნდა ყოფილიყო იგი გამოწვეული. რომის იმპერიის სოციალურ-ეკონომიური საძირკველი არ იყო საკმაოდ მტკიცე, და ამიტომაც პირველ შეტევების-თანავე სახელმწიფო განიცდიდა სერიოზულ ბიძგებს და შერყევებს, რაც მას სრულ დანგრევას უქადდა.

აჯანყებანი ანტონინების დროს ხდებოდა რომის იმპერიის მთელ სივრცეზე, მაგრამ, მასალათა მდგომარეობის გამო, ჩვენ ყველაზე უფრო მეტი ცნობა მოგვეპოვება იუდეის პროვინციაში მომხდარ აჯანყებაზე, რომელიც ცნობილია ბარ-კოხბას აჯანყების (132—135 წლ.) სახელით.

როგორც წინა მეთობათა დროს, ახლაც აჯანყების მიზეზად შეიქნა ცენტრალისტური პოლიტიკა; რომელიც პოლიტიკურ გართულებათა შიშით ცდილობდა წარეხოცა ყველა ადგილობრივი თავისებურებანი და ყველგან დაეყარებინა რომის ადმინისტრაციისა და რომაულ ჩვეულებათა ბატონობა. ბარ-კოხბას აჯანყების საბაბად გადაიქცა „უწმინდურთა“, ე. ი. რომაელების, ცდა აეგოთ იუპიტერ-კაპიტოლიუმელის რომაული ტაძარი ტიტუს მიერ დანგრეულ იალვეს ტაძრის ალაგას იერუსალიმში, აეკრძალათ წინადაცვეთა, და საერთოდ რომაელების ჩარევა იუდეველთა შინაგან რელიგიურ წესებში. მოძრაობის სულიერი მეთაური იყო მოხუცი რაბი ბენ აკიბა (Ben Aciba) იამნიიდან, სადაც ადგილსამყოფელი იყო იუდეველთა მთავარი საბჭოსი—სინედრიონისა, ხოლო სამხედრო ბელადად ჰყავდათ ბარ-კოხბა (Bar-Kochba--ვარსკვლავის შვილი), რომელიც სინედრიონმა მესიად აღიარა.

იუდეველებმა ისარგებლეს ეგვიპტეში ადრიანეს ყოფნით, იწყეს იარაღის დამზადება, სიმაგრეოა აგება, მიწის ქვეშ გვირაბების თხრა და აჯანყებისთვის ემზადებოდნენ. ისინი ვერ ბედავდნენ აშკარა ომის დაწყებას და რომაელებს თავს ესხმოდნენ ხან საიდუმლოდ, ხან აშკარად. აჯანყების რაიონი უფროდაუფრო ფართოვდებოდა, ყოველი მხრიდან მოდიოდნენ პარტიზანული რაზმები. მოძრაობის თანამგრძობთა რიცხვი იმდენად დიდ იყო, რომ გეჩვენებოდათ, თითქოს მთელი „რომის სახელმწიფო მოძრაობაში მოვიდოდა“.

რომაელებმა პირველ შეტაკებებში მარცხი განიცადეს, მერე კი იუდეაში გაგზავნეს დიდი ძალები საუკეთესო სარდლის იულიუს სევერის უფროსობით, რომელიც სასწრაფოდ გამოიწვიეს ბრიტანეთიდან. აჯანყებულთა რიცხვი ძალიან დიდი იყო, ხოლო მათი რევოლუციური ენთუზიაზმი იმდენად ძლიერი, რომ სევერმა ვერ გ-

პედა აშკარა ბრძოლა და აშკარად შეებმას ამჯობინა წვრილი შეტაკებები, გარემოცვა, სურსათ-სანოვაგის შეზიდვის შეწყვეტა, ალკა-შემორტყმულთათვის წყლის დაწყვეტა და მისთანანი. და მარტო მას შემდეგ, როცა გარემოცულთ ძალა გამოელათ, სევერმა ზედიზედ დაიპყრო სიმაგრეები. შედეგი საშინელი იყო: დაანგრიეს 50 დიდი და უთვალავი წვრილი სიმაგრე, საერთო ჯამით სულ წყობიდან გამოვიდა, დაიღუპა, დაიწვა, დაიხრჩო, გაიქც-გამოიქცა და მონებად გასყიდულ იქნა 80 ათასზე მეტი კაცი. იუდეა უდაბნოდ იქცა. რომაელების დანაკარგი უცნობია, მაგრამ, როგორც ზანს, ასევე ძალიან თვალსაჩინო უნდა ყოფილიყო. აჯანყება ორ წელიწადზე მეტს ხანს გრძელდებოდა. დამარცხების შედეგად იუდეამ დაჰკარგა თავის დამოუკიდებლობა და იგი ჩაირიცხა მეზობელი სირიის პროვინციაში შემადგენელ ნაწილად, იალვეს ტაძრის ადგილას აგებულ იქნა იუპიტერის არადიდი ტაძარი. ებრაელთა სინედრიონმა იერუსალიმის ტაძრის დანგრევის დღე გამოაცხადა იუდეველთა ხალხის სამგლოვიარო დღედ. ტრაიანესა და ადრიანეს დროს დაწყებული აჯანყებები ფართო ტალღასავით გაიშალა მარკოს ავრელიუსის დროს საგარეო პოლიტიკაში გართულებებთან დაკავშირებით.

II საუკ. 60-იან წლებიდან რომი კვლავ ომების ზოლშია. 161 წლიდან იწყება პართელების ომი (161—165 წლ.), რომელსაც მოსდევს მასზე უფრო მძიმე მარკომანური ომი (167—180 წლ.). შესუსტდა თუ არა რაინ-დუნაის ფრონტი, რომლის ჯარის ნაწილიც გადმოსროლილ იქნა ეფრატზე, გერმანულმა ტომებმა—გერმუნდურებმა, მარკომანებმა, იაზიგებმა, კვადებმა და სხვათ—ამით ისარგებლეს და იტალიისკენ გამოსწიეს. ომი წარმოებდა საშინელი შეუპოვრობით და დიდძალი მსხვერპლიც შეიწირა.

რომის სახელმწიფო შეირყა მთელი თავისი საძირკვლით, მიიღო რა სასიკვდილო ლახვარი, რომლისგანაც იგი არასდროს აღარ გამობრუნებულა სავსებით. განსაკუთრებით ბევრი უბედურება დაატეხა თავს აღმოსავლეთიდან შემოტანილმა ქირმა.¹ სადაც არ უნდა მისულიყო იმპერატორი თავისი ჯარით, ხელათვე იწყებდა მძვინვარებას ეპიდემია, ჩნდებოდა უკმაყოფილება და წყველა-კრულვას უთვლიდნენ იმპერატორს.²

¹ Haeser, Jahrbuch der Geschichte der Medizin, III, 24.

² Script. Hist. Aug., Verus, 8.

ქირმა, რომელიც მოედო ყველა პროვინციასა და იტალიას, მუსრი გაავლო სახელმწიფოს. ვილები, მინდვრები და ქალაქები მიატოვეს, გაუკაცრიელდა და ნანგრევებად და ტყეებად იქცა.¹

რომის სახელმწიფოებრივობის კრიზისისა და მერყეობის ერთ-ერთი ნიშანი იმპერიის დროს იყო სხვადასხვა ადგილას უზუტუპატორების გაჩენა, რომელნიც პრეტენზიას აცხადებდნენ უმაღლეს ხელისუფლებაზე. 175 წ. მარკოს ავრელიუსის წინააღმდეგ აღდგა სირიის ნაცვალი ავიდიუს კასიუსი (Avidius Cassius), რომელმაც ჩაითრია თითქმის ყველა აღმოსავლური პროვინცია და თავის თავს კატილინა უწოდა. ბოლოსდაბოლოს, შინაგან და საგარეო ომიდან გამარჯვებული გამოვიდა მარკოს ავრელიუსი, მაგრამ ამ ომებმა, შეიწირეს რა დიდძალი მსხვერპლი, შეარყიეს რომის იმპერიის ნივთიერი და იდეოლოგიური საფუძვლები. 20 წლის ომიანობის დროს რომის იმპერიის განახევრებული მოსახლეობა გალატაკდა, გაქსუვდა, ნორმალური კალაპოტიდან ამოიარდა და მასობრივად გარბოდა ბარბაროსებში, რომ თავი ეხსნა გადასახადებასა და სამხედრო სამსახურისგან. მის მიერ მოტანილი უბედურების მხრივ რომის ისტორიკოსები მარკომანების ომს ადარებენ მეორე პუნიკურ ომს². როგორც მეორე პუნიკურ ომში, ახლაც სამხედრო სამსახურში ყველა მოქალაქე იყო გაწვეული: იტალიკები და პროვინციალები, გლადიატორები, მონები, აზატები და ყაჩაღებიც კი (et servos, quem ad modum bello Punico factum fuerat, ad militiam paravit... armavit etiam gladiatores, quod obsequentes appellavit; latrones etiam Dalmatiae atque Dardaniae milites fecit)³.

მარკომანთა ომის ხანას ემთხვევა ბუკოლების (მწყემსების) მოძრაობა ეგვიპტეში და აგრარული რევოლუციის შემზადება გალიაში. ბუკოლების მოძრაობა, როგორც მასთან ერთდროულად მომხდარი აჯანყებანი გალიასა და ესპანეთში, პროტესტის მოკლენიანი აფეთქება კი არ იყო, არამედ წარმოადგენდა მოძრაობათა მთელ სერიას, რაც გრძელდებოდა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ხან ქრებოდა, ხან კვლავ ახლად ძლიერდებოდა.

ბუკოლების მაგალითზე შეიძლება დავინახოთ მოსახლეობის ფართო ფენების დამოკიდებულება არსებულ წყობილებასთან და მიხმესვეურ—რომის იმპერატორთან.

¹ Eutrop., VII, 15.

² Eutrop., VIII, 12.

³ Script. Hist. Aug., Marc. Anton., XXI.

„ეგვიპტელები მემამბოხე, მედიდური და ძალადობის მოყვარული ხალხიაო“,—ასე ახასიათებს მათ ამიანე. „იმათ ერცხვინებათ, როცა თავიანთ გარუჯულ ხმელ ტანზე ვერ გიჩვენებენ მრავალ კრილობას, მიღებულს გადასახადის მიცემაზე უარის განცხადებისას. დღემდე ჯერ არაა ისეთი საშუალება გამოჩახული, რომელიც გაკაჩებულ ეგვიპტელ ყაჩაღს აიძულებს თავისი ვინაობა დაასახელოსო“¹. ბუკოლების მოძრაობას სათავეში ედგა ქურუმი ისიდორე, რომელიც თავის თვისტომებში გამოირჩეოდა სიმამაცით, საორგანიზაციო ნიჭით და ფანატიზმით. კავშირს რომ მეტი სიმტკიცე ჰქონოდა, ბუკოლები დიდი ამბით ფიცს სდებდნენ მოკლული მტრების შიგნეულობაზე და ამის შემდეგ შეუპოვარ ბრძოლაში გადიოდნენ. რომელთა დამსჯელ რაზმებთან ბრძოლებში ბუკოლები თავდადებულ ვაჟაკობას იჩენდნენ. აჯანყებულები უკვე აპირებდნენ ალექსანდრიის აღებას, როცა ეგვიპტეში სასწრაფოდ გაიწვიეს სირიიდან ავდიუს კასიუსი, თავის დროის საუკეთესო სარდლად მიჩნეული. მაგრამ კასიუსმაც კი, „აჯანყებულთა მედგარი სიმამაცით და დიდი სიმრავლით“ შეშინებულმა, ვერ გაბედა აშკარად შებმა და ამბოხებულებთან საბრძოლველად გამოიყენა შინაგანი წინააღმდეგობანი აჯანყებულთა ბანაკში; მარტო ასეთი გზით შესძლო აჯანყების ლიკვიდირება.²

მარცხიანმა ომებმა და შინაგანმა შერყევებმა უკანასკნელ ანტონინების დროს ცუდად იმოქმედეს რომის სახელმწიფოებრივობასა და იმპერატორის მდგომარეობაზე. მშვიდობიანი ურთიერთობა იმპერატორსა და არისტოკრატიას შორის შეირყა, აბსოლუტიზმის ცუდი მხარეები უფრო მკვეთრად გამოჩნდა, ხოლო ამის გამო იზრდებოდა იმპერატორების თვითმპყრობელური პოლიტიკით უკმაყოფილება; იმპერატორებს ახლა უხდებოდათ მაგრად წაეკიდათ ხელი ჯარისთვის, დაეკიმათ სახელმწიფო აპარატი და განწყობილება ეძიათ ქალაქის დეკლასირებულ ელემენტებში. ამ პროცესის საბოლოო შედეგი იყო „რესპუბლიკური მონარქიის“ გადაქცევა იმპერატორის აბსოლუტიზმად ანუ დომინატად.

იმპერატორის ხელისუფლების ისტორიაში ახალი ფაზისი გამოჩნდა უკვე ანტონინების სახლის უკანასკნელი წარმომადგენლის, მარკოს ავრელიუსის შვილის, კომოდუსის დროს (180—192); კომოდუსმა ხელი აიღო თავის წინამოადგილეთა კონსტიტუციურ

¹ A m m. Marcell., XXII, 16, 23.

² Dio Cass., LXXI, 4.

ხერხებზე, თავისი თავი გამოაცხადა „გერმანელებისა და ბრიტანელების ღვთაებრივ, ბედნიერ დამამარცხებლად“, დევნა დაუწყო სენატორებს, ართმევდა მათ ქონებას, მფარველობდა ჯარს და ხალხში პოპულარობას ეძებდა საგლადიატორო ასპარეზობათა და წარმოდგენების მოწყობით. ასეთი გზით კომოდუსმა გასძლო ტახტზე 12 წლამდე, რის შემდეგ იგი მოჰკლეს შეთქმულებმა შიმშილის ნიადაგზე გაჩენილი აჯანყების დროს რომში 192 წელს.





თ ა ვ - ი XIX

რომის კულტურა II საუკუნეში

1. საერთო დახასიათება

საერთო კულტურული ზრდისათვის სოციალურ-პოლიტიკური პირობები ანტონინების „ბედნიერ ხანაში“ უფრო ხელშემწყობი იყო, ვიდრე პრინციპატის პირველ ათეულ წლებში. რომის იმპერიის სოციალურ-ეკონომიური დონე ამაღლდა; რომის კულტურის გავრცელების სფერო გაფართოვდა; კულტურული გავლენის ორბიტაში მოექცნენ პროვინციები, გადიდა მწერალთა და მკითხველთა რიცხვი; ლიტერატურულ-ისტორიული, ფილოსოფიური და მეცნიერული ნაწარმოებები იტალიური და პროვინციული საზოგადოების უფრო ფართო წრეების საკუთრებად ხდებოდა; ზოგადი და სპეციალური განათლება სახელმწიფო სამსახურისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის აუცილებელ პირობად იქცა, გადიდა სასწავლო—საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, გაიზარდა მოთხოვნილება მეცნიერებისადმი, გაფართოვდა ინტელიგენციის შრომის გამოყენება სახელმწიფო და კერძო ცხოვრების ყველა სფეროში; ინტელიგენტურ პროფესიათა რიცხვმა იმატა, ამის შესაბამისად გადიდა ინტელიგენციის სოციალური როლიც.

პოლიტიკური ტერორი, რომელიც კლავდიუსების დროს მძვინვარებდა, შესუსტდა. განმტკიცებული მონარქია ახლა უკვე აღარ საჭიროებდა მიემართა ცენზურის იმ სიმკაცრისათვის, რაც შემოღებული იყო ადრინდელი დინასტიების დროს. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ რომის ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ძეგლები მეტ-

ნაწილად ფლავიუსებისა და ანტონინების ეპოქას მიეკუთვნება. რომის სააღმშენებლო ხელოვნების, სკულპტურისა და მხატვრობის ძეგლები გაფანტულია რომის იმპერიის მთელ უზარმაზარ სივრცეზე, აღრიანეს სანგრიდან შოტლანდიაში აფრიკის უდაბნომდე, ოკეანედან რაინამდე, პონტომდე და ეფრატამდე¹. თვით უმნიშვნელო ქალაქებსაც კი ხელოვნების ძეგლებით ამშვენებდნენ. ყოველ პროვინციულ ქალაქში არსებობდა ტაძრები, წყალსადენები (აკვედუკები), თერმები, თეატრები, ამფითეატრები, გიმნაზიები, კიშკრები, თაღები და კოლონადები, მოედნებზე კი იდგა იმპერატორების, მოადგილეების, პოეტების, მხატვრების, ადგილობრივი სახელოვანი ადამიანების, მხედარმთავართა და სხვ. ბრინჯაოს ან მარმარილოს ქანდაკებანი. მხატვრული გემოვნების განვითარებამ და მოთხოვნილებამ მხატვრულ საგნებზე ხორცი შეასხა სამხატვრო მრეწველობას და მასთან დაკავშირებულ პროფესიებს მოქანდაკეთა, მკედავთა, მსხმელთა, მებათქაშეთა, ბრინჯაოთი მფერავთა, ფერმწერთა, მოზაიკის ოსტატთა და ა. შ. ხელოვნების გავლენა არ განისაზღვრებოდა მხოლოდ ერთი საზოგადოებრივი ფენით—არისტოკრატით, არამედ ის იჭრებოდა და ვრცელდებოდა საზოგადოების ფართო ფენებშიც—საშუალო და დაბალ კლასებშიც კი. თიხის კურკელს სხვადასხვა სამკაულით, საოჯახო ავეჯეულობას—მაგიდებს, სვარძლებს, კურკლეულს, სანათურებს, სამფეხებს და სხვა ოჯახური საჭიროების საგნებს, რომელთაც ადგილობრივი ოსტატები ამზადებდნენ, მრავალი მყიდველი ჰყავდა.

2. სააღმშენებლო ხელოვნება. ლიტერატურა. თეატრი

რომის ხელოვნება, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, არ იყო ორიგინალური. რომაელებმა თავისებურება ყველაზე მეტად სააღმშენებლო ხელოვნებაში გამოიჩინეს. რომის ხუროთმოძღვრების ორიგინალურ თვისებად ითვლება სხვადასხვა ტიპის კამარების გამოყენება—ნახევარკალისებური ოთხკუთხი კამარა, ჯვარული და გუმბათისებრი კამარები. კამარები საშუალებას აძლევდნენ რომაელ ხუროთმოძღვრებს აეგოთ მრავალსართულიანი შენობები და ეშენებინათ თაღები, აყვანათ ხელოვნება უდიდეს განვითარებამდე. იმპერატორული რომის სააღმშენებლო ხელოვნების მაგალითს წარმოადგენს ფლავიუსის მშვიდობის ტაძარი და კოლიზეუმი (Colosseum).

¹ E. Wigan, Baalbek und Rom, die römische Reichskunst in ihrer Entwicklung und Differenzierung, 1914.

კოლიზეუმს—ამ უზარმაზარ ამფითეატრს, რომელიც იტევდა 90 ათასამდე მაყურებელს, წრეხაზით ჰქონდა 524 მეტრი და დიამეტრი 188 მეტრი. კაპიტოლიუმი ხელახლა იქნა აშენებული და ქანდაკებებითა და სურათებით შემკული. დანარჩენ ნაგებობათაგან დიდად საინტერესოა ტიტეს თაღი რომში, მარკოს ავრელიუსის თაღი ტრიპოლში, ადრიანეს ჭიშკარი ათენში, ტრაიანესა და მარკოს ავრელიუსის სვეტები და ამ ტიპის მთელი რიგი სხვა ნაგებობანი.

საზოგადოებრივ შენობებს და კერძო სახლებს ამკობდნენ იმპერატორების, მაღალი თანამდებობის პირთა, საზოგადო მოღვაწეთა, ვილებისა და სახლის მფლობელთა, მათ ნათესავთა და ახლობელთა ქანდაკებებით. მარტო რომში დაითვლებოდა იმპერატორების ოთხი ათასი ბრინჯაოს ქანდაკება. იმპერატორთა და მაგნატთა სასახლეები სავსე იყო ყოველგვარი მხატვრული კოლექციებით, ოქროს და ვერცხლის ძვირფასი ქურკლულით, ქანდაკებებით, პორტრეტებით, ჩუქურთმიანი, ძერწილი და მოზაიკური სამკაულებით. იმპერატორთა ვილების სტილზე წარმოდგენას იძლევა ადრიანეს ვილა ტივოლში¹, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა სიმაღლეს მიაღწია რომის სააღმშენებლო ხელოვნებამ, ფუფუნებამ და მხატვრულმა ფანტაზიამ. მშენებლის განზრახვით ხსენებული ვილა, რომელსაც წრეხაზით ჰქონდა 15 კილომეტრი, უნდა ყოფილიყო განსახიერება ყოველივე შესანიშნავისა, რაც კი რომის სამყაროში არსებობდა. აქ იყო არისტოტელეს ლიცეუმი, პლატონის აკადემია, ფერადოვანი გალერეა, პრიტანეა, საუცხოო ბაღები, შადრევნები, ბიბლიოთეკები, თეატრები და მრავალი სხვა, მხატვრული გაფორმების მხრივ, შესანიშნავი ნაგებობა და საგანი.

სააღმშენებლო ხელოვნების, ქანდაკებისა და მხატვრულ ნაწარმოებთა ძეგლები იქმნებოდა არა მხოლოდ ცენტრში, არამედ პროვინციებშიც. ცნობილია, მაგალითად, ოლიმპიელი ზევსის კოლოსალური ტაძარი ათენში, ადრიანეს დროს აშენებული, უზარმაზარი ბიბლიოთეკა ას სვეტიანი პერისტილით, კოლოსალური შენობებია აღმოჩენილი კარიაში, ჰელიოპოლში, პეტრაში² და რომის სამყაროს სხვა ადგილებში. შენობები შემკულია დეკორატიული ქანდაკებებით, რომლებიც წარმოადგენენ მცენარეთა სამყაროს

¹ H. Winnefeld, Die Villa des Hadrians bei Tivoli; „Jahrbuch des Kaiserlichen deutschen archäologischen Instituts“, 1895.

² W. Kennedy, Petra, its history and monuments, London, 1925.

კომბინაციას ადამიანთა ფიგურებთან. აღმოსავლეთ პროვინციებში ბერძნულ-რომაული სტილი ესაზღვრებოდა აღმოსავლეთის სხვადასხვა სტილს და მათ გავლენას განიცდიდა, რაც საკმაოდ გარკვევით გამოჩანს, მაგალითად, პეტრას ხუროთმოძღვრების ძეგლებში, არაბეთში. I საუკუნის კლასიკური სტილისაგან განსხვავებით, რომელსაც ახასიათებს მიდრეკილება შეინარჩუნოს ფორმისა და შინაარსის პროპორციულობა და ჰარმონია, II საუკუნის ხუროთმოძღვრებასა და ქანდაკებაში ჩნდება ახალი პელინური მოტივები—მისწრაფება გრანდიოზულობისადმი, სიჭრელისა, ექსტრავაგანტობისა და ფორმალისმისადმი. ყოველივე ეს ზედმიწევნით ეხმატკბილებოდა იმპერატორული რომის საერთო სტილს, რომელშიც ტონის მიმცემნი იყვნენ სასახლის კარი და მოხელეობა, და რომლებიც ყველაზე მაღლა აფასებდნენ გარეგნულ ეფექტს და განწყობილი იყვნენ უსულგულო ფორმალისმის დამკვიდრებისადმი.

სასახლის საზოგადოება შედგებოდა სამხედრო პირთა და მოხელეთაგან, მათი ცოლებისა და ბავშვებისაგან. ამ ძირითად ბირთვის უერთდებოდა იმპერატორის ყოველგვარი „მეგობრებისა“ და „თანამოსაუბრეთა“ მასა, რომლებიც მეფეს საუბრებითა და ლაპარაკით ართობდნენ. იმპერატორის „მეგობრებს“ შორის საკმაო რაოდენობით იყვნენ მეცნიერები, მხატვრები, ფილოსოფოსები, ექიმები, მისნები, ასტროლოგები და ა. შ. თვით იმპერატორებს შორისაც იყვნენ ისეთები, რომლებიც მოკლებული არ იყვნენ ლიტერატურულ ნიქს და მხატვრულ გემოვნებას. ასეთები იყვნენ, მაგალითად, ადრიანე და მარკოს ავრელიუსი.

ლიტერატორების, მხატვრების და მეცნიერებისადმი სასახლის მფარველობამ თავისი გავლენა იქონია—როგორც ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებთა შინაარსზე, ისე მათ ფორმაზედაც. მაღალფარდოვანება, მანერულობა და ძლიერი სწრაფვა სტილის დახვეწილობისადმი, რაც დამახასიათებელი იყო რომის II საუკუნის ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის, შეპირობებულია სასახლის გავლენით და სასახლის საზოგადოების გემოვნებით.

რაც ითქვა იმპერატორის სასახლის შესახებ, იგივე შეიძლება გადატანილ იქნეს მოხელე არისტოკრატიის ოჯახებზე. ლიტერატურული საღამოები, კითხვა და დეკლამაცია შევიდა ზნეჩვეულებაში—როგორც დედა ქალაქში, ისე პროვინციებში. განსაზღვრულ დღეებში მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები იკრიბებოდნენ ქალაქის ან ქალაქგარეთა ვილაში ხან ერთ, ხან მეორე მეგობართან. მხატვარსა და მწერალს, პირველ ყოვლისა, მოეთხოვებოდა ფორმის

სრულქმნილობა, სიტყვის მოხდენილობა და მისი რითმულობა. შინაარსი უკანა პლანზე იყო: ჯერ ფორმა, შემდეგ კი აზრი და შინაარსი. ფორმალისტური მიმართულების გამოსახულებას II საუკუნის ლიტერატურაში ე. წ. მეორე სოფისტიკა წარმოადგენდა, სადაც ფორმის კულტი აყვანილი იყო უმაღლეს სრულქმნილობამდე. სოფისტები ეროვნების მიხედვით მეტწილად ბერძნები იყვნენ და გამოსული იყვნენ მცირე აზიისა და ეგვიპტის რიტორიკული სკოლებიდან, განსაკუთრებით ალექსანდრიიდან, იმდროინდელი ცივილიზაციის მსოფლიო ცენტრიდან. II საუკუნის მწერლებსა და სოფისტორატორებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ჰეროდოტი, პოლიემონი, ელიოს არისტოტიდე და სხვ. სოფისტურ მიმართულებას ეთვისებოდა აგრეთვე არქაული მიმართულება—მისწრაფება შეემკოთ სიტყვა შენაცვლებით—ხან ნეოლოგიზმებით, ხან არქაიზმებით. ასე იქცეოდა, მაგალითად, მარკოს კორნელიუს ფრონტონი, მარკოს ავრელიუსის აღმზრდელი, რომელიც ბაძავდა კატონის, ენეის და მათ მსგავს არქაულ მწერლების სტილს.

არისტოკრატიული წრის მწერალთა შორის ტრაიანეს დროს დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი პლინიუს უმცროსს (C. Plinius Caecilius Secundus) პლინიუს უფროსის ძმისწულს. არისტოკრატიულ წრეებთან კავშირისა და განათლების მეოხებით პლინიუსმა მაღალ საფეხურს მიაღწია სახელმწიფო სამსახურში და იმპერატორ ტრაიანეს ახლობელ პირად გადაიქცა. 111 წელს პლინიუსმა პროკონსულის თანამდებობა მიიღო ბითინიის პროვინციაში. თავისი წრის მრავალი ადამიანის მსგავსად, პლინიუსი სახელმწიფო სამსახურს ათავსებდა ლიტერატურულ მუშაობასთან, რომლისადმი იგი ყოველთვის იჩენდა დიდ მიდრეკილებას. იმ წრისათვის, რომელსაც პლინიუსი ეკუთვნოდა, ლიტერატურა წარმოადგენდა დასვენებას, სამსახურებრივი მოვალეობიდან განყენებას, თავისი აზრებისა და გრძნობების გამოთქმისა და მასთან ერთად თავისი პატივ მოყვარეობის გრძნობის დაკმაყოფილებისა და პოპულარობის მოხვეჭის საშუალებას. პლინიუსის ლიტერატურული მემკვიდრეობა გამოიხატება მიმოწერაში მეგობრებთან და იმპერატორ ტრაიანესთან და „ხოტბაში ტრაიანეს საპატივცემოდ“. შინაარსის მხრივ პლინიუსის წერილები (Epistulae) უაღრესად მრავალფეროვანია; ეხება სულ სხვადასხვა საკითხებს, მაგრამ არ არის ღრმა აზრობრივად და არც ორიგინალური ფორმის მხრივ. პლინიუსმა ნიმუშად ციცერონის „წერილები“ გამოიყენა.

სასახლას კარის ლიტერატურასთან შედარებით, საიდანაც გამოდგენილია მთელი ცოცხალი შინაარსი, სრულიად სხვა განწყობილებებით და გრძნობებითაა გამსჭვალული I—II საუკუნეების სატირული ლიტერატურა, რომელიც ასახავს ცოცხალ სინამდვილეს,—გაცილებით ნაკლებ შებოროკილია ყოველგვარი პირობითობით და ნვარაუდევია მკითხველთა სულ სხვა წრისთვის. II საუკუნის რომაელ სატირიკოსთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ სამი: მარციალი (დაახლოებით 42—102 წწ.), იუვენალი (დაახლ. 60—140 წწ.) და ლუკიანე (დაახლ. 125—190 წწ.). რომაული სატირა შინაარსის მხრივ უაღრესად მრავალფეროვანია, ფორმის მხრივ ბასრი და ელვარეა, მარციალის 1500 ეპიგრამისა და იუვენალისა და ლუკიანეს სატირების საფუძველზე შეიძლება შევიმუშაოთ ნათელი წარმოდგენა ანტიკური ქალაქის სოციალურ-ეკონომიური ყოფისა და კულტურული სახის შესახებ. მკითხველის გონების თვალთა წინაშე გაივლის სხვადასხვა მდგომარეობის, ასაკის, სქესისა და ხასიათის ადამიანთა გრძელი შწყრივი. დასახელებულ მწერალთა ნაწარმოებებიდან, ისე, როგორც სხვა ლიტერატურული და არქეოლოგიური ძეგლებიდან,—ჩანს, რომ იმპერატორთა პერიოდის ანტიკური ქალაქი ადამიანთა ნამდვილ ჯინჯველისებურ ბუდეს წარმოადგენდა, რომელიც თავიდან ბოლომდე საესე იყო სულ სხვადასხვა ქონების, მდგომარეობის, ზნე-ჩვეულებისა და ტომის ადამიანებით. ქალაქის ცხოვრება დაძაბული, მოუსვენარი და ნერვიული იყო. ქალაქის მოსახლეობის დიდ ნაწილს ღარიბი კლასები შეადგენდნენ და ისინი დიდის გაჭირვებით და ვაივაგლახით ცხოვრობდნენ.

მასობრივი სილატაკის ფონზე მით უფრო თვალსაჩინოდ ისახებოდა ცალკეულ მდიდართა და არისტოკრატთა ფიგურები, რომლებიც ცხოვრობდნენ ცალკეულ თვალწარმტაც სასახლეებში და მსახურთა და კლიენტების მთელი ჯარის თანხლებით გამოდიოდნენ ხოლმე ქუჩებში. გამორჩენისაკენ მისწრაფება, კარიერიზმი და ულმობელი ბრძოლა არსებობისათვის—ქალაქის ცხოვრების შინაარსს შეადგენდნენ. სატირიკოსები, მართალია, ხშირად გაზვიადებულად გადმოსცემენ მსოფლიოს დედაქალაქის, მსოფლიო სიმდიდრისა და სილატაკის ამ თავმოყრის ცენტრის, ვნებათა ლელვას, ცოდვასა და ბოროტებას. რომის სოციალური ისტორიისათვის განსაკუთრებით საინტერესოა იუვენალის სატირების მესამე წიგნი, რომელიც ქალაქის პროლეტარიატის ცხოვრებას გამოსახავს. ყოველდღიური ზრუნვა—ფუსფუსით დაღლილ-დაქანცულ ღარიბ ხალხს ღამითაც კი

არ ჰქონდა მოსვენება. ქუჩის პირას, სახლის წინა ნაწილში მობინადრე რომაელ პროლეტარებს არ შეეძლოთ დაეძინათ გტლების, ურმების რახნახში, ხმაურობასა, ყვირილსა და ქუჩურ ლანძღვა-გინებაში.

„მრავალ ავადმყოფს სული ხდება აქ უძილობით, და თვით ამ სენის წარმოშობი არის საჭკელი, უმად, ქვასავით ჩაწოლილი ანთებულ კუჭში. — სად ძალუძთ ძილი, რომელ კირით ნაშოვნ ბინაში? დედაქალაქში იძინებენ ფულიანები. ავადმყოფობის წყაროც აქ არის; ურმების და ეტლთა გრიალი ვიწრო ქუჩის მოახვევში, ლანძღვა-გინება იქ გაჩხორულ მენახირეთა ძილს დაუკარგავს თვითონ დრუხსაც და სელაპებსაც.“¹

ყოველგვარი ვენებათაღელვისა და მანკირების აღწერასთან ერთად სატირებში ცოტა როდია ძვირფასი მასალა, რომელიც სოციალური ცხოვრების სხვა მხარეებსაც ეხება. მდიდარი მასალაა მოცემული, მაგალითად, რელიგიის ისტორიიდან. სხვადასხვა საბაბით სატირიკოსები მუდამ იხსენიებენ და აგვიწერენ სხვადასხვა ღმერთებს, კულტებს, რწმენას, ქურუშთა და ქურუმ ქალთა წესჩვეულებებს. ამ მხრივ განსაკუთრებით შესანიშნავია ნაწარმოებნი ლუკიანესი, რომელმაც აღბეჭდა ძველი ბერძნულ-რომაული რელიგიის—წარმართობის კრიზისი და ახალი რელიგიის—ქრისტიანობის პირველი ნაბიჯები. შინაარსის სიმდიდრითა და მრავალფეროვანებით, ფორმის განსაკუთრებული მხატვრულობით, ლუკიანეს თხზულებები მართლაც მსოფლიო ლიტერატურის ძეგლს და ამასთანავე შეუდარებელ წყაროს წარმოადგენენ რომაელთა რელიგიისა და ქრისტიანობის დარგში. რელიგიისა და მისტიკის საკითხებს II საუკუნის ბერძნულ და რომაულ ლიტერატურაში დიდი უზრადლება ექცეოდა. ეს გარემოება, ისე როგორც ფორმალისმისა და არქაიზმის სიქარბე ხელოვნებასა და ლიტერატურაში, მოწმობდა იდეოლოგიური და საერთო კრიზისის დასაწყისს, რომლის ზოლშიც შედიოდა რომის საზოგადოება და რომლის სიმპტომებიც უკვე იგრძნობოდა ანტონინების „ბედნიერ საუკუნეში“. რელიგიურ-მისტიკური განწყობილება დაეუფლა არა მხოლოდ სპეციფიკურ რელიგიურ, ქრისტიანულ და არაქრისტიანულ (წარმართულ) ლიტერატურას, არამედ აგრეთვე საერთო ლიტერატურასაც.

¹ Luven, III, 232—233.

სხვადასხვა ზომის რელიგიურ მისტიკური საბურველი ჰფარავს იმპერატორთა პერიოდის მთელ ლიტერატურას. რელიგიურ-მისტიკური განწყობილებით არის გამსჭვალული, მაგალითად, აპულეის „გარდაქმნანი“ (Metamorphoseon), ფანტასტიკური სატირული ყოფაცხოვრებითი და ზნეობითი სწავლის რომანი 11 წიგნად. „მეტამორფოზებში“, ანუ „ოქროს სახედარში“—(რომანის მეორე სახელწოდება) — გამოყვანილია ქაბუკი ლუციუსი, გრძნეული ქალის მიერ სახედრად გადაქცეული, რომელიც შემდგომ მისტიკოსი ხდება და განწმენდის მისტიკური აქტების საშუალებით განიცდის აღორძინებას ახალი, უფრო წმინდა და სრულქმნილი ცხოვრებისათვის.

პლასტიკური ხელოვნებისა და ლიტერატურის გვერდით იმპერატორულ რომში ფართო გავრცელება მიიღო სცენიურმა ხელოვნებამ — ცირკმა და თეატრმა. დედაქალაქსა და პროვინციულ ქალაქებში გაჩნდა მრავალნაირი გასართობი და თავშესაქცევი, რომლებიც განკუთვნილი იყო ფართო საზოგადოების ყურადღებისათვის. ასეთებს უნდა მივაკუთვნოთ საცირკო და სათეატრო წარმოდგენები, სახალხო დღესასწაულები, ტრიუმფალური მსვლელობები, გამოფენები და სხვ. სადღესასწაულო დღეების რიცხვი საუკუნიდან საუკუნემდე იზრდებოდა. II საუკუნეში უქმე-დღეების საერთო რიცხვი რომში საშუალოდ უდრიდა 180 დღეს წელიწადში. სანახაობანი იზიდავდა ხალხთა მასებს, დაწყებული თვითონ იმპერატორით, სასახლის კარის კაცებით და გათავებული სხვადასხვა ქონების, წოდების, სქესისა და ასაკის ადამიანთა ყველაზე დაბალი ფენებით. პალატინუმსა და ავენტინუმს შორის მდებარე „დიდი ცირკი“ (Circus Maximus), რომელიც ავგუსტუსის დროს ნავარაუდევად იყო 150 ათასი მაყურებლისთვის, ხელახლა აშენების შემდეგ ნერონის დროს 250 ათასს იტევდა, ხოლო მომდევნო იმპერატორების დროს მასში შეიძლებოდა მოთავსებულიყო უკვე 400 ათას კაცზე მეტი. სასცენო ხელოვნებაში ეპოქისათვის დამახასიათებელმა ტენდენციებმა გრანდიოზულობისა და ფორმალიზმისადმი თავისი გამოხატულება ჰპოვა ცირკისა და ამფითეატრის მიერ თეატრის თანდათანობით განდევნაში.

კლასიკური ტრაგედიები და კომედიები პანტომიმამ, ატელანებმა და მიმამებმა შესცვალა, რომლებიც წარმოადგენდნენ „გმირული ბალეტის“, კომედიისა და მელოდრამის ნარევს, რაღაც ფორსისა და ოპერეტის მსგავსს. სათეატრო ხელოვნების დევიზი იყო: ცოტა სიტყვა და მეტი მუსიკა, სიმღერა, ბალეტი და

მიმაკა. მაყურებლები უკვე აღარ კმაყოფილდებოდნენ ძველი დროის განზომილი, მაღალფარდოვანი სტილით და მოითხოვდნენ უფრო ელვარე საღებაეებს, მელოდიურ ხმოვანებას, სილამაზესა და მრავალფეროვანებას მოძრაობაში. ფლეიტის დაკვრამ, გუნდების მიმიკამ, მიმოხვრამა და კუბლეტებმა შესცვალა წინანდელი სიტყვიერება. სათეატრო რეპერტუარის შემდგენელთ გამოიყენეს მათ გამეარგულებაში არსებული მასალების მთელი მარაგი, აწარმოებდნენ რა კლასიკური ბერძნული და რომაული დრამებისა და კომედიების გადაკეთებას, ხდებოდა თვით პლატონის დიალოგების ინსცენირება. „საცირკო სანახაობანი,—სჩიოდა II საუკუნის ერთი საეკლესიო მწერალი,—უფრო მეტად იზიდავენ ხალხს, ვიდრე ქრისტიანობის მოწამეთა განსასვენებელი ადგილები“-ო. პროვინცია ცდილობდა არ ჩამორჩენოდა ცენტრს. ცირკები და ამფითეატრები არსებობდა არა მარტოდენ პროვინციების დიდ და მცირე ქალაქებში, არამედ თვით ჯარისკაცთა ბანაკებშიც კი.

1

3. ისტორია. მკვნიმკება

როგორც რესპუბლიკური, ისე იმპერატორული პერიოდების რომის ლიტერატურაში პირველხარისხოვანი ადგილი ისტორიას ეკუთრება. რომის საზოგადოება რთულ და საპასუხისმგებლო მოთხოვნილებებს უყენებდა ისტორიას. ისტორია ხსნიდა არსებული წყობილების წარმოშობის მიზეზებს, ამართლებდა ანდა უარპყოფდა მას, უჩვენებდა წარსულში ძველი გმირების კონკრეტულ მაგალითებზე ვაჟკაცობისა და ბოროტების ნიმუშებს. რაც უფრო მეტად იყვნენ უკმაყოფილო არსებული სინამდვილით, მით უფრო მეტი ინტერესით მიმართავდნენ ისტორიას და ცდილობდნენ შორეულ წარსულში ენახათ ნუგეში. შემთხვევითი როდია, რომ II საუკუნის ისტორიკოსებისა და საერთოდ მწერლების დამახასიათებელ თვისებას წარსულ დროთა შექება შეადგენდა (*laudatio temporis acti*). ისტორიული მოვლენები გადმოცემული იყო როგორც პროზაულ, ისე პოეტურ ფორმაში. ვირგილიუსის დროიდან მოღად იქცევა ისტორიული ეპოსი, რომელიც მოუთხრობდა ისტორიულ ლეგენდებს ანდა ისტორიულ ამბებს. ეპიურ ნაწარმოებთ მიეკუთვნება ვალერიუს ფლაკის „არგონავტიკა“ (*Argonautica*) 8 წიგნად, პაპინიუს სტაციის „თებაიდა“ (*Thebais*) 12 წიგნად, გადმომცემი ოიდიპოსის ბავშვების ბედისა, სილიუს იტალიკის პოემა „*Punica*“ 17 წიგნად, რომელიც აგვიწერს მეორე პუნიკურ ომს, და მრავალი სხვა.

ანტონინების ეპოქის რომაელ ისტორიკოსთაგან, რომლებიც პროზით სწერდნენ, ყველაზე თვალსაჩინო იყო პუბლიუს კორნელიუს ტაციტი (P. Cornelius Tacitus). ტაციტი (დაახლ. 55--120 წწ.)—მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიკოსი—ცხოვრობდა ახალი პოლიტიკური რეჟიმის—აბსოლუტური მონარქიის დამყარებისათვის მწვავე ბრძოლის პერიოდში და საკუთარ თავზე გამოსცა და დოკუმენტურად მმართველობის სიმძიმე. იძულებული იყო რა 14 წლის განავლობაში საზოგადოებრივი საქმიანობიდან შორს ყოფილიყო, ტაციტი სავსებით განმარტოვდა და გულის სიღრმეში ჰფარავდა ღრმა სიძულვილსა და ბოღმას ახალი პოლიტიკური წყობილები-სადმი.

უარყოფითი დამოკიდებულება აბსოლუტიზმისადმი წითელ ზოლივით გასდევს ტაციტის ყველა ნაწარმოებს. მძულვარება აბსოლუტიზმისადმი და სიყვარული რესპუბლიკისადმი იგრძნობა უკვე მის ადრინდელ ნაწარმოებში — „დი ალოგიკორებების შესახებ“ (Dialogus de oratoribus),—რომელიც გადმოსცემს რომაული მკვერმეტყველების დაქვეითების ისტორიას ცეზარის დესპოტიზმით მოკლული ციცირონის დროიდან. ასევე პენიმისტურად მოისმის ტაციტის სიტყვები მის მეორე თხზულება, „აგრიკოლა“—ში (De vita et moribus Julii Agricolae), რომელიც დომიციანეს სიკვდილის შემდეგ დაიწერა. ანტონინების „განმანათლებელი აბსოლუტიზმის“ დროს პოლიტიკური ატმოსფერო უფრო ხელსაყრელი შეიქნა ლიტერატურულ-ისტორიული მუშაობისათვის, მაგრამ ტაციტის შემოქმედებითი ენერგია განცდილი შემადრწუნებელი ამბების შემდეგ შესუსტდა, და ადრინდელი სულიერი მხნეობა გააქრა. „... როგორც სხეული ნელა იზრდება, მაგრამ სწრაფად კვდება, ასევე მხნეობა და სულიერი სიცოცხლე უფრო ადვილად განიცდის სიკვდილს, ვიდრე აღორძინებას. ჰოლოსდაბოლოს, ჩვენ, ადამიანები, თანდათან ვურიგდებით და მოგვწონს კიდევაც საამური უსაქმურობა და უმოქმედობა, რასაც დასაწყისში უარყოფთ“. და, მიუხედავად ყოველივე ამისა, ტაციტს კიდევ რჩებოდა საკმაო ძალღონე იმისათვის, რომ განეგრძო შემოქმედებითი მუშაობა. სულ მალე აგრიკოლას ბიოგრაფიის შემდეგ გამოვიდა ტაციტის ახალი შრომა „გერმანია“ (Germania. De situ ac populis Germaniae liber), რომელიც შეიცავს გერმანელი ტომების მდგომარეობის, სოციალური წყობისა და ყოფაცხოვრების აღწერას. რომაელების გერმანელებთან გაცნობის პირდაპირი მიზნის გარდა,—რაც სავსებით ბუნებრივი იყო გერმანელ ტომებთან ხშირი ურთიერთობისა და

შეხლა-შემოხლის საუკუნეში, — „გერმანია“ აგრეთვე სხვა პუბლიცისტურ მიზნებსაც ისახავდა. ასწერდა რა გერმანელთა მარტივ წყობას და ხატავდა მათ ძლიერ და ჯანსაღ ადამიანებად, ტაციტი ახდენდა გერმანელ ველურთა წესების რომაულ წესებთან დაპირისპირებას, როგორც უკეთესისას უარესთან. „გერმანიას“ მოჰყვა „ისტორიები“ (Historiae) 14 წიგნად, რომლებიც მოიცავდა პერიოდს გალბადან დომიციანამდე (69—96 წწ.). „ისტორიების“ დამთავრების შემდეგ ტაციტი შეუდგა თავის უკანასკნელი და ყველაზე სრულქმნილი შრომის — „მატიანეთა“, ანუ „ანალების“ (Annales) შედგენას, რომლებშიც განიხილებოდა კლავდიუსის დინასტიის პერიოდი ავგუსტუსის სიკვდილიდან (ab excessu divi Augusti) ნერონის სიკვდილამდე (14—68 წწ.).

სუეეტების დიდი მრავალფეროვანებისა და მასალათა სიმრავლის მიუხედავად, ტაციტის ნაწარმოებნი წარმოადგენენ ერთ მთლიანს, გარკვეული იდეითა და ფილოსოფიური კონცეფციით შეკავშირებულ ერთეულს. ყველა მის თხზულებას გასდევს ერთი ცენტრალური იდეა — რომის საზოგადოების გადაგვარება და, — როგორც მისი შედეგი, — რესპუბლიკის კრიზისი და მონარქიის დამყარება. ტაციტს არა აქვს რწმენა რომის საზოგადოების შემოქმედებითი ძალებისა. მისი საზოგადოებრივი იდეალი მოთავსებულია უკან, შორეულ წარსულში, სატურნის სამეფოში ანდა გერმანიის შორეულ ტყეებში.

რესპუბლიკის კრიზისის მიზეზად ტაციტი სთვლის ზნეობის დაცემას, როგორც ვნებათა და ეგოიზმის უაღრესი განვითარების შედეგს. ვნებანი შობენ სიხარბეს, შურს, ჯგუფებად დაყოფას, ერთთა გალატაკებას და მეორეთა ამაღლებას. მზარდ სოციალურ-ეკონომიურ უთანაბრობას კი შედეგად მოსდევს გაათფრებული ბრძოლა ადამიანთა შორის, რესპუბლიკის დაღუპვა და აბსოლუტიზმის დამყარება. აბსოლუტიზმმა, — ფიქრობს ტაციტი, — ისე ღრმად გაიდგა ფესვები რომის ნიადაგში, რომ იგი ისტორიულად აუცილებელი შეიქნა, და ამიტომ ბრძოლა ახალ რეჟიმთან ობიექტურად განწირულია. მოცემულ კონკრეტულ პირობებში ტაციტს ყველაზე გონიერ პოლიტიკურ ფორმად მიაჩნია ტრაიანეს „ზომიერი მონარქია“, რომელიც ათავსებდა თვითმპყრობელობას არისტოკრატიასთან. სახელმწიფოს სათავეში მდგომი „განათლებული პრინცესი“ მოქმედობს სენატის მითითებით და პირველ რიგში ანგარიშს უწევს არისტოკრატიის ინტერესებს. ტაციტის დამოკიდებულება ხალხისადმი თავდაპირილია, ზოგჯერ კი პირდაპირ

მტრულიცაა. პოლიტიკური წესწყობის სიმტკიცის პირობად ტაციტი სთვლის პოლიტიკურ თავისუფლებას (*libertas*), მაგრამ თავისუფლებას არა ყველა მოქალაქისათვის, არამედ მხოლოდ მათი ზედაფენებისათვის, რჩეული ადამიანებისათვის.

თანახმად სტოელობა ფილოსოფიისა, რომელთანაც ახლო იდგა ტაციტი, ისტორიკოსის ამოცანა პირველ ყოვლისა ისტორიულ პირთა და მოვლენათა ეთიკურ შეფასებაში მდგომარეობს. რაიმე ზოგადი ისტორიულ-სოციოლოგიური კონცეფცია ტაციტს, ისე როგორც საერთოდ იმპერატორთა პერიოდის ისტორიკოსებს, არ მოეპოვება. მისი შეხედულებით, ისტორიკოსის ამოცანა არის მორალისტის ამოცანა, ხალხო ისტორია, როგორც მეცნიერული დისციპლინა, მიეკუთვნება ეთიკისა და პოლიტიკის სფეროს. ტაციტის ძალა მდგომარეობს მოკმედ პირთა შესანიშნავ დახასიათებებსა და მათი ვნებების დრამატიულ გამოსახვაში, რასაც ის იძლევა სოციალური და პოლიტიკური ბრძოლის ფონზე.

ტაციტზე გაცილებით სუსტია მეორე რომაელი ისტორიკოსი, მისი უმცროსი თანამედროვე—სვეტონიუს ტრანკვილუსი (*C. Suetonius Tranquillus*, დაახლ. 75—160 წწ.). იმპერატორად რიანეს მდივანი—სვეტონიუსი წარმოადგენს მეცნიერ ისტორიკოსის ტიპს, ნელლი მასალის შემკრებს, რომელსაც უფრო მიდრეკილება აქვს *chronique scandaleuse*-სადმი. სვეტონიუსის მთავარ ისტორიულ შრომად ითვლება „კეისართა ბიოგრაფიები“ (*De vita Caesarum*), რომლებიც შეიცავენ 12 კეისრის ბიოგრაფიას, დაწყებულს იულიუს ცეზარით და გათავებულს დომიციანეთი.

სვეტონიუსის ბიოგრაფიები დაწერილია განსაზღვრული შაბლონით (ადრინდელი ისტორია, მმარაველობის ისტორია, გარეგნობა, ცხოვრების ნირი, ხასიათი, მშვიდობიანი და სამხედრო მოღვაწეობა, გარდაცვალება, დასაფლავება, ნეკროლოგი), რომელიც თვითნებულ ბიოგრაფიაში მეორდება. ისინი არ სტოვებენ მთლიან შთაბეჭდილებას, არ იგრძნობა მათში ცენტრალური იდეა და სრულიად არ მოიპოვება ისტორიის რაიმე ფილოსოფია და პოლიტიკური იდეოლოგია. ისტორია დნება იმპერატორების ბიოგრაფიაში და იძირება სასახლის კარის ქორებსა და ინტრიგებში.

რეტორაული ელემენტი, რომელიც ღამახასიათებელია სვეტონიუსისათვის, ემჩნევა აგრეთვე ალექსანდრიელ ისტორიკოს აპიანესსაც (*II საუკუნის შუა*). პროფესიით ადვოკატს, ხაზინის პროკურატორის თანამდებობაზე მყოფს ეგვიპტეში. აპიანეს „რომის ისტორია“ იყოფოდა რამდენიმე განყოფილებად, რომლებიც ეძღვნე-

ბოდა რომის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს. სინქრონი-სტული სიძველეების თავიდან აცილების მიზნით, რომლებიც წამოი-კრება ხოლმე ერთდროული მოვლენების გადმოცემის დროს, ისტო-რიული მასალების დაჯგუფება აპიანეს მოცემული აქვს ომების მი-ხედვით, რაც საგრძნობლად აადვილებს ისტორიკოსის ამოცანას. დაცული წიგნებიდან ერთი (VII) ეძღვნება ომს ჰანიბალთან, ერთი—სირიისა და პართელთა ისტორიას, ომს მიტრიდატთან და ა. შ. თხზულების უმნიშვნელოვანეს ნაწილს, შეადგენს „სამოქალაქო ომები რომში“ ხუთ წიგნად (XIII—XVII).

აპიანეს შრომების ისტორიოგრაფიული ღირებულება მდგომარეობს, ჯერ-ერთი, იმაში, რომ ეს შრომები შეიცავენ ბევრ ცნობას, ამოღებულს სხვა ისტორიკოსთა თხზულებებიდან, რომლებითაც აპიანე სარგებლობდა და რომელთაც იგი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებდა, და, მეორეც, იმაში, რომ მან ყურადღება მიაქცია კლასობრივ ბრძოლას, როგორც ისტორიის მამოძრავებელ ძალას. მარქსი ენგელსისადმი წერილში 1861 წლის 27 თებერვალს სწერდა: „...საღამოობით დასვენებისას ვერთობოდი აპიანეს „სამოქალაქო ომებით რომში“ ბერძნული დედანით. მეტად ძვირფასი წიგნია. იგი წარმოშობით ეგვიპტელია. შლოსერი ამბობს, რომ მას „არ აქვს სული“, ალბათ, იმიტომ, რომ იგი (აპიანე.—ვ. ს.) ცდილობს გამოჩხრიკოს ამ სამოქალაქო ომების მატერიალური საარჩული“¹. ენგელსი აგრეთვე დიდად აფასებდა აპიანეს: „ძველი მემპტიანეებიდან, რომლებიც რომის რესპუბლიკაში წარმოებულ ბრძოლას ასწერდნენ, მხოლოდ აპიანე ამბობს ნათლად და გარკვევით: იგი მიწათმფლობელობის გულისათვის ხდებოდა“-ო².

იმპერატორული რომის ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალიზმი და რწმენა ძლიერი პიროვნებისადმი, რომელიც თავის სურვილისამებრ ქმნის და სახეს უცვლის ისტორიულ მოვლენებს, საფუძვლად უდევს აღრიანეს აღმზრდელის ხერონეელი პლუტარქის (დაახლ. 46—120 წწ.) შესანიშნავ ისტორიულ-ლიტერატურულ შრომას „შედარებითი ბიოგრაფიები“ (Vitae parallelae). პლუტარქის მიხედვით, ისტორიის ამოცანას საბოლოოდ შეადგენს ადამიანთა შეგნებაში ისეთ გარკვეულ ეთიკურ ღირებულებათა ანუ სიკეთეთა დანერგვა, რომლებიც ადამიანს

¹ მარქსი და ენგელსი, თხზ., ტ. XXIII, გვ. 15.

² ენგელსი, ლ. ფეიერბახი, სახელგამი, 1932, გვ. 54.

საშუალებას აძლევენ განავითაროს მასში ბუნებით თანდაყოლილ შესაძლებლობათა მთელი ერთობლივობა. სათნოებისა და ბიწიერების მიწვდომა კი ყველაზე უკეთ ისტორიულ მაგალითებზე შეიძლება. „შედარებით ბიოგრაფიებში“ პლუტარქი გვიხატავს საბერძნეთისა და რომის მთელ რიგ დიდ ადამიანთა პორტრეტებს, „დიდების გალერეას“, ადიდებს რა სიკეთეს და ამითრახებს სხვადასხვა ბოროტებას. მხატვრულად შედგენილმა „დიდების გალერეამ“ უნდა გააფართოვოს მკითხველის ჰორიზონტი, დანერგოს მის შეგნებაში მშვენიერების იდეა და უჩვენოს მას სხვადასხვა ადამიანთა ტიპები მათ ცხოვრებასა და მოქმედებაში.

„ჩვენთვის,—ამბობს პლუტარქი პერიკლეს ბიოგრაფიის შესავალ თავში,—ის ფერია სასარგებლო, რომლის სიკაშკაშე და საამურობა განამტკიცებს მხედველობას და სარგებლობა მოაქვს მისთვის. ასევე ადამიანის გონებაც ყურადღებას უნდა აქცევდეს იმას, რაც ანიჭებს მას სიამეს და იმავე დროს აღძრავს მასში მისთვის ჩვეულ მისწრაფებას მშვენიერებისადმი. მშვენიერება კი ყოველთვის დაკავშირებულია სარგებლიანობის ცნებასთან, ვინაიდან არ არსებობს ნამდვილად სასარგებლო ნამდვილად მშვენიერის გარეშე. მშვენიერებაში არის რაღაც, რაც აღგვძრავს მოქმედებისათვის. იგი მყისვე შობს ჩვენში მოქმედების სურვილს, იგი აკეთილშობილებს მაყურებლის სულს, თვით მოთხრობასაც კი მის შესახებ... სასარგებლო გავლენას ახდენს მის არჩევანზე“.¹

„ბედნიერი პერიოდის“ მეორეხარისხიანი ისტორიკოსებიდან საკმაოა დავასახელოთ ფლორუსი (L. Annaeus Florus), რომელმაც თავის წინამორბედთა, უმთავრესად ტიტე ლივიუსის,—შრომების საფუძველზე დასწერა რომის ისტორიის მოკლე მიმოხილვა (in brevi quasi tabella, totam eius imaginem amplectar).

ფლორუსი იმედოვნებს თავისი შრომით გაუწიოს დახმარება მკითხველსა და სახელმწიფო მოღვაწეს, რომელსაც არ აქვს შესაძლებლობა აითვისოს დიდი ისტორიული შრომები. ენისა და მასალების დაჯგუფების თვალსაზრისით, ფლორუსის მოკლე ისტორია (breviarium) მეტად კარგ სახელმძღვანელოს წარმოადგენს რომის ისტორიაში. იგი მოიცავს პერიოდს რომის დაარსებიდან ტრაიანემდე.

მოახლოვებული კრიზისის სიმპტომები იგრძნობა შესასწავლო პერიოდის მეცნიერულ-ფილოსოფიური შემოქმედების დარღვივაც.

¹ Plut., Pericles., I.

მეცნიერული ნაწარმოებები რიცხვობრივად იზრდება, მაგრამ მეცნიერული მეთოდები უხეშდება, ღარიბდება შემოქმედებითი ფანტაზია და ჰქრება აზრის ორიგინალობა.

სისტემატიზაციისა და მასალების გაფართოვების მხრივ მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული სააღმშენებლო ხელოვნების, მექანიკის, მედიცინის, გეოგრაფიისა და მათემატიკის დარგში. მეცნიერულ დისციპლინებს შორის იმპერატორულ რომში ერთი პირველი ადგილთაგანი ეკირა მედიცინას, მეცნიერ მედიკოსთა შორის კი დამსახურებული სახელით სარგებლობდა ექიმი კლავდიუს გალენუსი (Claudius Galenus), დაბადებული პერგამში 131 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით. თავისი დიდი ცოდნისა და სამკურნალო პრაქტიკის მეოხებით გალენი ცნობილი შეიქნა რომში, მიწვეულ იქნა სასახლის კარზე და დაინიშნა ახალგაზრდა კომოდის კარის ექიმად. გალენს ეკუთვნის მთელი რიგი ზოგადი და სპეციალური ხასიათის თხზულებები. სპეციალური ტრაქტატები ეთმობა მედიცინის ცალკეულ დარგებსა და საკითხებს—ქირურგიას, სასუნთქ ორგანოებს, საჭმლის მონელებას, თავისა და ხერხემლის ტვინს, საკვებ ნივთიერებათა ანალიზს, წურბლებს და ა. შ. გალენის „საექიმო ხელოვნება“ დიდხანს ითვლებოდა სანიმუშო სახელმძღვანელოდ მედიცინის დარგში. მიუხედავად თავისი ფართო განათლებისა, გალენი ვერ ასცდა რელიგიურ-მისტიკური იდეების გავლენას, რომლებიც დამახასიათებელი იყო მისი დროისთვის. ფილოსოფიისა და მსოფლმხედველობის საკითხებში გალენი დგას მისი დროის პოპულარულ რელიგიურ-მისტიკურ თვალსაზრისზე, ფიქრობს რა, რომ ყოველივე ის, რაც ხდება ბუნებასა და ადამიანის ორგანიზმში, ემორჩილება მსოფლიო მიზანშეწონილებას, მსოფლიო გონებას-ღმერთს,—ღმერთს, რომელიც -დგას სამყაროს თავში და განაგებს მას.

არანაკლები პოპულარობით სარგებლობდა თავის დარგში ანტიკური ქვეყნის მეორე სახელგანთქმული მეცნიერი, კლავდიუს პტოლომეუსი, ანტონიუს პიუსის თანამედროვე, გამოჩენილი მათემატიკოსი, გეოგრაფი და ასტრონომი. პტოლომეუსის მეცნიერული მოღვაწეობა მიმდინარეობდა ალექსანდრიაში, სადაც ის ახდენდა დაკვირვებებს ვარსკვლავებზე და დასწერა მეტი წილი თავისი თხზულებებისა. კლავდიუს პტოლომეუსის გეოცენტრიულ სისტემაში დედამიწა ცნობილია სამყაროს ცენტრად, რომლის გარშემოც ბრუნავს ცის კამარა მასზე მყოფ მზიურ სხეულებით. კლავდიუს პტოლომეუსის თხზულებები და საერთოდ II საუკუნის ყველა მეცნიე-

რის თხზულებები განმაცვიფრებელია მასალების სიუხვით, შეიცავენ უამრავ მათემატიკურ გამოთვლებს, ციფრებს, გეოგრაფიულ სახელებს, თარიღებსა და ასტრონომიულ ჩანაწერებს. მომდევნო თაობებისთვის პტოლომეუსის ავტორიტეტი არანაკლებ დიდი და ყოვლისგანმსაზღვრელი იყო, ვიდრე თანამედროვეთათვის. გეოცენტრიული სისტემა შეურყეველი დარჩა XVI საუკუნემდე, — კოპერნიკამდე.





თ ა ვ ი XX

ქრისტიანობა

1. რელიგიურ-მისტიკური განუყოფელი ბუნების საზოგადოებაში I—II სს.

ფილოსოფიურ-ეთიკური მოძღვრებანი, რომელთა შესახებაც ლაპარაკი იყო წინა თავში, რომის ინტელიგენციის მხოლოდ მცირე ჯგუფებს იპყრობდა. ხალხთა მასებისათვის კი ფილოსოფიური სისტემები—მათი სირთულისა და გაგების სიძნელის გამო—მიუწვდომელი იყო. ფილოსოფიური სისტემებიდან ყველაზე მეტი გავრცელებით რომის საზოგადოების ფართო ფენებში ცინიკოსთა ფილოსოფია სარგებლობდა. ცინიკოსთა ქადაგებანი თანაგრძნობას პოულობდა მონებსა, აზატებსა და თავისუფალი მოსახლეობის დაბალ ფენებში იმის გამო, რომ მათში მოცემული იყო არსებული წყობილების გაბედული კრიტიკა, სიმდიდრისა და წარჩინებულობის უარყოფა, ამასთანავე საგრძნობლად გამსქვალული იყო რელიგიური განწყობილებით. მისტიკურ-რელიგიური განწყობილებანი წარმოადგენდნენ თავისებურ პასიურ პროტესტს და იმავე დროს შეგუებას ცხოვრების არსებული წყობისადმი; ამ განწყობილებებით იყენებდნენ შეპყრობილი მაღალი ფენები, მაგრამ უფრო მეტად მოედინენ და გავრცელებდნენ ისინი რომის საზოგადოების დაბალ კლასებში. რელიგია იმპერატორულ რომში ერთადერთი იდეოლოგიური ფორმა იყო, რომელიც გასაქანს აძლევდა არსებული წყობილებით გამოწვეულ უკმაყო-

ფილების გრძობას. ადამიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ მოსაწყენი, დღიდან დღემდე ერთფეროვანი ცხოვრებით, განიცდიდნენ რა აუტანელ ნივთიერ ხელმოკლეობას, უფუფლებობას და იმავე დროს ზემოდან იმპერატორული ბიუროკრატიის იკვნეულ მზრუნველობას,— ჰკარგავდნენ რწმენას საკუთარი ძალებისადმი და, ამგვარად, საზოგადოებრივი პირობების ზეგავლენით მიდიოდნენ კულტურის და თვით ცხოვრების აზრის უარყოფამდე, უპირატესობას აძლევდნენ იდეებისა და ოცნებათა სამყაროს რეალურ სამყაროსთან შედარებით.

„საყოველთაო უფუფლებობას და იმ იმედის დაკარგვას, რომ შესაძლებელია უკეთესი წყობილება, შეესაბამებოდა საყოველთაო აპატია და დემორალიზაცია. ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილი ძველი — რომაული პატრიციული ყაიდის და პატრიციული აზრების მქონე ადამიანთა მცირე რაოდენობა თავიდან იქნა მოშორებული ან გადაშენდა; მათი უკანასკნელი წარმომადგენელი ტაციტი იყო. დანარჩენი მოხარულნი იყვნენ, თუ შეეძლოთ სრულიად განზე გასდგომოდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებას. მათი არსებობის მთელ შინაარსს შეადგენდა გამდიდრება, კერძო ჭორებითა და კერძო ინტრიგებით დატკობა“.

ამ გზით იქმნებოდა ნიადაგი ყოველგვარ რელიგიურ-მისტიკურ განწყობილებათა და მოძღვრებათა განვითარებისათვის. „სად იყო გამოსავალი, სად იყო ხსნა დამონებულთა, ჩაგრულთა და გალტაკებულთათვის,—საერთო გამოსავალი ადამიანთა ყველა ამ სხვადასხვა ჯგუფებისათვის, რომელთაც ჰქონდათ უცხო და თვით ერთიმეორის საწინააღმდეგო ინტერესები?.. საქმის იმდროინდელ ვითარებაში იგი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდამხოლოდ რელიგიური“². ადამიანის გონების ძლიერებისადმი რწმენის შესუსტების მაჩვენებელი იყო სასწაულთა, წინასწარმეტყველებათა, მკითხაობათადმი რწმენის გავრცელება, ფართო პოპულარობა ასტროლოგიისა, რომელიც ცის მნათობთა მიხედვით აწარმოებდა ადამიანის მომავლის გამოცნობას, „სული წმინდით შეპყრობილ“ მქადაგებელთა, წინასწარმეტყველთა გამოჩენა და სხვა მსგავს რელიგიურ-მისტიკურ განწყობილებათა გამოვლინება“.

¹ ენგელსი, ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა, ტექამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, 1939 წ., გვ. 11.

² ენგელსი, ადრინდელი ქრისტიანობის შესახებ, სახელგამი, 1933 წ., გვ. 35 (რუს.).

³ C. Birt, Kulturgeschichte Roms, 1909.

კრუმორწმუნეობის გავრცელება იმდენად დიდი იყო, რომ იგი სახელმწიფო ხელისუფლების თვალში სერიოზულ საშიშროებას ქადაგებდა. ავგუსტუსმა, რომელიც ცდილობდა, როგორც უკვე ვნახეთ, აღედგინა ძველი რომის რელიგია, კრუმორწმუნეობასთან ბრძოლის მიზნით გამოსცა სპეციალური ბრძანება, რომელშიც ის მოითხოვდა წინასწარმეტყველური წიგნების დაწვას—გარდა ძველი დროით ნაკურთხ სივილინურ წიგნთა რჩეული ნაწყვეტებისა, რომელნიც ხელისუფლების თვალსაზრისით არაავითარ საწინააღმდეგო აზრებს არ შეიცავდნენ. კრუმორწმუნეობის შესუსტებას მიზნად ისახავდა ის საერთო რელიგიური პოლიტიკაც, რომელსაც ატარებდა ავგუსტუსი თავის ქვეშევრდომთა რელიგიური გრძნობების ორგანიზირებისათვის. უწევდნენ რა ანგარიშს იმდროინდელ სულსკვეთებას, რომელიც გულისხმობდა ყოველივე მისტიკურს, იღუმალს და ძველი დროით ნაკურთხს, ავგუსტუსი და მისი მომდევნო იმპერატორები აღადგენდნენ დიდიხნის დავიწყებულ კულტებს და რელიგიურ მშობას (sodalicia), რომელთა პარალელურად მყარდებოდა ახალი, დაკავშირებულნი სიკვდილის შემდეგ გაღმერთებული ავგუსტუსის (divus Augustus), მისი ღვთაებრივი მამის იულიუს ცეზარის (divus Julius) და სხვა იმპერატორთა გენიის თაყვანისცემასთან, რომლებიც სიკვდილის შემდეგ გაღმერთებულ იქნენ სენატის მიერ. ამნაირად აღდგენილ იქნა ძველისძველი ქურუმთა კოლეგიები და ძმობა—არვალელ ძმათა, ლუპერკების, სალიების, ტიციების (sodales titii) და მრავალ სხვათა.

ძველისძველი კულტების რესტავრაციით და აღმოსავლეთის რელიგიათა ზოგიერთი ელემენტების შემოღებით იმედოვნებდნენ გამოეცოცხლებინათ რომის მიმკვდარებული ოფიციალური რელიგია, რომელიც გასაქანს არ აძლევდა ემოციათა თავისუფალ გამოვლენებას. მაგრამ რაც ხანი გადიოდა, მით სულ უფროდაუფრო აშკარა ხდებოდა, რომ ძველ რელიგიას არ შეეძლო მასზე დაკისრებული სოციალური ფუნქციების შესრულება, და ამიტომ საჭირო იყო ახალი რელიგია, რომელიც უფრო შეესაბამებოდა ახალი საზოგადოების პირობებს. რომის იმპერიის ხმელდაშუაზღვის იმპერიად გადაქცევა, სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაცია და რომანიზაცია გამხრწნელ გავლენას ახდენდა რომის რელიგიაზე, რომელიც სულ სხვანაირ სოციალურ პირობებში და სხვა კულტურულ დონეზე აღმოცენდა; ეს იყო პირობები საგვარეულო წყობილებისა, ბუნების ძალთა, აგრარულ ღვთაებათა და ქალაქის მფარველ ღვთაებათა თაყვანისცემისა. ამ რელიგიასთან დაკავშირებული გრძნობები უკვე დიდიხნის

წინათ ამოიშრიტნენ, ხოლო რელიგიური წესები გადაგვარდნენ მშრალ ფორმულებად, რომლებიც არავითარ რეალობსთან არ იყვნენ დაკავშირებული და მექანიკურად სრულდებოდნენ ქურუმებისა და მოხელეების მიერ. ყველაზე მეტი შანსი სრულიად-საიმპერიო რელიგიის როლის მიმართ ჰქონდა იმპერატორების კულტთან დაკავშირებულ რელიგიას, მაგრამ მასაც—თავისი ოფიციალური წარმოშობის გამო—არ შეეძლო დაეპყრო ადამიანთა გრძნობები და მსოფლიო რელიგიად გადაქცეულიყო.

ძველ რომის რელიგიასთან და იმპერატორის კულტთან ერთად რომის იმპერიაში არსებობდა კიდევ სხვა რელიგიები, რომლებიც პოეტენზიებს აცხადებდნენ მსოფლიო რელიგიების როლის მიმართ. იმპერიაში იმ დროს არსებულ რელიგიათა შორის ყველაზე უფრო დიდი გავლენით სამი რელიგია სარგებლობდა: 1) ეგვიპტის ქალღმერთის იზიდას კულტი, 2) სპარსეთის ღმერთის მითრას კულტი, 3) იუდეველთა ღმერთის იახვეს კულტი. დასახელებული რელიგიები, დიდი ხნის მანძილზე, ეკუთვნოდნენ რაკრძალულ კულტების რიცხვს, თავისი იდუმალებით, წინასწარმეტყველებით, უკვდავებისა და საიქიოსადმი რწმენით და ურთიერთობის უფრო ინტიმური ფორმებით, იზიდავდნენ ხალხს¹.

აღმოსავლეთის (ორგიულ) რელიგიებში უკანასკნელ როლს როდი ასრულებდა ეროტიკული მოძენტიც.

აღმოსავლეთის რელიგიების მოძღვრებით ადამიანის სიცოცხლე წარმოდგენილი იყო როგორც მარადიული ბრძოლა სხეულისა და სულის საწყისთა შორის. ადამიანის ბუნების უმაღლეს საწყისად მიჩნეული იყო სული, ადამიანის არსების ზემატერიალური საფუძველი. სხეულის ბატონობისგან სულის განმათავისუფლებელ საშუალებებად უქადაგებდნენ ლოცვებს, მარხვას, საკულტო წესებსა და ცერემონიებს, რომლებიც რელიგიურ ექსტაზს იწვევენ მაყურებელში. ფიქრობდნენ, რომ რელიგიურ ექსტაზში ადამიანი, თითქოს სხეულის გარისიგან განთავისუფლებული, უერთდება ღმერთს და ღვთაებრივი ძალის ნაწილს ღებულობს. დამაკავშირებელ რგოლს, შუამავალს ღმერთსა და ადამიანებს შორის, იზიდას რელიგიაში წარმოადგენს ოზირის—სერაპისი, სპარსულში—მითრა. ოზირისის, ამ მარადიული სიცოცხლის წყაროს, ყოვლადღლიერ იზიდას ღვთაებრივი

¹ G. Wissowa, Religion und Kultus der Römer, 1902, «Handbuch der klassischen Altertumswissenschaft»; J. Toutain, Les cultes païens dans l'empire romain, 1917.

მეუღლის საპატივეცემოდ ეწყობოდა ხოლმე ორი დიდი დღესასწაული, რომელთაც თანსდევდა რელიგიური ცერემონიები, ჩირაღდნებით მსვლელობა თეთრ ტანსაცმელში, მუსიკა და ცეკვა, ღვთაებათა გამონახულებების ტარება. მრავალი ჩამოთვლილი იდგა და წესი შემდგომ ქრისტიანობაში შევიდა და გავრცელდა. აღმოსავლეთის კულტების მიმდევართა დიდ ნაწილს აღმოსავლური წარმოშობის აზატები და მონები შეადგენდნენ; მათგან ეს კულტები რომისა და დასავლეთის ქალაქთა მოსახლეობის სხვა ფენებშიც იკიდებდა ფეხს. ყველაზე ხანგრძლივად ძველი ღმერთების რწმენას სოფლის მოსახლეობა ინარჩუნებს. აღმოსავლეთის რელიგიების მიმდევართა რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ კალიგულას დროს რომში იზიდას პირველი ტაძარიც კი დაარსდა. მაგრამ მაინც, მიუხედავად დიდი გავლენისა, ვერც იზიდას კულტი, ვერც მითრას კულტი რომის იმპერიის სახელმწიფოებრივ რელიგიად ვერ გახდა. ასეთად შეიქნა ქრისტიანობა. ქრისტიანობის გამარჯვების მიზეზი მდგომარეობდა ქრისტიანული რელიგიის უფრო მეტ შემგუებლობაში რომის იმპერიის სოციალურ—ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ პირობებთან.

ქრისტიანობა ჩანსაზა პალესტინაში, იუდეაში, და თავის იდეოლოგიასა და პრაქტიკაში წმინდა თუ გადამუშავებული (ჰელინიზებული) სახით შეითვისა იუდეველთა (ძველ ებრაულ) რელიგიის მრავალი თვისება, რაც მოითხოვს, რათა ქრისტიანობის შესწავლა იუდეას ისტორიის მოკლე გაცნობით დაეიწყოს.

2. იუდეველობა და მსხიანობა

იუდეველთა, ანუ ისრაელთა, ისტორია ანტიკური სამყაროს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ფურცელს წარმოადგენს. ძველი მსოფლიოს მხოლოდ ზოგიერთი ქვეყანა შეიძლება შეედაროს ებრაელთა ისტორიას რევოლუციური მოძრაობათა რიცხვითა და ძალით, სოციალურ-პოლიტიკური კატასტროფების სიღრმით, იდეოლოგიის სიმდიდრითა და ბრწყინვალეობით.

ებრაელთა პირველი სამეფო (ძველი ისრაელი) შეიქნა პალესტინაში დაახლოებით ათასიან წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეფე დავითისა და მისი შვილის სოლომონის დროს. დავითის დროს აშენებულ იქნა ქალაქი იერუსალიმი, ანუ იერუსალიმი, ხოლო სოლომონის დროს ებრაელთა ღმერთის იახვეს საპატივეცემოდ აგებულ იქნა ტაძარი, რომელიც მრავალი საუკუნის განმავ-

ლობაში ებრაელობის რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანების ცენტრს წარმოადგენდა. სოლომონის სიკვდილის შემდეგ ისრაელთა სამეფო ორ ნაწილად გაიყო -- ჩრდილო და სამხრეთ ნაწილად, ანუ საკუთრივ იუდეად. მუდმივმა შუღლმა და მტრობამ ჩრდილოეთისა და სამხრეთის მეფეებს შორის დააუძლურა ისრაელი და გაუადვილა მტრებს მისი დაპარცხება. VIII საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ისრაილი დაპყრობილ და დამონებულ იქნა ასურეთის მეფის სალმონასარ V მიერ¹. „მთელი სიმდიდრე და სამარიის ნადავლი -- ასურეთის მეფის ხელთ არის“. VI საუკუნეში (586 წ.) მოხდა იუდეას სამეფოს კიდევ უფრო გამანადგურებელი დარბევა ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ. „იახვე ჰგზავნის მონას თვისას ნაბუქოდონოსორს ამა მიწასა ზედა და მთელი მიწა ესე გადაიქცევა უდაბნოდ და საშინელებად“, -- ნათქვამია ერთ-ერთ ძველ ებრაულ სამღვთო წიგნში. ცხრა თვის განმავლობაში ალყაშემორტყმული იერუსალიმი დაეცა, იახვეს ტაძარი ცეცხლმა შთანთქა, მეფის სასახლე განადგურდა. მცხოვრებთა ერთი ნაწილი გადასახლებულ იქნა ბაბილონში, ხოლო ძველ ადგილებზე დარჩენილთ დაადვეს ხარკი გამარჯვებულის სასარგებლოდ. ბაბილონის ტყვეობა გარდამტეხ მოძენტს შეადგენს ებრაელთა ისტორიაში. ამ დროიდან იწყება იუდეველთა დიასპორა, ე. ი. ებრაელთა დასახლება სხვადასხვა ადგილას მთელ უზარმაზარ ბაბილონის იმპერიაში, ძველი ადამ-ჩვევებისა და რწმენის შესუსტება და ბაბილონის კულტურის შექრა იუდეაში. ებრაელი ხალხის შეგნებაში ბაბილონის ტყვეობამ ღრმა კვალი დასტოვა, წარმოშვა რა, ერთი მხრით, ღრმა მწუხარების გრძნობა ყოფილი დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო, მეორე მხრით კი -- იმედები ახალი, უკეთესი სამეფოს აღორძინებისა და შექმნისა. იუდეას ბაბილონეთა მორჩილებაში ყოფნამ დაახლოვებით 50 წელს გასტანა, მანაჰდემ, სანამ ნაბუქოდონოსორის სამეფო განადგურებული არ შეიქნა ირანის მეფის კიუოსის მიერ, რომელმაც უფრო შეამსუბუქა იუდეველთა დამოკიდებულება. იუდეას შემდგომი ისტორია უკვე დაკავშირებულია მაკედონურ-ჰელენურ სამეფოთა ისტორიასთან და შემდეგ რომის ისტორიასთან. 63 წელს პომპეუსმა დაიკავა იერუსალიმი და იუდეა რომისაგან დამოკიდებულად აქცია.

პალესტინაში რომაელების გამოჩენის დროისათვის იუდეველთა თემმა უკვე მიაღწია მაღალ სოციალურ-ეკონომიურ დონეს, განვითარდა სასაქონლო-ფულადი მეურნეობა, ვაჭრობა, ხელოსნობა და მიწათმოქმედება. როგორც რომის იმპერიის შემადგენელი ნაწილი,

¹ სახელდობრ -- 722 წელს.

იუდეა ჩაბმულ იქნა საბერძნეთ-რომის ოიკუმენის სოციალურ-ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ინტერესებში. სოციალური წინააღმდეგობანი იუდეაში იმავე მიმართულებით ვითარდებოდა, როგორც რომის იმპერიის სხვა ნაწილებში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იუდეაში დიდ როლს ასრულებდა ქურუმობა, რომელიც დაჯგუფებული იყო იერუსალიმის ტაძრის გარშემო. ქვეყნის მართვა-გამგეობა სინედრიონის—იერუსალიმის ქალაქის საბჭოს ხელთ იყო, რომელიც შედგებოდა მღვდელმთავარის, ყველაზე გავლენიანი ქურუმების (ლევიტების) და იუდეველთა არისტოკრატიიდან,—სადუკეველთაგან გამოსული სწავლული იურისტებისგან; სადუკეველი მათ ეწოდათ იახვეს პირველი ქურუმის სადოკის სახელით. მეორე ფენას შეადგენდნენ ფარისეველნი, ებრაელთა სკოლების მასწავლებლები (რაბინები), ებრაელთა სამოციქულოების (სინაგოგების) მქადაგებლები და სწავლული განმმარტებლები „მოსეს კანონისა“, რომლის მიხედვითაც ცხოვრობდა იუდეველთა თემი. სადუკეველთა მსგავსად, ფარისეველები უმეტეს შემთხვევაში როდი სარგებლობდნენ ხალხის სიმბატიით. ხალხს, რომელსაც სწავლული რაბინები შეურაცხყოფელ სახელს „მიწის შვილებს“—ამხარეზს (am-haarez) უწოდებდნენ, არ უყვარდა ფარისეველნი მათ მიერ კანონის მშრალი, წმინდა ფორმალური განმარტების, კონსერვატიზმის, წვრილმანობის გამო და იმის გამოც, რომ ისინი მოითხოვდნენ ხალხისგან კანონითა და ადათით ნაკარნახევ ყველა წესის მტკიცედ შესრულებას. იუდეველთა მოსახლეობის მასის მტრულ დამოკიდებულებას ქურუმობისა და მწიგნობართადმი კიდევ მეტად აძლიერებდა ის გარემოება, რომ იუდეველთა საზოგადოების მაღალი ფენები რომის ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რომის იმპერატორების მიერ დაყენებულ ე. წ. იუდეველთა მეფეებთან, ერთად მოქმედებდნენ. „ილოცე მთავრობის კეთილდღეობისათვის,—ამბობდა ერთი რაბინი,—ვინაიდან, თუ მისდამი შიში არა,—ერთი მეორეს ცოცხლად შესჭამდა“-ო

გარდა მეთაულის გადახდისა ტაძრის სასარგებლოდ და ხარკის გაღებისა რომის სასარგებლოდ, მკაბიო ხალხი დატვირთული იყო იუდეველთა მეფეების მიერ მასზე დაკისრებულ ყოველგვარი გადასახადითა და ბეგარით. იუდეველთა მეფეები ხალხის სახსრებისა და ძალების დაუზოგავად აშენებდნენ ძვირად ღირებულ ნაგებობებს, აგებდნენ ცირკებს, თეატრებს, ინახავდნენ ბრწყინვალე სასახლის კარს, ხარჯავდნენ ფულს ნადიმებზე, მდიდრულ საჩუქრებს მიუძღვნიდნენ ხოლომე ფავორიტებს და ა. შ. ამ მხრივ განსაკუთრებული

სახელი მოიხვეჭა დ ი დ მ ა ი რ ო დ მ ა, რომელიც ავგუსტუსის დროს ცხოვრობდა და ცუდი სახელი დასტოვა ებრაელ ხალხში, როგორც „ლორის ხორცის მსანსლავე“ რომის კეისრის მონამ. ქურუმთა და ფარისეველთა საამებლად იროდმა ხელახლა ააშენა მანამდე არნახული სიდიადით იერუსალიმის ტაძარი, აიშენა თავისთვის მარმარილოს ბრწყინვალე სასახლე იერუსალიმში, თეატრი, და ამფითეატრი, ქალაქი შეამკო რომის იმპერატორის ქანდაკებებით, ზღვის პირას ქ. კესარიაში ააგო თვალწარმტაცი ნავსადგური, რომელიც რომის მეფის მოადგილეთა (პროკურატორთა) რეზიდენციად გადაიქცა.

იერუსალიმის ქურუმთა პოლიტიკას და ფარისეველთა კაზუისტიკურ წვრილმანობას მოთმინებიდან გამომჟღავნა არა მარტოოდენ მდაბიო ხალხი, არამედ ებრაელთა პლუტოკრატია, განსაკუთრებით ვაჭრები და ფულიანი ხალხი, რომლებიც კანონის ძალით შეზღუდული იყვნენ თავის კომერციულ ოპერაციებში. უთანხმოება არსებობდა აგრეთვე ებრაელ და არაებრაელ ვაჭრებს შორის, რომლებიც პალესტინის მიწაწყალზე, განსაკუთრებით ჩრდილოეთ პალესტინაში, მდიდარ და ხალხმრავალ გალილეაში ცხოვრობდნენ.

იქნებოდა რთული კვანძი სოციალურ წინააღმდეგობათა, რაც თავს იჩენდა პარტიათა ბრძოლის, უამრავი ლეგალური და არალეგალური სექტების წარმოშობის, რევოლუციური აფეთქებების, შეთქმულებების, ტერორისტული აქტებისა და სხვ. სახით. იუდეაში განსაკუთრებით ხშირ და მწვავე სოციალურ კონფლიქტებს ადგილი ჰქონდა პირველ საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვით, იროდისა (37—4 წწ.) და მის მემკვიდრეთა მართველობის დროს. კლასობრივ წინააღმდეგობათა გაღრმავება და კლასობრივი ბრძოლის გამწვავება გამოწვეული იყო დავალიანების ზრდით, გადასახადთა გადიდებით, იუდეველ და რომაელ ხელისუფალთა თვითნებობით. ხშირი იყო აჯანყებანი როგორც იერუსალიმში, ისე იუდეასა და გალიელას სხვა ქალაქებში. უკმაყოფილოთა მთავარი მასა გამოდიოდა დაბალი კლასებიდან: მონებიდან და თავისუფალ, გაკოტრებულ მიწათმოქმედთა და ხელოსანთაგან, რომელთა რიცხვიც სულ უფროდაუფრო იზრდებოდა. აჯანყებულებს მეთაურობდნენ „იუდეველთა მეფეები“, როგორც უწოდებდნენ თავის-თავს აჯანყებათა ბელადები. „იუდეველთა მეფედ“ იწოდებოდა, მაგალითად, იუდა, ეზეკიის შვილი, რომელმაც მოაწყო აჯანყება გალილეაში, შემდეგ სიმონი, იროდის მონა, მწყემსი აფრონი, იუდა გავლონიტელი და სხვა მრავალი, რომელთა შესახებ შთამომავლობას დარჩა ხსოვნა როგორც მეპრძოლებისა იუდეას დამოუკიდებლობისა-

თვის, ლარიბთა და ჩაგრულთა უფლებებისათვის მდიდართა და წარჩინებულთა წინააღმდეგ. რევოლუციური მღელვარება იუდეაში მთელი I და II საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. უკანასკნელი დიდი აჯანყება პალესტინის მიწაზე იყო ჩვენთვის ცნობილი ბარ-კოხბას აჯანყება აღრიანეს დროს. რევოლუციური ბელადები მეტნაწილად ეკუთვნოდნენ ზელოტების, რელიგიური ფანატიკოსების, კანონისა და ძველი დროის თავგამოდებული დამცველების, უცხოელთა (რომაელთა) და მათ მხარდამჭერთა—ფარისევლებისა და საღუკვეელების შეურიგებელი მტრების პარტიას. განიცდიდნენ რა ხელისუფალთა დევნას, ზელოტები გარბოდნენ ჩრდილოეთ გალილეაში, მერომის ტბის კაობიან და უდაბურ ადგილებში. აქედან ისინი აწყობდნენ თავდასხმებს მეზობელ ქალაქებზე, ცეცხლს უკიდებდნენ სახლებს, იტაცებდნენ ქონებას და სძარცვავდნენ მდიდარ მგზავრებს.

ზელოტების მოძრაობა დაკავშირებული იყო იუდეველთა ისტორიისათვის დამახასიათებელ მესიანურ მოძღვრებასთან. თვით იდეა მესიანობისა, ე. ი. რწმენა მესიის—წინასწარმეტყველის, მეფის ანუ ღმერთის, ტანჯვისაგან აღამიანთა განმათავისუფლებელის, მოსვლისა, არ შეადგენს მხოლოდდამხოლოდ იუდეას თავისებურებას. ანალოგიური აზრი აღამიანთა მოღვმის მხსნელისა და განმათავისუფლებელის მოსვლის შესახებ ცნობილია აგრეთვე სხვა ხალხებისთვისაც, მაგრამ არსად მას ისეთი მკვეთრი გამოხატულება არ მიუღია, როგორც ძველ ებრაულ ლიტერატურაში.

მესიანური ზრახვები და იმედები მოსდევენ იუდეველთა მთელ ისტორიას, მაგრამ ქრისტიანობის ისტორიისათვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს უფრო გვიანი, რომაულ-ჰელინური ეპოქის, მესიანური იდეებს, როცა შედგენილ იქნა ებრაული რელიგიური ლიტერატურის მთავარი ნაწარმოებნი,—ლიტერატურის, რომელიც შეიცავდა წინასწარმეტყველებათ და გამოცხადებათ (აპოკალიპსისებს) ქვეყნის დასასრულსა და მომავალ მესიაზე. ამ დროს ეკუთვნის: „წიგნი წინასწარმეტყველის დანიელისა“, „სიბრძნე სოლომონისა“, „წიგნი ენოქისა“, „სიბილას ორაკულები“, „ბარუხის აპოკალიპსისი“, „ეზდრას მესამე წიგნი“ და მრავალი სხვა.

მესიანურ იდეებს ამათუიმ სახით მისდევდა იუდეველთა თემში არსებული ყველა დაჯგუფება. მესიის სახეს და მომავალი სოციალური გადატრიალების სურათს სხვადასხვა აეტორი სხვადასხვანაირ-

რად ხატავდა, სოციალური სიმპატიებისდა მიხედვით. მაგრამ ყველა სხვაობის მიუხედავად ამ გამოხატულებებში საერთო თვისებებიც მოიპოვებოდა. ასეთები იყო წარმართთა სამყაროს სულ მალე დაღუპვა, ისრაილის, დავითისა და სოლომონის სამეფოს აღორძინება და სიცოცხლის სამოთხის მღერნარესთან მღებარე ახალი ქალაქის იერუსალიმის დაარსება. ავას ერთვოდა აპოკალიპსისები საშინელი სამსჯავროსა და მკვდრების აღდგომის შესახებ. უცხოელ და მკვიდრ მზავრელთა ბატონობას იხილავდნენ როგორც დასასრულის დასაწყისს, როგორც სოციალური კატასტროფის დასაწყისის მუქარას.

„დრო მიიწურა, დასასრული ახლოვდება,—ამბობდნენ მქადაგებლები,—ქვეყნად ბატონობენ უღმერთო და ცოდვილი ადამიანები... ისინი ნთქამენ ღარიბთა დოვლათს და გაიძახიან, რამე ყოველივე ამას ისინი სჩადიან სიბრალულის გამო.“

მაგრამ უფე ისმის პირველი კქქა-ქუხილი, ახლოვდება არამართალთა. წარჩინებულთა, ძლევაგამოსილთა, მდიდართა და ძლიერთა დაღუპვის დღე“.

„ვამ თქვენ, ძლევაგამოსილნო, ძალმომრეობით რომ ამარცხებთ მართალს, რამეთუ დადგება დღე თქვენის დაღუპვისა! ვამ თქვენ, მდიდარნო, რამეთუ სიმდიდრის იმედი გქონდათ და თქვენივე საუნჯით აღმოიფხვრებით“.

„არაფერი არ გიხსნით დაღუპვისგან—არც მეფური ღირსება, მბრძანებლის სიდიადე და ძლევაგამოსილება, ვერცხლი, მეწამული და ოქრო, საკქელი და სასმელი: ვითარცა წყალი, გადანთხეული იქნებით თქვენ მთელი თქვენი საუნჯით, მთელი თქვენი სახელითა და დიდებით დაიდუბებით თქვენ, და სირცხვილეულნი, სასიკვდილო ლახვართ, გაღატაკებულნი შთაგდებულნი იქნებით ცეცხლოვან ღუმელში!“¹

იმ დროს როდესაც ცოდვილნი „ცეცხლოვან ღუმელში“ დაიტანჯებიან, მართალნი დასტკებებიან მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა სიკეთით.

„იმ დღეებში მთელი დედამიწა სიმართლით შეიმოსება, ერთიანად მოიფინება ხეებით და აღივსება კურთხეული საჩუქრებითა და შესაწირავით. ყოველკვარი მარცვლოვანი მცენარე აღმოცენდება მასზე; გაშენებული იქნება მასზე ვენახები და ისინი დაუსრულებლივ გამოსცემენ ღვინოს; თესლი ყოველი, მიწაზე დათესილი, მოიტანს

¹ Н. М. Никольский, — Древний Израиль, 1922 წ., გვ. 350.

მოსავალს ერთი-ათასად, ზეთის ხილის ერთი საწყაო ზეთის ათ საწყაოს მოიცემა... ვინც იყო მშიერი, მძღორისად ისაზრდოებს; ყოველდღე სასწაულთ იხილვენ მართალნი“¹.

მესია ეხატებოდათ ან როგორც „ძე კაცისა“, ძღვეამოსილი მეფე, ღვთისგან მირონცხებული (ქრისტე), ანდა როგორც შვილი ღვთისა, დაბადებული მამა-ღმერთის მიერ ქვეყნის გაჩენამდე.

მესიანური იდეებით გამსჭვალული იყვნენ პალესტინაში არსებული ყველა პარტია და სექტა, მათ რიცხვში ქრისტიანობაც, როგორც იუდეველთა ერთ-ერთი სექტა. მესიანური იმედები და ზრახვები უდიდესი სიმკვეთრით არის გამოხატული ქრისტიანული დამწერლობის უძველეს ძეგლში—„იოანეს გამოცხადებაში“ (აპოკალიპსისში), რომელიც შედგენილ იქნა იუდეველთა ომის პერიოდში (66—70 წწ.) დიადი ამბების უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ.

„გამოცხადების“ შემდგენელი მხურვალე თანაგრძნობით არის აღსავსე იუდეველებისადმი, იგი წინასწარმეტყველებს რომის—„ბაბილონელი მეძავი ქალის“ სულ მალე დამხობას.

რომის დამხობა აწერილია ძველი აპოკალიპსისების და წინასწარმეტყველურ ქადაგებათა სულისკვეთებით. „ღვთის რისხვის შვილი ფიალა დაინთხევა მიწაზე... უკუნითი—უკნისამდე იხრჩოლებს ბიწიერებით სავსე ბაბილონის (რომის) მცობვრებთა წამების კვამლი, და მათ არ ექნებათ მოსვენება არც დღისით, არც ღამით; ადამიანებს გაუჩნდებათ მწვავე და გულისამრევი წყლულები, მზე დასწავს ცეცხლით ადამიანებს, შემდგომ ჩაჰკრება მზე, და ადამიანები ტანჯვისაგან თავიანთ ენებს მოიკვნეტენ, ასტყდება ელვა და ჭექა-ქუხილი, მიწა შეირყევა“². ყველა უბედურებათა და საშინელებათა შედეგად დაემხოა ურჯულო ქალაქი რომი, ხოლო მის ადგილს დაიკერს წმინდა ქალაქი—„ახალი იერუსალიმი“.

ამასთან, მომავალი სამეფო, რომელიც შესცვლის გახრწნის გზაზე დამდგარ, ძალადობით, ცოდვებითა და უსამართლობით აღსავსე რომს, დახატულია თვალისმოშპრელი ფანტასტიკური ფერადებით. ქალაქ „ახალი იერუსალიმის“ კედლები შემეკული იქნება საფირონით, ზურმუხტით, სარდიონით, ოქრო-ქვით, ბივრიტით და მათი მსგავსი ძვირფასი ქვებით. მომავლის სამეფოში იქნება სიუხვე ყოველივე ხორაგეულისა, სასმელისა, გამეფდება მარადიული სიმშვიდე და ნეტარება. მაგრამ ყოველივე ეს მისაწოდომი იქნება არა ყველა

¹ Н. М. Никольский—Древний—Израиль, 1922 წ., გვ. 350.

² John, Apocalyp., XVI, XIV.

ადამიანისათვის, არამედ მხოლოდ რჩეულთათვის, წმინდათა ანუ ნეტართათვის, რომლებიც ცხოვრობენ ღვთის მცნებათა მიხედვით, არ ემორჩილებიან ცუდუნებას და ჰქმნიან სიმართლეს.

მესიანობა შეადგენს ქრისტიანული რელიგიის საფუძველს, რომელსაც უზრუნველყო მისი გამარჯვება სხვა რელიგიების პირისპირ, კერძოდ, იზიდასა და მითრას რელიგიის მიმართ. არცერთ იმდროინდელ რელაგიაში, რომელთაც კი ჰქონდათ პრეტენზია რომის იმპერიის გაბატონებულ რელიგიად გახდომისა, არ იყო გამოხატული მომავალი სამეფო ისეთი სიმკვეთრითა და უხეში მატერიალურობით, როგორც ქრისტიანობაში. ქვეყნის სწრაფი დასასრულისა და მარადიული ნეტარების დამყარების იმედი ასულდგმულებდა ქრისტეს სახელის მშობსავე და, აღავსებდა რა ფანატიზმით, აბუჩადამგდებ გულგრილობას უნერგავდა გარემომცველ სამყაროსადმი და თითქოს საერთო დონეზე მაღლა აყენებდა მათ. ამ ძირითად იდეებს უერთდებოდა კიდევ სხვა იდეები, რომლებიც ქრისტიანობის გამარჯვებას უადვილებდა. ამათ უნდა მიეკუთვნოთ მესიანობასთან მჭიდროდ დაკავშირებული უკვდავების იდეა, ყველა ადამიანის გათანაბრება საყოველთაო პირველშობილ შეცოდებაში, იმ ვალდებულებათა უმნიშვნელოვანება, რომელთა შესრულებასაც ძოთხოვს თავისი პროზელიტებისაგან ქრისტიანული სექტა, პირველ ხანებში რთული რიტუალური წესების უქონლობა და ა. შ.

3. ძრისტიანული საზოგადოებანი

ქრისტიანობის სათავეები გაურკვეველობის ნისლით არის მოცული. საეკლესიო გადმოცემების მიხედვით, ქრისტიანობის დამაარსებელი იყო იესო ქრისტე გალილეიას ქალაქ ნაზარეთიდან, ხუროს შვილი. თავისი ქადაგებებისათვის, რომლებშიაც ის მოუწოდებდა მონანიებისაკენ ქვეყნის დასასრულის მოახლოების გამო, და სადუქველთა და ფარისევლთა მკაცრი გაკიცხვისათვის იმ ბოროტებისთვის, რომელსაც ისინი იდენდნენ „მიწის შვილთა“ მიმართ, ის მიცემულ იქნა სამართალში; სინედრიონმა მას მიუსჯა სასჯელი მეფური წოდების მითვისებისა და თავისი-თავის მესიად გამოცხადებისათვის და იგი ჯვარცმულ იქნა რომის მეფისნაცვალ პილატეს დროს, ტიბერიუსის მეფობაში, 30 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით. ასე მოუთხრობს საეკლესიო ისტორია, მაგრამ თანამედროვე მეცნიერება ამ საკითხს სხვანაირად წყვეტს.

თუ საკითხს კრიტიკულად მივუდგებით, აღმოჩნდება, რომ სა-
 ეკლესიო ისტორიის მიერ გადმოცემული მოთხრობები ქრისტეს და-
 ბადებისა და ცხოვრების შესახებ, მისი ქადაგებების, სასწაულთ-მო-
 ქმედებისა, სიკვდილისა და აღდგომის შესახებ შეთხზულია გაცი-
 ლებით გვიან და არავითარი საერთო არა აქვთ ისტორიულ სინამ-
 დვილესთან. რადგანაც არ არსებობს კრიტიკულად შემოწმებული
 ფაქტები ქრისტიანობის პირველდაწყებითი პერიოდისა და მისი და-
 მბარსებლის შესახებ, ისტორიული მეცნიერების თანამედროვე დონის
 პირობებში ჩვენ გვიხდება შემოვიფარგლოთ მარტოოდენ იმის აღი-
 არებით, რომ ქრისტიანობა ჩაისახა პალესტინაში I საუკუნეში ჩვენი
 წელთაღრიცხვით და იგი იყო იუდეველთა ერთ-ერთი სექტა, სახელ-
 დობრ—სექტა ნაზარეველთა. ქრისტიანობის შემდგომი ისტო-
 რია—ესაა ისტორია ქრისტიანულ საზოგადოებათა, მთელ
 რომის სამყაროში მათი გავრცელების, იუდეველ ელემენტებისაგან
 ქრისტიანობის განთავისუფლებისა და რომის იმპერიის სოციალურ-
 პოლიტიკურ და კულტურულ ფორმებთან მისი შეგუების ისტორია.
 ქრისტიანულ საზოგადოებათა ორგანიზაციასა და მათ სოციალურ
 შემაღენლობაში მომხდარ ცვლილებათა შესაბამისად იცვლებოდა
 აგრეთვე ქრისტიანული იდეოლოგიაც, რომელიც სულ უფროდა-
 უფრო სწყვეტდა კავშირს არქაულ ქრისტიანობაში არსებულ რევო-
 ლუციურ იდეებთან, როცა იგი ჯერ კიდევ იუდეველთა სექტას წარ-
 მოადგენდა.

I საუკუნის დასასრულს ჩვენი წელთაღრიცხვით ქრისტიან-
 ული საზოგადოებანი არსებობდა ანტიკური ქვეყნის ყველა
 მხვილ სავაჭრო—სახელოსნო ქალაქებში—იერუსალიმსა, ანტიოქი-
 ასა, ედესსა, კორინთსა, რომსა, პუტეოლაში და სხვ. თავისი ორგა-
 ნიზაციით ქრისტიანული საზოგადოებანი მოგვაგონებდა რომაელთა
 კოლეგიებს, „პატარა ადამიანთა სამგლოვიარო კოლეგიებს“ (colle-
 gia funeraticia). რომის კანონების მიხედვით, „ქრისტიანეთა ურჯუ-
 კული იუდეური სექტა“ მიეკუთვნებოდა არალეგალური კავშირების
 თანრიგს, და ამიტომ ქრისტიანეთა კრებები შეიძლებოდა გამართუ-
 ლიყო მხოლოდ ფარულ ადგილებში, ცარიელ შენობებში, მთებში,
 სასაფლაოებზე, კატაკომბებში და ა. შ. სპეციალური სამლოცველო
 სახლები (საყდრები) პირველ ხანებში არ არსებობდა; არ არსებო-
 ბდა აგრეთვე რაიმე წესდებები და გარკვეული რიტუალი, ყველა-
 ფერი „ღვთიური ზემთაგონებისა“ და შემთხვევის საქმე იყო. თეი-
 თეული საზოგადოება დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობდა,
 არავითარი კავშირი არ იყო დამყარებული ცალკეულ ქრისტიან-

ნულ საზოგადოებათა შორის. ერთადერთი კავშირი იყო „რწმენა ქრისტესადმი“ ან, უფრო სწორედ, „ქრისტეს სახელისადმი“ (nomen Christi), ვინაიდან სხვადასხვა საზოგადოებაში ქრისტეს სახე სხვადასხვანაირად იხატებოდა.

საზოგადოებათა შემადგენლობაში შემაჯალნი „ქრისტეს მმოსაენი“, რომლებიც თავის-თავს ძმებსა და დებს უწოდებდნენ, თანასწორუფლებიანად და თანაბრად „ღვთიუშთაგონებულად“ ითვლებოდნენ. თვითიული მორწმუნე, „წმინდანი“, შეიძლებოდა ყოფილიყო მასწავლებლად, მქადაგებლად, წინასწარმეტყველად და მსახურად ზეგარდმო მადლის (charisma) ზედმოქმედებით, რომელიც მფარველობდა მას მოცემულ მომენტში (ხარისმა—ექსტაზში ყოფნის მდგომარეობა, რაც მიიღებოდა უშუალოდ ზეგარდმო, ანდა განსაკუთრებულ რელიგიურ-მისტიკურ მოქმედებათა საშუალებით).

საზოგადოებაში შემაჯალ წევრებს უნდა გაეგლოთ წყლით განწმენდის, განბანის წესი. „ქრისტეს სახელობაზე გამართულ კრებების უმრავლესობას წარმოადგენდნენ „სერობანი სიყვარულისა“, საერთო ტრაპეზები, ქადაგებანი, „სამღვთო წერილის“ კითხვა და განმარტება. ქრისტიანთა კრებების მიზანი იყო ზრუნვა თავიანთ წევრთა დასაფლავებაზე და მზადება მესიის მალე მოსვლისა და ქვეყნის დასასრულისათვის.

წევრთა რიცხვი პირველ ქრისტიანულ საზოგადოებებში თანაბარი არ იყო, მაგრამ საერთოდ მცირე იყო. „სადაც ორი ანუ სამი იკრიბება ჩემი გულისთვის, მათთან მეც ვიმყოფები“¹,—ნათქვამია მათეს სახარებაში. საზოგადოებათა სოციალური შემადგენლობა ერთგვაროვანი არ ყოფილა, მაგრამ უდაოა, რომ თავდაპირველად ქრისტიანულ საზოგადოებებში, ისე როგორც „პატარა ადამიანთა კავშირებში“, სქარბობდნენ დაბალი კლასების წარმომადგენლები—მონები, აზატები და თავისი სოციალურ მდგომარეობითა და განწყობილებით მათთან ახლო მდგომი თავისუფალნი.

მესიანური იდეებით გამსჭვალული ქრისტიანული რელიგია,—ესოდენ ბრწყინვალე ფერებით დახატული, სამოთხის სიცოცხლის მდინარესთან მდებარე „ახალი იერუსალიმი“,—იზიდავდა თავისკენ ყველა სასომიხილს, რომლებიც სხვა გამოსაჯალს ვერ პოულობდნენ თავის უსიხარულო მდგომარეობიდან. „როგორი ადამიანებისგან იკრიბებოდნენ პირველი ქრისტიანენი? განსაკუთრებით „მაშვრალთა და ტვირთმძიმეთაგან“, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ ხალხის

¹ Math., 18, 20.

დაბალ ფენებს, როგორც ეს შეეფერება რევოლუციურ ელემენტს. ვისგან შესდგებოდნენ ეს უკანასკნელნი? ქალაქებში—ხალხთა ყველა ფენის გაკოტრებულ თავისუფალ ადამიანთაგან, მსგავსად „mean whites“¹ სამხრეთის მონათმფლობელური შტატებისა ან კოლონიურ და ჩინეთის ნავსადგურების ევროპელ მაწანწალათა და ავანტიურისტთა, შემდეგ—აზატებისა და უმთავრესად მონებისაგან; იტალიის, სიცილიისა და აფრიკის ლათინურენოვან და პროვინციების სასოფლო ოლქებში—წვრილი გლეხებისაგან, რომლებიც ვალების გამო სულ უფროდაუფრო ექცეოდნენ კაბალაში“².

ქრისტიანულ საზოგადოებებში შესვლა მომხიბვლელად უნდა მოსჩვენებოდეთ, მით უმეტეს, რომ ქრისტიანები, მსგავსად ყველა სექტანტებისა, თავის-თავს ღვთისგან რჩეულად წმინდა ადამიანებად, სულისწმინდის მიერ მალლით ზეშთაგონებულად მიიჩნეოდნენ, და ქედმაღლურად უყურებდნენ ყველა დანარჩენ „საქმეში ჩაუხედავ“ და „ღვთიურ შთაგონებას“ მოკლებულ ადამიანებს.

საზოგადოებათა გაფართოებისა და მათი ორგანიზაციის გაართულებისდა მიხედვით რიგითი „ძმებისა და დების“ მასიდან გამოიყვენ დიაკვნები (მსახურნი), რომლებიც განაგებდნენ საზოგადოების სამეურნეო საქმეებს, საზოგადოების წევრთა შემოწირულობების მიღება—განაწილებას, საერთო ტრაპეზების მოწყობას და ა. შ. გადმოცემის თანახმად, ქრისტიანულ საზოგადოებათა პირვანდელი ხელმძღვანელები, მოციქულნი, თავს ვერ ართმევდნენ ყველა მათზე დაკისრებულ მოვალეობას და შესჩიოდნენ საზოგადოებას, რომ მათ არ ძალუძთ ერთდამიშვე დროს იქადაგონ, განმარტონ „სიტყვა ღვთისა“ და მომსახურება გაუწიონ საზოგადოებას—შეაგროვონ შემოწირულობანი, მოაწყონ „სერობანი სიყვარულისა“ და დაეხმარონ ღარიბებს. სწორედ ეს გახდა სპეციალური და არჩევითი სამეურნეო ნაწილის გამგებელ დიაკვნანთა კოლეგიის შექმნის საბაბი. ამ მიზნით, მოციქულთა წინადადებით, იერუსალიმის საზოგადოებაში არჩეულ იქნა 7 კაცი, რომელთაც თავი ისახელეს მაღალი რეპუტაციით.

დიაკვნანთა კოლეგიის მსგავსად მალე წარმოიშვა მეორე კოლეგია—მღვდლებისა, „სამღვთო წერილის“ უხუცეს მქადაგებელთა და განმმარტებელთა, რომელთა ხელშიც თანდათანობით გადავიდა საზოგადოების ყველა საქმეთა ხელმძღვანელობა. მაგრამ საქმე ამაზეც არ შეჩერებულა. II საუკუნეში გამოიყო კიდევ ახალი თანამდებობა, — ეპისკოპოსის (მზრუნველის ანუ ზედამხედველის). ეპის-

¹ თეთრები დაბალი კლასებიდან.

² ენგელსი, აღრინდელი ქრისტიანობის შესახებ, გვ. 34.

კობოსი განაგებდა საზოგადოების ქონებას, რომელიც შესდგებოდა შემოწირულებებისა და საჩუქრებისაგან, რაც საკმაო სიუხვით შემოდოდა ქრისტიანულ საზოგადოებებში, და იმავე დროს ის იყო საზოგადოების წარმომადგენელი საერო ხელისუფალთა წინაშე. ეპისკოპოსის ხელისუფლება უტბად არ განმტკიცებულა. თავდაპირველად ეპისკოპოსებს ირჩევდნენ საზოგადოების კრებაზე და ისინი ამ კრების უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ. შემდგომ კი ეს მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა: მორწმუნეთა საზოგადოების სათავეში მოექცა ეპისკოპოსი და მისი თანაშემწენი—მღვდელმსახურნი (კრებული).

შემდგომში კრებულისათვის ხელსაყრელი ცვლილების დაცვას შეეცადნენ მოციქულთა თქმულების დამოწმებით, რომლის თანახმად ეპისკოპოსები, მღვდლები და კრებული გაჩნდნენ ერთდროულად საზოგადოებებთან ერთად; პირვანდელი მღვდლები ხელთდასხმული იყვნენ თვით მოციქულთა მიერ სულიწმინდის მითითებით, და მას აქეთ ღვთის მადლი სუფევს მღვდელმსახურთა შორის, განსაკუთრებით მთავარ მათგანზე—ეპისკოპოსებსა და მღვდლებზეო.

პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ მხოლოდ ეპისკოპოსებსა და მღვდლებს შეეძლოთ ექპარხიის (ზიარების) საიდუმლოების, ე. ი. ქრისტიანული კულტის ყველაზე მნიშვნელოვანი აქტის, შესრულება. მოწყალების დარიგება, ტრაპეზების, თავშესაფართა, მეზავრთა მისაღები სახლების მოწყობა, განკარგულება საზოგადოების სახსრებით და ა. შ. აგრეთვე სავსებით დამოკიდებული იყო ეპისკოპოსისა და მისი ხელქვეითი კრებულისაგან. „ვინც ეპისკოპოსს სძულს, იგი უნდა სძულდეს საზოგადოების მთელ ხალხსაც. ვისთანაც ეპისკოპოსი უმძრახად არის, მასთან უმძრახად უნდა იყვნენ საზოგადოების წევრებიც“,—გვითხულობთ II საუკუნის ერთ დარიგებაში. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იხვეჭენ ეპისკოპოსები რომის იმპერიის ყველაზე თვალსაჩინო ქალაქებში: ალექსანდრიასა, კართაგენსა, კონსტანტინეპოლსა, ანტიოქიასა და რომში. II საუკუნის დამლევიდან და განსაკუთრებით III საუკუნიდან ყველა ქრისტიანი ეპისკოპოსთა შორის თავისი მატერიალური ძალითა და გავლენით გამოერჩევა ცენტრალური რომის საზოგადოების ეპისკოპოსი—მომავალი რომის პაპი.

4. კათოლიკური ეკლესიის წარმოშობა

თავისი ცენტრალური ადგილმყოფელობის, წევრთა რიცხვის, სიმრავლისა და სიმდიდრის მეოხებით რომის ქრისტიანეთა საზოგა-

დობამ გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა ყველა დანარჩენ ქრისტიანულ საზოგადოებათა შორის. შეწირულებათა, საჩუქრებისა, საეკლესიო გამოსაღებთა (საკვირაო გამოსაღები) და მიწების წყალობით, რომელნიც გარდაცვლილ წევრთა ანდერძით გადადიოდა მის ხელში, რომის საზოგადოება სხვებზე უფრო მდიდარი იყო, იგი სესხს აძლევდა სხვებს და მას მრავალი მსახური ჰყავდა. ყოველივე ამან სხვა საზოგადოებათა შორის პირველ რიგში წამოსწია რომის საზოგადოება, ხოლო რომის ეპისკოპოსი პირველ ეპისკოპოსად და მთელი ქრისტიანული მსოფლიოს თავად აქცია. ამით საფუძველი ჩაეყარა ქრისტიანულ ეკლესიას (ecclesia christiana) როგორც ყველა ქრისტიანულ საზოგადოებათა გაერთიანებას რომის მეთაურობით.

თავის მოთხოვნათა კანონიერების დასამტკიცებლად რომის ეპისკოპოსები იმოწმებდნენ მოციქულთა—პეტრესა და პავლეს—ავტორიტეტს, რომელთაც ვითომდა დააარსეს რომის საზოგადოება. შემდეგში რომის ეპისკოპოსთა პრეტენზიები დადასტურებულ იქნა რომის იმპერატორთა კონსტიტუციებით. „ჩვენ გვსურს,—აცხადებდა ერთ-ერთი ასეთი კონსტიტუცია,—რათა ყველა ხალხი, რომელთაც განაგებს ჩვენი სათნოება, იყოს სარწმუნოებით მოსილი,—სარწმუნოებით, რომელიც გადმოეცათ რომაელებს ლეთიური მოციქულების პეტრესა და პავლეს მიერ და რომელსაც ნისდევს ეპისკოპოსი დამასკელი“.¹

ყველა სხვა ქრისტიანული საზოგადოება, ანუ ეკლესიები, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, უყოყმანოდ უნდა სცნობდნენ ავტორიტეტს და ემორჩილებოდნენ რომის ეკლესიის მოწერილობებს, რომელიც ვითომდა განაგრძობს მოციქულთა ტრადიციებს.

იმ მიზეზთაგან, რომელთაც ხელი შეუწყეს ქრისტიანულ საზოგადოებათა გაერთიანებას ერთ მთლიან ქრისტიანულ ეკლესიად, ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენდა გააფთრებული ბრძოლა ცალკეულ ქრისტიანულ ჯგუფებს შორის, განსაკუთრებით კი ეკლესიის ბრძოლა გნოსტიკოსთა სექტებთან. გნოსტიციზმი აღმოცენდა „ძველი აღთქმის წიგნთა“ (დაბადების) ალეგორული განმარტების ნიადაგზე და შეითვისა აღმოსავლეთის რელიგიების გავლენა. გნოსტიკოსები (განათლებულნი) ფიქრობდნენ, რომ დაბადების ნამდვილი აზრი მისაწვდომია მხოლოდ ზეგარდმო მადლით ცხე-

¹ Cod. Theod., XVI, 1, 2.

ბულ (გნოსის) ზოგიერთი რჩეულისათვის. „მრავალია წვეული, მარამ მცირე—რჩეული“¹—ასეთია გნოსტიციზმის დევიზი.

ქვეყნის სიღრმეში ჩახედვა და ბუნების საიდუმლოებათა გამოცნობა, რაც მისაწვდომია ზოგიერთი რჩეულისათვის, მისაღწევი ხდება ძლიერი აღზნების (ექსტაზის), განსაკუთრებულ წესჩვეულებათა და მოქმედებათა (მისტერიების) საშუალებით. ადამიანი, იწმინდება რა ცოდვებისაგან, მისტერიებში თითქოს თავიდან იცილებს თავის ადამიანურ ბუნებას და უერთდება ღმერთს. ამაში მდგომარეობს, გნოსტიკოსთა მოძღვრებით, ქრისტიანული ექვარისტის (ზიარების საიდუმლოების) აზრი, როცა ადამიანი სკამს სხეულს და სვამს სისხლს ქრისტესას.

გნოსტიკური სექტების მოძღვრებას გვაცნობენ ჩვენ აპოკრიფული, ე. ი. ეკლესიის მიერ არცნობილი, სახარებანი, რომელთაგან საკმაოდ მრავალი ნაწყვეტია შემონახული².

მიუხედავად მრავალ მხრივ განსხვავებისა, გნოსტიკურ სექტებს ერთი რამ ჰქონდათ საერთო, სახელდობრ „განათლებულთათვის“ სულის მატერიისგან, ადამიანის სხეულებრივი გარსიდან განთავისუფლების, სამღვთო წიგნების საიდუმლო აზრის განჭკვრეტისა და ქვეყნიდან გასვლის აუცილებლობის აღიარება, რასაც ლოგიკურის აუცილებლობით შედეგად მოსდევდა უარყოფა მიწიერ დაწესებულებათა, სიამეთა და თვით ცხოვრების აზრისა.

გნოსტიციზმის ყველაზე რადიკალური მქადაგებლები უკიდურეს დებულებებამდე მიდიოდნენ, მოითხოვდნენ რა ყველა დაწესებული ცნების სრულ შეცვლას და ყველა ღირებულების ხელახლა რადიკალურ გადაფასებას. „უკეთუ თქვენ არ აკეთებთ წარჯვენას მარცხენად და მარცხენას მარჯვენად,—ნათქვამია, მაგალითად, ერთერთ აპოკრიფულ სახარებაში (ეგვიპტური სახარება),—ზედას ქვედად და ქვედას ზედად, წინას უკანად და უკანას წინად, მაშინ თქვენ არ ძალგიძთ დაიმკვიდროთ სასუფეველი ღვთისა...“ „ორმაგი უნდა გადიქცეს ერთმაგად, გარეგანი შეურთდეს შინაგანს, კაცისა ქალისას, არ უნდა იყოს კაცი და ქალი“.

გნოსტიკოსთა სოციალურ შეხედულებებში უკიდურესი ინდივიდუალიზმი უკიდურეს კოლექტივიზმს ექსოვებოდა. უარყოფდნენ რა ყოველგვარ ორგანიზაციას და დოგმას, როგორც არ უნდა ყოფილიყო იგი, გნოსტიკოსები ქადაგებდნენ პლატონის კომუნიზმს,

¹ Matth., 22, 14.

² E. de Faye, Gnostiques et gnosticisme, Paris, 1901.

ქერძოდ, ქონების საერთო კუთვნილებას და ცოლების საერთო კუთვნილებას (კარპოკრატის სექტა). გნოსტიკოსთა ზოგიერთი სექტა ქადაგებდა სრულ სოციალურ ინდიფერენტიზმს, სილატაკესა და ასკეტიზმს. გნოსტიკოსთა ბელადებს შორის ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობდნენ კარპოკრატი, მარკიონი, ბასილიდი და ვალენტინი.

გნოსტიციზმი აღმოცენდა ქრისტიანულ საზოგადოებათა სოციალური შემაღვნილობის ცვლილებისა და ფენებად დაყოფის პერიოდში და, მასთანადამე, მას ღრმად ჰქონდა გადგმული სოციალური ფესვები. გნოსტიციზმის წარმოშობის დროისათვის, ე. ი. II საუკუნის დამლევს, ქრისტიანულ საზოგადოებათა სოციალური შემაღვნილობა შესამჩნევად არისტოკრატიზებული და პლუტოკრატიზებული შეიქნა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა აგრეთვე იმდროინდელ ქრისტიანულ იდეოლოგიაში, განსაკუთრებით სიმდიდრისა და სიღარიბის შეფასებაში. კვლავ ჰკიცხავენ რა სიმდიდრეს პრინციპულად, საეკლესიო მწერლები ამასთანავე ერთად აღნიშნავენ აგრეთვე სიღარიბის უარყოფით მხარეებსაც. „ადამიანი, რომელიც შევიწროვებულ მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფება,—ნათქვამია, მაგალითად, ერმის თხზულებაში „მწყემსი“ (II საუკუნის შუა),—განიცდის ტანჯვა-წამებას და სტანჯავს თავის-თავს, როგორც ჯაჭვ-შებმული, და ბევრი, მსვავს მდგომარეობაში მოქცეული, გაქირვებით გატანჯული, თავს იკლავს“.

კიდევ უფრო შორს მიდის ამ მიმართულებით ორიგენი, III საუკუნის მწერალი, როდესაც აცხადებს, რომ სიღარიბე ადამიანის ბუნების სისუსტისა და სიზარმაცის შედეგია. „არავინ,—ამბობს ის,—არ მოსდგება და არ აქებს განურჩევლად მათხოვრებს, რომელთა უმრავლესობაც თავისი ცხოვრებით ყოვლად უვარგისი ადამიანებია“.

ქრისტიანულ საზოგადოებათა მოკვდინებისა და ბიუროკრატიზაციის წინააღმდეგ დაიწყო ძლიერი რეაქცია „ძმებსა და დებს“ შორის; რომელთა იდეოლოგიებიც იყვნენ გნოსტიკოსები. გნოსტიკური მოძღვრებანი ყველაზე მეტ თანამგრძობთ მოსახლეობის დაბალ ფენებში და ინტელიგენციის იმ ნაწილში პოულობდნენ, რომელიც უკმაყოფილო იყო არსებული წესებით და გნოსტიკურ ანარქიზმში ეძებდა განმოსავალს.

გნოსტიკოსთა მოძღვრება სიმდიდრის უარყოფის შესახებ და კომუნიზმის ქადაგება მკაცრ წინააღმდეგობას აწყდებოდა მართლმორწმუნეთა (ორთოდოქსთა) მხრით, რომლებიც ამართლებდნენ სო-

ციალურ უთანასწორობას და ემზრობოდნენ ქრისტიანულ საზოგადოებათა მტკიცე ორგანიზაციის ეკლესიის სახით და ეპისკოპოსის ხელისუფლებას. ყველაზე მკაფიოდ საეკლესიო ორგანიზაციის აუცილებლობის დასაბუთება წარმოდგენილია კართაგენის ეპისკოპოსის კიპრიანეს თხზულებაში; იგი იყო ორთოდოქსალური მიმართულების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საეკლესიო მწერალი. შეიძლება ითქვას, რომ, საკუთრივ, სწორედ კიპრიანე იყო საეკლესიო ხელისუფლებისა და ეპისკოპოსის ავტორიტეტის თეორიის ნამდვილი შემქმნელი.

„მართლაც, —წერდა კიპრიანე, —ჩვენ ხომ ვიცით, რომ არსებობს ერთი ღმერთი, ერთი მეუფე ქრისტე, რომელიც ჩვენ გვწამს, ერთი სულიწმინდა, —მამასადამე, უნდა იყოს ერთი ეპისკოპოსიც...“. „არ არის ხსნა გარეშე ეკლესიის შეამავლობისა“¹.

ანტონინებისა და სევეროსების „ბედნიერი საუკუნე“ ეს ის დრო იყო, როდესაც დაძაბულად მუშაობდა ქრისტიანული პუბლიცისტიკა, მიმართული იქითკენ, რათა დაეცვა ახალი სარწმუნოება წარმართთა თავდასხმებისაგან, ეწარმოებინა პოლემიკა სექტანტებთან, სისტემაში მოეყვანა და ჩამოეყალიბებინა ქრისტიანული დოგმატიკის ძირითადი დებულებანი და გამოემუშავებინა საეკლესიო ორგანიზაციის პრინციპები. ეკლესიის აუცილებელი საჭიროებისა და ეპისკოპოსის ავტორიტეტის დასაბუთების საკითხებზე გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა ორთოდოქსებსა და მათ მოწინააღმდეგეთა შორის.

ხანგრძლივი და შეუპოვარი სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის შედეგად გამარჯვება წილად ხვდათ ორთოდოქსებს, რომლებიც ეყრდნობოდნენ უფრო მეტად სიცოცხლისუნარიან სოციალურ ელემენტებს. ბრძოლა სექტანტებთან, განსაკუთრებით გნოსტიკოსებთან, ხელს უწყობდა ქრისტიანული დოგმის ჩამოყალიბებას, საეკლესიო წიგნების შესახებ ღვთისმეტყველურ დებულებათა ახალი აღთქმის კანონის გაძლიერებას ეკლესიის მტკიცე საფუძვლის სახით და კულტის განმტკიცებას. საკუთრივ, სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა მთელი ქრისტიანული იდეოლოგია, შეიქმნა მითი ქრისტეს შესახებ და შედგენილ თუ რედაქტირებულ იქნა ქრისტიანული სარწმუნოებრივი მოძღვრების ძირითადი წიგნები: ოთხი (სინოპტიკური) სახარება, სამოციქულონი და მოციქულთა ეპისტოლეები, და აგრეთვე აპოკალიპსისი. უფროსი თაობის „საეკლესიო მამათა“ ლიტე-

¹ C y p r., De unitate ecclesiae, 49, 2.

რატურულ-სამქადაგებლო მოღვაწეობის მთავარი ცენტრი იყო ეგვიპტის ალექსანდრია—ანტიკური სწავლულობისა და განათლების ცენტრი, და ამ პერიოდის ქრისტიანული ლიტერატურა მეტწილად ბერძნულ ენაზე არის დაწერილი.

ანტონინებისა და სევეროსების ეპოქის ქრისტიან მწერლებიდან ყველაზე მეტად სახელმძღვანელო იყვნენ მინუციუს ფელიქსი, — „ოქტავიის“ ავტორი, რომელიც მარკ ავრელიუსის დროს ცხოვრობდა, — ტერტულიანე, კლიმენტიუსი, ორიგენი და სხვ. თავისი ხასიათით „საეკლესიო მამათა“ (აპოლოგეტთა) თხზულებანი პოლემიკურ თხზულებებს წარმოადგენენ, აღსაესეს მუქარით თავიანთ მოწინააღმდეგეთა და მთელი წარმართული მსოფლიოს მიმართ. წერის აპოკალიპტური ფორმა ყველაზე მეტად გამოსახულია ტერტულიანეს. — ორთოდოქსიისა და სექტანტობის მიჯნაზე მდგომ ასკეტისა და ვიზიონისტის ნაწარმოებებში. „ქვეყნად, — სულერთიანად ბოროტებაა გამეფებული, სწერდა ტერტულიანე „ეპისტოლეში მარტვილთადმი“. სიმდიდრე, სახელი, პატივი, მდგომარეობა — ყოველივე ეს ფუქსავატი ამოვება. ქვეყანა უმძიმეს, სულის დამქანცველ ჯაქვებს ატარებს. ქვეყანა აღსაესეა მავნე აორთქლებებით, ესაა ცდუნება გარყვნილებისა და ავხორცობისა“. ქვეყნის უარყოფის ანალოგიური მოტივები მოეპოვებათ აგრეთვე სხვა მწერლებსაც, ტერტულიანეს უფროს და უმცროს თანამედროვეთ. ასე, მაგალითად, „მოციქულ იოანეს ეპისტოლეში“ ნათქვამია, რომ ქვეყნად მეფობს „ავხორცობა სხეულის, ავხორცობა თვალთა და მიწიერი ქედმაღლობა“. აქედან გამოჰყავთ საერთო დასკვნა: „არ შეიყვაროთ ქვეყანა, არც ის, რაც ქვეყნად არის, რამეთუ ვისაც უყვარს ქვეყანა, მასში არ არის სიყვარული ღვთისადმი“.

უარყოფდნენ რა საერთოდ „წარმართთა ქვეყანას“, ქრისტიანი პუბლიცისტები ამასთან ერთად ლებულობდნენ რომის იმპერიის სოციალურ-პოლიტიკურ წყობას მისი ძირითადი სოციალური რაობით.

„ღვე თვითეული დარჩეს იმ წოდებაში, რომელშიც იგი ამქამად იმყოფება, — ნათქვამია „პაულეს ეპისტოლეში კორინთის საზოგადოებისადმი“, — ვინც ქრისტიანობა მონობაში მიიღო, იგი ღვე იმადვე დარჩეს“.¹

უკვე თვით მიწიერ ღირებულებათა უარყოფით და იდეალის მიწიდან ზეცაში გადატანით ქრისტიანობა აფუჩეჩებდა კლასობრივ

¹ Paul, Ep. ad Corinth., I, 7, 20—21.

წინააღმდეგობათ, აკურთხებდა და ამტკიცებდა რა მით არსებულ წესებს. „ქრისტიანობის სოციალური პრინციპები ამართლებდნენ ანტიკურ მონობას, განადიდებდნენ საშუალსაუკუნეების ბატონყმობას...“.¹

თავის თხზულებებსა და ქადაგებებში ეკლესიის იდეოლოგიები გარყვნილ წარმართულ მსოფლიოს უპირისპირებდნენ აპოკალიპტური ფერებით დახატულ „ახალ იერუსალიმს“, საქმით კი ეკლესია ჰბაძავდა და იღებდა წარმართული იმპერიისათვის ჩვეულ ფორმებს. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რამდენადაც ქრისტიანობა წარმოადგენდა იდეოლოგიურ ზედნაშენს—რელიგიას, ხოლო ქრისტიანული საზოგადოებანი მომხმარებელთა კომუნებს, რომლებიც ინარჩუნებდნენ ძველ წარმოებითი საფუძვლებს. წარმართული იმპერიის წარმოებითი საფუძვლებს—მონობასა და კოლონატს—არც ეკლესია, არც ქრისტიანული რელიგია უარყოფდა. წარმოებითი საფუძვლის ერთნაირობით აიხსნება კათოლიკური ეკლესიის შემდგომი ევოლუციაც ცენტრალიზებული ბიუროკრატიული ორგანიზაციის მიმართულებით, რომელიც კანონზომიერად ეზრდებოდა „სატანის სამეფოს“, ე. ი. წარმართულ იმპერიას.

თავისი იდეოლოგიით ეგზომ განსხვავებული ორგანიზაციები—იმპერია და ეკლესია—არსებითად ერთდაიგივე მიზნებს ისახავდნენ: მონების, კოლონების და მათ მსგავს უშუალო მწარმოებელთა თანრიგების ორგანიზაციასა და ექსპლოატაციას საერო და საეკლესიო არისტოკრატიისა და მათი მომსახურე ბიუროკრატიული აპარატის სასარგებლო მიზნებს. ქვეყნის აპოკალიპტურმა კრიტიკამ კი გაუადვილა მუშაობა ეკლესიას და უზრუნველყო მისთვის წარმატება იმპერიასთან ბრძოლაში, რამდენადაც ეკლესიას „ზეციური სამეფოს“ სახით ჰქონდა იდეალი და მიზანდასახულობა, რაც წარმართულ იმპერიას არ გააჩნდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ მონათმფლობელური სისტემისა და რომის იმპერიის დაწყებული ფეოდალიზაციის პერიოდში წარმოშობილი საეკლესიო ორგანიზაცია გაცილებით უკეთ და იოლად შეეგუა წარმოშობის პროცესში მყოფ ფეოდალურ წესებს და შეითვისა ფეოდალური იდეოლოგია. სწორედ ამაში მდგომარეობს ეკლესიის სახელმწიფოზე გამარჯვების საიდუმლოება, სახელმწიფოზე, რომელიც გაცილებით უფრო მეტად დაკავშირებული იყო მონათმფლობელურ წყობილებასთან და კლა-

¹ მარქსი, „რანელი მიმომხილველის“ კომუნიზმი, მარქსი და ენგელსი, თხზ. კრებ., ტ. V, გვ. 173.

სიკურ კულტურასთან და კლასიკურ ბერძნულ-რომაულ რელიგიასთან.

ეკლესიის დამკვიდრებასთან ერთად რთულდებოდა აგრეთვე ქრისტიანული რელიგიის გარეგანი წესჩვეულებითი მხარეც. რიტუალის მხრივ ქრისტიანობა არანაკლებ სინკრეტული იყო, ვიდრე დოგმატიკის მხრივ. ყველაფერს, რის მიღებაც კი შეიძლებოდა ძველი წარმართული რელიგიების მდიდარი არსენალიდან, ქრისტიანები ლებულობდნენ გაშლილი ხელით, იხილავდნენ რა ნასესხებს როგორც „ღვთითმოვლინებულ მემკვიდრეობას“. რწმენა საიქიო ცხოვრებისა, მკვდრეთით აღდგომისა, ღმერთაკის (ქრისტეს) შუამავლობისა, სასწაულთა და მათი მსგავსი ძველ რელიგიათა ელემენტები აგრეთვე ქრისტიანულ რელიგიაშიც გადავიდნენ.

ქრისტიანული კულტი შესდგებოდა მთელ რიგ სიმბოლიურ მოქმედებათა, სიტყვებისა, ქადაგებათა, გალობისა და ლოცვებისაგან. ქრისტიანული რიტუალის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენდა „საიდუმლოება“ ზიარებისა, რომელიც შესდგებოდა პურისა და ღვინის ჭამა-სმისაგან და ეს უკანასკნელი კი წარმოადგენდა ღმერთთან ადამიანის მისტიკური შეერთების სიმბოლიურ გამოსახულებას. მეორე „საიდუმლოება“ იყო ნათვლა, რომელიც მღვდმარეობდა იმაში, რომ ქრისტიანულ საზობადოებაში შემსვლელ ახალ წევრს უნდა ებანავა წმინდა წყალში და მით იგი იწმინდებოდა პირველშობილ ცოდვისაგან. ანთებული სანთლები, რომლებიც ხელთ ეპურათ მლოცველებს, წარმოადგენდა დაბადების, სიკვდილისა და აღდგომის სიმბოლიურ გამოსახულებას. ქრისტიანული ეკლესიის მიერ მიღებული სიმბოლოები და წესები, რომლებიც დაკავშირებული იყო კეთილ და ბოროტ სულთა რწმენასთან, მეტნაწილად წარმოადგენდა შორეული წარსულის გადანაშთებს და ნასესხები იყო ბერძნულ-აღმოსავლეთური რელიგიებიდან. ქრისტიანობა, ისე როგორც ყველა იმდროინდელი რელიგია, იუდეველობის ჩათვლით¹, ღრმად სინკრეტულია. მასში გადახლართულია იმდროინდელი მსოფლიოს სამი ქვეყნის: იუდეას, ელადისა და რომის ელემენტები. თავისი დოგმატიკით ქრისტიანული ეკლესია მიმართულია იუდეასაკენ, ფილოსოფიით — ელადისაკენ, ხოლო პრაქტიკული მხრით — რომისაკენ.

¹ Fr. Cumont, Les mystères de sabazins et le judaisme. Comptes rendus de l'Académie des Inscriptions, 1906.

ყველა ზემოაღწერილი თვისებანი ქრისტიანულ რელიგიას უნიკერსალურ რელიგიად, კოსმოპოლიტურ რელიგიად ხდიდა; სულიერად იგი ახლოს იდგა რომის იმპერიასთან, შეიწოვა რასხვა რელიგიათა ყველა სიცოცხლის უნარიანი ელემენტი. ყოველივე ამის წყალობით ქრისტიანობას შეეძლო გამბდარიყო რომის იმპერიის გაბატონებულ რელიგიად და თანდათანობით შეზრდოდა მას. იმპერატორული რეჟიმის, ბიუროკრატიისა და სოციალურ-პოლიტიკურ კვდომის პირობებში ქრისტიანობა გადაიქცა ყველაზე ქმედ „ოპიუმად ხალხისათვის“.

„ქრისტიანობისათვის,—წერს ენგელსი,—უცნობი იყო დანაწილების გამოწვევი რაიმე წესჩვეულებანი, უცხო იყო კლასიკური ძველი ხანის თვით მსხვერპლის მიტანა და პროცესიები. უარპყოფს რა ამნაირად, ყველა ნაციონალურ რელიგიას და ყველა მათთვის საერთო წესჩვეულებას, და მიმართავს რა ყველა ხალხს განურჩევლად, ქრისტიანობა თვითონ ხდება პირველ შესაძლებელ მსოფლიო რელიგიად“¹.

რაც უფრო მეტად პლუტოკრატიზებული ხდებოდა ქრისტიანულ საზოგადოებათა სოციალური შემადგენლობა და რაც უფრო მეტად იფიტებოდა რევოლუციური ფრაზეოლოგია, მით უფრო მეტის დაჟინებით ფეხს იკიდებდა და ძლიერდებოდა მისწრაფება ეკლესიისა და სახელმწიფოს გაერთიანებისადმი. თავისი სოციალური შემადგენლობითა და ორგანიზაციით, ერთგვაროვანი ეკლესია და სახელმწიფო ერთმანეთისაკენ მიისწრაფოდნენ.

უკვე II საუკუნის ეკლესიის აპოლოგეტთა თხზულებებში გამოსკვივის იდეა ეკლესიისა და იმპერიის თანაარსებობის შესაძლებლობის შესახებ. ასე, მაგალითად, იუსტინე წამებული, II საუკუნის პირველი ნახევრის საეკლესიო მწერალი, მზად არის იცნოს კეისრის სახელმწიფო იმ პირობით, თუ სახელმწიფო სცნობს ქრისტიანულ ეკლესიას და დასჯილ იქნება ყველა, ვინც ცილს სწამებს ქრისტიანულ რელიგიას და ეკლესიას.

სახელმწიფოსთან დაახლოების გზით კიდევ უფრო შორს მიდის ქალაქ სარდის ეპისკოპოსი მელიტონი, რომელიც ცხოვრობდა მარკ ავრელიუსის დროს (II საუკუნის დამლევს). თავის ტრაქტატში კეშმარტების შესახებ, რომელიც დაცულია სირიულ ენაზე და ეძღვნება მარკ ავრელიუსს, მელიტონი ჩამოსთვლის ყველა იმ

¹ ენგელსი, ბრუნო ბაუერი და აღრინდელი ქრისტიანობა, თბილისი, 1939 წ., გვ. 16.

სარგებლობას, რასაც მოუტანს სახელმწიფოს ეკლესიასთან დაახლოება.

„ჩვენი სარწმუნოებამ, — წერს მელიტონი, — რომელიც ხალხშია აღმოცენებული, იწყო გაფურჩქვნა შენი სახელმწიფოს პროვინციებში შენი დიდი წინამორბედის ავგუსტუსის დროს და მრავალი დიდი სიკეთე შესძინა სახელმწიფოს. იმის საუკეთესო დამამტკიცებელს, რომ ჩვენი სარწმუნოება ჰყვალდა მონარქიის საკეთილდღეოდ, წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ავგუსტუსის მმართველობის დროიდან არც ერთი უბედურება არ დასტეხია თავს თქვენს საბრძანებლოს, პირიქით, ყველაფერი ამრავლებდა და აძლიერებდა მის სახელსა და სიდიადეს. მხოლოდ ნერონი და დომიციანე, ბოროტგამზრახველ ადამიანთა მიერ სწორი გზიდან აცდენილი, შეეცადნენ სახელი გაეტეხათ ჩვენი სარწმუნოებისათვის. მრუშობაც ქრისტიანთა შესახებ მათგან მომდინარეობს“¹.

„საჭირო გახდა მსოფლიო იმპერიის გვერდით მსოფლიო რელიგიის შექმნა, — წერდა ენგელსი „ლუდვიგ ფეიერბახში“, — ამისთვის რომი შეეცადა შინაური ღმერთების გვერდით ყველა ცოტად თუ ბევრად პატივსადები უტხო ღმერთის თაყვანისცემა შემოეღო და საკურთხეველი აეგო. მაგრამ იმპერატორების დეკრეტებით შეუძლებელია ახალი მსოფლიო სარწმუნოების შექმნა“².

რამდენადაც რომის იმპერია მსოფლიო სახელმწიფოდ იქცეოდა და რესპუბლიკური წყობილება ადვილს უთმობდა ცენტრალიზებულ მონარქიას, რომის იმპერატორიც არსებული ვითარების ძალით აბსოლუტურ მონარქად, ზეკაცად — ავგუსტუსად იქცეოდა. პროვინციებში იმპერატორი ღმერთების თანაბარ პატივისცემაში იყო. ავგუსტუსის დროინდელ ერთ მცირეაზიის წარწერაში, იმპერატორი წოდებულია „მხსნელად“, „მშვიდობის მყოფელად“, „ღმერთად“ და ა. შ. ამ დღემ (ავგუსტუსის დაბადების დღე), — ნათქვამია წარწერაში, — გარდაჰქმნა მთელი მსოფლიო. იმპერატორის დაბადების დღე — მთელი სიციოკხლის; ცხოვრების ყველა სიკეთის საწყისია. იგი გარდმოვლენილია როგორც ჩვენი და მომავალ თაობათა მხსნელი. დიდ სამოქალაქო არეულობას ბოლო ეღება, ყველაფერი ჩინებულად მოეწყობა“.

ამის შემდეგ უკვე ძნელი აღარ იყო, რომ იმპერატორი გაეთა-

¹ Euseb, Hist. eccl., IV, 26.


² ენგელსი, ლუდვიგ ფეიერბახი, სახელგამი, 1932 წ., გვ. 56.

თანაბრებინათ ქრისტიანობის იდეალურ ფუძემდებელთან—ქრისტესთან, ხოლო თვითონ ქრისტე იმპერატორის მანტიით შეემოსათ და იმპერატორის ატრიბუტებით დაეჯილდოვებინათ. შემდეგში გავლენის სფეროები დაყოფილ იქნა: იმპერატორის დარჩა ძალაუფლება მიწაზე, ქრისტეს კი—ზეცაში.

ანტონინუსის დინასტიის იმპერატორების დამოკიდებულება¹ რელიგიისადმი და, კერძოდ, ქრისტიანობისადმი საერთოდ შეგნარებელი იყო, როგორც ეს ჩანს ტრაიანეს მიმოწერიდან პლინიუსთან იმ საკითხებზე, რომლებიც შეეხებოდა ქრისტიანებს. ვისაც ბრალად დაედება „წარყვნილი ცრუპორწმუნება“ და არ მოინანიებს, ის უნდა დაისაჯოს, ქრისტიანეთა წინააღმდეგ მიმართული საგანგებო ზომების შექოლება კი საჭირო არაა! ასეთია იმპერატორის თვალსაზრისი. ანტონინ პიუსი დასაშვებად მიიჩნევდა ქრისტეს კულტს რომის იმპერიაში არსებულ სხვა კულტების თანაბრად.

ამგვარად, თანდათანობით, შინაგანი ლოგიკის ძალით, მზადდებოდა ეკლესიისა და სახელმწიფოს—მონათმფლობელური რომის ამ ორი ტოლდიდი ორგანიზაციის—დაახლოება. ორივე ისინი იყვნენ შეძლებულ კლასთა ორგანიზაციები, რომლებიც ზოგ საკითხებში ერთმანეთს გამოორიცხავდნენ, სხვაში კი—ავსებდნენ.

¹ H. Eberlein, Kaiser Mark Aurel und die Christen, 1914-



თ ა ვ ი XXI

მონათმფლობელური სისტემის დაშლა

1. პეპულიუმი და თავდახსნილობა

ყველა ზემოაღნიშნული ცვლილებები რომის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ სფეროში პირდაპირ, თუ არაპირდაპირ დაკავშირებული იყო რომის იმპერიის საწარმოო საფუძვლის ცვლილებებთან. მონათმფლობელური სისტემა, რომელიც შეადგენდა კლასიკური პერიოდის რომის ეკონომიკის საფუძველს, უკვე რესპუბლიკის დასასრულიდან ააშკარავებდა დაშლის სიმპტომებს. მონათმფლობელობის დაშლა განსაზღვრული იყო საშინაო და საგარეო ხასიათის ფაქტორებით.

როგორც ცნობილია, წარმოების მონათმფლობელური წესი ამართლებს თავის-თავს მხოლოდ განსაზღვრულ სოციალურ-ეკონომიურ და ტექნიკურ დონემდე. საწარმოო ძალთა ზრდის, წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლითი ურთიერთობათა გაფართოების, შრომის განაწილების, მუშაობის მეთოდების გაუმჯობესებისა და ტექნიკური პროგრესის პირობებში მონათმფლობელური მეურნეობა თავისი წმინდა სახით არარენტაბელური ხდებოდა და იმანენტური მიზეზების გამო იშლებოდა. ამ მიზეზებს რესპუბლიკის დასასრულიდან დაერთო კიდევ დამატებითი ფაქტორები—ფასების აწვევა მონებზე, განსაკუთრებით კვალიფიციურ მონებზე, დაპყრობათა შემცირების გამო, მონათა აჯანყებები, რომლებიც არყვედნენ მონათმფლობელური წყობილების საფუძვლებს, მონების ხშირი გაქცევა, შეთქმულებანი და ხელყოფა თავიანთ ბატონებზე და ა. შ.

„რამდენიც მონა—იმდენი მტერი“¹—ასეთია მონათმფლობელთა და მონებს შორის არსებულ კლასობრივ ურთიერთობათა ფორმუ-

¹ Seneca, Epist., 47,5.

ლა. ამ ზოგადი ფორმულის კონკრეტულ ილუსტრაციას წარმოადგენს ქვემოთ მოყვანილი ნეგოციატორ ელი ასპრენის საფლავის წარწერა, რომელშიც გარდაცვალებული გამოსთქვამს თავის სიხარულს სიკვდილის გამრ, რომელმაც, ბოლოსდაბოლოს, გაანთავისუფლა იგი მისი მონების მონობიდან (Aelius Asprenas Commodi Caes. Negot., quo nemo mortem alacrius admisit quod ad servorum suorum servitute tandem liber evaderet. Hoc autem testamento cavit posteris inscribi).¹

მონათმფლობელური წყობილების დაშლის ერთ-ერთი სიმპტომი იყო პეკულიუმი (peculium). პეკულიუმი რომის სამართალში ეწოდებოდა ყოველგვარ ადგილ-მამულს, რომელსაც სახლის პატრონი გამოუყოფდა ინდივიდუალურ სარგებლობაში იურიდიულად მისგან დამოკიდებულ პირებს,—შვილს (peculium filii), მონას (peculium famuli, servi), თავდახსნილს, და ა. შ. პეკულიუმი—პირობითი მფლობელობა ნივთის, მიწის, სახელოსნოსი ან უფლებისა, რომელსაც გარკვეულ პირობებით სახლის პატრონი (pater familias) უთმობს მისგან დამოკიდებულ სუბიექტს. თავდაპირველად პეკულიუმის სახით აძლევდნენ საქონელს, პირუტყვს, საიდანაც წარმოდგება თვითონ ტერმინიც—პეკულიუმი (pecus-იდან—საქონელი). პეკულიუმი აღმოცენდა უმთავრესად სახლის პატრონის—მონათმფლობელის ინტერესებიდან. მონათმფლობელს ის შესაძლებლობას აძლევდა ფართო მამულებით ეწარმოებინა ვაჭრობა, გაეფართოვებინა წარმოება, გაეუმჯობესებინა მუშაობის მეთოდები და უფრო მეტი სარგებლობა მიეღო მიწის დამუშავებიდან. მონისთვის კი პეკულიუმი უზრუნველყოფდა იურიდიული თავისუფლების მინიმუმს, საშუალებას აძლევდა მოეხდინა დაგროვება, ჰყოლოდა საკუთარი მონები, ხოლო პერსპექტივაში მოქალაქეობრივი უფლების მოპოების იმედს აღუძრავდა.²

პეკულიუმის შემადგენლობაში შეიძლებოდა ყოფილიყო ყოველგვარი ნივთი, მოძრავი და უძრავი ქონება,—პეკულიუმში შეიძლებოდა შესულიყვნენ აგრეთვე მონებიც (vicariorum peculium).³

იურისტთა მიერ ამ საგანზე გამოთქმულ მოსაზრებებიდან ჩანს, რომ პეკულიუმის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სახეობას წარმოადგენდა მიწა, საქონელი და ინვენტარი, რომლებითაც ბატონი ამარაგებდა თავის მონას, ანიჭებდა რა მას უფლებას საკუთარი პა-

¹ Fabretti, Inscrpt. ant., X, 238.

² Dig., XXIX, 1.

³ Dig., XV, 1,19; Ulp., 29.

სუბსიშტეგებლობით შეესრულებინა იურიდიული აქტები; გარდა ამისა, იმპერიის დროს განსაკუთრებით ხშირი იყო პრაქტიკაში მონებისათვის პეკულიუმად ფულის მიცემა (sors) იმ უფლების მინიჭებით, რომ ბატონის იურიდიული პასუხისმგებლობით ეწარმოებინათ ვაჭრობა, ფულის საქმეები, გაეღოთ სახელოსნოები და ა. შ.¹

პასუხისმგებლობას მონის მიერ დადებულ გარიგებათა და ხელშეკრულებათათვის პეკულიუმის შესახებ არსებული განსაკუთრებული სარჩელის ძალით (actio de in rem verso) კისრულობდა მისი პატრონ-მრწმუნებელი, ე. ი. მონათმფლობელი (in rem autem domini versum intellegitur, quidquid necessario in rem eius solveret);² პეკულიუმების გასხვისება ანუ გადაცემა აკრძალული იყო კანონით. „არც მონას, არც კოლონს არ შეუძლია განასხვისოს თავისი პეკულიუმი (nec servum nec colonum peculium suum distrahere). გარდა ამისა, პეკულიუმის მყიდველნი პასუხს აგებენ ქურობის შესახებ არსებული სარჩელის ძალით“.³

კანონის მიხედვით ბატონი პასუხს აგებს პეკულიუმის მქონებელის ყველა გარიგებებისათვის, თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთები დადებულია მისდა გაუგებლად (quamvis sine voluntate domini negotium gestum erit).⁴

„არც თვითონ მონას შეუძლია ვალი აიღოს, არც მონის მოვალედ ყოფნა შეიძლება“ (Nec servus quicquam debere potest, nec servo potest deberi).⁵

მონათმფლობელისა და მონის ურთიერთობა საკმაოდ გარკვევით გამოჩანს ქვემოთ მოყვანილი იურიდიული კაზუსიდან, რომელიც ტიპური მაგალითის სახით მოთავსებულია დიგესტებში. ერთმა თავის მონას დასამუშავებლად გადასცა მიწის ნაკვეთი და მისცა მას ხარები (quidam fundum colendum servo suo locavit et boves dederat). ხარები უვარგისი გამოდგნენ. მაშინ ბატონმა უბრძანა გაეყიდა ხარები იმ პირობით, რომ მათში აღებული ფულით ეყიდა სხვა ხარები. მონამ ხარები იყიდა, მაგრამ გამყიდველს ფული არ გადაუხადა. ამის გამო წარმოიშვა იურიდიული კაზუსი—ვინ უნდა იყოს პასუხისმგებელი ფულის გადაუხდელობისათვის. იურისკონსულტი სთვლის, რომ გადახდა, და მასთან მთლიანად (in solidum),

¹ Dig., XV, I, De peculio.

² Cod. Herm., XVI.

³ Instit., VI, 7,3.

⁴ Instit., IV, VII, 4

⁵ Dig., XV, I, 41.

ევალემა მონის ბატონს, ვინაიდან მონა, არის რა მოქმედი პირი ფაქტიურად, არ არის ასეთი იურიდიულად (*qui boves vendiderat nummos a domino petebat actione de peculio—aut quod in rem domino versum esset*).¹

მაგრამ პრაქტიკაში პეკულიუმის მქონებელს გაცილებით უფრო ფართო უფლებები ჰქონდა, ვიდრე ეს ერთის შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს. უკვე თვითონ პეკულიუმის ფაქტის ძალით, რომელიც მონათმფლობელს მონას ჩამოაშორებდა, მონა ერთგვარად თავისუფალი ხდებოდა, ჰქონდა საკუთარი ინიციატივა, მოქმედებდა რა თავისი ბატონის რწმუნებულის—*მოურავის*, სახელისნოს პატრონის, სავაქრო ნოქრის, ნაგეტეს (*magister navis*) სახით და ა. შ. არსებითად მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ბატონის პასუხისმგებლობა ცნობილი იყო მხოლოდ პეკულიუმის ფარგლებში, დანარჩენში კი მონა და კრედიტორი, რომელიც მასთან გარიგებას სდებდა, თავისუფალი იყვნენ. პრაქტიკაში მონის ფორმალურ უფლებობას გვერდს უვლიდნენ ფაქტიური ფორმულების საშუალებით, დაურთავდნენ რა სიტყვებს: „ის რომ თავისუფალი იყოს“ (*si liber esset*), ანდა სპეციალურ სარჩელებს პეკულიუმების შესახებ სუბიექტთა გადასაცემებით (*actiones adiecticiae qualitatis*).²

ამნაირად მონას შესაძლებლობა ეძლეოდა გაეკეთებინა ერთგვარი დანაზოგი (*parsimonia*), განთავისუფლებულიყო ეკონომიურად თავისი ბატონის დამოკიდებულებისაგან და მით როგორღაც თავისუფალთა თანრიგში გადასულიყო. პეკულიუმის მქონე მონების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის ამაღლებაზე მიუთითებს დიგესტებში არსებული დამახასიათებელი გამოთქმები, როგორც, მაგალ., ის, რომ მონას შეუძლია ჰქონდეს საკუთარი ქონება (*proprium patrimonium*), აწარმოოს დაგროვება და ა. შ. თვითონ პეკულიუმს იხილავენ როგორც „ვითომდა საკუთრებას თავისუფალი ადამიანისა“ (*quasi patrimonium liberi hominis*).³

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ სხვადასხვა სახის პეკულიუმების განვითარებას ბუნებრივი აუცილებლობით თანსდევდა ახალ ქონებრივ კატეგორიათა შექმნა და შვილებისა და მონების განთავისუფლება მამისა და ბატონის ხელისუფლებისაგან. ასე იშ-

¹ Dig., XVI, 16,5.

² Dig., XIV, 1; 5: ვ. მ. ხვოსტოვი, რომის სამართლის ისტორია, 1919 წ., გვ. 264 (რუს.).

³ Dig., XV, I, 47.

ლებოდა ძველი რომის მთავარი საფუძვლები -- პატრიარქალური ოჯახი და მონათმფლობელობა.

ეკონომიური თვალსაზრისით პეკულიუმების პრაქტიკა დიდად ხელსაყრელი იყო, მეურნეობას იგი ბევრად უფრო მოქნილად და მრავალფეროვნად ხდიდა, განვითარებული გაცვლა-გამოცვლისა და ფულის ტრიალის მოთხოვნათა შესაბამისად. პეკულიუმების წყალობით უმოძრაო მონათმფლობელური ოიკოსი წვრილ, ნახევრად და-მოუკიდებელ მეურნეობებად იშლებოდა, შრომა კაპიტალისაგან ჩამოშორებული ხდებოდა, მონა ყაზარმული რეჟიმისაგან თავისუფლდებოდა და, სცდილდებოდა რა თავის ბატონს, ყმად იქცეოდა, ე. ი. სოციალური კიბის ახალ უფრო მაღალ საფეხურზე აღიოდა.

მონათმფლობელური წყობილების დაშლის მეორე მაჩვენებელს, პეკულიუმისგან განუყრელს, წარმოადგენდა აზატობა, რომელმაც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში უაღრესად ფართო განვითარება მიიღო. ავტორიტეტულ სწავლულთა შეხედულებით, თავდახსნილთა (*liberti, libertini*) რიცხვი ამ საუკუნეებში დიდ ქალაქებში მთელი მოსახლეობის 40, 50 და მეტ პროცენტამდეც აღწევდა.¹

აზატობის ინსტიტუტი გამოწვეული იყო ეკონომიური ანგარიშით და პოლიტიკური მოსაზრებებით: ერთი მხრით, სურვილით, მაქსიმალურად ხელსაყრელად გამოყენებული ყოფილიყო მონის ენერგია და განთავისუფლებულიყვნენ მისი რჩენისა და ორგანიზაციული ზრუნვისაგან, მეორე მხრით კი -- აზატის (*ლიბერტის*) სახით ახალი კლიენტი შეეძინათ. ურთიერთობანი ბატონსა და მონას შორის ამ უკანასკნელის გაშვების მომენტიდან კი არ სწყდებოდა, არამედ მხოლოდ იცვლიდა თავის ფორმას. მონათმფლობელი, რომელიც უშვებდა მონას, ფულადი სასყიდელის გარდა, როგორც პატრონი ლებუობდა უფლებას მოეთხოვა თავისი კლიენტისაგან სხვადასხვა სამსახური და სამუშაოს შესრულება, რაც გამოხატული იყო რომაელ იურისკონსულტების მიერ ფორმულით -- პირადი სამსახური (*operae officiales*) და ხელოსნური სამუშაოები (*operae fabriles*).

კლიენტის პირად სამსახურზე (*operae officiales*) პრეტენზია შეეძლო ჰქონოდა მხოლოდ თვითონ პატრონს, და მისი გასხვისება

¹ A. M. Duff, *Friedmen in the Early Roman Empire*, 1923.

არ შეიძლება (nec cuiquam alio deberi possunt quam patrono, cum proprietates earum et in edentis persona et in eius cui eduntur constit). სახელოსნო სამუშაოები კი (operae fabriles) შეიძლება წარმოებული ყოფილიყო აგრეთვე მესამე პირთა სასარგებლოდაც (fabriles autem aliaeve eius generis sunt, ut a quocumque cuicumque salvi possunt. Sane enim, si in artificio sint, iubente patrono et alii edi passunt)¹.

პატრონის უფლებები მხოლოდ იმ ცოდნასა და ოსტატობაზე კი არ ვრცელდებოდა, რომელიც კლიენტს გააჩნდა მონად ყოფნის დროს, არამედ იმ ოსტატობასა და ცოდნაზეც, რომელსაც მონა იძენდა უკვე გაშვების შემდეგ.

თავისთავად ცხადია, რომ ბატონსა და აზატს შორის წამოკრილ ყველა იურიდიულ კონფლიქტების (კაზუსების) დროს კანონი, როგორც წესი, ყოველთვის ბატონის უფლებებს იცავდა; კერძოდ, ამას აღვილი ჰქონდა ლიბერტების მიერ თავისი ქონების ანდერძის ან სხვა რაიმე გზით გადაცემის მიმართ. „ოდესლაც, — წერს გაიუსი, — ლიბერტს უფლება ჰქონდა გვერდი აეგლო ანდერძში პატრონისათვის. შემდგომ ეს იურიდიული უსამართლობა გამოსწორებულ იქნა პრეტორის ედიქტით. შემდეგში პატრონების უფლებები (iura patronorum) კიდევ უფრო გადიდებულ იქნა“².

მიუხედავად იმისა, რომ ბატონები ყოველგვარ ბოროტ ხერხებს მიმართავდნენ, აზატობის ინსტიტუტი მთელი იმპერიის განმავლობაში განაგრძობდა თავის განვითარებას, ხოლო ლიბერტების უფლებები და ხვედრითი წონა რომის ეკონომიკასა და საზოგადოებაში საუკუნიდან საუკუნემდე სულ უფროდაუფრო იზრდებოდა. გაშვებული მონები მეტწილად ეკუთვნოდნენ ბატონის საშინაო შტატს, სავაჭრო შუამავლებს, ხელოსნებს და ინტელიგენტურ პროფესიათა წარმომადგენლებს, და შედარებით იშვიათად ხდებოდა მონა შავი მუშების გაშვება, მაგრამ მაინც აქაც ემჩნეოდა მონათმფლობელობის დაშლის საერთო ტენდენცია. გაშვებული მონები, რომლებიც ლეგლობდნენ ანდერძით ან სხვა რაიმე გზით იძენდნენ ქონებას, სახელოსნოების, დუქნების, ბანკირთა კონტორების მუშაპატრონეები ხდებოდნენ ანდა სახელმწიფო და სამოქალაქო სამსახურში შედიოდნენ. ზემოაღნიშნულ ეკონომიურ ანგარიშს გარდა, აზატობის ზრდას ხელს უწყობდა აგრეთვე საერთო-საიმპერიო პოლიტიკაც. ყველაზე მეტი აზატები და მონები ჰყავდათ თვითონ იმპერატორებს, რომელ-

¹ Dig., XXXVIII, 1, 9.

² G a I, Instit., III, 39.

ნიც მათ იყენებდნენ როგორც თავის პირად მეურნეობასა და ყოფაცხოვრებაში, ისე სახელმწიფო სამსახურში.

განსაკუთრებით კლავდიუსისა და ადრიანეს დროს ლიბერტებს საპასუხისმგებლო ადგილებზე ნიშნავდნენ მმართველობის სხვადასხვა უწყებებსა, სასახლესა და იმპერატორის პირად მეურნეობაში.

„უმალეს მმართველებს,—აცხადებს პლინიუს უმცროსი „პანეგირიკში“ იმპერატორ ტრაიანესადმი,—მეტნაწილად თავი ისე ეკავათ, როგორც ბატონებს თანამოქალაქეთა მიმართ და როგორც მონებს თავიანთ თავდახსნილთა მიმართ. ისინი მართავდნენ მათი რჩევა-დარიგებითა და მითითებებით, ისმენდნენ მათი ყურებითა და ხედავდნენ მათი თვალებით; მათი საშუალებით ცდილობდნენ მიეღწიათ პრეტორობისა და კონსულობისათვის, და კიდევ მეტიც, ისინი ამას ხვეწნა-მუდარით გამოითხოვდნენ“¹.

როდესაც გასაშვები მონების რიცხვს გარკვეული ნორმით საზღვრავდნენ, იმპერატორები წმინდა პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარეობდნენ. იმ შემთხვევებში კი, როდესაც ეს პოლიტიკური საფრთხე არ იგრძნობოდა, ისინი არამც თუ არ აფერხებდნენ, არამედ უფრო აქეზებდნენ კიდევ მონების გაშვებას. პროვინციებში მდიდარ აზატთა განსაკუთრებული ორგანიზაცია კი არსებობდა,—ავგუსტუსტალების (augustales) კოლეგიები, რომელთა ოფიციალური მოვალეობაც იყო იმპერატორების კულტის შესრულება. ეს კოლეგიები თვითონ იმპერატორების მფარველობის ქვეშ იყვნენ.

თავდახსნილთა სოციალური როლი რომის საზოგადოებაში იმპერატორულ პერიოდში ანტიკურობის არცერთი თანამედროვე ისტორიკოსის მიერ არ არის უარყოფილი,—პირიქით, საზღვარგარეთულ ლიტერატურაში შესამჩნევად კი ხდება ამ ფაქტის მნიშვნელობის გაზვიადებისა და მისგან არასწორი დასკვნების გამოყვანის ტენდენცია. დასავლეთის მრავალ ისტორიკოსს აზატობის ზრდა თავისუფალი მოსახლეობის იმავდროულ შემცირებასთან ერთად ანტიკური კულტურის გადაგვარებისა და დაშლის ძირითად მიზეზად მიაჩნია. ასეთია, მაგალითად, ცნობილი ისტორიკოსის ტენეიფრანკის თვალსაზრისი, რომელიც გატარებულია მის შრომაში „რასობრივი აღრევა რომის იმპერიაში“².

რასობრივი თვალსაზრისის გასაბათილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მოგვიანო ანტიკურობაში აზატები და კოლონები მოსახლეო-

¹ Plin., Paneg., 88.

² T. Frank, Race mixture in the Roman Empire; «Amer. Hist. Review» 1916, v. 21, p. 689.

ბის ყველაზე უფრო მყარ და ჯანსაღ ნაწილს წარმოადგენდნენ. რომის იმპერიის მთელი შენობა მათი მხრებით იყო გამაგრებული. იმ დროს, როდესაც მაღალი კლასები ჰკარგავდნენ ინტერესს საზოგადოებრივი და ოჯახური ცხოვრებისადმი და დეგრადაციას განიცდიდნენ, აზატთა შორის ადგილი ჰქონდა შრომის უფრო მაღალ შეფასებას და ოჯახის აღორძინებას. ამას მოწმობს მრავალრიცხოვანი ეპიტაფიები, რომლებშიც ბევრი აზატი, უწინდელი მონები, მგრძნობიარე სიტყვებში გამოსთქვამენ ცოლქმრულ ერთგულებას და ოჯახის მოყვარულობას, თავი მოაქვთ რა თავისი პროფესიით მქედლისა, მეწაღისა, მღებარისა, მემაულისა, ფეიქრისა, მეკასრისა და ა. შ. მაშინ როდესაც ძველი დიდკაცობა ურთიერთ ბრძოლაში ანადგურებდა თავის-თავს და ბიწიერებასა და მოყირკებაში ინთქებოდა, მონათმფლობელური საზოგადოების წიაღიდან იზრდებოდა ახალი სოციალური ძალები, რომელთაც გაახანგრძლივეს მონათმფლობელური რომის დაშლა.

იკვლებოდა აგრეთვე შეხედულებანიც ფ ი ზ ი კ ლ რ შ რ ო მ ა ს ა და მის წარმომადგენლებზე—თავისუფალ ხელოსნებსა, ლიბერტებსა და მონებზე. რომის კლასიკურ სამართალში სხვადასხვა შეხედულებამ შრომაზე თავისი გამოხატულება ჰპოვა დაჯავში მატერიისა და შრომის სპეციფიკაციის (specificatio) საკითხზე. შრომაზე ძველი შეხედულების წარმომადგენლები—საბინიანელები, იურისტ საბინის მიმდევრები, არ განასხვავებდნენ შრომასა და მატერიას, რომლიდანაც გაკეთებულია ნივთი. შრომაზე ასეთი შეხედულების დროს ოსტატის, ამათუიმ ნივთის შემქმნელის პიროვნება, მასალაში ინთქებოდა, ოსტატი მთლიანად მასალის მფლობელს ეკუთვნოდა. საწინააღმდეგო შეხედულებისა იყვნენ პროკულეიანელები, რომლებიც გამოსახავდნენ ახალ ეკონომიკას და ახალ საწარმოო ურთიერთობათ. პროკულეიანელთა აზრით, შრომა გამოიყოფა მატერიისაგან, და მით, მაშასადამე, ოსტატის პიროვნება გამოიყოფა სამუშაოს მიმცემს, და იგი იურიდიულად დამოუკიდებელ პირად ხდება. „ზოგიერთი აიგივებს მატერიასა (materia) და თვითონ ნივთს (substantia), ფიქრობს რა, რომ ნივთი ეკუთვნის იმას, ვისაც მატერია ეკუთვნის. ასეთ შეხედულებას ემხრობიან საბინი და კასიი. სხვები კი სთვლიან, რომ ნივთი (res) ეკუთვნის მას, ვინც ის გააკეთა. ამას ამტკიცებენ მეორე სკოლის ავტორიტეტები“¹.

¹ Gal, Instit., III, 39—42, ed. Huschke Inst., III, XIII.

პროკულებიანელთა თვალსაზრისი თავის აღიარებას პოულობდა იმისდა მიხედვით, რაც უფრო იღვენებოდა მონების შრომა ანატეზისა და თავისუფალთა შრომით, რომელთა რიცხვიც სულ უფროდაუფრო იზრდებოდა როგორც ქალაქის, ისე სოფლის მეურნეობაში.

შრომაზე შეხედულების ცვლილების შესაბამისად უმჯობესდებოდა აგრეთვე მონების უფლებრივი მდგომარეობაც, რომლებიც „მოლაპარაკე მანქანებიდან“ ადამიანებად იქცეოდნენ¹. მონების შესახებ რომის კანონმდებლობის ისტორიაში მთელ ეპოქას შეადგენენ კლავდიუსის კანონი (edictum Claudii), რომელიც ათავისუფლებდა ავადმყოფ მონებს², და პეტრონიუსის კანონი (lex Petronia) ნერონის დროს, რომელიც კრძალავდა მაგისტრატის სანქციის გარეშე მონების გაგზავნას გარეულ მხეცებთან საბრძოლველად³.

იმპერატორ ადრიანეს ბრძანებით, ბატონს აკრძალული ჰქონდა თვითნებურად მონის მოკვლა⁴, ანტონინუს პიუსის დროს თავისი მონის მოკვლა გათანაბრებული იყო სხვისი მონის მოკვლასთან, და მონებმა თავშეთარების უფლება მიიღეს⁵.

რომის სამართალში სულ უფროდაუფრო მტკიცდებოდა შეხედულება, რომლის მიხედვითაც თავისუფალი მდგომარეობა ბუნებრივია (libertas est naturalis facultas), მონობა კი, თუმცა საყოველთაო სოციალურ ინსტიტუტად არის აღიარებული, ბუნების საწინააღმდეგო მოვლენად ითვლება (servitus est constitutio iuris gentium, qua quis dominio alieno contra naturam subiicitur)⁶. „სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისით,—სჯის ულპიანე,—მონები—არარაა (servis pro nullis habentur), მაგრამ ბუნებრივი სამართლის თვალსაზრისით (quod ad ius naturale attinet), ყველა ადამიანი თანასწორია“ (omnes homines aequales sunt)⁷.

მონებისათვის ადამიანური (ბუნებრივი) უფლებების აღიარებამ თავისი განვითარება მიიღო ხანგრძლივი სოციალურ-ეკონომიური და იდეოლოგიური მომზადების შედეგად, რამაც წაშალა განსხვავ-

¹ E. Cicotti, Il tramonto della schiavitù nel mondo antico.

² Suet., Claudius, 25.

³ Dig., XXXVIII, 8, 11.

⁴ Script. hist. Aug., Hadrian., 18.

⁵ Dig., I, 6, 2.

⁶ Ibid., I, V, 4, De statu hominum.

⁷ Ibid., L, XVII, 32.

ვება მონებსა და თავისუფალთ შორის, წარჩინებულთა და არაწარჩინებულთა შორის, იტალიკებსა და პროვინციალებს შორის და. შექმნა ახალი განსხვავებანი ადამიანთა შორის ქონებისა და სინდიდრის მიხედვით. მეგობრები და მონები (*amici et servi*) არიან ადამიანები, რომელთაც ერთიდაიგივე რძე უსვამთ. საქმის არსი არა წარმოშობაშია, არამედ ბედში, — შენიშნავს პეტრონიუსის „სატირიკონის“ ერთ-ერთი მოქმედი პირი¹.

როგორ შორს არის ყოველივე ეს კატონ უფროსის დარიგებისაგან, რომელიც იძლეოდა რჩევას გაეყიდათ ან გადაეგდოთ მოხუცი და ავადმყოფი მონები დანარჩენ ხარახურასთან ერთად (*servum senem, servum morbosum et si quid aliud supersit vendat*)².

მიუხედავად მონათმფლობელური წყობილების დაწყებული დაშლის სიმპტომებისა, რომის საზოგადოება კვლავ მონათმფლობელური რჩებოდა. ეს სრულის სიციხადით ჩანს რომაელ იურისტთა მოსაზრებებიდან და ფორმულირებებიდან. ასე, მაგალითად, „ინსტიტუციების“ პირველ წიგნში ტიტულში პერსონალურ უფლებათა შესახებ საზოგადოების დაყოფა თავისუფალ ადამიანებად და მონებად ურყევ, ბუნებრივ სოციალურ ინსტიტუტად არის მიჩნეული. „პიროვნების უფლებათა ძირითადი დაყოფა ემყარება იმას, რომ ადამიანები ყველა თავისუფალი ან მონები არიან“ (*summa itaque divisio de iure personarum haec quod omnes homines aut liberi aut servi*). თავისუფლებად (*libertas*), საიდანაც გამომდინარეობს სახელწოდება თავისუფალნიც (*liberi*), გაგებულია ბუნებრივი უფლება (*naturalis facultas*) ყველაფრის გაკეთებისა, რაც შეზღუდული არ არის ძალით ან სამართლით.

მონობა კი არის საერთაშორისო უფლების ინსტიტუტი (*servitus autem est constitutio iure gentium*), რომლის მიხედვით ერთი ადამიანი წინააღმდეგ ბუნებისა ემორჩილება მეორე ადამიანის ნებას (*qua quis domino alieno contra naturam subicitur*). თვითონ სახელწოდება მონები (*servi*) წარმოდგება იქედან, რომ სარღლები ჰყიდიდნენ თავის ტყვეებს, უნარჩუნებდნენ რა მათ სიცოცხლეს (*servant*), ნაცვლად იმისა, რომ მოეკლათ ისინი. მეორე სახელწოდება *mancipia* წარმოდგება იქედან, რომ მათ ხელით იპყრობდნენ მტრები (*ab hostibus manu capiuntur*).

¹ Petron., Satyr., 71, 1.

² Cato, De re rust., II, 7.

მონების მდგომარეობაში არავითარი განსხვავება არ არის (in servorum condicione nulla differentia est). თავისუფალთა შორის კი მრავალი განსხვავება არსებობს. ისინი ან თავისუფალშობილი არიან (ingenui) ანდა გააზატებულნი (libertini)¹.

მონების ექსპლოატაცია იმპერიის დროს საცვლელი მეურნეობის გაფართოებასთან და ცხოვრების დონის ამაღლებასთან დაკავშირებით არამცთუ არ შემცირებულა, არამედ გადიდდა კიდევ, როგორც, მაგალითად, ეს ჩანს წისქვილში მომუშავე მონების მდგომარეობის ქვემო მოყვანილ აღწერიდან. „დიდო ღმერთებო, რა საცოდავი ხალხი მეხვია გარს! კანი ყველას დაღარული ჰქონდა ლურჯი ნაუღენთებით, მათრახით ნაცემი ზურგი ალაგ-ალაგ უფრო დაჩრდილული ჰქონდათ, ვიდრე დაფარული კონკის ძველმანი, ზოგ მათგანს მოკლე ტანსაცმელი ფერდებამდეც კი არ სწვდებოდა, პერანგი ყველას დაფლეთილი აქვს, ყველგან გამოჩანს სიშიშველე, შუბლი დაღალული, ნახევარი თავი მოპარსული, ზოგს ბეჭდები აქვს გაკეთებული, სახე მიწისფერი, თვალები კვამლითა და ცხელი ორთქლით ამომწვარი, ყველა მოიბეცებს, ამასთან ყველა ფქვილია არის დაბტვერული“².

2. სოფლის მუშაობა ჩვენი წელთაღრიცხვის

I—II საუკუნეებში

ის სოციალურ-ეკონომიური მიზეზები, რომელთაც გამოიწვიეს მონათმფლობელობის დაშლა ქალაქის მეურნეობაში, თავის გავლენას ახდენდნენ აგრეთვე სოფლის მეურნეობაზე და ც. ჩვენი წელთაღრიცხვის I—II საუკუნეებში რომის იმპერიაში შექმნილი ეკონომიური კონიუნქტურის დროს თავის გამართლებას პოულობდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ორი სახე, რომელნიც თანაბრად ძნელად შესათავსებელი იყო წარმოების მონურ წესთან მისი წმინდა სახით: 1) ინტენსიური საბაღე-საბოსტნე პლანტაციები (ვილები), რომელთაც მოჰყავდათ მაღალხარისხოვანი ღვინოები, ბოსტნეული, ხილი და სხვ., და 2) ექსტენსიური ნახევრად ფეოდალური მამულები—საძოვრები, ტყეები, მინდვრები, სათიბები და სხვ.

იმდროინდელი აგრონომიისა და აგროტექნიკის ყველა წესის მიხედვით მოწყობილი მონათმფლობელური ვილები წარმოადგენდა

¹ Instit., I, 3; L. Lange, Römische Altertümer, I, 144.

² A pul., Metam., IX, 12.

ადრინდელი იმპერიის აგრონომების იდეალს, რომელთა შორისაც ყველაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ლუციუს მორტიუს კოლუმელა, ნერონის თანამედროვე. კოლუმელა არ ურჩევს დიდი პლანტაციების გაშენებას, ვინაიდან გამოცდილება ცხადყოფს, რომ მხოლოდ საშუალო ზომის ვილები, მაგრამ კაპიტალის მნიშვნელოვანი დაბანდებით, რაციონალურად დაყენებულნი და თვითონ მფლობელის ან მისი რწმუნებული პირის (ვილიკუსის ანუ პროკურატორის) ზედამხედველობის ქვეშ მყოფნი იძლევიან თვალსაჩინო შემოსავალს. მეპატრონე, რომელსაც სურს მიიღოს ვილიდან შემოსავალი, მთელი არსებით უნდა მიეცეს თავის საქმეს. „ვინც გადასწყვიტა შეიძინოს მიწის ნაკვეთი, დეე გაჰყიდოს თავისი სახლი, რათა აღარ აღეძრას აწ მას სურვილი იცხოვროს ქალაქში, ვიდრე სოფელში“. „ვისაც ქალაქური ცხოვრება უფრო მეტად უყვარს, მისთვის ზედმეტია მამულის შექენა...“. „მამული უვარგის მდგომარეობაში მოდის, უკეთუ პატრონი არ აძლევს ვილიკუსს რჩევა-დარიგებას იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს,—თვითონ კი ისმენს მის დარიგებას“.

„სხვადასხვა რჩევა-დარიგებას დაუმატებ კიდევ ერთს, რომელიც ვიდიში ერთმა ბრძენმა საუკუნოდ გადასცა შთამომავლობას: ყველაფერში უნდა დავიცვათ ზომიერება. თავისთავად ცხადია, რომ ეს ნათქვამია როგორც საერთოდ ყველასთვის, ისე იმათთვისაც, რომლებიც ფიქრობენ შეიძინონ მამული, რათა არ ყიდულობდნენ იმაზე უფრო დიდი მოცულობის მამულს, ვიდრე ისეთს, როგორც დასაშვებია რაციონალური ანგარიშით. ამასვე ეხება ჩვენი პოეტის შესანიშნავი წარმონათქვამი: „აქე, აღიდე თვალ-უწედენელი მინდვრები, დამუშავებით კი მცირე ყანა დაიმუშავეო“ (*laudatio ingentia rura, exiguum colito*).

„ამ ლექსში სწავლულ პოეტს, როგორც მე ვფიქრობ, სურდა გაემართლებინა ძველისძველი თქმულება, რომლისთვისაც დავალებული ვართ მსოფლიოში ეკონომიურად ყველაზე განვითარებული ერის—კართაგენელებისაგან ისინი ამბობდნენ, რომ „ვუთნის დედა“ თავის მინდორზე ძლიერი უნდა იყოს“-ო (*imbecillio rem agrum quam agricolam esse debere*). მართლაც, უკეთუ მინდორი უფრო ძლიერი იქნება, მაშინ პატრონი, რომელიც მას ბრძოლას გაუმართავს, დამარცხდება. ექვს გარეშეა, რომ ვრცელი მინდორი, ცუდად დამუშავებული, უფრო ნაკლებ შემოსავალს მოგვცემს, ვიდრე მცირე, მაგრამ გულმოდგინედ დამუშავებული“.

კოლუმელას აზრით, იმ შემთხვევაში, თუ დაკული იქნება სათანადო პირობები, მეპატრონე უშუალოდ დაინტერესებული იქნება თავისი საქმეებით და იწარმოებს სამუშაო ძალის გულდასმით შერჩევას, მცირე მოცულობის ვილები გაცილებით მეტ სარგებლობას მოიტანს, ვიდრე მამულის იჯარით გაცემა.

„უკეთეს ჰავა და ნიადაგი ცოტად თუ ბევრად რიგიანია, მფლობელის პირადი ხელმძღვანელობა ყოველთვის უფრო მეტ შემოსავალს მოიტანს, ვიდრე იჯარით გაცემა კოლონებზე; თვით მეურნეობა ვილიკუსის საშუალებით უფრო დიდ შედეგს მოიტანს, რასაკვირველია, იმ პირობით, თუ ვილიკუსი არ აღმოჩნდება დაუდევარ და გაუმაძღარ მონად“ (*non nunquam etiam villici nisi si maxima vel negligentia servi vel rapacitas intervenit*)¹.

რაციონალურ საფუძვლებზე ორგანიზებული ვილის მეპატრონის პირველი საბრუნავი უნდა იყოს ზრუნვა მამულის სამუშაო ძალის რაციონალურად გამოყენების შესახებ (*tum maxime in hominibus*); ყველაზე არსებითია—ადამიანები, არიან ისინი კოლონები თუ მონები, ბორკილგაყრილნი თუ ბორკილგაუყრელნი (*atque hi vel coloni, vel servi sunt, soluti aut vincti*)². პირველი საქმეა,—კარგად მოვექცეთ როგორც პირველთ, ისე მეორეთაც. ჯობს როდი წარმოადგენს ერთადერთ აღმზრდელობითს და ორგანიზაციულ საშუალებას,—საჭიროა წახალისების კიდევ სხვა, უფრო ფაქიზი საშუალებანი.

„მონების მიმართ უნდა დავიცვათ შემდეგი წესები, რომელთა დაკვააც ჩემთვის არასოდეს სანანებლად არ გამხდარა. სასოფლო სამუშაოებზე დაყენებულ მონას, რომელიც გამოირჩევა კარგი ყოფაქცევით, მე უფრო ხშირად და ძალდაუტანებლად ველაპარაკები, ვედრე იმ მონებს, რომელნიც პირად მომსახურებას ეწევიან. ვხედავ რა, რომ ბატონის მოფერებითი მოპყრობა საშუალებას აძლევს მათ უფრო ადვილად გადაიტანონ თავისი განუწყვეტელი შრომა, მე ზოგჯერ ვხუმრები მათ და მათის მხრითაც დასაშვებად ვთვლი ხუმრობას. ხშირად მე მათთან, როგორც თითქოს გამოცდილ ადამიანებთან, კიდევაც ვთათბირობ ახალ საქმეშაოთა შესახებ და ამ გზით ვეცნობი თვითეულის ხასიათს და მოსაზრებულობის დონეს“³.

¹ Colum., I, 7.

² Ibid.

³ Ibid., Hettland, Agricola, Cambridge, 1921 წ.; Orth, Landwirtschaft. Pauly—Wissowa Real—Encycl., XXIII, I.

ამავე აზრს ატარებს პლინიუს უმცროსი, როცა ის აცხადებს: „იმაზე უარესი არა არის რა, როგორც ერგასტულეების ბორკილ-გაყრილ მონების მიერ დამუშავებული მიწის“ (*rura coli ab ergastulis pessime est*).

აგრონომების მიერ აწერილი სანიმუშო, რაციონალურად დაყენებული ვილები, რომლებიც თავისი ორგანიზაციით უკვე სცილდებიან მონათმფლობელური მეურნეობის ფარგლებს, გარდა კეთილი სურვილისა და გულმოდგინებისა მფლობელის მხრივ, თვალსაჩინო კაპიტალის დაბანდებას მოითხოვდნენ და, მაშასადამე, მათი მოვლა-პატრონობა შეეძლოთ მხოლოდ ზოგიერთ მდიდარ მემამულე-მეწარმეთ, როგორც იყო, მაგალითად, ფილოსოფოსი სენეკა. დიდად სახელგანთქმული იყო სენეკას ორი იტალიკური ვილა — ალბანური და ნომენტანური, — სადაც მაღალსარისხოვან ღვინო მოჰყავდათ და რომელიც დიდ შემოსავალს იძლეოდნენ.

აგრონომ-რაციონალიზატორთა რჩევა თავისთავად გონიერი იყო. მაგრამ მეურნეობის მონათმფლობელურ სისტემას ის არ ეგუებოდა. აგრონომების სურვილი, — მომხდარიყო პლანტაციების რაციონალიზაცია და უფრო რაციონალურად ყოფილიყო გამოყენებული მონების შრომა, — ებჯინებოდა მონათმფლობელური მეურნეობის სოციალურ-ეკონომიურ ბუნებას, რომელიც დასაშვებად არ ხდიდა არც დიდ მოცულობას, არც შრომის დიდ ინტენსიფიკაციას, არც კაპიტალის მნიშვნელოვან დაბანდებას.

რესპუბლიკასთან შედარებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა იმპერიის დროს შესამჩნევ პროგრესს ააშკარავებს როგორც მეშაობის მეთოდების და სამუშაო ძალის გამოყენების მხრივ, ისე სასოფლო-სამეურნეო იარაღების მხრივ. ყველაზე დიდი ტექნიკური პროგრესი შეიმჩნეოდა იმ ქვეყნებში, სადაც პროდუქტებს ყველაზე მეტი რაოდენობით ამზადებდნენ და სადაც მონების შრომას განსაზღვრული გამოყენება ჰქონდა. ასეთი ქვეყნების რიცხვს ეკუთვნოდნენ გალია და რომის აფრიკა. სოფლის მეორნეობაში ტექნიკური პროგრესის საილუსტრაციოდ საკმარისია რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ადასტურებენ გამოთქმულ დებულებას. პალადიუსის აგრონომიულ ტრაქტატში „სოფლის მეურნეობის შესახებ“ (IV ს.) აწერილია სამკალი ხელსაწყო (*carpentum gallicum*), რომელიც თავისი კონსტრუქციით სამკალ მანქანას მოგვაგონებს. ხელსაწყო შედგებოდა ორთვლიანი ურმიკასაგან, რომლის კვადრატულ ზედაპირზე მოთავსებული იყო გარეთ მიქცეული ფიცრები. მათი ზედა ნაწილი ქვედაზე უფრო ფართო იყო, და ურმის წინა ნაწილ-

ში უფრო დაბლა იყვნენ დადგმული, ვიდრე უკანაში. ფიცრებს უკეთებდნენ დიდის რაოდენობით წვრილ კბილანებს, რომლებიც გადალუნული იყო ზევითა მხარისკენ და სჭრიდნენ მათში ჩაცვი-
ნულ თავთავეებს. უკან ურემს შეაბამდნენ ხარს, რომელიც დაატა-
რებდა მას მინდორზე, მოჭრილი თავთავეები სციოდა ურემში, ნამჯა
კი რჩებოდა მინდვრად. აწერილი ხელსაწყოს ეკონომიური ეფექტი
ფრიალ დიდი იყო. წარმოებითი პროცესის მექანიზაციის მეოხებით
სამუშაო ძალის უდიდეს ეკონომიას აღწევდნენ: ერთი დღის განმე-
ლობაში ხარს ერთი მეხრით შეეძლო მთელი ნათესი მოემკო¹.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაში მომხდარ ცვლილებათა გამო-
სავალ წერტილს ძირითად სასოფლო-სამეურნეო იარაღში — გუ-
თანში — მომხდარი ცვლილებები წარმოადგენდნენ. რომაელ მწე-
რალთა ნაწარმოებებში სხვადასხვა ვარიაციით ხშირად არის მოხსენ-
ებული ან აწერილი სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მათ რიცხვში
გუთნებიც.

ძვირფასი მასალა სოფლის მეურნეობის, აგროტექნიკის, ნიადა-
გის თვისება — ხარისხის, წონის თვისებების, და სასოფლო-სამეურნეო
იარაღების საკითხებზე მოიპოვება პლინიუსის „ბუნებისმეტყველების
ისტორიაში“, რომლის სათაურივე მიგვითითებს საბუნებისმეტყველო
მეცნიერებისადმი არსებულ ინტერესზე.

„ცნობილია, — ამბობს პლინიუსი, — მრავალნაირი სახის გუთნები
(*vomerum plura genera*). საკვეთელი ეწოდება მრუდე დანას, რომ-
ლითაც სჭრიან მეტად მკვრივ მიწას, სანამ მას ასწევდნენ, და ამ
ნაქდევებით ნიშნავენ მომავალი კვლების ხაზებს, რომლებშიც ხენის
დროს ჩაერკობა მოლუნული სახნისი. გუთნის მეორე სახე — ესაა ჩვე-
ულებრივი გუთანი, ბერკეტის მსგავსად ნიკპიტით. მესამე — მსუბუქ-
თათვის, რომელსაც სახნისი წამოცმული აქვს არა მთელ ძირზე,
არამედ მხოლოდ პატარა მახვილს წარმოადგენს ბოლოში. ის უფრო
ფართო და ბასრი აქვს მეოთხე სახეს, თავდება ლახვარისებური წვერო-
თი და თავისი მახვილი მხარეებით სჭრის და კვეთს მიწასა და
ბალახის ფესვებს. რამდენიმე ხნის წინ რეციაში მოიფიქრეს მიემა-
ტებინათ გუთნისათვის წყვილი თვალი. ამ სახის გუთანს ეწოდება
Pluamoratum. მის სახნის აქვს ნიჩბის სახე. ასეთი გუთნით სთე-
სენ მხოლოდ მიწის წინასწარ კარგად დამუშავების შემდეგ, განსა-
კუთრებით ყამირს. ფართო სახნისი (*latitudo vomeris caespites
versat*) აბრუნებს ბელტს. შემდგომ იმწამსვე აბნევენ თესლეულს და

¹ Pall., *De re rust.*, VII, 2.

დაკბილული ფორცხებით გაივლიან მათზე“ (cratesque dentatas supertrahunt).

ანნაირად წარმოებული ნათესები მიწის შემოყრას არ საჭიროებენ, მაგრამ ასე ხვნა შესაძლოა მხოლოდ ორი-სამი უღელი ხარით. ერთმა უღელმა წელიწადში უნდა მოხნას ორმოცი ჰექტარი ზაფხუკი მიწა და ოცდაათი მიმიე“¹.

მეორე წყაროდან ვგებულობთ, რომ გალიაში ხმარობდნენ თვლებიან გუთანს, რომელიც უფრო ღრმად ხნავდა მიწას და ჰგლეჯდა სარეველა ბალახებს, იძლეოდა ღროისა და სამუშაო ძალის დიდ ეკონომიას².

პროვინცია აფრიკაში იყენებდნენ მექანიზებულ საღეწს (Iribula, plaustra punica); ისიც ურმისდაგვარია (genus vehiculi), მოფენილია კბილანებით, რომლითაც აძრობდნენ მარცვალს პურის თავთავებიდან³.

აღწერილმა სასოფლო-სამეურნეო იარაღებმა, რომლებიც ხმარებაში იყო როგორც პროვინციებში, ისე იტალიაშიც, მაინც ვერ პოვეს ფართო გამოყენება და ვერ მოახდინეს ტექნიკური რევოლუცია ავრიკულტურაში. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მონათმფლობელური წყობილების პირობებში საწარმოო იარაღების მექანიზაციას და ტექნიკურ პროცესს გარკვეული ზღვარი ჰქონდა დადებული. მექანიზებული ხელსაწყოები შეიძლებოდა ხმარებული ყოფილიყო მხოლოდ მსხვილ მეურნეობებში სამეწარმო განხრით, რომლებიც დიდი ბაზრისთვის მუშაობდნენ, კარგად ორგანიზებული იყვნენ, ჰქონდათ კაპიტალის თვალსაჩინო დაბანდება და სხვ. არც ერთი ეს პირობა რომის იმპერიაში არ არსებობდა. რომის მემამულის იდეალად მუდამ რჩებოდა ოიკოსი, საბატონო და არა მეწარმის ტიპის, კარჩაკეტილი ნახევრად ნატურალური მეურნეობა. რომელი მაგნატი ითავისუფლებდა თავს დიდი დაჯიქარებისაგან და ამჯობინებდა დაემუშავებინა თავისი სამფლობელოები მონების საშუალებით ანდა გაეცა ისინი იჯარით წვრილ მოიჯარეებზე-კოლონებზე.

3. ლათინოხენდიხის ზრდა და წვრილ მწარმოებელთა ბაჩანაგება

რომის იმპერიის სოფლის მეურნეობის საერთო მაშტაბში საწინამუშაო საბაღე—საბოსტნე პლანტაციებს დიდი ადგილი როდი ეკავა.

¹ Plin., Nat. Hist., XVIII, 171—173.

² T. Magerstedt, Bilder aus der römischen Landwirtschaft, V, 238.

³ Serv., Verg. Georg., I, 160.

პრინციპატის დამტკიცებასთან ერთად საბალე-საბოსტნე კულტურები ფართოვდება პროვინციებში და, პირიქით, თანდათან მცირდება იტალიაში. საბალე-საბოსტნე პლანტაციების ადგილს იტალიაში იჭერს ექსტენსიური სამდელო, სატყეო და მარცვლეული მეურნეობანი¹.

„ბევრი ხელსაყრელად სთვლის,—წერს კოლუმელი,—იქონიოს მდელოები და სატყეო მეურნეობანი“. დასახელებული სახის მეურნეობანი არ მოითხოვდნენ კაპიტალის დიდ დაბანდებებს და ორგანიზაციულ ზრუნვა-მეცადინეობას და უზრუნველჰყოფდნენ, თუმცა არა მეტად დიდ, მაგრამ სამაგიეროდ, საიმედო შემოსავალს და შესაძლებელს ხდიდნენ მამულების უსაზღვრო გაფართოებას. კოლუმელას ანგარიშით, ვენახების შემოსავლიანობა მის დროს არ აღემატებოდა 60%, მარცვლეულ მეურნეობათა შემოსავლიანობა კი საშუალოდ 4% უდრიდა დახარჯულ კაპიტალზე, ე. ი. ცოტათი ნაკლები იყო ვენახების შემოსავლიანობაზე².

თუ ამას მივუმატებთ დიდ დავიდარაბასა და რისკს, რომელიც დაკავშირებული იყო ყურძნის კულტურასთან, გასაგები გახდება, თუ რატომ ამჯობინებდნენ იტალიელი მიწათმფლობელები ექსტენსიურ მეურნეობებს ინტენსიურ კულტურებს. იმპერატორები, რომლებიც ცდილობდნენ შეემცირებინათ იტალიის დამოკიდებულება პროვინციებისგან, თავის მხრივ, ხელს უწყობდნენ და აქეზებდნენ პურეულის კულტურას იტალიაში. ასეთი შეპობრუნება იტალიის ეკონომიკაში დაიწყო ჯერ კიდევ მეორე ტრიუმვირატის დროს, ოქტავიანეს ბრძოლის დროს სექსტ პომპეუსთან, რომელსაც სურდა იტალიის შიმშილით ამოხოცვა. რესპუბლიკის დროს დაწყებული მიწის კონცენტრაციის პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა იმპერიის დროს.

შემდგომი იმპერატორები განაგრძობდნენ ოქტავიანე ავგუსტუსის მარცვლეული კულტურების წახალისებ-ს პოლიტიკას. დომიციანეს დროს გამოცემულ იქნა საგანგებო დეკრეტი იტალიაში ახალი ვენახების გაშენების აკრძალვისა და პროვინციებში ვაზის ნარგავების სანახევროდ შემცირების შესახებ³.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთო ეკონომიური კონიუნქტურა როგორც იტალიაში, ისე პროვინციებშიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში არ იყო ხელსაყრელი საშუალო და წვრილი მი-

¹ М. Сергеевко, Два типа сельских хозяйств в Италии 1 в. н. э., „Известия Академии Наук“ № 6, ИОН, 1935 г.

² Сolum., De re rust., III, 3, 8.

³ Suet., Domit., 7.

წათმფლობელობის განვითარება-აყვავებისათვის. რესპუბლიკის დროს დაწყებული წვრილ და საშუალო მეურნეობათა განდევნა მსხვილით გრძელდებოდა ავრთვე იმპერიის დროსაც. საშუალო და წვრილი მიწათმფლობელობის დაქსაქსვა გამოწვეული იყო მთელი რიგი ეკონომიური და არაეკონომიური ფაქტორებით:

1) მეურნეობათა შორის მწვევე კონკურენციითა და სოფლის მეურნეობის მცირე შემოსავლიანობით; 2) ქალაქების ზრდითა და გაბოძებათა პოლიტიკით და 3) კლიენტელის ფართო განვითარებით. „ვამყიდველი კლიენტი, რომელიც კარიდან კარზე დაფრინავს მდიდართა უბანში“ (*circum volantis limina potentiorum*)¹.

მონათმფლობელური სისტემისგან განუყრელ მიწის კონცენტრაციას სხვადასხვა ზომით ადგილი ჰქონდა ხმელთაშუაზღვის აუზის ყველა ქვეყანაში, მაგრამ უდიდესი ძალით გაიშალა იგი იტალიასა, სიცილიასა, აფრიკასა და სასაძოვრო და მარცვლელეული მეურნეობის მქონე სხვა პროვინციებში.

სოფლის მეურნეობის საკითხებისადმი მიძღვნილი ადრინდელი იმპერიის საერთო და სპეციალური ლიტერატურა სავსეა ცნობებითა და საჩივრებით სასოფლო დემოკრატიის კატასტროფული გახრწნისა და ლატიფუნდიების მიერ საშუალო და წვრილ მეურნეობათა შთანთქმის შესახებ.

მონაცემები მსხვილი მამულების ზრდისა და მათ მიერ წვრილის განდევნის შესახებ გაბნეულია ყველგან პორაციუსის, კოლუმელას, პლინიუსის, გიგინის, იუვენალის, აპულეის და სხვ. თხზულებებში.

აღნიშნავს რა თავის თანამედროვეთა საყოველთაო მისწრაფებას მთელი ტერიტორიების შეძენისადმი, კოლუმელა მიუთითებს მთელი ოლქების მფლობელ „ძლევამოსილ პირობებზე“ (*potentiores possessores*), — ოლქების, რომელთა შემოვლა მათ ცხენითაც არ შეუძლიათ. ისინი ნახირის გასათელად და მხეცთაგან გასანადგურებლად ხდიან მათ, ანდა აძლევენ დასამუშავებლად თავიანთ მევალებსა და ბორკილგაყრილ მონებს².

„რომელ ფარგლებამდე ფიქრობთ თქვენ, — შესძახებს სენეკა, როდესაც მიმართავს იგი თავის თანამედროვე მიწის მაგნატებს, — გაათართოვოთ თქვენი სამფლობელოთა საზღვრები (*quousque fines possessionum propagabitis?*)“³.

¹ Colum., praef., I, 9.

² Ibid., De re rust., I, 3.

³ Seneca, Epist., 89, 20.

მინდორი, რომელზედაც წინათ შეეძლო მოთავსებულიყო მთელ ბალხს, ჩვენს დროში ვიწროა ერთი ბატონისათვის. სადამდე გინდათ გაშალოთ თქვენი ყანები, უკეთუ პროვინციების მოცულობითაც არ კმაყოფილდებით?"¹

„მდიდრები, ერთი სალტუსის მეორესთან მიკვრით და წვრილ მფლობელთა შთანთქმით (de confiniis pauperibus exclusis), უსასრულობამდე განაერცობენ თავის სამფლობელოებს“ (sine terminis rura latius porriget)².

მსხვილი მიწათმფლობელობის მიერ წვრილის შთანთქმის არა-ნაკლებ შემადრწუნებელ სურათს ენახულობთ იუვენალის სატირებში და აბულენას „მეტამორფოზებში“.

...იშენებ

ვილას ერთს და—მეორეს, როგორც სოფელი ერთი არ კმარა, გსურს, რომ სახლურები გაითართო, და უფრო დიდად და უკეთესად შენ გეჩვენება ყანა მეზობლის; მას ევაკრები და ჭალასაც სთხოვ იმ მთასთან ერთად, გადაბურული ზეთის ხეებით თეთრად რომ მოჩანს. უკეთუ პატრონს ვერავეთარი ფასით ვერ დასძლეე და ვერ მოხიბლავ, გაძვალტყავებულ და მშიერს ხარებს, უღლით გათანჯულ საქონელს ღამით შენ გადაუშვებ მის ამწვანებულ თავთავებ-დასხმულ, გაშლილ ყანაში.. ვინ მოსთვლის, რამდენს აუტირდება გული ამ ამბით, და რამდენია, რომ ვერას ხდება, გულისტკივილით ჰყიდის თვის მამულს³.

აბულენას „მეტამორფოზებში“ (II საუკუნის დასასრული) მოთხრობილია მტაცებლურ ზრახვებზე მდიდარ პოსესორისა, რომელიც ცდილობს შეიჭრას და წაართვას ადგილ-მამული თავის ღარიბ მეზობელს⁴.

მსხვილ მესაკუთრეთა მიერ წვრილ მესაკუთრეთა შთანთქმა იმდენად ხშირ მოვლენად იქცა I საუკუნეში, რომ სასკოლო რიტორიკულ ვაჯრიშობის (დეკლამაციების) საგნადაც კი შეიქნა. „მე ყოველთვის როდი ვყოფილვარ მდიდარი კაცის მეზობლად,—ვეკითხულობთ, მაგალითად, ფსევდო-კვინტილიანის ერთ-ერთ „დეკლამაციაში.“—ჩემს გარშემო მრავალრიცხოვან კარმიდამოებში ცხოვრობდნენ თანაბრად შეძლებული მესაკუთრეები, რომელთაც ურთიერთშორის მეგობრული განწყობილება ჰქონდათ და თავის მცირე ნაკვეთებზე ეწეოდნენ მეურნეობას. მაგრამ როგორ შეიცვალა ყოველივე ეს ამაჟამად! მიწა,

¹ Seneca, Epist., 89, 20.

² C y p r., Ad. Dun., 12.

³ J u v e n., Sat., XIV, 139—147; 150—151.

⁴ A n u l., Metam., IX., 35.

რომელიც წინათ არჩენდა ყველა მოქალაქეს, ახლა წარმოადგენს ერთიან, ვრცელ პლანტაციას, რომელიც ეკუთვნის ერთ მდიდარ მემამულეს. მისი სამფლობელო ყოველის მხრივ გადიდებულია. მის მიერ შთანთქმული გლეხური კომლებიდან აღარათფერი დარჩენილა, მამაპაპათა წმინდათა-წმინდა შეგინებული, დამსხვრეულია. ძველ მეპატრონეებს მოუხდათ თავიანთი შინაური ღმერთებით, ცოლებით, ბავშვებით წასულიყვნენ უცხო მხარეში. ირგვლივ დიდ მანძილზე ყველაფერი ერთფეროვან უდაბნოდ გადაიქცა...

მდიდრის სამფლობელოები ყოველის მხრით გარს მეკვრის, ვითარცა კედელი: აქ მდიდრის ვილაა, იქ მისი ყანები, აქ მისი ზვრები, იქ მისი ტყეები და საძოვრები. მეც დიდის სიამოვნებით გადავსახლდებოდი, მაგრამ არ ძალმიძს მოვნახო ისეთი ადგილი, სადაც ჩემს მეზობლად რომელიმე მაგნატი არ იყოს.

ყველგან მაგნატთა სამფლობელოებს აწყდები. ისინი არ სჯერდებიან თავისი მამულების გაფართოვებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ მამულებს თავისი მოცულობით ოდესღაც მთელი ტომების კუთვნილ ტერიტორიებამდე ზრდიან, და მათ საზღვრებს მდინარეები და მთები წარმოადგენდნენ, ისინი კიდევ შორეულ მთიან უდაბნოებსა და ტყეებსაც იპყრობენ. ეს დაპყრობა თავდება მხოლოდ იქ, სადაც ერთი მაგნატი მეორეს ეჩეხება“¹.

მიწის კონცენტრაციას აგრეთვე პროვინციებშიც ჰქონდა ადგილი, თუმცა არა თანაბარი ზომით.

მაგნატური მიწათმფლობელობის კლასიკურ ქვეყნად ითვლება რომის პროვინცია აფრიკა, სადაც მაგნატთა მამულებს (სალტუსებს) ეკავა ტერიტორიები, რომლებზედაც წინათ მთელი ტომები ცხოვრობდნენ. „მიწაზე დავის შესახებ“ (De controversiis agrorum) საეციალური ტრაქტატის შემდგენელი, ფრონტინი, I საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვით, გამოჰყოფს აფრიკას როგორც მაგნატური მიწათმფლობელობის მაგალითს. „აფრიკაში,—ამბობს იგი,—კერძო პირებს აქვთ მამულები, მოცულობით არანაკლები, ვიდრე სახელმწიფო ტერიტორიები, კიდევ მეტიც—მრავალი სალტუსი გაცილებით უფრო მეტია ტერიტორიებზე“ (quin immo multis saltus longe maiores sunt territorii)².

ფრონტინის თანამედროვეს, პლინიუს უფროსის სიტყვებით, აფრიკის ნახევარი ეკუთვნოდა ექვს რომაელ მაგნატს, რომლებიც ნე-

¹ Pseudo-Quintil., *Declamationes*, XIII.

² *Corp. agrimens. Rom.*, Thulin., V, I, fasc. I, 1913, p. 45.

რონის ტერორის მსხვერპლი შეიქნენ (sex domini semissem Africae possidebant, cum interfecit eos Nero princeps)¹.

სამიჯნო ქვები გვიჩვენებენ, რომ რომაელ სენატორთა მამულე-ზი დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა აპულიასა, კალაბრიასა, ბრუ-ტიასა, კამპანიაში და სხვ. იმავე ნერონის ეპოქას ეკუთვნის პლინი-უსის სახელგანთქმული, თუმცა, ცხადია, მეტად რიტორიკული სენ-ტენცია: „ლატიფუნდიებმა უკვე დაღუპეს იტალია, ახლო მომავალ-ში კი ისინი დაღუპვით ემუქრებიან აგრეთვე პროვინციებსაც“ (ve- rum confitentibus latifundia perdidere Italiam iam vero et pro- vincias)².

წვრილ მეურნეობათა განდევნა მსხვილით II საუკუნეშიც გრძელ-დებოდა, თუმცა არა ისეთი ძალით, როგორც I საუკუნეში. სამაგა-ლითოდ შეიძლება მიფუთითოთ ოდესღაც სულას მიერ მოწყობილ რომაელ ვეტერანთა ორი კოლონიის ბედზე: ველეი ჩრდილოეთში და ბენევენტა სამხრეთში. ვეტერანთა კოლონიები შეადგენდნენ ლატიფუნდიებისადმი დაპირისპირებულ წვრილ და საშუალო მიწათ-მფლობელობის უკანასკნელ რეზერვს. ველეის ცხრილში (მიწის კა-დასტრში) ჩაწერილ მიწის 100 მესაკუთრიდან 46 მფლობელის მი-წები უკვე ხელმეორედ გირავდება. ცხრილიდან ჩანს, რომ ველეის ყველაზე მსხვილი ახალმოსახლენი ჰფლობენ მრავალი წვრილი ნაკვე-თისაგან (coloniae) შემდგარ მამულებს, რომლებიც ოდესღაც დამო-უკიდებელ სამფლობელოებს წარმოადგენდნენ. ცხრილში მოხსენებუ-ლი ანტონიუს პრისკი ჰფლობს, მაგალითად, 30 ოდესღაც დამოუკი-დებელ სამფლობელოსგან შემდგარ მამულს, რაზედაც მიუთითებენ ზედსართავი სახელები, მიმატებული სიტყვა fundus-ისადმი (ნაკვეთი): fundus Vetutianus (ვეტუციუსის ნაკვეთი), fundus Acutium (აკუ-ციუსის ნაკვეთი), fundus Meccianus და ა. შ. კლავდიუს პროკუ-ლის მამული შედგება 10 კარმიდამოსაგან, მემიუს პრისკის—37 მა-მულისაგან, რომლებიც შეფასებულია 1180 600 სესტერციად, ძმე-ბმა ლუციუსმა და გაიუს ვანიმ ხელმეორედ დაგირავებულ თავის მიწებში აიღეს 1104 600 სესტერცი და ა. შ.

ნათელ წარმოდგენას ველეისა და ბენევენტის კოლონიათა სა-ადგილ-მამულო ცვლილებებზე დაახლოვებით 100 წლის მანძილზე გვაძლევს სამფლობელოთა რიცხვის აკადემიკოს ა. ი. ტიუმენევის

¹ P 11 n., Nat. Hist., XVIII, 35.

² Jbid.

ცხრილი, რომელიც მოთავსებულია „ანტიკურ მონათმფლობელურ-საზოგადოებათა ისტორიაში“¹.

სამულობლოთა მო- ცულობა (ჰექტარობით)	ველეია და პლაცენცია		ბენევენტი	
	რესპუბლიკის დასასრულს	II საუკუნის დასაწყისის (ჩვენი წელთა- ღარიცხვით)	რესპუბლიკის დასასრულს	II საუკუნის დასაწყისის (ჩვენი წელთა- ღარიცხვით)
5-მდე	58	6	57	47
6-10	23	19	27	18
11-15	7	4	8	9
16-25	—	7	—	4
26-50	1	3	—	—
51-100	—	9	—	2
100-ს ზევით	—	2	—	—
სულ	89	50	92	80

მიწის კონცენტრაცია გამოწვეული იყო არა მხოლოდ ეკონომიური, არამედ სხვა—პოლიტიკური და ფსიქოლოგიური—მიზეზებითაც, „შეძენის სილამაზით“ (pulchritudo iungendi), პლინიუს უმცროსის გამოთქმით. „შეძენის სილამაზე“ მით უფრო გასაგები გახდება, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მრავალი სენატორი და მხედარი პოლიტიკური ტერორის შიშით სტოვებდა დედაქალაქს, მიდიოდა თავიანთ მამულებში და იქ ნამდვილ მიწათმფლობელ სენიორებად იქცეოდა; იქ ისინი რომაელთა საყვარელ გართობას ეძლეოდნენ—ხელს ჰკიდებდნენ ნადირობას, თევზაობას, გარეული ნადირის მოშენებას და განიცდიდნენ საერთოდ მემამულური ცხოვრების ყოველგვარ სიამეს.

მრავალი მეცნიერი ერთგვარ მიდრეკილებასაც კი იჩენს იმისადმი, რომ გაზვიადებულად წარმოგვიდგინოს არაეკონომიური ფაქ-

¹ А. Тюменев, История античных рабовладельческих обществ, 1935 წ. გვ. 227.

ტორების მნიშვნელობა იმპერატორული პერიოდის ლათინურენოვანების შექმნაში. ასე, მაგალითად, ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი ჰაინსტერბერგი, ავტორი თხზულებისა კოლონატის წარმოშობის შესახებ, რომელმაც ეპოქა შექმნა ანტიკური ისტორიოგრაფიის ისტორიაში, მიწის კონცენტრაციის ძირითად ფაქტორად რომში სუბიექტურ მომენტს მიიჩნევდა.

„ლათინურენოვანების წარმოშობის სუბიექტური მიზეზები,—წერს ჰაინსტერბერგი,—სამეურნეო მოტივებს არ წარმოადგენდა, ისინი მმართველი იყო არა შემოსავლის გადიდებისა და არა ექსპლოატაციისაკენ, არამედ მხოლოდმხოლოდ სამფლობელოთა გაფართოებისაკენ. სიამაყე, ქედმაღლობა, ბრძანებლობა, სამხედრო, და არა სამეურნეო გატაცება შეადგენდა მიწების დაგროვების სურვილის აღმძვრელ მიზეზებს“.¹

მიწათმოქმედნი, რომელნიც სტოვებდნენ თავის უშემოსავლო მეურნეობებს, ჰყიდდნენ ანდა უშეებდნენ თავიანთ მონებს, გადადიოდნენ პროვინციაში, შედიოდნენ არმიაში ან კიდევ მიდიოდნენ დიდ ქალაქებში და უერთდებოდნენ ლუმპენპროლეტარიატის რიგებს. „შეხედე, გეთაყვა, ამ ადამიანთა მასას, რომლისთვისაც ვიწეროა თვით ამ ვეებერთელა ქალაქის კედლები. ამ ბრბომ, რომელსაც სამშობლო არ გააჩნია, თავი მოიყარა რომში მუნიციპიებიდან, კოლონიებიდან და, ბოლოს, მთელი ქვეყნიერებიდან“ (*ex toto denique orbe terrarum confluxerunt*).²

როდესაც ვლპარაკობთ ლათინურენოვანების ზრდაზე იმპერატორთა პერიოდში, არ უნდა დავეშვათ, როგორც ეს ხანდახან ხდება, ნამდვილი სურათის მეტისმეტად გამარტივება და სქემატურად წარმოდგენა. პირველ ყოვლისა, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ წყაროების ხასიათი. ცნობებს ლათინურენოვანების ზრდისა და წვრილ მწარმოებელთა გაჩანაგების შესახებ მეტნაწილად ჩვენ ვღებულობთ ფილოსოფოსთა, რიტორთა, პოეტთა და სატირიკოსთა თხზულებებიდან, რომლებიც განზოგადებისა და გაზვიადებისადმი იჩენენ მიდრეკილებას. თვით იმავე მწერლების თხზულებათა უფრო გულდასმით კითხვის დროს იმდენად სქემატურ და ტრაგიკულ სურათს როდი ვღებულობთ. სრული საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ არც იმპერატორთა და არც მით უმეტეს რესპუბლიკის პერიოდში არასდროს ისეთი მდგომარეობა არ ყოფილა, რომ ლათინურენოვანება და სალტუსებს სავსებით შთაენთქათ საშუალო და წვრილი გლეხო-

¹ B. Heisterberg, Entstehung des Kolonats, 1876, S. 67.

² Seneca, Ad Helvia, 6,2.

ბა. საშუალო და წვრილი მეურნეობანი რომის მთელი ისტორიის მანძილზე არსებობდა; ისინი ხან მცირდებოდნენ, ხან ისევ აღორძინებას განიცდიდნენ. პოეზიასა, ლიტერატურასა და ეპიგრაფიკაში სხვადასხვა საბაბით გამოდმებით სწარმოებს საშუალო და წვრილ მიწათმფლობელთა ხსენება, თუმცა ყოველთვის როდია შესაძლებელი გარკვევა: ვის შესახებ არის ლაპარაკი, მიწის მესაკუთრეთა თუ მოიჯარეთა შესახებ. სხვათა შორის, როგორც საშუალო, ისე წვრილ მიწათმფლობელთა თანრიგს ეკუთვნოდნენ „ოქროს ხანის“ თითქმის ყველა ჩვენთვის ცნობილი პოეტები: ვერგილიუსი, ჰორაციუსი, ტიბული, მარციალი და სხვ. მარციალმა, მაგალითად, მიზნად, დაისახა—რა საშუალებითაც არ უნდა ყოფილიყო—შეეძინა ფული და მიწა, და სიცოცხლის დასასრულს ის უკვე საკმაოდ შეძლებული კაცი იყო, ჰქონდა საშუალო მოცულობის მამული. მიწა იძლეოდა წესიერი არსებობის უზრუნველყოფას დედაქალაქში და იმავე დროს სასიამოვნო დასვენებას სოფლის მყუდროებაში, რასაც ისე დიდად აფასებდნენ მარციალის თანამედროვენი, დიდი ქალაქის ხმაურით დაღლილ-დაქანცულნი.

წვრილ, მშრომელ მიწათმფლობელ გლეხის მაგალითს შეიძლება წარმოადგენდეს სამული, ვირგილიუსის „შექამადში“ სიმულის ავლადიდება დიდი არ არის: მას მოეპოვება პურის, ბოსტნეულის ერთგვარი მარაგი და მონა-ქალი სიმბალა, „ხორშაკიანი აფრიკის ასული, ხუჭუქა თმიანი და მსუქანი ბაგეებით“, ერთდამივე დროს მსახური და მეგობარი სიმულისა. საჭირო ფულად სახსარს სიმული ლებულობს თავისი ბალისა და ბოსტნის პროდუქტების გაყიდვით, რომელიც მას თავის საკუთარი მხრებით დააქვს უახლოეს ბაზარში.¹

4. წვრილი იჯარისა და საკოლონატო ურთიმართობათა განვითარება

ცალკეულ შემთხვევებში მაგნატთა მამულები, როგორც ამას, მაგალითად, გალური მამულების აღწერა გვიჩვენებს, ვეებერთელა სიდიდეს აღწევდნენ,—სახელდობრ 5 და კიდევ მეტ ათას იუგერამდე. მაგნატთა მამულები რომის მთელი ისტორიის მანძილზე მეტწილად ნატურალურ თვისსაკმარ ოიკოსებად რჩებოდა; მათში დამზადებული პროდუქტები მოიხმარებოდა თვითონ მამულში მემამულისა და მისი მრავალრიცხოვანი ჯალაბის მიერ. როგორც ფრანკ:

¹ Verg., Moretum, 80.

ისტორიკოს-არქეოლოგის ალბერტ გრენიეს მიერ შირაგანის დიდ მამულში, ზემო გარონასთან წარმოებული გათხრები გვიჩვენებენ, მაგნატთა მამულები წარმოადგენდა მთელ ახალშენს სრულიად სხვადასხვაგვარ ნაგებობათა დიდი რაოდენობით. ¹ საუცხოო ნაგებობა—სასახლეებ-ვილებთან ერთად, ამ სიტყვის ეიწრო მნიშვნელობით, მამულებში მოიპოვებოდა ვრცელი შენობები საკუქნაოებით, ბელლებით, სარდაფებით, საფრინველეებით, ვეებერთელა პარკებით, ბალებით, ბოსტნებით, ყვავილნარებით, თევზის გზბურებით და მდინარეებით. სამაგნატო მამულებში მცხოვრებ ადამიანთა სოციალური შემადგენლობა ფრიად მრავალფეროვანი იყო. მონებისა და ლიბერტების გვერდით მათში ცხოვრობდა ბევრი თავისუფალი დამქირავებელი (კოლონები), რომლებიც მონებს და შინაყმებს უერთდებოდნენ და ერთ მთლიან „პლბეურ ხალხს“ (populus plebeius) შეადგენდნენ. მაგნატთა მამულებში მცხოვრებ მონებისა და აზატების რიცხვი მეტად დიდი იყო; ისინი, ჩვენი წყაროების ცნობით, მთელ არმიას შეადგენდნენ და, მსგავსად ნამდვილი არმიისა, იყოფოდნენ ასეულებად (centuriae) და ათეულებად (decuriae), რომლებიც მამულის მეთაურმმართველთა (actores vel procuratores) ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ მათდამი დაქვემდებარებული პერსონალით—კანტორის მოხელეებით, შონგარიშეებით (dispensatores), ზედამხედველებით, დარაჯებით დაჭსხგ. მამულის იერარქიაში დაკავებული ადგილის შესაბამისად გვარის წევრები ლებულობდნენ მათდამი კუთვნილ რაციონს (mensura vel diaria cibaria).

მონები მუშაობდნენ „პლანტაციებში, იყენენ მწყემსებად, მუშაობდნენ მამულის სახელოსნოებში და ასრულებდნენ საჯალაბო სამსახურს. წყაროებში მოხსენებულია ოქრომქედლები, მრთველები, მრთველი ქალები, მკერავები, მკერავი ქალები, ფულის მომქრელები, მღებავები, თევზის დამმარილებლები, მეფარდახტენი, მასაჟისტები, მასაჟისტი ქალები და მრავალი სხვა.

გვარის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა მოჯალაბეთა შტატი. რომაელი მაგნატების მოჯალაბეთა შტატები ასობით დაითვლებოდა. გვარის ერთი ნაწილი ცხოვრობდა სოფლის ვილაში (familia rustica) მეორე—ქალაქში (familia urbana). თუმცა, სოფლისა და ქალაქის შინაყმებად დაყოფა სწარმოებს არა იმდენად საც-

¹ A. Grenier, Manuel d'archéologie, VI, II, 1934, p. 889.

ზოგრებელი ადგილის, რამდენადაც პროფესიათა სხვადასხვაობის მახელებით (*urbana familia et rustica non loco, sed genere distinguuntur*). თავიანთი პროფესიებისა და სამსახურის ხასიათის მიხედვით საჯალაბო მოსამსახურენი მრავალ თანრიგად იყოფოდნენ. მარტოოდენ ამ სახელწოდებათა ჩამოთვლა რამდენიმე გვერდს დაიკავებდა. წყაროებში მოხსენებულია 150-მდე სხვადასხვა სახელწოდება. ამ რიცხვში შედიოდნენ მზარეულნი, მეხაჭაპურენი, მეშაქარლამენი, დალაქები, ლაქიები, გუვერნიორები, მწიგნობარნი (*literati*), ექიმები (*medici*), მხატვრები, ხუმარები, ბიბლიოთეკარები, სიჩუმის დამწყარებელნი (*silentiarii*), მაუწყებელნი (*nuntii*), ნომენკლატორები (*nomenclatores*) და ა. შ.

გვარის დაბალ თანრიგს შეადგენდნენ: 1) ჩვეულებრივი მსახურნი (*vulgares*), მეკარენი, მხლებელნი (*pedisequii*), შათირნი, დამტარებელნი და ა. შ., 2) სასოფლო-სამეურნეო მუშები (*mediastini*), პირველი რანგის მსახურნი (*ordinarii*), მამულის ადმინისტრაცია და 3) მონა-ხელოსნები, სოფლის მუშები და მწყემსები¹.

ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნის მსხვილ მონათმფლობელ-მაგნატთა დიდი ნაწილი ეკუთვნოდა არისტოკრატიას, სენატორებს, მაგრამ მათ შორის ცოტა როდი იყვნენ აგრეთვე რომის „მესამე წოდების“ წარმომადგენლები; მხედრები და მდიდარი აზატები. ერთი გვარის არატიტულოსანი მაგნატების რიცხვს ეკუთვნოდა ტრიმალქიონი, პეტრონიუსის, ნერონის დროის მწერლის, „სატირიკონის“ გმირი.

ტრიმალქიონის ბიოგრაფია გვაცნობს ჩვენ აზატთა კარიერას, მათ ზნეჩვეულებას. აზიიდან მოყვანილმა მონამ ტრიმალქიონმა შესძლო დაემსახურებინა ბატონის ნდობა, ანდერძით მიიღო ერთგვარი თანხა, ხელი მიჰყო ვაჭრობას, შეიძინა ქონება და იწყო მიწების შესყიდვა.

ტარენტში ტრიმალქიონი ყიდულობს ცხვრებს, ინდოეთიდან იწერს სოკოს, ატტიკიდან—ფუტკარს; „სიმდიდრე მე ბევრი მაქვს,—ამბობს ის,—როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაზე“ (*et in mari, et in terra multa possideo*)².

ტრიმალქიონის კუმის კარმიდამოში ერთ დღეს მონებისაგან 30 ბიკი და 40 გოგო დაიბადა, ბელლებში ჩაყრილია 500 ათასი მოღია მარცვლეული, სალაროში გადარიცხულია 10 მლნ. სესტერცი,

¹ Petr., Satyr., LIII.

² Ibid., XXXVII, XXXVIII, XXXIX.

რასაც ვერ მოუხერხეს სხვა რაიმე დანიშნულებით გამოყენება. ტრი-
მალქონის ეკუთენის პომპეუსის მთელი პარკი. თვითონ პატრონი
იჩენს ცოცხალ ინტერესს თავისი მეურნეობისადმი, ამოწმებს მმარ-
თველთა (ვილიკუსების) ანგარიშებს, აძლევს მათ სათანადო ინსტრუქ-
ციებს, ზოგს ჰკიცხავს, ზოგს ასაჩუქრებს¹.

ტრიმალქონი ოცნებობდა კამპანიიდან აფრიკამდე გადაჭიმულ
ერთ მთლიან უზარმაზარ ოიკოსად გაეერთიანებინა ყველა თავისი
სამფლობელო (praedia).

„ყველაფერი სახლში იბადება“ (omnia domi nascuntur),—
ასეთია ტრიმალქონის იდეალი, როგორც მისი ღროის მემამულეთა
უმრავლესობისაც².

მაგნატთა მამულებში მონათმფლობელობამ თავის უმაღლეს
წერტილს მიაღწია და აქვე დაიწყო მისი გახრწნა. დასაწყისში მო-
ნათმფლობელობამ და მისგან განუყრელმა ლატიფუნდიებმა შთან-
თქეს წვრილი მეურნეობანი და გაანადგურეს წვრილი მწარმოებელი,
შემდგომ კი, განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ამ უკანასკნელებმა,
გადაიქცნენ რა დამპირავებლებად პროდუქტის ნაწილიდან, თავის
მხრივ გასთქვიფეს თავისში მონები და შემდეგში, იმპერიის დასა-
სრულს, შეუერთდნენ რა მათ, შექქნეს ყმების ერთი მთლიანი
მასა.

„მონურ შრომაზე დაფუძნებული ლატიფუნდიების მეურნეობა
შემოსავალს აღარ იძლეოდა, იმ ღროს კი იგი მსხვილი მიწათმოქ-
მელების ერთადერთი შესაძლებელი ფორმა იყო. წვრილი მეურნეობა
ხელახლა ერთადერთ შემოსავლიან ფორმად იქცა. ვილები ერთიმე-
ორეზე მიყოლებით წვრილ პატარა ნაკვეთებად დაქუცმაცდა და
მოიჯარადრეებს გადაეცა სამკვიდროდ, ისინი განსაზღვრულ თანხას
იხდიდნენ, ან ეს ნაკვეთები partiarum-ებმა მიიღეს, რომელნიც უფრო
მოურავები იყვნენ, ვიდრე მოიჯარადრეები და თავისი შრომისთვის.
წლიურ შემოსავლიდან მხოლოდ მეექვსედ ან მეცხრედ ნაწილს ღე-
ბულობდნენ³.

პირველ ყოვლისა, საჭიროა გარკვეულ იქნეს თვითონ ტერ-
მინის კოლონატის შინაარსი.

კოლონატი (colonatus) წარმოდგება სიტყვიდან—კოლონი-
(colonus). კოლონად (ბერძნულად georgos) თავდაპირველად გული-

¹ Petr., Satyr., LIII.

² J b i d., XXXVIII.

³ ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა.
თბილისი, სახელგამი, 1933 წ., გვ. 177.

სხმობდნენ ყველა თავისუფალ ადამიანს, რომელიც თვითონ ამუშავებს მიწას (qui agrum colit). დროთა განმავლობაში სიტყვა „კოლონმა“ მიიღო სხვა აზრი—არა მესაკუთრის, არამედ მიწის ნაკვეთის დამქირავებლის ან მოიჯარის. დარჩა აგრეთვე სიტყვის ძველი ხმარებაც: კოლონი—მესაკუთრე (colonus possessor)¹. რომაული კანონმდებლობის I—III საუკუნეების ძეგლებში კოლონად ჩვეულებრივ ნაგულისხმევია სახელმწიფო ან კერძო მფლობელობაში მყოფი მიწების თავისუფალი დამქირავებელი, რომელიც იხდის გადასახადს (census) ფულის სახით (colonus qui ad pecuniam numeratum conduxit)², ზოგჯერ ყოველგვარი ნატურალური ძღვენის (accessiones, xenia) დამატებით. საიჯარო ხელშეკრულება, როგორც წესი, იდებოდა ხუთი წლით ან ორივე მხარეს იურიდიულად აკავშირებდა. რომის სამართლის მიხედვით, ეს იყო დაქირავების ხელშეკრულება (locatio-conductio). იჯარით აღებულ ნაკვეთს კოლონი ამუშავებდა საკუთარი ხელით ანდა დაქირავებული ძალის და მონების საშუალებით³, რაც დამქირავებელთა გარკვეულ მატერიალურ შეძლებულობას მოასწავებდა.

მამულების ექსპლოატაცია მიწის თავისუფალ მოიჯარეებზე გაცემით ფულად ანდა პროდუქტის ნაწილიდან ფართოდ იყო შემოღებული უკვე რესპუბლიკის უკანასკნელ საუკუნეში. წვრილ იჯარაზე გადასვლა ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მიზეზით იყო გამოწვეული—მონების რიცხვის შემცირებით, ერთი მხრით, და თავისუფალ მიწათმოქმედთა მასის გაერთიანებით, მეორე მხრით. „ქალაქთა კედლები დაინგრა, სახლები დაცარიელებულია, ქალაქის უდაბურ ქუჩებში თითო-ორი ადამიანი დაეხეტება, ყანები დაუმუშავებელი რჩება მუშა-ხელის სიმცირის გამო,“—ასე ახასიათებს რომის სახელმწიფოს მდგომარეობას ცეზარისა და პომპეუსის სამოქალაქო ომის დროს პოეტი ლუკანი პოემაში „ფარსალიები“⁴. ცეზარის „სამოქალაქო ომში“ მოხსენებულია მაგნატები, რომლებიც მთელ ფლოტილებს ადგენდნენ და აღჭურავდნენ თავიანთი კოლონებიდან⁵.

იულიუს კეისარისა და ავგუსტუსის დროს, გალიის, ილირიის, ესპანეთისა და გერმანიის ომებში მონების მასობრივად შეპყრობის გამო, მონათმფლობელური მეურნეობა იტალიაში რამდენიმე ხნით

¹ C. I. L., VI, 9274.

² Dig., XIX, 2, 25, 6.

³ C. I. L., XI, 1147.

⁴ Lucan., Pharsalia, I, 170.

⁵ Caes., Bell. civ., I, 34.

გამოცოცხლების გზას დაადგა, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში უფრო მეტად იჩენს თავს დაშლის სიმპტომები.

I—II საუკუნეებში ჩვენი წელთაღრიცხვით კოლონები-მოიჯარეები მუდმივ მოხსენებულა როგორც მწერლების მხრივ, ისე ეპიგრაფიულ ძეგლებში.

სენეკა, მაგალითად, ბრძენს მისაბაძე მაგალითად უსახავს „კარგ მიწის მუშებს“ (*agricolae boni*), რომლებიც არა მარტო ზრუნავენ სწორ და ტანოვან ხეხილზე, არამედ გულმოდგინედ უვლიან ყვავილებს და თავისი შრომითა და მზრუნველობით ამარცხებენ მიწის უნაყოფობას (*cura cultuque sterilitatem soli vincam*)¹. მეორე ადგილას იგივე მწერალი ლაპარაკობს ათასობით კოლონებზე, რომლებიც აწარმოებენ მიწის მოხენასა და გათხრას (*aspice... quot millia colonorum arent, fodiant*)². კოლონებს ნაკლებად არ იხსენიებენ რესპუბლიკისა და პრინციპატის დასასრულის სხვა მწერლებიც—ჰორაციუსი, ოვიდიუსი, ტაბული, მარციალი, იუვენალი, აპულიე და ა. შ.

ლიტერატურისა და ეპიგრაფიკის ძეგლების საფუძველზე შეიძლება მიმოვაგლოთ თვალი იმას, თუ როგორ თანდათანობით სდევნიდნენ კოლონები მაგნატთა ან განსაკუთრებით იმპერატორთა მამულებში მონებს და როგორ ხდებოდა თავის მხრივ ამ უკანასკნელთა გადაგვარება ფსევდო-კოლონებად (*quasi coloni*). კოლონებს დიდი ყურადღება აქვს დათმობილი, მაგალითად, კოლუმელას ტრაქტატში. უპირატესობას ანიჭებს რა მონებს მათი შრომის მუდმივობისა და უკეთესი განსწავლულობის გამო რაციონალურად დაყენებულ საშუალო მოცულობის ვილებში, — რომელი აგრონომი ურჩევს დიდ მამულებში მონებთან ერთად, გამოყენებულ იქნენ აგრეთვე თავისუფალი დამქირაველები—კოლონები. მონების შეცვლა კოლონებით განსაკუთრებით სასარგებლოა მამულების დაშორებულ ნაწილებში იმიტომ, რომ ისინი ისე დაუდევრად როდი ეკიდებიან ნათესებს, პირუტყვს და შრომის იარაღებს, როგორც მონები.

ყველასათვის ხომ კარგად ცნობილია, თუ რა უდიდესი ზიანი მოაქვთ მონებს მეურნეობისათვის (*maxime vexant servi*), როცა ისინი მუშაობენ შორეულ მამულებში და თავის ანაბარა არიან მიტოვებული. ისინი აქირავენ ბატონის საქონელს გარე და ფულს თვითონ იჯიბავენ, მუშა—საქონელს და საერთოდ ყველა საქონელს

¹ Seneca, De benef., VII, 32; De clementia, II, 7, 5.

² Ibid., Epist., 114, 26.

ისინი ცუდად მწყემსავენ, მიწას ცუდად ხნავენ, თესვის დროს დახარჯულ თესლეულს უფრო მეტის რაოდენობით უჩვენებენ, ვიდრე ეს ნაშდვილად არის, არ ზრუნავენ, რომ მიწაში ჩაბნეულმა თესლმა მდიდარი მოსავალი მოგვეცეს.

როცა პროდუქტი კალოზე მიაქვთ, ისინი ამცირებენ მის რაოდენობას ლეწვის დროს ან მისი ნაწილის გადამალვით, ან დაუღევარი მუშაობით. იპარავენ რა თვითონ, ისინი სხვა ქურდებისაგანაც ცუდად იცავენ სხვის დოვლათს. დასასრულ, როდესაც მარცვლეულს ბელელში მოათავსებენ, ისინი ყოველთვის არასწორად უჩვენებენ მის რაოდენობას საანგარიშო დავთარში. ამგვარად როგორც მოურავი, ისე მონები თაღლითობენ, მინდორი კი უვარგის მდგომარეობაში ვარდება“ (*rapinis magis quam culturos student*)¹. მთავარი სიძნელე კოლონატზე გადასვლის დროს შეძლებულთა, ცოტად თუ ბევრად საიპედო დაშქირავებელთა ნაკლებობაში მდგომარეობდა. ამის მიზეზი კი იყო საშუალო და წვრილ მწარმოებელთა სულ უფრო-დაუფრო მზარდი გაღატაკება, რის შესახებაც ლაპარაკი გვქონდა წინა გვერდებზე. გაღატაკების შედეგს წარმოადგენდა აპატია შრომისადმი საერთოდ და სოფლად შრომისადმი კერძოდ. თავისი მიწის ნაკვეთების გაყიდვის შემდეგ სოფლის მესაკუთრენი ქალაქებისაკენ მიეწურებოდნენ, ხდებოდნენ იქ ხელოსნებად, ვაჭრებად, წვრილ ინტელიგენტებად ანდა ავსებდნენ დედაქალაქის მაწანწალა მოსახლეობის კადრებს.

რაც ითქვა, პირველ ყოვლისა, იტალიას ეხება, მაგრამ ნაწილობრივ პროვინციანზედაც ვრცელდება. საერთოდ და მთლიანად ეკონომიური ევოლუცია რომის იმპერიის მთელ სივრცეზე ერთნაირი მიმართულებით ვითარდებოდა. სამუშაო ძალის ნაკლებობით აიხსნება ის მზრუნველობა, რომელსაც ურჩევს აგრონომ-რაციონალიზატორი კოლონებისადმი მოპყრობაში.

„შემამულე კოლონებს თავმდაბლად უნდა ეპყრობოდეს (*comiter agat cum colonis*) და მზად იყოს აღმოუჩინოს მათ დახმარება ყოველგვარ გასაქირში. ის უფრო მუშაობას უნდა მოითხოვდეს მათგან, ვიდრე გადასახადებს (*avarius opus exigat quam pensiones*). ასეთი მოპყრობა კოლონებისათვის ნაკლებ საწყენია, პატრონისათვის კი საერთოდ უფრო ხელსაყრელია“².

„ბატონი მეტისმეტად არ უნდა გამოუდგეს თავის უფლების დაცვის იმ ვალდებულებებში, რომლებიც აკისრია კოლონს, როგორც,

¹ Colum., *De re rust.*, praef., 1.

² *Ibid.*, 1, 7.

შავალითად, გადასახადთა ვადების ზუსტად შესრულებას, შეშის დროზე მოზიდვის საკითხს და კოლონის სხვა წვრილმან ვალდებულებებს, რომელთა შესრულება უფრო გააბეზრებს მიწის მუშებს, ვიდრე მიაყენებს მათ რაიმე ზარალს¹.

იმ მამულს შეიძლება ეწოდოს „უბედნიერესი“ (*felicissimum fundum esse*), რომელშიც მოიპოვება ძველთაგანვე ამ ადგილს მცხოვრები კოლონები, თითქოს და მემკვიდრეობით გადმოსულნი მემამულეზე და დაბადებიდანვე მასთან მკიდროდ დაკავშირებულნი.

მუშა ხელის ნაკლებობა და მოსახლეობის გაღატაკება აიძულებდა მიწათმფლობელს შეემცირებინა ფულადი იჯარა და გადასულიყო ნატურალურ იჯარაზე პროდუქტის ნაწილიდან ფულადი იჯარის ხარჯზე. ნატურალურ იჯარაზე გადასულა ერთადერთი გამოსავალი იყო კრიზისიდან იმდროინდელ ვითარებაში. სწორედ კოლონატის პროდუქტის ნაწილიდან (*colonatus partiaris*) გადააქცა, საკუთრივ, გამოსავალ წერტილად აგრარულ ურთიერთობათა მთელი შემდგომი განვითარებისა რომის იმპერიაში. პირველწყაროების საფუძველზე, კერძოდ პლინიუს უმცროსის „წერილების“ მიხედვით, შეიძლება გამოვკვებულ იქნას, თუ როგორ და რატომ იყო, რომ ფულად იჯარას ნატურალური იჯარა სცვლიდა. იმპერატორ ტრაიანეს თანამედროვე, პლინიუსი, პირველხარისხოვან იტალიელ მაგნატთა რიცხვს ეკუთვნოდა.

პლინიუსის, როგორც იმდროინდელ უმაღლეს სახელმწიფო მოხელეთა უმრავლესობის, სიმდიდრის საფუძველს მიწა შეადგენდა. „მთელი ჩემი სიმდიდრე, — აცხადებს პლინიუსი, — მიწაში მდგომარეობს“². პლინიუსს ჰქონდა რამდენიმე მამული იტალიის სხვადასხვა ნაწილში. ყველაზე დიდი, შემოსავლიანი და ლამაზი იყო ტოსკანის მამული. „ადგილი, — გვაუწყებს პლინიუსი ერთ-ერთ „წერილში“, — მომჯადოებელია, საბატონო ვილა, ესაზღვრება რა აპენინებს, ჰქმნის ლამაზ ამფითეატრს, ბორცვებზე გადაკიმულია პურის მდიდარი ყანები; მთის ძირას ფართოდ განლაგებულია ვაზის ნარგავები, შენდევ კვლავ მინდვრები, რომელთა მოხვნაც შეიძლება მხოლოდ მძიმე გუთნით და ღონიერი ხარებით; მდელოებს რწყავს სწრაფი მდინარე ტიბრი“³. პლინიუსის „წერილებიდან“ ვგებულობთ, რომ იმ დროს იტალიაში გაქვიანებული აგრარული კრიზისის გამო ფასები მიწაზე

¹ Colum., De re rust., praef., 1. 7.

² Plin., Epist., III, 19.

³ Jbid., V, 6.

ერთობ დაეცა. წერილში თავისი მეგობრის კალვიზიუს რუფისადმი პლინიუსი წერს, რომ „ამჟამად ფასები მიწაზე იტალიაში ძლიერ დაეცა“. ო. მამული, რომელიც წინათ ხუთ მილიონ სესტერციად ღირდა, ახლა სამი მილიონად იყიდება, და მასაც ძნელად თუ ვინმე გამოუჩნდება მყიდველი. ამ სამწუხარო ფაქტის მიზეზს პლინიუსი ხედავს ხაშუალო და წვრილ მემამულეთა სულ უფროდაუფრო მზარდ გაჩანაგებაში (*rusticani coloni*). პლინიუსი დგას დილემის წინაშე: იყიდოს თუ არა ახალი ვილა.

„ჩემი სამფლობელოების გვერდით მდებარე, თვით მათი მოსაზღვრე მამულები იყიდება. ამ საქმეში მე ბევრი რამ მხიბლავს, მაგრამ საშიშროებაც ნაკლები არ არის. ჯერ-ერთი, მე მიზიდავს თვითონ შესაძლებლობა საკუთარი სამფლობელოების ლამაზად დამრგვალებისა (*pulchritudo iungendi*); მეორეც, შესაძლებლობა ისევე სასარგებლო, როგორც სასიამოვნოც—ვინახულო ერთად და ზედმეტი საგზაო ხარჯების გაუწევლად ორივე მამული, ვიყოლიო მათში ერთიდაიგივე მოურავი (*procurator*) და საერთო ზედამხედველები, ავავო ნაგებობანი და მოვაწყო—მოვროთო ერთი ვილა, ხოლო მეორე მარაგად ვიქონიო. აქ შეიძლება გაერთიანებულ იქნეს ხარჯები ავეჯეულზე, ხარჯები მეფხოვეებზე, მებაღეებზე, ოსტატებსა და ნადირობისათვის საჭირო აღჭურვილობაზე; მეტად მნიშვნელოვანია, რომ ყოველივე ეს ერთ ადგილას იქნეს კონცენტრირებული, და არ დარჩეს სხვადასხვა ადგილას გაფანტული“.

„მეორე მხრით, მე ვშიშობ, არ გადავდგა გაუფრთხილებელი ნაბიჯი და მთელი ეს ვეებერთელა ქონება არ მოვაქციო ამინდის ერთიდაიგივე პირობებისა და შემთხვევითობის სახიფათო გავლენის ქვეშ; ვფიქრობ, რომ გაცილებით უფრო საიმედოა დავიზღვევო თავი ყოველგვარი მოულოდნელობისაგან და სხვადასხვა ადგილას შევიძინო მამული. შემდგომ, ადგილის გამოცვლა და თვითონ მგზავრობა საკუთარ სამფლობელოებში დიდ სიამოვნებას ანიჭებს კაცს“¹.

ყველაზე უფრო კი პლინიუსს აშინებს სათანადო, ეკონომიურად მძლავრ მოიჯარეების გამონახვის შეუძლებლობა (*Instat et necessitas agrorum locandorum perquam molesta: adeo rarum est invenire idoneos conductores*).²

„ჩემი მერყეობის ძირითადი პუნქტია,—წერს პლინიუსი,—ის, რომ, თუმცა, მიწა ნაყოფიერია, პოხიერი, უხვწყლიანი, შედგება

¹ Plin., Epist., III, 19.

² Ibid., VII, 30, 3.

მინდვრებისა, ვენახებისა და ტყეებისაგან, მაგრამ ამ ბედნიერ მიწას აშუშავენ მცირეძალოვანი მიწათმფლობელები. წინანდელი მეპატრონე მეტისმეტად ხშირად ჰყიდდა კოლონების დაგირავებულ საწარმოო საშუალებებს (pignora) და ამ გზით, ფარავდა რა დროებით მათ ვალებს (reliqua colonorum), მომავლისათვის სრულიად დაუძლურებული რჩებოდა (virus in posterum exhaustit), ვინაიდან სახსართა ნაკლებობის გამო მათი დავალიანება კვლავ იზრდებოდა (quarum defectione rursus reliqua creverunt). ამიტომ მრავალი კეთილსინდისიერი დამკვირავებელი მომარაგებული უნდა იქნეს ყველაფრით, რაც კი საჭიროა (sunt ergo instruendi complures frugum mancipes), ვინაიდან ჩვენს უბანში არც მე, არც სხვა ვინმეს მონები არა გვყავს.¹

პლინიუსი აღნიშნავს, რომ წლიდან-წლამდე მზარდ დავალიანებას ღებორგანიზაცია შეაქვს კოლონებში, რაც უნერგავს მათ პესიმიზმს, სასოწარკვეთილების გრძნობას და ისინიც დაუდევრად ეპყრობიან მეურნეობას.

„ბევრი მათგანი სრულიად აღარ ზრუნავს თავისი ვალების შემცირებაზე, რადგან მათ დაჰკარგეს გადახდის შესაძლებლობის იმედი. ისინი იტაცებენ და ხარჯავენ მოსავალს, ფიქრობენ რა, რომ მათ თავისთვის არაფერი არ უნდა შემოინახონ. ამ სულ უფროდა-უფრო მზარდ ბოროტებას გადამწყვეტი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს, მათ წინააღმდეგ გამონახულ უნდა იქნეს რაიმე საშუალება“ (occurrendum ergo augescentibus vitii et medendum est).

მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, რომ პლინიუსი იძულებულია უარი სთქვას ქალაქში წასვლაზე, ხელი აიღოს საზოგადოებრივ და სახელმწიფო მოვალეობათა შესრულებაზე, თავისი მეგობრების ნახვაზე და საამო დროს გატარებაზე. ასეთი ფიქრები უტრიალებს თავში პლინიუსს, როცა იკვირებს ახალ მამულს ყიდულობს. ერთადერთ გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან პლინიუსი ხედავს იმაში, რომ უარყოფილ იქნეს ფულადი იჯარა და მოხდეს გადასვლა იჯარაზე პროდუქტის ნაწილიდან. „დაძველებული სენის მკურნალობის ერთად-ერთი საშუალება არის—მიწის გაცემა არა ფულით, არამედ პროდუქტის ნაწილიდან სასყიდლად“ (medendi una ratio si non nummo, sed partibus locem).

თვალყურის დევნება მოსავლის აღებაზე და კუთვნილი ნაწილის გადახდევინებაზე სავსებით საიმედო ადამიანებს უნდა დაევა-

¹ Plin., Epist., III, 19.

ლოს. სოფლის მეურნეობის შემოსავალი—ყველაზე პირიანია, მაგრამ ის დამოკიდებულია ნიადაგზე, ჰავასა და სეზონზე, გულისხმობს დიდ ნდობას პერსონაჟის მიმართ, მოითხოვს გამჭვირავ თვალს და მრავალ ხელს. ეს საქმე, ცხადია, ადვილი როდია, მაგრამ, როგორც იტყვიან, დაძველებული სენის დროს გამოყენებული უნდა იქნეს დახმარების ყოველგვარი საშუალება (*experiendum tamen, et, quasi in veteri morbo, quae libet mutationes auxilia tendanda sunt*).¹

პარციალული კოლონატის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ ის იძლეოდა შესაძლებლობას, მონებისა და შეძლებული კოლონების გარდა, გამოყენებული ყოფილიყო სამუშაო ძალის სულ სხვადასხვაგვარი კატეგორიები, აგრეთვე თავისუფალი მოსახლეობის ხელმოკლე ფენებიც. ამით ერთბაშად წყდებოდა ორი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის სოციალურ-ეკონომიური პრობლემა, — პრობლემა სამუშაო ძალისა და პრობლემა წვრილი მწარმოებლის (კოლონის) აღდგენისა, — კოლონის, რომელსაც ეყრდნობოდა იმპერია. წვრილი მწარმოებლის აღდგენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანად უნდა მოსჩვენებოდათ ლატიფუნდიების ზრდისა და რომის საზოგადოების საშუალო ფენების წარცხვის მუქარის გამო. ასეთნაირად წარმოგვიდგება ძირითად ხაზებში იტალიასა და პროვინციებში კოლონატის შექმნის პროცესი. უახლესმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ერთიდაიგივე გენერალური ხაზის დროს რომის იმპერიის თვითეულ ოლქს თავისი თავისებურებანი ჰქონდა, რომლებიც განსაზღვრული იყო მთელი რიგი შინაგანი და გარეშე მიზეზებით. საკოლონატო წესები აფრიკაში;² მაგალითად, სხვანაირად იქმნებოდა, ვიდრე ეგვიპტესა,³ საბერძნეთსა და იტალიაში, გალიასა და გერმანიაში.⁴

5. იმპერატორთა სალტუსები

კოლონატი რესპუბლიკის დროსაც არსებობდა, მაგრამ გაბატონებული ადგილი რომის მეურნეობაში და იურიდიული გაფორმება მან მხოლოდ იმპერიის დროსა და ყველაზე უწინარესად პრინციპსის მამულებში (სალტუსებში) მიიღო. იმპერატორთა დომენები (*patrimonium*) იმავე ეკონომიური და არაეკონომიური მი-

¹ Plin., Epist., IX, 37.

² A. Schulten, Die römischen Grundherrschaften, Weimar, 1896.

³ O. Seeck, Geschichte des Untergangs der antiken Welt, I, 347.

⁴ Brunner, Deutsche Rechtsgeschichte, S. 321.

ზეზებით იქმნებოდა, როგორც მაგნატთა მამულები. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ იმპერატორთა მიწათმფლობელობის ზრდაში პოლიტიკური ფაქტორი გაცილებით უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ვიდრე კერძო მესაკუთრული დომენების შექმნის დროს. I—II საუკუნეების რომის იმპერატორთა პოლიტიკა სამეურნეო სფეროში მიმართული იყო იმპერატორთა დომენების გაფართოებისაკენ, იმპერატორთა მიწების ვრცელი ფონდის შექმნისა და ისეთი ნორმების შემოღებისაკენ, რომლებიც აწესრიგებენ ურთიერთობას იმპერატორთა მამულებისა და სახელოსნოების უშუალო მწარმოებელთა და იმპერატორულ ადმინისტრაციას შორის. იმპერატორთა მამულების მიერ კერძო მამულთა შთანთქმის პროცესი დაიწყო პრინციპატის პირველ წლებიდანვე და გრძელდებოდა IV საუკუნის დამლევამდე, როცა დაიწყო იმპერატორთა ფონდის ხარჯზე კერძო მამულთა ზრდის შებრუნებითი პროცესი, მაგრამ უკვე სხვა (ფეოდალურ) საფუძველზე.

პირშეფლდის,¹ მომზენის, დრესელის, კეილის და სხვათა გამოკვლევებმა დაამტკიცა იმპერატორთა მამულების არსებობა მთელი იმპერიის სივრცეზე პირველ საუკუნეებში ჩვენი წელთაღრიცხვით. პატრიმონიუმი სხვადასხვა გზით იზრდებოდა: ბეითალმან ქონებათა, მეგობრებისა და კლიენტების ანდერძნაშაგის დამემკვიდრების გზით, ახალი მიწების დაკავების, მაგნატთა მამულების ყიდვისა და კონფისკაციის გზით, რამაც კლავდიუსის დინასტიის უკანასკნელი იმპერატორების, კლავდიუსის და ნერონის, დროს მასობრივი ხასიათი მიიღო.

ფლავიუსებისა და ანტონინების დროს იმპერატორულმა პატრიმონიუმმა უკვე დამთავრებული ორგანიზაცია მიიღო, შეიწოვა რა ძველებური *ager publicus*-ის ნაშთი. მასალების თანამედროვე მდგომარეობაში იმპერატორთა მიწების ორგანიზაცია ყველაზე უმჯობესია განვიხილოთ აფრიკის მაგალითზე, რომლის აგრარულ წყობას უფრო ვიცნობთ წარწერებისა და მათზე დამყარებული სპეციალური მონოგრაფიების, განსაკუთრებით ა. შულტენის მონოგრაფიის „რომაული მამულების“ მეოხებით. იმპერატორთა მიწები აფრიკაში შეადგენდნენ განსაკუთრებულ მიწის ფონდს, რომელიც იმყოფებოდა აფრიკის სპეციალური სამიწათმოქმედო სამმართველოს გამგებლობაში. აფრიკის მიწის ფონდი იყოფოდა სამ დიდ ოლქად (*tractus* ანუ *dio-*

¹ O. Hirschfeld, *der Grundbesitz der römischen Kaiser in den ersten drei Jahrhunderten. Beiträge zur Alten Geschichte, II, 1902.*

cesis provinciā), რომლებიც ეკვროდნენ აფრიკის პროვინციის სან მთავარ ქალაქს—კართაგენს (tractus Carthaginensis), ჰადრუმეტს (tractus Hadrumetarius) და ჰიპონს (tractus Hipponensis). ოლქები იყოფოდა რაიონებად (regiones), რომელთაგან თვითეულში იმყოფებოდა ერთი ან რამოდენიმე სალტუსი. სალტუსი შედგებოდა ვილებისაგან, რომელთა გარშემო განლაგებული იყო რამდენიმე ქოხისაგან (casae) შემდგარი დაბები (vici). ოლქის სათავეში იდგა იმპერატორის მოურავი, ანუ პროკურატორი (procurator tractus), მისდამი დაქვემდებარებულ მსახურთა მრავალრიცხოვანი შტატით—არქივარიუსებით (tabularii), მოანგარიშეებით (dispensatores), გადამწერებით (librarii), სტენოგრაფისტებით (notarii), შიკრიკებით (cursores), ექიმებით (medici), პედაგოგებით (paedagogi), მიწისმზომელებით (agrimensores) და სხვა პერსონალით, რომელიც ჩამოთვლილია რომის აფრიკის სასაფლაოს წარწერებში¹.

ანალოგიურადვე იყო მოწყობილი იმპერატორთა მამულები რომის სახელმწიფოს სხვა ნაწილებშიც, კერძოდ მცირე აზიის პროვინციებში, როგორც ეს გვიჩვენა ავსტრიელი მეცნიერების კეილისა და პრემერშტეინის მიერ ამ ცოტახნის წინათ გამოქვეყნებულმა დოკუმენტებმა².

6. კოლონიების ყმად გადაქცევის დასაწყისი

იმპერატორთა სალტუსების გაჩენა მოასწავებდა გარდამტეხ მომენტს რომის იმპერიის სოციალურ-ეკონომიურ წყობაში—საქალაქო (მუნიციპალური) წყობილების შესუსტებას და მემამულური (ფეოდალური) წყობილების დასაწყისს. იმპერატორთა, ხოლო რამდენადმე კერძომფლობელთა სალტუსების თავისებურებას შეადგენდა ის გარემოება, რომ ისინი იურიდიული მხრივ სრულიად დამოუკიდებელი იყვნენ ჰეზობლად მყოფ მუნიციპიებისაგან. თვითონ ისინი ყალიბდებოდნენ მუნიციპიების ტიპის (municipii instar) მიხედვით. ეკზიმირებული მამულები—სალტუსები, რომლებიც საუკუნიდან საუკუნემდე სულ უფროდაუფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა, გამხრწნელ გავლენას ახდენდა საქალაქო წყობილებაზე, ეწეოდა რა ქალაქის უფლებების უზურპაციას. იმპერატორთა დომენები არსებობდა იტა-

¹ C. I. L., VIII, 24, 678; 24, 686; Suppl. VIII, 12, 590.

² Denkschrift, der Wientischen Akademie, LVII, I, 1914.

ლიაშიც, განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში, მაგრამ ისინი არ იყვნენ იმდენად გავრცელებულნი და დამოუკიდებელნი, როგორც პროვინციებში. იტალიის სალტუსების საერთო სახელწოდება იყო *fundi excepti*, ე. ი. ადგილობრივი ადმინისტრაციის დაქვემდებარებიდან გამორიცხული მამულები. II საუკუნის დამლევს იმპერატორთა მიწები და სახელმწიფო მიწები სახელმწიფო ანუ იმპერატორთა მიწების ერთ უწყებაში (*ratio*) გაერთიანდა და მათ ერთი ცენტრიდან განაგებდნენ. სალტუსები, გარემოცულნი სქელი კედლებით (*muro valido circumdati*) დამოუკიდებელ სოციალურ-ეკონომიურ სხეულებს წარმოადგენდა, მსგავსად მუნიციპიებისა. სალტუსებში მრავალი ხალხი (*populus plebeius*) ცხოვრობდა, რომელიც სხვადასხვა ფუნქციას ასრულებდა და არათანაბარი უფლებებითა და მდგომარეობით სარგებლობდა. ყოველგვარ ურთიერთობას მოცემული სალტუსის ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა შორის, თანახმად მოცემული სალტუსის წესდებისა (*lex, consuetudo praedii*), მოცემული სალტუსის პროკურატორები აწესრიგებდნენ. სალტუსებში მცხოვრები „პლებეური ხალხი“ ყველაფერს, რაც საკიროა ცხოვრებისათვის, ადგილზე, სამამულო ბაზრებზე (*nundinae*), მამულის დუქნებსა და სახელოსნოებში ღებულობდა. სამამულო წესდებებში გათვალისწინებული იყო ცხოვრების ყველა საკიროება—მოთხოვნილება—დაწყებული აბანოთი და საპარიკმახეროთი, გათაეებული გამასწორებელი სახლითა და ეკლესიით.

კოლონიების ახალშენები (*vici, casae*) „საბატონო ვილის“ (*villa*) მახლობლად ლაგდებოდნენ, ვილის, რომელიც წარმოადგენდა მმართველობის და პროკურატორის ან მისი მოადგილის ადგილმყოფელობის ცენტრს, და, ფრონტინის გამოთქმით, გარს ერტყმოდნენ მას სიმაგრეთა რკალივით (*vicos circum villam in modum muni-cipiorum*)¹.

მუნიციპალიუმის მოქალაქეთა მსგავსად, სალტუსებში მცხოვრები კოლონები და ინკვილინები ფორმალურად თავისუფლად ითვლებოდნენ და ჩვეულებრივად იჯარის ხუთწლიანი ვადის განვლის შემდეგ შეეძლოთ მამულის დატოვება. მაგრამ თეორია ყოველთვის როდი ემთხვეოდა პრაქტიკას. როგორც მიწის დამპყრობებელი, კოლონი არ იყო იჯარით აღებული ნაკვეთის სრული მესაკუთრე.

კოლონიების ნაკვეთები ეკუთვნოდა დაქვემდებარებულ, ე. წ. „სარგებლობითი“ საკუთრების (*dominium utile*) თანრიგს, რომელ-

¹ Corp., agrim. Rom., Thultn, V, I, f, I, 1913, p. 45.

საც არ ჰქონდა სრული საკუთრების მთავარი ნიშანი, ე. ი. მამულის გასხვისების უფლება. ესენი იყვნენ არა მესაკუთრენი, არამედ მხოლოდ დამპყროვებელნი ანუ მიწის მქონებელნი (detentores).

„მართლაც, — წერს იურისტი ცელსი, — არ არის სულერთი ნივთის ფლობა საერთოდ ან მისი ფლობა სხვისი სახელით (alieno nomine possidere)... კოლონი და ინკვილინი იმყოფებიან მამულში, მაგრამ ისინი მას არ ფლობენ“ (colonus et inquilinus sunt in praedio et tamen non possident)¹.

კოლონების დამოკიდებულება მამულების მფლობელთაგან, პირველ რიგში მთავარი მემამულის — იმპერატორისაგან, კიდევ იმიტომ ძლიერდებოდა, რომ უმრავლეს შემთხვევაში მოიჯარეებს არ გააჩნდათ შრომის საკუთარი იარაღები, ინვენტარი, მუშა საქონელი, მარცვლეულის შესანახი შენობები, ღვინო და ზეთი და სარგებლობდნენ ბატონის ინვენტარით. როგორც რომის იურისკონსულტთა მრავალი განმარტებიდან ჩანს, მამულების გადაცემა ანდერძით და იჯარით გაცემა მამულის ინვენტართან ერთად ხდებოდა (instrumentum fundi, apparatus rerum). ამასთან ინვენტარის შემადგენლობაში სულ სხვადასხვაგვარი ნივთები ირიცხებოდა, როგორც, მაგალითად: სასოფლო-სამეურნეო იარაღები, წნეხები, კასრები, ღოჭები, ნიჩბები და გადასაზიდი საშუალებანი პროდუქტების ბაზარზე გასატანად (quae exportandorum fructuum causa parantur), პროდუქტთა შესანახი შენობები, შენობები მონებისათვის, სახელოსნოები და სხვ.²

მამულის ინვენტართან ერთად კოლონები ხშირად ფულად სესხსაც ლებულობდნენ.

„კოლონს, — ნათქვამია დიგესტების ერთ-ერთ მუხლში — უნდა მიეცეს კასრები, წნეხი და წისქვილი, ბაგირით მომარაგებულნი, უკეთუ ესენი არ არის, პატრონმა უნდა გამონახოს და მიიტანოს; პატრონი ვალდებულია შეაკეთოს გაფუჭებული წნეხი, კალათები კი, რომლითაც ისინი სარგებლობენ ზეთის გამოხდის დროს, კოლონმა თვითონ უნდა დაიმზადოს“.

„უკეთუ ზეთი რგოლების საშუალებით იხდება, პატრონმა უნდა დაამზადოს წნეხი, ოწინარი, რგოლები, თვლები და ხრახნილები, რომლითაც სწევენ წნეხს; აგრეთვე სპილენძის კასრი... და სხვა ზეთის ქურქელი უნდა მისცეს პატრონმა, ისევე როგორც ღვინის

¹ Dig., XLIII, 26, 6., 43, 26; ulp., 71.

² Dig., XXXIII, 7, 12 (De instructo vel instrumento legato).

კასრები, რომლებიც კოლონმა უნდა მოკუპროს, რათა ისარგებლოს მით მომავალში“ (*Haec omnia sic accipienda, nisi si quid aliud specialiter actum sit*)¹.

ასეთია რომაელ კოლონების ყმად გადაქცევის ეკონომიური ფესვი.

„რაც უფრო დიდხანს რჩებოდა კოლონი მის ზიერ იჯარით აღებულ ნაკვეთზე, მით უფრო ეზრდებოდა იგი მიწას და, როგორც „მიწაზე მიწებებული“ (*adhuesus terrae*), მამულის განუყრელი ნაწილი ხდებოდა“.

სხვა ზემოჩამოთვლილ საგნების მსგავსად კოლონების ვალები და გადასახადები, და მათთან ერთად, მაშასადამე, თვითონ კოლონიებიც, იურიდიული მხრივ განიხილებოდნენ როგორც მამულის ინვენტარი, რომელიც მამულთან ერთად გადაეცემოდა მეორე მფლობელს. მამულის ანდერძით გადაცემის ტიპიური ფორმულა, მაგალითად, ამბობდა: „მსურს, რათა ასეთი და ასეთი მამული გადაეცეს ამადაამას სრულის მოწყობილობით (*ita ut est instructus*), ყველა ნივთებით, მონებითა და კოლონების ვალებით“ (*reliquis colonorum*)².

თავისუფალ მოიჯარეთა ყმად გადაქცევის პროცესს შეიძლება თვალის გადადევნოთ იურიდიულ აქტებსა, საიჯარო ხელშეკრულებებსა, კონტრაქტებსა და სამამულო წესდებებში.

კოლონატის წარმოშობის საკითხზე სპეციალურ ლიტერატურაში ერთი საერთო აზრი არ არსებობს. სხვადასხვა მკვლევარი ხაზს უსვამდა ხან ერთს, ხან მეორე მხარეს. ერთთა შეხედულებით (ფუსტელ დე კულანჟი, გრევისი, პელგამი, პიგანიოლი, პაისი), კოლონატის საფუძველს წვრილი თავისუფალი იჯარა შეადგენდა, მეორენი (სავინი, ცუმპტი, მარკვარდტი და ზეკი) წინა რიგში აყენებენ ბარბაროსულ ახალშენებს რომის ნიადაგზე, მესამენი (რუდოლფი, ფრანკი) კოლონატის მთავარ წყაროდ სთვლიან მიწაზე დამკვიდრებულ მონებს და ა. შ.

დასახელებულ თეორიებიდან არცერთი არ შეიძლება მიღებულ იქნეს მთლიანად და სავსებით, ვინაიდან თვითთელი მათგანი, აყენებს რა წინა რიგში ერთ რომელიმე წყაროს, უგულვებელჰყოფს ან, უკეთეს შემთხვევაში, სათანადოდ ვერ აფასებს მეორეს.

როგორც ამ საგანზე არსებული უახლესი გამოკვლევები გვიჩვენებს (სეგრე, კრომაიერი, კორნემანი, ვესტერმანი, ჩიკოტი და

¹ Dig., XIX, 2, 19.

² Dig., XXXIII, 6, 27.

სხვ.), კოლონატის სოციალურ-ეკონომიური ბუნება უფრო რთული და მრავალფეროვანია, ვიდრე ეს წარმოდგენილი ჰქონდათ ძველ ისტორიკოსებს, იურისტებს და ეკონომისტებს. კოლონატი წარმოიშვა და გაიზარდა არა ერთი, არამედ მრავალი ისტორიული ფესვიდან, რომელთაგან ზოგი შორს მიდის, ჯერ კიდევ რომამდე არსებულ წესებში. გარდა ამისა, კოლონატისა და საკოლონატო ურთიერთობათა შესწავლის დროს, ისე როგორც მონობის შესწავლისას, საჭიროა მუდამ მხედველობაში ვიქონიოთ ადგილობრივი (რეგიონალური) თავისებურებანი და რომის წინააღმდეგი გაველენა.

რომის ისტორიის სინთეტური მიმოხილვისა და ისტორიულ-სოციოლოგიური გაგებისათვის საკმარისია აღვნიშნოთ, რომ კოლონატი, რა ისტორიული ფესვებიდანაც არ უნდა წარმომდგარიყო იგი,—ახალ საწარმოო ფორმას წარმოადგენდა.

მონათმფლობელური წყობილების კრიზისის პერიოდში პარციარული კოლონატი იყო ერთადერთი საწარმოო ფორმა, რომელსაც შეეძლო შეეჩერებინა რომის იმპერიის რღვევა ყველა მისი კულტურული ზედნაშენით და მოემზადებინა ნიადაგი ფეოდალურ ურთიერთობათა შემდგომი მომწიფებისათვის. მთლიანად აღებული კოლონატი, აგრეთვე მთლიანად აღებულ მონობასთან შედარებით, წარმოადგენდა პროგრესულ სოციალურ-ეკონომიურ ფორმას, რომელიც იძლეოდა უმაღლეს—ფეოდალურ—ორგანიზაციასზე გადასვლის შესაძლებლობას. ამას არ ეწინააღმდეგება სოციალურ-ეკონომიური და კულტურული დონის დაქვეითება, რასაც ადგილი ჰქონდა რომის უკანასკნელ საუკუნეებში ზოგიერთ, უპირატესად ცენტრალურ, მონათმფლობელურ რაიონში—იტალიასა, საბერძნეთსა და სიცილიაში.

ანტიკური კულტურის დეგრადაციის მიზეზი იყო არა კოლონატი, არამედ მონათმფლობელური სისტემა მთლიანად, რომელმაც ვერ შეჰქმნა საზოგადოებრივი განვითარების უმაღლეს საფეხურზე გადასვლისათვის საჭირო სათანადო ტექნიკური, სოციალურ-ეკონომიური და ფსიქოლოგიური წინამძღვრების საკმაო რაოდენობა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კოლონატის უდიდესი უპირატესობა რომის იმპერიის პირობებში მდგომარეობდა იმაში, რომ ექსპლოატაციის საკოლონატო ფორმა საშუალებას იძლეოდა გამოყენებული ყოფილიყო სულ სხვადასხვა სახის სამუშაო ძალა: თავისუფალნი, მონები და ბარბაროსები. ისტორიულად კოლონატმა სავსებით გაამართლა მასზე დამყარებული იმედები. გარკვეული დროის განმავლობაში კრიზისი შესუსტებულ იქნა, სათესი არც გაფართოვდა, არმიის შეთხელებული რიგები შეივსო კოლონებით, მონათმფლობე-


ლებმა და სახელმწიფომ მუქთი სამუშაო ძალა შეიძინეს, ადამიანთა მასამ კი სამუშაო ჰპოვა. ხმელთაშუაზღვის სანაპიროთა კულტურული აღმავლობა ანტონინების დროს შეუძლებელია გაგებულ იქნას კოლონატთან კავშირის გარეშე.

კოლონატის გამაჯანსაღებელმა გავლენამ ხმელთაშუაზღვის მეურნეობაზე თავისი გამოხატულება პოვა თანამედროვე ლიტერატურაშიც, რომელზედაც ზემოთ უკვე მიქცეული იყო სათანადო ყურადღება. II საუკუნის დამლევისა და III საუკუნის პირველი ნახევრის რომაელ და ბერძენ მწერლებს მოეპოვებათ მითითებანი არა მხოლოდ პროვინციების, არამედ თვით იტალიის მოსახლეობის (*multi sunt in domo liberi*) ნამატსა და სამეურნეო აღმავლობაზე (*iam repertus est orbis et mundus*)¹, რაც, ექვსგარეშეა, კავშირშია კოლონატის გავრცელებასთან და საშუალო და წვრილი მწარმოებლის აღორძინებასთან. დასასრულ, თუ არ დაეუშვებთ იმას, რომ ადგილი ჰქონდა რომაელ და ბარბაროს საშუალო და წვრილ მიწათმფლობელთა მნიშვნელოვან გადიდებას, შეუძლებელია ახსნილ იქნეს ვებერთელა არმიების არსებობის ფაქტი, რომელთაც ჰკრებდნენ III-V საუკუნეებში არა მარტო პროვინციებში, არამედ იტალიაშიც. გამოთქმული თვალსაზრისის საფუძვლიან დადასტურებას წარმოადგენს ვ. ი. ლენინის ქვემოთმოყვანილი ცრატა.


„ექსპლოატაციის ფორმის შეცვლით,—წერს ვ. ი. ლენინი,— მონათმფლობელური სახელმწიფო იქცეოდა ბატონყმურ სახელმწიფოდ. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მონათმფლობელურ საზოგადოებაში მონა ყოველ უფლებას მოკლებული იყო, მას ადამიანად არ სცნობდნენ; ბატონყმურ საზოგადოებაში გლეხი მიმაგრებული იყო მიწაზე. ბატონყმობის ძირითადი ნიშანი ის არის, რომ გლეხობა (მაშინ გლეხები უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ხოლო ქალაქის მოსახლეობა მეტად სუსტად იყო განვითარებული) მიმაგრებული იყო მიწაზე, აქედან წარმოიშვა თვით ცნება—ბატონყმობა. გლეხს განსაზღვრულ დღეებში შეეძლო ემუშავა თავისთვის მიწის იმ ნაკვეთზე, რომელსაც მას მემამულე აძლევდა, ხოლო დანარჩენ დღეებში ის ბატონისათვის მუშაობდა. კლასობრივი საზოგადოების შინაარსი უცვლელი რჩებოდა: საზოგადოება კლასობრივ ექსპლოატაციას ეყრდნობოდა. სრულუფლებიანი მხოლოდ მემამულე იყო, გლეხი უუფლებოდ ითვლებოდა. გლეხების მდგომარეობა სინამდვილეში ძალიან მცირედ განსხვავდებოდა იმ მდგომარეობისაგან, რომელშიაც

¹ C y p r., De hab. virg., 23.

იყვნენ მონები მონათმფლობელურ სახელმწიფოში. მაგრამ მაინც გლეხების განთავისუფლებას უფრო ფართო გზა ეხსნებოდა, ვინაიდან ყმა-გლეხი მემამულის სრულ საკუთრებად არ ითვლებოდა. მას შეეძლო ნაწილობრივ თავის მიწაზე ემუშავა, ის რამოდენიმედ, ასე ვთქვათ, თავის-თავს ეკუთვნოდა, და ბატონყმობა, გაცვლა-გამოცვლისა და სავაჭრო ურთიერთობის განვითარების მეტი შესაძლებლობის გამო თანდათან იზრწნებოდა, და თანდათან ფართოვდებოდა გლეხობის განთავისუფლების შესაძლებლობა. ბატონყმური საზოგადოება ყოველთვის უფრო რთული იყო, ვიდრე მონათმფლობელური საზოგადოება. ბატონყმურ საზოგადოებაში მეტი იყო ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარების ელემენტი, რაც ჯერ კიდევ მაშინ ნიდაგს უშნადებდა კაპიტალიზმს. საშუალო საუკუნეებში ბატონყმობა მთავარი ფორმა იყო. სახელმწიფოს ფორმები აქაც სხვადასხვანაირი იყო, აქაც გვაქვს მონარქია და რესპუბლიკა,—თუმცა უფრო სუსტად გამოსახული,—მაგრამ გაბატონებულნი ყოველთვის მხოლოდ მებატონე—მემამულენი იყვნენ. ყმები აბსოლუტურად მოკლებული იყვნენ ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებას¹.



¹ ლენინი, სახელმწიფოს შესახებ, თხზ., ტ. XXIV, გვ. 370—371 (ქართულად—ლენინი, რჩეული ნაწერები ექვს ტომად, ტომი VI, ნაწ. I, გვ. 335-ბარტგაჰომც., 1935 წ.).



თ ა ვ ი XXII

პრინციპატიდან ღომინატიისკენ

I. სევერუსების სამხედრო მონარქია

ანტონინების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო მარკ ავრელიუსის შვილი კომოდი (180—192 წწ.), რომელიც შეთქმულის მიერ მოკლულ იქნა გლადიატორთა ყაზარმაში იმ დროს, როცა ის ემზადებოდა გლადიატორის როლში გამოსასვლელად. კომოდის შემდეგ რამდენიმე თვის განმავლობაში სამეფო ტახტს მართავდა ჰელვიუს პერტინაქსი (192—193 წწ.), პრეტორიელების მიერ მოკლული, რომელთაც იმპერატორის ტახტი მიჰყიდეს მდიდარ სენატორს დიდია იულიანს. არაპოპულარული დიდია იულიანის წინააღმდეგ ამხედრდნენ პროვინციული მეთაურები: ბრიტანეთის ნაცვალის კლოდიუს ალბინი, სირიის ნაცვალის პესცენიუს ნიგერი და პანონიის ნაცვალის ლუციუს სექტიმიუს სევერუსი. იმ შინაბრძოლიდან, რომელიც ოთხ წელს გრძელდებოდა და რასაც თანსდევდა უდიდესი გაპარტახება და განადგურება, გამარჯვებული გამოვიდა სექტიმიუს სევერუსი (M. Aurelius Severus Antoninus), რომელმაც დაიწყო ახალი, ანგარიშით მეოთხე, დინასტია რომში. სევერუსების დინასტიას ეკუთვნოდნენ შემდეგი იმპერატორები: სექტიმიუს სევერუსი (193—211 წწ.), მისი შვილი კარაკალა (M. Aurelius Antoninus Augustus, 211—217 წწ.), ელაგაბალი (218—222 წწ.) და ალექსანდრე სევერუსი (222—235 წწ.). 217-დან 218 წლამდე სამეფო ტახტს მართავდა იმპერატორი მაკრინი, პრეტორიუმის პრეფექ-

ტი, დაბალი წარმოშობის კაცი, ახალგაზრდობაში ის იყო მონა, „გასასყიდად გამოყვანილი“ (homo prostibilis).

სევერუსების მართველგამგეობა ახალ ფურცელს შლის რომის იმპერიის ისტორიაში—არმიის აშკარა ბატონობისა და რომის საზოგადოების მილიტარიზაციის პერიოდს. სამხედრო მეთაურთა და არმიის როლი სევერუსების დროს გაცილებით უფრო მკვეთრად გამოჩანს, ვიდრე „რესპუბლიკური“ პრინციპების დროს. სევერუსების მართველგამგეობა უფრო წააგავს რესპუბლიკის უკანასკნელ ათეულ წლებს და განსაკუთრებით ცეზარის პერიოდს, რომელმაც ბევრ რამეში წაუსწრო სევერუსების პოლიტიკას. „რესპუბლიკური მონარქია“ შინაგან წინააღმდეგობის გამწვავების, გარეგან საშიშროებათა გაძლიერებისა და იმპერატორული მეურნეობის ზრდის გამო, საუკუნიდან საუკუნემდე სულ უფროდაუფრო ჰკარგავდა თავის რესპუბლიკურ თვისებებს და პრინციპატიდან დომინატად, სამხედრო-ბიუროკრატიულ მონარქიად (Militärmonarchie) იქცეოდა. რაც უფრო ჰკარგავდნენ თავის მნიშვნელობას რესპუბლიკური დაწესებულებანი და მცირდებოდა მუნიციპალური საბჭოების ავტონომია, მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენდნენ ჯარი და ბიუროკრატია, ცეზარიზმის უშუალო დასაყრდენი.

II საუკუნის დამლევადან, მარკომანის ომის დროიდან, იმპერატორები მათ გარშემო მყოფ შტაბისა და არმიის სრულ დამოკიდებულებაში ვარდებიან. იმპერატორის დამოკიდებულება ჯარისაგან ყველაზე მეტი სიცხადით გამოაშკარავდა 193 წელს, პერტინაქსის მკვლელობის შემდეგ, როდესაც ჯარისკაცებმა იმპერატორის გვირგვინის ნამდვილი აუქციონი მოაწყეს. ცხარე კამათისა და დავის შემდეგ გვირგვინი წილად ხვდა მდიდარ სენატორს დიდია იულიანს, რომელმაც შეთავაზებულ ფასს კიდევ 1250 დინარი წაუმატა. იმპერატორის ჯარზე დამოკიდებულება საუკეთესოდ გამოხატულია სექტიმიუს სევერუსის კლასიკურად ქცეულ ფრაზაში, რომელიც მან წარმოსთქვა სიკვდილის წინ. მომაკვდავი იმპერატორის უკანასკნელი სიტყვები თავისი შვილებისადმი იყო რჩევა: „ნუ გექნებათ ჩხუბი ერთმანეთში და მოეფერეთ ჯარისკაცებს—ყველა დანარჩენი შეგიძლიათ არაფრად ჩააგდოთ“¹.

ზემოთმოყვანილი სენტენციის ფარული აზრი გასაგები იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომელშიც სექტიმიუს სევერუსი ხელისუფლების სათავეში მოექცა. სევერუსი გახდა

¹ Dio Cass., LXXVI, 15.

იმპერატორად არა მხოლოდ რომის სენატის სურვილის წინააღმდეგ, რომელმაც აშკარად ხმა მისცა მის მეტოქეებს ალბინსა და ნიგერს, არამედ აგრეთვე ძველი რომის პროვინციების უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგაც, რომელთაც არ უნდოდათ რომის სამეფო ტახტზე ჰყოლოდათ „პუნიელი“, აფრიკის ქალაქ დიდი ლეპტისის მკვიდრი, რომელიც ეკუთვნოდა ადგილობრივ რამანიზებულ არისტოკრატიას და იყო პანიბალის გატაცებული თაყვანისმცემელი. და მხოლოდ ლეგიონერთა დაჟინებითი მოთხოვნისა და მუქარის და ახალი სამოქალაქო ომის წინაშე შიშის გამო სეპტიმიუს სევერუსი ცნობილ იქნა რომის იმპერატორად.

სევერუსის შვილმა და მემკვიდრემ კარაკალამ გასცა ჯარისკაცებზე 2500 დინარი თვითეულზე. იმპერატორი მაკრინი თავისი შვილის კანდიდატურის მხარდაჭერისათვის თვითეულ ჯარისკაცს ხუთი ათას დენარს შეჰპირდა. თვით ძუნწი მამეია, ალექსანდრე სევერუსის დედა, არ ზოგავდა სახსრებს პრეტორიელთა მოსასყიდად. მომეია ცდილობდა, ამბობს ალექსანდრეს ბიოგრაფი, ფულთი გადაებირებინა ჯარისკაცები ალექსანდრეს მხარეზე, ვინაიდან „ქვეყანაზე მათ ყველაზე მეტად ფული უყვარდათ“.

სევერუსების სამხედრო დასაყრდენისა და მათი ჯარისაგან დამოკიდებულების ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს მრავალრიცხოვანი მონეტები ლეგიონების სახელწოდებათა აღნიშვნით და წარწერები. მონეტები და წარწერები სევერუსების ისტორიის შესწავლის ერთ-ერთ ისეთ ძირითად წყაროს შეადგენს, რაც საფუძვლად უდევს მაჩიოროს¹ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შრომას ამ ეპოქისა „რომის იმპერია სევერუსების დროს“.

მიძღვნილ წარწერებში ჯარისკაცები თავის მადლობას გამოსთქვამენ იმპერატორებისადმი და აღუთქვამენ, რომ ისინი მუდამ მათი ერთგულნი და მადლიერნი იქნებიან (*numine maiestatique deditissimi et dicatissimi*).

პირმოთნეობა, საჩუქრები (*dona*) და დაპირებანი ზნეობრივად გამხრწნელ გავლენას ახდენდა ჯარებზე, არყევდა დისციპლინას, რომ არაფერი ვთქვათ ბიუჯეტის მეტისმეტ გადატვირთვაზე. სანხედრო დისციპლინა სუსტდებოდა, ჯარისკაცები სიზარმაცეს ეჩვეოდნენ და ხანგრძლივ ლაშქრობას ველარ იტანდნენ; დიონ კასიუსს გამოთქმით, მათ სურდათ ყველაფერი ჰქონოდათ და გაკეთებით კი არა-

¹ V. Maccioro, L'impero romano nell' eta dei Severi „Riv. stor. ant“, 1905, 10; 1906, 11.

ჴერი გაეკეთებინათ. თვით ისეთი პოპულარული სარდალი, როგორც იყო სექტიმიუს სევერუსი, მხოლოდ რამდენიმედ ახერხებდა მიეღწია სამხედრო დისციპლინის აღდგენისა და ბელადის ავტორიტეტის განმტკიცებისათვის. თავის პოპულარობას ჯარისკაცთა შორის სევერუსი უნდა უმადლოდეს საჩუქრების უხვად გაცემას სულ სხვადასხვა საბაბით, გამასპინძლებას, სასურსათო უფლების გადიდებას, ჯარისკაცებისათვის სხვადასხვა უფლების მინიჭებას და ა. შ.

და, მიუხედავად ყოველივე ამისა, რომის არმიის დისციპლინას და ბრძოლისუნარიანობას ბევრი რამ აკლდა. ასე, მაგალითად, ნიგერთან ომის დროს სევერუსს მოუხდა ჩაექრო აჯანყებანი თავის არმიასი. დისციპლინის ამალღებისა და დეზერტირობასთან ბრძოლის მიზნით სევერუსმა სპეციალური ლაშქრობა მოაწყო ბრიტანეთში. ამასთანავე, ამბობს დიონი, იმპერატორი მხოლოდდამხოლოდ სამხედრო მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა, თუმცა ის არც კი იმედოვნებდა, რომ სიზარმაცითა და მცონარეობით შეპყრობილი ჯარი შეასრულებდა ამ ამოცანას.

იმპერატორის დამოკიდებულებას ჯარისაგან აძლიერებდა აგრეთვე ის, რომ რომში არ არსებობდა კანონი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ. ანტონინების დინასტიის იმპერატორებს იშვილებდნენ და ამტკიცებდნენ ჯარი და სენატი. და ეს ღრმად შეიქრა რომის საზოგადოების შეგნებაში, რომელიც არასოდეს არ სწყყეტდა კავშირს რესპუბლიკურ ფორმებთან და სიტყვებთან. „სამეთო სისხლიდან წარმოშობა,—ამბობს ტაციტი, რესპუბლიკური კონსტიტუციის აპოლოგეტი,—წმინდა შემთხვევითი მოვლენაა. პირიქით, ის ვინც სხვას იშველებს, იგი მას თავისუფლად ირჩევს და, თუ სურს კარგად ამოირჩიოს, მან საზოგადოებრივ აზრს უნდა მისდიოს“.¹

სევერუსების „ჯარისკაცთა მონარქიის“ პერიოდში იმპერატორებს ფაქტიურად ოფიცრობა და ჯარი ირჩევდა, ხალხი კი მხოლოდ „წამოიძახებდა“ წარმოდგენილ კანდიდატთა სახელებს.

რომის არმიის სოციალური შემადგენლობა სევერუსების დროს შეიცვალა პროვინციალიზაციის, დემოკრატიზაციის და ბარბარიზაციის მიმართულებით. II საუკუნის დამღვევიდან რომის არმიასი სქარბობდნენ პროვინციათა მცხოვრებნი, აზატები, ბარბაროსები და მონები და მეტად მცირე რიცხვს შეადგენდნენ იტალიკები. არმიის პროვინციალიზაცია აიხსნებოდა ორი მიზეზით: იტა-

¹ Tacit., Histor., I, 16.

ლიკების საერთო რიცხვის შემცირებით და თანინიღვევრობით გატარებული ანტიიტალიკური პოლიტიკით სვეტრუსებისა, რომლებიც ჯარის რიგებიდან რიცხავდნენ იტალიკებს. განსაკუთრებით იტალიის არისტოკრატისა, რომელიც არასოდეს არ იღვა მათ მხარეზე. არმიის მთავარ კონტინგენტს შეადგენდა სოფლის მოსახლეობა—კოლონები,—რომელნიც აბსოლუტურად სკვარბობდნენ ქალაქის ნებრებთ. ნწერლები—თანამედროვენი უჩივიან როგორც თვითონ რომის, ისე იტალიისა და პროვინციული მუნიციპალიტეტის საქალაქო მოსახლეობიდან (urbaniciანი) შეკრებილ ჯარისკაცთა სახეჯრო ძვიანუბების დაცემას.

—რომაელები.—წერს ჰეროდინე,—სავსებით გადავეარდნენ. დაჰკარგეს საბრძოლო თვისებები და საშინლად უმართ საბანაო ცხოვრება. ისინი ახლა ეწევიან მიწათმოქმედებას ჭა მწვიდობიან სარწყებს. სანამ რომს ხალხი განაგებდა და სახეჯრო ბელადებს სენატი ნიშნავდა, ყველა იტალიკები საუცხოო ნეონრები იყვნენ, პატრონბდნენ ხნელეთზე და ზღვაზე, ებრძოდნენ რა ჰელენებსა და მარბა-როსებს. არ იყო დედანიწის არცერთი კვთაზე და არცერთი მხარე, სადაც რომის ხელისუფლება არ ყოფილიყოს გავრცელებულა. მან შემდეგ, რაც მთელი ძალაუფლება ავგუსტუსის ხელში გადავიდა. მან გაათავისუფლა იტალიკები სახეჯრო საზრუნავისაგან, ზამოართა იარალი და დააწესა დაქირავებული, ჯარები. რომის იმპერიაჲ ამ დროიდან იცავდნენ დიდი მდინარეები, ფართო თბრილები, უღაბნოები და მიუვალი ადგილები“.¹

ჰეროდინემდე 100 წელზე უფრო ადრე იმავე აზრს გამოხატვანდა ტაციტი, რომელიც აცხადებდა, რომ „რომის არმიამა არათფერი ჯანსალი არ არის, გარდა უცხოელებისა“.²

2. პოლიტიკური წყობილება ხევიარუხების დროს

არმიის ხვედრითი წონის ამალლებას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა თვითონ იმპერატორთა ხელისუფლებაზე, „რესპუბლიკის პირველი მოქალაქიდან“—პრინციპსიდან—რომის იმპერატორი კანონზომიერად „წყალობითა ღვთისათა“ მონარქად იქცეოდა. იმპერატორის ნებასურვილი უფლებისა და კანონის ერთადერთ წყაროდ ხდებოდა, და ეს ფაქტი კლასიკური ეპოქის იურისტთა მიერ დოგმად იქნა

¹ Herod., III, 11.

² Tacit., Annales, III, 40.

აღიარებული. „პრინციპსის ნებას,—აცხადებს იურისკონსულტი ულ-
პიანე,—კანონის ძალა აქვს, ვინაიდან „უმალღესი ხელისუფლების
შესახებ კანონის“ ძალით (*lex regia*) ხალხმა გადასცა მას თავისი უმა-
ლღესი უფლებებიო“ (*populus ei et in eum omne suum impe-
rium et potestatem conferat*).¹ „უძველესი კანონის ძალით,—გვი-
თხულობთ იუსტიანეს კოდექსის ერთ-ერთ მუხლში,—რომაელი ხალხის
ყველა უფლება იმპერატორის ხელში გადავიდაო“ (*omne ius om-
nisque potestas populi Romani in imperatorem translata sunt*).²

იმპერატორთა დადგენილებებს, რომლებიც სცვლიდნენ კომი-
ციების მიერ დამტკიცებულ წინანდელ *leges*'ს, უწოდებდნენ საერ-
თო სახელს კონსტიტუციებს (*constitutiones principis*). განას-
ხვავებდნენ ოთხი სახის კონსტიტუციებს: 1) ედიქტები (*edicta*)—
საერთო ხასიათის განკარგულებანი, 2) დეკრეტები (*decreta*)—
იმპერატორის სასამართლო განაჩენები, 3) რესკრიპტები (*resc-
ripta*)—იმპერატორის პასუხი სხვადასხვა, უპირატესად იური-
დიულ, საკითხებზე და 4) მანდატები (*mandata*) ანუ წერილე-
ბი (*epistolae*)—სხვადასხვაგვარი ინსტრუქციები, რომელთა გაცე-
მაც ხდებოდა მოხელეთა, უფრო ხშირად პრეტორიუმის პრეფექტის
სახელზე. მმართველობა მოქცეული იყო პრინციპსის საბჭოში
(*consilium principis*), რომელშიც მთავარ როლს იურისტები ასრუ-
ლებდნენ. იმპერიის დასაწყისიდანვე იურისტებს თვალსაჩინო ადგი-
ლი ეკავათ საიმპერიო აპარატში, რაც აიხსნება მმართველობის სი-
რთულით, კანონთა სიმრავლითა და სოციალური ინტერესების წი-
ნააღმდეგობრივობით. რომაელ იურისტთა შორის ანტონინებისა და
სევერუსების დროს ყველაზე მეტად ცნობილი იყვნენ პაპინიანი,
სეპტიმიუს სევერუსის თანამედროვე და მეგობარი, ულპიანე, პა-
ვლე და გაიუსი. იურისტები, იმპერატორთა საბჭოს წევრები, იმ-
ლეოდნენ პასუხს (*responsa*) ყველა რთულ უფლებრივ საკითხზე და
ეკავათ უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობანი.

იურისკონსულტები თვით პრეტორიელი გვარდიის სათავეშიც
კი იდგნენ. პრეტორიუმის პრეფექტი (*praefectus praetorio*)
ერთჟამიერად სამხედრო კორპუსის უფროსიც იყო და უმაღლეს
სასამართლო ინსტანციასაც წარმოადგენდა... სეპტიმიუს სევერუსის
დროს პრეტორიუმის პრეფექტის პოსტი სახელგანთქმულ იურისტს
პაპინიანს ეკავა. შემდგომი ადგილი ეკავა ქალაქის პრეფექტს (*prae-*

¹ Dig., I, 4, 1.

² Cod. Iust., I, 16; I, 17.

fectus urbi), იმავდროულად ქალაქის პოლიცემისტერს და მოსამართლეს ქალაქის პრეფექტურის ფარგლებში. ძველებური სამაგისტრატო თანამდებობანი—კონსულატი, პრეტურა და კვესტურა—ბიუროკრატიული იერარქიის განსაზღვრულ სამსახურებრივ ეტაპებად იქცნენ. სახელმწიფო აპარატის მილიტარიზაცია გავლენას ახდენდა აგრეთვე სახელმწიფო მოხელეთა პირად შემადგენლობაზე. სევერუსების დროიდან სახელმწიფოს მართვაგამგეობაში დიდ როლს ასრულებენ სამხედრო მოხელენი, რომელთაც ეკავათ თანამდებობები კანცელარიებში, სამეურნეო უწყებაში, იმპერატორის პირად უწყებაში და სამეფო კარზე, მათ თავისი ზნე-ჩვეულებანი გადაჰქონდათ სამოქალაქო სამსახურზე. ოფიცერთა და სამოქალაქო თანამდებობაზე დაშვება გაადვილებული იყო დამსახურებული ჯარისკაცებისათვის პირველი საოფიცრო ხარისხის (primi ordinis) მინიჭებით, რაც ფართოდ შლიდა გზას, მიმავალს ყველა სახელმწიფო ხარისხისაკენ, თვით იმპერატორამდე, ჩათვლით. მაკრინის კარიერამ ცხადჰყო, რომ გარკვეულ პირობებში უბრალო ჯარისკაცსაც შეუძლია გახდეს იმპერატორი.

აბსოლუტური ტენდენციების გარეგანი გამოხატულება იყო უმაღლესი ხელისუფლებით მოსილთა ტიტულის გართულება. უკვე უკანასკნელი ანტონინების დროს ჩამოყალიბდა სხვადასხვა ეპითეტების გრძელი ჯაჭვი. ამ ეპითეტებს თავსა და ბოლოში ურთავდნენ უმაღლესი ხელისუფლებით მოსილის პირად და გვაროვნულ სახელს. გვიანდელი იმპერიის იმპერატორებს განსაკუთრებული მიდრეკილება ჰქონდათ გაეგრძელებინათ თავისი ნათესაობა და მისი პირდაპირი შტო ანტონინების დინასტიის დამაარსებლებამდე მიეყვანათ. სექტიმიუს სევერუსის სრული ტიტული, მაგალითად, ასე ითქმოდა: იმპერატორი კეისარი, შვილი ღვთაებრივი მარკოზისა, ძმა ღვთაებრივი კომოდისა, შვილიშვილი ღვთაებრივი პიუსისა, შვილის შვილისშვილი ღვთაებრივი ადრიანესი, შვილისშვილის შვილის შვილი (pronepos) ღვთაებრივი ტრაიანესი, შვილის-შვილის შვილის შვილისშვილი (adnepos) ღვთაებრივი ნერვასი. საკრალური ზედსართავი სახელები — ღვთაებრივი (divus), კეთილმსახური (pius), ბედნიერი (felix)—რომლებიც ემატებოდა კეისრების საკუთარ და გვაროვნულ სახელს, მოწმობდნენ III საუკუნის იმპერიის სხვა დამახასიათებელ თვისებასაც—მისტიკურ-რელიგიურ განწყობილებათა ზრდას.

ჯარის როლის გაძლიერება ჯარისკაცული მონარქიის თავისებურ დაღს ასვამდა რომის საზოგადოებას, მაგრამ იგი მის კლასობ-

რივ რაობას არ სცვლიდა. როგორც სევერუსებამდე, ისე მათ დროს რომის საზოგადოების უმადლეს წოდებად საიმპერიო არისტოკრატია რჩებოდა. მაგრამ არისტოკრატის პირად შემადგენლობაში დიდი ცვლილებები მოხდა. ჯარის დახმარებითა და არისტოკრატის სურვილას წინააღმდეგ ხელისუფლების სათავეში მოქცეული სევერუსები არ ძუნწობდნენ თავის მიმდევართათვის საჩუქრების გაცემის, სენატორთა და მხედართა სახელწოდებების ბოძების საქმეში. განვითარების ამ ეტაპზე „ჯარისკაცთა მონარქია“ უზრუნველყოფდა ქვეყნის თავდაცვას და მთლიანად მონათმფლობელური კლასის ინტერესებს იცავდა, თუმცა არისტოკრატის სოციალური შემადგენლობა სევერუსების დროს, წინამავალ პერიოდთან შედარებით, ძლიერ შეიცვალა რომის საზოგადოების ზედა ფენის უფრო მეტი პროვინციალიზაციისა და მილიტარიზაციის მიმართულებით. შორეული პროვინციებიდან გამოსულმა სევერუსებმა, ჯარის დახმარებითა და ძველი არისტოკრატის სურვილის წინააღმდეგ ხელისუფლების სათავეში მოქცევის შემდეგ, შეჰქმნეს თავისი საკუთარი უმაღლესი საზოგადოება, რომელიც მეტწილად სევერუსთა სახლის მიმდევარ ოფიცერთა და ჯარისკაცთაგან შედგებოდა.

სევერუსების სოციალური პოლიტიკა

სევერუსების სოციალური პოლიტიკა პირველ რიგში მიმართული იყო არმიის გადიდებისა და მისი იმპერატორის მხარეზე გადამბირებისაკენ. ამ მიზნით სექტიმიუს სევერუსმა გაადიდა ოფიცერთა და ჯარისკაცთა ფულადი გასამრჯელო და სავსებით მოაშორა არმიას რომის არისტოკრატია—სენატორები, შესცვალა რა ისინი პროვინციელებიდან გამოსული ახალი ადამიანებით.

სექტიმიუს სევერუსის დროს ძირფესვიანი რეორგანიზაცია განიცადა პრეტორიულმა გვარდიაში. ძველ პრეტორიულთა კოჰორტები, რომელთა რაოდენობა II საუკუნის დამლევს 15 ათას კაცამდე აღწევდა, გაშვებულ იქნენ; ხოლო მათი მოვალეობანი გადაეცა, უმთავრესად, ილირიელ ლეგიონების ჯარისკაცთაგან შემდგარ კორპუსს; ეს ლეგიონები დაბანაკებული იყო რომის გარეუბანში. პრეტორიუმის პრეფექტის თანამდებობა დარჩა, მაგრამ წმინდა სამხედროდან ის ნახევრად სამხედრო თანამდებობად გადაიქცა. სამხედრო უფლება—მოვალეობასთან ერთად პრეტორიუმის პრეფექტს ენიჭებოდა აგრეთვე უმაღლესი სასამართლო უფლებები. სწორედ

ამით აიხსნება, ერთი შეხედვით, უცნაური გარემოება, რომ პრეტორიუმის პრეფექტის თანამდებობა III საუკუნეში ხშირად ეკავათ არა სამხედრო პირებს, არამედ იურისტებს. პოლიტიკური თვალსაზრისით პრეტორიუმის პრეფექტის ფუნქციების გაფართოვებითა და ამ თანამდებობაზე არასამხედრო პირთა დანიშვნით სუსტდებოდა პრეტორიულ მეთაურთა გავლენა და მცირდებოდა თვითონ პრეტორიული გვარდიის მნიშვნელობა.

თავის სამხედრო პოლიტიკაში სევერუსი უბრუნდება თითქმის მარიუსამდელ პერიოდს; პროფესიონალ ჯარისკაცს ის აქცევს მიწაზე დასმულ ნახევრად გლეხად და ნახევრად მილიციელად. რომელი ჯარისკაცი ახლა უკვე ყაზარმის გარეშე ცხოვრობს და მასში ის ცხადდება მხოლოდ მეცადინეობის საათებში, ჰყავს ოჯახი, ლეგულობს მთავრობისაგან ულუფას და მიწის ნაკვეთს. გაუქმებულ იქნა სამხედრო პირთა აქამდე არსებული შეზღუდვა სამოქალაქო უფლებებში. სევერუსებამდე ჯარისკაცებს არ შეეძლოთ კანონიერად დაქორწინებულ იყვნენ და კანონით ცნობილი ოჯახი ჰყოლოდათ; მათ შეეძლოთ ჰქონოდათ მხოლოდ „თანაცხოვრება“ — კონკუბინატი — (concupinatus), რაც არ უზრუნველყოფდა არც ცოლის, არც ბავშვების სამოქალაქო უფლებებს. სექტიმიუს სევერუსმა ნება დართო ჯარისკაცებს ჰყოლოდათ ოჯახები ბანაკის ახლო დაბებში (canabae); ასეთი ქორწინებიდან დაბადებულ ბავშვებს ენიჭებოდათ სამოქალაქო უფლებები იმ პირობით, თუ ისინი სამხედრო სამსახურში შევიდოდნენ. ცალკეულ შემთხვევებში კი ჯარისკაცებს ნება ეძლეოდათ დაქორწინებული იყვნენ სხვების თანაბრად დანარჩენ მოქალაქეებთან (iustum matrimonium). ოჯახების (focaria) შესანახად ჯარისკაცებს ნება ეძლეოდათ იმპერატორისადმი კუთვნილ საბანაკო ტერიტორიაზე (solum, Caesaris) ჰქონოდათ მიწის ნაკვეთები მოიჯარეთა უფლებით, რაც უახლოვდებოდა კოლონების უფლებებს. უკვე ანტონინების დროს დაწყებულ ფულის ღირებულების მზარდი დაცემის, მონეტის დაბალხარისხიანობის პირობებში, როცა ვერცხლის დენარი შეიცავდა სულ 5% ვერცხლს, ფასების ზრდისა და ცხოვრების სიძვირის დროს, ჯარის თვითმომარაგებაზე გადაყვანა ნაკარნახევი იყო მოვლენათა ობიექტური მსვლელობით.

ჯარისკაცთათვის ნებართვის მიცემა — ჰყოლოდათ ოჯახები და აეღოთ იჯარით მიწები — ხელს უწყობდა არმიის დამკვიდრებას, ამცირებდა სახელმწიფო ხარჯებს და თვითონ ჯარისკაცის, მისი ცოლისა და ბავშვების სახით სამუშაო ძალის ახალ კადრებს ჰქმნიდა. ჯარისკაცთა დამკვიდრების უარყოფით მხარეებს შეადგენდა არმიის

ბრძოლის უნარიანობის შესუსტება, დისციპლინის დაცემა, მეთაურთა შემადგენლობის ხარისხის შემცირება და არმიის ცენტრისაგან ჩამოშორება. რომის არმიის სანაპირო მილიციად გადაქცევა ხდებოდა რომის დაპყრობითი პოლიტიკის შესუსტებისა და შორეულ ლაშქრობათა დამთავრების კვალდაკვალ. ამგვარად რომის არმია შემტევი ძალიდან სულ უფროდაუფრო იქცეოდა თავდაცვით ძალად, რომელიც გაფანტული იყო საზღვრებზე.

მაგრამ ამას თავისი დადებითი მხარეც ჰქონდა. საზღვრებზე ჯარისკაცთა დასახლება ხელს უწყობდა განაპირა მხარეების რომანიზაციას და რომაელების პროვინციალებთან შეერთებას. სევერუსების დროს თითქმის უკვე გაჰქრა უფლებრივი განსხვავება იტალიკებსა და პროვინციალებს შორის. სევერუსები პროვინციალებიდან ავსებდნენ არმიას, ჰკრებდნენ მოხელეებს და იმავე პროვინციალებიდან ჰქმნიდნენ სენატორთა და მხედართა წოდებას.

სევერუსების დროს განაპირა მხარეები გამოცოცხლდნენ, მოიპოვეს რომის მოქალაქეობის უფლება და ეზიარნენ ბერძნულ-რომაულ ცივილიზაციას, სხვანაირად რომ ვთქვათ, მოხდა მათი რომანიზაცია. აფრიკის ქალაქის ლეპტისის მკვიდრის, სეპტიმიუს სევერუსის განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით სარგებლობდნენ აფრიკა, ნუმიდია, მავრეტანია და ღუნაის პროვინციები, რასაც მოწმობს სამადლობელი წარწერები და ძეგლები სევერუსის საპატივცემოდ, რომლებიც შემორჩენილია ხსენებულ პროვინციებში,¹ და რომლებიც ადიდებენ სევერუსს როგორც უაღრესად სამართლიანი კანონების შემქნელს (*legum conditor longe aequabilium*)².

სევერუსების აგრარული პოლიტიკა, წვრილ და საშუალო მწარმოებელთა აღდგენისაკენ მიმართული, პირდაპირი გავრძელება იყო მათ წინამორბედ ანტონინების პოლიტიკისა. საშუალო ფენების აღსადგენად, რომელთაგანაც ივსებოდა ჯარის კადრები, სევერუსები ეწეოდნენ სახელმწიფო ფონდიდან მიწის ნაკვეთების გასაჩუქრებას და გაყიდვას შეღავათიან პირობებში, იმედოვნებდნენ რა ამ გზით ერთბაშად გადაექრათ ორი საკითხი—სამხედრო და მიწის საკითხი.

მეორე მხრით, ქალაქის მოსახლეობის მისამხრობად სევერუსებმა არამცთუ არ შეამცირეს, არამედ უფრო გააფართოვეს კიდევაც „პურისა და სანახობათა“ პოლიტიკა. სასუოსათო საქმე (*cura annonae*) ხელახლა რეორგანიზებულ იქნა; დედაქალაქის პური-

¹ C. I, L., VIII, p. 1014.

² A u r. V i c t. Caes., XX, 23.

შეუფერხებლივ მოსამარაგებლად დაარსებულ იქნა სპეციალური აფრიკის ფლოტილია, რომელიც აფრიკიდან მოეზიდებოდა პურსა და ზეთს. პურის ყოველდღიურ გაცემასთან ერთად, რაც უდრიდა 75 ათას მოდიუსს,¹ სეპტიმიუს სევერუსმა შესძლო კიდევ გაეკეთებინა მნიშვნელოვანი მარაგი უკიდურესი საკიროების შემთხვევისათვის. ყურადღება მიაქცია აგრეთვე დედაქალაქის წყლით უზრუნველყოფის საქმეს. პურისა და წყლის სპეციალური კურატორები (*curatores annonae, curatores aquarum*) განაგებდნენ წყლითა და პურით მომარაგებას.

ალიმენტაციების ინსტიტუტი გაფართოვებულ იქნა, ბავშვებო დახმარებას ღებულობდნენ, ოჯახის მამები კი სპეციალურ საჩუქრებსა და შეღავათებს.

გრძელდებოდა აგრეთვე სააღმშენებლო მუშაობაც. სევერუსების ეპოქის ნაგებობათაგან უნდა აღინიშნოს სევერუსის თალი (*arcus Severi*), ჰერკულესის ტაძარი, სეპტიმიუსის კიშკარი (*porta Septimiana*), პრეტორიელთა ყაზარმები ლორის ბაზარზე (*forum suarium*), წყალსადენები, გზები და სხვ. ნაგებობათა გამგებლობა მოხელეთა მთელი შტატის, ან საზოგადოებრივ სამუშაოთა, ტაძრების, გზების და ა. შ. კურატორთა ხელთ იყო (*curator operum publicorum, curator aedium sacrarum*).²

სახელმწიფო აპარატის ორგანიზაციის მხრივ სევერუსები მოგვიანო იმპერიის იმპერატორთა პირდაპირი წინამორბედნი იყვნენ. სახელმწიფო აპარატის განვითარება აბსოლუტიზმის გაძლიერების, რომის სახელმწიფოს უზარმაზარ საიმპერატორო ოიკოსად გადაქცევის გზით მიდიოდა, ოიკოსს კი იმპერატორული ბიუროკრატია განაგებდა. მართვა-გამგეობის მთავარი ამოცანა იყო ხარკის, გადასახადის, სამხედრო და სამუშაო ძალის რაც შეიძლება დიდი რაოდენობით მიღება. ამას კი აღწევდნენ გადასახადთა გაღიღებით, იმპერატორის პატრიმონიუმის გაფართოვებით და ფისკის უფლებათა გაფართოვებით, რომელიც პრინციპსის პირადი ხაზინიდან იქცეოდა სახელმწიფო ხაზინად, და რომელმაც ამ დროისათვის სავსებით შთანთქა ერარები. ფისკი ივსებოდა ექსტრიორდინარული და ორდინარული შემოსავლით. ექსტრიორდინარულ შემოსავალთან ერთად (კონფისკაციები, მონეტის გაყალბება და ა. შ.) ფისკში შედიოდა

¹ *Script. Hist. Aug. Sept. Sev.*, 23.

² *C. I. L.*, XIV, 2505—2510.

შემოსავალი სავაჭრო ბაჟებიდან, გადასახადი ფუფუნების საგნებზე, შემოზიდვა-გაზიდვის ბაჟები და მრავალი სხვა.¹

გადასახადებსა და ბეგარას ფულისა და ნატურის სახით ახდენებდნენ. სახელმწიფო ბეგარის შესრულება (functiones, obsequium) ეკისრებოდა ცალკეულ პირებს და მთელ კორპორაციებს—მუნიციპალურ საბჭოებს (კურიებს) და კოლეგიებს, რომლებიც მობილიზებული იყვნენ სახელმწიფოს სამსახურში და ურთიერთ თავდებობით იყვნენ შეკრულნი (certa forma).

იმ მიზნით, რომ მიეღოთ რაც შეიძლება დიდი თანხა გადასახადებისა და დაბეგვრისაგან, მეტი წყარო საზოგადოებრივი და პირადი მეურნეობისაგან, იმპერატორის კანცელარიებში შემუშავებულ იქნა და ბეგვრის სპეციალური ფორმა (forma censualis), რომლითაც უნდა ეხელმძღვანელებინათ ადგილებზე მუნიციპალურ კურიებსა და იმპერატორის მოხელეებს ქონების აწერისა და შეფასების დროს. ცენზუალური ფორმის ხასიათის შესახებ საკმაოდ ნათელ წარმოდგენას იძლევა ქვემოთოყვანილი ნაწყვეტი დაბეგვრის შესახებ ულბიანის წიგნიდან (De censibus), რომელიც შეიცავს ცენზურული ფორმის ზოგიერთ მუხლებს.

„ცენზის წარმოების დროს,—წერს იურისკონსულტი ულბიანი,—ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მიწების შეტანა ცენზუალურ სიებში შეჰდევინებდეს მტკიცედ დაწესებული წესით ხდებოდეს: თვითთული ნაკვეთის სახელი (nomen fundi cuiusque) იმის აღნიშვნით, თუ რომელ თემში იმყოფება ის და რომელი ორი უახლოესი ნაკვეთი ესაზღვრება მას. სახნავი მიწის შესახებ (arvum) აღინიშნოს, რა სახის კულტურებით იყო დათესილი მინდორი უახლოეს ათწელს და რამდენ იუგერზე. ვენახების შესახებ (vinea) წარდგენილი იქნეს ცნობა,—რამდენი ძირი ვაზია, რამდენი ზეთისხილის კალაა (olivae)—რამდენი იუგერი უკავია მათ და რამდენი ძირი მცენარე აქვთ; სათიბები (prata)—რომელ სათიბებს გასთიბავენ უახლოეს ათწელს და რამდენი იუგერი უკავია მათ; საძოვრები (pascua)—რამდენი იუგერია განზრახული საძოვრებად და რამდენი იუგერი ტყე—გასაჩეხად (silvae caeduae).²

1. შემფასებელმა (censitor) უნდა გამოიჩინოს ისეთი სამართლიანობა, რომ მისი შეწევნით მოეხსნას გადასახადი იმას, ვისაც ცენზუალურ სიებში აღნიშნული ნაკვეთით რაიმე მიზეზთა გამო არ

¹ U. Wilcken, Griechische Ostraka, B. I—II, 1899.

² Dig., L., 15,4 (De censibus).

შეუძლია ისარგებლოს. ამიტომ, თუ მისი მინდვრის ნაწილი მიწის ჩაზევაების გამო დაიღუპა, მას უფლება ექნება შემფასებლის შემწეობით მიიღოს შეღავათი—ფასდაკლება. თუ მას დაეღუპა ვაზები ან გაუხმა ხეები, მაშინ არათანაბარი (ე. ი მათი გამოკლებით) რიცხვი შეტანილ უნდა იქნას ცენზში; თუ კი ის გაჩეხავს ხეებს ან ვაზებს, მაინც საჭიროა, რათა მან გამოაცხადოს ის რიცხვი, რომელიც ცენზის დროს იყო, თუ ის არ აუხსნის შემფასებელს გაჩეხის მიზეზს...

2. ვინც სხვა თემში ფლობს მიწას, სწორედ ამ თემში უნდა შეიტანოს თავისი განაცხადი, სადაც აქვს მას მიწა (*in ea civitate profiteri debet, in qua ager est*), და მიწის გადასახადი კი მან უნდა შეიტანოს იმ თემში, რომლის ტერიტორიაზეც ის ფლობს ამ მიწას.

3. თუმცა ზოგიერთ პირზე გაცემული მოწყალება გადასახადთან განთავისუფლებსა, მათი სიკვდილის შემდეგ ისპობა, მაგრამ გადასახადებისაგან განთავისუფლება, რაც ებოძა ადგილებსა და თემებს, შთამომავლობაზეც გადადის...

4. მონების შესახებ განაცხადების დროს (*in servis deferendis*) თვალყური უნდა ვადევნოთ იმას, რომ ცალცალკე იყოს აღნიშნული მათი ეროვნება, წლოვანება, მოსაქმეობა და ხელობა.

5. სათევზაო ტბები და ყურეები მათმა მფლობელებმა აგრეთვე უნდა შეიტანონ ცენზში.

6. უკეთუ მამულში მოიპოვება მარილის რაიმე საბადოები, მათ შესახებაც უნდა იქნეს ცენზში მოხსენებული.

7. უკეთუ რომელიმე ინკვილინი ან კოლონი მოხსენებული არ იქნება, ის დაპატიმრებულ უნდა იქნეს ცენზის შესახებ არსებულ დადგენილებათა საფუძველზე. რაც წარმოიშვება აღწერის ჩატარების შემდეგ ან შემდგომ აღმოჩნდება, ის დაწყებული საქმის დამთავრების შემდეგ შეიძლება გამოსწორებულ იქნეს შემდგომი განცხადებით.

8. უკეთუ ვინმე ითხოვს ნებართვას, რათა მან გაასწოროს გადასახადთა სიები, ხოლო ამ თხოვნის შემდეგ გაიგებს, რომ მას არ უნდა ეთხოვა გასწორება, ვინაიდან ეს საქმე არ მოითხოვდა გასწორებას, მაშინ,—როგორც ეს არაერთხელ უკვე განმარტებული იყო,—დეე იცოდნენ, რომ მას არაერთადი ზიანი ან საყვედური არ შეხვდება იმის გამო, რომ იგი ითხოვდა სიების გასწორებას.¹ პასუხისმგებლობა კოლეგიების მიერ თავიანთ ვალდებულებათა ზუსტად

¹ Dig., L., 15,4 (De censibus)

შესრულებისათვის, გადასახადთა წესიერი შემოსვლისა და სხვადასხვა ბეგარის შესრულებისათვის ეკისრებოდა კოლეგიების თავმჯდომარეებს, მუნიციპალურ საბჭოებს (decaprotia) და პროვინციულ ადმინისტრაციას.

სახელმწიფო ვალდებულებათა თავის არიდებას (munera publica) განიხილავდნენ როგორც უმძიმეს სახელმწიფო დანაშაულს. „არა არის რა იმაზე უფრო სამარცხვინო, ეს კიდევ ცოტაა, — იმაზე მეტი სისასტიკე, როცა ვინმე ზიანს აყენებს სახელმწიფოს და თავისი შრომით ხელს არ უწყობს მის კეთილდღეობას (immo crudelius, quam si rem publicam is adroderet, qui nihil ineam suo labore conferret)“¹. უმნიშვნელოვანეს შუამავალ ერთეულს რომის სახელმწიფოს სისტემაში წარმოადგენდნენ მუნიციპიუმები, რითაც აიხსნება ის დიდი ყურადღება, რომელსაც უთმობდნენ საიმპერატორო კანონმდებლობაში მუნიციპიუმების, მუნიციპალური საბჭოების (კურიების) და ყოველგვარი კოლეგიებისა და კორპორაციების ორგანიზაციას. მუნიციპალური ვალდებულებანი ორგვარი იყო: ქონებრივი და პირადი (munerum civilium quaedam sunt patrimonii alia personarum). პირველ კატეგორიას მიეკუთვნებოდა ყველაფერი, რაც დაკავშირებული იყო ქონებრივ ხარჯებთან, როგორც, მაგალითად: გადასახიდ საშუალებათა, სახმელეთო და სამდინარო საშუალებათა ჩაბარება, წარმოდგენების, დღესასწაულების მოწყობა ცხენების მოყვანა საჯირითოდ და ა. შ. პირად ბეგართა კატეგორიას კი მიეკუთვნება ყოველივე ის, რაც დაკავშირებულია „ფიზიკურ შრომასთან, სულიერ მღელვარებასა და სიფხიზღესთან“, როგორც, მაგალითად: ქალაქის დაცვა (defensio civitatis), წარმომადგენლობა ქალაქის სახელით ქალაქის რწმუნებულის სახით (syndicus), მოვალეობის შესრულება ცენზის წარმოებისა და ქონების შეფასების დარგში, ზრუნვა საზოგადოებრივ შენობებზე, წყალსადენებზე და ქალაქის სურსათით (annona) მომარაგებაზე და შემდეგ ყოველგვარი წვრილმანი ბეგარა—პურის ბეღლების დაცვა, შეშის მოზიდვა აბანოების გასათბობად და ა. შ.²

ბეგარიდან თავისუფლდებოდნენ: მოხელეები, რომაელი სენატორები, ფისკის მოიჯარეები, ბავშვები, ავადმყოფები, დასახიჩრებულინი და სხვ., დიდი ოჯახების მამები, ჯარისკაცები, მსჯავრდებულნი და ზოგიერთი სხვა კატეგორიები. ხელმოკლენი (inopes, deficientes facultatibus) თავისუფლდებოდნენ ქონებრივი დაბეგ-

¹ Script. Hist. Aug., Pius, VII.

² Dig., L, IV, I, De muneribus et honoribus.

ურისაგან, მაგრამ პირად ბეგარას კი იხდიდნენ. მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთანავე დაუყოვნებლივ იწვევდნენ მათ აგრეთვე ქონებრივი ბეგარის მოსახდელად და შესაბამისად სათანადო საპატიო თანამდებობათა მისაღებად¹.

პროვინციის ნაცვალის თვალყურს ადევნებს, რათა ბეგარა და საპატიო თანამდებობანი ქალაქებში ნაწილდებოდეს გარკვეული წესით წლოვანებისა და მდგომარეობის შესაბამისად (*secundum aetates et dignitates*), რათა განურჩევლად არ იტვირთებოდნენ ერთიდაიგივე პირები და ამის წყალობით არ სუსტდებოდნენ არც ადამიანები, არც სახელმწიფოს ძალები“².

გადამხდელთა ძებნაში სევერუსები სულ სხედასხვა მეთოდებს მიმართავენ. ძალიან ხშირად ფისკალური ანგარიშით აიხსნებოდა საქალაქო წყობილების გავრცელება იმ ქვეყნებზე, როგორც, მაგალითად, ეგვიპტეა, სადაც ის წინათ არ არსებობდა, მრავალი სოფლისა და ბანაკების გადაქცევა ქალაქებად და, ბოლოს, ახალი ქალაქების დაარსება.

უაღრესად ინტენსიურ ფისკალურ პოლიტიკას შედეგად მოჰყვება, ერთი მხრით, მოსახლეობის უარისთქმა გადასახადებსა და ბეგარაზე და, მეორე მხრით, გადამხდელთა დანარჩენი ნაწილის დაუძლურება. ყველა, ვისაც კი შეეძლო, ამათუიმ გზით თავს არიდებდა გადასახადებს, იძენდნენ იმუნიტეტს (განთავისუფლებას) ჯარში შესვლით, სახელმწიფო სამსახურში მოწყობით და სხვ.³ ანტონინებისა და სევერუსების სოციალურ—ეკონომიური პოლიტიკის ამ მიმოხილვიდან ჩანს, რომ უკვე ამ დროს დაისახა მონათმფლობელური რომის ბატონყმურში გადასვლის ძირითადი ხაზები, როგორადაც ის გვეჩვენება ჩვენ რომის იმპერიის უკანასკნელ საუკუნეებში.

4. სეპტიმიუს სევერუსის მემკვიდრეები

სეპტიმიუს სევერუსის მიერ შექმნილი წესწყობილება საერთოდ უცვლელი რჩებოდა მისი მემკვიდრეების დროსაც, რომელთაც სოციალური და კულტურული ცხოვრების არცერთ დარგში არაფერი მნიშვნელოვანი არ შეუქმნიათ. სეპტიმიუს სევერუსის მემკვიდრეების

¹ Dig, L, V, I.

² Ibid., IV, 3.

³ Dig, L, G, 6; B. Matthiass, Zur Geschichte und Organisation der römischen Zwangsverbände; Rostocker Festschrift f. H. von Buschka, 1891.

მიერ ქვეყნის მართვა-გამგეობა აღსავსეა დინასტიური ბრძოლით, სამხედრო ამბოხებით, აჯანყება—შეთქმულებებით.

სეპტიმიუს სევერუსის შემდეგ იმპერატორად გახდა მისი შვილი კარაკალა. კარაკალას მიერ ქვეყნის მართვა დაიწყო მისი უმცროსი ძმის გეტას მკვლელობით. ძმისადმი შურითა და შიშით შეპყრობილმა კარაკალამ დაარწმუნა თავისი დედა მოეწვია თავისთან გეტა შესარიგებლად, მაგრამ ეს ვითომდა შერიგების ცდა გეტას მკვლელობით დამთავრდა. იმპერატორის უმცროსი ძმის მკვლელობას მოჰყვა მოკლულის ნამდვილი და იკვმიტანილი მომხრეების მასობრივი მკვლელობანი და ქონების კონფისკაციები. მოკლულთა რიცხვი 30 ათასს კაცს აღწევდა. მათ რიცხვში აღმოჩნდა მრავალი აზატი და მონა, რომელთაც გეტას მხარე ეკირათ, მონაწილეობდნენ მის ადმინისტრაციაში ანდა პირდაპირ მოხსენებული იყვნენ მის მიერ დატოვებულ ანდერძში.

სხვათა შორის კარაკალას დროს დაიღუპნენ სეპტიმიუს სევერუსის ბიძაშვილი, ლუცილას შვილი, კომოდის დები, მარკ ავრელიუსის ქალიშვილი კორნიფიცია და მრავალი სხვა. თავისი მოქმედებით, ზენინზავს ქსიფილინი, IX საუკუნის ბიზანტიის ისტორიკოსი, კომპილატორი და დიონ კასიუსს კომენტატორი, კარაკალამ სავესებით დაასახიჩრა რომი, მუსრი გაავლო რა მასში ყოველივე საუკეთესოს და მასთან სრულიად უდანაშაულოდ და გაუსამართლებლად.

„მე არ ჩამოვთვლი,—ამბობს ქსიფილინი,—ყველა წარჩინებულთ, რომელნიც მან დახოცა გაუსამართლებლად და უდანაშაულოდ. დიონ კასიუსს მოჰყავს სრული სახელობითი სია იმ დროის ყველა დიდებულთა, რომელნიც ემსხვერპლნენ. საკმარისია ითქვას, რომ იგი ჰკლავდა ყველას, ვისაც კი მოისურვებდა“¹.

კარაკალა იყო, სიტყვის სრული მნიშვნელობით, ჯარისკაცთა იმპერატორი, რომელიც თავის-თავს მეორე ალექსანდრე მაკედონელს უწოდებდა. მისი ზრუნვის მთავარ ობიექტს ყოველთვის არმია წარმოადგენდა. დედის შენიშვნაზე, რომ ის მეტად ბევრს ხარჯავს ჯარისკაცებზე, კარაკალამ იძრო მახვილი და უპასუხა: „ნუ შიშობ დედავ! სანამ ჩვენ ამ მახვილს ვფლობთ, ფულის ნაკლებობა არ გვექნება. არცერთ კაცს ჩემს სახელმწიფოში,—დაუმატა კარაკალამ,— ჩემს გარდა, ფული არ უნდა ჰქონდეს. მხოლოდ მე ერთადერთს მკირდება ოქრო ჯარისკაცთა დასაკმაყოფილებლადო!“¹.

თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი კარაკალამ ომში გაატარა. შეასრულა რამდენიმე ლაშქრობა რაინსა და დუნაიზე, მოაწყო

¹ Dio Cass., LXXVII, 10.

ექსპედიცია სირიასა და ეგვიპტეში და დაიღუპა პართელებთან ომის დროს ერთ-ერთი შეთქმულის ხელით (217 წ.).

მარკ ავრელიუს ანტონინ კარაკალას ექვსი წლის მართვის ყველაზე მნიშვნელოვანი აქტი იყო ანტონინების კონსტიტუციის (constitutio Antoniana) გამოცემა, რომელიც მთელს იმპერიაზე ავრცელებდა რომის მოქალაქეობის უფლებას (212 წ.). ანტონინის (კარაკალის) კონსტიტუციას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, როგორც რომის ოიკუმენის ყველა მცხოვრების, იტალიკებისა და პროვინციელების (თავისუფალთა) უმრავლესობის ერთიანი რომის იმპერიის მოქალაქეთა ერთ მთლიან მასალ შეერთების ოფიციალურ ცნობას¹. 212 წლის ედიქტი, ისე როგორც სევერუსების დინასტიის იმპერატორთა უმრავლესი ღონისძიებანი, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეული იყო ფისკალური ანგარიშით—მისწრაფებით გაედიდებინათ გადასახადის გადამხდელთა რიცხვი. ესეცაა, რომ პროვინციელების და იტალიკების გათანაბრება სამოქალაქო უფლებებში—ეს იყო როგორც ერთის, ისე მეორეთა გათანაბრება საერთო უფლებობაში იმპერატორის აბსოლუტიზმის წინაშე.

კარაკალას შემდეგ იმპერატორად გამოცხადებულ იქნა ჯარისკაცი მაკრინი, წარმოშობით აფრიკელი, რომელიც შეთქმულების სათავეში იდგა. ერთი წლის შემდეგ მაკრინი დამხობილ იქნა ჯარისმიერ, მისი ადგილი კი დაიკავა კარაკალას ნათესავმა, ვარიუს ავიტუსმა (Varius Avitus), რომელიც მაშინ სულ თოთხმეტი წლისა იყო. სირიის ლეგიონების მიერ იმპერატორად გამოცხადების დროს ვარიუს ავიტუსი იყო მთავარი ქურუმი სირიის მზის ღმერთის—ელაგაბალის, ანუ ჰელიოგაბალის, რომლის სახელითაც ის ცნობილია ისტორიაში. რომის სამეფო ტახტზე ჭუძღვეული მზის უდიდესი ქურუმის“ ელაგაბალის გამოჩენა ფრიად დამახასიათებელი იყო III საუკუნის რომის საზოგადოებისათვის, რომელსაც ჰქონდა მიდრეკილება ყოველგვარი რელიგიურ-მისტიკური განცდებისა და განწყობილებისადმი. წარწერებში ელაგაბალი წოდებულია „უბედნიერესად, უძღვევლად, ყველა პრინციპსზე მაღლა მდგომად, ყოვლად მოწყალე კეისრად“.

„უძღვევლი მზის უდიდესი ქურუმის ელაგაბალის“ (sacerdos amplissimus dei invicti solis Elagabali) მთელი საქმიანობა გახვეულია რელიგიურ-მისტიკურ სამოსელში. ელაგაბალი ავებ-

¹ კარაკალის ედიქტის ნაწყვეტები ამ ცოტახნის წინათ აღმოაჩინეს ეგვიპტეში. იხ. Me y e r, Juristische Papyri, I.

და ტაძრებს, ეწეოდა მსხვერპლთშეწირვას და აწყობდა საზეიპო პროცესიებს. ასე, მაგალითად, მან ააგო საუცხოო ტაძარი შზის ღმერთის საპატივცემოდ და დასდგა მრავალი საკურთხეველი. ყოველ დღით, მისი ბრძანებით, ჰხოცავდნენ ასობით ხარებს და უამრავ ცხვარს, სწვავდნენ მათ სამსხვერპლო საკურთხეველებზე და ღვრიდნენ ბლომად ძვირფას ძველ ღვინოს. ღვინის ნაკადულები ერთვოდა ზვარაკის სისხლს. მსხვერპლთშეწირვის შემდეგ საკურთხეველებთან სამუსიკო საკრავთა აკომპანენტქვეშ იმართებოდა ცეკვა-თამაში. ქურუმ-იმპერატორთან ერთად ქალებიც იღებდნენ, მისი თანამემამულე სირიელი ქალები, წინწილითა და ფლეიტებით. ირგვლივ სრული შემადგენლობით იდგნენ სენატი და მხედრობა. ზვარაკის ნაწილები და სანელებლები ოქროს ქურქლებით დაჰქონდათ არა უბრალო მსახურთ, როგორც ეს ჩვეულებრივ შემოღებულ იყო, არამედ ჯარების მეთაურთ და მდიდრულ ფინიკიურ ტანსაცმელში გამოწყობილ წარჩინებულ სამოქალაქო მოწყესეთ. იმპერატორი ფიქრობდა, რომ ასეთ პროცესიებში მონაწილეობის ნებართვის მიცემით იგი დიდ პატივს ანიჭებს მათ.

ნაცვალთა (praesides), ლეგატების, ელჩების, მეთაურთა პოსტებზე ის ნიშნავდა, როგორც ეს ნათქვამია მის ბიოგრაფიაში, თავის ლიბერტებს და „საერთოდ დიდად ბლალავდა ყველა. წოდებას გახრწნილ ადამიანთა სიმდაბლით“ (omnes dignitatis polluit ignobiletate hominum perditorum)¹. 222 წელს უკუღმართი და გარყვნილი ელაგაბალი მოკლულ იქნა ჯარისკაცთა მიერ, და ტახტი გადავიდა მისი ბიძაშვილის ალექსანდრეს, სევერუსების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის, ხელში, რომელიც მართავდა 235 წლამდე.



¹ Script. Hist. Aug., Heliogabal, 11.



თ ა 3 0 XXIII

III საუკუნის კრიზისი

1. კრიზისის მიზეზები

იმთავითვე რომის იმპერიაში შეინიშნებოდა ერთის შეხედვით ერთი უცნაური წინააღმდეგობა: იმპერატორის აბსოლუტიზმის ზრდა ერთი მხრით, და დეცენტრალისტური ტენდენციების გაძლიერება, მეორე მხრით. ბრძოლა ცენტრალისტური და დეცენტრალისტური ტენდენციებისა ანტიკური ქვეყნის დასასრულამდე გრძელდებოდა და იგი დეცენტრალიზმის გამარჯვებითა და იმპერიის რღვევით დამთავრდა. ისტორიულად იმპერატორის აბსოლუტიზმი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ბრძოლა დეცენტრალისტური ტენდენციების წინააღმდეგ, რაც ჰგლეჯდა რომის იმპერიას. ამის შედეგად აბსოლუტიზმმა პოლიტიკამ ორგვარი ნაყოფი გამოიღო: ერთი მხრით, მან გარკვეული დროის განმავლობაში შეაჩერა ცენტრიდანული ძალების მოქმედება, მაგრამ მეორე მხრით—თავისი მმართველობისა და ორგანიზაციის მეთოდებით გააღრმავა სეპარატისტული ტენდენციები. საბოლოო ანგარიშით რომის იმპერიის კრიზისი განხილულ უნდა იქნეს როგორც კრიზისი წარმოების მონური წესისა, ახალ ფორმაციის გამოსავალ კარს რომ ხშივდა, და მონათმფლობელურ საფუძველზე აგებული საზოგადოება აუცილებლობით მიჰყავდა კატასტროფის ანუ სოციალური რევოლუციისაკენ.

იქ, სადაც მონობა წარმოების გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს, იქ შრომა მონურ საქმიანობად იქცევა, ე. ი. ისეთ რამედ, რაც სახელს უტეხს თავისუფალ ადამიანს. ამის მეოხებით იხშობა გამოსავალი წარმოების ასეთი წესიდან, მაშინ როდესაც, მეორე მხრით, საჭიროა მისი თავიდან მოშორება, ვინაიდან წარ-

შოების განვითარებისათვის მონობა დაბრკოლებას წარმოადგენს. ყოველი წარმოება, რომელიც დამყარებულია მონობაზე, და ყოველი მასზე დამყარებული საზოგადოება ამ წინააღმდეგობისა გამო იღუპება. უმრავლეს შემთხვევაში მის გადაკრას იძლევა დაღუპვის გზაზე დანდგარი საზოგადოების სხვა, უფრო ძლიერი საზოგადოებების მიერ ძალდატანებითი დაპყრობა (საბერძნეთი. დაპყრობილ იქნა ნაკედონის, უფრო გვიან კი რომის მიერ). სანამ ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ეყრდნობიან მონურ შრომას, ხდება მხოლოდ ცენტრის გადანაცვლება და მთელი პროცესი უმაღლეს საფეხურზე მეორდება, ვიდრე, ბოლოსდაბოლოს, (რომი) არ იქნა დაპყრობილი იმ ხალხის მიერ, რომელმაც წარმოების ახალი წესი შემოიღო.¹

ანტიკური სახელმწიფოები, მათ რიცხვში ყველაზე დიდი სახელმწიფოც, რომის იმპერია, უპირატესად წარმოადგენდნენ არა ეკონომიური—სამხედრო და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ხასიათის გაერთიანებებს. მონათმფლობელურ წესს წარმოებისა, მისი განვითარებელი ტექნიკითა და ტრანსპორტით, არ შეეძლო ერთ სოციალურ-ეკონომიურ მთლიანობაში დაეკავშირებინა ორგანიულად იმპერიის სხვადასხვა ნაწილი. საზოგადოებანი, რომლებიც აგებულია წარმოების მონურ წესზე, შეზღუდული არიან თავის განვითარებაში, და ამაშია მათი ძირფესვიანი განსხვავება წარმოების სხვა წესის მქონე, მავალითად, ფეოდალური და კაპიტალისტური საზოგადოებებიდან.

„საერთოდ რომი,—ამბობს ენგელსი,—მანც ვერ გასცილდა ქალაქის სტადიას, და მისი კავშირი პროვინციებთან თითქმის მხოლოდდა მხოლოდ პოლიტიკური იყო და, ცხადია, შეიძლებოდა აგრეთვე დარღვეულიყო კიდევ პოლიტიკური მოვლენებით“.²

კრიზისმა ყველაზე ადრე მოიცვა ცენტრალური მონათმფლობელური ოლქები—იტალია, სიცილია და საბერძნეთი, რომელთაც ერთი მეორეზე მაჰყვენენ კრიზისის ზოლში მოქცეული პროვინციები.

იტალიის სოციალურ-ეკონომიური შესუსტება, როგორც დავინახეთ, შედეგად მოჰყვა მონათმფლობელური მეურნეობის შინაგან და საგარეო კრიზისს, დაპყრობითი პოლიტიკის გაკოტრებას, მონების რიცხვის შემცირებას და სამუშაო ძალის ნაკლებობას. რამდენადაც რომის იმპერია *pax Romana*-ს დამყარებასთან ერთად სულ უფროდაუფრო ხმელთაშუაზღვის იმპერიად იქცეოდა, იმდენად მატერიალურად სისუსტეში შესული იტალია სულ უფროდაუფრო

¹ ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გამ. მე—6, პარტგამომც., გვ. 49.

² მარქსი და ენგელსი, პარტგამომც., 1933 წ., ტ. IV, გვ. 13.

ჰკარგავდა თავის მონოპოლურ მდგომარეობას და პროვინციებზე დამოკიდებული ხდებოდა. დამოკიდებულება ცენტრსა და პროვინციებს შორის პირველ საუკუნეებში ჩვენი წელთაღრიცხვით ცენტრალური ოლქებისათვის არახელსაყრელად ვითარდებოდა. იტალიას, რომელმაც დაჰკარგა ხმელთაშუაზღვის ვაჭრობის მონოპოლია და გაუჟაკრიელდა, არ შეეძლო გაეწია კონკურენცია პროვინციებისათვის და მათდამი ეკონომიურად დამოკიდებულ მდგომარეობაში ვარდებოდა.

უკვე ტიბერიუსის დროს, ე. ი. I საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვით, საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ იტალიას არ ძალუძს სხვისი დახმარების გარეშე არსებობა და რომ რომელი ხალხის ყოველდღიური ცხოვრება ზღვისა და უამინდობის ჟინიანობაზე არის დამოკიდებული. „უკეთეს პროვინციათა სიმდიდრენი არ წაეშველენ ბიან ჩვენს ბატონებს, მონებს და ჩვენს მინდვრებს, ჩვენს პალეზსა და სახნავეებს არ ძალუძთ ჩვენი გამოკვება“.¹

შემდეგში, იმპერიის მთელ სივრცეზე საწარმოო ძალთა განვითარებისა და კულტურის გავრცელების კვალდაკვალ, იზრდებოდა პროვინციების სამეურნეო დამოუკიდებლობაც და ძლიერდებოდა ეკონომიური დეცენტრალიზაციაც. თითქმის ორასწლიანი „რომის ზავის“ პერიოდის განმავლობაში პროვინციები, რომლებიც თავის ანაბარა იყვნენ მიტოვებული, რამოდენიმედ გამოსწორდნენ წარსული საუკუნეების სამხედრო რბევისა და ადმინისტრაციული დასამომრეობისაგან, განმტკიცდნენ ეკონომიურად და კულტურულად და განავითარეს თვითმყოფობისა და დამოუკიდებლობის გრძნობა გადატაკებული მონათფლობელური ცენტრის—რომის მიმართ.

ადგილობრივი წარმოების განვითარებას ხელს უწყობდა მთელი რიგი ფაქტები: რომის მთელი ისტორიის მანძილზე ყოველთვის ძვირად ღირებული და ნელად მოძრავი ტრანსპორტის ეკონომია, ნაკლებად გამოფიტული ნიადაგი და იაფი სამუშაო ძალა. კოლონატი და საკოლონატო ურთიერთობანი პროვინციებში უფრო ადვილად მყარდებოდა, ფართოდ და ღრმად იჭრებოდა ცხოვრებაში. ადგილობრივი წარმოებისა და ვაჭრობის ზრდა არაკეთილსასურველ გავლენას ახდენდა საერთო-საიმპერიო წარმოებასა და საერთო-საიმპერიო ვაჭრობაზე, რომლის ოდენობაც საერთოდ არ უნდა იქნეს მეტისმეტად გაზვიადებული.

თვით „ბედნიერ პერიოდში“ რომის იმპერია ნატურალური მეურნეობის საკმაოდ მრავალ ელემენტს ინარჩუნებდა. გაცვლა-გა-

¹ Tacit., Annales, III, 54.

მოცვლაში ჩაბმულა იყვნენ უპირატესად ზღვის რაიონები, საგარეო ვაჭრობა კი პასიური იყო და ფუფუნების საგნებით იფარგლებოდა. მეორე მხრივ, საერთო-საიმპერიო ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი საგნები, როგორც, მაგალითად, პური, თითქმის სავსებით გამოირიცხული იყო საბაზრო ბრუნვიდან, რამდენადაც ყველა ეს სახელმწიფოს მონოპოლიას შეადგენდა და უშუალოდ მომხმარებლის განკარგულებაში ექცეოდა. მსხვილი წარმოება, საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის ზოგიერთი საწარმოს გამოკლებით, როდი ასრულებდა აგრეთვე დიდ როლს რომის იმპერიაში. ძირითად საწარმოო ერთეულად ყოველთვის რჩებოდა სახელოსნო. როგორც არქეოლოგიური ნაშთები გვიჩვენებს, სახელოსნოები პირველ საუკუნეებში ჩვენი წელთაღრიცხვით რომაელთა მსოფლიოს თვით ისეთ შორეულ ნაწილებში არსებობდა, როგორიცაა რაინის ან დუნაის ქვემო წელი. ადგილობრივი სახელოსნოები სრულ მომსახურებას უწევდნენ ადგილობრივ ბაზრებს და ცენტრში ან სხვა პროვინციებში გაჰქონდათ კიდევ თავისი წარმოების პროდუქტები. ამგვარად, ეკონომიურად მუნიციპალიტეტები თითქმის დამოუკიდებელი იყვნენ ცენტრისაგან, — უფრო შეიძლება ლაპარაკი ცენტრის დამოკიდებულებაზე პროვინციებისაგან, ვიდრე, პირიქით, პროვინციების დამოკიდებულებაზე ცენტრისაგან.

შემდეგ, როცა ლაპარაკია რომის კულტურულ გავლენაზე (რომანიზაციაზე), რომელსაც განიცდიან პროვინციები, არ უნდა იქნეს მეტი-მეტად გაზვიადებული ადგილობრივ მოსახლეობაზე რომის გავლენის ძალა. პროვინციების, განსაკუთრებით კი განაპირა პროვინციების, რომანიზაცია ყოველთვის ზერეულედ მიმდინარეობდა და ის, უმთავრესად, ქალაქებს მოიცავდა, სოფლის მოსახლეობის მასა კი თითქმის შეუხებელი იყო რომის კულტურის მიერ და არავითარი მიდრეკილება რომისადმი მას არ ჰქონდა. რომის ცივილიზაციის თხელ სამოსელში ინახებოდა ძველი, რომამდელი დაწესებულებანი, ზნე-ჩვეულებანი, რელიგიები და ენები. ლათინურ და ბერძნულ ენაზე, იმპერიის ორ ოფიციალურად ცნობილ ენაზე, მხოლოდ არისტოკრატია ლაპარაკობდა, მოსახლეობის მეტი ნაწილი კი ადგილობრივ: სირიულ, კელტურ, ლიბიურ, პუნიურ და სხვ. დიალექტებზე ლაპარაკობდა. რომის მოქალაქეობის უფლებათა არმქონე ადგილობრივი მოსახლეობა რომაელ და რომანიზებულ ადგილობრივ მონათმფლობელებს უყურებდა როგორც მეფახელებს და მოხელეებს, როგორც ექსპლოატატორებს და პირველ შესაძლებლობისთანავე ცდილობდა მათგან განთავისუფლებას.

პროვინციების ტენდენცია სეპარატიზმისა და დამოუკიდებლობისადმი კიდევ უფრო გაძლიერდა II საუკუნის დამლევებიდან ომების განახლებასთან, გაჩანაგებასთან, გადასახადებსა და აბსოლუტისტურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომელსაც ატარებდნენ უკანასკნელი ანტონინები და მისი შემცვლელი სევერუსები. ამასთან დაკავშირებით II საუკუნის დამლევებიდან იწყება მუნიციპიუმების, რომის იმპერიისა და იმპერატორთა ხელისუფლების მთავარი რგოლისა და დასაყრდენის შესუსტება. ამას მოწმობს ქალაქის კურატორთა (*curatores rerum publicarum*) რიცხვის გადიდება და მათი როლის გაძლიერება¹. წყდება იმპერატორთა მეგობრობა მუნიციპალურ არისტოკრატიასთან, და ამ დროიდან ცენტრიდანული ძალები სულ უფრო ფართოდ იშლება. იმპერიის დაწყებული დაშლისა და მისი ფეოდალიზაციის გარეგან მაჩვენებელს წარმოადგენდნენ უზურპატორები, რომლებიც აცხადებდნენ პროვინციების ჩამოშორებას რომისაგან, და მათ მხარს უჭერდნენ პროვინციელები. სეპარატიზმი, რომელიც ვითარდებოდა პროვინციებში, მონათმფლობელური სახელმწიფოს გახრწნისა და ახალი, ფეოდალური წესების მომწიფების ერთ-ერთი სიმპტომი იყო.

პროვინციების ეკონომიური და კულტურული დამოუკიდებლობის გაძლიერებასთან ერთად რომის იმპერიის გახრწნის პროცესში გადამწყვეტი როლი ითამაშა იმპერატორისა და კერძო მფლობელობაში მყოფმა სალტუსებმა, რომლის შესახებ წინა თავში გვქონდა ლაპარაკი. სალტუსები ყოველმხრივ დამოუკიდებელი სოციალური ნაწილები იყვნენ, ცხოვრობდნენ თავისი საკუთარი სამამულო წესდებით, ნაკლებ დაკავშირებული იყვნენ გარეგან სამყაროსთან და ამის გამო თავის წიაღში მალავდნენ დეცენტრალიზაციისა და სეპარატიზმის ელემენტებს. სალტუსებში დამხადებული პროდუქტები მეტწილად უშუალოდ სახელმწიფოს განკარგულებაში გადადიოდა, ღალის გადახდა და შრომის ანაზღაურება სალტუსებში ნატურით სწარმოებდა. პარციარულმა კოლონატმა (პროდუქტის ნაწილიდან) სწორედ იმპერატორთა სალტუსებში ჰპოვა ფართო გავრცელება. პარციარულ კოლონატზე გადასვლა კი ერთსადაიმთავე დროს მონათმფლობელური წყობილების გახრწნისა და მისი ფეოდალურით შეცვლის სიმპტომიც იყო და მიზეზიც. იმპერატორთა მეურნეობა, რომელსაც პირველხარისხოვანი ადგილი ეკავა გვიანდელი იმპერიის ეკონომიკაში, საგრძნობლად ემყარება უკვე არა მონათმფლობელურ,

¹ *Liebenam, Curator rei publicae (Philol., 1897, 56, S. 290).*

არამედ ფეოდალურ ან უფრო სწორად წინაფეოდალურ ეკონომიკას და ნატურალური მეურნეობის ნათლად გამოხატულ სიჭარბეს სულ უფროდაუფრო შემცირებაში მყოფ გაცვლა-გამოცვლის პირობებში. ეკონომიურ ურთიერთობათა ფეოდალიზაციასა და ნატურალიზაციას ისტორიული კანონზომიერებით შედეგად უნდა მოჰყოლოდა პოლიტიკური წყობილების ფეოდალიზაცია და მონათმფლობელურ საფუძველზე შექმნილი პოლიტიკური ფორმების დაშლა.

რომის იმპერიის დაშლა, რომელიც იწყებოდა მის ეკონომიურ ფესვებში, კიდევ უფრო გაღრმავდა, გამწვავდა და დაჩქარდა რომის უკანასკნელ საუკუნეებში იმპერიის მთელ სივრცეზე გაშლილი კლასობრივი ბრძოლით. ეს ბრძოლა გამოწვეული იყო უშუალო მწარმოებელთა—მონების, აზატების, კოლონების, თავისუფალი ხელოსნებისა და ინტელიგენციის მდგომარეობის გაუარესებით,—ხელოსნებისა და ინტელიგენციისა, რომლებიც შეერთებულნი იყვნენ მონათმფლობელური სახელმწიფოს მიძიე წნებით ექსპლოატირებულთა ერთ მთლიან მასად. რაც უფრო იზრდებოდა საერთო-საიმპერიო საჭიროებანი, მით უფრო ძლიერი იყო დაწოლა მოსახლეობის მობარკე, ე. წ. „არაკეთილშობილთა“ (humiliores) კლასებზე. ექსპლოატაციის გაძლიერება აიხსნებოდა მონათმფლობელური კლასების ხარჯების ზრდით და სახელმწიფოს კოლოსალური მოთხოვნილებებით. რომის საზოგადოების მატერიალური საფუძვლები კი, მისი ტექნიკური დონე და შრომის ნაყოფიერების ხარისხი, ზნე-ხასიათი და ჩვევები და ანტიკური ადამიანის მთელი ფსიქოფიზიკური წყობა არ შეესაბამებოდა მისდამი წარდგენილ მოთხოვნებს. აქედან რომის იმპერიის მოსახლეობის გადატვირთვის, ზედმეტი დაძაბულობის და რიცხვობრივი შემცირების გარდუვალობა. ძალდატანება, როგორც ვთქვით, ორი მხრიდან მომდინარეობდა: 1) ყველა თანრიგის მიწათმფლობელთაგან და 2) სახელმწიფოდან,—მონათმფლობელური საზოგადოების ორგანიზებული ძალიდან.

კოლონების ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის გაუარესებას მოწმობს ჩვენამდე მოღწეული იმპერატორთა სალტუსების კოლონების პეტიციები, რომლებიც ეკუთვნის II და III საუკუნეების დამლევს, ე. ი. კრიზისის დასაწყისს. თავის პეტიციებში კოლონები მიმართავენ უმაღლეს ინსტანციას, იმპერატორის „წმინდა გვამს,“—საჩივრით ხელისუფლებისა და იმპერატორის სახელით ბოროტად სარგებლობის გამო. ერთ-ერთმა ასეთმა პეტიციამ ჩვენამდე მოაღწია წარწერის სახით, რაც ამოკრილია ქვაზე და დადგმულია ბურუნიტანულ სალტუსში, აფრიკაში, რომელიც ჩვენ უკვე მო-

უიხსენიეთ სხვა გარემოებასთან დაკავშირებით. ეს პეტიცია ყურადღების ღირსია, რადგანაც იგი გადმოგვცემს მამულების შინაგან წესებს და კოლონებისა და მონების მდგომარეობას. თავის პეტიციაში აღნიშნული სალტუსის კოლონები ჩივიან იმ შეურაცხყოფისა და ჩაგვრის შესახებ, რასაც ისინი განიცდიან კონდუქტორ ალიუს მაქსიმის მხრივ. კონდუქტორმა, აცხადებენ კოლონები, გაიწვია მამულში უახლოესი გარნიზონის ჯარისკაცები, შეიპყრო და აწვალა ზოგიერთი მისდამი დაქვემდებარებული კოლონი, მათ რიცხვში რომელი მოქალაქეებიც, სხვები დასაჯა როზგებით, მესამენი ჩაპყრა ციხეში. ამგვარი მოქმედების უსამართლობა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენება თავისთავად თვალსაჩინოა. ამჟამად აგრეთვე დარღვევაც „სამამულო წესდებისა“ (რომელიც ამოკრილია თვალსაჩინო ადგილას. გამოფენილ სპილენძის დაფაზე, და დადასტურებულია თვითონ იმპერატორის რწმუნებულის (პროკურატორის) მიერ. პეტიციის ბოლოში კოლონები აღნიშნავენ, რომ, გრძნობენ რა თავიანთ უძლურებას, უმორჩილესი თხოვნით მიმართავენ თვითონ უმაღლეს ინსტანციას—რომის იმპერატორს, და სთხოვენ მას დაიცვას ისინი მთავარი მოიჯარისა და მის მსახურთა თვითნებობისა და ძალადობისაგან.

„დაგვეხმარე ჩვენ, პატარა ადამიანებს! ჩვენ, უბადრუკ სოფელელ კაცუნებს (*homines rustici tenues*), რომლებიც ჩვენი ხელების მძიმე შრომით ვინარჩუნებთ ჩვენს არსებობას, არ ძალგვიძს შევედაროთ თქვენი პროკურატორების თვალში უდიდესი გავლენის მქონე და უზომოდ გულუხვ კონდუქტორს (*conductor profusis largitionibus gratiosissimo*), რომელიც, იჯარის პირობების მიხედვით ცნობილია ყველა ცვლაში (პროკურატორებისათვის); შეგვიბრალე და შენის საღმრთო რესკრიპტით ღირს გვეყავ მიგვიწერო ბრძანება, რათა ჩვენ არ გვახდევინებდნენ იმაზე მეტს, რაც ჩვენ უნდა გავდიხადოთ თანახმად „ადრიანეს კანონისა“ და თქვენი პროკურატორების წერილობითი განკარგულებებისა, რათა, შენის უდიდებულესობის წყალობით, ჩვენ, შენს კოლონებს, შენს სალტუსებში დაბადებულთ (*tuae maiestatis rustici tui vernulae et alumni*), არ გვაიწვროვებდნენ კონდუქტორები და მათი მსახურნი“¹.

აფრიკის კოლონების პეტიციასთან დამატებით შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ სხვა პეტიცია მ ც ი რ ე ა ზ ი ის ერთ-ერთი სალტუსის კოლონებისა, რომელიც მიეკუთვნება ფილიპე არაბისტანელის დროს (III საუკუნის შუაწლები).

¹ *Decretum Commodi de salto Burunitano; C. I. L., VIII, 10570.*

„თქვენი მეფობის უბედნიერეს დროში, — ასე იწყება პეტიცია, — ყველაზე კეთილისმყოფელო და ყველაზე ბედნიერო იმპერატორებს შორის, როდესაც ყველა ტკბება ზავითა და სიმშვიდით ყოველგვარი ბოროტებისა და შივიშროვების შეწყვეტის გამო, მხოლოდ ჩვენ ერთნი განვიცდით სხვადასხვა უსამართლობას, რაც სრულიად არ შეეფერება ჩვენს დროს. ჩვენ, თქვენი ერთ-ერთი მამულის მოსახლენი, უუწმინდესო ხელმწიფევ, მთელი თემით მოგმართავთ თქვენს უდიდებულესობას დახმარებისათვის. წარმოუდგენლად გვჩაგრავენ და მთელსასიცოცხლო ძალას გვაცლიან ისინი, ვისაც, ერთის შეხედვით, თითქოს ყველაზე მეტად ევალებოდა ეზრუნა ჩვენი დაცვისათვის. ჯარისკაცები, ოფიცრები, გავლენიანი ადამიანები (დინასტები) სამუშაოდან გვერეკებიან, გვართმევენ მუშა — საქონელს, ეწვევიან უკანონო, მათთვის ნებადაურთველ, მოქმედებას. მათი მიზეზით ჩვენ განვიცდით საშინელ, არაჩვეულებრივ შეურაცხყოფასა და შივიშროვებას“¹.

უკიდურეს გაჭირვებამდე მიყვანილი კოლონები და მონები, რომლებიც არსებულ მდგომარეობიდან არაერთაარ სხვა გამოსავალს არ ჰხედავდნენ, მასობრივად იხსნებოდნენ ადგილებიდან, სტოვებდნენ თავიანთ ნაკვეთებს და გარბოდნენ უგზო-უკვლოდ, შედიოდნენ მოხალისეებად არმიაში, მიდიოდნენ ქალაქებში და ყაჩაღთა ბრძოლების წევრებად ხდებოდნენ, რაც მეტისმეტად გავრცელებული იყო ამ წლებში, როგორც გვიჩვენებს სხვა კონტექსტში გადმოცემული „ბედნიერი ყაჩაღის“ ბულის ისტორია სეპტიმიუს სევერუსის დროს. მონათმფლობელური სახელმწიფოს კეთილდღეობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საშიში იყო ის, რომ უკმაყოფილებამ არსებული წყობილებით ფეხი მოიკიდა ჯარებში, რომელთა შევსებაც ხდებოდა გალატაკებულ და რევოლუციურად განწყობილ, უმთავრესად, სოფლის ელემენტებიდან. მაგრამ რამდენადაც დიდი არ უნდა ყოფილიყო შინაგანი წინააღმდეგობანი, რომლებიც სთიშავდნენ რომის იმპერიას, თავისთავად ისინი არასდროს არ გადმოხეთქდნენ გარეთ ისეთი საშინელი ძალით, როგორც ეს მოხდა სინამდვილეში, — შინაგან ფაქტორებს რომ არ მიმატებოდა ბიძგები გარედან ომებისა და მათ მომყოლ „სამხედრო რევოლუციების“ სახით.

შინაგან მიზეზებს დაერთო გარეგანი მიზეზები, რომელთაც საბოლოოდ შეარყიეს რომის სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიური საფუძვლები. დაწყებული მარკომანთა ომიდან, რომი თით-

¹ Dittenberger, *Orientalis graeci inscriptiones selectae*, 519.

ქმის არ გამოსულა საომარი მდგომარეობიდან, — ამასთან ომების და-
შთაერება მეტწილად რომის სასარგებლოდ არ ხდებოდა. რომის
სავაერო პოლიტიკის ხშირი მარცხი მრავალი მიზეზით აიხსნებოდა:
რომის შინაგანი სისუსტით, თავდაცვითი ხაზის მეტისმეტი სიდი-
დით, სამხედრო მოქმედებათა ადგილის სიშორით, ომების წარმოე-
ბის ძნელი პირობებით, ხელმძღვანელობის ხშირი ცვლით, ლეგიონ-
თა სხვადასხვაგვარი შემადგენლობით და შათი სუსტი გამძლეობით.
ომები ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე წარმოებდა. ჩრდი-
ლოეთით რომაელები ებრძოდნენ მარკომანების, კვადების, ჰერ-
მუნდურების, ლანგობარდების და სხვა გერმანელი ტომების კოალი-
ციას, რომელთაც გადალახეს პანონიის, ნორიკის და რეციის საზ-
ღვრები და იპყრობდნენ ჩრდილოეთ იტალიის ქალაქებს, მათ რიცხვში
აკვილეს, უმნიშვნელოვანეს სავაქრო ცენტრს იტალიის ჩრდილო-
ეთით.

სამხედრო მოქმედებათა მეორე ასპარეზი სევერუსების დროს
აღმოსავლეთით მდებარეობდა. რომის პოლიტიკის გართულება
აღმოსავლეთ საზღვარზე დაკავშირებული იყო აღმოსავლეთ სახელ-
მწიფოების სისტემაში მომხდარ ცვლილებებთან და სასანიდების
ახალი სპარსული სამეფოს შექმნასთან. III საუკუნის
შუახანებში სასანიდთა დინასტიამ შესძლო გაეერთიანებინა დაქუც-
მაცებული ელემენტები, რომლებიც ოდესღაც პართელთა სამეფოს
შემადგენლობაში შედიოდნენ. დავა რომსა და სასანიდებს შორის
წარმოებდა მესოპოტამიის ველის გამო, რომელზედაც იმთავითვე
პრეტენზიას აცხადებდნენ რომაელები, ერთის მხრივ, პართელები და
შემდეგ მათი შემცვლელი სპარსელები, მეორეს მხრივ. III საუკუნე-
მდე ომი ცვალებადი წარმატებით წარმოებდა. იმ დროს როდესაც
რომაელები ტიგროსზე მდებარე პართელთა დედაქალაქში ქტესიფონ-
ში შეიჭრებოდნენ, პართელები და სპარსელები ალყას არტყამდნენ
ჰელინოზმის მთავარ ბურჯს აღმოსავლეთში — ანტიოქიას. III საუკუ-
ნის ნახევრიდან კი სასწორი საბოლოოდ სპარსელებისკენ იხრება.
230 წელს სასანიდმა არდაშირმა გადალახა ეფრატი, დაიკავა
მესოპოტამია და ალყა შემოარტყა ქ. ნისიბისს. მშვიდობიანობის
მომხრე რომის იმპერატორი ალექსანდრე სევერუსი იძულებული შე-
იქნა თავისი დედით რეგენტ მამით მიეღო გამოწვევა და წასულიყო
საომარ ასპარეზზე ანტიოქიაში. სამხედრო მოქმედება წარმატებით
მიმდინარეობდა, მაგრამ იმპერატორს მალე უნდა დაეტოვებინა აღ-
მოსავლეთის ფრონტი და მიეშურებინა რაინ-დუნაის საზღვრისთვის.
ჩრდილოეთის ფრონტზე რომაელებს ნაკლები წარმატება ჰქონდათ.

სევერუსმა სამარცხვინო ზავი დასდო გერმანელებთან, რამაც ძლიერი აღშფოთება გამოიწვია ჯარისკაცთა შორის და რაც იმპერატორისა და მისი დედის მკვლელობით დამთავრდა (235 წ.).

ამავე დროს აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის ფრონტებთან ერთად გაიხსნა კიდევ მესამე ფრონტი—სამხრეთისა. ჩრდილოეთ აფრიკის მავრეტანული ტომები შეტევაზე გადავიდნენ, ბრძოლით მათ მიალწიეს რომის აფრიკის საზღვრებს. ყველა ეს ომები და ლაშქრობანი უამრავ სახსრებსა და ადამიანებს ნთქავდა და არ იძლეოდა არავითარ ხელშესახებ შედეგს: არც მდიდარ ნადავლს, არც კვალიფიციურ მონებს, არც ნაყოფიერ ტერიტორიებს.

ომები ხელსაყრელ გარემოებას უქმნიდა ყოველგვარ უზურპატორთა გამოჩენას, რომლებიც თავის თავს რომის იმპერატორებად აცხადებდნენ. უზურპატორებს მხარს უჭერდნენ არა მარტო მათი არმიები, რომლებიც გალატაკებული კოლონებისა, გაქცეული მონებისა, თავდახსნილებისა და ბარბაროსებისაგან იკრიბებოდნენ, არამედ აგრეთვე პროვინციებიც, რომლებიც ცენტრისაგან განთავისუფლებას ესწრაფოდნენ. რომიდან ჩამოშორებული პროვინციები და ქალაქები, რომლებიც მეტნაწილად ურთიერთ შორის მტრულ განწყობილებაში იმყოფებოდნენ, თავის საკუთარ იმპერატორებს აყენებდნენ.

სეპტიმიუს სევერუსის განდიდების ისტორიის გადმოცემისას ჰეროდიანე შენიშნავს, რომ ყველა პროვინციასა და ქალაქში, სადაც კი მიდიოდა ამბავი სევერუსის გამარჯვების შესახებ, იწყებოდა ჩოჩქოლი. ამასთან არა იმდენად სიმპატიები ან ანტიპატიები მებრძოლი იმპერატორებისადმი ჰყოფდნენ მოქიშპქ ქალაქებს, რამდენადაც შური და შეუთანხმებლობა ერთმანეთში და მისწრაფება ურთიერთ განადგურებისადმი. „ეს ჰელინთა ძველისძველი სენია; ისინი განუწყვეტლივ მტრობდნენ ერთმანეთს და მათი სურვილი იყო იმ ქალაქის დაღუპვა, რომელსაც რაიმე უპირატესობა გააჩნდა,—სწორედ ამან დაღუპა ელადა. შინაბრძოლით დაუძლურებულნი და ღონემიხდილნი ჰელინები მაკედონელთა მსხვერპლი შეიქნენ, ხოლო შემდეგ დამონებულ იქნენ რომაელთა მიერ. იგივე სენი იქვისა და შურისა გადავიდა ჩვენს თანამედროვე ქალაქებზეც“¹.

2. სამხედრო გადატრიალებანი

სამოქალაქო ომის მწვევე პერიოდი იწყება სევერუსების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის ალექსანდრე სევერუსის

¹ Herod., III, 2.

სიკვდილის შემდეგ, რომელიც მოკლულ იქნა რაინის ლაშქრობის დროს აჯანყებულ ჯარისკაცთა მიერ.

იმის მიზეზი, რომ ალექსანდრე სევერუსი თავის ჯარში პოპულარობით არ სარგებლობდა, მდგომარეობდა მის პოლიტიკაში, რომელიც მიმართული იყო სამხედრო დისციპლინის ამაღლებსაკენ, საჩუქართა გაცემის შემცირების, სენატის პრესტიჟის გადიდებისა და ხელმძღვანელ პოსტებზე უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე განსწავლულ სამოქალაქო მოხელეთა მიწვევისაკენ.

გერმანიის ლაშქრობის დროს იმთავითვე დაგროვილმა უკმაყოფილებამ გადმოხეთქა და სიცოცხლის ფასად დაუჯდა იმპერატორს, მის ღედას და მასთან დაახლოვებულ მრავალ პირს. ალექსანდრე სევერუსის მიერ ქვეყნის მართვა იყო უკანასკნელი ცდა ავგუსტუსის დროს დაწესებული პრინციპატის რეჟიმის შენარჩუნებისა.

ალექსანდრე სევერუსის შემდეგ მოდის მთელი სერია წმინდა ჯარისკაცთა იმპერატორებისა, რომელთაც სავსებით გასწყვიტეს კავშირი რესპუბლიკურ ტრადიციებთან.

სევერუსის მემკვიდრედ გამოცხადებულ იქნა მაქსიმინი (235—238 წწ.). მაქსიმინი წარმოშობით თრაკიელი იყო (Maximinus Thrax), აღიზარდა სოფელში, იყო მწყემსი—მიწის მუშა. არმიაში გაწვეული მაქსიმინი ანცივიფრებდა ამხანაგებს თავისი უზარმაზარი სიდიდით, არაჩვეულებრივი ძალითა და გამბედაობით. მაქსიმინის ფიზიკურ თვისებებზე უცნაური ხმები დადიოდა. ამბობდნენ, რომ იგი ერთბაშად სვამს მთელ ჩაფ ღვინოს, სვამს 40 ან 60 გირვანქა ხორცს და ა. შ. თავისი ძალის, სიმაღლის, სიმამაცის და შესრულებლობის წყალობით მაქსიმინი ცნობილი გახდა სევერუსისათვის, რომელმაც დაავალა მას ბარბაროსებისგან შემდგარ ლეგიონის სარდლობა.

„ჩემო ძვირფასო, საყვარელო მაქსიმინ, —სწერდა იმპერატორი, — შე არ გავალებ შენ გაუწიო სარდლობა ძველ ჯარისკაცებს იმიტომ, რომ ვშიშობ ვერ შესძლო ძველი უფროსების დროს ფესვგადგმულ ნაკლოვანებათა გამოსწორება. მაგრამ შენ გყვანან ახალწვეულები (tirones), რომლებიც შენ უნდა აღზარდო შენი სიმამაცისა და ამტანობის სულისკვეთებით; შემიქმენი მე მრავალი მაქსიმინი, რომელთაც საპირობებს ჩვენი სახელმწიფო“ (ut mihi multos Maximinos rei publicae optabiles solus efficias).¹

¹ Script. Hist. Aug., Maximini duo, 5.

მაქსიმინი, რომელიც ჯარისკაცთა მიერ იყო წამოყენებული და მათი ინტერესების თვალსაზრისით მოქმედებდა, მკაცრ პროტესტს წააწყდა სენატის მხრივ; ეს უკანასკნელი არ სცნობდა ახალი იმპერატორის — „ბარბაროსის“ — ხელისუფლებას. ამას მაქსიმინის მხრივ პასუხად მოჰყვა დევნა, კონფისკაციები და სიკვდილით დასჯა, რომლითაც აღსაგესა მაქსიმინ თრაკიელის ორი წლის მეფობა. ანგარიშის გასწორება ყველაზე ულმობელი იყო. ზოგს ჯვარზე აკრავდნენ, ზოგს მოკლულ მხეცთა ტყავებში გამოჰკერავდნენ, სხვებს სიკვდილამდე სცემდნენ კეტებით და ა. შ. „დედამიწაზე ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა, — აღშფოთებით ამბობს მაქსიმინის ბიოგრაფიის შემდგენელი, — მასზე უარესი მხეცი (neque enim fuit crudelius animal in terris). თრაკიელი არცერთ წარჩინებულ ადამიანს არ ითმენდა თავის ახლოს...“¹.

სრულიად საწინააღმდეგო პოლიტიკას ატარებდა მაქსიმინი ჯარის მიმართ, რომელსაც იგი ანებივრებდა, სამუშაოდან ათავისუფლებდა, კარგად ამარაგებდა და ყოველნაირად ცდილობდა მისი გულის მოგებას.

ის დიდი ხარჯები, რომელიც სჭიროდა ჯარსა და სხვადასხვა ლაშქრობაზე, აიძულებდა მაქსიმინს მიემართა წარჩინებულთა ქონებისა და ტაძართა საუნჯის ხშირი კონფისკაციებისათვის, ჩამოერთმია ქალაქებისათვის მათი მარაგი და გაედიდებინა გადასახადები². ყოველივე ეს იწვევდა უკმაყოფილებას არა მხოლოდ მალალი, არამედ დაბალი კლასებისასაც, რომლებიც დიდ გასაჭირს განიცდიდნენ თრაკიელის ფისკალური პოლიტიკით. ამ ნიადაგზე ყველგან ხდებოდა აჯანყებები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო აჯანყება რომის აფრიკაში. მაქსიმინის პროკურატორის გადასახადებით გაღიზიანებულმა ადგილობრივმა პოსესორებმა მოაწყეს შეთქმულება, შეაიარაღეს მონები და კოლონები, მოჰკლეს პროკურატორი და მისი ახლობელი პირები და გამოაცხადეს იმპერატორად აფრიკის პროკონსული გორდიანი, სენატის რეჟიმის მომხრე. წინააღმდეგ თავისი სურვილისა, ღრმად მოხუცებულმა გორდიანმა, რომელიც წარმოშობით გრაკებიდან მომდინარე უძველესი რომის გვარეულობის შთამომავალი იყო, დაუთმო შეთქმულთა დაჟინებითი მოთხოვნებს და მიიღო იმპერატორობა³.

¹ Script. Hist. Aug., Maxim., 9.

² Herod., VI, 8.

³ Ibid., VII, 7; Zosim, 1, p. 15.

რომში გორდიანის არჩევანს აუწერელი სიხარულით შეხვდნენ. სენატმა მყისვე სამშობლოს მტრებად გამოაცხადა მაქსიმინი და მისი შვილი, დაუგზავნა რა ყველა პროვინციას ბრძანება მაქსიმინის ჩამოგდების შესახებ: „სენატი და რომაელი ხალხი, ახლანდელ პრინციპსების (გორდიანისა და მისი შვილის) მიერ მხეცისაგან (*tristissima bella*) განთავისუფლებულნი, მიესალმებიან პროკონსულებს, ლეგატებს, ჯარის ნაწილთა მეთაურებს (*ducibus*), ტრიბუნებს, მაგისტრატებს, ცალკეულ თემებსა და მუნიციპალიტეტებს, ქალაქებს, დაბებსა და ბანაკებს. ღმერთების შემწეობით სახელმწიფოს უმაღლეს მეთაურად ჩვენ ვცანით პროკონსული გორდიანი, ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული და სანაქებო სენატორი. თქვენი ვალაა ჩვენთან ერთად მიიღოთ საჭირო ღონისძიებანი სახელმწიფოს გადასარჩენად, როგორც თვითონ მისი, ისე მის თანამონაწილეთა დასაცავად ურჩხულისა და დევნისაგან... მაქსიმინი მის შვილთან ერთად სამშობლოს მტრად ცხადდება (*hostes, liostes, qui eos occiderit, praemium merebitur*)¹.

გორდიან I და მისი შვილის გორდიან II მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ორივე იმპერატორი მოკლულ იქნა ნუმიდის ლეგატთან ბრძოლაში. მაშინ სენატმა ორი სენატორი გამოაცხადა იმპერატორებად, რომელთაც, ჯარის სურვილით, მიემატა გორდიან I შვილიშვილი, მომავალი იმპერატორი გორდიან III.

ამასობაში მაქსიმინი დაიძრა გერმანიიდან,—სადაც ის მაშინ ომს აწარმოებდა,—ალპებისაკენ, გადალახა ისინი და შეუდგა ქალაქ აკვილიის გარემოცვას. მაგრამ რადგანაც ქალაქი კარგად იყო გამაგრებული და სურსათსანოვანად უზრუნველყოფილი, ალყის შემორტყმა მარცხით დამთავრდა. გარემოცვის ხანგრძლივობა გამხრწნელ გავლენას ახდენდა გარემომცველ არმიასზე, რომელიც იტანჯებოდა სურსათის ნაკლებობით და დრტვინავდა, რაც ფიცხი თრაკიელის გულისწყრომას იწვევდა. მღელვარება აშკარა ამბოხებად იქცა, რომლის დროსაც დაიღუპა მაქსიმინი და მისი შვილი.

მაქსიმინის შემდეგ იმპერატორად ხდება გორდიან III (238—244 წწ.), პრეტორიელთა მიერ წამოყენებული, რომელსაც მიჰყვება მთელი სერია იმპერატორებისა. 244 წელს გორდიანი, რომელიც მოკლულ იქნა შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილის მიერ, შესცვალა ფილიპე არაბისტანელმა (*Marcus Julius Philippus*, 244—249 წწ.), აღმოსავლეთის ლეგიონების მიერ წამოყენებულმა სპარსელებთან ომის დროს. ამის შემდეგ იცვლება რიგი იმპერატორებისა,

¹ Script. Hist. Aug., Max., 16.

რომელთა შორის იყო იმპერატორი გალიენი (260—268 წწ.),
შეილი იმპერატორ ვალერიანისა, რომელიც ტყვედ წაყვანილ იქნა
სპარსელების მიერ და იქ მოკვდა. გალიენის მმართველობა წარმო-
ადგენს უმაღლეს წერტილს რომის იმპერიის ნგრევისა, რომელიც
თავის შემადგენელ ნაწილებად იშლებოდა. რომის ჰეგემონიით თავ-
მობეზრებული პროვინციები (გალია, ეგვიპტე, აზია, ესპანეთი და
ილირია) თავის-თავს დამოუკიდებელ იმპერიებად აცხადებენ და
• იმპერატორების სახით აყენებენ მათში განლაგებულ სამხედრო ნა-
წილთა მეთაურებს. ეს იყო პერიოდი „ოცდაათი ტირანისა“
(*triginta tyranni*)¹, რომლებიც რომის იმპერიის სხვადასხვა ნაწილს
მართავდნენ.

გალიენის დროს რომს ჩამოსცილდა გალია, რომელმაც საეკუ-
თარი იმპერატორები პოსტუმი და ტეტრიკა წამოაყენა, ილი-
რიაში განმტკიცდა ავრელი, ეგვიპტეში—ემილიანი, აღმოსავ-
ლეთში—პალმირის თავადი ოდენატი და მისი ცოლი ზინობია,
რომელიც თავის გვარს კლეოპატრადან იწყებდა, და სხვები. ამ
წლებში სიცილიაში მოხდა კოლონებისა და მონების დიდი აჯანყება,
რასაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნის „სიცილიის რევოლუ-
ციებს“ ადარებენ.

„ყველა ზემოაღწერილი უბედურებისა და რყევისა დასა-
სრულს,—ამბობს გალიენის ბიოგრაფი ტრიბელიუს პოლიონი,—თი-
თქოს მთელი სამყარო აღდგა ჩვენს წინააღმდეგ, სიცილიაში გაჩაღ-
და თითქმის რალაც მსგავსი მონათა ომისა (*quasi... bellum servile*).
ყაჩაღთა ბრბოები გაიფანტნენ მთელს კუნძულზე და ძლივძლივობით
შესაძლებელი გახდა მათი დაწყნარება“².

სახელმწიფოს შიგნით გაჩაღებული იყო კლასობრივი ბრძოლა,
ხდებოდა პროვინციების ერთიმეორეზე ჩამოცილება, საზღვრები და-
ცვის გარეშე რჩებოდა, მათ გადალახვას აწარმოებდნენ ბარბარო-
სები.

ამისდა პარალელურად რომის იმპერიის ფარგლებს იქით „ბარ-
ბაროსთა ქვეყანაში“ წარმოებდა სახელმწიფოთა და ტომობ-
რივი ფედერაციების შექმნის მოპირდაპირე პრო-

¹ ამ პერიოდის ისტორიის მთავარი წყარო — იმპერატორთა ბიოგრაფიები
(*Scriptores historiae Augustae*), — ისტორიულად ნაკლებ საიმედოა, მრავალ-
უმნიშვნელო რამეს შეიცავს და ძნელად, ემორჩილება მასალების კრიტიკულად
შემოწმებას.

² *Script. Hist. Aug., Gallieni duo, 4.*

ცესი. ჩრდილოეთის რაინ-დუნაის საზღვარზე შეიქმნა მძლავრი ფედერაციები გერმანელი ტომების: მარკომანების, ფრანკების, ალამანებისა და გუთების, რომელთაც დაიპყრეს გალია, ბრიტანეთი და ესპანეთი. გუთების ურიცხვი ურდო, გადმოცემით, 300 ათასზე მეტი მოზრდილი მეომარი, უამრავი ურმებით, ქალებითა და ბავშვებით ბალკანეთის ნახევარკუნძულისაკენ მიიწვედა. გუთები შევიდნენ თრაკიაში, დაიკავეს მაკედონია და გაძარცვეს ათენი. გუთებთან ერთდროულად აზიის პროვინციებს ნიაღვარივით მოედნენ სკვითთა ტომები, რომელთაც გაანადგურეს და გააცამტვერეს ქალაქები და სოფლები, რასაც კი შეხვდნენ თავიანთ გზაზე, და გაავრცელეს გადამდები სნეულებანი. აღმოსავლეთის პროვინციები—ახაია, ილირია, ეგვიპტე, გალია, ბრიტანეთი—ერთი სიტყვით, მეტი წილი პროვინციებისა ჩამოშორდა რომს. რომი მტრულ გარემოცვაში იმყოფებოდა. გარეგან რყევას შინაგანიც ერთვოდა: კირი, მიწისძვრა და შიმშილი, რომელიც მთელს იმპერიაში მძვინვარებდა.

ასეთი იყო რომის სახელმწიფოს მდგომარეობა გალიენის მმართველობის დროს. რომის იმპერატორის მდგომარეობა ამ პერიოდში საკმაოდ მკაფიოდ დაახასიათა კეისრის ტახტის ერთერთმა პრეტენდენტმა: „იციოთ თუ არა თქვენ, რა უბედურებაა—იმპერატორის ხელისუფლება? თქვენს თავთან მუდმივ კვიდია მახვილი და ხანჯალი. თვით საკუთარი მკველების უნდა გეშინოდეს. არ უნდა ენდობოდე შენს მეგობრებს, არცერთი კერძი არ გსიამოვნებს, არც ერთი მგზავრობა არ ეწყობა პატივისცემის გულისთვის, არც ერთი ომი არ წარმოებს გონიერი ანგარიშის მიხედვით. ამიტომ, იმპერატორად გამოცხადებით, თქვენ შე აუცილებელ დალუპვას განმიმზადებთ“¹.

ამავე დროს, გალიენი, როგორც პიროვნება, ყველაზე ნაკლებ შესაფერისი იყო ასეთი ძნელი და მღელვარე ეპოქისათვის, რომელიც მოითხოვდა ძლიერ ნებისყოფას, გამბედაობასა და ორგანიზატორულ ნიჭს. გალიენი—ტიპიური რომაელი არისტოკრატი. იყო, რომელიც საკმაოდ კარგ ლექსებს წერდა, გატაცებული იყო ცირკით, თეატრით, კოხტად ჩაცმა-დახურვით და მასთან იგი იყო უზომოდ პატივმოყვარე. თავისი სახელის მოხვეჭისათვის და თავის წინამორბედთა დასაჩრდილავად გალიენმა უბრძანა აეშენებინათ გიგანტური ქანდაკება, რომელიც გამოხატავდა მას მზის ღმერთის სახით. შუბით ხელში, და დაედგათ იგი რომის ყველაზე მაღალ ბორცვზე—

¹ Script. Hist. Aug., Firm., Saturn., Proc. et Bon., 10.

ესკვილინაზე. 268 წელს ყველასაგან ათვალწუნებული გალიენი მოკლულ იქნა ჯარისკაცთა მიერ.

3. III საუკუნის რევოლუციური მოძრაობანი

სამოქალაქო ომმა, რომელიც გამოწვეული იყო რომის იმპერიის ეკონომიური დაუძღვრებით და კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავებით, თავის მხრივ, კიდევ უფრო გაამწვავა და გააღრმავა ეს წინააღმდეგობანი და სასიკვდილო ლახვარი ჩასცა მონათმფლობელურ წყობილებას, რითაც დააჩქარა მონათმფლობელურ სახელმწიფოს ბატონყმურ სახელმწიფოდ გადაგვარების პროცესი. კლასობრივი ანტაგონიზმი სულ სხვადასხვაგვარ ფორმებში მქლავნდებოდა, იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო მონაწილეთა შემადგენლობა და პირობები, რომლებშიც იშლებოდა და ვითარდებოდა კლასობრივი ბრძოლა, — იგი მქლავნდებოდა სამხედრო ამბოხებების, გაფიცვების, მამულების დარბევის, ქალაქთა დაპყრობის სახით და ა. შ. არსებული წყობილებით უკმაყოფილოთა რიცხვი მეტად დიდი იყო, მაგრამ მოძრაობის მონაწილეთა სოციალური შემადგენლობა კრელი, ცვალებადი და სხვადასხვა ტომისა იყო, ძალები სუსტად იყო კოორდინებული, ძირითადი წინააღმდეგობანი გადაჯაჭვული იყო ყველა სახის უამრავ მეორეხარისხოვან წინააღმდეგობებთან.

მასალებსა და სპეციალურ ლიტერატურაში საკითხების დამუშავების თანამედროვე მდგომარეობის პირობებში შეუძლებელი ხდება მოცემულ იქნეს რამდენიმედ მაინც დამთავრებული სურათი III საუკუნის სოციალური რევოლუციისა, რომლითაც დამთავრებულ იქნა მონათმფლობელური რომის ისტორია. ამ მიზეზით ჩვენ იძულებული ვხდებით შემოვიფარგლოთ ცალკეული გაფანტული ცნობებით გვიანდელი იმპერიის რევლუციური მოძრაობის ისტორიიდან და არავითარი პრეტენზია არ ვიქონიოთ გადმოცემის სისრულეზე, არც, მით უმეტეს, აწერილი ამბების გაღრმავებულ ანალიზზე.

განზე ვტოვებთ რა მთელ რიგ წვრილ ან ავტორების მიერ მხოლოდ აქა-იქ მოხსენებულ ცნობილ მოძრაობებს, ვჩერდებით უფრო ვრცლად მღელვარე III საუკუნის რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვან და დამახასიათებელ რევოლუციურ მოძრაობაზე.

რევოლუციურ მოძრაობას ადგილი ჰქონდა როგორც იტალიაში, ისე პროვინციებშიც. არსებული წყობილების წინააღმდეგ მიპართული პროტესტის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა ყაჩაღური

თავდასხმები, რომლებიც მოხსენებულა წყაროებში. იმპერიის ყველანაწილში მოიპოვებოდნენ მოხეტიალე ელემენტები—მონები, რომლებიც გაექცნენ თავიანთ ბატონებს, კოლონები და ჯარისკაცები, რომლებიც ჩამოშორდნენ თავიანთ ნაწილებს და ანტიკურობის ნამდვილ ლანდსკნებტებად გადაიქცნენ. ამ მოხეტიალე ელემენტებისგან ადგენდნენ მთელ რაზმებს, რაც ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა რომის იმპერიაში. სეპტიმიუს სევერუსის მმართველობის დროს ჩრდილოეთ იტალიაში ფელიქს ბულამ (Felix Bulla) შეადგინა 300 კაცი-საგან შემდგარი რაზმი და თითქმის თვითონ იმპერატორებისა და მათი მრავალრიცხოვანი ჯარების თვალწინ აწარმოებდა თავდასხმებს. მდიდარ ადამიანებსა და იმპერატორთა მოხელეებს. მას შემდეგ, რაც ყოველგვარმა ცდამ—შეეპყრათ ბულა—უნაყოფოდ ჩაირა, სევერუსმა მის წინააღმდეგ მთელი არმია გაგზავნა და ბრძანა გულდასმით ედევნებინათ თვალყური „ბედნიერი ატამანის“ ყოველივე მოქმედებისათვის. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. ბულას „ხედავდნენ და ვერ დაინახეს, იქერდნენ და ვერ დაიჭირეს, იპყრობდნენ და ვერ შეიპყრეს“. ასეთი საოცარი იყო მისი სიმარდე და მის მიერ თავის მოწინააღმდეგეთა მოსყიდვის ხელოვნება.

ბულამ ყოველთვის იცოდა, ვინ მოდის რომში და ვინ მიდის, ვინ გადასხდა ბრუნდიზიაში, რამდენი ფული ჰქონდა მას და სხვ. უკეთუ მის მიერ შეპყრობილი მდიდრები დაუტოვებდნენ მას მთელ ხელზე არსებულ ფონდს, მათ დაუყოვნებლივ უშვებდნენ; გამონაკლისს წარმოადგენდნენ მხატვრები, რომელთაც იგი რამოდენიმე ხანს თავისთან სტოვებდა, სარგებლობდა მათი სამსახურით, შემდეგ კი დიდის საჩუქრებით ისტუმრებდა. ერთხელ, როდესაც შეპყრობილი იქნა მისი ორგანიზაციის ორი წევრი, ბულა გადაცმული გამოცხადდა ცენტურიონთან და გაათავისუფლებინა პატიმარნი იმ საბაბით, ვითომდა მათ პროვინციის ნაცვალი მოითხოვდა.

ბოლოსდაბოლოს, ბულა შეპყრობილ იქნა. ის ჩაიყვანეს რომში და პრეტორიუმის პრეფექტს პაპინიანს წარუდგინეს დასაკითხად. პაპინიანის შეკითხვაზე: „რატომ ეწევი ყაჩაღობას?“, ბულამ უპასუხა: „შენ თვითონ რატომ ხარ პრეტორიელთა კორპუსის უფროსი?“—ო.

ბულა გამონაკლისს არ შეადგენდა. მეორე მაგალითის სახით დავასახელებთ პროკულს ჩრდილოეთ იტალიაში, წარმოშობით ქალაქ ალბენგიდან (Albingaunum), გენუის რივიერაში. პროკულის ბიოგრაფიაში, რომელიც მოთავსებულია იმპერატორთა პერიოდის („Scriptores historiae Augustae“) ისტორიკოსთა მიერ შედგენილ-

რომის იმპერატორთა ბიოგრაფიების სერიაში, მის შესახებ მოთხრობილია შემდეგი: პროკულმა შეადგინა რაზმი ორი ათასი შეიარაღებული მონისაგან, ეწეოდა ძარცვა-გლეჯას, სპექულაციას საქონლითა და მონებით და ამ გზით ის მდიდარ და ცნობილ კაცად გახდა. პროკულის სახელი, სიმამაცე, სიმდიდრე და გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ ლუგუდუნის გალიაში, რომელიც რომს ჩამოშორდა, ის იმპერატორად იქნა გამოცხადებული. პრობთან ომის დროს პროკული ცდილობდა აემხედრებინა ფრანკები, მაგრამ ამაოდ, — იგი დამარცხებულ და დაჭრილ იქნა.¹

კომიციების დახურვის შემდეგ საზოგადოებრივ განწყობილებათა და საზოგადოებრივი პროტესტის გამოსახულების ერთ-ერთ ლეგალურ ფორმად ცირკი გახდა, რომელიც თავისებურ სახალხო კრებად გადაიქცა. დედაქალაქის ცირკის მოჯირითეთა ფერების მიხედვით მოსახლეობა რამდენიმე პარტიად — ლურჯთა, ცისფერთა, წითლების და მწვანეთა პარტიებად იყოფოდა. იმპერატორის ან მის რწმუნებულთა ცირკში გამოჩენისას წარმოდგენის საყურებლად თავმოყრილი რამდენიმე ათეული ათასი კაცისაგან შემდგარი საზოგადოება ხმაშალა გამოსთქვამდა თავის მოთხოვნებს, ჰკიცხავდა რა მთავრობის ერთს და იწონებდა მის სხვა ღონისძიებებს. ასე, მაგალითად, კარაკალას დროს ცირკში თავმოყრილი საზოგადოება, დედაქალაქის სურსათსანოვავით მომარაგების საქმეში შეფერხებით აღშფოთებული, ჰყვიროდა: „როდემდე უნდა ვიტანჯოთ? როდემდე უნდა გვეპყრობოდნენ ისე, როგორც მტრებს? ყოველივე ამას ბოლო უნდა მოეღოსო“.

სოციალური ატმოსფერო იმდენად გავარჯარებული იყო, რომ საკმაო იყო რაიმე უმნიშვნელო საბაბი, რათა უკმაყოფილება აშკარა ამბოხებად ან აჯანყებად გადაქცეულიყო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ მონები, თავისუფალი ხელოსნები და ადგილობრივი გარნიზონი. ერთ-ერთ ასეთ აჯანყებას ადგილი ჰქონდა რომში ელაგაბალის დროს და იგი დამთავრდა იმპერატორისა და მისი დედის დაღუპვით. ყველა ჩვენთვის ცნობილ III საუკუნის რევოლუციური მოძრაობიდან რომში ყველაზე დიდი იყო ზ ა რ ა ფ ხ ა ნ ი ს ო ს - ტ ა ტ თ ა ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა (monetarii) ავრელიანეს დროს. აჯანყების მიზეზი შეიქნა განზრახული სამონეტო რეფორმა, რომელიც არ იყო ხელსაყრელი მოსახლეობის დაბალი ფენებისათვის. აჯანყება მოაწყო ზარაფხანის ერთერთმა პროკურატორმა, აზატმა ფელიციანი-

¹ Script. Hist. Aug., Proculus, XIII.

მუსმა. სამწუხაროდ, დაწერილებით არაფერი ვიცით არც თვითონ გაფიცვის მსვლელობის, არც სამონეტო წარმოების ორგანიზაციის, არც მუშათა პერსონალის შემადგენლობის შესახებ. ცნობილია მხოლოდ გაფიცვის საბოლოო შედეგი—ფულის მკრელთა, თავისუფალთა და შონების ბრძოლა ქუჩებში, რაც უკიდურესი გააფთრებით განიჩეოდა. იმპერატორს გამარჯვება შვიდი ათას ჯარისკაცის ფასად დაუჯდა. აჯანყებულთა დანაკლისი კი, ცხადია, გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა. ფულის მკრელთა გაფიცვამ ავრელიანზე მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა. იმპერატორი სულ მთლად დაეცა სულით, როგორც ეს ჩანს ისტორიკოს ვოზ. სკის მიერ გადმოცემულ წერილიდან კონსულ ულპიუს კრინიტიისადმი.

„რალაც ბედისწერა აეკვიტა, —წერს ავრელიანი, —ყველა ჩემს წამოწყებას. ყველა ჩემი ღონისძიება აუცილებლად იწვევს არეულობას“ (*omnes motus ingravescent*).

აჯანყებას თვითონ რომის კედლებში შედეგად მძიმე ომი მოჰყვა. „ფულისმკრელებმა, წაქეზებულებმა უკანასკნელი ჩემი მონათგანის (*ultimo servorum*), ფელიციანიუსის მიერ, რომელსაც მე ვანდე ფისკის ხაზინადრის თანამდებობა, გაბედეს და წამოჰყვეს თავი ჩემს წინააღმდეგ. ახლა ისინი უკვე დამორჩილებული არიან, მაგრამ სანაპირო და საბანაკო სამსახურის 7 ათასი კაცი, იბერიელები და დაკიელები, ამას შეეწირნენ (*hi compressi sunt septem millibus Lembariorum et Ripariensium et Castrianorum et Daciscorum interemptis*).

ეს იმას ამტკიცებს, რომ უკვდავი ღმერთები არც ერთი გამარჯვებით მე არ მწყალობენ დიდი სიძნელების გარეშე“.¹

მალე ფელიციანიუსის აჯანყების შემდეგ, იმის შიშით, რომ მსგავსი გაფიცვები არ განმეორებულყო, ფულის საქვე დეცენტრალიზებულ იქნა და ზარათხანები რომიდან პროვინციებში გადაიტანეს.

ყველა ჩვენთვის ცნობილ III საუკუნის რევოლუციურ მოძრაობათა შორის მაშტაბით, სიღრმითა და ხანგრძლივობით პირველი ადგილი უჭირავს ბაგაუდეების მოძრაობას გალიასა და ესპანეთში. ტერმინი „ბაგაუდეები“, ანუ „ბაკაუდეები“ (*bagaudae, bakaudae*) წარმოდგება კელტური სიტყვიდან *bagā*—ბრძოლა, ბაგაუდეები, მაშასადამე, —მებრძოლები².

¹ Script. Hist. Aug., Aurellanus, 38.

² Pauly—Wissowa, B. II, 2766.

რომის გალია კლასიკური ქვეყანა იყო ლატიფუნდიებისა, რომელთა სიდიდე ოთხ და მეტ ათას იუგერამდე აღწევდა. გალია-რომის წარჩინებულთა ლატიფუნდიებზე მრავალი კოლონი და მონა მუშაობდა, რომელთა მდგომარეობა II საუკუნის დამლევებიდან საგრძნობლად გაუარესდა.

ძირითადად ბაგაულების მოძრაობა იყო სოფლის ელემენტთა მოძრაობა, რომლებიც წყაროებში განმარტებულია როგორც „სოფლელები“ (vicani), „მიწის მუშები“ (agricolae) და „გლეხები“ (rusticani). ჩვენი წყაროები ბაგაულების ისტორიისა—გვიანი რომაელი მწერლები და ბიზანტიელი ჟამთააღმწერელნი—გალიის სოფლას მოსახლეობის მდგომარეობას მეტად თალხი ფერებით ხატავენ. მოსახლეობის დიდი ნაწილი გაჩანაგებულია უზომო გადასახადებითა და ბევრით (enormitate indictionum consumptis viribus colonorum) და ჩაგვრას განიცდის (tenuioribus violentia oppressis), მინდვრები თავმინებებულა (agri et culturae verterentur in silvam), მაშინ როდესაც მეგნატთა სახლები სავსეა ოქროთი და ყოველგვარი სხვა განძეულობით (ex auri copia privatae potentium repletae domus).

„სხვა რა მიზეზმა აიძულა ისინი გამხდარიყვნენ ბაგაულებად, თუ არ ჩვენმა უსამართლობამ, მოსამართლეთა თაღლითობამ, კონფისკაციებმა და ძარცვა-გლეჯამ?“,—აძლედა თავის-თავს კითხვას რადიკალურად განწყობილი მღვდელი, რომელიც მოუთხრობს ბაგაულების შესახებ¹.

ბაგაულების მოძრაობის უდიდესი აღმავლობა ხვდება გალიენის მმართველობის წლებს, ემთხვევა რა პოსტუმისა და ტეტრიკის (253—273 წწ.) დამოუკიდებელი გალიის იმპერიის გამოცხადებას და გალიაზე გერმანელი ტომების—ალამანების და ფრანკების თავდასხმას.

გალიენის მმართველობა როგორც მთელი იმპერიისათვის, ისე, განსაკუთრებით, გალიისთვისაც საშინელ უბედურებათა, შიმშილის, ეპიდემიებისა და ბარბაროსთა თავდასხმების დრო იყო; გალია იმ დროს აუტანელ გაჭირვებასა და უსამართლობას განიცდიდა (Gallia iniuriis elferatas). მშიერი მონების, კოლონების, მწყემსებისა და ხელოსნების ბრბოები სტოვებდნენ თავიანთ ადგილებს და, მათხოვრების სახით, დიდ ბრბოებად დაძრწოდნენ გზებში.

უდიდესი აღმავლობის პერიოდში (III საუკუნის 80-იან წლებში) ბაგაუდთა მოძრაობა მძლავრ ტალღად მოედო მთელს გალიას და

¹ Salv., De gubern. Del, V, 25.

აგრეთვე ესპანეთზედაც გავრცელდა. შეიარაღებულმა „ტეტიათა ბანდებმა“ შეშფოთება გამოიწვიეს მთელს გალიაში (*tumultum rusticani in Gallia concitassent*), ისინი იპყრობდნენ მამულებს (*populando agros*) და ძარცვა-გლეჯით არღვევდნენ მათ მფლობელთა აღუშფოთველ მყუდროებას (*quietem latrociniiis persequendo*)¹. ქალაქის მასის თანაგრძნობის წყალობით ბაგაუდებმა შესძლეს გალიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და სქელი კედლებით გამაგრებული ქალაქის—ავგუსტოდუნის (*Augustodunum*) აღება და მისი აჯანყების ცენტრად გადაქცევა. ბაგაუდების ბელადები იყვნენ ელიანი და ამანდი, რომლებიც გამოცხადებულ იქნენ გალიის იმპერატორებად. ელიანი (*Aelianus*) და ამანდი (*Amandus*) გამაგრდნენ კუნძულზე, მარნისა (*Matrona*) და სენის შესაყართან, სადაც ბოლო დროს იყო ბენედიქტელთა ტაძარი (*St. Maur sur les fossès*), „ბაგაუდების კოშკში“. ბაგაუდები აქედან თავს ესხმოდნენ მეზობელ ქალაქებს, მიჰქონდათ დიდი ნადავლი და მრავალ თანაგრძნობს იზიდავდნენ თავის მხარეზე მეზობელ სოფლებიდან და ქალაქებიდან².

დაახლოვებით იმავე წლებს ხედება აჯანყება ლუგდუნში (ლიონში), მოხსენებული მოძრაობა პროკულისა, რომელმაც შეადგინა მონების მთელი რაზმი ორი ათასი კაცისაგან, და ბონოზის, რაინის ფლოტილიის მეთაურის აჯანყება. ყველა ეს და მრავალი სხვა მოძრაობა და აჯანყება პირდაპირ ან არაპირდაპირ კავშირში იყო ბაგაუდთა რევოლუციასთან.

III საუკუნის 80-იან წლების დამლევს, დიოკლეტეიანეს ტახტზე ასვლის დროისთვის, რევოლუციურმა ტალღამ მოიცივა თითქმის მთელი გალია და წალეკით ემუქრებოდა მთელი გალიისა და რომის დიდკაცობას. ეს ის დრო იყო, როცა, რომაელი მწერლის მამერტინის სიტყვებით, „მხენელი გადაიქცა ქვეითი ჯარისკაცად, მწყემსი—მხედრად, გლეხი კი—გამანადგურებლად“ (*suorum cultorum rusticus vastator*), მტრის—ბარბაროსის მიბაძვით³.

დიოკლეტეიანემ შესძლო მოძრაობის დროებით შესუსტება. „როდესაც გალიაში ამანდმა და ელიანმა შეადგინეს გლეხთა ჯარი (*collecta rusticanorum manu*), რომელსაც „ბაგაუდებს“ უწოდებენ, და საშიში აჯანყება მოაწყეს (*perniciosus tumultus*), მან (დიოკ-

¹ Eutrop., IX, 20.

² Oros., Hist. adversum paganos, VII, 25.

³ Mamert., Paneg. ad Maxim., 14.

ლტიანემ) კეისრად დანიშნა მაქსიმიანე, მეტსახელად ჰერკული, და წარგზავნა იგი ვალიაში¹. მაქსიმიან ჰერკულის ამოცანა—ჩაეხშო რევოლუციური მოძრაობა, რომელსაც თანაუგრძობდა მოსახლეობის დიდი ნაწილი, ადვილი როდი იყო. შიში ბაგაუდების წინაშე იმდენად დიდი იყო, რომ მაქსიმიანმა ვერ გაბედა აშკარა ომში შეჭბმობა და მოწინააღმდეგეს, და უცდიდა, სანამ შიმშილი და ჭირი არ შეათხელებდა ბაგაუდების რიგებს. დაიწყო „ბაგაუდთა კოშკის“ ხანგრძლივი და მტანჯველი გარემოცვა. ბოლოს, 285 წ. მაქსიმიანმა აიღო „ბაგაუდთა კოშკი“ (agrestes domuit) და მით თავზარი დასცა აჯანყებულებს. ცუდად შეიარაღებულმა გლეხთა რაზმებმა, რომლებიც ამავე დროს შიმშილით და ეპიდემიით იყვნენ დაუძლურებული, ვერ გაუძღეს რევოლუციურ ჯარს და დამარცხებულ იქნენ. მიუხედავად თავგანწირულ წინააღმდეგობისა, მათი დიდი ნაწილი დაიღუპა, დანარჩენი კი ტყვედ დანებდა. აჯანყებულებს შეუბრალებლად გაუსწორდნენ.

მაქსიმიანის მიერ ასეთი გასწორების შემდეგ, შინაური და გარეშე ომით განადგურებული ვალია გაპარტახების შესაზარ სურათს წარმოადგენდა. „ხეობა საონამდე,—წერს მამერტინი,—ოდესღაც მეტად ბედნიერი და მდიდარი, ვიდრე სარწყავი სისტემა წესიერ მდგომარეობაში იყო,—ახლა ერთ დიდ ქაობად გადაიქცა. ღრმად ფესვგადგმული ვაზები გაჩეხილია ანდა ველურ მდგომარეობამდე მიყვანილი, ახლის გაშენებას კი არავენ მისდევს. იმ ადგილიდან, საიდანაც ვადის გზა ბელგიის ვალიაზე, ყვლაფერი პირქუშ ყრუ უდაბნოდ იქცა. თვით სამხედრო გზაც ცუდი, ოღროჩოღრო და უვარგისი შეიქნა ხილის ტრანსპორტისთვისაც და სახელმწიფოებრივ საქმეებისათვისაც“².

თუმცა მაქსიმიანე სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს, მაგრამ ბაგაუდთა რევოლუციური მოძრაობა საბოლოოდ მაინც ვერ იქნა ჩახშობილი. შემდგომ საუკუნეში მან ახალი ძალით იფეთქა.

4. III საუკუნის კრიზისის სოციალურ-ეკონომიური და კულტურული შედეგები

იმპერიის ეკონომიური საფუძველი შეირყა, მონათმფლობელური მეურნეობა განადგურდა, მონები გაიფანტნენ ან ეპიდემიების დროს დაიღუპნენ, ვაჭრობა და ხელოსნობა შესუსტდა, ყველგან გვა-

¹ Oros., VII, 25.

² Mamert., Paneg. ad Maxim., 14.

შები ეყარა, ქალაქები და სოფლები სავსე იყო ჯარისკაცებით, მათ-
ბოვართა და მანანწალათა ბრბოებით, ხალხის ზნეხასიათი საშინლად
დაეცა და გაუხეშდა.

„ჩვენი სახელმწიფო, — მოახსენებდა სენატს გალიენის მემკვიდრე
კლავდიუსი, — სრულიად მოშლილი და ღონემიხდილია; ჩვენ უნდა
ვაწარმოოთ ბრძოლა მტრებთან ვალერიანის, პოსტუმის, რეგილიან-
ის, ლოლიანის, ცელსის და ათას სხვათა აჯანყების შემდეგ, რომ-
ელთაც ეს აჯანყება გალიენისადმი სამართლიანი სიძულვილის გამო
დაიწყო. ჩვენ გვაკლია აბჯარი, მახვილები და ხელშუბები. სახელმ-
წიფოს უძლიერესი პროვინციები — გალია და ესპანეთი — ტეტრარქმა
წაგვართვა და, რარიგ სამარცხვინოც არ უნდა იყოს ამის აღიარება,
თვით მსროლელებიც კი პალმირის დედოფალ ზინობიას ჯარებში
მსახურობენ!“¹.

საყოველთაო ნგრევის, ტრანსპორტის მოშლისა და შემცირე-
ბული წარმოების ნიადაგზე განვითარდა თავაწყვეტილი სპეკულა-
ცია, რამაც საბოლოოდ გაანადგურა მოსახლეობის მასები, მათ
კრიცხვში მოსამსახურე ელემენტებიც. სახელმწიფო თავს ვერ აღწევდა
პერმანენტული ფინანსური კრიზისის მდგომარეობას. მონეტა
თავის ღირებულებას ჰკარგავდა, მცირდებოდა წონითა და ხარისხით.
ფულის ტრიალზე განსაკუთრებით არაკეთილსასურველ გავლენას ახ-
დენდა ვერცხლის მალაროების დაკარგვა ესპანეთსა და ბრიტანეთში
და შემდეგ უზურპატორთა მონეტების გამოშვება, რაც მეტოქეობას
უწევდა რომის მონეტებს. უზურპატორების მიერ დაპყრობილ თვი-
თეულ პროვინციაში გაჩნდა საკუთარი მონეტა ამათუიმ პროვინციის
იმპერატორის გამოსახულებით. ყველაზე მეტ მონეტებს სპირიდენ
ეგვიპტის ალექსანდრიასა და გალიაში. ფულის კურსისა და ლითონ-
ის ღირებულების მერყეობის გამო ოქროსა და ვერცხლის მონე-
ტები სავსებით გაჰქრა ბრუნვიდან და მათი ადგილი მდარეხარისხი-
ანმა — სპილენძის, თითბრისა და სხვა მონეტებმა დაიკავა. კარაკალას
დროს გამოშვებულ იქნა ვერცხლის მონეტა antoninianus, რომელიც
დაახლოვებით 5 გრამს იწონიდა და გათანაბრებული იყო ოქროს
(aures) $\frac{1}{20}$ -თან. „სამხედრო ანარქიის“ პერიოდში antoninianus-ი
დაეცა ფასსა და წონაში და, ბოლოს, მდარე ღირსებისა და ძლიერ
სუდი ნაჭედობის სახურდავებელ სპილენძის მონეტად გადაიქცა. ფუ-
ლის კრიზისმა კიდევ მეტი მერყეობა შეიტანა სამეურნეო ურთიერ-
ობაში და საბოლოოდ შეარყია საგაცვლილობო მეურნეობა².

¹ Script. Hist. Aug., Claudius, 7.

² A. Segrè, Circolazione monetaria e prezzi nel mondo antico, Roma 1923; Ferrero, La ruine de la civilisation antique, Paris 1921.

მდგომარეობიდან გამოსავალს ნატურალურ მომარაგებაზე გადასვლა წარმოადგენდა. ხელფასის გაცემა უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობის პირებზე იწყეს ნატურით— ფქვილით, პურით, ხორცი, ლორით, ღვინით, ბოსტნეულით და ქაღალდითაც კი. ნატურით გადახდის ხასიათს გვაცნობს ამონაწერი იმპერატორ ვალერიანის წერილიდან, რომელიც შეიცავს განკარგულებას ქალაქის პრეფექტისადმი მისცეს საჩუქრად სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის სარდალ ავრელიანს (მომავალ იმპერატორს) ჯარისკაცის 16 თეთრი პური, ჯარისკაცის 40 ჩვეულებრივი პური, 40 სექსტარი სუფრის ღვინო, ნახევარი გოჭი, 2 ქათამი, 30 გირვანქა ლორის ხორცი, 40 გირვანქა საქონლის ხორცი, სექსტარი ზეთი, ყოველგვარი მწვანილი და ბოსტნეული სურვილისამებრ... სხვადასხვა ხარჯისათვის დღეში 2 ოქრო, 50 ვერცხლისა და 100 სპილენძის დინარი¹.

ფულის ტრიალის მოშლამ და მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის დაცემამ შეამცირა ქალაქის ხელოსნების დამკვეთთა რიცხვი და უარყოფითი გავლენა იქონია დასამზადებელი საგნების ხარისხზე და სახელოსნო ტექნიკაზე. საკმარისია შევადაროთ, მაგალითად, I, II და III საუკუნეების თიხის კურჭელი, რათა წარმოვიდგინოთ კრიზისისა და ვალუტაციების მთელი სიღრმე. სახსრების უქონლობისა და ბაზარზე გამოტანილი ნაწარმის ცუდი ხარისხის გამო სახელოსნო საგნების მზადებას იწყებენ სახლში, განსაკუთრებით მამულებში.

მსხვილი მიწათმფლობელობისა და კოლონების ისტორიაში III საუკუნის სოციალური რევოლუცია უაღრესად მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს. რევოლუციის განმავლობაში მრავალი მამული დაინგრა და დაიწვა, მონები გაიფანტნენ, მეურნეობა დაეცა. გადარჩენილი ან ახლად წარმოშობილი მაგნატები კი აქტუცმაცებდნენ თავიანთ სამფლობელოებს, ჰყიდდნენ მათ ანდა იჯარით აძლევდნენ კოლონებს. პარციარულმა კოლონატმა III საუკუნეში ახალი იმპულსი მიიღო თავისი განვითარებისათვის, და მონათმფლობელურმა სისტემამ—ახალი დარტყმა, რამაც დააჩქარა მისი გახრწნა.

რომის სახელმწიფოებრივობა სრული დაშლის წინაშე იდგა. რომის სახელმწიფოებრივობის დასუსტების ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელი შეიძლება იყოს III საუკუნიდან ცხოვრებაში ფეხმოკიდებული ჩვეულება, რომლის მიხედვით ქალაქებს და მამულებს გარს ავლებდნენ კედლებსა და კოშკებს, რაც მათ მიუვალ ციხე-სიმაგრეებად—

¹ Script. Hist. Aug., Aurelianus, 8.

სასახლეებად აქცევდა. აგრელიანის დროს თვით რომიც გარსშემოვლებული იყო უზარმაზარი კედლით. სხვა ქალაქების მსგავსად რომი ხშირად მდგარა უზურპატორის მიერ გაძარცვისა და აკლების ანდა ბარბაროსთა მიერ მოულოდნელი დაპყრობის საფრთხის წინაშე.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე კულტურული კრიზისიც—ზნედაცემულობის, როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების წინაშე ადამიანური ღირსების დაკარგვის აზრით. თვითეული ქალაქი, თვითეული მამული, თვითეული კოლონია, ბოლოს, თვითეული ადამიანი მხოლოდ საკუთარი თავისთვის, პირადი ინტერესებით, დაღვინება-გაჭირვებით ცხოვრობდნენ. ინტელექტუალური დონე ეცემოდა, შემოქმედებითი ფანტაზია იფიტებოდა, გემოვნება უხეშდებოდა,—III საუკუნეს არ მოუცია არც ერთი გამოგონება ხელოვნების ან ხელობის რომელიმე დარგში. ინტელექტუალური დონის დაწვევისა და თავის ძალისადმი და საერთოდ არსებობისადმი რწმენის დაკარგვის ნიადაგზე ვითარდება ცრუმორწმუნეობა, ჰყვავის ასტროლოგია და მკითხაობა, ყოველივე ეს კი ფართო გასაქანს უქმნის აღმოსავლეთის რელიგიების გავრცელებას მათი საიდუმლო კულტებით და საიქიოს ცხოვრების რწმენით. აღმოსავლეთის რელიგიებთან ერთად მტკიცდება აგრეთვე ქრისტიანობაც, ქრისტიან პროზელიტების რიცხვი სწრაფად იზრდება, მიუხედავად დევნა-შევიწროებისა, რასაც ადგილი ჰქონდა III საუკუნის იმპერატორების დეციუსის, ვალერიანის და დიოკლეტიანეს დროს. ქრისტიანეთა საზოგადოებანი ერთ მთლიან ეკლესიად გაერთიანდნენ.

ცხოვრების საერთო სტილის შესაბამისად შეიცვალა აგრეთვე პოლიტიკური ფორმებიც და პოლიტიკის მეთოდებიც. რესპუბლიკური დაწესებულებანი და რესპუბლიკური ტრადიციები „სამხედრო ანარქიის“ პერიოდში სავსებით გაჰქრნენ ანდა გადაგვარდნენ, პრინციპატის დომინატად გარდაქმნა III საუკუნეში უკვე მომხდარი ფაქტი იყო. საერთო-საიმპერიო სენატი და მუნიციპალური კურიები მიყრუვდნენ, დაცარიელდნენ და მათ დაჰკარგეს ყოველგვარი გავლენა, გადაიქცნენ რა სახელმწიფოს ფისკურ ორგანოებად, პოლიტიკა იმპერატორისა და მისი ამალის, სამხედრო პირთა და ბიუროკრატთა კუთვნილებად გახდა.

იმპერიის საერთო რღვევა და გალატაკება იმდენად დიდი იყო, რომ თანამედროვეთ III საუკუნის კრიზისის ქვეყნის დასასრულის დასაწყისად ეჩვენებოდათ. ამის შესახებ ქრისტიანეთა მწერალმა ლაქტანციუსმა მთელი „ისტორიის ფილოსოფია“ კი შეთხზა. რომის იმპერიის დაღუპვა, ფიქრობს ლაქტანციუსი, გარდაუვალია სო-

ციალური ცხოვრების უცვლელი კანონების ძალით. ყოველივე ის, რაც ადამიანის ხელითაა შექმნილი, რარიგ დიდებულადაც არ უნდა გამოიყურებოდეს, უნდა დაიღუპოს. დაიღუპნენ ეგვიპტის, ასურეთისა და სპარსეთის სამეფოები, მაშასადამე, რომის იმპერიაც უნდა დაიღუპოს. ქვეყნის დასასრულის მოახლოვება შავი ფერებით არის წარმოდგენილი: ომები, შინაბრძოლები, შინაური შფოთი, შუღლი, მტრობა, არეულობა, გადამდები სნეულებანი, შიმშილობა, გაჭირვება¹. ლაქტანციუსის „ისტორიის ფილოსოფია“ საინტერესოა როგორც მონათმფლობელური წყობილების ღრმა კრიზისის მაჩვენებელი.

III საუკუნის სოციალური რევოლუციის ისტორიული თავისებურება ის იყო, რომ იმ დროს არ აღმოჩნდა საკმაოდ ძლიერი პროგრესული (რევოლუციური) კლასი, მსგავსად თანამედროვე პროლეტარიატისა, რომელსაც შესძლებოდა დაერაზმა მოძრაობა და საზოგადოება ერთი ფორმაციიდან მეორეში გადაეყვანა. კოლონებსა და აზატებს ეს არ შეეძლოთ, იმიტომ რომ თვითონ ისინი მონათმფლობელური წყობილების გახრწნის პროდუქტს წარმოადგენდნენ, მასთან მკიდროდ დაკავშირებული, ეკონომიურად სუსტი და პოლიტიკურად დაურაზმავი იყვნენ. ამიტომ რომის იმპერიის დასასრულის კლასობრივი ბრძოლა საბოლოოდ ორთავე მებრძოლი კლასის ერთად დაღუპვით უნდა დამთავრებულიყო.

„თავისუფალი და მონა, პატრიცი და პლებეი, ბატონი და ყმა, ამქრის ოსტატი და ქარგალი, მოკლედ—მჩაგვრელი და დაჩაგრული მუდმივ წინააღმდეგობაში უდგნენ ერთმანეთს, ეწეოდნენ შეუწყვეტელ, ხან მალულ, ხან აშკარა, ბრძოლას, რომელიც ყოველთვის თავდებოდა მთელი საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნით ან მებრძოლ კლასთა საერთოდ დაღუპვით“².

III საუკუნის კრიზისის დროიდან მთელი ცდა მიმართული იყო არა ახალ კულტურულ ღირებულებათა შექმნისაკენ, არამედ წინანდელ კულტურულ მიღწევათა შენარჩუნებისა და იმპერიის გარეშე მტრებისაგან დაცვისაკენ.

5. მონათმფლობელური იმპერიის რესტავრაციის ცდები

რომის იმპერიის უკანასკნელი საუკუნეები აღსავსეა რღვევის გზაზე შემდგარი ხმელთაშუაზღვეთის სახელმწიფოს აღდგენის ცდე-

¹ Lact., De mortibus persecutor., VI—XVIII.

² მარქსი და ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, გვ. 26. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს—ენგელს—ლენინის ინსტიტუტის, თბილისის ფილიალის გამოცემა, 1940 წ.

ბით. რესტავრაციის ცდები იწყება III საუკუნის მეორე ნახევრიდან, გალიენის მემკვიდრის, კლავდიუს II გოტის დროიდან (268—270 წწ.). იმპერიის აღორძინება დაკავშირებული იყო იმ მნიშვნელოვან გამარჯვებებთან, რომლებიც ამ წლებში მოიპოვეს რომაელებმა საგარეო პოლიტიკაში, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს რომის სახელმწიფოს დამოკიდებულებას სამხედრო პოლიტიკისა და სამხედრო ალაფისაგან. „ღვთაებრივმა კლავდიუსმა“, რომის გამოჩენილმა სარდალმა, ორი დიდი გამარჯვება მოიპოვა ალამანების გერმანულ ფედერაციაზე გარდის ტბასთან (Lacus Benacus) და გუთებზე ნაისასთან (Naissus), მიოზიაში. ამ ორმა გამარჯვებამ კლავდიუსს უდიდესი ნადავლი არგუნა და რომაელთა ჯარს სულიერი მხნეობა შეჰმატა.

„ჩვენ მოვსპეტ 300 ათასი გუთი და 2 ათასი ხომალდი ჩაეძირეთ,—იტყობინებოდა კლავდიუსი.—მათი ფარებით დაფარულია ყველა მდინარე, მათი მახვილებით და შუბებით—მდინარის ყველა ნაპირი. ძელებით მოფენილი მინდორი აღარ ჩანს, ყველა სამხედრო გზა მონაგვიანებულია, მათი უზარმაზარი ციხე-სიმაგრე, ოთხთავალა ეტლებით, დგას ყველასაგან მიტოვებული; ჩვენ ტყვედ ჩაგვივარდა იმდენად მრავალი ქალი, რომ გამარჯვებულ ჯარისკაცს შეუძლია აიკვანოს თავისთვის ორი ან სამი მათგანი“¹.

უბადრუკ გალიენთან შედარებით კლავდიუსი წარმოდგენილია ვესპასიანეს, ტრაიანეს და ადრიანეს თანატოლ გამოჩენილ მმართველად. მის საპატივცემოდ რომში ორატორის ტრიბუნაზე დადგმულ იქნა ვერცხლის სვეტი წონით ათას ხუთასი გირვანქა. მრავალი დამარცხებისა და სამარცხვინო ხელშეკრულებათა შემდეგ, რომელთაც ადგილი ჰქონდა წინანდელი მეფეების დროს, გასაგებია კლავდიუსის გამარჯვებებით გამოწვეული საყოველთაო აღზევება და აღფრთოვანება.

„ეს—მან შემუსრა მოკლე დროში გუთები (ille bellum Gothicum brevi tempore implevit). გამარჯვებულს აქებ-ადიდებდა სენატი, მთელი ხალხი, ყველა პროვინცია, ყველა უცხო ქვეყნის ეროვნებანი, ყველა წოდება, ყველა ასაკის ადამიანები, ყველა ქალაქები. ყველა ადიდებდა შესანიშნავ გმირს ქანდაკებებით, დროშებით, გვირგვინებით, საკურთხეველებით და ტაძრებით“².

რესტავრაციულ პოლიტიკას განაგრძობდნენ კლავდიუსის მემკვიდრეები ავრელიანი (270—275 წწ.), პრობი (276—282 წწ.)

¹ Script. Hist. Aug., Divus Claudius, 9.

² Script. Hist. Aug., Divus Claudius, 3.

და დიოკლეტიანე, რომელთაც დაიწყეს მოგვიანო, ანუ ახალი, იმპერიის ახალი პერიოდი.

დასახელებულ იმპერატორთა პირველი რეფორმა სამხედრო რეფორმა იყო. საზღვრისპირა არმიების მცირე მოქნილობის გამო შეიქმნა განსაკუთრებული სარეზერვო არმია (palatini et comitatenses), რომელიც შეკრებილ იქნა თრაკიელთა, ილირიელთა და ბარბაროსთა სხვა ტომებისაგან და იღვა რომში. ამასთან ერთად კავალერია გარდაქმნილ იქნა სპარსულ ყაიდაზე. კლავდიუსის, აგრელიანის, პრობის დიდი გამარჯვებანი სამხედრო რეფორმას უნდა მიეწეროს. აგრელიანმა შეაჩერა ალამანების შეტევა იტალიაზე, დაამარცხა ტეტრიკი, დაიპყრო ეგვიპტე, დაიმორჩილა ჩამოშორებული სირია და პალმირის სამეფო. თვითონ ქალაქ რომს აგრელიანმა შემოავლო ახალი „აგრელიანის კედელი“ (murus Aureliani), რომლის ნანგრევებიც შემორჩენლია დღემდე.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე აგრელიანის მემკვიდრის, სირიელი ლეგიონების მიერ დაყენებულ იმპერატორ პრობის გამარჯვებანი. პრობი რომის ერთ-ერთ უნიჭიერეს სარდლად ითვლებოდა; მან აღადგინა რაინ-დუნაის საზღვარი, შეაჩერა რა გერმანელი ტომების—ფრანკების, ალამანების, ვანდალებისა და გოტების შემოტევა. აღმოსავლეთის ფრონტზე პრობმა დაუმკვიდრა რომს სირია და შეაჩერა სპარსელების შეტევა.

კლავდიუსის, აგრელიანისა და პრობის მმართველობის წლებმა გააცოცხლეს შეგნებაში რომის რესპუბლიკის ძველის ძველი წარსული. გამარჯვებებმა რომს დიდი ალაფი არგუნა ძვირფასი ნივთების, საქონლის, ოთხთვალა ეტლების, იარაღის, მონებისა და ნაყოფიერი მიწების სახით. ამგვარად, ერთხანობაზე გადაჭრილ იქნა იმპერატორული რომის ყველაზე მწვავე პრობლემა—სამეზაო ძალისა და ფინანსების საკითხი. სენატისადმი თავის მოხსენებაში მოპოვებული გამარჯვების შესახებ პრობი საზეიმო ტონით იუწყებოდა რომაელთა ბრწყინვალე გამარჯვებაზე გერმანელების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში, გერმანელთა მიერ 300 ათას კაცზე მეტის დაკარგვაზე და აურაცხელი ალაფის წამოღებაზე.

„ამიერიდან,—წერდა პრობი,—გალიის ყანები ბარბაროსთა ხარებით იხვნება, გერმანელთა ხარები ქედს ხრიან ჩვენი მიწის მუშების უღლის ქვეშ, დამორჩილებულ ხალხთა მრავალრიცხოვანი ნახირი ჩვენ საკვებად გამოგვადგება, ჩვენი ფარდულები გავსებულია მათი პურით, ჩვენს კავალერიას გერმანელთა ცხენები უზრუნველყოფენ“¹.

¹ Script. Hist. Aug., Probus, 15.

რომის ჰეგემონიის აღდგენა, ალაფის, მონების მოზღვაება და ყაჩაღობის შესუსტება ხელს უწყობდა ვაქრობის, ხელობათა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გამოცოცხლებას. სამხედრო წარმატებათა საფუძველზე III საუკუნის დასასრულის იმპერატორებმა დაისახეს მთელი რიგი სოციალური რეფორმები, რომელთაც უნდა ემალდებინათ ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება და განემტკიცებინათ იმპერატორის ხელისუფლების პრესტიჟი. პირველი ადგილი ეკავა ფულის რეფორმას, — მთელი სამონეტო საქმის რეფორმას. შემდგომ განზრახული იყო კულტურულ მდგომარეობაში მოყვანათ გაპარტახებული მიწები იტალიასა და პროვინციებში. აგრეთიანი ფიქრობდა შეესყიდა დაუმუშავებელი მიწები და დაესახლებინა მათზე გერმანელი სამხედრო ტყვეები. პრობი მფარველობას უწყევდა ვაზის კულტურას პროვინციებში: გალიასა, ესპანეთსა, პანონიასა და თვით ბრიტანეთში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საზღვრისპირა სამხედრო ახალ შენებს. საზღვრებზე დასახლებულთ აძლევდნენ შელავათებს და დახმარებას. გარდა ამისა, ჯარისკაცებს კერძო საკუთრებად აძლევდნენ მიწებს საზღვრისპირა ტერიტორიებზე. რომაელ კოლონისტთა ნაკლებობის შემთხვევაში საზღვრისპირა ოლქებში მნიშვნელოვანი რაოდენობით უშვებდნენ აგრეთვე რომთან მეგობრულად განწყობილ ბარბაროსთა ტომებს. სპარსეთის ომიდან დაბრუნებისას პრობმა თრაკიის საზღვარზე 100 ათასი ბასტარნი დაასახლა.

გარდა მიწის გამოყოფისა, ჯარისკაცები და ქალაქის ლუმენ-პროლეტარიატი ლებულობდა ყოველგვარ საჩუქარსა და სანახაობას, რაზედაც გვიანდელ რომის იმპერატორები განსაკუთრებით ხელგაშლილი იყვნენ; პურისა და ხორცის ჩვეულებრივ ნორმებს გარდა ღორის ხორცსა და ღვინოსაც არიგებდნენ. აგრეთიანი სპეციალური ვენახების გაშენებასაც კი ფიქრობდა, რომელთაგან მოწყეული ღვინო განკუთვნილი უნდა ყოფილიყო ხალხის გასამასპინძლებლად. უდიდესი თანხები იხარჯებოდა სხვადასხვა სანახაობაზე, ცხენების დოღზე, გლადიატორთა ბრძოლაზე, მხეცთა დევნაზე და საზღვაო ბრძოლებზე (ნავმახიები). პრობის გერმანელებზე გამარჯვების ზეიმის გამო რომის დიდ ცირკში გრანდიოზული წარმოდგენა მოეწყო. ცირკის არენაზე დარგულ იქნა უზარმაზარი ხეები, ფესვებიანათ მოთხრილი. მთელი არენა ერთიან მწვანე ტყედ იქცა. შემდგომ სიგნალის მიცემით გამოუშვეს ურიცხვი სხვადასხვა ჯიშის ჟრინველი და მხეცი: ათასი სირაქლემა, ათასი ირემი, ათასი გარე-

ული ღორი, ათასი გარეული თხა და სხვა ბალახის მკამელი ცხოველი; შემდგომ არენაზე შეუშვეს ხალხი, მასთან თვითეულს შეეძლო წაეყვანა ცხოველი, რომელიც მას სურდა. მეორე დღეს იმპერატორმა ბრძანა გამოეშვათ სცენაზე ამფითეატრში 100 სწირბეწვა ღომი, შემდეგ 100 სირიული და 100 ლიბიური ავაზი, ჩვეულებრივი 100 ღომი, 100 დათვი, და, ბოლოს, წარმოდგენა 300 წყვილი გლადიატორის ბრძოლით დამთავრდა.

იმავე დროს III საუკუნის იმპერატორები ერთობ ცდილობდნენ ჩაებათ მოსახლეობა და განსაკუთრებით ჯარი სხვადასხვა სახელმწიფო ბეგრის მოხდის საქმეში. ამას ისინი ჩადიოდნენ ნაწილობრივ სამეურნეო, ნაწილობრივ კი სამხედრო-პოლიტიკური მოსაზრებებით—არმიის დემორალიზაციის შიშით. სამხედრო დისციპლინის სიმკაცრის და ჯარისკაცთა შრომითი ენერჯის გამოყენების მხრივ ყველაზე შორს წავიდა იმპერატორი პრობი, რომელიც თავის არმიას არასდროს უსაქმოდ არ სტოვებდა. ჯარისკაცებს გაჰყავდათ გზები, სთხრიდნენ არხებს, აშენებდნენ ხიდებს, წყალსადენებს, აშრობდნენ ტბებს და ა. შ.

პრობის საბოლოო ოცნებას შეადგენდა რომის იმპერიის ყველა ნაწილის ერთ მთლიანობაში შეერთება, ომის შეწყვეტა და ლეგიონერთა გადაქცევა მშვიდობიან მუშაეებად. „ნუ თუ მართლაც,—პათეტიურად შესძახებს პრობის ბიოგრაფი,—ოდესმე დადგება დრო, როცა არც ერთი ჯარისკაცი აღარ იქნება? ყველა სახელმწიფოში მშვიდობიანობა გამეფდება, ყველა თავს გაანებებს იარაღის ჭედვას, სამხედრო საქმეებისათვის საქონლის მიწოდებას, ცხენისა და სხვა სამსახურის შესრულებას. ხარი თავის გუთანს დაუბრუნდება, ცხენი მშვიდობიან შრომას მიეცემა, და რა დოვლათი დაგროვდებოდა მაშინ ქვეყნად!

ამრიგად, ამიერიდან აღარ არის სამხედრო ბანაკი და საომარი ყიფინა. ვინც ახლა ერთმანეთს ჰკლავს სამშობლოს დამლუპველ ძმათსაველელ ომში, ისინი ხელს მოჰკიდებენ სოფლის მეურნეობას, ზღვაოსნობას, მეცნიერებას, ხელოვნებას და ხელოსნობას... ამას კიდევ მიუმატე ის, რომ არც ერთი ადამიანი ომს თავს აღარ შეაკლავს“¹.

თავის სამშობლო ქალაქ სირმიაში (Sirmium) პრობმა მიზნად დაისახა ტბების ვეებერთელა სივრცის დაშრობა². ამ მიზნით მან თავი მოუყარა ათას ღონიერ და გამძლე ჯარისკაცს და მალაღ,

¹ Script. Hist. Aug., Probus, 23.

² Boak, The Geogr. Review, 1926 წ., 353.

რკინით შემოკრულ კოშკზე მდგარი თვითონ პირადად ხელმძღვანელობდა სამუშაოებს. მუშაობა მეტისმეტად მძიმე და დამქანცველი იყო, ჯარისკაცები დრტვინავდნენ, ბოლოს, ველარ გაუძლეს, აჯანყდნენ და მოჰკლეს იმპერატორი. პრობის ცდამ, რათა გაეჯანსაღებინა არმია და გადაექცია იგი შრომის არმიად, ჯარისკაცთა შორის, უკმაყოფილება გამოიწვია, რაც „იმპერატორ-პაციფისტის“ სიკვდილით დამთავრდა.





თავი XXIV

გვიანდელი იმპერია (დომინატი)

1. ზოგადი დახასიათება

დიდი ცდისა და დაძაბულობის შედეგად III საუკუნის იმპერატორებმა, ბოლოსდაბოლოს, შესძლეს რომის სახელმწიფოს აღდგენა. III საუკუნის დასასრულიდან იწყება უკანასკნელი პერიოდი რომის ისტორიისა, ე. წ. გვიანდელი იმპერია, რომელიც განსხვავდება ადრინდელი იმპერიისაგან, ანუ პრინციპატისაგან და ეწოდება დომინატი.

როგორც წინა თავში იყო აღნიშნული, რომის იმპერიის უკანასკნელი პერიოდი ითვლება გარდამავალ პერიოდად მონათმფლობელური ფორმაციიდან ფეოდალურზე. რესპუბლიკისა და პრინციპატის დამახასიათებელ მონათმფლობელური წარმოების საფუძველს საუკუნეების განმავლობაში ეკარგებოდა თავისი სოციალურ-ეკონომიური აზრი და თანდათანობით იჭრებოდა ბატონყმური კოლონატი. ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში, რომელშიაც ხდებოდა მონათმფლობელური სისტემის გადაზრდა ბატონყმურ სისტემაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა III საუკუნის ზემოაღნიშნულ კრიზისს. ფინანსიურ კრიზისთან დაკავშირებით, შემცირება საგაცვლილებოსი და გადიდება ნატურალური მეურნეობისა—მონათმფლობელურ სისტემას უკარგავდა თავის სოციალ-ეკონომიურ აზრს, მონა ან სრულიად ჰქრებოდა ანდა იქცეოდა ყმად. საწარმოო ბაზის ცვლილების პარალერულად იცვლებოდა სოციალურ-პოლიტიკური ზედნაშენიც.

დომინატი, განსხვავებით პრინციპატისაგან, ქალაქთა კავშირი-საგან (მუნიციპიებისაგან) და ქალაქთა ტერიტორიებისაგან, ძირითადად წარმოადგენს სოფლის ტერიტორიების—სალტუსების, საგვარეულო მამულებისა და თემების გაერთიანებას. რომის საზოგადოების წყობის უკანასკნელ პერიოდს სოფლის ანაბექტი აზის. თავისი ორგანიზაციით გვიანდელი რომის იმპერია წარმოადგენს ისეთსავე სამხედრო-ბიუროკრატიულ მონარქიას, როგორც იყო რომის ადრინდელი იმპერია,—მაგრამ განვითარების სხვა სტადიაზე. სამხედრო ბიუროკრატიული ხასიათი იმპერიისა აქ, IV-V საუკუნეებში, გამოვლინებულია უფრო მკვეთრად, ვიდრე ეს იყო სევერუსების სახელმწიფოში. მთავარ სოციალურ დასაყრდენს გვიანდელ იმპერიაში წარმოადგენდა იმპერიის არისტოკრატია, რომლის უმრავლესობას შეადგენდნენ ქალაქის მოსამსახურეები და პროვინციელი მემამულენი (პოსესორები), რომელთა წრიდანაც ირჩევდნენ უმაღლეს თანამდებობათა პირებს, კანცელარიის მოხელეებს, დამსახურებულ ჯარისკაცებს—ვეტერანებს და სხვ.

ამასვე ემატებოდა მრავალრიცხოვანი ქალაქის პლებსი (plebs urbana), რომელიც მხარს უჭერდა იმპერატორის ხელისუფლებას. პლებეები ამ მოვალეობის შესრულებისათვის სახელმწიფოსაგან ღებულობდნენ ჯილდოსა და საჩუქრებს, და ამავე დროს თავისუფლებოდნენ სახელმწიფო ბეგარისაგან.

2. გაიუს ვალერიუს დიოკლეტიანე

III საუკუნის ილირიის დალმაციური დინასტიის წარმომადგენელ იმპერატორთა პოლიტიკის გამგრძელებელი იყო გაიუს ვალერიუს ავრელიუს დიოკლეტიანე (C. Valerius Aurelius Diocletianus 284—305 წწ.) დალმაციელი უბრალო აზატის შვილმა დიოკლეტიანემ (საკუთრივ, დიოკლე, მისი სამშობლო ქ. დიოკლესის სახელწოდებიდან) თავისი სამსახურებრივი კარიერა დაიწყო რიგითი ჯარისკაცობით ავრელიანესა და პრობეს დროს. იგი პრობეს დროს უკვე მეზიაში მოადგილეთაა, შემდეგ მსახურობს იმპერატორ კარეს დროს, მის პირად კავალერიაში, სახელი გაითქვა და დაწინაურდა ირანელებთან ომის დროს. კარეს სიკვდილის შემდეგ, 284 წლის 17 სექტემბერს, ქ. ქალკედონში ჯარისკაცებმა დიოკლეტიანე გამოაცხადეს იმპერატორად. ის არ იყო დაჯილდოვებული განსაკუთრებული დიდი სამხედრო ნიჭით, არც დიდი განათლება ჰქონია, მაგრამ იგი მეტად ნიჭიერი ორგანიზატორ—ადმინის-

ტრატორი, პრაქტიკული ქვეყის პატრონი, მტკიცე ნებისა და რკინისებური ხასიათის ადამიანი იყო. ბუნებით დიოკლეტიანე კონსერვატორი იყო, მაგრად ებლაუქებოდა ძველ წესებს და იდეებს, ახასიათებდა ძლიერი მიდრეკილება სქემატიზმობისადმი. მის რეფორმებში იგრძნობა ძლიერი პიროვნება¹. არ წარმოადგენდა რა ორიგინალურ ადამიანს არც ქვეყითა და არც მიზანდასახულობის მხრივ—დიოკლეტიანემ, რომლის ცხოვრების უდიდესი ნაწილიც ლაშქრობებსა და მგზავრობებში დაილია, სისტემაში მოიყვანა თავისი წინამორბედი III საუკუნის იმპერატორთა დაქსაქსული ღონისძიებანი, გააფართოვა ისინი და შეავსო. იგი მიზნად არ ისახავდა შეექნა ახალი საზოგადოება. მისი ამოცანა გაცილებით უფრო სადა იყო და გამოიხატებოდა კრიზისების შენელებაში, გაბატონებული კლასის მდგომარეობის გამტკიცებაში და ამავე კლასის შიგნით მონებისა და თავისუფალ მწარმოებლებისაგან შემოსული ზედმეტი პროდუქტების უფრო თანაზომიერად განაწილებაში.

დიოკლეტიანეს პირველი რეფორმა იყო 286 წლის ფულის, ანუ მონეტის რეფორმა. დიოკლეტიანემ ხელში აიღო ძალა-უფლება იმ გამძაფრებულ სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკური კრიზისის დროს, — III საუკუნეში, როდესაც აღმოსავლეთში, — სპარსელებთან შეუპოვარი ომი წარმოებდა, გალიასა და ისპანიაში ბაგაულების აჯანყებები იყო და ეგვიპტეში-კი რევოლუციური დუღილი; ამ დროს ჩნდებოდა სხვადასხვა ადგილებში უზურპატორები და ცდილობენ ხელში ჩაიგდონ უმაღლესი ძალა-უფლება. სახელმწიფო განიცდიდა ღრმა სამეურნეო და ფინანსიურ კრიზისს—წარმოების შემცირების შედეგად, მეტადრე ტრანსპორტის განადგურებისა და ქაოტიური მდგომარეობის გამო, რაც იწვევდა პროდუქციაზე და მუშახელზე ფასების უმაგალითო ზრდას; ამასთანავე იზრდებოდა აგრეთვე სპეკულაციაც.

დიოკლეტიანეს რეფორმები, ისე როგორც მისი გამგრძელებელის—კონსტანტინესი, გამომდინარეობდა არარომელიმე განსაზღვრულ, თეორიულად მოფიქრებულ გეგმისაგან, არამედ გამოწვეული იყო აუცილებელი საარსებო მოთხოვნებით, რომელიც იყო ნაკარნახევი მოცემულ ისტორიულ მომენტით. ეს დაეტყო თვით კანონების ხასიათს, შედგენილს ნაუცბადევად, წინააღმდეგობებით სახეს, ცუდად მოფიქრებულს და ცუდადვე რედაქტირებულს.

¹ C. Costa, *L'Imperatore Dalmate (C. Valerius Diocletianus)*, Roma 1912., A. Alföldi, *Die Vorherrschaft der Pannonier im Römischen Reiche*, 1930.

დიოკლეთიანეს ფულის ამ რეფორმას, რომელმაც ძირითადად შეარყია ავრელიანეს მონეტას რეფორმა, უნდა აეწია ფულის კურსი და შეეტანა მის სისტემაში სიმტკიცე. რომის მონეტის სისტემა აგებული იყო რომის გირვანქისა და ოქროს მონეტას denarius aureus, ანუ უბრალო aureus შორის თანაფარდობაზე—40 ოქროს სრულღირებულებიანი მონეტის ერთ გირვანქაზე ანგარიშით. სამეურნეო კრიზისის პერიოდში თანაშეფარდება რეალურ (წონის) გირვანქისა¹ და ნომინალური წონის გირვანქისა შეიცვალა: ოქროს მონეტაში ოქრო შემცირდა ვერცხლისაში—ვერცხლი... რათა აღდგენილიყო თანაფარდობა ფასიანი ფულისა თავის წონასთან, სწორედ აქეთ იყო მიმართული რეფორმა დიოკლეთიანესი, რომელმაც დააწესა, რომ გირვანქა ოქროდან ჩამოსხმულიყო 60 ოქროს მონეტა. გირვანქა ვერცხლიდან 96 ვერცხლის დენარი, გირვანქა სპილენძიდან-კი—30 ცალი სპილენძის მონეტა. სხვადასხვა ღირსების მონეტების შორის წესდებოდა გარკვეული თანაფარდობა—დაახლოვებით ამ სქემის მიხედვით: გირვანქა ოქრო=60 ოქროს=1500 ვერცხლის მონეტას=24000 სპილენძისას. 1 ვერცხლის მონეტა=16 folles წვრილ ხურდა მონეტებს, ოქროს დენარი შეიცავდა დაახლოვებით 5,5 გრამ ოქროს.

დიოკლეთიანეს რეფორმამ ვერ გაამართლა მასზე დამყარებული იმედი, მიზეზი ამ მარცხისა იყო ის, რომ შეფარდება ოქროს მონეტასა და მის ხურდა ფულს შორის ხელოვნურად იყო შექმნილი, კურსი ოქროს მონეტისა მეტად მაღალი იყო. ამის გამო მაღე ოქროს მონეტები გამოვიდა ხმარებიდან, სამაგიეროდ, რიცხვი დაბალ ღირებულების მონეტებისა გადიდდა, რამაც გამოიწვია ფასების დაცემა ფულზე და ფასების მომატება პირველსაქიროების პროდუქტებზე². ამ ნიადაგზე ხალხში იქმნებოდა უკმაყოფილება და მღელვარება, რომელიც ზოგ ადგილებში გადადიოდა აშკარა ამბოხებაში, ასეთი იყო, მაგ., ეგვიპტეში—აქილეაში (Achilleus), რომელიც ძლივს-ლა იქნა ჩაქრობილი დიოკლეთიანეს მიერ.

3. დიოკლეთიანეს საზადანსაზადო პოლიტიკა

ფულის რეფორმის მარცხით დამთავრებამ გამოიწვია გაფართოვება სახელმწიფო მეურნეობის ნატურალიზაცია,

¹ რომაული გირვანქა=327 გრამს; aureus=8,18 გრამს.

² დიოკლეთიანეს საფინანსო რეფორმას დაწვრილებით გვაცნობს შრომები: O. Grabe, Die Preisrevolution im IV Jahrhundert und ihre Ursachen 1923; A. Segre, Circolazione monetaria e prezzi nel mondo antico, 1922.

რაც გამოიხატა სახელმწიფო გადასახადების მნიშვნელოვან ნაწილის შეცვლით ნატურალური გადასახადით. მაშინდელი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად აღნიშნული ზომა ერთადერთი გამოსავალი იყო.

ფულადი გადასახადის შეცვლა ნატურალური გადასახადით მზადდებოდა რომის წინამომდევნო ეკონომიკის განვითარების შედეგად, — რასაც მოჰყვა დაცემა ფულის კურსისა, შემცირება გადამხდელთა რიცხვისა და შრომის ნაყოფიერებისა. ნატურალური საგადასახადო სისტემის შემოღება, ნაცვლად ფულადი გადასახადისა, მით უფრო მისაღები და მიზანშეწონილი იყო მაშინ, III საუკ., როდესაც მთავარი საგასავლო ნაწილის ანგარიშსწორება წარმოებდა ნატურით და უმარავი სახელმწიფო გადამხდელები (კოლონები და მონები) ითვლებოდნენ მოიჯარადრეებად, რომლებიც პროდუქციით ასწორებდნენ ანგარიშს.

ამ გზას დაადგა დიოკლეთიანეც. დიოკლეთიანემდე არსებობდა გადასახადთა რამდენიმე კატეგორია. ზოგი პროვინცია იხდიდა გარკვეულ ფიქსირებულ ტრიბუტის ნორმას ფულადად, სხვები კი მოსავლის მეათედს, მეშვიდედს, თუ მეხუთედს და ასე შემდეგ. ეს ნატურალური შემოსავალი შემდეგ უნდა ყოფილიყო შეფასებული და გადაყვანილი ფულზე (*in quibusdam [provinciis] fructus partem praestant certam, alii quintas, alii septimas, alii pecuniam et hoc per soli aestimationem*)¹.

მსგავსი გადასახადის გაწერის უხერხულობა გამოჩეკავენდა ჯერ კიდევ ფინანსიურ კატასტროფამდე, III საუკუნეში. ფულის ღირებულებისა და ასაღები მოსავლის რაოდენობის შემცირების შედეგად მთელი გადასახადის ფაქტიური ჯამი მეტად უმნიშვნელო აღმოჩნდა და სახელმწიფო განიცდიდა ზარალს.

წინანდელი დინასტიების დროს დადგენილი იყო, როგორც საბოლოო ზომა დაბალხარისხოვანი მონეტის წინააღმდეგ, სახელმწიფოებრივი გადასახადის აკრეფა წარმოებულყო არა ხმარებაში-მყოფი დაბალი მონეტით, რომელიც მდარეხარისხიანი იყო, არამედ სპეციალურად ამ მიზნისათვის გამოშვებული სახელმწიფო მონეტით, — მაგარი კლრსით (*pecunia signata forma publica populi Romani*). მაგრამ სინამდვილეში ეს ზომაც აღმოჩნდა პალიატიური, ფულის კურსის დაცემა კვლავ გრძელდებოდა, რის გამოც საერთო ღირებულება შემოსავლისა სულ მცირდებოდა. საგადასახადო თანხების სწორად განაწილების მიზნით სახელმწიფო მიმართავს

¹ Corp. agrim. Rom., 205.

ექსტრაორდინალურ ზომებს და ბევრავს პროვინციელებს ნატურით, რომლის გადახდენება წარმოებს იმპერატორის მიერ სპეციალურად გამოშვებულ დეკრეტების ანუ დადგენილებების—ინდიქციების (indictiones) საფუძველზე. პირველ ხანებში ასეთი ექსტრაორდინალური შემოსავალი იხარჯებოდა განსაკუთრებით ქ. რომის მოსახლეობის შენახვაზე—*curae annonae*. უფრო ფართო მნიშვნელობით, ანონის (*annona*) სახელწოდებით გულისხმობდნენ წლიურ გადასახადს (*annus*—წელი), რომელსაც ჰკრეფდნენ სოფლად ნატურით—პურით, ღვინოთი, ერბოთი, ნივრით, ხახვით, ლობიოთი და სხვ. დიოკლეტიანემ მის მიერ ახალშემონაღები საგადასახადო ექსტრაორდინალური გადასახადები (indictiones) გამოაცხადა საერთო წესად, გაავრცელა მთელ იმპერიაში, მათ შორის იტალიაშიც, რითაც მან იგი (იტალია) დაიყვანა ორდინალურ პროვინციის ხარისხამდე, გარდა იტალიის სამხრეთ ნაწილისა (*regio suburbana, diocesis urbis Romanae*), რომელიც იყო მიწერილი ქ. რომზე.

289/90 წელს მოხდა გენერალური აღწერა, რომლის მიხედვით გაწერილ იქნა გადასახადი (*census*)¹.

ამ აღწერის შემდეგ ყოველ ხუთწლის განმავლობაში ცენზი მეორდებოდა. სამი ასეთი ცენზიანი (ინდიქტიური) წელი შეადგენდა ინდიქტიური ციკლის—15 წელს. ამ ანგარიშით ხდებოდა გენერალური აღწერა, წლების აღრიცხვა².—ბეგრისა და გადასახადის განაწილება წარმოებდა, როგორც წინათ, წინასწარ შედგენილ საცენზო სიების მიხედვით (*libri censuales*), რომლებშიაც აღრიცხული იყო გადამხდელის ყოველგვარი უძრავ-მძრავი ქონება: მოხუნული მიწა, ვენახი, მინდორი, საძოვარი ადგილები, მონები, ჯოგი და მუშა-ხელი. ამ სიაში უნდა აღნიშნულიყო ცვლილებები, რომლებიც მას (გადამხდელს) მოუხდებოდა ამ ორ ცენზს შორის³.

პროვინციის მოადგილეებს (*praesides provinciae*) ევალებოდათ „სამართლიანად, რიგისა, წლოვანებისა და ღირსების მიხედვით გაენაწილებინათ ვალდებულებანი და საპატიო ადგილები, როგორც ამას მოითხოვდა სახელმწიფოს ინტერესები. რადგან, როგორც ცნობილია, ამ წესის არასწორად გატარება იწვევს მოსახლეობის ერთი ნაწილის დაზარალებას, რის გამოც სახელმწიფოს ძალებიც სუსტდება“ (*ne sine discrimine et frequenter isdem oppressis simul viris et viribus res publicae destituantur*)⁴.

¹ Cod. Theod., XI, 1, 3; 16, 17.

² Cod. Lust., VIII, 53, 7: XI, 55, 1.

³ Dig. L, 15, 4.

⁴ Ibid., L, 4, 3.

საცენზო სიებში შეტანილი დასაბეგრი ობიექტები—ხალხი, მიწა და ქონება—იბეგრებოდა არა მოსავლის მიხედვით, როგორც ეს იყო წინათ, არამედ მტკიცე საგადასახადო ერთეულებით, ე. წ. „თავებით“ (caput). აქედან თითონ შეფასებისა და განაწილების ოპერაციასაც ეწოდებოდა სულადობრივი (capitatio). ტერმინი „თავი“ გულისხმობდა მოზრდილ მიწათმოქმედ-მამაკაცს, განურჩევლად მისი სოციალურ-უფლებრივი მდგომარეობისა—იყო ის თავისუფალი, კერძო მესაკუთრე, ინკვილინი, კოლონი, აზატი თუ მონა. ერთი მამაკაცის თავს, დაბეგვის ერთეულს, უფარდებდნენ ორ დედაკაცს, განსაზღვრულ დამუშავებულ მიწის რაოდენობას (iuga), საქონელს, მინდორსა და ტყეს (cum antea per singulos viros, per binas vero mulieres capitatis norma sit censa)¹.

მიწა თვისებისა და ნაყოფიერების ხარისხის მიხედვით იყოფოდა რამდენიმე თანრიგად. ჩვეულებრივად კადასტრის „თავი“ უდრიდა პირველი ხარისხის მიწის 20 იუგერს, მეორე ხარისხის—40 იუგერს და მესამე ხარისხის, ე. ი. ძლიერ მცირე შემოსავლიანი თანრიგის, 60 იუგერს. ამავე შემოსავლის პრინციპზე იყო აგებული დაბეგვრა ვენახებისა, ზეთისხილის ნარგავებისა და სხვ. ერთი კადასტრული ერთეული შეადგენდა 225 ძირს ძველ ვაზს და 450 ახალს².

ანონა იყო მხოლოდ მიწის გადასახადი, და ამიტომ ამით იბეგრებოდნენ სოფლის მცხოვრებნი, რომელთაც გააჩნდათ საკარმიდამო ნაკვეთი და მამული. ქალაქის მცხოვრებნი კი, რომელთაც არაერთი დამოკიდებულება არ ჰქონდათ მიწასთან, სრულიად თავისუფლდებოდნენ ანონას გადასახადისაგან. „სოფლის პლებსი (rusticana plebs) იხდის მასზე დაკისრებულ ანონას“—ნათქვამია იუსტინიანეს კოდექსის ერთ-ერთ მუხლში³.

ანონა ვერ ფარავდა რომის სახელმწიფოს ყველა ხარჯს. ეს იყო მხოლოდ ერთი, თუმცაღა ყველაზე დიდი ნაწილი ბიუჯეტისა. ანონას გვერდით არსებობდა მთელი რიგი სხვადასხვა სახის გადასახადები, რომლებიც ეხებოდა ვაქრობას (negotiatorum collatio), ხელოსნობას (chrysargyrum) და რომის სახალხო მეურნეობის სხვა ობიექტს (varia tributa rei familiaris), სოფლის მოსახლეობა ყველა ამგვარ გადასახადებისაგან, ანონას გარდა, თავისუფალი იყო.

საგადასახადო თანხები—განკუთვნილი პროვინციებისა და ქალაქებისათვის, ხშირად ნაწილდებოდა შეძლებული კურიალების მიერ

¹ Cod. Theod., XIII, 11, 2.

² Bruns und Sachau, Syrisch—römisches Rechtsbuch aus V Jahrhundert, 1880.

³ Cod. Just., XI, 48, 7; 55, 1.

მეტად უსამართლოდ. კურიალებს და მათთან ერთად ამ საქმეში ჩაბმულ იმპერატორის პროკურატორებს გადასახადების მთელი სიმძიმე გადაჰქონდათ მოსახლეობის ღარიბ ნაწილზე-კოლონებზე, ადგილობრივ ხელოსნებზე და მონებზე (*rusticos censitosque servos*). ამით აიხსნება ხშირი გაიგივება ანონასი და პლებების გადასახადისა (*capitatio plebeia*)¹ იმპერატორთა კონსტიტუციებში.

თუ რა ბოროტებას ჩადიდნენ მოხელენი გადასახადების გაწერისა და შეკრების დროს, ამის შესახებ მკერმეტყველურად მოგვითხრობს ლიტერატურული ძეგლები და იმპერატორთა ედიქტები, რომლებიც სავსეა მუქართა და წყრომით აღმინისტრაციის იმ პერსონალის მიმართ, რომელიც შეძლებულ კურიალებს ხელს აფარებს.

„თუკი ვიკარი, ან რექტორი პროვინციისა, —ნათქვამია იმპერატორების ერთ დადგენილებაში,—ინებებს დაარწმუნოს თავისი თავი იმაში, რომ საქირთა გადასახადი ვინმეს შეუმცირდეს, როგორც ეს მოხდა სხვების მიმართ, მაშინ ის ამ თანხას ანაზღაურებს თავის საკუთარ სახსრებიდანო“ (*Nam si qui vicarius aut rector provinciae aliquid iam cuiquam crediderit remittendum quod aliis remisit, de propriis dare facultatibus compelletur*)².

მდგომარეობას ართულებდა ის გარემოება, რომ გადასახადების არათანაბრად განაწილებასთან ერთად არსებობდა მოქალაქეთა მრავალი კატეგორია, რომელნიც თავისუფლდებოდა გადასახადისა და ბევარისაგან. ამათ უნდა მიეკუთვნოს მოხელეები, პოსესორები, ვერერანები, მცირეწლოვანები (*adulescentes*), სუსტები და ავადმყოფები (*imbecilli et debiles*) და ღიდი ნაწილი ქალაქის მოსახლეობისა—ქალაქის პროლეტარიატისა, აზატებისა და მონების ჩათვლით. „ქალაქის პლებსი ძალიან ნაკლებად უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში საცენზო სიების შედგენის დროს (*in censibus pro capitacione*), მაგრამ იგი უნდა ითვლებოდეს თავისუფლად, თანახმად ჩვენი და აგრეთვე ნეტარხსენებული ჩვენი მშობლის დიოკლეთიანეს დადგენილებებისა (*plebs urbana immunis*)—ამბობს კონსტანტინეს ერთი კონსტიტუცია³.

გადასახადით დაბეგვრის ნორმა, თუ მხედველობაში მივიღებთ გადამზდელის მეურნეობის სისუსტეს, მეტად ღიდი იყო, ხოლო გადასახადების აკრეფის მეთოდები—მეტად მკაცრი.

¹ Cod. Theod., XI, 23, 2; XII, 1, 36.

² Ibid., XI, 1, 1.

³ Ibid., XIII, 10, 2.

რავინდ უარყოფითი და ცალმხრივიც არ უნდა იყოს შეფასება დიოკლეთიანეს პოლიტიკისა ჩვენი მთავარი საისტორიო წყაროების მიერ როგორც არის ქრისტიანი მწერალი ლაქტანციუსი და ანტიოქიის სოფისტი—მკერმეტყველი ლიბანიოსი—ერთი რამ მაინც ცხადია: დასახელებული წყაროები ძირითადად იძლევიან სწორ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ შეხედნენ გადამხდელები დიოკლეთიანეს საგადასახადო რეფორმას.

აღნიშნული მწერლები იძლევიან ამკრეფლების ბოროტმოქმედებათა შემადრწუნებელ სურათს, რაც თან სდევდა გადასახადის აკრეფას (*perceptores, persaequatores, inspectores*); ამკრეფლებს თან ახლდა სამხედრო რაზმები. „არც ასაკი, არც ავადმყოფობა, — წერს ლაქტანციუსი, — არ ითვლებოდა საპატიო მიზეზად. ავადმყოფნი და დავრდომილნი მოჰყავდათ საკაცეებით, თვითნებურად აწესებდნენ წლოვანებას, ბავშვებს უმატებდნენ წლებს, მოხუცებს-კი აკლებდნენ. ყველაფერი აღივსებოდა ცრემლებითა და გოდებით. ისმოდა ცემისაგან რკინის ქლარუნი“¹.

„არც კალო და არც სარდაფი არ იყო დაზღვეული ყაჩაღთა ძალადობისაგან (გადასახადის ამკრეფებისაგან). მათ მიჰქონდათ ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო ადამიანის სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ...საქონლის ყოველ სახეს იწერდნენ, ადამიანთა „თაგებს“ აღრიცხავდნენ (*animalia omnis generis scribebantur, hominum capita notabantur*). მაგრამ როგორ შესრულდეს ყველა ეს, უჭკუო ტირანო, როდესაც შენ ართმევ მათ ყოველივე ნაყოფს, რაც გამოსულა ადამიანის ხელიდან“ (*unde igitur haec, o dementissime tyranne, praestare, cum omnes fructus auferas*)².

გადასახადის აკრეფის დროს მიმართავდნენ მათრახს, ჯოხს და ფართოდ იყო აგრეთვე გამოყენებული გადასახლება და კონფისკაცია.

ძალდატანებისა; და უბედურების ასეთ ანალოგიურ სურათს, რომელშიაც აყენებდნენ გადამხდელებს ხელისუფალნი, ჩვენ ვხედავთ IV საუკუნის მწერლის ვიქტილ სოფისტ ლიბანიოსის ნაწარმოებში. ლიბანიოსი იყო ქ. ანტიოქიიდან.

„ჩვენს დროში, — გულისწყრომით ამბობს ლიბანიოსი, — ყველგან ვხვდებით დაუნუშავებელ ემინდვრებს, რომლებიც გაპარტახდა გადასახადთა აკრეფის დროს, უკუღმართობის შედეგად... სოფლად ვინც დარჩა მაშინ (მოსახლეობის დიდი ნაწილი გაიფანტა), მათ არ ესაქიროებათ საცხოვრებელი სახლების კარების გამოკეტვა, ვი-

¹ Lact., De mort. persecut., XXIII.

² Ibid., XXXI, XXIII; Cod. Theod., VII, 6, 2.

წაიდან მათ სახლებში არაფერი მოიპოვება დასაკარგი და არც შიში აქვთ მძარცველებისა¹.

გადასახადები იკრიბებოდა პურის, ღვინის, ძმრის, ტყვიის, ხახვისა და სხვ. პროდუქტთა სახით, რომლებიც განკუთვნილი იყო ჯარისკაცებისათვის, სასახლისათვის, მოხელეთათვის, ქალაქის მოსახლეობისათვის და სხვ.² გადამხდელები არამცთუ იხდიდნენ გადასახადს, არამედ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პროდუქცია მიჰქონდათ თავისი ხელით დანიშნულ ადგილებზე და ხშირად დიდ მანძილზე, — როგორც იყო, მაგალითად: ნავთსადგურები, სამხედრო ბანაკები, სახელმწიფო ბელღები, საწყობები, ქალაქები და სხვ.

ნატურალურ ვალდებულებიდან ყველაზე მძიმე შესასრულებელი იყო სატრანსპორტო ვალდებულება — მოზიდვა სააღმშენებლო მასალებისა, პროდუქტებით მომარაგება სახელმწიფო ბელღებისა, საწყობებისა და მომარაგება მუშა-ხელით (*exhibendis operariis et artificibus et plaustris omnibusque, quaecunque sint fabricandis operibus necessaria*)³.

პასუხისმგებლობა გადასახადების აკრეფისათვის და მისი გადართობა საიმპერატორო ფისკისათვის ევალებოდა ადგილობრივ საბჭოს წევრებს — კურიალებს, რომლებიც ხშირად (არა ნაკლებ უშუალო გადამხდელებისა) ვარდებოდნენ სატანჯველ მდგომარეობაში... სასოწარკვეთილი და გაბოროტებული გადამხდელები ხშირად გადასახადის ამკრეფლებს უწევდნენ შეიარაღებულ წინააღმდეგობას, ჯანყდებოდნენ, ერეკებოდნენ თავიანთ რევიზორებითურთ, ანდა თავად სტოვებდნენ საცხოვრებელ ადგილებს და გარბოდნენ საითაც მოხვდებოდათ.

დამახასიათებელია, მაგალითად, ქვემოთყვანილი მოთხრობა ერთი ქვრივი ქალისა, რომელიც განიცდიდა ღვეწას ეგვიპტის მოადგილისაგან.

„მას შემდეგ, რაც ჩემი ქმარი გაროზგეს გადასახადის — 300 სოლიდის — შეუტანლობისათვის და ჩასვეს საპყრობილეში, ხოლო ჩემი სამი საყვარელი შვილი გამიყიდეს, მე გამოვიქეცი და მას შემდეგ უგზო-უკვლოდ, ადგილიდან — ადგილზე დავგხეტები, ამჟამად უღაბნოში დავწანწალებ, ხშირად მიქერენ და მამათრახებენ, სამი დღე უღაბნოში ვარ და არაფერი მიჭამია“⁴.

¹ Liban., Orat., 11, 32.

² Cod. Theod., VII, 4, 6.

³ Lact., De mort. persecut., VII.

⁴ Historia monachorum, 16, 5.

გადასახადი იყო იმდენად დიდი, რომ მიწათმოქმედნი იძულებული იყვნენ მიეტოვებინათ სახლ-კარი და სხვაგან ეძებათ თავშესაფარი, მათი სახნავ-სათესი მიწები კი ტყეებად იქცეოდა (*ut enormitate indictionum consumptis viribus colonorum in silvam*), ყველგან სუფევდა შიში და ძრწოლა... თითოეული მხარე და ქალაქი თითქმის ყოველ წლობით გმინავდა თავისი მმართველების უღლის ქვეშ. დაძრწოდნენ ფულის ამკრეფნი და ეუფლებოდნენ უპატრონოდ დარჩენილ მამულებს... ყველგან გაისმოდა საუბარი მხოლოდ გადასახადებისა და იმის შესახებ, თუ რა მეთოდებით წარმოებდა ფულის აკრეფა "... ყოველგვარი სახის გადასახადი ხდებოდა გადამხდელებს უდიდესი სიმკაცრით" ¹.

იბეგრებოდა არა მარტო მიწა, არამედ ყველა სახის ქონება და შრომა.

ბატონყმური ურთიერთობის შექმნისა და მონათმფლობელურ წყობის რღვევის ისტორიაში დიოკლეტიანეს საგადასახადო პოლიტიკას უდაოდ მეტად არსებითი ადგილი უკავია.

ათანაბრებდა რა ყოველ მოქალაქეს სახელმწიფოს წინაშე, რათა მას შეესრულებინა თავისი ვალდებულება, იქნებოდა ის წოდებით თავისუფალი, თუ არა, კოლონი თუ მონა, და აკისრებდა რა პასუხისმგებლობას გადასახადების წესიერად შეტანისათვის მემამულეებს (*possessor*) და ქალაქის კურიებს—დიოკლეტიანე მოსახლეობაში ამზადებდა ნიადაგს ბატონყმური ურთიერთობისათვის, სახელმწიფო ფუნქციების კერძო პირთა და დაწესებულებებზე გადაცემისათვის; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ადგა რომის იმპერიის ფეოდალიზაციის გზას.

დიოკლეტიანეს საგადასახადო რეფორმების მნიშვნელობაზე რომის საზოგადოების ყმად გადაქცევის ისტორიაში პირველად მიუთითა განთქმულმა გერმანელმა იურისტმა სავინიმ ² და გერმანელმა ეკონომისტმა კ. როდბერტუსმა ³.

სხვადასხვა შეხედულებებს დიოკლეტიანეს საგადასახადო რეფორმის შესახებ გვაძლევს ბოტი თავის მონოგრაფიაში „დიოკლეტიანეს საგადასახადო რეფორმის საფუძვლები“ ⁴.

¹ Lact., De mort. persecut., VII.

² F. K. Savigny, Vermischte Schriften, 11.

³ K. Rodbertus, Zur Geschichte der römischen Tributsteuern seit Augustus; „Hildebrands Jahrbücher für Nationalökonomie und Statistik“, IV—VIII.

⁴ H. Bott, Die Grundzüge der diocletianischen Steuerverfassung, 1928.

4. საძონოს ფასებისა და ხელფასის ნორმირება

სახელმწიფოს მეურნეობის რეგულირებისა, სიძვირისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი ნაბიჯი იყო საბაზრო ურთიერთობათა რეფორმა. 301 წელს გამოიცა ედიქტი მტკიცე საბაზრო ფასებისა და ხელფასის შესახებ (*Edictum de pretiis rerum venalium*), რომელსაც მიზნად ჰქონდა აღედგინა კრიზისით დარღვეული წონასწორობა ფულის ნომინალურ ფასსა და მის რეალურ ღირებულებას შორის, პროდუქტების ფასსა და შრომის ხელფასს შორის. აღნიშნული ედიქტი გასასყიდ საქონლის ფასების მაქსიმუმზე და ხელფასის შესახებ¹ იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას, როგორც გვიანდელი იმპერიის შემოქმედებითი საკანონმდებლო ძეგლი, რომელიც შეიცავს უმდიდრეს მასალას რომის ეკონომიური ისტორიისათვის. ედიქტი იწყება ვრცელი მალაღფარდოვანი, ნახევრად პოეტური ენით, სადაც საზეიმო გამოთქმებში ილუსტრირებულია რომის მიღწევები, მოთხრობილია ბედნიერებაზე და მშვიდობაზე, რომელიც დამყარდა რომში ომებისა და პოლიტიკური ანარქიის დამთავრების შემდეგ და დიოკლეტიანეს მიერ ძალაუფლების ხელში აღებისთანავე.

„ჩვენს ბედნიერ სახელმწიფოს, რომელსაც, უკვდავ ღმერთებთან ერთად უნდა მიუძღვნათ მადლობა, მოვიგონებთ რა ჩვენს მიერ კეთილად წარმოებულ ომებს და გამარჯვებებს, რის შედეგადაც ჩვენი სამეფო უშფოთველად მიეცა უღრმეს მყუდროებას, — ვალდებული ვართ მხარი დაეუჭიროთ და ღირსეულად შევამკოთ იგი მშვიდობიანობის კეთილდღეობით, რომლისთვისაც ჩვენ ბევრი გვიწროვია და უხვად ოფლი დაგვიღვრია“.

„სახელმწიფოს სახელი, რომის ღირსება და დიდება მოითხოვს, რათა ჩვენ, — ჩავაქრეთ რა კეთილი ღმერთების შემწეობით წინადროინდელი აბოზოქრებულ ბარბაროსთა ტომების თავდასხმები და დავიმორჩილეთ-რა თვით ხალხები, ვიცავდეთ სამართლიანობის სათანადო ღონისძიებებით იმ მშვიდობიანობას, რომელსაც სამუდამოდ ჩაეყარა საფუძველი!“

ამ საზეიმო შესავალს თან მოსდევს აღწერა სავალალო რეალური სინამდვილისა, ღრმა ეკონომიური კრიზისისა, რომელიც სახელმ-

¹ H. Blümner, *Der Maximaltarif des Diocletians*, 1893. Th. Mommsen, *Über des Edict Diocletians*, «*De pretiis rerum venalium*». — (Gesammelte Schriften., 11, Berlin, 1905); K. Bücher, *Die Diocletianische Taxordnung*.

წიფოს ღრღნიდა და უხსნიდა ფართო სამოქმედო ასპარეზს ყოველგვარ ძალმომრეობასა და სპეკულაციას.

„ექვევარეშეა, რომ ამ ჯურის ადამიანები (სპეკულანტები), ასეთ გარიგებებში დახელოვნებულნი მუდამ იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ გამოსტაცონ თვით მოძრავ მნათობებს ძალა-უფლება ჰაერზე და ამინდზე. თავიანთი ბოროტებით არ შეუძლიანთ მათ აიტანონ ის, რომ ბედნიერი ველები ირწყვება ზეციდან მიღებული წვიმებით, რაც მოსავლის იმედს მომცემია. მათ თავიანთ დანაკარგად მიაჩნიათ, რომ კეთილშეზავებული ჰაერი დოვლათიან მოსავალს იძლევა. ისინი ყოველთვის—ცდილობენ მიიღონ სარგებლობა თვით ღვთის კეთილისმყოფისაგან და მოუსავლიან წლებში თესლეულსა და საიჯარო ვალდებულებებზე ვაქრობას ეწვეიან. თავად ჩაფლულნი უდიდეს სიმდიდრეში, რომლითაც შეიძლებოდა გამოკვებულიყო უამრავი ხალხი, მისდევენ პირად გამოსარჩენებს, ეტანებიან მძარცველ პროცენტებს. დე, ბოლო მოელოს მათ გაუმაძღრობას და ჩვენი პროვინციების მძარცველობას,—ამას მტკიცედ მოითხოვს ზოგადადამიანური მოსაზრებანი“.

ედიქტის შემდგენელს აშინებს ის ფაქტი, რომ კრიზისი მოედო აგრეთვე ჯარს, რომელიც შეწუხებული იყო საქონლის მაღალი ფასებით და ფულის ნაკლებობით,—ფულის, რომელიც თავის მხრივ თანდათან ჰკარგავდა ღირებულებას.

„მართლაც, ვის შეუძლია არ იცოდეს, რომ სახელმწიფო სარგებლიანობის ძირის გამომთხრელი ბოროტება—ყველგან—ჩვენი კეთილდღეობის საპიროების მიხედვით, საითკენაც კი წავიდნენ ჩვენი ჯარის ნაწილები, სოფელია ეს თუ ქალაქი,—მთელ ამ მანძილზე ზვდება მათ, როგორც სასურველ მსხვერპლს, რომლიდანაც შეიძლება აღებულ იქნეს გასასყიდ საქონელზე 4-ჯერ და 8-ჯერ მეტი საფასური,—რომლისთვისაც ადამიანის ენას არძალუძს გამონახოს სახელწოდებაც კი.

„დასასრულ, ხანდახან რაიმე ნივთის შეძენა ჯარისკაცს ართმევს მთელ მის ჯილდოსა და სარგოს, და მთელი სახელმწიფოს შემოსავალი, განკუთვნილი ჯარების შესანახად, ზრდის მხოლოდ მძარცველთა აღმამფოთებელ მოგებას. გამოდის, რომ ჩვენი ჯარისკაცები აძლევენ თავის სამსახურის მონაგებსა და თავის ზედმეტ შრომას ყოველგვარ ნივთების გადამყიდველებს, რათა მძარცველებს შეეძლოთ ყოველდღიურად სახელმწიფოს მოსტაცონ იმდენი, რამდენის შეძენასაც ისინი მოისურვებენ“¹.

¹ Edictum de pretiis rerum venalium, Praef. I, II.

ედიქტის მიზანია ბრძოლა სპეკულაციასთან, რაც გამოიხატებოდა საკვებ პროდუქტებზე, ხელობაზე და შრომის ხელფასზე მტკიცე ფასების დადგენაში.

„ამნაირად, ჩვენ მივმართავთ იმ ღონისძიებების გატარებას, რომელიც დიდი ხანია აუცილებელი გახდა, და ვართ გულგრილნი საჩივრებისა და საშიშროების მიმართ, რომ ჩვენი განმკურნებელი ხელის ჩარევა არ აღმოჩნდეს დაგვიანებული ან უშედეგო და არ შეფასდეს როგორც უმნიშვნელო რამ უსინდისო ადამიანების მიერ, რომელთაც კარგად იციან ჩვენი განუსაზღვრელი და მრავალწლიანი მოთმინება და რომელთაც არ მოისურვებს ამის საკეთილდღეოდ გამოყენება,—ჩვენ ვადგენთ, რომ საქონელზე აღნიშნული ფასები, როგორც ეს ნაჩვენებია თანდართულ სიაში,—მთელ სახელმწიფოში ისე შესრულდეს, რათა თითოეულმა კარგად იცოდეს, რომ ფასების აწევის შესაძლებლობა მისთვის აღკვეთილია“¹.

ფასების გადამეტებისათვის, რაც ნაჩვენებია იყო ბრძანებულებაში, დაწესებული იყო სასტიკი სასჯელი—სიკვდილით დასჯა.

„ვინც ურჩობას გამოიჩენს ამ დადგენილების წინააღმდეგ, ის დაპკარგავს საკუთარ თავს“ (*ut si quis contra formam statui huius conexus fuerit audentia, capitali periculo subiugetur*).

„დეე, ნურავინ ჩათვლის ამ დადგენილებას მკაცრ დადგენილებად, ვინაიდან ყველას ეძლევა საშუალება ზომიერების დაცვის ნიდაგზე აიცილოს თავიდან ეს სასჯელი. ამ სასჯელს დაექვემდებარება ის პირიც, რომელიც გამორჩენის მიზნით შეუთანხმდება დადგენილების რომელიმე დამრღვევს. ამ სასჯელს არ აცდება ის პირიც, ვისაც მოეპოვება საგნები, აუცილებლად გამოსაყენებელი საკვებად და სხვა საჭიროებისათვის და მოისურვებს მის გადამალვას—ამ განკარგულების გამოცხადების შემდეგ, ვინაიდან სასჯელი იმისა, ვინც იწვევს სახელმწიფოში გაკვირვებას, უნდა იყოს უფრო მძიმე, ვიდრე იმისა, ვინც არღვევს დადგენილებას“².

„ამნაირად, ჩვენ მოვუწოდებთ ყველას თავგანწირულ მორჩილებასაკენ! დეე, რაც დადგენილია მთელი ხალხის საკეთილდღეოდ შესრულებულ იქნეს ყველას მიერ მოკრძალებით, უყრყმანოდ, სათანადო პატივისცემით, და ეს ასე უნდა მოხდეს, განსაკუთრებით იმ მოსაზრების გამო, რომ აღნიშნული დადგენილების სარგებლიანობა ეხება არა რომელიმე თემს, ხალხს ან პროვინციას, არამედ მთელ

¹ Edictum de pretiis rerum venalium, Praef., 11.

² Ibid, 11.

სახელმწიფოს მთლიანად, რომლის საზიანოდ მძვინვარებენ, როგორც ჩვენ ეს ვიცი, არც თუ მცირერიცხოვანი ადამიანები, რომელთა გაუმძღვრობის შენელება და დაკმაყოფილება ვერ შესძლო ვერც დროის ხანგრძლივობამ და ვერც სიმდიდრემ, რომელიც მათ დააგროვეს ჩვენს თვალწინ“ (Cohortamur ergo omnium devotionem ut res constituta ex commodo publico benignis obsequis et debita religione custodiatur, maxime cum eius modi statuto non civitatibus singulis ac populis atque provinciis, sed universo orbi provisum esse videatur)¹. ედიქტის ამ შესავალს თან მოსდევს ნორმების ანუ ტარიფების გასასყიდი საქონლის ფასები და შრომის ანაზღაურების ხელფასთა სია (pretia statuta)-ტარიფი დამუშავებულია მეტად დაწვრილებით.

ჩვენი მიზნისათვის, თვალსაჩინო რომ იყოს III საუკუნის რომის კრიზისის პერიოდის და ეკონომიკის განვითარების ხასიათი,—საკმაო მოვიყვანოთ დიოკლეტიანეს ედიქტის თუნდაც ერთი პარაგრაფი, რომელშიც მოცემულია ფასები სელზე და ტილოს ნაწარმზე. პარაგრაფი სელზე, ქსოვილებზე და ტილოზე სხვა პარაგრაფებზე უფრო მარჯვედაა დამუშავებული, რაც ადასტურებს სხვადასხვა სახის საქსოვ და სართავ ნაწარმთა დიდი რაოდენობით არსებობას. ყველა ეს მზადდებოდა რომის იმპერიაში და ამარაგებდა, როგორც მდიდარ დამკვეთელთა ვიწრო წრეს, აგრეთვე მომხმარებელთა ფართო წრეს.

5. სელზე

1. სელი, ე. წოდებული ქულა, პირველი ხარისხისა, გირვანქა	25 ²
2. „ მეორე ხარისხისა, გირვანქა	20
3. „ მესამე ხარისხისა, გირვანქა	16

რომელი ხარისხისა და რა ღირებულების სელი გაყიდვის დროს არ უნდა აღემატებოდეს დაწესებულ ფასებს³:

4. პირველი ხარისხისა, გირვანქა	1.200
5. მეორე ხარისხისა, „	960
6. მესამე ხარისხისა, „	840

შემდეგ, რომელიც ზემოაღნიშნულ მესამე ხარისხისაზე მდარეა:

7. პირველი ხარისხისა, გირვანქა	72 ²
8. მეორე ხარისხისა, „	600
9. მესამე ხარისხისა, „	450 ²

¹ Edictum de pretiis rerum venalium, Praet, II.

² ფასი დინარებში.

³ ტექსტი დაზიანებულია.

სელის უფრო უხეში ნართი, მდაბიო ხალხისა და მსახურთა
ტანსაცმელისათვის:

10. პირველი ხარისხისა, გირვანჯა	250
11. მეორე ხარისხისა, "	125
12. მესამე ხარისხისა, "	72(75)

„უსახო“ ტილო

13. პირველი ხარისხისა: სკვითოპოლისურის . . . 1 ნაჭერი—	7.000
14. " " ტარსოსულის 1 ნაჭერი—	6.000
15. " " ბიბლოსურის 1 " "	5.000
16. " " ლაოდიკურის 1 " "	4.500
17. " " ტარსოს—ალექსანდრიულის 1 " "	4.000
18. მეორე ხარისხისა:—სკვითოპოლისურის . . . 1 .	5.000
19. " " ტარსოსულის 1 " "	5.000
20. " " ბიბლოსურის 1 " "	4.000
21. " " ლაოდიკურის 1 " "	3.500
22. " " ტარსოს—ალექსანდრიულის 1 " "	3.000
23. მესამე ხარისხისა: —სკვითოპოლისურის . . 1 " "	5.000
24. " " ტარსოსულის 1 " "	3.500
25. " " ბიბლოსურის 1 " "	3.000
26. " " ლაოდიკურის 1 " "	2.500
27. " " ტარსოს—ალექსანდრიულის 1 " "	2.000

ტილო მხედართათვის

28. პირველი ხარისხისა, 1 ნაჭერი	1.500
29. მეორე ხარისხისა, 1 "	1.250
30. მესამე ხარისხისა, 1 "	1.000

სელის ტილო—უხეში ნართისა, მდაბიო ან მსახური
ქალების მოსახმარი

31. პირველი ხარისხის 1 ნაჭერი	— ¹
32. მეორე ხარისხის 1 ნაჭერი	—
33. მესამე ხარისხის 1 ნაჭერი	500

უსახო ტილო ქალების დაღმაცოფრისათვის

34. პირველი ხარისხის, სკვითოპოლისურის 1 ნაჭ.	11.000
35. " " ტარსოსულის 1 ნაჭ.	10.000
36. " " ბიბლოსურის 1 ნაჭ.	9.000
37. " " ლაოდიკურის 1 ნაჭ.	8.000
38. " " ტარსოს—ალექსანდრიულის 1 ნაჭ.	7.000

¹ წარწერაში ფასის რაოდენობა არ არის შენახული.

ტილო მამაკაცების პერანგებისა და დალმაციურებისათვის

39.	პირველი ხარისხის სკვითოპოლისურის 1 ნაჭ.	10.000
40.	" " ტარსოსულის 1 ნაჭ.	9.000
41.	" " ბიბლოსურის 1 ნაჭ.	8.000
42.	" " ლაოდიკურის 1 ნაჭ.	7.500
43.	" " ტარსო—ალექსანდრიულის	6.500

ტილო ქალების დალმაციურებისათვის

44.	მეორე ხარისხის სკვითოპოლისურის 1 ნაჭ.	9.000
45.	" " ტარსოსულის 1 ნაჭ.	8.000
46.	" " ბიბლოსურის 1 ნაჭ.	7.000
47.	" " ლაოდიკურის	6.000
48.	" " ტარსო—ალექსანდრიულის 1 ნაჭ.	2.000

ტილო მამაკაცების დალმაციურისათვის, ან პერანგებისათვის

49.	მეორე ხარისხის: სკვითოპოლისურის 1 ნაჭ.	7.500
50.	" " ტარსოსულის 1 ნაჭ.	6.500
51.	" " ბიბლოსურის 1 ნაჭ.	6.000
52.	" " ლაოდიკურის 1 ნაჭ.	5.000
53.	" " ტარსო—ალექსანდრიულის	4.500

ტილო ქალების დალმაციურისათვის

54.	მესამე ხარისხის: სკვითოპოლისურის 1 ნაჭ.	7.000
55.	" " ტარსოსულის 1 ნაჭ.	6.000
56.	" " ბიბლოსურის 1 ნაჭ.	5.000
57.	" " ლაოდიკურის 1 ნაჭ.	4.000
58.	" " ტარსო—ალექსანდრიულის 1 ნაჭ.	3.000

ტილო მამაკაცების დალმაციურისათვის და პერანგებისათვის

59.	მესამე ხარისხის: სკვითოპოლისურის 1 ნაჭ.	6.000
60.	" " ტარსოსულის 1 ნაჭ.	5.000
61.	" " ბიბლოსურის 1 ნაჭ.	4.000
62.	" " ლაოდიკურის 1 ნაჭ.	3.000
63.	" " ტარსო—ალექსანდრიულის	2.000

უსახო ქსოვილებზე

ზემოაღნიშნულ მესამე ხარისხზე მდარე ტილოს ფასი, შემუშავებული წარმოებათა უმეტესობის მიერ, რომლის აღმატება არავის შეუძლიან:

ტილო ქალების დალმაციურისათვის

66. პირველი ხარისხის 1 ნაჭერი	2.500
67. მეორე ხარისხის 1 ნაჭ.	2.250
68. მესამე ხარისხის 1 ნაჭ.	1.750

უფრო უხეში ტილო, მდაბიო ხალხისა და მსახურთათვის

69. პირველი ხარისხის 1 ნაჭ.	1.000
70. მეორე ხარისხის 1 ნაჭ.	800
71. მესამე ხარისხის 1 ნაჭ.	600

ტილო მამაკაცების დალმაციურისათვის და პერანგებისათვის:

72. პირველი ხარისხის 1 ნაჭ.	2.500
73. მეორე ხარისხის 1 ნაჭ.	2.000
74. მესამე ხარისხის 1 ნაჭ.	1.500

მსხვილი ტილო მდაბიო ხალხისათვის და მსახურთათვის.

75. პირველი ხარისხის 1 ნაჭ.	700
76. მეორე ხარისხის 1 ნაჭ.	600
77. მესამე ხარისხის 1 ნაჭ.	500

ტილო—მოსასხამისათვის

78. პირველ ხარისხისა: სკვითოპოლისურის 1 ნაჭ.	7.500
79. " " ტარსოსულის 1 ნაჭ.	7.000
80. " " ბიბლოსურის 1 ნაჭ.	6.000
81. " " ლაოდიკურის 1 ნაჭ.	5.500
82. " " ტარსო—ალექსანდრიულის 1 ნაჭ.	4.500
83. მეორე ხარისხისა—სკვითოპოლისურის 1 ნაჭ.	6.500
84. " " ტარსოსულის 1 ნაჭ.	5.500
85. " " ბიბლოსურის 1 ნაჭ.	5.000
86. ლაოდიკურის 1 ნაჭ.	4.000
87. ტარსო—ალექსანდრიულის 1 ნაჭ.	3.000
88. მესამე ხარისხისა—სკვითოპოლისურის 1 ნაჭ.	5.000
89. " " ტარსოსულის 1 ნაჭ.	4.000
90. " " ბიბლოსურის 1 ნაჭ.	3.500
91. " " ლაოდიკურის 1 ნაჭ.	3.000
92. " " ტარსო—ალექსანდრიულის 1 ნაჭ.	2.500

¹ ფასები აღდგენილია გვრონტრის ფრაგმენტის მიხედვით.

მესამე ხარისხზე უფრო მდარე ტილო წამოსასხამისათვის.

93. პირველი ხარისხის 1 ნაჭერი	2.250
94. მეორე ხარისხის 1 ნაჭერი	1.750
95. მესამე ხარისხის 1 ნაჭერი	1.250

მსხვილი ტილო მდაბიო ხალხისა და მსახურთათვის

96. პირველი ხარისხის 1 ნაჭ.	800
97. მეორე ხარისხის 1 ნაჭ.	600
98. მესამე ხარისხის 1 ნაჭ.	500

უსახო ტილო პირსახოცებისათვის

99. პირველი ხარისხისა: სკვითოპოლისურის 1 ნაჭ.	3.250
100. " " ტარსოსულის 1 ნაჭ.	3.000
101. " " ბიბლოსურის 1 ნაჭ.	2.500
102. " " ლაოდიკურის 1 ნაჭ.	2.250
103. " " ტარსო—ალექსანდრიულის 1 ნაჭ.	1.750
104. მეორე ხარისხისა: სკვითოპოლისურის 1 ნაჭ.	2.500
105. " " ტარსოსულის 1 ნაჭ.	2.250
106. " " ბიბლოსურის 1 ნაჭ.	2.250
107. " " ლაოდიკურის 1 ნაჭ.	2.000
108. " " ტარსო—ალექსანდრიულის	1.500
109. მესამე ხარისხისა: სკვითოპოლისურის 1 ნაჭ.	2.250
110. " " ტარსოსულის 1 ნაჭ.	2.000
111. " " ბიბლოსურის 1 ნაჭ.	1.750
112. " " ლაოდიკურის 1 ნაჭ.	1.500
113. " " ტარსო—ალექსანდრიულის	1.250

პირსახოცის ტილო, მესამე ხარისხზე უფრო დაბალი დირსებისა

114. პირველი ხარისხის 1 ნაჭ.	1.000
115. მეორე ხარისხის 1 ნაჭ.	750
116. მესამე ხარისხის 1 ნაჭ.	500

გასასყიდ ფასების განიხვრის პარალელურად ედიქტში მოცემულია შრომის საზღაურის ნორმები სხვადასხვა სპეციალობის ხალხის—სოფლის მუშებისა, მკედლებისა, დურგლებისა, გემთმშენებელ ოსტატებისა, ფეიქრებისა, მთელაგებისა, ლითონის ოსტატებისა, კალატოზებისა, ქვის ოსტატებისა, მღებავებისა, პედაგოგებისა, ექიმებისა და მრავალ სხვა სპეციალისტთა. დიოკლეტიანეს ედიქტის ეს პარაგრაფები წარმოადგენს უძვირფასეს ისტორიულ წყაროს ანტი-

კური ეკონომიკის, მონათმფლობელური ხანის — კრიზისისა და დასავლეთ ევროპის ფეოდალური ფორმაციის გენეზისისათვის.

6. შკომის ხელფასზე

(de mercedibus operariorum) დენარებში.

1. სოფლის მოჯამაგირეს (operario rustico) დამქირავებელის სასმელ საკმელით 1 დღეში	25
2. კალატოზს, ისე როგორც ზევით, 1 დღეში	50
3. დურგალს, რომელიც სახლის შინა გაწყობილებაზე მუშაობს, — 1 დღეში	50
4. კირის გამოშწავის სასმელ-საკმელით 1 დღეში	50
5. მარმარილოზე მომუშავეს დღეში	60
6. მოზაიკაზე მომუშავეს (რთული სამუშაოსთვის) 1 დღე	60
7. მახაიკაზე მომუშავეს (მარტივი მუშაობისათვის) 1 დღეში	50
8. მღებავს კამა-სმით 1 დღეში	75
9. მხატვარ-მღებავს-კამა-სმით 1 დღეში	150
10. მეურმეს კამა-სმით 1 დღეში	50
11. მქედელს, კამა-სმით 1 დღეში	50
12. პურის მცხობელს კამა-სმით 1 დღეში	50
13. ზღვის ხუროს კამა-სმით 1 დღეში	60
14. მდინარის ხომალდის ხუროს 1 დღე	50
15. გამოუწვევი აგურის ფასი, თუ მასალაც თვითგამკეთებელს მოაქვს, ყოველ 2 ფუტიან 4 ცალ აგურში კამა-სმით	2
16. მცირე აგურის ფასი ყოველ 8 ცალ აგურზე თუ მასალა გამკეთებლისაა, — კამა-სმით	2
17. აქლეების, ვიროებისა და ჯორების გამრეკს 1 დღეში	25
18. მწყემსს, კამა-სმით 1 დღეში	20
19. ჯორების გამრეკს კამა-სმით 1 დღეში	25
20. ბეითალს (mulomedico) ჯორების გაკრეკის და საქონლის ჩლიქების მღწორებისათვის, თითო საქონელზე	6
21. სისხლის გამოშწვეებისათვის და საქონლის თავის გასუფთავებისათვის	20
22. დალაქს (tonsoni) 1 კაცზე	2
23. ერთი ცხვრის გაკრეკაში კამა-სმით	2

ლითონზე მომუშავეების ხელფასზე (De aeramento)

24. მესპილენძის სპილენძზე მუშაობისათვის	8
25. წითელ სპილენძზე მომუშავეს	6
26. სხვადასხვა ტურკლების დამზადებისათვის	6
27. ფიჯურებისა და ქანდაკების დამზადებისათვის	4
28. რკინის გადაკერისათვის	6
29. ქანდაკების მეყალიბებს კამა-სმით 1 დღეში	75
30. თაბაშირის ფორმების მეყალიბებს, კამა-სმით 1 დღეში	50

31. წყლის მზიდავს კამა-სმით 1 დღეში	25
32. კლოაკის გამსუფთავებელს (cloacario) კამა-სმით 1 დღეში	25
33. მღესავესა და გამკრიალებელს ძველ მახვილზე	25
34. ძველ მუზარაღზე	26
35. ცულზე	6
36. ორმაგ ცულზე	8
37. ხმლის პირზე	100

ხ ე ლ ფ ა ს ი ს წ ა ე ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს

64. გიმნასტიკის მასწავლებელს (ceromatitae) თითოეულ მოსწავლეზე თვეში	50
65. აღმზრდელს (paedagogoi) თითოეულ ბავშვზე თვეში	50
66 სწავლების დამწყებ მასწავლებელს ყოველ ბავშვზე თვეში	75
67. არითმეტიკის მასწავლებელს (calculatori) თითო ბიჭზე თვეში	75
68. სტენოგრაფს (notario in singulis) თითო ბიჭზე თვეში.	75
69. გადამწერს თითო მოსწავლეზე თვეში	50
70. ლათინური და ბერძნული ენების ან გეომეტრიის მასწავლებელს თითო მოსწავლეზე თვეში	200
71. რიტორიკის მასწავლებელს ანუ სოფისტს თითო მოსწავლეზე თვეში	250
72. ვეჟილს ან კვალიფიციურ იურისტს საჩიერის შეტანისათვის	250
73. გამოძიების წარმოებისათვის	1.000
74. არქიტექტორს თითო მოსწავლეზე თვეში	100
75. აბანოების დარაჯს (balnaeatori), ყოველ დაბანილ მოქალაქეზე	2

ზემო ჩამოთვლილი შეფასებები გამოხატულია ხურდა ფულში, რომელსაც (χρῶσῶν μονητοῖν) დენარი ეწოდებოდა. სახურდაოდ დენარი უდრიდა გირვანქა ოქროს 1/50000. ეს უნდა განვასხვაოთ ვერცხლისა და ოქროს დენარისაგან, რომლის შესახებაც ზევით გვქონდა საუბარი, როგორც უფრო სრულ ღირებულიანი და რომელსაც გამოყენება ჰქონდა უპირატესად საგარეო ვაჭრობაში და დიდი მნიშვნელობის სახელმწიფო საქმეების ხარჯებში. ჩვენამდე მოღწეული ედიქტის ეკზემპლარში, მართალია, შემონახულია, არა ყველა პროდუქტის დანიხვრა, მაგრამ დასახელებულიც საკმაოა, რომ ვიმსჯელოთ ბრძანებულების ხასიათის შესახებ. ედიქტი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ ეს-ეს იყო განიცადა მძიმე კრიზისი, რომის მეურნეობა მაინც განაგრძობდა რთულ ცხოვრებას თავისი მრავალსახეებით. მართალია, ვაჭრობა და ხელოსნობა შემცირდა, მაგრამ სულ არ გამქარალა. ბაზარში შემოჰქონდათ სხვადასხვაგვარი საქონელი: საკვები პროდუქტები, ღვინო, ერბო, ხორცი, შაშხი, ტილო, ქსოვილი, ეტლი, ლითონის ნაწარმოები, ტანსა-

ცმელი მონებისათვის, ტყავი, ნოხი და სხვ. წარმოება დიფერენცირებული იყო სპეციალობისა, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით. ედიქტში მოხსენებულია, მაგალითად, რამდენიმე ხარისხი სელის ნართისა: სკვითოპოლისური, ბიბლოსური, ტარსოსული, ალექსანდრიული, ლაოდიკური და სხვ. ტილოების საწარმოო ცენტრებად სპეციალურად სელის ტილოების ცენტრებად, ითვლებოდა: სკვითოპოლისი (Scythopolis), ლაოდიკეა (Laodicea), ბიბლოსი (Byblus), ტიროსი (Tyrus) და ბერიტუსი (Beritus).

სპეციალურ ლიტერატურაში დიოკლეთიანეს ედიქტს ეძლევა სხვადასხვა შეფასება. წინააღმდეგ ძველი ისტორიკოსებისა (როგორც არიან მომზენი და ზეკი), ახალი ისტორიკოსები (შტადე, მიკვიტცი, პიგანოლი) აძლევენ მას უფრო დიდს პრაქტიკულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას. მაშინ, როდესაც მომზენმა დიოკლეთიანეს ბრძანებულებას უბრალოდ ადმინისტრატიული უქვეობა უწოდა (sovernementaler Wahnsinn), შტადეს და სხვებსაც დიოკლეთიანეს ტარიფიკაცია მიაჩნიათ ობიექტურად აუცილებელ საშუალებად სპეკულაციისა და კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა მას იმდენად სამოქალაქო მოსახლეობის ინტერესები კი არ ჰქონდა ვხედველობაში, რამდენადაც ჯარის ინტერესები¹. ამასთანავე აღნიშნავენ, რომ ედიქტის გამოცემის დროს დიოკლეთიანეს გათვალისწინებული ჰქონდა არსებობა იმპერატორების სალტუსებისა და სახელმწიფო სახელოსნო-მანუფაქტურებისა, რომლებსაც შეეძლო სასოფლო-სამეურნეო საგნებისა და სახელოსნოს ნაწარმთა განუწყვეტელი დინებით ცოტად თუ ბევრად უზრუნველყო ბაზარი და, ამნაირად, გამოსწორებულიყო ფასების მდგომარეობა და აწეულიყო ფულის კურსი.

დიოკლეთიანეს მმართველობის მთელ პერიოდში ედიქტს თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს, ის შეცვლილ იქნა მხოლოდ კონსტანტინეს დროს. ტარიფიკაცია, ნაწილობრივად შემდგომ იმპერატორების დროსაც ტარდებოდა, რაც იმის დამადასტურებელია, რომ აღნიშნული ზომის გატარება გამოწვეული იყო ობიექტური აუცილებლობით².

7. დიოკლეთიანე-კონსტანტინეს სამხედრო რეფორმა

დიოკლეთიანეს შემდგომი რეფორმა იყო სამხედრო რეფორმა, რომელსაც მიზნად ჰქონდა განემტკიცებინა არმიაში დის-

¹ K. Stade, *Der Politiker Diocletian und die letzte Christenverfolgung* 1926; G. Mickwitz, *Geld und Wirtschaft im römischen Reiche des IV Jahrhunderts*.

² *Amm. Marc.*, XXII, 14, 1; *Julian, Misop.*, 368.

ციპლინა და აეწია ჯარის საბრძოლო უნარიანობა, რომელიც დაეცა „სამხედრო ანარქიის“ დროს,—III საუკუნეში. დიოკლეტიანეს სამხედრო რეფორმის დედა-აზრი, ისე როგორც მისი რეფორმების გამგრძელებელის კონსტანტინეს რეფორმისა, მდგომარეობდა სანაპირო სტაბილური მილიციების (რომელთაც სარდლობდნენ მოადგილეები) მობილიზებული არმიით შეცვლაში, რომელსაც (არმიას) ხელმძღვანელობას გაუწევდა თვით იმპერატორი ან მისი უახლოესი რწმუნებული.

დიოკლეტიანემდე რომის არმია შედგებოდა ლეგიონებისაგან, რომლებიც ბინადრობდნენ სასაზღვრო ბანაკებში (castra) და ციხესიმაგრეებში (castella). III-IV საუკუნეების ომებმა ნათელჰყო ამ ორგანიზაციის მთელი უვარგისობა. საზღვარზე დაბანაკებული არმია, რომელიც მხოლოდ თავის თავზე იყო დაყრდნობილი, მეტისმეტად ცუდად შეიარაღებული, მძიმედ და ტლანქად მოძრავი აღმოჩნდა. ჯარის ადგილობრივ პირობებთან შეზრდის გამო დიდი სიძნელით ტარდებოდა მისი სხვა ადგილზე გადაყვანა. გარდა ამისა, ადგილობრივი ჯარი წარმოადგენდა ერთგვარ საფრთხეს იმპერატორებისათვის. ჯარს შეეძლო რომელიმე სარდალი წამოეყენებინა იმპერატორის პოსტზე და კიდევ გამოეცხადებინა იგი იმპერატორად. ყველა ამ გარემოებამ გამოიწვია საზღვარზე დაბანაკებული მილიციის შეცვლა მობილიზებული ჯარის ნაწილებით, იმპერატორების „თანამგზავრებით“ (comitatenses), რომლებიც განლაგებულნი იყვნენ სახელმწიფოს შიგნით—სხვადასხვა ქალაქებში—და მათი ადგილიდან ადგილზე გადასროლა ახლა უფრო თავისუფლად წარმოებდა. განაპირას დაბინავებული ჯარისკაცები, ლიმიტანები, ისევ დატოვებულ იქმნენ ადგილებზე, მაგრამ მობილიზებულ ჯართან შედარებით მათ დაიკავეს მეორეხარისხოვანი ადგილი. ლიმიტანების გასაძლიერებლად საზღვრების ზოგიერთ საშიშ ადგილზე იგზავნებოდა დამხმარე რაზმები, რომლებიც ფორმირებული იყვნენ კომიტატების მსგავსად და ატარებდნენ ფსევდო—კომიტატების სახელწოდებას (pseudo comitatenses).

უმალეს წინამძღოლად და რომის, როგორც ხმელეთის, ისე საზღვაო შეიარაღებული ძალების, მთავარსარდლად ითვლებოდა თვით იმპერატორი, რომელსაც ემორჩილებოდნენ არმიის ნაწილთა სარდლები და მეთაურები (magistri militum)—მათთან დაქვემდებარებული საოლქო სამხედრო უფროსებით—დუკებით (duces ანუ comites rei militaris).

სამხედრო უწყებას ჰქონდა საკუთარი ორგანიზაცია. მთელი იმპერია დაყოფილი იყო სამხედრო ოლქებად (დუკატებად),

რომელთა ფართობის სივრცე არ ემთხვევოდა სამოქალაქო ადმინისტრაციული ოლქების სივრცეს. სამხედრო ოლქებს, წარმოადგენდა: აღმოსავლეთი (Oriens), თრაკია (Thracia), ილირიკი (Illyricum) და ასე შემდეგ. რომში და კონსტანტინეპოლში ბანაკობდნენ გვარდიის ნაწილები, სასახლის ჯარები (auxilia palatina) და იმპერატორის ამალა (protectores, domestici), მათ დანიშნულებას შეადგენდა პირადად იმპერატორისა და სატახტო აღლუმების დაცვა. სასახლის ჯარმა შესცვალა ძველი პრეტორიული გვარდია, რომელიც დათხოვნილ იქნა კონსტანტინეს მიერ, როგორც წყარო ყოველგვარი არეულობისა და სახელმწიფო გადატრიალებებისა. გვიანდელ იმპერიაში სასახლის დამცველ ჯარს გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა და არ თამაშობდა იმ პოლიტიკურ როლს, რომელსაც ასრულებდნენ ძველი პრეტორის კოჰორტები პრინციპატის ეპოქაში. პირდაპირი მნიშვნელობით—ეს იყო სასახლის დამცველი და იმპერატორის ამალა. იმპერატორის ხელში სამხედრო ძალის კონცენტრირება სავსებით შეეხება ამბობდა მაშინდელი (და გვიანდელი იმპერიის) იმპერატორების მიერ აღებულ კურსს, რომლითაც ისინი ცდილობდნენ ხელში აეღოთ და გაეერთიანებინათ სახელმწიფოს მთელი მმართველობა, ყველა ძალები და საშუალებანი. IV საუკუნეში რომის არმიის რიცხვი გაიზარდა 72 ლეგიონამდე, რაც შეადგენდა 400 ათასამდე კაცს, სხვების გამოანგარიშებით კი—600 ათას კაცამდე. „მან გაპყო იმპერია ოთხ ნაწილად და გაადიდა არმია. თითოეული ამ ნაწილთაგანი ცდილობდა ჰყოლოდა ჯარი იმაზე მეტი, რაც რომის პრინციპსებს წინათ ჰყავდათ, როდესაც ისინი მართავდნენ იმპერიას მთლიანად“¹.

უკანასკნელ საუკუნეებში იმპერიის არმია ტყუილად ატარებდა რომის არმიის სახელწოდებას,—არსებითად ის იყო ბარბაროსული; უმთავრესად კი გერმანული. ბარბარიზაცია რომის არმიაში დაიწყო ჯერ კიდევ იმპერიის პირველ საუკუნეებში, მაგრამ ჩქარი ტემპით იგი მხოლოდ დიოკლეთიანესა და კონსტანტინეს მმართველობის დროს წარიმართა.

III—IV საუკუნეების ომების დიდ დანაკლისს მოჰყვა ბარბაროსთა ელემენტების მოზღვავება რომის ჯარის ნაწილებში. კონსტანტინეს დროს მეთაურთა პოსტების დიდი ნაწილი გერმანელებს ეკავათ, რომლებიც დიდ როლს თამაშობდნენ რომისა და კონსტანტინეპოლის სასახლეებში. ჯარის ბარბარიზაცია აშკარად დაეტყო აგრეთვე მის ტექნიკასა და ორგანიზაციას. ლეგიონი, რომელიც

¹ Lact., De mort. persecut., VII.

გულისხმობდა ლეგიონერის ხანგრძლივ მეცადინეობასა და კარგ დისციპლინას, გადაიზარდა „რიცხვში“, გადაიქცა უფრო მცირე და განუსაზღვრელ საბრძოლო ერთეულად, რომელიც შედგებოდა 900—1.000 კაცისაგან. „რიცხვს“ სათავეში ედგა პრეფექტი ანუ პეტრორი, „რიცხვის“ ნახევარს სარდლობდა ტრიბუნი. ბარბაროსების წინააღმდეგ წარმოებულმა ხანგრძლივმა ომებმა რომის მძიმე ფეხოსანთა ჯარს დაუკარგა თავისი შინაარსი, პირველი ადგილი დაეთმო მსუბუქ კავალერიას, რომელიც ორგანიზებული იყო პართელთა, სპარსელთა და გერმანელთა ცხენოსანი ჯარის მსგავსად. კავალერიასთან ერთად თანდათანობით ვითარდებოდა რომის სამხედრო წყობაში მშვილდოსნობა (sagittarii). ჯარის წინანდელი დაყოფა კადრის ლაშქრად და დამხმარე რაზმებად (auxilia) გაუქმდა.

არმიის ძირითად ბირთვის წარმოადგენდა დაქირავებული ჯარები, რომლებიც შედგებოდა მოხალისეთა ჯარისკაცებისაგან. თუ ამ წესით ჯარისკაცების საკმაო რაოდენობა არ დაგროვდებოდა, მაშინ სახელმწიფო მიმართავდა იძულებითს საშუალებებს და იწვევდა ჯარში რომის მოქალაქეებს და ბარბაროსებს. III საუკუნის დასასრულიდან ჯარში მსახურობდნენ მხოლოდ დაბალი ფენები, უმეტეს შემთხვევაში, კოლონები, რომლებსაც მემამულენი აკომპლექტებდნენ. მაღალი კლასები სამსახურიდან თავისუფალი იყვნენ და, თუ მოისურვებდნენ, ყოველთვის შეეძლოთ გამოესყიდათ და ჯარში არ გაეგზავნათ თავიანთი კოლონები. სამხედრო სამსახურმა სრულიად დაჰკარგა თავისი წინანდელი მიმზიდველობა; მას ჩამოცილდა მაღალი კლასის ინტელიგენცია, რომელსაც სამოქალაქო და საეკლესიო სამსახური უფრო საპატიო თანამდებობად მიაჩნდა, ვიდრე სამხედრო უწყებაში სამსახური.

ლაშქრობის დროს ზრუნვა არმიის შენახვაზე ევალებოდათ სარდლებსა და პეტრორიის პრეფექტორებს, რომლებიც ყოველმხრივ ამარაგებდნენ ჯარის ნაწილებს, აგროვებდნენ ნატურალურ გადასახადებს (annonა), ახდენდნენ რეკვიზიციებს და მიმართავდნენ ექსპროპრიაციებს. მოძრაობის დროს ჯარისკაცები ბინადრობდნენ წვრილი და საშუალო ფენის მემამულეების სახლებში, მაღალი კლასის სახლები-კი ასეთებისაგან თავისუფლდებოდნენ. მიუხედავად რომის არმიის მრავალრიცხოვნობისა, მისი ბრძოლის უნარიანობა IV—V საუკუნეებში მაინც მოდუნებული იყო. სამხედრო ძალების კონცენტრაციას სახელმწიფოს შინა ოლქებში ჰქონდა თავისი უარყოფითი მხარეებიც. იმპერიის საზღვრები თითქმის გაშიშვლებული იყო. უმნიშვნელო ჯარის ნაწილებს უკეთეს შემთხვევაში შეეძლო.

დაეცვა საზღვრები მტრის მცირე რაზმების შემოსევისაგან. გარდა ამისა, ბარბაროსული რაზმების არსებობა ქმნიდა უიმედობას და იკვირანობას, ხოლო გადასროლა სამხედრო ნაწილებისა წარმოადგენდა დაუძლეველ ტექნიკურ დაბრკოლებებს. რაც მეტი დრო გადიოდა, მით უფრო თვალსაჩინო ხდებოდა, რომ რომის იმპერიას არ შეეძლო მოზავაებული მტრის შეჩერება. ამასთან ერთად სუსტი საბრძოლო თვისების მქონე რომის არმია სახელმწიფოს მეტად ძვირად უღირდა. მისი შენახვა გამანადგურებლად მოქმედებდა სახელმწიფოს საერთო მდგომარეობაზე და ისედაც შერყეული რომის ფინანსებზე.

8. IV—V საუკუნეების რომის კონსტიტუცია

305 წლის მაისის პირველ დიოკლეტიანემ, თანახმად დადებული პირობისა, მოიხსნა იმპერატორის მოვალეობა. მისი ტახტიდან გადადგომა მოხდა დიდ საზეიმო სხდომაზე, ქ. ნიკომედიიდან 3 მილის დაშორებით. ზეიმს ესწრებოდა დიდძალი ჯარი და ხალხი. იმპერატორი ავიდა ტრიბუნაზე, წარმოსთქვა სიტყვა, შემდეგ მოიხსნა გვირგვინი და ძოწეული მანტია; და ამის შემდეგ, როგორც კერძო პირი, ღია ეტლით გაემართა ქალაქის ქუჩებით თავის მშობლიურ სალონში. აქ, თავის შესანიშნავ სასახლეში, დიოკლეტიანემ გაატარა მისი სიცოცხლის დარჩენილი დღეები. ხალხიდან დაშორებულმა, მან ხელი მიჰყო ყვავილებისა და ბოსტნეულის მოშენებას და მიეცა მყუდრო ცხოვრებას. „რა მშვენიერებაა,—წერდა დიოკლეტიანე თავის თანამმართველს მაქსიმიანს,—საკუთარი ხელით აღმოაცენო ყვავილები და ბოსტნეულობა. ახლა ვერაფერი მიძიქლებს დაეტოვო ეს სიამოვნება და გამოვედევნო ხელისუფლების აჩრდილს“. დიოკლეტიანეს არა ერთხელ გამოუთქვამს თავის ახლო მეგობრებში ის აზრი, თუ რა სიძნელეს წარმოადგენს მართვა-გამგებლობა ისეთი დიდი ქვეყნისა, როგორც არის რომის იმპერია, თუ როგორ მოწყვეტილია იმპერატორი ხალხისაგან, რომ იმპერატორს, მოწყვეტილს ხალხისაგან, თავისი მაღალი მდგომარეობით, არ ესმის ხმა ხალხისა და სინამდვილეს ითვისებს მისი მსახურების (მინისტრების) თვალებით. სწორედ ამით აიხსნება ის,—ამბობს დიოკლეტიანე,—რომ საუკეთესო და ჭკვიანმა პრინციპსებმაც კი ვერ დააღწიეს თავი გარშემორტყმულ სასახლის წრის გამხრწნელ ზეგავლენას¹.

დიოკლეტიანეს მემკვიდრე და მისი პოლიტიკის გამგრძელებელი იყო კონსტანტინე, რომლის სრული სახელია: გაიუს

¹ Script. Hist. Aug., Aurelianus, 43; Eumen, Panegyry., VII, 15.

ფლავიუს ვალერიუს კონსტანტინე ავგუსტუს (Gaius Flavius Valerius Constantinus Augustus, 306—337 წწ.).

შვილი დიოკლეტიანეს თანამმართველის—კოსტანცი ხლორისა— კოსტანტინე მსახურობდა ჯარში ჯერ აღმოსავლეთში, შემდეგ კი ბრიტანეთში, სადაც ის მამის სიკვდილის შემდეგ, 306 წელს, გამოცხადებულ იქნა იმპერატორად. წარმოშობით კონსტანტინე იყო დუნაის ერთ-ერთ პროვინციიდან. მას, დიოკლეტიანეს მსგავსად, ერთობ ახასიათებდა ბატონობის მოყვარულობა, არაერთად საშუალებას არ ზოგავდა თავის მიზნის მისაღწევად. მისი სიცოცხლის დიდი ნაწილი მან გაატარა თავის მოწინააღმდეგებთან ბრძოლაში, რომლებიც მეტოქეობას უწევდნენ მას უმაღლესი ხელისუფლებისკენ სწრაფვაში (ასეთები იყვნენ: მაქსიმიანე, მაქსენციუსი, მაქსიმინე დაზა, ვალერი და ლიცინიუსი). მრავალ ომებისა და შეტაკებების შედეგად, კონსტანტინემ, ბოლოსდაბოლოს, შესძლო მოწინააღმდეგების დამარცხება და გახდა სახელმწიფოს ერთმმართველი. ყველაზე აღსანიშნავი ბრძოლა, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა მოწინააღმდეგეთა დამარცხებაში და სამოქალაქო ომის ლიკვიდაციაში, რაც შედეგი იყო დიოკლეტიანეს მიერ უმაღლეს ხელისუფლებაზე უარის თქმისა, —ეს იყო ბრძოლა „წითელ ქვებთან“ (Saxa Rubra) — ეტრურიაში, სადაც დამარცხებულ იქნა მაქსენციუსი (312 წ.). ამის შემდეგ უკანასკნელი ბრძოლა მოხდა ადრიანოპოლთან (323 წ.), რომელიც დამთავრდა კონსტანტინეს ყოფილი მეგობრისა და შემდეგ კი მისი მოსისხლე მტრის—ლიცინიუსის დამარცხებით.

მიუხედავად ამ ხანგრძლივი ომებისა (როგორც შინ, ისე გარეთ), რამაც გასტანა თითქმის 18 წლამდე—სახელმწიფოს ობიექტური მდგომარეობა—აღებულ მთლიანად—კონსტანტინეს მმართველობის დროს გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე დიოკლეტიანეს დროს. კრიზისის უმძაფრესმა პერიოდმა განვლო, ცენტრიდანული ძალები რამდენიმედ შესუსტდა, სახელმწიფო გამაგრდა, ცხოვრებამ დაიწყო თავის კალაპოტში ჩადგომა. ამ გარემოებამ ახალ იმპერატორს შეუქმნა პირობები გაეშალა საკანონმდებლო-ადმინისტრატიული მუშაობა, განემტკიცებინა არმია და მოეხვეჭა რამდენიმე დიდი გამარჯვება გარეშე მტრებზე, განსაკუთრებით—კი, გერმანიის მოღვმის—გუთებსა¹ და სკვითებზე. „კონსტანტინე გამოჩენილი კაცია, რომელიც ცდილობს განახორციელოს ყველა ის, რაც მან თავის აზრში

¹ Iord., Cret., 21.

გაივლო, სურს რა შეინარჩუნოს ძალა-უფლება მთელ მსოფლიოზე“ (principatum totius orbis affectans)¹.

რომის ისტორიაში საკანონმდებლო-შემოქმედებითი მუშაობის თვალსაზრისით კონსტანტინესა და მისი შვილების ეპოქას უჭირავს ერთ-ერთი პირველ ადგილთაგანი, თუ პირველი არა, როგორც შინაარსის მიხედვით, აგრეთვე რიცხობრივად. რომის არც ერთი მმართველის დროს არ არის გამოცემული კანონები და მთავრობის განკარგულებანი იმ რაოდენობით, როგორც ეს იყო კონსტანტინესა და მისი დინასტიის იმპერატორობის დროს.

სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით კონსტანტინეს შემოქმედება არის ერთსა და იმავე დროს გაგრძელება, დამატება და შესწორება დიოკლეთიანეს რეფორმებისა. საბოლოოდ ორივე მათგანს ერთი გარკვეული მიზანი ჰქონდათ: ცდილობდნენ შეექმნათ სახელმწიფოში სამხედრო ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც დამცველი იქნებოდა სასახლის წარჩინებულთა ინტერესებისა და ამავე დროს განამტკიცებდა აბსოლუტიზმს. დიოკლეთიანესა და კონსტანტინეს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური რეფორმები შეადგენენ ერთს მთლიანს, ამისათვის დახასიათება მათი რეფორმებისა ზოგად მიმოხილვაში განხილული უნდა იქნას ერთად, ერთ თავში, გარდა ცალკეული შემთხვევებისა, როდესაც სიტყვა ეხება სპეციალურად დიოკლეთიანეს ან კონსტანტინეს რეფორმებს.

კონსტანტინეს მმართველობის უკანასკნელ წლებში გვიანდელი იმპერიის კონსტიტუცია, რომელიც წარმოადგენდა სევერუსებისა და III საუკუნის იმპერატორების აბსოლუტურ იდეების შემდგომ განვითარებას, ძირითადად უკვე ჩამოყალიბებული იყო. დიოკლეთიანეს და კონსტანტინეს მოადგილეებს დარჩენოდათ მხოლოდ მისი შეესება და ცოტაოდენი ცვლილების შეტანა.

სქემატიურად რომ აესახოთ, გვიანდელი რომის იმპერიის კონსტიტუცია იძლეოდა შემდეგ სახეს: სახელმწიფოს მეთაურად ითვლებოდა — იმპერატორი — მონარქი — „ღვთისგან შობილი“ და „შემქნელი ღმერთებისა“ (diis genitus et deorum creator). მონარქი წარმოადგენელია მიწის ღვთიური საწყისისა, „თითქო, იგი აღდამიანის სხეულის გარსში“ მოვლინებული ღმერთია (tamquam praesens et corporalis deus). IV—V საუკუნეების იმპერატორობის კონსტიტუციის ისტორიაში მოყვანილია თეოდოსესი და იუსტინიანეს შეხედულებები სახელმწიფოზე, სადაც სახელმწიფო აღიარებულია იმპერატორის საკუთრებად, როგორც მისი საკუთარი სახლი,

¹ Eutrop., X. 5.

ანუ ოიკოსი. იმპერატორის ნებასურვილი აღიარებული არის უფლების ერთადერთ წყაროდ. იმპერატორის ედიქტები იწერებოდა წერილის სახით, როგორც მიმართვა ხალხისადმი, სენატისადმი ან რომელიმე დიდი მოხელესადმი, ხშირად კი ედიქტი მიმართავდა პრეტორის პრეტექტს; ედიქტს გამოაკრავდნენ განსაკუთრებულ დაფებზე და გამოჰკიდებდნენ ხოლმე თვალსაჩინო ადგილებზე (მოედნებზე, ბაზარში და სხვ.). მრავალი წლების განმავლობაში დაგროვილი უამრავი ედიქტი, — ხშირად ერთი მეორის საწინააღმდეგო, — გადაშინჯულ და განზოგადოებულ იქნა და გამოიცა კრებულად, რომელსაც იურისტები და მოხელეები იყენებდნენ, როგორც პრაქტიკულ სახელმძღვანელოს. პირველი კოდექსი გრეგორიის სახელწოდებით (Codex Gregorianus), სადაც მოცემულია ყველა კანონი (კონსტიტუცია), დაწყებული ადრიანედან, შედგენილ იქნა დიოკლეტიანეს დროს და გამოიცა დაახლოებით 294 წ., მეორე კოდექსი-კი ჰერმოგენის მიერ შედგენილი (Codex Hermogenianus) გამოიცა კონსტანტინეს დროს, დაახლოებით 314 წ.

თანხმად იმ შეხედულებისა, როდესაც მთელი სახელმწიფო ითვლებოდა იმპერატორის საკუთარ მამულად, ბუნებრივია, სახელმწიფოს ყველა თანამდებობის პირი განიხილებოდა როგორც სახელმწიფო მოხელე და მონარქის პირადი მსახური (comites domestici). უმაღლეს სახელმწიფო მოხელეს წარმოადგენდა „სადმრთო სარეცელის უფროსი“ (praepositus ანუ comes sacri cubiculi), მას მოჰყვებოდა „იმპერატორის თავლის“ უფროსი (comes stabuli), შემდეგ „სასახლის მარშალი“ (comes domorum), მერე „სადმრთო ტანსაცმელის მცველი“ (comes sacrae vestis), შემდეგ კიდევ „მთავარი კანცელარიის უფროსი“ (magister officiorum) და ასე შემდეგ. მეფის მეგობრები და მსახურნი ღებულობდნენ იმპერატორისაგან „საზრდოდ“ სხვადასხვა თანამდებობებს, მივლინებებს და ამას გარდა ფულად ჯილდოს იმის მიხედვით, თუ რა თანამდებობას ასრულებდა თითოეული მათგანი, მაგალითად, მთავარ კანცელარიის უფროსი წლიურად ღებულობდა 300 ათას სესტერციუმს.

თუ როგორი დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო სახელმწიფო სამსახურში სამოქალაქო და სამხედრო პირთა შორის (dignitates), — ეს გარკვეულად არის მოცემული V საუკუნის დასასრულს „რანგების ტაბელში“ (Notitia dignitatum omnium tam civilium quam militarium), მსახურულ-იერარქიულ კიბეზე სულ ზევით იყვნენ „უკეთილშობილესნი“ (nobilissimi), — უპირატესად მეფის გვარეუ-

ლობის პირნი. შემდგომ საფეხურზე—„ბრწყინვალენი“ (illustres), „დიდად პატივცემულნი“ (respectabiles), „უგანათლებულესნი“ (clarissimi) და „უსრულესნი“ (perfectissimi).

ჟმალლესი სახელმწიფოებრივი თანამდებობანი და ხარისხები მიკუთვნებული ჰქონდათ მხოლოდ იმპერატორის მეგობრებს და თანამგზავრებს. ჩვეულებრივ საშუალო მოხელე აღწევდა მხოლოდ პირველს, „რანგების ტაბელის“ მიხედვით „გამოჩენილის“ (egregius) ხარისხს. მთელი მმართველობა წერილობითს საკანცელარიო ხასიათს ატარებდა. იმპერატორის განკარგულებანი ტარდებოდა ცხოვრებაში უამრავ მოხელეთა შტატის (officiales, cancellarii) საშუალებით, რომლებითაც სავსე იყო სხვადასხვა ბიუროები (officia). კანცელარიის მოხელეები გათანაბრებული იყვნენ სამხედროებთან და იყოფოდნენ, მსგავსად სამხედროებისა, კოჰორტებად—(cohortalini), თვით სამსახური კანცელარიისა გათანასწორებული იყო აგრეთვე სამხედრო სამსახურთან (militia).

კანცელარიის მოხელეები სასტიკად ისჯებოდნენ ყოველგვარი სახის სამართლის დარღვევისათვის, გულგრილობისათვის, მექრთამეობისათვის. მიუხედავად დადებული ჯარიმებისა და სასჯელის სიმკაცრისა, ადმინისტრატიული უფლების დარღვევის შემთხვევები კვლავ ხშირი იყო, მოხელეები ბოროტად სარგებლობდნენ თავიანთი უფლებრივი მდგომარეობით, ლეზლობდნენ ქრთამებს, გადასახადებს არასწორად ანაწილებდნენ, სამსახურებლივ მოვალეობას გაუტბოლდნენ, ეწეოდნენ სპეკულაციას, ყიდულობდნენ მიწას და სხვ.

კონსტანტინეს კანონი, გამოცემული 331 წელს, ამბობს: „დეე, ბოლოსდაბოლოს, ძარცვა-გლეჯა ნუ მიიზიდავს მოხელეების ხელს. დეე, ვამბობ მე, ნუ მიიზიდავს,—წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ისინი ასე არ მოიქცევიან ჩემი გაფრთხილების შემდეგაც, მაშინ მათ ხელები მოეკვეთება ხმლით“ (gladiis praecedentur).¹

მმართველობის ყველა ძაფი თავს იყრიდა „სამღვთო სასახლეში“ (sacrum-palatium), რომელიც წარმოადგენდა აღმოსავლეთ სასახლეების ნამდვილ ასლს. მას განსაკუთრებით დიდი მსგავსება ჰქონდა სპარსეთის სასახლესთან. მსგავსად სპარსეთის მეფეებისა, რომის იმპერატორს უწოდებდნენ ბრძანებელს,—დიოკლეთიანეს უწოდებდნენ იუპიტერის შვილს (Jovius), მის თანამმართველს, მაქსიმიანეს,—ჰერკულესის შვილს, (Herculius)², კონსტანტინეს—მზის ღმერთის შვილს და ა. შ.

¹ Cod. Theod., I, 16, 7.

² Cl. Huart, La Perse antique et la civilisation iranienne, Paris, 1925.

სასახლესთან არსებობდა უმაღლესი სახელმწიფო საბჭო, ანუ იმპერატორის კონსისტორია (consistorium principis), სადაც ირჩეოდა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები, აღგენდნენ კანონებს, უსმენდნენ უცხო სახელმწიფოთა ელჩებს, ირჩეოდა, როგორც უკანასკნელ ინსტანციაში, სააპელაციო სასამართლოს აქტები. მომხსენებლად გამოდიოდნენ უწყებათა გამგეები, ხშირად კი პროტერიის პრეფექტი.

ყველაფერს, რასაც კი რაიმე კავშირი და დამოკიდებულება ჰქონდა თვით იმპერატორთან, ეწოდებოდა „საღმრთო“ (sacrum): ანუ „უსაღმრთოსი“ (sacratissimum). რომის იმპერატორის, პრინციპის, — რომელიც მცირედ განსხვავდებოდა აღმოსავლეთის მეფეთაგან, — ხელისუფლების გარეგნულ გამოხატულებას წარმოადგენდა გვირგვინი და ძოწეული ტანსაცმელი, მოჭედილი ძვირფასი ქვებით. მკვეთრი წითელი ფერი, აბრეშუმი და ძვირფასი ქვები — ითვლებოდა იმპერატორის და კარის კაცთა გამანსხვავებელ ნიშნად. სასახლეში იყო შემოღებული მტკიცე ცერემონიალი. თითოეული რანგის მოსამსახურეთათვის დადგენილი იყო განსაკუთრებული სპეციალური ფორმა, ნაჩვენები იყო, თუ როგორ უნდა შესრულებულიყო იმპერატორის წინაშე თაყვანისცემა, როგორ უნდა დაეკონტათ იმპერატორისათვის ფეხები და ხელები. იმპერატორებს აღიდებდნენ საზეიმო ჰიმნებში და მათ პატივსაცემად წარმოსთქვამდნენ სერვილიზმით სავსე პანეგირიკებს. რომის იმპერატორის ქვეშევრდომნი მასთან შეხვედრის ჟამს დავარდებოდნენ მუხლებზე, სახეს ხელებით იფარავდნენ და ასხამდნენ იმპერატორს ქებათა-ქებას. კრებებზე ან საზოგადოების შესაკრებ ადგილებზე იმპერატორი იშვიათად თუ გამოცხადდებოდა და, თუკი ასეთი შემთხვევა მოხდებოდა, მას უეჭველად წინ უნდა მიგებებოდნენ დიდი ზეიმით. მიუხედავად ამ მოჩვენებითი, მწყობრი და უძლეველი მდგომარეობისა, დიოკლეთიანე — კონსტანტინეს კონსტიტუციაში არ იყო მცირეოდენი მომენტები დეცენტრალიზაციისა, რაც მოასწავებდა რომის პოლიტიკური სხეულის ჯერ დასუსტებასა და შემდგომ კი მის მთლიანად დაშლას.

ჯერ კიდევ დიოკლეთიანეს ღრის იდეურად მთლიანი ერთი რომის იმპერია აღმინისტრაციული მოსაზრებებით გაიყო ორ ნაწილად — აღმოსავლეთი და დასავლეთი. აღმოსავლეთის ნაწილი, მთავარი ქალაქით — ნიკომედიათი (Nicomedia) ბითინიაში, რომელიც მდებარეობდა მარმარილოს ზღვის პირად, — თვით იმპერატორმა, — დიოკლეთიანემ დაიკავა, დასავლეთის ნაწილი კი, რეზიდენციით ქ. მილანში (Mediolanum), გადასცა თავის მეგობარს — მაქსიმიანეს.

დიოკლეტიანე და მაქსიმიანე იწოდებოდნენ ავგუსტუსებად (augusti), მათი უახლოესი მოადგილეები კი ატარებდნენ ცეზარის ტიტულს (caesares). დასავლეთი პროვინციები (გალია, ბრიტანია, ისპანია) რეზიდენციით Augusta Treverorum-ში (ტრირი), მიიღო ცეზარმა კონსტანციუს ხლორმა. ეს იყო მამა დიდი კონსტანტინესი; თვით ავგუსტუს მაქსიმიანემ დაიჭირა იტალია და აფრიკა. მეორე ცეზარმა, გალერმა, მიიღო აღმოსავლეთის პროვინციები (ილირიკი, მაკედონია, საბერძნეთი), რეზიდენციით სირმიუმში.

დაყოფა რომის იმპერიის მმართველობისა გამოწვეული იყო ეკონომიური, ადმინისტრატიული და პოლიტიკური მოსაზრებებით და სახელმწიფოში ცალკეული სამეურნეო ერთეულების განცალკევებით, ერთის მხრივ, და, მეორეს მხრივ, მისწრაფებით, რომ გაადვილებულიყო ხელმძღვანელობა ადმინისტრატიულ აპარატზე, უზრუნველი ყოფილიყო ქვეყნის უკეთესი დაცვა და გაძლიერებულიყო აგრეთვე კონტროლი პროვინციაში მყოფ სარდლებსა და მოხელეებზე. ავგუსტისა და ცეზარის თანამდებობათა შექმნა კი, რომელზედაც განსაზღვრული დროის განმავლობაში უნდა დარჩენილიყვნენ, აკმაყოფილებდა პრეტენდენტების პატივმოყვარეობას, მიისწრაფოდნენ რა ისინი ხელისუფლები-სადმი და არ იღებდნენ-რა ხელს იმპერატორად გახდომის აზრზე. პოლიტიკური კავშირი ავგუსტებსა და ცეზართა შორის მტკიცდებოდა დინასტიური ქორწინებებით.

იმპერიის თითოეული ნახევარი თავისთავად იყოფოდა ორ პრეფექტურად (praefecturae), რომელთაც სათავეში ედგნენ პრეტორიის პრეფექტები (praefecti praetorio). პრეფექტურები შედგებოდა დიოცეზებისაგან (dioceses), რომელთა რიცხვი მთელ იმპერიაში იყო თორმეტი. დიოცეზებს მართავდნენ ვიკარები (vicarii). დიოცეზების შემდეგ სამეურნეო ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა პროვინციები (provinciae), რომელთა რიცხვი დიოკლეტიანეს დროს იყო 101. იმპერიის დასასრულს კი ეს რიცხვი გაიზარდა 120-მდე. პროვინციის უფროსები—რექტორები (rectores)—პროვინციის ხასიათის მიხედვით გაიყოფოდნენ ოთხ თანრიგად:—პროკონსულები, კონსულარები, კორექტორები და პრეზიდენტი (praeses). გალიის პრეტორიის პრეფექტს (praefectus praetorio Galliarum) ემორჩილებოდნენ: 1) ესპანეთის ვიკარი, 2) ვიკარი შვიდი პროვინციისა (გალიის და გერმანიის), 3) ვიკარი ბრიტანეთის (vicarius Britanniarum). იტალიის პრეტორიის პრეფექტს ემორჩილებოდნენ: 1) ქ. რომის ვიკარი, 2) იტალიისა ვიკარი, 3) აფრიკის.

ვიკარი., ილირიის პრეტორის პრეფექტს ემორჩილებოდნენ: 1) აქაის პროკონსული, 2) მაკედონიის ვიკარი. აღმოსავლეთის პრეტორის პრეფექტს (praefectus praetorio orientis) ემორჩილებოდნენ¹: აღმოსავლეთის კომიტი (პალესტინის, ფინიკიის, სირიის); 2) პრეფექტი ავგუსტალი (ლიბიისა, ეგვიპტისა), 3) ვიკარი პონტისა, 4) ვიკარი თრაკიისა (vicarius Thraciarum)¹. აზიისა და აფრიკის პროვინციები ცალკეულ კატეგორიას შეადგენდა, და უშუალოდ იმპერატორს ან მის მეგობრებს ემორჩილებოდა (comites primi ordinis). სამხედრო უწყება გამოყოფილი იყო და შეადგენდა განსაკუთრებულ კატეგორიას.

მაელს იმპერიაში ტარდებოდა ერთი და იგივე წესები,—მიუხედავად ადგილობრივი პირობების სხვადასხვაობისა. პროვინციათა რიცხვში შედიოდა აგრეთვე იტალია, რომელიც გაერთიანებული იყო სიცილიასთან, სარდინიასთან, კორსიკასთან და რეციასთან და შეადგენდა იტალიის განსაკუთრებულ დიოცესს (diocesis Italiciana).

იტალიის შეყვანას პროვინციათა კატეგორიაში მოჰყვა მისი წინანდელი პრივილეგიების—სახელმწიფო გადასახადისაგან და ბევარისაგან განთავისუფლების—დაკარგვა. დიოკლეტიანეს დროს იტალია დაყოფილი იყო 8 ოლქად (ტრანსპადანი, ვენეცია—ისტრია, ემილია—ლიგურია, ფლამინიუმი—პიცენუმი, ეტრურია—უმბრია, კამპანია—სამნიუმი, ლუკანია—ბრუტიუმი, აპულა—კალაბრია). ესენი ემორჩილებოდნენ განსაკუთრებულ მოხელეებს გამასწორებლებს—კორექტორებს (correctores).

კორექტორებს უწოდებდნენ იმ პირთ, რომლებსაც ცენტრი გზავნიდა პროვინციებში ადმინისტრაციისათვის კონტროლის გასაწევად. კონტროლის ფუნქციას აგრეთვე ასრულებდნენ ფარული პოლიციის აგენტები (agentes in rebus), რომელთაც გვიანდელი იმპერიის დროს ერთ-ერთი პირველი ადგილი ექირათ ადმინისტრაციაში.

ქალაქის ადმინისტრაციის სტრუქტურა რომში თითქმის ისეთივე შერჩა როგორც იყო იმპერიის პირველ საუკუნეებში. „სალმროთ ქალაქს“ (urbs sacra) სათავეში ედგა ქალაქის პრეფექტი, ქალაქის მომარაგებას ხელმძღვანელობდა ანონის პრეფექტი (praefectus annonae ანუ praefectus frumenti dandi) და სხვა. გარდა ამისა, არსებობდა ბევრი სხვადასხვა კომისია: პურისა და წყლის დამაწმადებელი კომისია, ტაძრებისა, საზოგადოებრივ სახლებისა და კერძო

¹ Notitia Dignitatum, ed. O. Seeck.

სახლების სააღმშენებლო კომისიები (*cura aedium caerarum et operum locorumque publicorum*), სარწყავი არხებისა და მდინარე ტიბრის შემკეთებელი სპეციალური კომისიები (*cura alvei et riparum Tiberis*), ქალაქის სანიტარული და ჰიგიენური კომისიები და მრავალი სხვა.

აბსოლუტიზმმა განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში, რომლის დედაქალაქი ვენეციიდან იყო კონსტანტინეპოლი. ახალი რომის, კონსტანტინეპოლის, დაარსება შედეგი იყო მთელი რიგი პოლიტიკური, სამხედრო და იდეოლოგიური მიზეზებისა. ახალი რომი, გაშენებული წინანდელ ბერძნული ქალაქის ბიზანტიის ადგილზე აღმოსავლეთ ქვეყნების საზღვარზე და გამაგრებული ბუნებრივად, ითვლებოდა ახალ ქალაქად, რომელიც გაშენებული იყო იმპერატორის სურვილის მიხედვით და მისი მრჩეველების—ფილოსოფოსთა და მქადაგებელთა დასტურის თანახმად, რომლებიც თავისუფალნი იყვნენ რესპუბლიკური ტრადიციებიდან ¹.

საიმპერატორო ადმინისტრაციის მთავარ ამოცანას შეადგენდა გადამხდელი კლასებისაგან შემოსავლის ზედმეტი პროდუქტების მაქსიმუმის მიღება ბეგრისა და გადასახადების სახით. რადგანაც სახელმწიფოს გასაჯალი იზრდებოდა და ამავე დროს მოსახლეობის გადასახადო უნარიანობა თანდათანობით მცირდებოდა, ამიტომ ბეგრისა და გადასახადის უღელში ჩაბმულ იქნა აგრეთვე მაღალი კლასებიც. კონსტანტინეს დროს შემოღებულ იქნა ხუთწლიანი გადასახადი (*collatio lustralis*), ოფიციალურად ხუთწლიანი (ფულადი) გადასახადი უნდა აკრეფილიყო ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, იმპერატორის საიუბილეო წელს, მაგრამ სინამდვილეში კი გადასახადი უფრო ხშირად იკრეფებოდა და მას იხდიდა ყველა. კონსტანტინეს დროს შემოღებულ იქნა აგრეთვე განსაკუთრებული, საკმაოდ დიდი გადასახადი, სენატორთა მიწებზე (*gleba senatoria, aurum glebale*)—ორიდან რვა გირვანქა ოქრომდე.

გადასახადებისა და ბაჟების შეკრეფა და განაწილება ევალეზობოდა საფინანსო უწყებას ანუ იმპერატორის „სამღვთო სიუხვეს“ (*sacrae largitiones*), რომელსაც სათავეში ედგა „საღმრთო სიუხვის“ მმართველი (*comes sacrarum largitionum*).

ფისკალური აპარატის გაუმჯობესებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა ბიუროკრატიულ აპარატში ყოველგვარ ცვლილებ-

¹ J. Maurice, *Origines de Constantinople*, 1904 (*Mémoires du centenaire de la Société des Antiquaires de France*, 1904).

ბებს—სხვადასხვა უწყებების და კანცელარიების კომპენტენციის განსაზღვრას, ახალი თანამდებობების შემოღებას, თითოეული ხარისხის უფლებრივი მდგომარეობის დადგენას, თანახმად „რანგების ტაბელისა“, ხელფასის ნორმის განსაზღვრას, ბიუროკრატიულ აპარატის გამანსხვავებელ ნიშნების და სხვა დეტალების განსაზღვრას. რამდენად იმპერია დასასრულს უახლოვდებოდა, იმდენად უწყებათა და მოხელეთა რიცხვი თითოეულ უწყებაში უფროდაუფრო იზრდებოდა. უწყებებში (officia) სხვადასხვა რანგის მოხელეების და სპეციალისტების რაოდენობა აღწევდა 500, 600, 800, 1000 და კიდევ მეტს. კანონი ითვალისწინებდა მმართველობის ყოველ დეტალს და მოითხოვდა მოხელეებისაგან მხოლოდ ორი რამის მტკიცედ შესრულებას; 1) დაუღალავ ზრუნვას ფისკისათვის და 2) კანონის ყოველი მუხლის ფორმალურად შესრულებას. „არ უნდა მოითხოვო ის, რასაც ვნება მოაქვს ფისკისათვის და ეწინააღმდეგება სამართალს“ (nec damnos fisco nec iuri contraria postulari oportet)¹.

9. რომის იმპერიის ეკონომიური გამოცოცხლება IV საუკუნის პირველ ნახევარში

დიოკლეტიანეს მემკვიდრეების,—კონსტანტინესა და მისი შვილების დროს, გარეშე და საშინაო მდგომარეობა რომის იმპერიისა, როგორც აღინიშნა, გაუმჯობესდა; ეკონომიური კრიზისი შესუსტდა, კვლავ გამოცოცხლდა ს ა გ ა ც ვ ლ ი ლ ე ბ ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ა და აიწია ფულის კურსმა.

კონსტანტინეს ფულის რეფორმამ გაცილებით მეტი ნაყოფი გამოიღო, ვიდრე რამოდენიმე წლის წინათ მოხდენილმა დიოკლეტიანეს რეფორმამ. კონსტანტინეს დროს ფულის ერთეულად აღიარებულ იქნა ოქროს სოლიდი (solidus), წონით 4,3 გრამი. გირვანქა ოქროდან სკრიდნენ 72 სოლიდს, გირვანქა ვერცხლიდან—144 სილიკვას (siliquae), ხურდა წვრილ მონეტად იხმარებოდა ნუმუსი (nummus), მსგავსად ძველი სპილენძის ფულისა,—ასისა, შეფარდება ოქროსა და ხურდა ფულის შორის კონსტანტინეს სისტემაში უფრო დაცული იყო და შეესაბამებოდა ნამდვილ კურსს, ამიტომ კონსტანტინეს მონეტის სისტემა აღმოჩნდა უფრო გამძლე და შეცვლილი სახით უფრო დიდხანს გასტანა,—თვით იმპერიის დაცემამდე და საშუალო საუკუნეებამდეც კი.

¹ Cod. Just., I, 19, 3.

დიოკლეტიანეს ედიქტი მტკიცე ფასების შესახებ შეიცვალა და ნაწილი ნატურალური გადასახადებისა გადატანილ იქნა ფულზე.

გვიანდელი იმპერიის ეკონომიკის უახლესი მკვლევარების—მიკვიტცის¹, გაიხელჰაიმის და სხვთა გამოკვლევები ამტკიცებს, რომ ფული კერძო მეურნეობაში და გაცვლა-გამოცვლაში IV—V საუკუნეებში დიდ როლს თამაშობდა, სახელმწიფო მეურნეობაში კი, პირიქით, გაბატონებული იყო ნატურალური აღებ-მიცემა.

ნათქვამის დასამტკიცებლად, რომ კონსტანტინეს დინასტიის დროს, რომის იმპერია ეკონომიურად გამოცოცხლდა, სხვა მონაცემებთან ერთად, შეიძლება დავასახელოთ „მთელი მსოფლიოს აღწერა“ (Expositio totius mundi)². მცირე გეოგრაფიული ტრაქტატი, რომელიც შედგენილია, დაახლოვებით, IV საუკუნეში. ამ „აღწერიდან“ ჩვენ ვცხოვრობთ, რომ იმ დროს, განსაკუთრებით იმპერიის აღმოსავლეთ ნახევარში, არსებობდა განვითარებული ვაჭრობა და ხელოსნობა. ამ „აღწერაში“ ავტორს მთელ ხმელთაშუა ზღვის მიდამოებიდან გამოყოფილი აქვს ეგვიპტის ალექსანდრია, რომელიც საექსპორტო სამეურნეო პროდუქტებს ამზადებდა, როგორც იყო პაპირუსი, მინა, სელი და სხვა, და რომელიც წარმოადგენდა დამაკავშირებელ წერტს აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის. შემდეგ მოსდევს ფინიკიისა და პალესტინის ქალაქები თავიანთი აბრეშუმისა და საღებავების ნაწარმოებით, დასახელებულია კიპროსი — განთქმული თავისი გემთსაშენითა და სხვა.

დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ქვეყნებიდან დასახელებულია აფრიკა, რომელიც პურით ამარაგებდა იტალიას. გარდა ამისა, აფრიკა იძლეოდა დიდი რაოდენობით ერბოს, ღვინოს და საფეიქრო ნაწარმოებებს. იტალიიდან გაჰქონდათ ძვირფასი ღვინო, ერბო; ესპანიიდან—თევზი, ხორცი, ქონი, ტანსაცმელი, სიცილიიდან—რქოსანი საქონელი, მატყლი; მაკედონიიდან—რკინა, ტყვია, პანონიიდანა და მავრეტანიიდან—თევზი და სხვ. ჩრდილო ქვეყნებსაც დავტყუო გამოცოცხლება. იმავე „აღწერის“ იურიდიულ ძეგლებიდან, წარწერებიდან და არქეოლოგიურ მონაცემებიდან ვცხოვრობთ ქალაქის ცხოვრების გამოცოცხლების შესახებ ღუნაის ქვეყნებში, ბრიტანეთში, გალიასა და გერმანიაში.

¹ G. Mickwitz, Die Systeme des römischen Silbergeldes im IV Jahrhundert n. Chr., 1933.

² Creogr. lat. min., p. 108—126.

„აღწერაში“ მოხსენებულია რომაული დასავლეთის ქალაქთაგან: მილანი, აკვილეა, არელატე, ლუგდუნე, ტრირი და სხვ., რომლებიც მდებარეობდნენ დიდი გზების კვანძებზე, ან კიდევ ზღვის სანაპიროებზე. დასავლეთ ქალაქებიდან რომის უკანასკნელ საუკუნეებში მსოფლიო მაშტაბით ცნობილი იყო ქ. არელატე (არლი), რომლის შესახებაც მოგვყავს ცნობა თეოდოსეს კოდექსიდან:

„ქალაქის მდგომარეობა იმდენად ხელსაყრელია, ამ ქალაქში მოსულ უცხო პირთა რიცხვი იმდენად დიდია, ვაქრობა იმდენად ფართოა, რომ აქ თავი მოუყრია სხვადასხვა კუთხის ხალხს და მათ ნაწარმოებებს. ყველა ის, რაც შეუქმნია მდიდარ აღმოსავლეთს, კეთილსურნელოვან არაბეთს, ნაზ ასურეთს, ნაყოფიერ აფრიკას, ულამაზეს ესპანიას და მამაც გალიას,—ყველაფერი არის იქ დიდი რაოდენობით მოცემული. ასე რომ, რაც განცვიფრებაში მოიყვანდა სხვა კუთხის ან მხარის ხალხს, იქ, არელატაში, ჩვეულებრივ პროდუქტად არის მიჩნეული. ამასთან რომის შეერთება ტოსკანის ზღვასთან აახლოვებს, და ამეზობლებს ამ ქვეყნებს. ამნაირად, მთელი ქვეყანა აწვდის ამ ქალაქს მას, რაც უძვირფასესია; ამათუიმ ქვეყნის ნაწარმოებები გადააქვთ იქ ხმელეთით, ზღვით, მდინარეებით—იალქანების საშუალებით და სხვ. ქალაქის წიაღში თითქო ღვთის წყალობით განზრახ იყოს გაერთიანებული სიცოცხლის ყველა სიტკბოებანი და ვაქრობისათვის საჭირო ყველა ხელშემწყობი პირობა“¹.

რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილის ქალაქებმა თითქმის შეინარჩუნეს თავისი მნიშვნელობა ანტიკური მსოფლიოს დასასრულამდე, მაგრამ ამავე დროს შეიგრძნობა თანდათანობითი გადასაცვლები, ეკონომიური და კულტურული ცენტრებისა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. რამდენად იმპერია უახლოვდებოდა დასასრულს, იმდენად დასავლეთის ქალაქები ცარიელდებოდნენ და იქცეოდნენ სოფლებად, ამავე დროს რომის იმპერიის მეორე ნახევარში—აღმოსავლეთში იწყებოდა განთიადი ახალი ცხოვრებისა. დიოკლეთიანესა და, განსაკუთრებით, კონსტანტინეს დროს, რომის სამყაროს საშუამავლო ვაქრობა გადაიქცა აღმოსავლეთ ქვეყნების (სირიელებისა და ებრაელების) ვაქრების მონოპოლიად. საქარავნო გზები ვადიოდნენ სირია—მესოპატამიაზე ვიდრე ინდოეთ-არაბეთამდე. სირიელ ნეგოციანტების ფაქტორიები იყვნენ დაღმაციაში, გალიაში, იტალიაში და ესპანიაში. არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ქალაქგარეთ მდე-


¹ Cod. Theod., VII, 16.

ბარე აგარაკები აპამეისა და ანტიოქიის ვაჭრებისა და ხელოსნებისა, რომელთაგანაც ყველაზე უძველესი, მომზენის ავტორიტეტული დასტურით არაადრინდელია IV საუკუნისა და არაუგვიანესია VI საუკუნისა, ასევე მიგვითითებენ იმპერიის რომის აღმოსავლეთ ნაწილში განვითარებულ სავაჭრო—სახელოსნო ცხოვრებაზე. ეგვიპტური წარმოების მშვენიერი ოქრო და სახოვანი ქსოვილები გაჰქონდათ ინდოეთში, აბისინიაში და ჩინეთში.


იგივე შეიძლება ითქვას რომის აღმოსავლეთ პროვინციაზე მცირე აზიაზე. კეთილდღეობა მცირე აზიისა, ისე როგორც სირიისა და ეგვიპტისა, დამოკიდებული იყო მიწათმოქმედებაზე, ხელოსნობაზე, ვაჭრობაზე, განსაკუთრებით მონათვაჭრობაზე.

ამიან მარცელინი მოგვითხრობს მონებით წარმოებულ რეგულარულ ვაჭრობის შესახებ. გალატიის ვაჭრებს მონები გამოჰყავდათ გასასყიდად მცირე აზიის ბაზრებზე. მონებს იყენებდნენ საღმუშაოდ მცირე აზიის საფეიქრო სახელოსნოებში, მატყლისა და სელის საქსოვ სახელოსნოებში.

მილეტისა და გალატის მატყლს, რომლის გადამუშავება ხდებოდა ფრიგიის სახელოსნოებში, კონკურენტი არ ჰყავდა მთელ მსოფლიოში. ფილადელფიაში, ლიდის ერთ-ერთ ქალაქში, გახსნილი იყო ფეიქართა და ქოშების მკერათა მთელი კვარტალები¹. კილიკიის წარწერებში მოხსენებულია ხელოსნები (ქრისტიანები): ოქროს ნივთების ხელოსნები, თოქმაჩები, ინსტრუმენტების მკეთებელნი, ფეიქრები, ფეხსაცმელების ოსტატები, ვაჭრები და სხვ. კონსტანტინეს ქალაქ კონსტანტინეპოლს რომის იმპერიაში პირველი ადგილი უჭირავს, რაც უნდა აეხსნათ მისი გეოგრაფიული, ხელსაყრელი პირობებითა და საერთაშორისო და პოლიტიკური მდგომარეობით.



¹ Т. Моммзен, Римская история, VI, изд. 1895 г., стр. 324.



თ ა ვ ი XXV

რომის იმპერიის ფეოდალიზაცია

1. სოფლის მოსახლეობის უმად გადაქცევა

IV საუკუნის შუა წლების ზემოაღნიშნული ეკონომიური აღორძინება დიდხანს არ გაგრძელებულა, რომის სახელმწიფოს შინაგანი გახრწნა კანონზომიერად უითარდებოდა, ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა. ე. წ. ხალხთა დიდი გადასახლების დროიდან, შინაგან ფაქტორს, რომელიც ძირს უთხრიდა რომის სახელმწიფოებრივობას, ზედ დაერთო კიდევ გარეშე ფაქტორი—ბარბაროსების გაძლიერებული შემოტევა, რომის სახელმწიფოს რკინის სალტესავით გარს რომ ერტყმოდნენ. იმის გამო, რომ სასახლეში ხშირი იყო გადატრიალების შემთხვევები, პროვინციებში ეწყობოდა ამბოხებები, ჩნდებოდნენ უზურპატორები, სუფევდა შიმშილობა და ეპიდემია, წარმოებდა ომი მოზღვავებულ ბარბაროსებთან,—რომის სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობა მეტად სავეალალო იყო, ფულის ღირებულება კატასტროფიულად ეცემოდა, გაცვლა-გამოცვლა იკუმშებოდა; შრომის ნაყოფიერება მცირდებოდა, მწვავედ იგრძნობოდა მუშახელის ნაკლებობა; როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე სახელმწიფოებრივ და კერძო წარმოებებში. მაშინდელ პირობებში ამ მდგომარეობიდან გამოსავალი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ სახელმწიფოებრივ ბატონყმობაზე გადასვლა, ე. ი. ახალი ნაბიჯის გადადგმა—რომის იმპერიის ნატურალიზაციისა და ფეოდალიზაციის გზაზე. სწორედ ამ გზას დაადგინენ—ლოგიკური აუცილებ-

ლობით—კონსტანტინესა და მისი მომდევნო ხანის რომაული დინასტიის იმპერატორები.

რომის იმპერიის გადამხდელი მოსახლეობის ყმებად გადაქცევა დაიწყო დიოკლეთიანეს საგადასახადო რეფორმით და ვითარდებოდა თვით იმპერიის დასასრულამდე.

გადასახადის შემოსვლის რეგულირება გულისხმობდა მოსახლეობის სტაბილურობას და გადამხდელთა რიცხვის საკმაო რაოდენობას, მაგრამ არცერთი ასეთი პირობა მაშინ არ არსებობდა: გადამხდელთა და მუშახელის რაოდენობა განუწყვეტელი ომებისა, ემიგრაციისა, ეპიდემიისა და შიმშილის შედეგად გამუდმებით მცირდებოდა. III საუკუნის დასასრულს რომის იმპერიის მცხოვრებთა რაოდენობა არ აღემატებოდა 50 მილიონს, მაშინ როდესაც II საუკუნეში ის 75 მილიონს აღწევდა. გარდა ამისა, საერთოდ მოსახლეობის სითხელესთან ერთად, მოსახლეობა იმპერიაში უაღრესად არათანაბრად იყო განაწილებული. დიდი ქალაქები—ალექსანდრია, ანტიოქია, კონსტანტინეპოლი, რომი და მილანი ძალზე მჭიდროდ იყო დასახლებული, ამავე დროს კი სხვა წვრილი ქალაქები და სოფლები განიციდიდა სიცარიელეს.

მუშათა ძალების ნაკლებობა და მისი დენადობა ზიანს აყენებდა სახელმწიფო ინტერესებს მთლიანად და ამავე დროს ილახებოდა ინტერესები მიწათმფლობელთა, განსაკუთრებით, საშუალო და წვრილი პოსესორებისა, რომლებიც განიციდიდნენ მუშახელის ნაკლებობას. კოლონებსა და მონებს ერჩიათ ემუშავათ სენატორების მამულებში, სახელმწიფოსა და საეკლესიო მიწებზე, სადაც ისინი სარგებლობდნენ პრივილეგიებით,—ვიდრე მსხდარიყვნენ საშუალო და წვრილ მესაკუთრეთა მამულებში.

დიოკლეთიანეს საგადასახადო რეფორმამ ნაწილობრივად შეასუსტა დენადობა მუშახელისა, მაგრამ ის სავსებით ვერ აღმოფხრა. მუშახელის დენადობის სავსებით შესაწყვეტად ან შესამცირებლად და ამავე დროს რომ მოსახლეობაც თანაბრად განაწილებული ყოფილიყო რომის მთელ ტერიტორიაზე, საჭირო შეიქნა ამისათვის სახელმწიფო ხელისუფლების უფრო ენერგიული ჩარევა.

პოსესორებს უამრავი საჩივრები შეჰქონდათ იმპერატორის კანცელარებში კოლონების გაქცევის შემთხვევების შესახებ და მოითხოვდნენ სახელმწიფოსაგან დახმარებას. იმპერატორებმა საშუალო სამსახურის წოდების ამ მდგომარეობას გაუწიეს ანგარიში და გამოსცეს მთელი რიგი კონსტიტუციები, რომლითაც ბოლო მოუღეს კოლონების თავისუფალ გადასვლას ერთი მემამულიდან მეორესთან.

კონსტანტინეს დროიდან იმპერიის დასასრულამდე გამოიცა რამდენიმე დეკრეტი კოლონებისა და მონების „მიწერის ადგილზე“ (origo) მიმაგრების შესახებ. პირველი კანონი „გაქცეული კოლონების“ (de fugitivis colonis) შესახებ გამოიცა კონსტანტინეს მიერ 30 ოქტომბერს 332 წელს. ამ კანონის გამოცემის საბაბად გახდა ადგილებიდან მიღებული საგანგაშო ცნობები ცენზების შესახებ. ფულის ამკრეფნი და რევიზორები იძლეოდნენ ცნობას გადამხდელთა რიცხვის ერთეულების შემცირებისა, მუშახელის დაკლებისა, კოლონების გაქცევისა, საშუალო და წვრილი პოსესორების განადგურების შესახებ. ამის საპასუხოდ კონსტანტინემ გამოსცა აღნიშნული დეკრეტი, რომელიც კრძალავდა გაქცეულ კოლონებისა და მონების მიღებას.

„ის, ვისაც აღმოაჩნდება სხვისი კუთვნილი კოლონი,—ამბობს კონსტანტინეს კანონი,—ვალდებულია არათუ დააბრუნოს იგი უკან, საიდანაც წამოსულია, არამედ ვალდებულია გადაიხადოს ის გადასახადი, რაც მასზე (კოლონზე) შეწერილი იყო მთელი იმ დროის განმავლობაში, ვიდრე კოლონი მასთან იმყოფება. კოლონები კი, რომლებიც განიზრახავენ გაქცევას, შებორაკილი იქნებიან ისე, როგორც მონები, და ამ მდგომარეობაში შეასრულებენ იმ ვალდებულებებს, რომელსაც ასრულებს თავისუფალი ხალხი (ipsos etiam colonos qui fugam meditantur, in servilem condicionem ferro ligari conveniet, ut officia, quae liberis congruunt, merito servilis condemnationis compellantur implere)¹.

კოლონებსა და მონებს ამაგრებდნენ იმ მამულებზე, სადაც ისინი რეგისტრირებული იყვნენ უკანასკნელ აღწერის დროს. არავითარი გადაყვანა ადგილიდან ადგილზე ამიერიდან არ დაიშვებოდა.

„ამ განკარგულებით ჩვენ,—ნათქვამია იმპერატორის ერთ რესკრიპტში,—კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ არავის არა აქვს უფლება ერთ მამულზე მიკუთვნილი გადასახადი გადაიტანოს მეორე მამულზე (praestationes possessionum), დეე, იმ იდგილზე მოხდეს გადასახადის შეტანა (inlatio tributaria), რომელიც ნაჩვენებია ცენზით“².

იმპერატორების კონსტიტუციის დიდი ნაწილი, რომელიც ეხება ცალკეულ პროვინციებს და აწესრიგებს ზოგიერთ საკითხს, გვიჩვენებს, რომ ბატონყმური დამოკიდებულება არ იყო შედეგი ერთი მთლიანი კანონმდებლობითი აქტისა, რომელიც გამოცემული იყო

¹ Cod. Theod., V, 17, 1. De fugitivis colonis, inquilinis et servis.

² Cod. Theod., XI, 22, 5.

რომის მთელი იმპერიისათვის, არამედ ეს ყალიბდებოდა რომის იმპერიის მთელს ტერიტორიაზე თანდათანობით სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას. ილირიაში, მაგალითად, კოლონების ადგილებზე მიჯაჭვა შემოღებულ იქნა მხოლოდ ვალენტინიანეს დროს—371 წ. „ჩვენ ვფიქრობთ, რომ კოლონები და ინკვილინები ილირიკისა და მეზობელ ოლქებისა ვერ დასტოვებენ სოფლებს, სადაც ისინი იმყოფებიან, დაბადებულან და ჰყავთ ნათესავეები: დეე, ისინი ემსახურონ მიწას, არა მხოლოდ იმისათვის, რომ საგადასახადო ვალდებულება აქვთ, არამედ სახელისათვის და კოლონების მდგომარეობის გამო“ (inserviant terris non tributario nexu sed nomine et titulo colonorum)¹.

„ამიერიდან,—ამბობს მეორე კონსტიტუცია იმავე იმპერატორისა,—პოლესტინის კოლონებს არა აქვთ უფლება ისარგებლონ სრული უფლებით გამოიცვალონ საცხოვრებელი ადგილი, არამედ, შგავსად სხვა პროვინციების კოლონებისა, ისინი ემაგრებიან მიწაზე და არავის არ შეუძლია წაიყვანოს ისინი თავისთვის სასჯელის მიღების გარეშე“ (exemplo aliarum provinciarum ita domino fundi teneatur, ut sine poena suscipientis non possit abscedere)².

ანალოგიური დადგენილებები არსებობდა თრაკიისა და სხვა პროვინციების შესახებაც, მაგალითად, იმპერატორ თეოდოსის კანონის ერთ-ერთ მუხლში თრაკიის დიოცეზის კოლონებს ეკრძალებათ დასტოვონ ის ადგილები, სადაც ისინი ამჟამად ცხოვრობენ.

„მთელ თრაკიის დიოცეზში ამიერიდან სამუდამოდ გაუქმებულია თავური გადასახადი და გადაიხდება მხოლოდ საადგილმამულო გადასახადი (iugatio terrena). მაგრამ ეს არ უნდა იყოს გაგებული თითქოს კოლონი თავისუფლდებოდეს საღალაო-საგადასახადო დამოკიდებულებიდან (tributariae sortis) და ნება ეძლეოდეს მას თავისუფალ გადასვლაზე ადგილიდან ადგილზე, სადაც მას მოესურვება, ისინი რჩებიან ადგილზე მემკვიდრეობითი დამოკიდებულების უფლებით (originario iure) და ისინი მდგომარეობით თავისუფალნიც რომ იყვნენ, მაინც წარმოადგენენ მიწის მონებს (servi tamen terrae ipsius), რომელზედაც ისინი დაბადებულან; ესენი განიხილებიან როგორც ისეთნი, რომელთაც არა აქვთ უფლება თავის სურვილის მიხედვით ადგილი გამოიცვალონ. მფლობელს კი (possessor eorum) ნება ეძლევა მათდამი დამოკიდებულებაში ისარგებლოს პატრონის უფლებით და ბატონის ხელისუფლებით. ხოლო თუ ვინმე საჭიროდ

¹ Cod. Just., XI, 53, 1.

² Ibid., XI, 51, 1.

დაინახავს, რომ მოიყვანოს სხვისი კოლონი თავის სახლში, მაშინ ის გადაიხდის 2 გირვანქა ოქროს¹.

კონსტიტუციებში სხვადასხვა კომბინაციებით მეორდება ერთი და იგივე აზრი, რომ კოლონს არ შეუძლია გადავიდეს სხვა რომელიმე მდგომარეობაში, გაასხვისოს კოლონის მიწის ნაკვეთი და გასხვისებულ იქნას მიწის მფლობელის მიერ. გაყიდული ან სხვა გზით გასხვისებული მიწები, დაუყოვნებლივ უნდა დაებრუნებინათ მათ ვინც უკანონოდ და არა სწორი გზით შეიძინა ისინი².

თვით კოლონებსა და მონებს, რომლებიც დაარღვევდნენ დადგენილ ნორმებს, კანონი სასტიკად სჯიდა (*servos vero et colonos coercitio ab huiusmodi ausibus severissima vindicabit*)³ მკაცრი სასჯელებით (*vinculus poenis que subdantur*), რკინის ბორკილითა (*ferro ligari*)⁴ და ასე შემდეგ.

„მიწერის“ პრინციპი ვრცელდებოდა არა მარტო კოლონებზე, არამედ მონებზედაც, რომლებიც ამ გზით გაერთიანდნენ დამოკიდებულ ხალხთა ერთ კატეგორიაში (*obnoxii*). სავადასახადო სიაში შეტანილი მონები, კოლონები და მიწის თავისუფალი დამამუშავებელი ცხადდებოდნენ მიმაგრებულებად, როგორც „ადგილზე მიწერილი“ და ავტომატურად გადადიოდნენ „მიწერთა“ რიგებში (*adscripticii*) ანუ „საცენზო ადამიანებში“ (*censiti, obnoxii, servi censibus adscripti*)⁵. ზოგ კონსტიტუციაში კოლონატს უწოდებენ მონობის უღელს (*iugum servitutis*). კოლონები კი გათანაბრებულია მიწის მონასთან (*servi terrae adscriptio terrae*), მიწის მფლობელი კი მოხსენებულია პატრონად (*patronus*) და ბატონად (*dominus*). მთელი რიგი კანონები, რომლებიც ეხებიან კოლონისა და მონის მიწაზე მიჯაქვას, მთავრდება იმპერატორი ანასტასის 500 წელში გამოცემული კონსტიტუციით, რომელშიაც კოლონების, ინკვილინებისა და მონების განუწყვეტლივ ერთდამავემამულში ცხოვრების ხანდაზმულობად აღიარებულია 20 წელი. ამ ხნის განვლის შემდეგ არა მარტო მიწის დამამუშავებელი (*servus terrae*), არამედ მისი ცოლი და მთელი მოდგმა ავტომატურად ემაგრებიან „მიწერის ადგილს“.

„შეიძლება თუ არა კოლონის შეილს, მამის სიკვდილის შემდეგ საპატიოდ ჩაეთვლოს ის გარემოება, რომ იგი 30, 40 წლის განმავ-

¹ Cod. Just., XI, 52, 1.

² Ibid., VII, 38, 2.

³ Cod. Theod., XVI, 5, 54.

⁴ Cod. Just., XI, 53, 1.

⁵ Cod. Theod., XI, 3, 2; VII, 1, 3.

ლობაში ცხოვრობდა თავისუფალ მოქალაქის უფლებებით,—მიწის-მფლობელი კი მისი მამის მუშაობით კმაყოფილდებოდა, და არ მოითხოვდა მის თავისთან ყოფნას, რის შედეგად ის მრავალი წლის განმავლობაში არ ასრულებდა არავითარ სამუშაოს და ვალდებულებას და, ამნაირად, შეიქმნა იგი სოფლისათვის სრულიად უსარგებლო? ამავე დროს არც მიწისმფლობელისათვის შეეძლო ვისმეს ესაყვედურებინა დაუდევრობა, ვინაიდან მამას გადახდილი ჰქონდა ყოველივე, რის მოვალეც კი იყო.

„ჩვენ გვგონია, რომ მთელ რიგ ასეთ შემთხვევებში ვიქნებოდით შეუბრალებლნი, რომ არ შევსულიყავით მესაკუთრეთა მდგომარეობაში, რომლებიც განიცდიან ზარალს მის სოფელში დაბადებული კოლონების წასვლის გამო, რომელთა ნაცვლად მუშაობენ მამები, ძმები და ნათესავები. იმის გამო, რომ ასეთ შემთხვევებში ნათესავების საშუალებით პიროვნების ნაწილი მაინც რჩებოდა მამულში, წასული პიროვნება ერთგვარად არ ითვლებოდა წასულად და თავისუფლებაში მყოფად. ამ საფუძველზე მიწათმფლობელის უფლება უნდა დარჩეს ურყევად და კოლონი ითვლება მამულში მყოფად, ვიდრე ამ მიწაზე რჩებიან მისი წინაპრები, მოდგმა და ნათესავები“¹.

იმპერატორების კონსტიტუციით არათუ განსაზღვრული იყო უფლებრივი მდგომარეობა კოლონისა, არამედ ნაჩვენები იყო ღალისა და ბეგარის ხასიათი და რაოდენობა, როგორც მებატონის ისე სახელმწიფოს მიმართ. „კოლონის ვალდებულებას შეადგენს დაამუშაოს მიწა და გადაიხადოს გადასახადი (at enim hi quoque et terram et tributum solvere)—ასეთი იყო გვიანდელი იმპერიის საკანონმდებლო აქტების ფორმულა. პირველ რიგში იდგა სახელმწიფო ვალდებულებანი, რომლებშიც, გარდა სულადობრივი გადასახადისა (tributum capitis), რომელსაც იხდიდა „სოფლის პლებსის“ ყველა თანრიგი, ნაგულისხმევი იყო, აგრეთვე, საზოგადოებრივი ვალდებულებანი და გამოსაღებები (publicae functiones fiscalia). „ყველა მფლობელნი მიწის ნაკვეთებისა იხდიან სახელმწიფო ვალდებულებებს, დეე, ამასთანავე ნურავინ მოიმიზნებეს რომელიმე საწინააღმდეგო აქტებს“ (omnes pro his agris quos possident publicas pensationes agnoscant)². არავითარი პრივილეგიური მდგომარეობა არ გამოდგება საბაზად სახელმწიფო ბეგარისაგან და დადგენილ ვალდებულებებისაგან თავის

¹ Cod. Iust., XI, 48, 22, cp. XI, 48, 19; XI, 69, 1; XI, 48, 23.

² Cod. Theod., XI, 3, 3.

დასაღწევად (*obsistere commodis publicis et statutis necessitatibus non possunt privilegia dignitatum*)¹.

დამოკიდებულება კოლონებსა და მემამულეთა შორის განისაზღვრებოდა სამამულო წესდებით (*lex praedii*), რომლის დარღვევა ისჯებოდა უმაღლესი ხელისუფლების მიერ.

თანახმად სამამულო წესდებისა, კოლონები უზღიდნენ მემამულეებს მოსავლის განსაზღვრულ ნაწილს (*partes fructuum, partes agrariae*), ჩვეულებრივად ერთ მესამედს². ფულით ღალის აკრეფა აკრძალული იყო, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებული იყო წესდებით (*nisi consuetudo praedii non exigat*)³. რეგულარულ ღალებს ემატებოდა კიდევ არარეგულარული ექსტრაორდინალური ვალდებულებანი, ე. წ. „შავი სამუშაოები“ (*sordida munera*), რომელთა რიცხვს ეკუთვნოდა გაყვანა და შეკეთება გზებისა და ხიდებისა, ფურნეში მუშაობა, ნახშირის მოზიდვა, კირის გამოწვა, ტრანსპორტის უზრუნველყოფა ცხენებითა და ურმებით (*paraveredorum et parangariarum praebitio*) და ასე შემდეგ.

კონფლიქტების გასარჩევ უმაღლეს ინსტანციად, თუ კი ასეთი წარმოდგებოდა მემამულეთა და კოლონებს შორის, იყო სახელმწიფო და მისი მოხელენი (*officiales*).

ცალკეული პოსესორების სარგებლიანობასთან შედარებით, სახელმწიფოს ინტერესები მთლიანად,—ე. ი. მსახურეული წოდების ყველა ჯგუფების ინტერესები—უფრო ფართო იყო და ყოველთვის არ ემთხვეოდა ცალკეულ პირთა და ჯგუფთა მისწრაფებებს. აქედან გამომდინარეობდა საჭიროება კანონმდებლობითი გზით შეზღუდულიყო ცალკეული პოსესორების თვითნებობა, რომელსაც ისინი იჩენდნენ მამულში მყოფ გადამხდელთა მიმართ გადასახადისა და ბეგარის საქმეში. პოსესორს, რომელიც აიღებდა კოლონისაგან დადგენილზე მეტს, ევალებოდა დაებრუნებინა იგი უკანვე კოლონისათვის იმ პირობით, რომ ეს კვლავ არ განმეორებულყო. კოლონი ითვლებოდა მიმაგრებულად არა ამათუიმ პირზე, არამედ განსაზღვრულ მიწის ნაკვეთზე, რომელსაც ვერც თავად დასტოვებდა და არც მემამულეს შეეძლო მისი აქედან გაძევება. კოლონი, თანახმად რომის სამართლის მოსწრებული გამოთქმისა, „მონაა მიწისა“ და არა მიწის მფლობელისა⁴.

¹ Ibid., XI, 1, 25.

² Lex Hadriana, III.

³ Cod. Just., XI, 48, 5.

⁴ Cod. Just., XI, 48, 19; XI, 69, 4.

„ყველა კოლონს, ვისაც კი მისმა ბატონმა წაართვა იმაზე მეტი, რაც დაწესებული იყო პრაქტიკით და რასაც იხდიდნენ წარსულში, უფლება აქვს მიმართოს მახლობელ უფროსს სამართლისათვის და აუხსნას მას საქმის შინაარსი. ამით,—ვინც წაიღო ნორმაზე მეტი, ერთმევა საშუალება შემდგომში თავის უფლების ბოროტად გამოყენებისა, რადგანაც მას წაერთმევა მის მიერ ზედმეტად წაღებული“ (*prius reddito quod superexactione perpetrata nocitur extorsisse*)¹.

მიწის გაყიდვა შეიძლებოდა მხოლოდ მასზე დასახლებული ხალხით—კოლონებითა და მონებით და, პირიქით, ადამიანების გასხვისება ნებადართული იყო მხოლოდ მიწასთან ერთად.

ნათქვამიდან გარკვეულია უფლებრივი განსხვავება კოლონსა და მონას შორის, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ კლასიკური პერიოდის მონა უშუალოდ დაქვემდებარებული იყო თავის ბატონ-მონათმფლობელისადმი, მაშინ, როდესაც კოლონი იყო დაკავშირებული მიწის მფლობელთან მის მიერ დამუშავებული მიწის ნაკვეთის საშუალებით და მასზე დადებულ სახელმწიფო და კერძო მფლობელურ ვალდებულებათა საშუალებით, რისგანაც მას *de iure* ყოველთვის შეეძლო განთავისუფლებულიყო გარკვეულ პირობათა შესრულების ნიადაგზე.

იდეა კოლონის გასაშუალებითი დამოკიდებულებისა გამოვლინებულია არა მხოლოდ კანონმდებლობაში (*servi terrae, membra terrae, agrorum pars*), არამედ გვიანდელი რომის იმპერიის ლიტერატურაშიაც, როგორც იყო, მაგალითად, ავგუსტინის „ღვთის ქალაქი“, სადაც წინა პლანზე წამოწეულია არა პირადი, არამედ საადგილ-მამულო დამოკიდებულება კოლონისა პოსესორისაგან (*propter agriculturam sub dominio possessorum*)².

უფლებრივი განსხვავება კოლონსა და მონას შორის პრინციპულად რომის იმპერიის ბოლომდე არსებობდა, თუმცა პრაქტიკაში კოლონებს და მონებს ხშირად ურევდნენ ერთმანეთში და ათავსებდნენ დამოკიდებულ ადამიანთა ერთ კატეგორიაში. მართლა, „აბა რა განსხვავება უნდა იყოს მონასა და მიწერილს—კოლონს შორის, როდესაც ერთიცა და მეორეც იმყოფებიან ბატონის განკარგულებაში“ (*cum uterque in domini sui positus sit potestate*)³, ნათქვამია VI საუკუნის ერთ კანონში.

¹ Cod. Iust., XI, 50, 1.

² Augustin, De civitate Dei, 10, 1.

³ Cod. Just., XI, 49, 21.

როგორც ამას ქვემოთ ცხადად დავინახავთ, იმპერატორების ცდა, რომ პოსესორების ინტერესები დაემორჩილებინათ საზოგადოებრივ—სახელმწიფოებრივ ინტერესებისათვის, ბევრ წინააღმდეგობას აწულებოდა და საერთოდ ვერ დამთავრდა სასურველად. სახელმწიფოს მიერ შემზღუდველ პოლიტიკის გატარებას დიდი წინააღმდეგობით შეხვდნენ საერო და საეკლესიო მაგნატები, რომელთა ხედვითი წონა რომის იმპერიის უკანასკნელ საუკუნეებში ძალზე გაიზარდა.

ისტორიული პროცესი იმპერატორების სურვილების წინააღმდეგ მიიმართებოდა; რაც დრო გადიოდა და იმპერია დასასრულს უახლოვდებოდა, მით უფრო კოლონები და მონები რომის იმპერატორის ქვეშევრდომობისაგან მაგნატების ქვეშევრდომებად ხდებოდნენ, მაგნატებისა, რომლებიც თანდათანობით ითვისებდნენ იმპერატორის ძალაუფლებას, აგროვებდნენ გადასახადებს, იწვევდნენ ჯარისკაცებს და სხვ. „ყველა თანრიგის კოლონები ვალდებული არიან დარჩნენ თავიანთ ადგილებზე და უყოყმანოდ ემორჩილებოდნენ თავიანთ ბატონებს“ (*domino possideri*), მოგვითხრობს იმპერატორთა ერთ-ერთი დადგენილება... არაოფიციალური ძეგლების, განსაკუთრებით კი საქრისტიანო პუბლიცისტიკის მიხედვით, როგორც, მაგალითად, თხზულებანი და ქადაგებანი იოანე ოქროპირისა და „საწყალო მღვდლის“ სალვიანის მოთხრობა, — ჩვენ თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რომის იმპერიის დასასრულს სოფლის მოსახლეობის მდგომარეობა მასიურად გაცილებით უარესი იყო ვიდრე ანტონინებისა და სევერუსების დროს. „კოლონებს,—სჩივის ერთ-ერთ თავის ქადაგებაში რიდიკალურად განწყობილი მქადაგებელი იოანე ხრიზოსტომი (ოქროპირი),—რომელთაც წიმშილით სული ხდება, აკისრებენ მძიმე აუტანელ სამუშაოებების შესრულებას; მათგან მოითხოვენ ძალღონის შეუსაბამო სამსახურის შესრულებას, აზუზად ივდებენ, როგორც ვირსა და ჯორს— ისე ერეკებიან, არ აძლევენ საშუალებას სული მოითქვან. იმისდა მიუხედავად კოლონის მიერ დაქერილი მიწის ნაკვეთი იძლევა თუ არა შემოსავალს, მაინც მოითხოვენ მისგან ღალას, არ ეძლევა მას არავითარი შეღავათი. ვინ არის ღირსი მეტი სიბრალულისა, თუ არა გლეხი, რომელმაც მთელი ზამთარი იმუშავა, დაიქანცა, ბევრი უძილო ღამეები გაატარა და მიღის შინ ცარიელი ხელებით, თანაც ვალშია ჩაფლული. შიმშილისა და გაჭირვების გარდა მან უნდა განიცადოს დიქტატორ-მემამულეებისაგან საშინელი ტანჯვა-წამება და მოთხოვნა დავალიანების დაფარვისა, საბატონო ბევარის შესრულებისა¹.

¹ Joach. Chrysost., Homilia in Math., 61, 3.

2. ხელოსანთა და სახელოსნო კოლექციების დაყვება

ბატონყმური ტენდენციები, ასე მკვეთრად გამოვლინებული კოლონიების შესახებ კანონმდებლობაში, შეიგრძნობოდა, აგრეთვე, სახელმწიფოებრივ და კერძო მეურნეობის ყველა დარგში. მიმაგრებას, ან მიჯაჭვას, ყველგან ჰქონდა ადგილი, როგორც სახელმწიფოებრივ დარგებში, აგრეთვე, კერძო ეკონომიკაში, სადაც მუშათა ხელის ნაკლებობა იგრძნობოდა. სასოფლო-სამეურნეო დარგების გვერდით— მსხვილ საიმპერიო წარმოებებში, როგორც იყო ჯანმრთელობისათვის მავნე მადნეულები, რკინის დამამუშავებელი სახელოსნოები, სამღებროები და სხვა— განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო მუშახელის ნაკლებობა...

საიმპერატორო მეურნეობა თანდათანობით ვითარდებოდა, — განსაკუთრებით ის გაფართოვდა III საუკუნის ბოლოდან, როდესაც იმპერატორების ხელში დაგროვდა დიდძალი მიწა, სახელოსნოები და მუშახელი. სახელმწიფო მრეწველობის თითქმის მთავარი სახელოსნო დარგები იმპერატორების მიერ გამოცხადებული იქნა მონოპოლიზებულად. იმპერატორის საკუთარ სახელოსნოებში (*propriae fabricae*) მზადდებოდა იარაღი, სამხედრო საქურველი და ფუფუნების საგნები, ძვირფასი სელის, მატყლისა და ძოწეულ ქსოვილები.

დიოკლეთიანეს ედიქტიდან, კოდექსებიდან და „ტაბელებიდან“, ვტყობილობთ, რომ იმპერატორების „ფაბრიკებს“, რომელნიც გაფანტული იყვნენ მთელ სახელმწიფოში, აშენებდნენ გზა-ჯვარედინებზე, ნეღლი მასალით მდიდარსა და სტრატეგიულად მოხერხებულ ადგილებში. სახელმწიფოებრივი სახელოსნოები იმყოფებოდა მილანში, აკვილიეიაში და რავენაში, — ერთი სიტყვით, ყველა უმთავრეს ჩრდილო იტალიის, სტრატეგიულ პუნქტში, — სირმიუმი (მიტროვიცა), ავეუსტრევეროვი (ტრირი), რონაზე — ლუგულუნში, ბრიტანეთის კუნძულებზე — ვენტაში (ვინჩესტერში) და სხვ., აღმოსავლეთ იმპერიის ნაწილში — სირიის სანაპიროებზე, ეფრატის საზღვარზე და ასე შემდეგ. იარაღის სახელოსნოების გარდა, ლიტერატურულ წყაროებში ნაჩვენებია აგრეთვე სამღებროები (*baphia*), სართავები, საფეიქრო სახელოსნოები (*gynaecia, linyphia, tēxtrina*)¹ და სააღმშენებლო მასალათა სახელოსნოები (*figlinae*).

იმპერატორების სახელოსნოების ძირითად მომხმარებლად ითვლებოდა ჯარი, ბიუროკრატია და სასახლე. დიდგვარეულებში და

¹ Not. dign., or. XIII, 16; occ. XI, 45; Cod. Theod.; I, 32, 1; IV, 6, 3.

მსახურებში, რომლებიც ხელგაშლით და ფართოდ ცხოვრობდნენ, დიდ მოწონებაში იყო მატყლისა და სელის სუფთა ქსოვილები, შელებილი წითელ ფერში (პურპური). კარლოს ბიუხერის გამოანგარიშებით, იმ დროს 17 მაუდის ფაბრიკა იყო: ორი—პანონიაში, ორი—დალმაციაში, ერთი—მილანში, ერთი—რომში, ორი—აპულიაში, ერთი—კართაგენში, ერთი—ვენტეში (ბრიტანიაში) და ასე შემდეგ ¹.

მომზენის, ბლიუნერის, ბლიუნერის, ჰუმერუსის, პერსონის გამოკვლევების თანახმად, იმპერატორის სახელოსნოებში მუშაობდნენ მონები (servi, mancipia), რომლებიც იყვნენ მსჯავრდადებულნი სისხლის სამართლისა და პოლიტიკური დანაშაულობისათვის, და აგრეთვე თავისუფალი მუშებიც (ingenui, immunes) ².

იმპერატორების „ფაბრიკების“ ორგანიზაცია ორნაირი მოჩანს. ხან ეს ფაბრიკები წარმოადგენენ კონცენტრირებულ სახელოსნოებს, რომელზედაც მიწერილი იყვნენ მუშა-მონები და მუშათავისუფალნი, მაგრამ უფრო ხშირად კი მუშა-ხელოსნები მუშაობდნენ წვრილ სახელოსნოებში, შინ. უკანასკნელ შემთხვევაში „ფაბრიკა“ ითვლებოდა საორგანიზაციო ცენტრად, რომელიც თავის ირგვლივ აერთიანებდა წვრილ დაქუცმაცებულ მწარმოებლებს. ხელოსნები, რა იურიდიულ მდგომარეობაშიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, მსგავსად კოლონებისა, ითვლებოდნენ მიწერილად სახელმწიფოებრივ ბეგარაზე (publico canoni). ასეთები იყვნენ ფეიქრები—ქ. სკვითო-პოლიდან, რომელნიც მოხსენებულა თეოდოსის კოდექსში (obnoxios Scythopolitanos linyfos publico canoni) ³.

„ფაბრიკებს“ ემაგრებოდნენ არა მარტო ხელოსნები და მათი ოჯახები, არამედ ხელოსანთა მთელი კოლეგიები, ანუ კორპორაციები, როგორც იყო, მაგალითად, ქ. კართაგენის ხელოსანთა კორპორაციები, რომელთა შესახებ ლაპარაკია თეოდოსეს კოდექსის მეთერთმეტე წიგნში (textrinis vel gynaeceis ex more a corporatis Karthaginis species solitas praestari cognovimus) ⁴.

იმპერატორის კონსტიტუციები მოითხოვენ სასტიკ თვალყურისდევნებას, რომ ოსტატებმა არ დასტოვონ თავიანთი პროფესია და არ გადავიდნენ სხვა სამსახურში და სხვა მდგომარეობაში.

უმეტესი ნაწილი იმ კანონებისა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ და რომლებშიც ლაპარაკია ხელოსნების მიმაგრებაზე,—დაწერილია IV

¹ K. Bücher, Beiträge zur Wirtschaftsgeschichte, 1922, S. 220.

² Cod. Theod., VII, 181.

³ Jbid., X, 20, 8.

⁴ Jbid., XI, 1, 24.

საუკუნის მეორე ნახევარში და V საუკუნეში, მაშინ, როდესაც იმპერიაში მეტად საგრძნობი გახდა მუშათა ძალების ნაკლებობა და დენადობა. სწორედ ამ დროს მოთხოვნილება იარაღზე, ჯარის ტანსაცმელზე და ფუფუნების საგნებზე სასახლისათვის და მაღალ კლასებისათვის იზრდებოდა. ამასთანავე, შენდებოდა კოლოსალური სიდიდის სახლები, ხიდები, აკეთებდნენ გზებს, არხებს, აკვედუკებს, ბაზილიკებს და საზოგადოებრივ და კერძო შენობებს. დაბალი დონე ტექნიკისა, სუსტი გამოყენება მექანიკური ძალებისა,—ყველა ეს აიძულებდა ხელისუფალთ მიემარებინათ სახელოსნოებისათვის ხელოსნები, გაედიდებინათ სამუშაო დრო და ამით გაეწიათ შრომის უფრო მეტი ექსპლოატაცია.

ყველაზე მრისხანე დეკრეტი, რომელიც სასტიკად კრძალავს სახელოსნოების მიტოვებას,—არის დეკრეტი იარაღის მკეთებელთა შესახებ (*fabricenses*).

იარაღის დასამზადებლად და შენობის ასაგებად საჭირო იყო დიდი რაოდენობის რკინა, ამევე დროს რკინის დამზადება წარმოებდა უბრალო, არარაციონალური მკედლური წესით, რაც ითხოვდა უამრავ ხარჯებსა და დიდძალ მუშახელს. იმ მიზნით, რომ შეენარჩუნებინათ იარაღის ოსტატები თავიანთ პროფესიისათვის, ლებულობდნენ ყველა ზომას, მიჰმართავდნენ დადაღვასაც კი.

„იარაღის ოსტატებს უნდა ჰქონდეთ ხელზე დალი, როგორც ოფიციალური ნიშანი, მსგავსად ახალწვეულთა, რომ, ამნაირად, უკიდურეს შემთხვევაში, მათი გამოცნობა შესაძლებელი იყოს“¹ (*stigmata, hoc est nota publica fabricensium brachiis ad imitationem tironum infligatur*).

წესდების დარღვევისათვის და დადგენილ ბევარის შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებელი იყო მთელი კორპორაცია, ანუ, გვიანდელი რომის იმპერიის საკანონმდებლო ენით რომ ვთქვათ, თოფხანის ცეხის მთელი ტანი (*corpus*).

„კანონი მიუწერს,—ვიკითხვლობთ იმპერატორ თეოდოსეს ერთ კონსტიტუციაში, რომელიც მიმართული იყო იმპერატორის ქონებათა დაცვის უფროსისადმი,—იარაღის ოსტატებს ემსახურონ თავის ხელობას, ისე, რომ ძალღონის დაკარგვის შემდეგაც ისინი თავისი ჩამომავლობით კვლავ დარჩნენ იმავე პროფესიაში, რომელშიაც დაიბადნენ. ერთერთის ჩადენილ შეცდომისათვის პასუხს აგებს ყველა; ვინაიდან ამხანაგებს შორის დადებული ურთიერთი თავდებობა რამ-

¹ Cod. Iust., XI, 10, 3.

დენიმედ ვალდებულებას აკისრებს მათ თვალ-ყური ადევნონ ერთმანეთს; ამიტომაც ერთის დანაშაული ზიანს აყენებს სხვებს. ამნაირად, საკიროების მიხედვით, ყველა წევრი კორპორაციისა (*inperpetuum servanda hac forma*), რომელიც ერთ მთლიან სხეულს შეადგენს, პასუხს აგებს თითოეულ თავის ამხანაგის დანაშაულისათვის¹. ასე უნდა დარჩეს საუკუნოდ“. ანალოგიურ მდგომარეობაში იყენენ მატყლისა და სელის ნაწარმთა ფეიქრები, ფულის მჭრელები, მღებავები, მელითონეები, მალაროს მუშები და სხვები, რომლებიც საამქროებზე (კოლეგიებზე) იყენენ მიმაგრებულნი. კოლეგიიდან გამოსვლა იშვიათ შემთხვევებში იყო ნებადართული. ეს მოხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ რეკომენდაციას გაუწევდნენ ღირსეულ მოადგილეებს—აღიარებულთ სათანადო ადმინისტრაციული ორგანოების მიერ. „მიწერის“ პრინციპი ვრცელდებოდა არა მარტო იარაღის სახელოსნოების ოსტატებზე, არამედ მთელ სამხედრო წოდებაზე,—ჯარისკაცთა შვილები, რომელთაც შეუსრულდებოდათ 16 წელი, ვალდებული იყვნენ გამხდარიყვნენ ჯარისკაცად და განეგრძოთ სამსახური თავიანთ მამებისა. სამსახურის მიტოვებისათვის, რა მიზეზითაც არ უნდა მომხდარიყო იგი, დადგენილი იყო სისხლის სამართლის სასჯელები, თვით სიკვდილის სასჯელის ჩათვლით. მუხლებში, რომლებიც ეხება სამხედრო სამსახურს (*res militaris*), ხშირად არის მოხსენებული შემთხვევები თვითდასახიჩრებისა, თითებისა, ხელისა და ფეხის წარკვეთისა, დეზერტირობისა, მაწანწალობისა, ყაჩაღობისა და სხვა, რა მეთოდებითაც თავს აღწევდნენ სამხედრო სამსახურს².

317 წლიდან ცნობილია კონსტანტინეს კანონი, რომლითაც რომის უმნიშვნელოვანესი სახელოსნოთა კორპორაციის—მონეტის საქმის ოსტატები (*monetarii*) ემაგრებიან სახელმწიფოებრივ ბეგარას „ზარაფხანის ოსტატები ვალდებულნი არიან სამუდამოდ დარჩენ თავიანთ პროფესიაში (*monetarios in sua semper durare conditione oportet*) და ამ მდგომარეობიდან მათ არ ათავისუფლებს არავითარი პრივილეგია და ან სხვა მდგომარეობა“³. თავისუფალი მდგომარეობის ქალმა, რომელიც ცხოვრობს ფულის მომჭრელ ოსტატთან, როგორც ცოლი, დაუყოვნებლივ უნდა მიატოვოს თავისი ქმარი, თუ მას არ უნდა დაჰკარგოს „ბრწყინვალეობა თავისი მდგომარეობისა“, თუ არ უნდა „დაჰკარგოს დაბადებიდან თანდაყოლილი სიმშვენიერე თავისუფლებისა“ (*decus nativae libertatis*). წინააღმდეგ

¹ Cod., Theod., X, 22, 1.

² Ibid., VII, De re militari.

³ Ibid., X, 20, 1.

შემთხვევაში, თუკი ის მაინც უპირატესობას მისცემს, იყოს განუყრელი ფულის ოსტატთან (complexus monetarii), ვიდრე იყოს თავისუფალი, მაშინ ის უნდა გაყვეს თავის ქმრის მდგომარეობას და მიემაგროს ზარაფხანის საამქროს¹.

ფულის მომჭრელებს და იარაღის ოსტატებს მოსდევდნენ სხვა პროფესიები, რომლებიც დაკავშირებული იყო ქალაქის მომარაგებასთან; მეფუნთუშეები (corpus pistorum), სააღმწებლო მუშები (fabri, fabri tignarii), შენობის შემკეთებელი მუშები, წყალსადენის მუშები (aquarii) — ტრანსპორტის მუშები და სხვ. ერთი სიტყვით, ყველა ის, ვისაც ევალებოდა ქალაქის მომარაგება².

იმპერატორების „ფაბრიკების“ მთავარი სამმართველო მოთავსებული იყო რომში. სამმართველოს სათავეში ედგა იმპერატორის კანცელარიის უფროსი, რომლის განკარგულებაშიც იყო შტატით დაახლოებით 400-მდე მოხელე, სხვადასხვა სახელწოდების კანცელარიებში (officia) რომ ისხდნენ. მასალებიდან შეგვიძლია დავასკვნათ გამუდმებულ ბოროტმოქმედებისა, ქურდობისა და თაღლითობის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმპერატორების სახელოსნოებში და აგრეთვე ოსტატებისა, მონებისა და ყმების მასიური გაქცევის შესახებ. ბოროტების ჩადენის ადგილებზე გამოსარკვევად იგზავნებოდნენ სპეციალური კომისიები, რომლებშიაც შედიოდნენ სხვადასხვა კანცელარიის წარმომადგენელნი.

„ამით მოგიწერათ, — ამბობს თეოდოსეს ერთ-ერთი კონსტიტუცია, — ყოველწლიურად, განსაზღვრულ დროში ფინიკიის ბეწვეულის საღებავებში ქსოვილების მიმღებ კანცელარიიდან გადაგზავნათ მეშვიდე, გადასახადთა მკრეფ კანცელარიიდან — მეექვსე, სარეგისტრაციოდან — მეხუთე პირი იმ მიზნით, რომ აღიკვეთოს ყოველგვარი ბოროტება მოხელეთა სიტუბიზლისა, რომლებიც კანკალებენ შეინარჩუნონ მძიმე შრომით მოპოებული ჯამაგირები. დანაშაულობაში ხელის შეწყობისათვის დადგენილია ჯარიმა — 70 გირვანქა ოქროს რაოდენობით“³.

სახელმწიფოზე მიმავრებული პროფესიები თავისუფლდებოდნენ ან მთლიანად, ან ნაწილობრივად — საზოგადოებრივი ვალდებულებებისაგან, რათა მათ თავისუფალი დრო ჰქონოდათ, როგორც თავის-თავის დასახელოვნებლად, აგრეთვე მათ შვილებში ინტერესის აღძერისა და მათი აღზრდისათვის. იუსტინიანეს კოდექსის ერთ-ერთ მუხლში ჩამოთვლილია ის პროფესიები, რომლებიც აყვანილია აღ-

¹ Cod. Iust., XI, 8, 7.

² Symm., Epist. X 27.

³ Cod., Iust; XI, 9, 5.

რიცხვაზე და სარგებლობენ შეღავათებით. ამათ რიცხვში შედიან: არქიტექტორები, გეომეტრები, ექიმები, ვეტერინარ-ექიმები, მხატვრები, ლითონის ჩამომსხმელები, მარმარილოს მკურნლი, მოქანდაკენი, მუსიკალური ხელსაწყოების ოსტატები, ოქროსა და ვერცხლის მკედელნი, ჩუქურთმის მკეთებელნი, სარკის ოსტატები, სპილოს ძვლის მეჩუქურთმენი, თერძები, მინის ჩამომსხმელნი, კერამიკის ოსტატები, მეჩქმეები, ოქროს მკედით მკერავები, მეეტლები, კალატოზები, ფულის მომკრელნი, ძოწეულის მღებავები, ფეიქრები და სხვ¹.

შეღავათებით სარგებლობდნენ, აგრეთვე, ფილოსოფოს-მეცნიერნი, გრამატიკოსები და ორატორები, რომლებიც თავიანთი გარეგნული შეხედულებებით განსხვავდებოდნენ სხვა მოქალაქებისაგან. ყველა ის, ვინც იქნება მხილებული შეუფერებელ და უმსგავსო საქციელში—ფილოსოფოსის გარეგნობის მიბაძვაში (ტანსაცემლი, წვერი, დავარცხნა), გარდა მცოდნე ავტორიტეტების მიერ აღიარებულ პროფესორებისა, გაძევებულ უნდა იქნეს თავის სამშობლოში, — ამბობს იუსტინიანეს კოდექსის ერთი მუხლი².

მიუხედავად ამდენი მუქარისა და სასჯელისა, მიწაზე მიმაგრებული კოლონები, ხელოსნები, მონები და ახატები, — ხშირად სტოვებდნენ თავიანთ „მიწერის ადგილებს“ და მიილტვოდნენ ქალაქებისაკენ. ხალხის დაგროვება დიდ ქალაქებში, რომის იმპერიის დასასრულს, იმდენად დიდი იყო, რომ ღებულობდნენ სპეციალურ ზომებს ქალაქის ზედმეტი ელემენტებისაგან განსატვირთავად. „ის პირები, ვისაც არა აქვთ გარკვეული სამუშაო, — ვკითხულობთ იუსტინიანეს კოდექსის ერთ კონსტიტუციაში, რომელიც დაწერილია V საუკუნეში, — მოთავსებულ უნდა იქნენ მუშათა სახლებში, რომ ტყუილუბრალოდ მიწა არ დაამძიმონ“.

ის პირები კი, რომლებიც მუშაობაში არ გამოიჩენდნენ საკმაო ბეჯითობას, უყოყმანოდ განდევნილი უნდა ყოფილიყვნენ ქალაქიდან. თითოეული, ქალაქში ახლად მოსული, ტარდებოდა ქალაქის რეგისტრაციაში და იმ საქმის დამთავრების შემდეგ, რომლის შესახებაც ის მოსული იყო, ბრუნდებოდა სამშობლოში. პროვინციებში კვესტურის ფილიალური განყოფილებები თვალყურს ადევნებდნენ მოსახლეობის მოძრაობას და უნიშნავდნენ სამუშაოს უმუშევრებს.

„ყველა ის პირი, რომელიც ეწევა მაწანწალობას და მათხოვრობას და ამით ირჩენს თავს, საჭიროა შესწავლილ იქნეს მისი სხეულის ძალღონის და ასაკის მხრივ. ამ განკარგულებით ზარმაცები

¹ Cod. Iust., X, 66, 1.

² Cod. Iust. X, 53, 8.

და ის ადაპიანები, რომლებიც არ იწვევენ სიბრალულს სისუსტის გამო, თუკი ისინი ეკუთვნიან მონათა წოდებას, უბოუნდებიან თავის საკუთრებაში იმ პირთ, ვინც დაჟინებით და ბეჯითად მათ დაეძვბდა. თავისუფლად დაბადებულნი კი საშუალოდ უფარდებიან ბატონყმურ ურთიერთობაში იმათ, რომელთაც მიუთითებს და დაამტკიცეს შათი სინარმაცე; გარდა ამისა, მონების მფლობელთ ველევათ უფლება საჩივარი აღძრან ყველა იმ პირთა მიწართ, რომელთაც გაქცეულ მონებს მისცეს თავშესაფარი ანდა ურჩიეს ზელი მოეკიდათ მათხოვრობისათვის ¹.

დანამდეილებით არ შეგვიძლია ვთქვათ, ვრცელდებოდა თუ არა მიწერა მხოლოდ იმ ხელოსნებზე და ვაჭრებზე, რომლებიც სახელმწიფოსათვის მუშაობდნენ, თუ ეს ყველა ხელოსანსა და ვაჭარს შეეხებოდა, მიუხედავად იმისა, ისინი მუშაობდნენ სახელმწიფოსათვის თუ კერძო წარმოებებში. უფრო სწორეა პირველი მოსასრება. რომის იმპერიაში სრული ბატონყმობა არ იყო არც ქალაქში და არც სოფლად. ბატონყმურ მუშებთან, ოსტატებთან ერთად არსებობდნენ თავისუფალი წვრილი და საშუალო მწარმოებლები, ისე როგორც ანტიკურობის დასასრულამდე არსებობდა თავისუფალი კავშირები და კოლეგიები. IV—V საუკუნეების საკანონმდებლო ძეგლების მუხლებიდან ჩვენ გვაქვს ცნობები, რომლებიც მოგვითხრობს ხელოსანთა კავშირებზე, ლეგალურ და არალეგალურ ვაჭართა შეთანხმებებზე, მოიჯარადრეებზე, სახელოსნოების პატრონებზე და ოსტატებზე. ასეთია, მაგალითად, იუსტინიანეს 473 წლის კოდექსის მუხლი (De monopolis et de conventu negotiatorum... artificum ergolaborumque) ².

3. კურიალების დაქვემდებარება

კოლონებთან და ოსტატებთან ერთად *origo*-ს მოქმედების ქვეშ მოექცნენ აგრეთვე მუნიციპალურ საბჭოს წევრები, — დეკურიონები, ანუ კურიონები, რომელთაც ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა გადასახადების წესიერად შემოტანისათვის, რეკრუტების შეკრებისათვის და ვალდებულებათა განაწილებისათვის.

ანტონიუსების „ბედნიერ საუკუნეში“ კურიალების მიერ გადასახადების განაწილება და შეკრება განიხილებოდა, როგორც უდი-

¹ Cod., Iust. XI, 26, 1.

² Cod., Iust. IV, 59, 1—2.

დესი პატივი და თვით კურიაში ყოფნა ითვლებოდა დიდად საპატიოდ კურიალისათვის და აგრეთვე მის ნათესავეთათვის. დიოკლეტრიანეს საგადასახადლო რეფორმის შემოღებიდან კი სურათი არსებითად შეიცვალა. ვინაიდან ბიუროკრატიამ თავი ვერ გაართვა თავის ამოცანას, მან კურიებს დააკისრა მძიმე მოვალეობა—გადასახადების განაწილება და შეკრება, რაც განსაკუთრებით ძნელი შესასრულებელი იყო კურიალებისათვის, ვინაიდან ბევრი კურია III საუკუნეში, სამხედრო განადგურების, რეკვიზიციისა, ბარბაროსთა თავდასხმების, ეპიდემიისა, იმპერატორებისა და მაგნატების მიერ მუნციპალურ ტერიტორიების ხელში ჩაგდების შედეგად, მეტად გაღარიბდა და განადგურდა.

თითოეულ ქალაქზე მოდიოდა განსაზღვრული თანხა გადასახადისა გადამხდელ „თავებს“ შორის გასანაწილებლად; აღნიშნული თანხა ნაწილდებოდა გადამხდელთა შორის „ცხრათა საბჰოს“ მიერ. გადამხდელნი და ამკრეფნი, შეკრულნი ე. წ. ურთიერთთავედებობით, არაწესიერად გადასახადების შემოსვლისათვის პასუხისმგებელნი იყვნენ მთელი თავისი ქონებით. აქედან გამომდინარეობდა კურიალების მისწრაფება შეეტანათ კურიალთა სიაში (*album*) რაც შეიძლება მეტი რიცხვი ხალხისა. კურიაში სწერდნენ ყველას, ვინც აკმაყოფილებდა კურიალის ქონებრივ ცენზს, რომელიც კი დაყვანილი იყო 25 იუგერ მიწის საკუთრებამდე. მუნიციპიის ყველა მცხოვრები—მოქალაქე, და აზატიც კი, რომელსაც გააჩნდა 25 იუგერის მიწის ნაკვეთი—ხდებოდა კურიის წევრი. შეტანა კურიალების სიაში ითვლებოდა უკვე არა საპატიოდ (*honor*), არამედ სასჯელად (*loco supplicii*).

ფორმალური მიმაგრება დეკურიონებისა კურიაებზე იწყება იმპერატორ კონსტანტინეს კონსტიტუციით (316 წ.), რომელიც უკრძალავდა კურიალებს დაეტოვებინათ თავისი კურია და შესულიყვნენ სხვა სამსახურში, რა საბაბიც არ უნდა ჰქონოდათ მათ ამისთვის. კურიალი უნდა დაბრუნებოდა თავის კურიას (*suae conditioni reddatur*) იმ შემთხვევაშიაც კი, თუ მეფე შესთავაზებდა მას რაიმე დიდ თანამდებობას¹.

სამხედრო სამსახურის ვერავითარი საფეხური, ან მისი ხანგრძლივობა ვერ გაათავისუფლებს მას, ვინც წარმოშობით კურიალების ჩამომავლობისაა და ვალდებულია კურიალური სამსახური გასწიოს (*curialem contrahens originem*). მაგრამ ისიც, ვინც თავს

¹ Cod. Theod., XII, 1,5.

აარიდებს კურიალურ¹ კაბალას (nexum curialem) თავისი დაბადების უპირატესობით, თუკი ის არ შეასრულებს სამხედრო ბეგარას, რომლის მიმართაც მისი მშობლები სარგებლობდნენ იმუნიტეტით, როდესაც მას შეუსრულდება 18 წელი, მაინც არ რჩება თავისუფალი თავისი წარმოშობის ხვედრის წყალობით (securus esse non poterit propter sortem originis)¹.

გადასახადების არაწესიერად შეტანისათვის პირველ რიგში პასუხს აგებდნენ დეცემპირიუმები, არა მარტო თავისი ქონებით, არამედ სიცოცხლითაც კი. ვალენტინიანის დროს გამოიცა დეკრეტი, რომლითაც ნაბრძანები იყო დაესაჯათ თითოეულ ქალაქიდან სამსამი კურიალი, შემწნეული გადასახადის არაწესიერად შეკრებაში.

„იმ კურიალებს, რომლებიც ვერ შესძლებდნენ გადასახადის გადახდას, ათავსებდნენ ციხეებში. ბევრი მათგანი, რომელთაც მოსწყენოდათ სიცოცხლე და ქვეყანა თავს იხრჩობდა ციხეში“.

რაგინდ მკაცრი და სასტიკი არ უნდა ყოფილიყო იმპერატორების მიერ გამოცემული დეკრეტები, მაინც ისინი მიზანს ყოველთვის ვერ აღწევდნენ. მიუხედავად კანონის ასეთი სისასტიკისა, კურიიდან გაქცევები არ შეწყვეტილა. მუნიციპალური ვალდებულების შესრულებისაგან თავის დასაღწევად მიმართავდნენ ყველა საშუალებას: გადადიოდნენ დაბალ წოდებებში, ირთავდნენ ცოლად მონებს, მოსამსახურეებს, კოლონების ქალებს, თავს აფარებდნენ (კნობილ და ძლიერ პირებს (ad sordida descendere connubia servularum)².

მუნიციპალური ცხოვრება ჩაკვდა. კურიების სხდომები ტარდებოდა უმნიშვნელო წევრთა რიცხვის თანდასწრებით, მეტად უსიციოცხლოდ—ყოველგვარი გაცხარებული კამათის გარეშე. იგონებდნენ ყოველგვარ საშუალებებს, რომ თავი დაეღწიათ უმაღლეს ღირსებისათვის—გამხდარიყვნენ უმაღლეს მუნიციპალურ საბჭოს წევრებად. ყველა, ვისაც კი რაიმე შესაძლებლობა გააჩნდა, გარბოდა მუნიციპალიებიდან, გადადიოდა სხვა სამსახურში, შედიოდა ჯარში, კანცელარიებში, ირჩევდა ინტელიგენტურ პროფესიებს, ანდა პირდაპირ იმალებოდა. „წარსულ დროში კურიები ქალაქებში ჰყვარდნენ, მაშინ დეკურიონებს ჰქონდათ მიწები, კარგი სახლები და ფული, უმოკვრდებოდნენ ერთიმეორეს, ხოლო კურიაში ყოფნა მაშინ ღირსაპატიო თანამდებობად იყო მიჩნეული და ითვლებოდა კეთილდღეობის ნიშნად ...ახლა კი ყველაფერი გაუარესდა; გახშირდა კურიიდან სხვა

¹ Cod. Theod., XII, 1, 58.

² Ibid., XII, 1, 6.

პროფესიებში გადასვლის შემთხვევები, ქალაქები და ცემას განიცდიან. კურიალების წდგომარეობა გაუარესდა ისე, როგორც სხვა წოდებებისა. შენ გიხედავ ჩვენ, ფეხზე მდგომთ, მცირერიცხოვანთ, თორმეტნი ვართ ნაცვლად ათას ორასისა. ეს არის კურია“¹.

ყველამ კარგად უწყის, რომ კურიები ცარიელდებიან (*curias desolari*), შედეგად იზისა, რომ ისინი, ვინც ვალდებულნი არიან იყვნენ კურიალებად დაბადების მიხედვით (*per originem obnoxii sunt*), გამოითხოვენ თავისთვის სამსახურს, ეწერებიან ჯარში, შედიან სხვა რომელიმე სამსახურში (*diversa officia*)² და რელიგიური ალტყინების საბაბით (*specie religionis*) ერთიანდებიან რელიგიურ კავშირებში“³.

კურიების აღდგენის მიზნით ნაბრძანები იყო ჩატარებული განორკვევები ლეგიონებში, კოპორტებში და კანცელარიებში, სადაც ყველაზე ხშირად გარბოდნენ კურიალები—და სიაში შეტანილი კურიალები დაუყოვნებლივ უნდა დაებრუნებინათ უკან თავის სამშობლოში—იმ შემთხვევაშიაც კი, თუ მათ მიღებული ექნებოდათ ეს თანამდებობანი თვით იმპერატორების განკარგულებით (*qui derelicta curia militaverit, revocetur ad curiam... et si beneficio nostro fuerit liberatus*)⁴.

4. მკიანდელ—რომის მამნათავი

როგორც ზევით იყო აღნიშნული, რომის მონათმფლობელური სახელმწიფო თავისი არსებობის უკანასკნელ საუკუნეებში აწყდებოდა ცენტრიდანულ—(ფეოდალურ) ძალებს, რომელიც წარმოშობილი იყო საკუთარ წიაღიდან. ყველაზე დიდ დეცენტრალიზებულ ძალად იმპერიის უკანასკნელ საუკუნეებში ითვლებოდა სენატორთა წოდება. სენატი, როგორც პოლიტიკური ორგანო, IV—V საუკუნეებში, შედგებოდა უმთავრესად უმაღლეს სამხედრო და სამოქალაქო პირთაგან, რომლებიც ინიშნებოდნენ იმპერატორის მიერ. სენატი არავითარ როლს არ თამაშობდა. სენატორთა უმრავლესობა, რომლის რიცხვი თითოეულ საიმპერიო სატახტო ქალაქში (რომში და კონსტანტინეპოლში) აღიოდა ორიათასზე და უფრო მეტზე, თავისი წარმოშობით ეკუთვნოდა მდიდარ პროვინციელებს, რომელთათვისაც სენატორის სახელწოდების მიღება იყო დიდი პატივი

¹ Liban., Orat., XLIX.

² Cod. Theod., XI, 1, 13.

³ Cod. Iust., X, 32, 26.

⁴ Cod. Theod., XV, 1, 13.

(*decus omnium provinciarum*), მიუხედავად იმისა, რომ ამ თანამდებობის მიღებას მოსდევდა საგრძნობი ხარჯები: გაცასხადები, დღესასწაულის მოწყობა, საჩუქრების გაცემა და სხვა. სენატორობა IV—V საუკუნეებში იყო საპატიო წოდება—აუცილებელი პირობა პოლიტიკური კარიერისათვის¹. მიუხედავად სენატის როლის მეორეხარისხოვან მნიშვნელობისა, როგორც სახელმწიფოს დაწესებულებებისა, სენატორის წოდება დიოკლეტიანეს დროს არა თუ დარჩა პირველ წოდებად სახელმწიფოში, არამედ მისი სოციალური წონა შედარებით სხვა ეპოქებთან უფრო გაიზარდა. სენატორები, გამობნნილნი არმიის სამსახურიდან და განთავისუფლებულნი სენატის სხდომებზე აუცილებელ დასწრებისაგან, ეწეოდნენ სახელმწიფოებრივ კანცელარიებში შეფობას და როგორც იმპერატორის თანამგზავნი და მეგობრები ღებულობდნენ პროვინციებიდან „კვებას“. სასახლეში, ამაღლაში და იმპერატორის საბჭოში სენატორებს ეკავათ პირველი ადგილი, აძლეოდნენ ტონს სასახლის ცხოვრებას. მოქალაქეთა მასებიდან სენატორები გამოირჩეოდნენ თავისი განსაკუთრებული სამოსით, ფეხსაცმელებით, მოსამსახურეთა სიმრავლით, ეტლის ფორმით, სუფრითა და ფართო ცხოვრებით. სენატორთა რიცხვს მიკუთვნებული იყვნენ თვით იმპერატორი, მისი ოჯახი და მთელი მისი უამრავი ნათესაობა.

უდიდესი სიმკვეთრით იჩენდა თავს სოციალური კონტრასტები კონსტანტინეპოლში,—იმპერატორის რეზიდენციასა და დიდკაცობისა (საერო და სასულიერო) და მდიდარ ადამიანების ადგილსამყოფელოში.

გვიანდელი რომის საიმპერიო წარჩინებული წოდების ბირთვის შეადგენდნენ სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურენი, რომელთაც უერთდებოდნენ საკმაოდ ბევრი პროვინციელები და ბარბაროსები,—არა არისტოკრატიის წარმომავლისა. „ახლანდელ შეძლებულთა შორის,—ამბობს ლიბანიოსი,—ბევრია ნამდვილი ყაჩაღები, ყოველად უსინდისო გზით რომ მიითვისეს მამულები, სახლები, ბინები, არიან საბარგო გემების მძარცველები და ა. შ. ახალი ჯურის მძარცველები გაცილებით უარესები და თავხედები არიან, ვიდრე ძველი მქრთამეები და სახელმწიფო ქონების გამქურდავები იყვნენ“.

მაგნატობის გაძლიერება ახლო კავშირში იყო მაგნატურ მწათმელობებელობის გაფართოვებასთან. იზრდებოდა იმპერატორის

¹ Em. Kuhn. Die städtische und bürgerliche Verfassung des Römischen Reiches, 1, 1864, 174.

მეურნეობა, იზრდებოდა იმპერატორის მიწათმფლობელობა, რის შე-
სახებაც ჩვენ ზევით გვექონდა საუბარი; ზრდა ვითარდებოდა III სა-
უკუნის კრიზისის შემდეგაც. უმაღლეს განვითარების დონეს იმპერა-
ტორის ფონდმა და იმპერატორის მეურნეობამ მიაღწია კონსტანტინე
დიდის დინასტიის დროს, როდესაც იმპერატორის ფონდს შეემა-
ტა ბევრი ახალი კონსტრუქციული მიწა კერძოთაყვანისმცემლების
ტაძრების და პროსკრიპციაში შეტანილ კერძო პირთა დაპყრობილი
ტერიტორიები, პარტახი ადგილები, ბეთალმანი მემკვიდრეობა და
სხვა¹.

იმპერატორების მამულების ექსპლოატაცია, როგორც წინათ,
ხდებოდა ორგვარად: 1) პირდაპირი გზით—იმპერატორის ადმინის-
ტრაციის მეშვეობით და 2) მსხვილ მოიჯარეებისათვის მამულის გა-
დაცემით (conductores)². მსხვილი წარმოება, განსაკუთრებით კი იმ-
პერატორის მეურნეობა, IV საუკუნიდან ხდება არახელსაყრელი და
ამისათვის იმპერატორები უპირატესობას აძლევენ გადასცენ თავიან-
თი დომენები საიჯაროდ, განსაკუთრებით, სენატორების წოდების
დიდკაცობას, რომელიც ამუშავებდა მას მონებისა და კოლონების სა-
შუალებით. იმპერატორის მამულების გადაცემა საიჯაროდ სენატორე-
ბისათვის გამოწვეული იყო, ერთის მხრით, მუშახელის ნაკლებობით,
იმპერატორის მამულების დაქსაქსულობით, ხშირი ომებით და, მეო-
რეს მხრით, აუცილებელი იყო მსახურეული წოდების მიწით უზრუნ-
ველყოფა. ამ ნიადაგზე განვითარდა გრძელვადიანი მსხვილი
იჯარა—*იუს პერპეტუუმი* (ius perpetuum). ეს გარე-
მოება დამახასიათებელია გვიანდელი იმპერიისათვის, რომელიც აძ-
ლიერებს მაგნატებს და ასუსტებს იმპერატორის უფლებას³.

გრძელვადიან იჯარებიდან, რომელსაც იცნობს რომის მიწის
სამართალი, აღსანიშნავია შემდეგი ოთხი სახე: 1) მემკვიდრეობითი
უმელიორაციო იჯარა მტკიცე საიჯარო ქირის გაღებით (ius perpe-
tuum); 2) იჯარა ყოველწლიური—მცირე გადასახადით, კერძო საკუ-
თრების სრული უფლებით საიჯაროდ აღებულ ნაკვეთზე (ius priva-
tum salvo canone); 3) უფრო შეღავათიანი იჯარა—ყოველწლიური
გადასახადის გარეშეც კი (ius privatum dempto canone) და 4) ემ-
ფიტევისისი⁴.

გვიანდელ იმპერიაში მსხვილ სამფლობელოს ეწოდება მამული

¹ Euseb., Vita Constantini, III, 54—55, Liban, XXX (Pro templis).

² Ann. Marcell., XXII, 4,3, conductores.

³ R. His., Die Domänen der römischen Kaiserzeit, 1896.

⁴ Novella Theod., 5, 2; Cod. Theod., 5, 13, 17.

(fundas),—ამ სახელწოდებასთან ერთად ხმარობენ სხვა ტერმინებსაც: სალტუსი (saltus), ვილა (villa), მასა (massa), ძლიერება (potestas), სამფლობელო (praedia) და სხვ.

მაგნატების საერთო რიცხვი არ იყო დიდი, მაგრამ მათ ხელში დაგროვილი იყო დიდძალი მიწები და ფულადი სიმდიდრე. თეოდოსეს კოდექსში არის სპეციალური თავი მიძღვნილი სენატორების მამულებისადმი (fundi, praedia, possessiones senatorum), რომლებიც გაფანტული იყო იმპერიის მთელ სივრცეზე (possessiones per longinquas atque diversas provincias)¹. მეორე წყაროდან ვტყობილობთ, თუ რა კოლოსალური შემოსავალი, ფულითა და ნატურით, ჰქონდათ სენატორებს მამულებიდან და რა საშუალებებით ცდილობდნენ ისინი გვერდი აეჭვიათ და არ გადაეხადათ სენატორთა მიწებზე დადებული საძულველი გადასახადი². IV—V საუკ. სამაგნატო მამულები, რომლებიც აღწევდა 5—8 ათას ჰექტარამდე, წარმოადგენდა ნამდვილ სამთავროებს და თავისი სიდიდით და ხვედრითი წონით გაცილებით მეტი იყო ვიდრე ადრინდელი იმპერიის ლატიფუნდიები. მამულებში ცხოვრობდნენ „მონებისა და კოლონების ლეგიონები“, რომლებიც მუშაობდნენ პლანტაციებში, ადგილობრივ სახელოსანობაში, მსახურობდნენ აგრეთვე მოჯამაგირეებად და კლიენტებად ვილაში მცხოვრებ მაგნატთან, გაელენიან პირებთან ტაძრებში და მონასტრებში. როგორც სენატორები, ისე მათი მამულები და ყველა ის პირები, რომლებიც ასეთიუსე დამოკიდებულნი იყვნენ სენატორის მამულზე, სარგებლობდნენ დიდი პრივილეგიებით გადასახადებისა, ბეგარისა, სამსახურისა და ჯარის ჩაყენების მხრივ, რაც გამანადგურებელი იყო მოსახლეობისათვის.

„წვენი ვბრძანებთ,—ვკითხულობთ იმპერატორ კონსტანცის კონსტიტუციაში,—რომ სენატორის მამულები (senatorum substantias), რომლებიც მდებარეობენ სხვადასხვა ადგილში და სხვადასხვა პროვინციაში და აგრეთვე მათი ზალხი (homines eorum) განთავისუფლებული იყვნენ ყოველგვარი ფულადი გამოსაღებისაგან, რომელსაც იხდიდნენ რეკრუტებისა და ცხენების გამოყვანის სამაგიეროდ (a temonariis oneribus conferendis) და აგრეთვე ამის მსგავსი ვალდებულებებისაგან, რომელსაც აწესებდნენ ადგილობრივი ხელისუფალნი ყველა ქუქყიანი, ექსტრაორდინარული და დამამცირებელი ბეგა-

¹ Cod. Theod., VI, 3, De praediis senatorum.
Olympiodorus, in Phot. biblioth; 1, p. 63.

რის ჩათვლით (ad omnibus sordidis extraordinariisque et vilioribus muneribus) ¹.

მუშათა ძალების ნაკლებობა, ეგზომ საგრძნობი წვრილ და საშუალო პოსესორების მამულებში, მაგნატების მამულებში ასე მწვეავედ არ იგრძნობოდა, ვინაიდან მათ ჰქავდათ ათასობით მონები, კოლონები და კლიენტები.

„მაგნატის მამულში მონების ჯოგი ძრწის არა მარტო ბატონის წინაშე, არამედ მისი აგენტების წინაშეც, როგორიც არიან: პროკურატორები, ზედამხედველები, ფულის ამკრეფნი და სხვ.“ — ასე ახასიათებს მაგნატის მამულს სალვიანი. საერთო სიღარიბისა და განადგურების ფონზე მაგნატის ვილები ბრწყინვალედ გამოიყურებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ არქიტექტურული და მხატვრული თვალსაზრისით ისინი ბევრად ჩამოუყვარდებოდნენ რესპუბლიკის პირველი და უკანასკნელი საუკუნეების ვილებს. მაგნატის ვილები, მსგავსად ნამდვილი სასახლისა, მორთული იყო ფრესკებით, სპილოს ძვლის კარებით, მოზაიკიანი იატაკით და ძვირფასი დეკორით, რომელიც საზღვარგარეთულ ქსოვილებით იყო შეკერილი.

გვიანდელი რომის არისტოკრატიის ცხოვრებას საკმაოდ კარგად ვეცნობით რომის მაშინდელი მწერლების თხზულებებიდან, კერძოდ, გალიის მწერალ-პოეტების სახით, ასეთები არიან: სიდონი აპოლინარი, ავიენი და ავზონი, — ესენი გალიის დიდბულთა წრეს ეკუთვნოდნენ, ამათგან პირველი ადგილი ეკირა პოეტს სიდონი აპოლინარის, რომელიც იმპერატორ მ. მეცილიუს ავიტას სიძე იყო. ავიტას საპატივეცემოდ სიდონის ერთ მამულს ეწოდა „ავიტაკუმ“ (Avitacum), რომლის შესახებაც ქვემოთაა მოთხრობილი:

„შენ გინდა გაიგო, — ეკითხება სიდონი თავის მეგობარს, — რას წარმოადგენს ჩემი ვილა, სადაც შენ გეპატიჟები?! — ჩემი მამული ატარებს სახელწოდებას „ავიტაკუმ“ და მიღებული მაქვს ის ჩემი ცოლის მზითვის სახით. ვილას დასავლეთის მხარეზე მთა მდებარეობს, რომელიც თავისი კალთებით უერთდება დაბლა ველს; ველი გაშლილია ჩემი ვილის წინ. ერთი ფასადით ვილა გაჰყურებს ჩრდილოეთს, მეორეთი კი — სამხრეთს. სამხრეთ-დასავლეთით მოწყობილია აბანო; ოთახი, სადაც აცხელებენ წყალს, სიდიდით უდრის მეორე კეთილსურნელოვანი ნელსაცხებლების ოთახს, რომელშიც მოთავსებულია აბაზანა, მიღების საშუალებით გამთბარი წყლით რომ ივ-

¹ Cod. Just., XII, 1, 4.

სება. მახლობლად არის გამაგრებული აბაზანა, რომლის სახურავი თავდება კონუსით სახურავით, მას აქვს ორი ფანჯარა, რომლიდანაც შეგიძლიათ კარგად დაათვალიეროთ, თუ რა გემოვნებით არის ამენებული ეს კერი... აღმოსავლეთის მხრით ვილას ეკერის საბანაო. იქ შედიან თბილ აბანოდან კარები, რომელსაც თალის ფორმა აქვს; აუზის შუა ამართულია სვეტები. გარედან აბანოს ირგვლივ გაწყობილია მილები, რომლითაც აბანო ღებულბოს წყალს გორაკიდან; თითოეული მილის ბოლო თავდება „ლომის პირით“. გამოხვალ თუ არა აქედან, შედიხარ ქალების განყოფილებაში, რომელსაც ეკერის საკუქნაო ოთახი და რომელიც მხოლოდ ტიხრით არის განცალკევებული მეორე სანუშაო ოთახიდან. აღმოსავლეთით, ტალანიდან დაინახავთ ტბორს, წინკარიდან იწყება გრძელი დახურული კორიდორი, რომელსაც გვერდები არა აქვს. ბოლოში კორიდორი ვიწროვდება და შედის გრილ დარბაზში. ამ გალერით გადაიან საზამთრო ბინაში; აქ ზედმეტი ცეცხლის გამო ბუხრის ზედა ნაწილი გაშურულია“¹.

ვალის მეორე არისტოკრატი პოეტი ავიენი გვიხატავს მდიდარი ვილას პატრონის დღის განაწესს: „შენ მე შეკითხვებ, — მიმართავს ის თავის შემკითხველს, — როგორ ვატარებ დროს? მე ამ შეკითხვაზე გიპასუხებ:

„დილით მე ღმერთებს ვევედრები და გათენებისთანავე მოჯამაგირეების თანხლებით მივდივარ მამულში და ვანაწილებ მსახურთა შორის სამუშაოებს; შემდეგ ვკითხულობ და ვიწვევ თებესა და მუზას, სადილობამდე ზეთით ვიზელ ტანს და ვვარჯიშობ პალესტრეში; დასვენებული, ხალხის ამოებას მოშორებული, ვქამ, ვსვამ, ვთამაშობ, ვბანაობ და შემდეგ ვვახშმობ. საღამო ჟამს, როდესაც პატარა ლამპარი ნთქავს ზეთს, მაშინ მეც ამ სტრიქონებს ვწერ და ვუძღვნი ლამის ფერიებს“.

პრინციპატის დროის მაგნატებისაგან განსხვავებით, რომელნიც ქალაქებში ცხოვრობდნენ, გვიანდელი რომის მაგნატები უმეტეს დროს სოფლად ატარებდნენ, სადაც ისინი გულმოდგინედ მართავდნენ თავიანთ მამულებს.

5. პატროცინიუმები

მსხვილი მემამულეობის ზრდა რომის უკანასკნელ საუკუნეებში, ისე როგორც წინასაუკუნეებში, ხდებოდა წვრილი და საშუალო

¹ *Std. Apoll.*, II, 9 (XXVIII); *Carm.*, XVIII, XIY, XXII.

მესაკუთრეების ხარჯზე, ან, როგორც ამას ჩვენი ლიტერატურული წყაროები უწოდებენ სოფლელების (*agricolae*), სოფლის მცხოვრებლების (*rustici, rusticani*), მობინადრეების (*vicani*) ხარჯზე, რომელთაც მიწის საკუთარი ნაქრები ეკირათ (*propria possidentes*), და ა. შ. მოსახლეობის ამ კატეგორიების შესახებ ხშირად არის ლაპარაკი აღნიშნულ წყაროებში და აქედან შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად დიდი იყო წვრილ მესაკუთრეთა რაოდენობა გვიანდელ საიმპერატორო რომში. პ. ბოლკესტეინის მონოგრაფიაში „რომის კოლონატი და მისი წარმოშობა“¹, რომელიც სპეციალურად მიძღვნილია საიმპერატორო რომის აგრარულ საკითხებისადმი, საკმაო მაგალითები და მოსაზრებებია მოყვანილი იმის დასადასტურებლად, რომ წვრილი და საშუალო მიწათმფლობელნი არსებობდნენ რომის იმპერიის ყველა საუკუნეში,—თვით გვიანდელ იმპერიის საუკუნეების დროსაც კი.

მიწის მესაკუთრეებმა თავი შეინახეს იმპერიის არსებობის მთელ მანძილზე, მაგრამ მათი მდგომარეობა გვიანდელ ანტიკურობის დროს,—ხშირი ომების ეპიდემიის შემოსევათა, იმპერიის ბიუროკრატიის თავგასულობისა და სხვა მსგავს მოვლენათა გამო, თაობიდან თაობამდე უარესდებოდა. ყველაზე დიდ უბედურებას სოფლებს აყენებდნენ გადასახადების ამკრეფნი და მათი თანხმლები სამხედრო რაზმები, რომლებიც იყვნენ ჩაყენებული სოფლებში. ჯარისკაცები ჩადიოდნენ ყოველგვარ უწყსობას: აწიოკებდნენ სოფლებს, მცხოვრებთ ოჯახში უვარდებოდნენ, იღებდნენ ქრთამებს, გაჰქონდათ ქერი, პური, საქონლის საკვები პროდუქტები და სხვ. ართმევდნენ სოფლებს მიწებს, უკაფავდნენ ხეებს, ხოცდნენ პირუტყვებს, აუბატოურებდნენ ქალებს, „ნადიმობდნენ და სიამტკბილობას ეძლეოდნენ ყოველგვარი შიშის გარეშე, რომ მათ საქციელს ვინმე განსჯიდა“.

„დაემორჩილეო,—ამბობდნენ,—შეიარაღებულ კაცს, რაგინდ მთვრალიც არ უნდა იყოს ის, აიტანე ყველაფერი მორჩილებით,—ასეთ შემთხვევაში კანონი ვერაფერს გიშველისო“².

რომის იმპერიის საერთო მდგომარეობის გაუარესების, გადასახადებისა და ბეგარის გადიდებისა და იმპერიის მოხლეჩების თავგასულობის შედეგად, ავაზაკობამ სახელმწიფოში მასიური ხასიათი მიიღო, გაძლიერდა დეზერტირობა, იზრდებოდა სექტანტობა და

¹ H. Bolkestein, *De colonatu romano eiusque origine*, Amsterdami, 1916.

² Liban., *Orat.*, XLVII, 4, 5.

ბოლოს, გახშირდა ლტოლვა სასულიერო და საერო უწყებათა მიწის მაგნატების პატროცინიუმებისაკენ.

პატროცინიუმები (patrocinia), რომლებიც განვითარების გზას დაადგნენ „მშუოთავ“ III საუკუნიდან, ერთგვარად წინანდელი კლიენტობის გაგრძელებას წარმოადგენდნენ. ხშირად პატრონატს მიმართავდნენ თავისუფალი მიწათმფლობელი—მაგნატების მამულთა მეზობელი სოფლების მკვიდრნი, რომლებიც იყვნენ დაბეგრბილი დიდი გადასახადებით და იყვნენ შეკრული ურთიერთ თავდებობით, და გარდა ამისა, იტანჯებოდნენ ჯარისკაცებისა და ადგილობრივი ხელისუფლების თავხედობით, რომლებსაც მათს ნებაზე ჰყავდათ მიწებებული მაგნატები. ამ მდგომარეობაში მყოფი წვრილი მიწათმფლობელი ეძებდა დახმარებას მხოლოდ მდიდარ და გავლენიან მეზობელთან, არსებითად იგი ეძლეოდა მას ნებაყოფლობით მონობაში.

ფორმალურად საქმე ასე ეწყობოდა. ვინც მოექცეოდა პატროცინიუმში, იქნებოდა ის კერძო პირი, თუ მთელი სოფელი, რჩებოდა თავის მიწის ნაკვეთზე (agellus, resecula) და განაგრძობდა მის დამუშავებას, მაგრამ არა როგორც სრული მესაკუთრე, არამედ როგორც ამ ადგილის დამქირავებელი—კლიენტი, საერო თუ სასულიერო პატრონისა.

საწარმოო დამოკიდებულება არ იცვლებოდა. მეპატრონე რჩებოდა თავის ადგილზე და ამუშავებდა მას ძველი მეთოდით. ძველი მიწის ნაკვეთთან ერთად ხანდახან ის ლეზულობდა მაგნატის მამულთან მიწის ჩამონაჭერს, რომლის დაბეშავებას ის პირდებოდა საკუთარი ძალითა და თავისი ოჯახის ძალებით. ვალდებულებანი პატროცინიუმში შემსვლელთათვის იგივე იყო, რაც მოვალეობა კოლონისა: ღალის ნატურალურად გადახდა, პატრონისათვის ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა მეურნეობაში, ლაშქრობაში პატრონთან ერთად მონაწილეობის მიღება, საზღვრების მიტანა პატრონისათვის, ყურადღების გამოჩენა, როგორც თვით პატრონის, ისე მის მახლობელთა მიმართ და სხვ. კლიენტის სიკვდილის შემდეგ მისი მიწის ნაკვეთი რჩებოდა კლიენტის პატრონს. არსებული წყაროების მიხედვით, ჩვენ ვერკვევით იმ გარემოებაში, თუ რა მოტივები აიძულებდა წვრილ და საშუალო მესაკუთრეებს გამხდარიყვნენ მიწის მაგნატების კლიენტებად, ან რა რეალური შინაარსი ჰქონდა ამ ურთიერთობას. ამ საკითხებზე პასუხის გასაცემად მოვუსმინოთ თანამედროვე საეკლესიო მწერალს სალვიანს, რომელიც ცხოვრობდა V საუკუნის პირველ ნახევარში.

„ნივთიერად მეტად შევიწროვებული ლატაკნი,--წერს სალვი-

ანი,—წარამარა სტოკევენ თავიანთ ბატონებსა და ქონებას, რათა შევიწროებისაგან თავი გადაირჩინონ და, ჩაყენებულნი გამოუყვალ მდგომარეობაში, დევნიან მდიდრების მფარველობის ქვეშ, იქმნებიან მათ მონებად და, ასე ვთქვათ, მთლიანად ექვემდებარებიან მათ ხელისუფლებასა და სამართალს“...

„ბოლოსდაბოლოს მე არ ვგმობ ამ ზომას. მე მზად ვარ კიდევაც შევაქო მდიდრები, რომელთა ხელშიც გადადიან ღარიბები, რომ ისინი სთავაზობდნენ დაცვას ღარიბებს, არა ანგარებით, არამედ კატომოყვარობით, და არ ვაქრობდნენ თავიანთი მფარველობით, მაგრამ შემადრწუნებელი და არაადამიანური ის არის, რომ თავისი მფარველობით ისინი ძარცვენ ღარიბებს, და ანადგურებენ—რა უბედურთ, ამით ისინი ქმნიან მათ უფრო უბედურებად. ყველამ, ვისაც სურს დახმარების მიღება, წინასწარ უნდა გადასცეს თავის დამცველს თითქმის მთელი თავისი ქონება“¹.

რომ არ გაძლიერებულიყვნენ „ძლიერნი მეუფენი“ (potentiores possessores)—დაეძებდნენ ყოველგვარ საშუალებას პატროცინიუმების მოსასპობად, ან ყოველშემთხვევაში, მის შესასუსტებლად, როგორც ეს ჩანს იმპერატორების ქვემომოყვანილ დეკრეტებიდან, სადაც მძიმე სასჯელების მუქარის ქვეშ (ჯარიმები და ქონების კონფისკაცია ორი მხრიდან—პატრონებისა და კლიენტებისა) აღკვეთილი იყო პატროცინიუმი.

„ყველას საყურადღებოდ ვაცხადებთ,—ამბობს იმპერატორების არკადისა და ჰონორიუსის რესკრიპტი, გაცემული 399 წ. ეგვიპტის პრეფექტის სახელზე,—რომ ყველა, ვინც ცდილობს შესთავაზოს პატროცინიუმი მიწათმოქმედებს (rusticis), რა წოდებისაც არ უნდა იყოს,—არის ის არმიის სარდალი, კომიტი, პროკონსული, ვიკარი, ავგუსტალი, ტრიბუნი, თუ სხვა,—იხდის ჯარიმას 40 გირვანქა ოქროს რაოდენობით თითოეულ ნაკვეთ მიწაზე, რომელიც მას მიუღია პატროცინიუმში (pro singulorum fundorum),—თუკი ამ თავზედ განზრახვან ის ხელს მაინც არ აიღებს. ამნაირად, დეე იცოდეს ყველამ, რომ აღნიშნულ სასჯელს მიიღებენ არა მარტო ისინი, ვინც მიიღო კლიენტი-მიწათმოქმედი (clientelam rusticorum), არამედ ისინიც, ვინც თავს არიდებს გადასახადის გადახდას და მოტყუების გზით გაიქცა პატროცინიუმში; უკანასკნელნი იხდიან ჯარიმას ორმაგად“².

¹ Sal v., De gubern. Del, V.

² Cod. Theod., XI, 24, 4.

„ვაუწყებთ შენს ბრწყინვალეობას,—ამბობს იმავე იმპერატორების მეორე რესკრიპტი,—რომ აღრე გამოქვეყნებულ პრინციპსების კანონებს პატროცინიუმების აკრძალვის შესახებ, ჩვენ დაუმატეთ კიდევ უფრო მკაცრი სასჯელი. დეი, ყველამ იცოდეს, ვინც იქნება შენიშნული, რომ ის სთავაზობს პატროცინიუმს სოფლებს, რომელთაც საკუთარი მიწა აქვთ (*vicanis propria possidentibus*), ის მკარგავს საკუთარ ქონებას, საკუთარ მიწას. სასჯელს მიიღებენ თავისი მიწის დაკარგვის სახით (*agricolis terrarum suarum dispendio feriendis*), აგრეთვე მიწათმოქმედნი, რომლებიც გაიქცნენ პატროცინიუმში¹.

ანალოგიური დეკრეტები მოიპოვება აგრეთვე იუსტინიანეს კოდექსში: „არავის არ შეუძლია მიიღოს თავის პატროცინიუმის ქვეშ სოფლები, ან მათი მცხოვრებნი“ (*ut nemo ad suum patrocinium suscipiat vicos vel rusticanos eorum*), ამბობს კოდექსის ერთ-ერთი მუხლი².

პატროცინიუმის წინააღმდეგ მიმართულ ზომად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე „კოლონების მინაგობა“ და IV—V საუკუნეების იმპერატორების სოციალური დემაგოგია. ერთერთ კონსტიტუციაში, მაგალითად, ნათქვამია: „სამდივნოთა კარები და კარები თქვენი საკუთარი სასლებისა ყოველთვის ღია უნდა იყოს ღარიბთა და შეურაცყოფილთათვის (*laesis tenuiribus*), რომელთა ხმასაც ყურს უგდებენ იმპერატორის სასახლეში“. „ღვთიურ“ ბრძანებების უწმინდურ ღამრღვევთ მოვლით მკაცრი სასჯელი, ჯარიმები, ხელებისა და თავის მოკვეთა³.

პატროცინიუმის დასაპირისპირებლად იმპერატორები ცდილობდნენ წვრილ-მესაკუთრე-მიწათმოქმედთა გაერთიანებას ერთ კორპორაციაში (*consortia vicanorum*), იმპერატორთა კონსტიტუციების მრისხანე ტონი პატროცინიუმის წინააღმდეგ, სერიოზული მდგომარეობის მაუწყებელი იყო. და მაინც, მიუხედავად კანონების მთელი სიმკაცრისა, პატროცინიუმების რიცხვი არათუ არ მცირდებოდა, არამედ ყოველ დღე იზრდებოდა. რომის სახელმწიფოში მდგომარეობა მაშინ ისეთი იყო, რომ პატრონატს ბევრი ისე უცქერდა, როგორც ჭეშმარიტ სიკეთეს (*beneficium donatio*), რომელსაც უწევდა პატრონი ყოველივე კლიენტს. „მდიდრების ქვეშევრ-

¹ Cod. Theod., XI, 24, 5.

² Cod. Just., XI, 54.

³ Cod. Theod., XVI, 6—7; Cod. Just., 1. 40, 1—4.

დონობაში „ყოფნა (deditios divitum esse) უფრო ადვილ და საპატიოდ ითვლებოდა, ვიდრე რომის იმპერატორის ქვეშევრდომობა მიწათმოქმედ წვრილ მესაკუთრეთა გვერდით „მაგნატების მფარველობის“ ქვეშ დგებოდა მთელი სოფლები, როგორც ეს ჩანს თეოდოსეს კოდექსის XI წიგნის მე-24 თავიდან, რომელიც მიძღვნილია სოფლების პატროცინიუმებისადმი (De patrociniis vicorum)¹.

„თუ აღმოჩნდება, რომ ვინმე შენი უწყებიდან (ex officio tuo), ან სხვა წოდებიდან მიიღო თავის პატრონატში სოფლები (vicos), ის ჩამოირეცხს თავის დანაშაულს დადგენილი სასჯელით. პოსესორები, თუნდაც ეს იყოს მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ, მოყვანილი იქნებიან საიპერიო კანონებისადმი მორჩილებაში და საზოგადოებრივ მოვალეობისადმი პატივით მოპყრობაში (muneribus publicis satisfacere cogantur). ამასთან ერთად, დეე ყველამ იცოდეს, რომ სოფლები, რომლებმაც თავიანთი თავი ჩააბარეს პატრონატს და ამაყობენ მათი დამცველების სიძლიერით და თავისი რაოდენობით, შეასრულებენ საზოგადოებრივ ვალდებულებებსა და მიიღებენ სასჯელს, რომელსაც უკარნახებს მათ კანონი“².

„სასჯელის შიშით მიწათმოქმედებმა (agricolae) უარი უნდა სთქვან პატროცინიუმზე, თუკი მათ ასეთი დახმარება (talía adiumenta) მიიღეს რომელიმე თავხედური ეშმაკობით. ისინი კი, რომლებიც უხვად არიგებენ პატროცინიუმებს, როგორც კი ეს გამოძღვანდება, გადაიხდიან თითოეულ მამულზე ოცდახუთ გირვანქა ოქროს“³.

მაშინ როდესაც წვრილი მესაკუთრენი, კოლონები და მონები, მაგნატების „საფარველიდან“ გამოქცეულები პატროცინიუმში ხედავდნენ ერთადერთ საშუალებას თავი დაეღწიათ მძიმე გადასახადებისა, ბეგრისა და აღმინისტრაციულ თვითნებობისაგან,—პატრონები, კლიენტების სახით, იძენდნენ მუშახელსა და სამხედრო ძალას, რომლის ნაკლებობასაც განიცდიდნენ,—უამრავ მუშაკებს, ჯარისკაცებს და მოჯამაგირეებს, რომლებიც მათ არაფრად უღირდათ.

იმპერატორების დეკრეტების უძლურების მიზეზი კი პატროცინიუმთან დამოკიდებულებაში გამოძინარეობდა თვით რომის სახელწიფოებრივობის მდგომარეობიდან.

გამოდიოდა რა პატროცინიუმების წინააღმდეგ, საიპერატორო ხელისუფლება, შედეგად თავის უძლურებისა, ამავე დროს იძულებ-

¹ Cod. Theod., XI, 24.

² Ibid., XI, 4, 3.

³ Ibid., XI, 24, 2

ბული იყო დასმარება ეთხოვა მიწის მაგნატებისათვის, ვინაიდან სახელმწიფოს არ შეეძლო მარტო თავისი აპარატის საშუალებით აეკრიფა გადასახადები და შეევესო ჯარის ნაწილები. იმპერატორები ცდილობდნენ ეს არასასიამოვნო ფუნქციები გადაეცათ ადგილობრივ კურიებისათვის, მამულთა მფლობელთათვის, სახელმწიფოს საეკლესიო და სამონასტრო მამულების კონდუქტორებისათვის, ამის გამო მემამულე-პატრონი, რომელიც იყო პასუხისმგებელი თავისი ქვეშევრდომი ხალხისათვის, ავტომატურად ლებულობდა სახელმწიფოებრივ უფლებას და ხდებოდა ადგილობრივ მემამულე-მეფედ (*dominus*), იყო რა პასუხისმგებელი ცენტრალური მთავრობის წინაშე თავისი „სახელმწიფოს“ კეთილდღეობისათვის, გადასახადების წესიერად შეგროვებისათვის, რეკრუტების გამოყენებისა (*tironum praebitio*) და სხვა სახელმწიფოებრივ და მუნიციპალურ ბეგარათა შესრულებისათვის.

ანიჭებდა რა ფართო უფლებებს „შეძლებულ პოსესორებს“ „პლებეურ ხალხის მიმართ“, ამით საიმპერატორო მთავრობა ფაქტიურად უარს ამბობდა თავის უმაღლეს უფლებებზე რომის სახელმწიფოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილის მიმართ. „მიწის მაგნატი, ანუ გენერალური მოიჯარადრე—ნათქვამია IV საუკ. ერთ კონსტიტუციაში,—უნდა აცხადებდეს თავის მონებს არა საერთო ჯამით, არამედ თანრიგის მიხედვით, სადაც უნდა აღინიშნოს მონის დაბადების ადგილი, წლოვანება, სამუშაო ანუ ხელობა“. „თუკი მფლობელს გამოორჩება რომელიმე მოიჯარადრის აღრიცხვა, მაშინ ის ვალდებულია თავის საშუალებიდან დაფაროს კუთვნილი გადასახადი—ამ მიწის ნაკვეთიდან“.

მტრის თავდასხმის შემთხვევაში, მემამულეები ადგილობრივ მოსახლეობიდან, ან ბარბაროსებიდან შენდვარ თავისი მებრძოლ რაზმელებით უნდა მონაზადებულყვნენ სალაშქროდ და მოეგერებინათ მტრის თავდასხმა. ამ სახის კერძო რაზმელებს უწოდებდნენ ბუკცელარიებს (*buccellarii*) ანუ მონაშეცეცებს (სიტყვიდან წარმოდგება *buccella*—ნატეხი, ნამცეცი, მოსატყუებელი). მამულები, რომლებიც მოწოდებული იყვნენ სამხედრო ფუნქციების შესასრულებლად, გადაიქცნენ ნამდვილ ციხე-სიმაგრეებად, რომლებიც გარშემორტყმული იყვნენ გალანითა და კოშკებით (*turres*). ავტონომიური (*fundi excepti*) იმპერატორების სალტუსები, მაგნატების მამულები, პატროცინიუმები და ბუკცელარები, ცხადად მოწმობენ რომის საზოგადოებაში ფეოდალიზაციის ზრდას. მაგრამ ვერც პატროცინიუმმა იხსნა საზოგადოება მზარდ გაღარიბებისაგან.

„რა უგუნურობა და სიბრძნევეა,—ამბობს სალვიანი,— იფიქრო, თითქო. კერძო პირთა სიმდიდრის წენახვა შეიძლებოდეს, როდესაც სახელმწიფო განიცილებს კრიზისს“¹.

იგივე აზრია საერთოდ ვატარებელი იმპერატორ ვალენტინიანეს წიააუ ნოველაში, რომელიც სალვიანეს თანამჯროვე იყო².

სახელმწიფოებრივ ხელისუფლების დაუძღურებისა და რომის ჯარის გასრწნის ერთი მიწვენებელთაგანი იყო დეზერტირებისა და ყაჩაღების საქმეების გარწვევის გადაცემა ადგილ-ობრივ მოსასლეობისათვის, სადაც კი დეზერტირები და ყაჩაღები იქნებოდნენ აღმოჩენილნი, ე. ი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონდებოდა თვით-გასამართლება. „ჩვენ უფლებას ვანიჭებთ პროვინციელებს,—ნათქვამია თეოდოსეს 403 წლის ერთ ბრძანებაში,—დაიკირონ დეზერტირები (opprimendorum desertorum facultatem) და თუ ვინიცობა ისინი შეეცდებიან წინააღმდეგობის გაწევას, ვბრძანებთ წარმოებულ იქნეს გასამართლება ადგილზე... ვადგენთ: დეზერტირების შეპყრობა ხდებოდეს ყველა საშუალებათა გამოყენებით“³.

ფეოდალიზაციას თან სდევდა, როგორც მისი ორგანული შედეგი, სახელმწიფოებრივი აპარატის გახრწნა. კინდებოდა და ჰკარგავდა თავის შინაგან ავტორიტეტს კანონმდებლობა, რომლის უფლებრივი ნორმები თანდათანობით იცვლებოდა უფრო მაღალი სასჯელით და მუქარით. ეცლებოდა რა სახელმწიფოს ფეხქვეშ ნიადაგი, იმპერატორის მთავრობა სცემდა უამრავ, ერთი მეორის საწინააღმდეგო, კანონებს, რომლებშიაც ერთი ზომა იცვლებოდა მეორეთი. კანონები იწერებოდა შემთხვევით წვრილმან საკითხების ირგვლივ, ყოველგვარი პრინციპის დაცვის გარეშე; ისინი ისევე ხშირად იცვლებოდა, როგორც იწერებოდა. ფორმულირება კანონებისა გამოირჩეოდა არა სისრულით, ბუნდოვანობით და გაპრანქულობით. ყველავს მოწმობდა სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების გადაგვარებასა და ღრმა კულტურულ კრიზისს. მონათმფლობელურ რომის წიაღში ახლად-ჩასახელი ფეოდალური საზოგადოება პირველ ხანებში არ მოითხოვდა იმ რთულ პოლიტიკურ ზედნაშენს, რომელსაც წარმოადგენდა რომის იმპერია და ამიტომ ყოველი ღონით ცდილობდა მისგან განრავისუფლებას. რომის იმპერიის უკანასკნელი საუკუნეების ისტორია არის ისტორია ფეოდალური ელემენტების განთავისუფლებისა,

¹ Salv., De gubern. Del, I, 11.

² Nov. Valent., 10.

³ Cod Theod., VII, 18, 13, 14.

რაც გამოიხატებოდა ცენტრისტულ (მონათმფლობელურ) და დეცენტრალისტურ (ფეოდალურ) ტენდენციათა ბრძოლაში. ბოლოსდაბოლოს ცენტრიდანულმა ტენდენციებმა სასწორი თავისკენ გადახარა და გაიმარჯვა ფეოდალიზმმა, მაგრამ არამშვიდობიანური, არანედ რევოლუციური გზით. რომის სახელმწიფოებრივობა ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი იყო, რომ თავისთავად არ დაშლილიყო — საჭირო იყო რევოლუციური აფეთქება.


„რამდენად უფრო დაბლა ეცეზოდა სახელმწიფო, მით უფრო იზრდებოდა გადასახადები, მით უფრო ურცხვად სძარცვავდნენ და ყვლეფდნენ ხალხს მოზღლეები... ვაჭრობა, რომელიც მათ პროვინციებში დახვდა, განადგურდა მოხელეების ძალმომრეობის წყალობით... საყოველთაო გალატაკება, აღებ მიცემობის, ხელოსნობის, ხელოვნების დაქვეითება, მოსახლეობის შემკირება, ქალაქების განადგურება, მიწათმოქმედების დაბალ საფეხურზე დაბრუნება — აი რა მოჰყვა საბოლოოდ რომის მსოფლიო ბატონობას“¹.

„ასეთი იყო გამოუვალი ჩიბი, რომელშიაც მოემწყედა რომის ქვეყანა: მონობა გახდა ეკონომიურად შეუძლებელი... ამ მდგომარეობიდან გამოყვანა შეეძლო ნხოლოდ სრულ რევოლუციას“².



¹ ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, შ. სახელგამი, 1931 წ., გვ. 176.

² იქვე. გვერდი 176—179.



თ ა ვ ი XXVI

ეკლესია და სახელმწიფო

1. დიოკლეტიანესა და კონსტანტინეს რელიგიური პოლიტიკა

რღვევის გზაზე შემდგარ რომის სახელმწიფოებრივობისათვის უკანასკნელი დასაყრდენი იყო ქრისტიანული ეკლესია. მაგრამ ვიდრე ქრისტიანული ეკლესია შეუერთდებოდა სახელმწიფოს და შეიქნებოდა მისი დასაყრდენი, გავიდა მრავალი წელი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გააფთრებული ბრძოლისა, რომელმაც საბოლოოდ შეარყია სახელმწიფოს ორგანიზმი. ეკლესიის სახით სახელმწიფოს ხელისუფლება ეჯახებოდა ფრიად სერიოზულ მეტოქეს. ქრისტიანული ეკლესიის გავლენა განსაკუთრებით გაძლიერდა III საუკუნეში, — კრიზისის პეროდში. საიპერატორო ძალა-უფლების კრიზისი ხელს უწყობდა ეკლესიის ავტორიტეტის ზრდას, ხოლო III საუკუნის სოციალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო მეტად ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა ქრისტიანული იდეოლოგიის გაჯარცელებისათვის.

იდეოლოგიურ გავლენის პარალელურად იზრდებოდა ეკონომიური ძალა ეკლესიისა. საეკლესიო ქონება შედგებოდა ქრისტიანულ თემთა საწევრო გადასახადებიდან, ეკლესიის მდიდარ და ღარიბ წევრთა ჩუქებებიდან და ანდერძებიდან. იმ დროს, როდესაც საიმპერატორო ხელისუფლება ფორმით აბსოლუტური, შინაგან სუსტდებოდა და ირღვეოდა, ეკლესია მაგრდებოდა და მტკიცდებოდა, იქცეოდა რა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ სახელმწიფოში, საკუთარი მეურნეობით, ადმინისტრაციული აპარატით, უამრავი მოჯამა-

გირეებით და კლიენტებით, საკუთარი, აბსოლუტური მნიშვნელობის პრეტენზიის, იდეოლოგიით.

შეტაკება ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის უნდა იქნეს განხილული, როგორც ორი ერთგვარი, ურთიერთშორის მოქიშვე დაწესებულების, ბრძოლა. „ქრისტიანობის სიძულვილი იმპერიისადმი, — ამბობს ე. რენანი, — იყო სიძულვილი ადამიანებისა, რომელთაც ოდესღაც ერთმანეთი უნდა შეეყარებინათ“¹.

შედარებით მშვიდობიანი თანამშრომლობა ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის, რომელიც სუფევდა II საუკუნეში, გადავიდა აშკარა მტრობაში III საუკუნეში, — პანონიური და ილირიკული დინასტიების იმპერატორთა დროს (დეციუსი, ვალერიანე და დიოკლეტიანე). ქრისტიანული ეკლესია გამოცხადებულ იქნა ანტისახელმწიფოებრივ დაწესებულებად, ქრისტიანობა კი კულტურის მტერ სარწმუნოებად.

განსაკუთრებით სასტიკ დევნას განიცდიდნენ ქრისტიანები დიოკლეტიანეს დროს, რომლის აბსოლუტიზმი ვერ ურიგდებოდა ეპისკოპალურ ეკლესიის არანაკლებ აბსოლუტიზმს. ილაშქრებდა რა ეკლესიისა და ეპისკოპოსის უფლების წინააღმდეგ, დიოკლეტიანე ფიქრობდა, რომ ის იცავს უძველეს დაწესებულებებს, ადათებს და სარწმუნოებებს. „უდიდესი დანაშაულობაა მოისურვო გაანადგურო ის, რაც შეიძლებულია და დადგენილია ძველთაგან, რაც ინარჩუნებს იმ დროიდან თავის სწორ სვლას და აქვს მკვიდრი მდგომარეობა“, — წერდა დიოკლეტიანე ერთერთ ანტიეკლესიურ კანონში.

არსებითად რომ ვთქვათ, დევნა დიოკლეტიანესი იყო მიმართული არა იმდენად თვით ქრისტიანული სარწმუნოების, როგორც ასეთის, წინააღმდეგ, — რამდენადაც ქრისტიან მქადაგებელთა, წინასწარჩეტყველთა და ეპისკოპოსთა წინააღმდეგ, რთალებიც აღაგზნებდნენ იმპერატორების ქვეშევრდობთა გონებას. ყველა წინასწარჩეტყველნი და მქადაგებელნი, რომლებსაც წარმოდგენა აქვთ თავიანთ თავზე, რომ ისინი ღვთის ნების შემართულებლები არიან, — დაუყოვნებლივ უნდა განიდევნონ ქალაქიდან, რათა მათ არ ისარგებლინ საღვთის გულტბრყვილობით და არ წაბილწონ საზოგადოებრივი ხნენი ყოველგვარი იმედებით მომავალზე, და არ აღაშფოთონ ხალხის გონება. პირველად ისინი უნდა დაისაჯონ გაჯობებით და ქალაქიდან განდევნიონ. წინააღმდეგობის გაწევის შინაგანი ისინი ჩასმული უნდა იქნენ საპრობილეში, გადაიგზავნონ კუნძულებზე, ანდა დაისაჯონ რომელიმე სხვა სასჯელით. ყველა ის, ვინც აარსებს ახალ სექტებს,

¹ Ренан, Рим и христианство, гл. 213.

ანუ ქადაგებს დღემდე უცნობ სარწმუნოებას, რომელიც აღვლევს ადამიანის გონებას, გაძევებული უნდა იქნეს, თუკი ის ეკუთვნის მაღალ კლასს, ხოლო სიკვდილით ისჯება, თუ იგი ეკუთვნის დაბალ წოდებას“¹.

დიოკლეთიანეს დროს ქრისტიანების წინააღმდეგ დევნის საბაზად გადაიქცა ხანძარი იმპერატორის სასახლეში, — ნიკომედიაში, რომლის მიზეზად ასახელებდნენ ქრისტიანებს. ქრისტიანების დევნის ინიციატივა გამომდინარეობდა ქურუმებისგან, რომელთაც ძლიერ სძულდათ ქრისტიანები, როგორც თავისი პროუფესიული მეტოქეები. ქურუმობას ეხარს უჭერდა მოსახლეობის ერთი ნაწილი, განსაკუთრებით არისტოკრატია, ინტელიგენცია და თვით იმპერატორი. ცოლმორწმუნე დიოკლეთიანე თავის სახელმწიფოებრივ საქმეებში და პირად ცხოვრებაში დამარცხების მიზეზად სთვლიდა ქრისტიანულ დემონებს (ღმერთებს), განსაკუთრებით კი, მთავარ ღმერთს, — ქრისტეს.

დევნა, რომელიც დაიწყო 303 წლის 23 თებერვალს ღმერთის ტერმინის (Terminus), საზღვრის ღმერთის დღეს, — საზღვარი უნდა დაედო ქრისტიანობის გაეოცლებისათვის, მაგრამ სახელმწიფოს შეტაკება ეკლესიასთან დამთავრდა სახელმწიფოს მარცხით, უფრო მეტც, ზეტაკებამ გამოიღო საწინააღმდეგო შედეგები — გაჩნდნენ ქრისტიანი „წამებულნი“, რომელთაც ასწიეს ქრისტიანული სარწმუნოება და ეკლესია არა მარტო ქრისტიანების, არამედ თვით კერპთაყვანისმცემელთა თვალშიც.

დიოკლეთიანეს რელიგიური მარცხის მიზეზი, როგორც ეს არაერთხელ აღგვინიშნავს, მდგომარეობდა პირველყოვლისა, თვით რომის სახელმწიფოს შინაგან უძღურებაში. დიოკლეთიანეს თვითმპყრობელური პოლიტიკა თავისი უზომო გადასახადებით, ბევრით თვითმპყრობელური ტენდენციებით, ხდიდა საიმპერატორო ხელისუფლებას არაპოპულარულად მოსახლეობაში, — თვით მოხელეთა შორის, რომლებიც დაჯარიმებისა და დასჯის შიშით ასრულებდნენ იმპერატორების რეკრიბტებს. იმპერიის იდეოლოგიური დასაყრდენი კი — ძველი რელიგია სრულ გახრწნის გზაზე იდგა. რწმენა ძველი ღმერთებისადმი ძლიერ იყო შელახული. ქურუმობამ, რომელიც დაყოფილი იყო მრავალ კულტად და რომელიც თავს იყრიდა ტაძრების გარშემო, უკვე დაჰკარგა თავისი გავლენა. იგი სუსტად იყო

¹ Mosaiorum et romanorum legum collatio, XV, 3, J. A. Figanioi, L'empereur Constantin, Paris, 1932, 39.

ორგანიზებული. ქრისტიანების ეკლესიის ტიპის საერთო ორგანიზაცია ქურუმებს არ ჰქონდათ. თითოეული ტაძარი წარმოადგენდა დანოუქიდებელ ერთეულს, რომელიც ცხოვრობდა საკუთარი ცხოვრებით. იმპერატორები არაერთხელ ცდილან გაეცოცხლებინათ ძველი კულტი, მაგრამ ამაოდ, იმპერატორების დეკრეტებითა და ფილოსოფიური მსჯელობებით არ შეიძლებოდა ახალი სარწმუნოების შექმნა და არც ძველის აღდგენა, საზოგადოებრივი ფსიქოლოგია კი მოითხოვდა ახალ იდეოლოგიურ ფორმების ჩამოყალიბებას.

ყველაზე მეტ გავრცელებას პოვებდა აღმოსავლური კულტები—თავისი მისტიკით, ექსტაზითა და საიდუმლოებრივი წესების დაცვით. ეკლესია, უფრო მეტად ვიდრე სახელმწიფო, შეესაბამებოდა თავისი გემოვნებითა და მოთხოვნილებით დეკრადაციის გზაზე დამდგარ საზოგადოების სულიერ მოთხოვნასა და გემოვნებას. ქრისტიანულმა ეკლესიამ საბერძნეთ-რომის კულტიდან ბევრი ცრუპორწმენეობა აითვისა და რამდენიმედ შეცვლილი სახით შეიტანა თავის ქრისტიანულ რიტუალში. მეორეს მხრით, თვით წარმართთა კულტები და რელიგიური შეხედულებანი ქრისტიანული სარწმუნოების ზეგავლენით შეიცვალა. წარმართისა და ქრისტიანული სარწმუნოების სინკრეტიზმის ყველაზე მკვეთრი დამადასტურებელია კულტის ღმერთის მითრას „გაქრისტიანება“. ეკლესიის მთავარ წარმატებად კი ითვლებოდა საეპისკოპო ორგანიზაცია, რომელიც IV საუკუნისთვის უკვე საერთაშორისო ორგანიზაციად გადაიქცა.

ეკლესიის გამარჯვებისა და სახელმწიფოს დამარცხების ოფიციალური დამადასტურებელია მილანის ედიქტი, —გამოცემული კონსტანტინესა და მისი თანამმართველის ლიცინიუსის მიერ¹. მილანის ედიქტი, გამოცემული 313 წელს, აღიარებდა სჯულშემყენარებლობას და სცნობდა ქრისტიანულ სარწმუნოებისა და ეკლესიის გათანაბრებას სახელმწიფოებრივ წარმართ კულტებთან. გათანაბრების აღიარება კი, ეკლესიის ორგანიზაციის უპირატესობის წყალობით, თითქმის უდრიდა ქრისტიანულ სარწმუნოების გაბატონებულ სარწმუნოებად გამოცხადებას რომის იმპერიაში. ტექსტი მილანის ედიქტისა შემონახულია ორი რედაქციით—ლაკტანციის თხზულებაში „მდევნელთა სიკვდილის შესახებ“ და ევსევის — „ეკლესიის ისტორია“-ში.

ჩვენ, კონსტანტინემ და ლიცინიუსმა, ავგუსტუსებმა, შევიკრიბენით რა მილანში, რომ გაგვესაჯა ყველა ის საქმეები, რაც კი ესება სახელმწიფოს კეთილდღეობას და უშიშროებას, გადავწყვი-

¹ J. Wiltig, Das Toleranzreskript von Mailand, 1913.

ტით, რომ იმ საკითხთა შორის, რომლებიც ჩვენ ამჟამად გვანტერესებს, არაფერი ისე არ იქნებოდა სასარგებლო ჩვენი ხალხებისათვის, როგორც დადგენა იმისა, თუ რა საშუალებით შეიძლება სამსახური ღვთაებისადმი. ჩვენ დაეადგინეთ, მივანიჭოთ ქრისტიანებს და ყველა სხვებს უფლება თავისუფლად აღიარონ ის სარწმუნოება, რომელსაც ისინი ამჯობინებენ. ჩვენ გვგონია კარგი და გონივრული იქნება უარი არ ვუთხრათ არავის ჩვენ ქვეშევრდომთაგანს, იქნება ის ქრისტიანი, თუ სხვა კულტის მიმდევარი,—ჰქონდეს უფლება ვაყუეს იმ სარწმუნოებას, რომელიც მისთვის უფრო შესაფერისია. ამნაირად, უმაღლესი ღვთაება, რომლის თაყვანისცემა დღეიდან ყველა ჩვენგანს თავისუფლად შეუძლია, — გარდმოგვივლენს ჩვენ თავის მოწყალებას და სიკეთეს“¹.

მილანის ედიქტის გამოქვეყნების შინაგანი ფსიქოლოგიური მოტივი იყო კონსტანტინეს ცრუმორწმუნეობა და მისი შიში ყველა ზესთაბუნებრივის წინაშე, განსაკუთრებით „ქრისტიანული დემონების“ წინაშე. „ასე უფრო მალე შევძლებთ მივალწიოთ იმას, რომ ღვთაება, რომელიც სუფევს ცაში, იყოს კეთილად განწყობილი ხელმწიფისა და მის ქვეშევრდომთა მიმართ. ღვთაება, რომელიც ცაშია, დაადასტურებს თავის კმაყოფილებას თავის კეთილგანწყობას ჩვენდამი და ჩვენი ხალხებისადმი, რომლებიც ცხოვრობენ ჩვენთან და ჩვენს სამფლობელოში“².

პროვინციის პრეფექტებს მიეცათ განკარგულება, რათა მათ დაუყოვნებლივ დაუბრუნონ ქრისტიანებს ის მამულები, ქონება, სასაფლაოები და შენობები, რომლებშიაც ისინი ასრულებდნენ ღვთისმსახურებას. ამ განკარგულების გამო მადლობის ნიშნად იმპერატორები მოელოდნენ ქრისტიანთა ღმერთისაგან დასაჩუქრებას, წარმართთა ტაძრებიდან კი—საუნჯეს. ახალი სარწმუნოების ცნობადიდოლოგიურად ამართლებდა იმ დიდ საფინანსო ოპერაციებს, რომელსაც აწარმოებდა კონსტანტინე. ტაძრებიდან მიღებულ საუნჯეებით უზრუნველყოფილი იქნა ფულის კურსი, —სოლიდის კურსი, რომელიც თანდათან ეცემოდა³.

ქრისტიანული ეკლესიის სახით სახელმწიფომ მიიღო ძლიერი ორგანიზაცია, რომლის განკარგულებაშიც იყო დისციპლინირებული მოხელეების—მიტროპოლიტების, ეპისკოპოსების, პრესვიტერებისა და დიაკვნების მთელი შტატი. გარდა ამისა, ისეთ მბრძანებლური ხასი-

¹ Lact., De mort. persec., XLVIII.

² Ibid., XLVIII.

³ Herod., VI, 3; Panegyrici latini, XII, 4, 4.

ათის ადამიანებს, როგორც იყო კონსტანტინე, ეკლესია იზიდავდა თავისი მონარქიული ორგანიზაციით, ავტორიტეტის წინაშე ქედის მოხრით, ტრადიციით, ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის მოძღვრებით, და რესპუბლიკურ დაწესებულებათა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებით.

ხოლო ეკლესია, თავის მხრით, გარდა საჩუქრებისა და პრივილეგიებისა, იღებდა თავის განკარგულებაში სახელმწიფოებრივ ძალას და იმპერატორის ავტორიტეტს,—რაც ასე საჭირო იყო ეკლესიის შინაგანი მთლიანობის შესაქმნელად,—ღებულობდა სამხედრო ძალას „ქრისტეს სარწმუნოების მტრებისაგან“ და უცხო სარწმუნოებათაგან დასაცავად. კონსტანტინემ, ლიცინიუსზე გამარჯვების შემდეგ, გამოსცა მთელი რიგი დეკრეტებისა სახელმწიფოებრივ ეკლესიის ინტერესების სასარგებლოდ. ამით აეკრძალა მუნიციპიებს აიძულონ ქრისტიანები მიატოვონ შეწირულებები წარმართ ღმერთებს და კლირიკებს დააკისრონ რაიმე მუნიციპალური ვალდებულება; ეკლესიის მსახურთ ნებადაერთო გაეთავისუფლებინათ მონები ეკლესიის შუამდგომლობით და ეკლესიის სასარგებლოდ, შემოღებულ იქნა სავალდებულო დასვენება კვირაობით და სხვ. „თითოეულს,—ნათქვამია იმპერატორ კონსტანტინეს მიმართვაში ხალხისადმი,—ნება ეძლევა, სიკვდილის წინ, უანდერძოს წმინდა კათოლიკურ და მართმადიდებელ თემს (*sanctissimo catholicae venerabilique concilio*) თავისი ქონება, რომელსაც ის მოისურვებს და ეს მისი გადაწყვეტილება არ შეიძლება იქნეს საღაო“¹. ქრისტიანულ იმპერიის სიმბოლოდ გადაიქცა ჯვარი, რომელსაც გამოხატავდნენ დროშებზე (*labarum*) და მონეტებზე.

კონსტანტინედან იწყება რომის იმპერიის ქრისტიანული პერიოდი, რომელიც გრძელდება იმპერიის დასასრულამდე. ამავე დროს, თეოკრატია ყოველ საუკუნეში თანდათანობით მეტ გავლენას იპოვებდა სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიურ, პოლიტიკური და იდეოლოგიური ცხოვრების მთელ წყობაზე. მას შემდეგ, რაც ქრისტიანული ეკლესია გამოცხადდა სახელმწიფოებრივ ეკლესიად, ა. ჰარნაკის გამოკვლევის თანახმად, ქრისტიანთა რიცხვი ორჯერ გადიდდა². საეკლესიო ცხოვრებაში ამიერიდან პირველხარისხოვან ადგილს იჭერს ორგანიზაციული და დოგმატიური საკითხები, რომ-

¹ Cod. Iust. 1, 2, 1.

² A. Harnack. Die Mission und Ausbreitung des Christentums, II, 1924, გვ. 618.

ლებიც აღელვებდნენ ქრისტიანულ თემებს. ამ საკითხების გადაჭრას, რასაც არა მარტო საეკლესიო, არამედ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც ჰქონდა, თვით სახელმწიფომ მოჰკიდა ხელი. 325 წელს ქ. ნიკეაში კონსტანტინემ მოიწვია პირველი სრულიად-საიმპერიო მსოფლიო საეკლესიო კრება¹. კრებაზე მოწვეულნი იყვნენ ყველა პროვინციის წარმომადგენელნი—ეპისკოპოსები და პრესვიტერები. კრების მოწვევის საბაზად გახდა არიოზის (Arius) მწვეალებლობა. არიოზი ჯერ იყო დიაკონი და შემდეგ კი ეგვიპტის ეპარქიის პრესვიტერი. ქრისტიანული დოგმატიკის მწვავე საკითხად მაშინ ითვლებოდა ღვთაების მეორე პირის, ძე-ღვთისა-ქრისტეს შინაგანი ბუნების საკითხი და საკითხი მისი ორმაგი ღმერთ-კაცის, ბუნების შესახებ. არიოზი აღიარებდა მხოლოდ მსგავსებას (homoiosis) და უარყოფდა იგივეობას (homousios) ძე-ღვთისა და მამაღმერთის შორის, როგორც ამას ასწავლიდნენ ორთოდოქსები (ათანასე).

კონსტანტინე მხარს უჭერდა ორთოდოქსებს, ხედავდა რა არიოზის მოძღვრებაში სახიფათო იდეას, რომელსაც შეეძლო დაემციებინა ავტორიტეტი არა მარტო ღმერთის შვილისა, არამედ ყოველგვარი, როგორც ციური, ისე ამ ქვეყნიური, ავტორიტეტი. 'შემდეგში რომ არ განმეორებულყო მსგავსი კამათი, საეკლესიო კრებებზე გამოეშავებულ იქნა სარწმუნოების კანონი, — რომელიც ცნობილია შემდეგში — „ნიკეის სარწმუნოების სიმბოლოლ“ (symbolum Nicaeanum).

ფორმალურად ნიკეის კრებაზე ორთოდოქსებმა გაიმარჯვეს, მაგრამ „სარწმუნოების სიმბოლოს“ გამორცხადებამ არათუ არ ჩააქრო, არამედ უფრო მეტად გაამწვავა შინა საეკლესიო დაეა, მწვალებლობათა რიცხვი უფრო მრავლდებოდა. არიოზელებთან ერთად აფრიკის დონატისტებმა ბევრი უსიამოვნება და დავიდარება მიაყენეს ორთოდოქსებს და მათ მეთაურს კონსტანტინეს, რის შესახებაც მოთხრობილია ქვემოთ.

დოგმატიკური დაეა არ ისაზღვრებოდა ეკლესიის მსახურთა ვიწრო წრით, არამედ ამ საქმეში ებმოდნენ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ფართო წრეები. ეკლესიები და ტაძრები, სადაც მიმდინარეობდა ღვთისმეტყველების საკითხების ირგვლივ, გაცხარებული კამათი, ვერ იტევდნენ მსურველთ, რომელთაც უნდოდათ კამათში მონაწილეობის მიღება ან მოსმენა, მრავალფეროვანი ბრბო,

¹ P. Batiffol, Les sources de l'histoire du concile de Nicée, 1925.

რომელიც შედგებოდა ხელოსნებისა, ვაჭრებისა, სტუდენტებისა, მონებისა და სხვადასხვა პროფესიის ინტელიგენტთაგან, დიდი ხალხით იჭერდა თითოეულ სიტყვას და შეძახილებით გამოხატავდა თავის სიხარულს, თუ უკმაყოფილებას.

კრებებზე მიმდინარეობდა არა მარტო ცხარე სიტყვიერი კამათი, არამედ ხშირად საქმე მიდიოდა ნოწინაალმდგვის შეურაცხყოფამდე, თვით ხელჩართულ ბრძოლამდეც კი. რელიგიური საკითხების გადაჭრას ხალხის მასები უკავშირდნენ სოციალური საკითხების გადაჭრასაც, ბრძოლა ამათუიმ მოძღვრების შესახებ ამჟღავნებდა კლასთა ინტერესების თავისებურ განზახატულებას — „დოგმატები... გადაიქცნენ სახელმწიფოებრივ საკითხებად“¹. „თუკი... კლასობრივი ბრძოლა ატარებდა მაშინ რელიგიურ იერს, თუკი ინტერესები და მოთხოვნილებები ცალკეულ კლასებისა იფარავდნენ თავს სარწმუნოების აკის ქვეშ, — ეს გარემოება სრულიად არ ცვლის საქმის ვითარებას და ადვილი ასახსნელიც არის — დროის პირობების მიხედვით“ (ენგელსი)².

2. იულიანეს ანტიქრისტიანული რეაქცია

IV საუკუნის ნახევარში ორთოდოქსალური ეკლესიის წინააღმდეგ დაიწყო ძლიერი რეაქცია, რომელსაც მეთაურობდა იმპერატორი იულიანე (Julianus, 361—363 წწ.), წოდებული ეკლესიის მსახურთა მიერ აპოსტატად (Apostata — განდგომილი)³. იულიანეს მოძრაობას მხარს უჭერდნენ სულ სხვადასხვა ჯგუფები. ამ მოძრაობას სათავეში ედგა წარმართული ინტელიგენცია — ქურუმები, ფილოსოფოსები და პედაგოგები, რომლებიც განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდნენ ქრისტიანობის გამარჯვებას. ძველი ტაძრები და რიტორებისა და სოფისტების სკოლები წარმოადგენდნენ ერთადერთ კერას, საიდანაც ჯერ კიდევ ბედავდნენ გაეკრიტიკებინათ ახალი სარწმუნოება, ყოველშემთხვევაში, აღმოეჩინათ ბევრი რამ დადებითი მხარეები ძველ სარწმუნოებაში, ძველ მეცნიერებაში და ძველ ხელოვნებაში. წარმართულმა ინტელიგენციამ ყველაზე დიდხანს შეინახა ანტიკური კულტურა. ამათ წრიდან გამოდიოდნენ ქრისტი-

¹ Маркс, Статьи в „Рейнской газете“, Маркс и Энгельс, Собр. соч., т. I, 1928 г., გვ. 206.

² Энгельс, Крестьянская война в Германии, М. Соцэкгиз, 1931 წ. 33. 32.

³ C. Julian, Histoire de la Gaule, t. VII, ch. V, 1926; C. Negri, L'imperatore Giuliano l'Apostata, Milano 1902.

ანული სარწმუნეობის მთავარ კრიტიკოსებიც—ლუკიანე, ცელსიუსი, იულიანე, ლიბანიოსი და სხვ.¹ ამათ ემბრობოდნენ სენატორთა მალალი წრეები, ხელოსნები და, განსაკუთრებით, წარმართული ტაძრების მსახურნი და მათი მიწების მოიჯარადრეები და სხვ. იულიანეს ახლო მრჩეველებად იყვნენ განთქმული რომის მწერლები—ლიბანიოსი და თემისტიოსი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ქრისტიანობა მიუღებელია, როგორც ჰელინიზმისათვის, აგრეთვე სხვა რომელიმე კულტურისათვის. თვით იულიანე, რომელიც წინააღმდეგა ქრისტიანობას, არ იყო თავისუფალი რელიგიურ-მისტიკურ განწყობილებისაგან, რომელსაც ის თავის შეგნებაში უკავშირებდა პლატონისა და პითაგორეს მოძღვრებას.

შემეცნების უმაღლეს წყაროდ იულიანეს მიაჩნდა მისტიკური ინტუიცია და ექსტაზი, რითაც ის უახლოვდებოდა აღმოსავლურ რელიგიურ მოძღვრებებს და აღმოსავლურ კულტებს, განსაკუთრებით, მზის ღმერთის—ჰიტრას კულტს და ნეოპლატონიზმს. ნეოპლატონიზმი, ანტიკური ქვეყნის უკანასკნელი ფილოსოფიური სისტემა, მთლიანად გაცდენილი მისტიკური განწყობილებებით, განსაკუთრებით ახლო იდგა გვიანდელი იმპერიის წარმართული ინტელიგენციის სულიერ განწყობილებასთან. „ფიციავ შენს თავს,—წერდა იულიანე ნეოპლატონიკოსს—პრისკეს,—შენი მოძღვრება ჩემთვის წყარო არის ყოველივე სიკეთისა და შენ ჩემი მხსნელი ხარ. მე მახარებს ის, რომ შემოძლია ვიყო თქვენთვის სასარგებლო“.

იულიანეს პარტია არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ თეორიული დისკუსიებით თემაზე, თუ რამდენად არაორიგინალურია, ან თეორიულად რამდენად უსუსურია ქრისტიანული მოძღვრება. იულიანე ცდილობდა ჩამოეყალიბებინა წარმართული ეკლესია და დაეპირისპირებინა იგი ქრისტიანულსათვის. პრაქტიკულად ეს გამოიხატა ბერძნულ რომაული ღმერთების ტაძრების რესტავრირებაში, რომლებიც ნაწილობრივ დანგრეული იყო და ნაწილი კი ეკავა ქრისტიანულ ეკლესიებს... ტაძრებთან არიგებდნენ მოწყალებას და აძლევდნენ დახმარებას ღარიბებსა და ავადმყოფებს. თვითონ იულიანეს ეჭირა ქერუმის მალალი პოსტი, და დიდი პედანტობით ასრულებდა კულტის ყოველივე ადათს, ასრულებდა მსხვერპლის შეწირვის წესსა და სხვ.

¹ ქრისტიანობის მოწინააღმდეგეთა თხზულებიდან ნაწყვეტები შეგროვილია ქრესტომატიაში: А. Р а н о в и ч. „Античные критики христианства“ М. 1935.

ცხარე აგიტაციის შედეგად, რომელსაც აწარმოებდნენ იულიანეს მიმდევრები ქრისტიანული ეკლესიის წინააღმდეგ, ალექსანდრიაში, 361 წელს, მოხდა ნამდვილი ქრისტიანთა დარბევა. ქრისტიანული ტაძრები ააოხრეს, „წმინდანების გვაგები“ გადაყარეს, ამ დარბევის დროს მოკლულ იქნა არიანელი ეპისკოპოსი გიორგი. ამის საპასუხოდ ქრისტიანებმა თავის მხრივ ანტიოქიაში წარმართების წმინდანები გაანადგურეს. შური რომ ეძიათ იულიანეს წინააღმდეგ, რომელმაც დაფნის ქალიდან „წმინდა გვაგები“ გადაყარა, — ქრისტიანებმა დასწვეს აპოლონის შესანიშნავი ტაძარი.

იმ იმედით, რომ ქრისტიანული ეკლესიის შიგნით გამოეწვია უთანხმოება, იულიანემ გამოსცა დეკრეტი, სადაც ამინსტირებულ იყო ყველა სხვადასხვა მიმართულებიანი ქრისტიანი. შემდეგ 362 წელს გამოიცა მეორე ედიქტი, რომლითაც ქრისტიანებს ეკრძალებოდათ ფილოსოფიის, გრამატიკის და რიტორიკის სწავლება. სწორედ ამაზე შეჩერდა იულიანეს ზიერ დაწყებული ანტიქრისტიანული მოძრაობა.

„რომანტიკოს“ იულიანეს სიკვდილის შემდეგ, 363 წელს, მოძრაობა შეჩერდა, ვინაიდან მას არ გააჩნდა ღრმა სოციალური და ისტორიული ფესვები და ეს მოძრაობა, ბოლოსდაბოლოს, იყო ინტელიგენტური მოძრაობა, რომელსაც მიემხრო რამდენიმე ჯგუფი; რომლებიც ნივთიერად დაინტერესებული იყვნენ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, შეენარჩუნებინათ ძველი ღმერთების კულტები.

იულიანეს მოძრაობას მოჰყვა ორთოდოქსალური რეაქცია, რომელიც მიმართული იყო „ეშმაკის ტირანის“ წინააღმდეგ. იულიანეს დროს რესტავირებული ტაძრები ხელმეორედ ჩაუვარდათ ქრისტიანებს ხელში და გადაკეთდა ეკლესიებად. წარმართების ტაძრების მასალებიდან კონსტანტინეპოლში აშენდა ბევრი შენობა.

„ტაძრის საღმრთო ქონება, — წერს თანამედროვე მეთვალყურე, — კონფისკაციაქმნილია: ღმერთებისა და გმირების ძეგლები გადაიტანეს ტლანქად, ისეთ ხალხთან, რომელიც ამ საგნებს სქერეტს არა სათაყვანებელ საგნებს, არამედ განიხილავს მათ ცნობის მოყვარეობის თვალსაზრისით; ოქრო და ვერცხლი აამოქმედეს, თანამდებობის პირებმა, ეპისკოპოსებმა და საჭურისებმა გამოიყენეს ხელსაყრელი შემთხვევა, რომ დაეკმაყოფილებინათ თავისი რელიგიური ლტოლვა, ანგარება და ბოროტება. პროვინციები კი ადრიდანვე შეჩვეულნი იყვნენ აეტანათ ის მკრეხელური ძარცვა, რომელსაც იღუმალ ატარებდნენ თვით ისეთი მეფეები და პროკონსულები,

რონელოა შესაბამე იქვეის შეტანაც კი არ შეიძლებოდა,—თითქო მათ განზრახვა ჰქონოდათ დაემხოთ დადგენილი სარწმუნოება“.

უთანხმოებანი და შეტაკებანი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არ შეუწყვეტილა იულიანეს სიკვდილის შემდეგაც. სრულ შეთანხმებას სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის რომის სინამდვილეში ადგილი არასოდეს არ ჰქონია. IV საუკუნის იმპერატორებიდან უდიდეს გულმოდგინეობას საეკლესიო საკითხებში იჩენდნენ—გრაციანე (375—383 წ.) აღზრდილი სამღვდლოების მიერ და მისი თანამმართველი—თეოდოსე I. აღნიშნულმა იმპერატორებმა აკრძალეს წარმართებისა და მწვალებელთა კულტები, როგორც ანტი-სახელმწიფოებრივი და მინიჭეს სახელმწიფოებრივი უფლება მხოლოდ ქრისტიანულს,—და ისიც მხოლოდ მართლმადიდებლებს (ორთოდოქსებს).

381 წელს იმპერატორის წინადადებით კონსტანტინეპოლში იყო მოწვეული მეორე მსოფლიო კრება, რომელმაც დაადასტურა ნიკეის სიმბოლო და დაჰგმო არიანობა და სხვა მწვალებლობანი. იმავე წელს გრაციანმა მოიწვია კრება აკვილეაში, რომელმაც თავისთავად ისევ დაადასტურა ნიკეის სიმბოლო, დაჰგმო მწვალებლები, წარმართების ტაძრებს და მათ მსახურთ წაართვა პრივილეგიები და სახელმწიფოებრივი სუბსიდიები.

„აპოლინარის მიმდევრები, ისე როგორც ყველა სხვა მწვალებლები, ვბრძანებთ, მოიხსნან ყველა ადგილებიდან, გაძევებულ იქნენ ქალაქიდან, პატიოსან მოქალაქეთა კრებებიდან, არ იქნენ დაშვებულნი ტაძრებში. მწვალებელთა მიერ დაყენებულ ეკლესიის მსახურთ არა აქვთ უფლება“...¹. „წარმართულ მისტერიებს არსად სამოქმედო ადგილი არ უნდა დაეთმოს, არავითარი შესაძლებლობა არ უნდა მიეცეს—თავისი ჯიუტი სულის უგუნურობის გამოსავლინებლად“ (Nullus haereticis mysteriorum locus, nulla ad exercendam animi obstinatoris dementiam pateat occasio)².

ძველი რომის სიმბოლო—ძველი გამარჯვებისა (Victoria), თანახმად იმპერატორის ბრძანებისა, გადატანილ იქნა სენატიდან, მიუხედავად წარმართ-სენატორების პროტესტისა, რომელთაც სათავეში ედგნენ ისტორიკოსი ფლავიანე და მწერალი ავრელი სიმპლახსი. 381 წლიდან უკვე იწყება ისტორია ქრისტიანულ სახელმწიფოებრივ ეკლესიისა.

¹ Cod. Theod., XVI, 5, 14, 15.

² Ibid., XIV, 5, 6.

მომდევნო დადგენილებიდან, რომელიც მიჰართულია წარმართებისა და მწვალებლების წინააღმდეგ, აღსანიშნავია თეოდოსე II და ვალენტიანიანე III—428 წ. ედიქტი, რომელიც ადასტურებს წინამოადგილეების დადგენილებებს მწვალებელთა მიმართ და კათოლიკური ეკლესიის უფლების გაფართოების შესახებ¹.

დასასრულ ვალენტიანიანე III თავის დეკრეტში 451 წ. შეაჯამა რომის იმპერატორების კანონმდებლობითი შემოქმედება ქრისტიანული ეკლესიის შესახებ.

„ვადგენო, — ამბობს აღნიშნული რესკრიპტი, — რომ ყველა პრივილეგიები (privilegia) დამტკიცებული პრინციპების საერთო დადგენილებებით ყველა წმინდა ეკლესიების ორთოდოქსალურ საარწმუნოებას მიმართ (sacrosanctis ecclesiis orthodoxae religionis), უნდა დარჩეს მყარი და ხელშეუხლებელი საუკუნეების განმავლობაში“.

ამასთანავე ერთად მოგიწერთ, რომ წინა პრინციპების ყველა განკარგულება (pragmaticae sanctiones), გამოცემული ეკლესიების დადგენილებათა წინააღმდეგ (contra canones ecclesiasticos), ჩათვლილია გაუქმებულად და ისინი უნდა მოიხსოს².

ამასთან ერთად ხდებოდა, როგორც ეკლესიისა, აგრეთვე ქრისტიანობის შინაგანი გადაგვარება. რამდენად მეტად ივსებოდა ქრისტიანული ეკლესიის რიგები წარმართებით, იმდენად ქრისტიანობა უფრო მეტად ივლინებოდა წარმართული ელემენტებით — დოგმატური წესებით, ჩვევებით, სიმბოლოებით, კულტებით და სხვ. წარმართული ტაძრები გადაიქცა ქრისტიანულ ეკლესიებად და მონასტრებად, ხოლო წარმართების ღმერთებს და გამირებს აცხადებდნენ წამებულ რაინდებად და წმინდანებად, ღმერთების დედას კი ბელას — მარია-მად და ასე შემდეგ. წარმართების დღესასწაულები იქცეოდნენ ქრისტიანულ დღესასწაულებად. ქრისტესშობამ შესცვალა წარმართული ზამთრის მზის მოქცევის დღესასწაული, პირქვამ — ლუპერკალიების დღესასწაული, პასექა ნასესხებია ებრაელთა კულტიდან, ქრისტიანულმა კვირამ შესცვალა ებრაული შაბათი და ა. შ.

V საუკუნეში ქრისტიანული ეკლესია, რომელიც იმპერიის მსგავსად, გაიყო ორ დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად, წარმოადგენდა დიდ მატერიალურ ძალას.

ეკლესიის ეკონომიურ საფუძველს შეადგენდა საეკლესიო მამულები (massae, fundi, saltus). მათ ორგანიზაციას ჩვენ ვეცნობით

¹ Cod. Theod., 5, 65.

² Cod. Iust., 1, 2, 12.

პაპა გრიგოლ დიდის „წერილებიდან“, რომლებიც ეკუთვნის VI საუკუნის დასაწყისს¹.

გრიგოლის „წერილებიდან“ ვტყობილობთ, რომ საეკლესიო ხანძლობელოებს ეკლესიებისა და მონასტრების მიწებს სქერია იმპერიის დასავლეთ ნახევარში სივრცის მნიშვნელოვანი ნაწილი. გრიგოლის ეს ცნობა მტკიცდება არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემებით. არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ძეგლთა რიცხვს მივყუავნება მონასტრის სამფლობელოების სამიჯნო ქვები, რომლებიც აღმოაჩინეს იტალიაში, აფრიკაში, გალიაში, დალმაციაში, ალპებში, საცილიაში, სარდინიაში და სხვ. საეკლესიო მიწები იყოფოდა ოლქებად (conduvae). თითოეულ პროვინციაში რამდენიმე ოლქი იყო. სიცილიაში, მაგალითად, 400 ოლქი ითვლებოდა. კონდუვის სათავეში იდგა მოიჯარადრე (conductor), რომელიც პასუხისმგებელი იყო ღალის სწორად აკრეფაში და საერთოდ ბეგარის სანგებების ხელმძღვანელობაში. საეკლესიო მამულების კონდუქტორები განსხვავდებოდნენ საიმპერატორო მამულების კონდუქტორებისაგან იმიო, რომ ისინი, უმეტეს შემთხვევაში, ეკუთვნოდნენ დაბალ კლასებს. ისინი იყვნენ წვრილი მოიჯარადრენი, ახლო იდგნენ მდგომარეობით კოლონებთან, მეტი ვალდებულება ჰქონდათ დაკისრებული, ვიდრე სარგებლობდნენ რაიმე უფლებით. უმეტესი ნაწილი საეკლესიო მამულებისა, როგორც ეს მომხენმა გამოიკვლია, მუშავდებოდა ეკლესიებისა და მონასტრების საკუთარი ძალებით, მცირე ნაწილი მამულებისა კი გაიცემოდა იჯარით.

კოლონების მდგომარეობა საეკლესიო მიწებზე განსაზღვრული იყო წესდებით, დასავლეთ იმპერიაში კი პაპის დეკრეტებით (წერილებით). გრიგოლ I წერილებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ პრინციპი „მიწერისა“ ვრცელდებოდა აგრეთვე საეკლესიო მიწებზედაც. „კოლონები, რომლებიც მიმაგრებულნი არიან მიწაზე მრავალწლობით, — დატოვებულ უნდა იქნენ თავიანთ მიწის ნაკვეთებზე, ზუსტად უნდა შეჰქონდეთ მათ ღალა და ემორჩილებოდნენ კერძო სამფლობელოთა „კოლონის“ ყველა ვალდებულებას, ამბობს თეოდოსეს კოდექსის ერთი მუხლი².

¹ Th. Mommsen, Gesammelte Schriften, IV, S. 177; E. Beaudouin, Les grands domaines, 1897—1898 p. 202.

² Cod. Theod., V, 18, 1.

3. სექტანტობა და გვი-მონაწინობა

ორთოდოქსალური ეკლესიის გასაეროება, თეორიისა და პრაქტიკის ერთმანეთისაგან აშკარა დაშორება, და ქრისტიანობის წარმართობასთან დაახლოება იწვევდა ღრმა უკმაყოფილებას ზოგიერთ ქრისტიან იდეურ მორწმუნეთა შორის, რომლებიც ჩამოცილდნენ ეკლესიას და ხსნას ეძებდნენ სექტებში და მონასტრის სენაკში განდგომილ ცხოვრებაში. „ქრისტიანული ეკლესია—აღშფოთებით ამბობს მღვდელი საღვინი,—არის ყველა ბიწიერებათა ბუდე, არის თავშესაფარი გარყვნილთა და ნეძავთა, ყაზალთა და მკელელთა“.

იპერიის უკანასკნელ საუკუნეებში არსებობდა უაპრავე სხვადასხვა სექტა—არიანებისა, დონატიანებისა, ნესტორიანებისა, ევნომინიანებისა, მაკედონელებისა, მილეტელებისა, პელაგიანების და სხვ.¹ ბევრი მათგანი მხოლოდ სახელით იყვნენ ქრისტიანები, შინაარსით-კი ძლიერ ცოტა ჰქონდათ საერთო ქრისტიანობასთან. ზოგიერთი სექტა ბევრ ვალდებულებას არ აკისრებდა თავის მიმდევრებს, ზოგნი კი, პირიქით, მოითხოვდნენ თავიანთ წევრებისაგან მძიმე ფიზიკურ და ზნეობრივ გამოცდებს. მაგალითად, მესოპატამიაში იყო სექტა, რომლის წევრები იკვებებოდნენ მხოლოდ ბალახით, ძირკვებითა და მეორენი ცდილობდნენ გადაჩვეულიყვნენ ძილს (აკიმეტები), ზოგი სექტის წევრი, თითქო მას მუღმივად სდევნიდა ეშმაკი, ბრძოლას აწარმოებდა მის წინააღმდეგ და ვარდებოდა გაშმაგებულ ეგზალტაციაში. სექტანტთა შორის ძალიან იყო გავრცელებული მოძღვრება ქვეყნის დასასრულას მოახლოებაზე, საწინელ სამსჯავროზე, სიმდიდრის ამოებაზე, შრომის სიძულვილზე, სქესობრივ თავისუფლებაზე და ა. შ. ერთიანდებოდნენ რა უარყოფით დამოკიდებულებაში ეკლესიისა და ეპისკოპოსების მიმართ, თვით სექტანტები იმყოფებოდნენ მეტად მტრულ დამოკიდებულებაში ურთიერთთან.

„არც ერთი მხეცი,—წერს აშიანე მარცელინი,—არ არის ისე გაბოროტებული ადამიანის მიმართ, როგორც ქრისტიანული სექტანტები ერთი მეორეს წინააღმდეგ“².

ამავე აზრისა იყო მონეტეი ლუკიანი, რომელიც მოგვითხრობს „საგინებელთა ურმებზე“, რომლითაც სექტანტები და ეკლესიის მამები უნასპინძლდებოდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს.

¹ Cod. Iust., I, 5, 5

² Amm. Marcell., XXII, 5.

გარეგნულად კამათი წმინდა ფორმალურ საღვთისმეტყველო საგნებს შეეხებოდა, როგორც იყო ბუნება სულისწმინდისა, ორი ბუნება ძე-ღმერთისა, იპოსტასის სამბიოოვნება და ა. შ. მაგრამ საღვთისმეტყველო-სქოლასტიკური კამათის მიღმა ყოველთვის იმალებოდა ანტიქრისტიანი ინტერესები, რომლებიც ჰყოფდა მოწინააღმდეგეებს ერთი მეორისაგან.

სექტანტებისა და მწვალებელთა ზრდა იყო ერთერთი მიზეზთაგანი, რომელმაც აიძულა ქრისტიანული ეკლესია დაედო კონკორდატი სახელმწიფოსთან. მწვალებელთა წინააღმდეგ, როგორც რევოლუციური საწყისის წინააღმდეგ, გაერთიანდა ორივე ხელისუფლება, —საეკლესიო და საერო. დამოკიდებულება ეპისკოპალურ ეკლესიისა მწვ ლებელთა მიმართ ფორმულირებული იყო ჯერ კიდევ III საუკუნეში... მწვალებლად ითვლებოდა ყველა, ვინც არ ცნობდა საეკლესიო დოგმას, რომელიც გამომუშავებული იყო სინოდის ეპისკოპოსებისა და მიტროპოლიტების მიერ. „მწვალებლებს, —ნათქვამია კიპრიანეს ტრაქტატში, — ეკლესიის მთლიანობა“ (De unitate ecclesiae), —უწოდებენ ყველას, ვინც არ ცნობს ორთოდოქსალურ (კათოლიკურს) ეკლესიას. მწვალებლობასა და სექტებს შოაქვთ საშინელი საფრთხე: ისინი სთიშავენ ეკლესიას, ანადგურებენ სარწმუნოებას, ანგრევენ ქვეყანას და ბილწავენ საიდუმლოებას“.

არა ნაკლებად უარყოფითად იყო განწყობილი სექტანტებისა და მწვალებელთა წინააღმდეგ საერო ხელისუფლება, რომელსაც აშინებდა ყოველგვარი დამოუკიდებელი აზრი და კრიტიკა არსებული წყობისა. სექტანტების წინააღმდეგ, განსაკუთრებით რევოლუციური სექტანტების წინააღმდეგ, შეთანხმებით იბძოდნენ ეკლესია და სახელმწიფო და მათ შორის განსხვავება არ იყო, ვინაიდან ორევენი მტკიცედ იცავდნენ საზოგადოების მაღალი ფენების ინტერესებს. კანონი სასტრუქად უკრძალავდა მწვალებლებს ყოველგვარი სალოცველი კრებების მოწვევას, კრების ადგილები, იქნებოდა ეს კერძო თუ საზოგადო შენობა, ექვემდებარებოდა კონფისკაციას, ხოლო ხელისუფალთ, რომლებიც დართავდნენ ასეთ კრებებისათვის ნებას, გამოეკხადებოდათ საყვედური ანდა დაჯარიმდებოდნენ.

„დღე, იცოდეს ყველა მწვალებელმა, —ამბობს არკადისა და ჰონოროაუსის კონსტიტუცია, დაწერილი 396 წ., —რომ კონსფისკაციამნილი იქნება კრებების ყველა ადგილები, —იქნება ეს ეკლესიები, კაპელები, თუ კერძო სახლები, რაც კი გამოყენებულია არალე-

გალორი კრებისათვის. ასეთები გადადას კათოლიკური ეკლესიის განკარგულებაში¹.

რამდენიმე წლის შემდეგ ამას მოჰყვა ახალი დეკრეტი იმავე იმპერატორებისა, რომლითაც მანიქეველებსა და დონატისტებს ემუქრებოდნენ სასტიკი სასჯელით. „მანიქეველებსა და დონატისტებს ჩვენ ვსდევნით სამართლიანი სიმკაცრით“ (Manichaeos... vel Donatistas meritissima severitate persequimur)².

იცავდნენ რა თავს ხელისუფლების დენისაგან და ვერ ნახულობდნენ ამ ქვეყნად თავის ძალისა და ნიჭს შესაფერ გამოყენებას, — სექტანტები მასიურად მიდიოდნენ უდაბნოებში და აარსებდნენ იქ თავიანთ მოსახლეობას (მონასტრები), იქცეოდნენ ბერ-ანახორეტებად (განდეგილებად). განდეგილობა წარმოიშვა ეგვიპტეში და გავრცელდა შექმდე მთელ აღმოსავლეთ იმპერიაში. „ანახორეტების რიცხვი ყოველდღიურად იზრდება, ქალაქები ცარიელდება, ხოლო უდაბნოები მოსახლეობით მრავალიცხვიანდება“. მარტო კონსტანტინეპოლში და მის მიდამოებში ითვლებოდა მამაკაცთა 70 მონასტერი.

„განდეგილთა მცირე კოლონიები“ მონასტრები იქმნებოდნენ მსხვილ სოციალ-ეკონომიურ სხეულად, მგავსად იმპერატორებისა და მეგნატების სალტუსებისა. თითოეულ მონასტერს ჰქონდა თავისი წესდება, ჰყავდა თავისი კოლონები და მონები, თავისი სახელოსნოები, ტრანსპორტი და სხვ.

მონასტრის თავად ითვლებოდა იღუმენი, რომელიც გარშემორტყმული იყო განსაკუთრებული შტატით.

პირველ ხანებში მონასტრები და ბერები მტრულად იყვნენ განწყობილნი ორთოდოქსალურ ეკლესიასთან, მაგრამ შემდეგში მოხდა მათი დაახლოება, მონასტრები და ბერები გადაიქცნენ ეკლესიისა და პაპების მორჩილ იარაღად. ყველა საეკლესიო და რელიგიურ კამათში ბეოები ღებულობდნენ ცოცხალ მონაწილეობას, გამოირჩეოდნენ ცხარე ფანატიკური შეკამათებით თავიანთ მოწინააღმდეგეთა მიძართ, იხებოდნენ ისინი წარმართები თუ ქრისტიან-მწვალებელნი.

¹ Cod. Just., I, 5, 3.

² Ibid., I, 5, 4.

4. ღონაბისთავის მოძრაობა

რომის საზოგადოების სოციალურმა კონტრასტებმა უკანასკნელ საუკუნეებში უმაღლეს წერტილს მიადწია. მცირერიცხოვანი მდიდართა ჯგუფი, რომელსაც შეადგენდნენ იმპერატორის გვარეულობის წევრნი, სასახლის კარისკაცი, საერო და საეკლესიო არისტოკრატები და ბიუროკრატები, სარგებლობდნენ ცხოვრების ყოველგვარი სიკეთით და განცხრომით, მათ გვერდით კი მოსახლეობის მთელ მასებს, მოქანცულს ზედმეტი მუშაობითა და ამასთანავე უუფლებოს, არ გააჩნდა არსებობის აუცილებელი წყარო. ხანგრძლივი ომების, ეპიდემიის, ცხოვრების სიძვირის, მძიმე გადასახადებისა და ბეგარის შედეგად რომის იმპერიის მთსახლეობა ღარიბდებოდა, იყრებოდა ადგილებიდან და იქლიტებოდა. განსაკუთრებით მძიმე სურათს წარმოადგენდა რომის მაშინდელი სოფლები და წვრილი ქალაქები. ესენი ცარიელდებოდა, ხოლო მსხვილი ქალაქები იესებოდა ყოველმხრიდან მოზოგავებულ ხალხით. მაგრამ არც ამ დიდ ქალაქებში იყო საამური ცხოვრება: ქალაქის მოსახლეობის დაბალი და საშუალო ფენები იტანჯებოდნენ უსახსრობის გამო, შეუფერებელი საბინაო პირობებით, გადასახადებით, სპეკულაციით, ბევახშის პროცენტებით და პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრების საერთო მოშლილობით. ყველა ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა წინამომდევნო პერიოდში, მაგრამ არასოდეს იმ დონემდე მას არ მიულწევია, როგორც გვიანდელ იმპერიაში. ნივთიერად დაცემული და განავურებული ხალხი გარბოდა საყაჩაღოდ, ყიდდა თავის თავს მონობაში, ან კიდევ ათაგებდა სიცოცხლეს თვითმკვლელობით და სხვ.

მილანის ეპისკოპოსის—ამბროსის—ერთ-ერთ თხზულებაში აღწერილია მამის მძიმე სულიერი ბრძოლა, რომელსაც მხოლოდ ერთ-ერთი შვილის გაყიდვით შეუძლია გადაირჩინოს თავი და სხვა შვილებიც იხსნას შიმშილით სიკვდილისაგან.

„როგორ მოვიქცე? არავინ გავეყიდო? თუ არ გავეყიდე არც ერთი ჩემი შვილი, მაშინ ჩემი თვლით დავინახავ, როგორ დაიხოცება შიმშილით ყველა და თუ გავყიდი ერთ-ერთ მათგანს, მაშინ დანარჩენები გადარჩებიან შიმშილით დახოცვას, მაგრამ შემდეგ რა თვალთ დავენახო გადარჩენილ შვილებს, — ჩემი სამარცხენო საქციელი ხომ შეუქმნის იმათ იქვს, რომ მე იმათაც გავყიდი? რა შერცხენილი უნდა დავბრუნდე სახლში“.

მეორე ადგილას იგივე მწერალი ლაპარაკობს „მათხოვართა და მაწანწალათა ბრბოებით“, რომლითაც სავსეა ქ. მილანი.

იმპერიის ქრისტიანულ პერიოდში კლასთა ბრძოლის ფორმები დარჩა ძველი: მონების გაქცევა და კოლონების აჯანყება, სამხედრო ამბოხებანი, ყაჩაღთა თავდასხმები და სხვ., მხოლოდ ერთი განსხვავებული ნიშნით—რელიგიური დალით, ყველა სოციალურ მოძრაობას, როგორც მთელ გვიანდელ იმპერიის სიცოცხლეს, რელიგიის ბეჭედი აზის.

IV—V საუკუნეების რევოლუციურ მოძრაობიდან ყველაზე მეტი ცნობები მოგვეპოვება დონატისტების მოძრაობის შესახებ (აფრიკაში), რომელიც ემთხვევა ბაგაუდების მოძრაობის ახალ ტალღას გალიასა და ესპანეთში. აფრიკის სოციალ-ეკონომიური წესები ყველაზე მეტად მოგვაგონებს გალიის წესებს. გალიის მსგავსად, აფრიკა მსხვილი მიწათმფლობელობის, ლატიფუნდიებისა და ადრე წარმოქმნილ კოლონატის კლასიკურ ქვეყანას წარმოადგენდა. აფრიკაში მიწის საკუთრება იყო მცირერიცხოვან რომის მაგნატებისა, იმპერატორებისა და ადგილობრივ (ბერბერიის) საკმაოდ ძლიერ რომანიზირებული არისტოკრატის ხელში. აფრიკის პლანტაციებსა და მინდვრებში მუშაობდნენ მონები, რომის კოლონები, ჩამოსახლებული გერმანელები და მკვიდრი მოსახლეობა—ბერბერები. სოციალურ-ეკონომიური პირობების ერთიდაიგივეობა აერთიანებდა ყველა დასახლებულ კატეგორიას ერთ მთლიან ექსპლოატირებულ მასაში, რომელთაც ერთიდაიგივე კლასობრივი ინტერესები გააჩნდათ.

აფრიკაში რევოლუციური ტალღების მოძრაობა იწყება III საუკუნის დასასრულიდან. ქრისტიანების დენის საფუძველზე დიოკლეთიანეს დროს თვით ქრისტიანებში მდევნელთა—„სატანის მსახურთა“ დამოკიდებულების საკითხის შესახებ გაჩაღდა კამათი. მთლიანი ეკლესია გაიყო რამდენიმე ეკლესიად; თითოეული მათგანი თავისთავს „ქეშმარიტ სარწმუნოებისა“ და მოციქულების მიერ ნაანდერძევი ტრადიციების დამკველად სთვლიდა. ოფიციალურ (კათოლიკურ-ორთოდოქსალურ) ეკლესიად ითვლებოდა რომის ეკლესია, რომელსაც მეთაურობდა რომის პაპი. რომის ეკლესიის წინააღმდეგ გაილაშქრეს პროვინციალურმა ეკლესიებმა, მათ შორის აფრიკის ეკლესიამაც, რომელსაც მეთაურობდა დონატუსი (Donatus), ვისი სახელითაც ცნობილია მთელი მოძრაობა.

ეს ბრძოლა ზედაპირულად იყო დავა საეკლესიო დოგმების შესახებ, განსაუთრებით ე. წ. მეორე მონათვლის შესახებ, მაგრამ არსებითაა კი ბრძოლა წარმოებდა მატერიალური კეთილდღეობის ირგვლივ: მიწებისა, შემოსავლისა და მრევლის შესახებ და ა. შ.

დონატიზმს მხარს უჭერდა აფრიკის მკვიდრთა უმეტესობა, რომელსაც უნდოდა თავი დაეღწია რომის ძალადობისა და გავლენისაგან. ამას ერთვოდა კიდევ სხვა გამათანაბრებელი ტენდენციები, რაც საერთოდ დამახასიათებელი იყო ანტიკური ქვეყნის ყველა სოციალური მოძრაობისა. დონატის ების მოძრაობა მიმდინარეობდა „ლარიზი ეკლესიის“ ლოზუნგის ქვეშ. დონატისტებს მთავარ და უალრესად საფუძვლიან არგუმენტად მათი მტრების, — ორთოდოქს-კათოლიკების, წინააღმდეგ ბრძოლაში მიაჩნდათ მხილება მათი სიმდიდრის შესახებ.

„თქვენ, — ამბობდნენ დონატისტები, — დაჰკარგეთ თქვენი სულები და გამოედევნეთ სიმდიდრეს. ჩვენ კი სულით გლახაკნი, არაფრის მქონენი ვართ, მაგრამ ყველაფერი გვაქვს. თქვენ ამძიმებთ თქვენს სულს ბიწიერებით, ჩვენ კი ნებაყოფლობით ვაძლევთ ჩვენს სხეულს სასიკვდილოდ და ამით ვინახავთ ჩვენს სულს... თქვენ მონაწილენი ხართ სხვისი ცოდვებისა, ამისათვის ღირსი ხართ სიკვდილისა... თქვენ ხართ მკვლევები, გარყვნილნი, ცრუები, ავხარცები. ჩვენ გვეკუთვნის სახარების ნეტარება, თქვენ კი — „ფარისეველებსა და მწიგნობრებს — უბედურება“. ჩვენ გარდავიქენით ქრისტედ, თქვენ კი იუდა გამცემელად“¹.

ბრძოლა კათოლიკებსა და დონატისტებს შორის სულ ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა, ხოლო ამავე დროს რომის ხელისუფლება იმპერატორ კონსტანტინეს სახით არავითარ ზომას არ ღებულობდა დონატისტების წინააღმდეგ. არ გრძნობდა რა თავს მტკიცედ და არ იყო რა საკმაოდ დაოწმუნებული თავისი სახელმწიფოებრივი (კათოლიკურ) ეკლესიის სიძლიერეში, კონსტანტინე დაადგა ლოღინისა და კომპრომიზების პოლიტიკას, ცდილობდა ერთმანეთისათვის შეეთანხმებინა მტრულად განწყობილი მხარეები და ერთნაირად გამოეყენებინა ისინი სახელმწიფო ინტერესებისათვის.

თვით დონატიზმში იყო რამდენიმე მიმდინარეობა, რომლებიც გამოხატავდნენ აფრიკის საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფების განწყობილებას. ყველაზე რადიკალურ მემარცხენე ფრთას შეადგენდნენ ცირკუმცილიონები (circumcelliones) ანუ აგონისტიკები (agonistici), ე. ი. ქეზმარიტი სარწმუნოებისათვის მებრძოლნი.

დიოკლეთიანე — კონსტანტინეს საგადასახადო პოლიტიკის საერთო საიმპერიო კრიზისსა და ბატონყმური ტენდენციების ზრდას-

¹ August, Contra Ilt. Petilian., II, 9.

თან დაკავშირებით მდგომარეობა დაბალი ფენებისა თანდათანობით უარესდებოდა. გვიანდელი რომაული აფრიკის საისტორიო წყაროები უზვად გვაუწყებენ აფრიკის დაბალი ფენების მდგომარეობაზე. ამით აიხსნება აგონისტიკების სიმრავლე, მათი გამძლეობა და ბრძოლის ხანგრძლივობა, რომელმაც 200 წელზე მეტს გასტანა.

აგონისტიკებს ემზრობოდნენ დაჩაგრული ელემენტები, განურჩევლად მათი იურიდიული მდგომარეობისა, ეროვნებისა და ენისა: მონები, კოლონები, ხელოსნები, ვალგადაუხდელი მოვალეები, რომელთაც კანონი სდევნიდა, კაცები და ქალები.

ცნობებს აგონისტიკების შესახებ, ისე როგორც დონატიზმის შესახებ, ჩვენ ვკრებთ თითქმის მარტოოდენ ორთოდოქსალურ პოლემიკურ ლიტერატურიდან, უმეტესად, IV—V საუკუნეების კათოლიკურ ეპისკოპოსების ოპტატიკისა და ავგუსტინის ლიტერატურულ წყაროებიდან, რაც თავისებურ დაღს ასვამს როგორც წყაროთა, ისე მოძრაობის შეფასებას. აღნიშნულ მწერლების შეხედულებით აგონისტიკები წარმოადგენდნენ პილიგრიმების თავისებურ ორგანიზაციას, რომელთაც არა აქვთ გარკვეული საცხოვრებელი ადგილი და გადადიან ერთი ადგილიდან მეორეზე (*solent enim ire hac illac nusquam habentes sedis*)¹.

„ამ ხალხს ბერძნულად უწოდებენ კოტოპიკებს (*cotopices*); ლათინურად ჩვენ ვუწოდებთ ცირკუმპევილიონებს. ესენი დადიან პროვინციებში, თავს ნებას არ აძლევენ დარჩნენ ერთ ადგილას—თავიანთ ძმებთან, იცხოვრონ საერთო ბჭობით და საერთო ცხოვრებით, რათა იცხოვრონ მხოლოდ სულით მოციქულებისამებრ, მაგრამ, როგორც ჩვენ ეს ვთქვით, ისინი დაეხეტებიან სხვადასხვა მხარეებში“ (*circumeunt provincias, quia non sinunt se uno in loco cum fratribus uno esse consilio et unam vitam habere communem*)².

შემდეგ აღნიშნულია, რომ აგონისტიკები თავს იყრიან წმინდანთა სასაფლაოებზე (*sanctorum sepulchra pervidere*) და ასრულებენ იქ სხვადასხვა ორგიებს (*stuprorum scelera prodiderunt*)³.

აგონისტიკები, რომლებიც მასიურად გადადიოდნენ ადგილიდან ადგილზე (*greges vagorum et vagarum*)⁴, ცხოვრების მიმართ

¹ August, Enarr. in Psalm., 132, 3.

² Sanct. Beat., In apocalyps. comment., ed. H. Florez, Madrid 1770, p. 26.

³ Ibid.; August, Contra Gaud., I, 36, 46.

⁴ August, De unit. eccl., 19, 50.

იჩენდნენ სრულ გულგრილობას. ისინი არა თუ არ აფასებდნენ სი-
ცოცხლეს, არამედ ეძებდნენ შემთხვევას წამებით გაეთაყებინათ თა-
ვიანთი სიცოცხლე, რაც, როგორც დავინახეთ, სავსებით შეესაბამე-
ბოდა გვიანდელ იმპერიის მთელი რომის საზოგადოების განწყობი-
ლებას. ცხოვრება იქმნებოდა მძიმე, მონოტონური, ცარიელი და
უსიხარულო.

„საყოველთაო უუფლებობას და უკეთესი წესების შესაძლებ-
ლობაზე იმედის დაკარგვას შეეხამებოდა საყოველთაო აპატია და
დემორალიზაცია“¹.

მკვლევლობათა ეპიდემია, რომელსაც თავიდანვე ამართლებდნენ
დონატისტები, უფრო მეტად გაიზარდა IV საუკუნის დასასრული-
დან,—აგონისტიკების დამარცხების შემდეგ. ცირკუმცელიონები, ეძებ-
დნენ რა სიკვდილსა და წამების შემთხვევებს, ცხადდებოდნენ წარ-
მართების ღლესასწაულებზე (*festā paganorum*), იწვევდნენ წარ-
მართებს ჩხუბში და შემდეგ ილუპებოდნენ მათივე იარაღით, ისე,
როგორც ველური მხეცები ამფითეატრში².

მაგნატებისა და კრედიტორების მიმართ, როგორც მათი უშუ-
ალო ექსპლოატატორების მიმართ, აგონისტიკები, ისე როგორც ბა-
გაუდებიც, მეტად ულმობელნი იყვნენ. აგონისტიკების ხელში ჩა-
ვარდნილი ქონება ნადგურდებოდა და იწვოდა, მათი მფლობელნი,
რომლებიც დამალვას ვერ მოასწრებდნენ, ილუპებოდნენ. აგუსტინი
ახსიათებს აგონისტიკების მოძრაობას, როგორც გლეხების (*rusti-
cāni*) და მონების აგრარულ მოძრაობას, მიმართულს მსხვილ მიწათ-
მფლობელ მესაკუთრეთა (*possessores*) ანუ მათ რწმუნებულ მოიჯა-
რადრეთა (*conductores*) წინააღმდეგ.

„მიწათმფლობელთა წინააღმდეგ აღდგა გლეხობის კადნიე-
რება“ (*contra possessores suos rusticana erigatur audacia*)³.

„კეთილშობილი წარმოშობის ოჯახთა მამებს ჰგზავნიდნენ ქვის
სამტკრევეად ან წისკვილებში მიჰყავდათ, სადაც წისკვილის ქვაზე
მიჯაჭვულნი ატრიალებდნენ წისკვილის ბორბლებს. სესხის ხელწე-
რილებმა დაჰკარგა თავისი ძალა. კრედიტორები, რომლებიც ცდი-
ლობდნენ თავიანთ უუფლებების რეალიზაციას, განიცდიდნენ „უგუნუ-
რი ბრბოს“. (*multitudo insana*) თავდასხმებს და იძულებული
იყვნენ გაქცევით ეშველათ თავისთვის“. არა ნაკლები სიმკაც-

¹ Еягельс, Бруно Багър и раннее христианство, М. Партиздат, 1933 г., стр. 9.

² August., *Contra Gaud.* I, 28, 32.

³ *Ibid.*, *Epist.*, 108, 6, 18.

რით ხასიათდებოდა აგრეთვე დამოკიდებულება აგონისტიკებისა კათოლიკურ ეკლესიის წმინდა სარწმუნოების „მოღალატეებისა და გამცემლების“¹ (traditores, delatores) მიმართ. გამცემელთა ეკლესიებს სწევადნენ, ტრაპეზებს ანგრევდნენ, საღმრთო კურკლებს აღნობდნენ, ნივთებს ბაზარში ყიდდნენ., კათოლიკეთა გადარჩენილ შენობებს ძმრით რეცხდნენ, წარწერებს და სურათებს ლურსმნით ჰკვეთავდნენ. რომაელ მოხელეებსა და ეკლესიის მსახურთ ეპყრობოდნენ მეტად მკაცრად,—ხშირად საქმე სისხლის ღვრამდე მიდიოდა.

„ისინი,—გოდებდა მართლმორწმუნე მსახური ეკლესიისა ეპისკოპოსი ავგუსტინი,—არა მარტო გვცემენ და გვაყენებენ სხეულზე კრილობებს ჯობებითა და მახვილებით, არამედ არნახული შეუბრალებლობით—ძმრითა და კირით—უბრმავებენ ადამიანთ თვალებს, ძარცვავენ ჩვენს სახლებს, შეიარაღებულნი დადიან ჯგუფ-ჯგუფად მთელს მხარეში და ყველგან ხოცვას, ძარცვასა და ხანძარს სთესავენ“².

სულ სხვაგვარად ეპყრობოდნენ ისინი მონებსა და საზოგადოდ დაბალ ფენებს. გზაში შეხვედრილ მგზავრ-ბატონებს გადმოსხავდნენ ეტლიდან და შიგ ჩახხამდნენ მონებს და უკან კი მათ ბატონებს გააყოლებდნენ ხოლმე.

„იმ დროს არც ერთი გზა,—უმატებს ხსენებული ავტორი,—არ იყო უშიშარი“ (etiam itinera non esse tutissima).

აგონისტიკების ბელადები იყვნენ აქსიდი და თაზირი, რომელთა შესახებაც, სამწუხაროდ, გარდა მათი ბერბერული სახელებისა, არაფერი ვიცით, ნაკლებად ცნობილია აგრეთვე აგონისტიკების პროგრამა. ანტიკური და საშუალო საუკუნეების სოციალური მოძრაობის ანალოგიით ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ აგონისტიკები მიისწრაფოდნენ პირველყოფლისა იმისაკენ, რომ თავი დაეღწიათ მაგნატებისა, მეფახეებისა, მოხელეებისა და ეპისკოპოსების მძიმე ვალდებულებებისაგან. მათ იდეალს შეადგენდა თემური ტიპის წვრილი თავისუფალი წარმოება, სადაც მონის შრომა უნდა შემციირებულიყო, ან კიდევ სრულიადაც მოსპობილიყო. აგონისტიკების ბანაკი წარმოადგენდა თავშესაფარს, სადაც თავს იყრიდნენ ბატონებისაგან გამოქცეული მონები. აგონისტიკებიო,—ამბობს ავგუსტინი,—წარმოადგენენ გამოქცეულ მონების პატრონებს,—„რომელ ბატონს არ ექნება შიში თავისი მონისა, თუ უკანასკნელი მას გაექ-

¹ Opt. Mil., III, 4.

² August., Epist., 185, 7, 30.

ცა და თავი შეაფარა აგონისტიკების პატროცინიუმს?“ (quis non dominus servorum suum timere compulsus est si ad illorum patrociniū confugisset?)¹.

ეკლესიის დაახლოვებამ მონათმფლობელურ სახელმწიფოსთან და მუდმივმა მოკონებამ, რომ მონები უნდა ემორჩილებოდნენ თავიანთ ბატონებს, შეამკირა მონების ლტოლვა ქრისტიანულ თემებისადმი, იზრდებოდა სიძულელი ორთოდოქსალური ეკლესიის, როგორც მონათმფლობელური წესწყობილების იდეოლოგიის საყრდენის, მიმართ. დევნის დროს მონები თითქმის ყოველთვის თავიანთ ბატონების მოწინააღმდეგე პარტიის მხარეზე ღებოდნენ და აცნობებდნენ ხელისუფალთ ბატონების განზრახვებს, ამით თავიანთ ბატონებს მუდმივ საშიშროებაში აყენებდნენ, — „მონები მასხარად იგდებენ თავიანთ ბატონებს, უკანასკნელნი კი ძრწიან მათ წინაშე“² (vim servorum metuunt).

დონატისტებისა და აგონისტიკების მოძრაობისთვის ცნობილია აღზევებისა და დაცემის პერიოდები. პირველი აღზევება აგონისტიკებმა განიცადეს IV საუკუნის დასაწყისს, ხოლო IV საუკუნის შუა რიცხვებში ხდება მოძრაობის შენელება, რაც შედეგი იყო აგონისტიკების დამარცხებისა — ოქტავისა და ბოგაის დროს (347 წელს). სწორედ ამ დროს იწყება თვითმკვლევობათა, კოცონზე დაწვისა, წყალში გადაყარდნისა, კლდიდან გადაჩეხვისა და მის მსგავს ნებაყოფლობით წამებათა ეპიდემია, რაც შემადრწუნებელ შთაბეჭდილებას სტოვებდა თანამედროვეებზე. იულიანედან რევოლუციური ტალღა ძლიერდება და უკავშირდება აფრიკაში მიმდინარე ძლიერ სეპარატისტულ მოძრაობას. აფრიკაში IV საუკუნის მოძრაობებიდან ყველაზე სერიოზული იყო მოძრაობა, რომელსაც მეთაურობდა მავრიტანიის მთავარი ფირმი და მისი ძმა გილდონი (Gildo). ამათ თავის დროშის ქვეშ გაერთიანებული ჰყავდათ ადგილობრივი მოსახლეობის მრავალფეროვანი ელემენტები, მათ რიცხვში დონატისტები და მათი ავანგარდი აგონისტიკები. გილდონის ცდამ ვერ გამოიღო ნაყოფი, მოძრაობა ჩაქრობილ იქნა, ამასთან ერთად დონატისტებმა დიდი მარცხი განიცადეს.

მთავრობამ დასდო რაკონკორდატი IV საუკუნის გასულს ორთოდოქსალურ ეკლესიასთან, გადაქრით გაილაშქრა დონატისტებისა და განსაკუთრებით-კი მისი რევოლუციური ავანგარდის — აგო-

¹ August., Epist., 185, 4, 15.

² Euseb., Hist. eccl., V, 1, 21.

ნისტიკების წინააღმდეგ. დონატისტების მოძრაობა ჩაქრობილ იქნა, მთელი რიგი დეკრეტებით დონატისტების ეკლესია გამოცხადებულ იქნა მწვალებლურად, ხოლო მთელი მისი ქონება აღიარებულ იქნა რომის ეკლესიის კუთვნილებად.

„დონატისტების ყველა საეკლესიო შენობა, — გვაუწყებს ჰონორიუსის ერთი დეკრეტთაგანი, — გადადის კათოლიკების საკუთრებაში. დონატისტების სამღვდლოება და ყველა ის, ვინც ასეთისე მფარველობას გაუწევს დონატისტებს — ჰკარგავს თავიანთ უფლებასა და მდგომარეობას და გაიგზავნება შორეულ პროვინციებში და კუნძულებზე. ვინც განხეთქილებაში მონაწილეობას მიიღებს და ჯიუტობას გამოიჩინს, — ჯარიმას იხდის: მოხელე — პირველი რანგის — 200 გირ. ვერცხლს, მეორე რანგის — 100 გირ. ვერცხლს, ყოველი 10 კურიალიდან პირველი გადაიხდის — 50 გირ. ვერცხლს, დანარჩენი დეკურიონები — 10 გირ. ვერცხლს, მიწათმფლობელნი და მონები სასტიკად დაისჯებიან კეტის ცემით, და თუ შემდეგშიაც რომელიმე მაინც წინააღმდეგობას გასწევს, მაშინ მას ჩამოერთმევა საკუთარი მიწის ერთი მესამედი.

ეს ჯარიმა გადახდება ყოველთვის, როცა კი ვინმე იქნება შენიშნული დონატისტების კრების მონაწილეობაში. ხუთჯერ დაჯარიმების შემდეგ, დანაშაულის საქმე უნდა მოხსენდეს იმპერატორს, რომელიც ჯიუტობისათვის გადაუწყვეტს უფრო სასტიკ სასჯელს. მოხელეები, რომლებიც ჯარიმას არ აიღებენ, დაჰკარგავენ წლიურ ხელფასს. დონატისტებს ერთმევათ უფლება დაიკირონ რომელიმე ადგილი სამოქალაქო სამსახურში, დასდონ ხელშეკრულებები, მიწვეულ იქნან მოწიებად, იმუშაონ სამრეწველო და სახელოსნო დარგებში“¹.

„ნაბრძანები იყო ყოველივე რევოლუციური გამოსვლების ცდის წინააღმდეგ აემოძრაებინათ სამხედრო ძალები. იმ შემთხვევაში, როდესაც უწმინდური ბრბო თავის დაცვას შეეცდებოდა იარაღით ხელში, ანდა გამაგრდება მიუვალ ადგილებზე და არ იქნება ალაგმული ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, მაშინ აფრიკის მსაჯულებს უფლება აქვთ გამოითხოვონ აფრიკის მოადგილეებისაგან შეიარაღებული რაზმები მეთაურობების დასაწყნარებლად“².

რამდენადაც კრიზისი ღრმავდებოდა და რომის იმპერია თავის დასასრულს უახლოვდებოდა, იმდენად კანონების რიცხვი, რომელიც

¹ Cod. Theod., X¹, I, 5, 52, 54.

² Ibid.

მეამბოხეთა წინააღმდეგ იყო მიმართული, მრავლდებოდა. კანონები იწერებოდა მრისხანე ტონით, სასჯელის ზომები იყო მეტად მკაცრი. იუსტინიანეს კოდექსში სპეციალური რუხლიც არის „მეამბოხებზე და მათზე, ვინც ბედავს ააღელვოს ხალხი არსებული წესების წინააღმდეგ“ (De seditiosis et de his qui plebem audent contra rem publicam quietem colligere)¹.

„ყველა ის, ვინც წინააღმდეგ ჩვენი განკარგულებებისა, — ნათქვამია იმპერატორ ვალენტინიანეს ერთ კონსტიტუციაში, — შეეცდებოდა ჩაუდგეს ხალხს (plebs) სათავეში და რაიმე დაიცვას წინააღმდეგ კანონისა, — მიიღებს მძიმე სასჯელს“.

„არც ერთ ადგილზე, არც ერთ ქალაქში, — ამბობს იმპერატორ ლეონის (V საუკ. შუა) კანონი, — არ უნდა იყოს წამოყენებული უმართებულო მოთხოვნები, საამბოხო წამოძახილები, შეუსაბამო სიტყვები, მიმართული ვისიმე შეურაცხყოფისაკენ. ასეთი სიტყვების წარმომტქმელებმა, რომლებიც აღელვებენ ხალხს და აგრესიულ მოქმედებისაკენ მოუწოდებენ, უნდა იცოდნენ, რომ ისინი ამნაირი სიტყვებითა და მოქმედებით ვერაფრითარ სარგებლობას ვერ მიიღებენ, მხოლოდ დაისჯებიან თანახმად მომქმედ კანონებისა, როგორც ამბოხებისა და არეულობის დამცველნი“².



¹ Cod. Iust., IX, 30, 1.

² Ibid., IX, 30, 2. Cp. Cod. Theod., IX, 34, 1 (De famosis libellis); IX, 16, 2; XVI, 10, 2.



თ ა ვ ი XXVII

გვიანდელი იმპერიის კულტურა

1. საერთო დახასიათება

გვიანდელი რომის იმპერიის მთელი წესწყობილება გვაოცებს თავისი კონტრასტებით. მომაკვდავი ანტიკურობა ექსოვება ახლად ჩასახულ დასავლეთ ევროპის სამყაროს. წარმართული რომის ხელოვნური სირთულე, მისი დახვეწილობა, მრავალფერადოვნება, გრანდიოზულობა და მგრძნობიერობა ებამება საშუალსაუკუნეების პრემიტიულობას, მონოტონურობას, სტილიზაციას, ბერ-მონაზნობას და ქრისტიანულ ასკეტიზმს. გვიანდელი ანტიკურობის მთელ სულიერ შემოქმედებას მოღუნება-უმოქმედობის, მიმბაძველობის, დოგმატიზმის—ეკლესიურობის იერი აზის, რაც ანტიკური სამყაროს მიერ შემოქმედებითი ძალების დაკარგვას მოწმობს; დაცემას განიცდიდა ყველა ის, რაც იყო ბერძენულ-ჰელინური (წარმართული) სამყაროს შემოქმედებითი პროდუქტი და აღმოცენებული იყო მის სოციალ-ეკონომიურ საფუძველზე.

ხოლო პირიქით, რაც კი აღმოცენდებოდა ფეოდალურ ფესვებზე, ყველაფერი თავისში ატარებდა პროგრესის თესლს და წარმოადგენდა ფეოდალური კულტურის განძს. თუმცა, როდესაც ვლპარაკობთ გვიანდელ იმპერიის კულტურაზე, არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ გვიანდელი იმპერია გრძელდებოდა 200-წელზე მეტ ხანს და ანდროის დიდი მონაკვეთის განმავლობაში ადგილი ჰქონდა აღმავლო-

პასაც და დაცემასაც. კულტურის დაცემა განსაკუთრებით სიმძაფრით იგრძნობოდა უშუალოდ III საუკუნის კრიზისის პერიოდში და მის ახლო მომდევნო ათეული წლების მანძილზე. IV საუკუნის შუა რიცხვებიდან, რომის იმპერიის საერთო აღმავლობასთან ერთად, იწყება გამოცოცხლება აგრეთვე კულტურული შემოქმედების ყველა ფრონტზე და ეს გრძელდება IV საუკუნემდე. IV საუკუნის ბოლოდან, ე. წ. „ხალხთა დიდი გადასახლების“ დროიდან, ანტიკური—სამყარო შედის კულტურული დეკადანსის ზოლში, რაც გრძელდება თვით რომის იმპერიის დაცემამდე. კულტურის არცერთ დარგში დაცემა არ იყო ისე ძლიერი და თვალსაჩინო, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ფილოსოფიის დარგში. III—V საუკუნეების ყველა ფილოსოფიურ ნაწარმოებში წითელი ზოლივით გასდევს რელიგიურ-მისტიკური განწყობილება,—რწმენა საკუთარი ძალების უძლურებაში, უარყოფა ამ ქვეყნიურ ცხოვრებისა და უპირატესობის მინიჭება ზეციურისათვის ქვეყნიურის წინაშე. რწმენა ადამიანის შემოქმედებითი ძალებისადმი შეცვლილ იქნა ბედისწერის ანუ ფატუმის რწმენით, რომელიც მართავს ქვეყანას და ადამიანთა გონებისთვის მიუწოდებელ კანონების მიხედვით.

„მე ამას არ ჩავიდენდი, ღმერთს რომ არ ნდომებოდა“ (si deus hoc noluit, non facerem). „რა შეგვიძლიან ბედისწერის წინააღმდეგ?“—დაბნეულად სვამს კითხვას IV საუკუნის ქრისტიანი მწერალი—გრიგოლ ნისელი.

მისტიკოსები მიდიოდნენ სამყაროს სრულ უარყოფამდე. „ნეტავი მე მესხას ფრაუები მტრედისა ან მერცხლისა, რომ მაღლიდან დაფეარფატებდე ადამიანის ცხოვრებას!“ „ქვეყანა,—ქადაგებს იგივე გრიგოლი,—აწყლულებს ჩემს სულს, ბრძენის გული კი ყოველთვის საესეა მწუხარებით, ვინაიდან მწუხარება და ავადმყოფობა—ყოველგვარ შესაძლებელ სიტკბოებაზე უტკბილესია“.

„ამქვეყნიურ სიტკბო-მწუხარებისაგან დასვენების შესაძლებლობას იძლევა მხოლოდ ბუნება“.

ის, რაც წინა პერიოდში მხოლოდ განზრახული იყო, რომ გაკეთებულყო, რომის უკანასკნელ საუკუნეებში ყველა ამან ფართო გავრცელება ჰპოვა. ფილოსოფია ჩაეფლო ღრმა სკეპტიციზმში, გადაგვარდა მისტიციზმში და, დასასრულ, ევოლუციის გზით გადავიდა თეოლოგიაში. ვითარდებოდა რწმენა საიქიო ცხოვრების, აესულებისა, მიცვალებულთა (ნეშტები), მკითხაობისა, გამოცხადებათა, ექიმბაზობისა და სხვა მის მზგავსთა მიმართ. „მეცნიერების მოციქული იყო: თეოლოგია და ასტრონომია“. ცრუმორწმენობა დამახასია-

თებელი იყო არა მარტო დაბალი კლასების, არამედ ის მოედო რომის იმპერიის ინტელიგენციის მაღალ ფენებსაც¹.

გვიანდელ რომის კანონმდებლობაში არის მთელი რიგი ზღბ-ლები, რომელიც ადებს მძიმე სასჯელს ცრუმორწმუნეობის გამავრ-ცელებლებს, მისნებს, ჯადოქრებს და მკითხავეებს, რომლებიც მკითხაობდნენ შემოწირულ საქონლის შიგნეულობაზე, ფრინველების ფრენაზე და ხმაზე, ვარსკვლავთ მოძრაობაზე და სხვ.

„ბევრნი, — ნათქვამია იუსტინიანეს კოდექსში, — სარგებლობენ რა მაგიური საშუალებებით, კადნიერდებიან შეადრწუნონ ბუნების ელემენტები, შეუქმნან საშიშროება უდანაშაულო ადამიანებს და დაემუქრონ, რომ „სულთა შელოცვით“ ყველას შეუძლია თავი ი მტერი გაანადგუროს. ამგვარი ადამიანები, როგორც ადამიანის ბუნებისათვის უცხონი, უნდა მაუგდონ მხეცებს დასაფლეთად“².

2. ფილოსოფია

რელიგიურ მისტიკური საკითხებისადმი გაზრდილი ინტერესი ნახულობს თავის ახსნას იმ დროის სოციალ-პოლიტიკურ პირობებში, — აზროვნებასა და რეალური ცხოვრების ურთიერთ გათიფვაში. სოციალური ჯგუფები, ამათუიმ ეკონომიურ-პოლიტიკურ მიზნის გამო ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილნი (ასეთები კი ამ პერიოდში ცოტა არ ყოფილა) ეძლეოდნენ გულჩათხრობილობას, ჰქმნიდნენ ყოველგვარ ფილოსოფიურ და რელიგიურ „სამყაროებს“ და ამ აპსტრაქტულ „სამყაროებს“ ლებულობდნენ, როგორც რეალურ არსს.

გვიანდელი ანტიკურობის ფილოსოფიური აზროვნების ყველა თავისებურებანი აღიბეჭდა მომავლად ანტიკურობის უფრო რთულ და დიდ გავლენის მქონე ფილოსოფიურ სისტემაში, — ნეოპლატონიზმში, რომელიც წარმოადგენდა ფილოსოფიისა და რელიგიის თავისებურ შეხამებას.

ნეოპლატონიზმის დამაარსებლად ითვლება პლოტინი (23—269 წწ.), რომელიც ცხოვრობდა III საუკუნის კრიზისის ყველაზე მწვავე პერიოდში. მოძღვრება პლოტინის, — „ენეადები“, ექვს წიგ-

¹ ყველა დეტალის შესახებ, რომელიც ეხება აღნიშნულ კითხვას, ცნობას იძლევა შრომები (Cumont, Les religions orientales dans le paganisme romain; Paris, 1929. Reitzenstein, Die hellenistischen Mysterienreligionen, Berlin, 1927).

² Cod. Inst., IX. 18. 6. Cod. Theod., IX, 16, 1 (De maleficiis et mathematicis et ceteribus similibus).

ნად, ცნობილია ნაწილობრივ მის საკუთარ ფრაგმენტების, უმთავრესად კი მისი მოწაფეების—პორფირის, იამვილიხის და პროკლეს იხსნებათა მიხედვით, რომელთაც გაუკეთეს კომენტარიები, გადაასხვაფერეს და შეავსეს თავიანთი მასწავლებლის სისტემა. თავის სისტემაში პლოტინი ცდილობდა შეეხამებინა პლატონის ფილოსოფია ძველ რელიგიასთან მთლიან მისტიკურ სინთეზში. ღვთაება, —ქადაგებდა პლოტინი, —ეკუთვნის მღვდელს სამყაროს და თავის არსებით შეუცნობელია. ღვთაება არის სიცოცხლის დაუსრულებელი წყარო, რომლისგანაც ემანაციით (გამომდინარეობით) იქმნება ცოცხალი შემოქმედებითი საწყისი, რომელიც ასულდგმულებს ყველა ცოცხალ არსებას. მიღმაქვეყნურ ღვთიურ აბსოლუტს უპირისპირდება ამქვეყნიური სამყარო, როგორც მისი მკრთალი ანარეკლი. ფილოსოფიით გასხივოსნებული ადამიანის უმაღლეს მისწრაფებას უნდა წარმოადგენდეს ცდა განთავისუფლდეს ხორციელი, სულის შემბლალავი, გარსისაგან (ნივთიერებისაგან). ამის მიღწევა შეიძლება ამქვეყნიურ ცხოვრების, მისი ვნებიანობისა და მაცურობითურთ უარყოფით, თუ ადამიანი მთლად მიეცემა მისტიკურ ფილოსოფიურ აზროვნებას. გონების (ნუს), ამ ადამიანის არსებაში მოწყვედილი განუყნებული „ღვთაებრივი“ საწყისის საშუალებით, ადამიანს შეუძლია ამაღლდეს უმაღლეს ფსიქიურ დაძაბულობამდე (ექსტაზამდე) და განზავდეს უმაღლეს არსში¹.

განსაწმენდელ საშუალებად რეკომენდირებული იყო: შელოცვა, შალის ტანსაცმელის ტარება, შიმშილობა, უბედურებისა და ავადმყოფობის სტოიკურად ატანა და სხვ. „პლოტინს, — ამბობს მისი პატივისცემელი მოწაფე პორფირი, — რცხვენოდა თავის საკუთარი სხეულისა და ამიტომ ის არაფერს ამბობდა თავისი წარმოშობისა, აგრეთვე მშობლებისა და სამშობლოს შესახებ და არ აძლევდა ნებას მხატვრებს და მოქანდაკეებს, რომ მისი სახე გამოეხატათ ან გამოექანდაკებიათ“. „ნუთუ საკმარისი არ არის, რომ ჩვენ ვატარებთ აჩრდილს (სხეულს), რომელიც გარს შემოგვაკლო ბუნებამ? რა საჭიროა ერთ აჩრდილს მეორე აჩრდილი შემოგავლოთ?“ ყველაზე უდიდესი, — ასწავლის პლოტინი, — რასაც კი ადამიანს შეუძლია მიაღწიოს ამქვეყნიურ ცხოვრებაში, — ეს არის საღვთოებრივი მისტიკური გაერთიანება ღვთაებასთან, — ინტუიციისა და ექსტაზის გზით“.

„როდესაც სული განთავისუფლდება ყოველივე გარეშესაგან და მოემზადება აღქმისათვის იმ საშუალებათა მიხედვით, რომლებიც

¹ E. Bréhier, Philosophie de Plotin, 1923.

ცნობილია იმისთვის, ვინც შეიგნო ამგვარი აქტის სიდიადე, მაშინ თავისთავად ხდება მაღალი გასწივოსნება (თვალის ახელა). ყველაფერი შუალედური .ჰქრება და სული უერთდება ამ უმაღლესს ერთ განუყოფელ მთლიანობაში... ამ მდგომარეობაში სული არ გრძნობს თავის სხეულს; ვერ გრძნობს ცოცხალია იგი თუ არა, არის ის კაცი, თუ არა, არსია ის, თუ ყველაფერია“¹.

ნეოპლატონიზმის ფესვები დანერგილია, ერთის მხრით პელინურ ნიადაგში—პლატონის ფილოსოფიაში,—და მეორე მხრით ძველი სპარსეთისა და ინდოეთის რელიგიურ-ფილოსოფიურ სპეკულაციებში. პლატონი სპარსეთში ყოფნის დროს გაეცნო სპარსეთის რელიგიას (მაზდეიზმს) და სპარსელ საღმრთო წიგნს—ავესტას. დამახასიათებელი ნეოპლატონიზმისათვის—დუალიზმი სულისა და მატერიისა, საწყისები კეთილისა და ბოროტისა—საფუძვლად უდევს აგრეთვე მაზდეიზმსა და მის სახესხვაობას—მანიქეიზმს, რომლებიც არკვევენ დაუსრულებელ ბრძოლას კეთილ (Ahura-Mazda) და ბოროტ საწყისთა შორის, ღმერთისა და ეშმაკის შორის².

თავისი იდეალის განხორციელების მიზნით პლატონმა, როგორც რელიგიურ ფილოსოფიური სექტის მეთაურმა, მიმართა იმპერატორ გალიენს თხოვნით, რომ კამპანიის ერთ-ერთ განადგურებულ ქალაქში ნება დაერთოთ მისთვის დაეარსებინა თემი პლატონის მოძღვრების მიხედვით მოწყობილი, სადაც მას შეძლება მიეცემოდა განხორციელებინა თავისი ფილოსოფოს—განდევლის იდეალი³. პლატონის ფილოსოფია ადამიანს აიძულებდა სინამდვილეში ხელი აეღო საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, ზიზლით შეეხედა ამქვეყნიური კეთილდღეობისათვის, მისცემოდა გულჩათხოვობილობასა და ანაქორეტიზმს. წაომართულ ანაქორეტიზმში იმალებოდა ფესვები ქრისტიანული ბერ-მონაზონობისა, რომელიც წარმოიშვა რომის უკანასკნელ საუკუნეებში.

1⁴ ს.უქუნეში პლატონის მოწაფე იამვლიხი ცდილობდა თავისი მასწავლებლის—პლატონის—ნათქვამი აეხსნა და გაეერთიანებინა ერთ მთლიან სისტემაში. შეექმნა ამით თავისებური წაომართული ეკლესია, რომელიც განდობილთ გაუადვილებდა ამქვეყნიურ ცხოვრებიდან საუკუნო (აბსოლუტურ) ყოფიერების მიღმა სამყაროში გადასვლას. ნეოპლატონიზმმა განვითარების უმაღლესს წერტილს

¹ Aenneades, VI.

² Cl. Huart, La Perse antique et la civilisation Iranienne, Paris, 1925.

³ Porphyrius, Vita Plotini, 12.

მილწია V საუკუნის ფილოსოფოს პროკლეს მოძღვრებაში. „ღვთა-
ებრივი იამვლიხის მოწაფის—ფილოსოფოს პროკლეს თხზულებებში
მოცემულია ქრისტიანული იმპერიის ფილოსოფიის ყველა დამახა-
სიათებელი მხარე: აბსტრაქტულობა, სქემატიზაცია, მისტიციზმი და
სპირიტუალიზმი.

მილანის ედიქტის გამოცემიდან რომის საზოგადოებაში გაბა-
ტონებულ ფილოსოფიად ხდება ქრისტიანული ფილოსოფია,
რომელიც ძირითადად ტრიალებდა იმავე პრობლემების გარშემო,
რომლებსაც არკვევდა არაქრისტიანული (წარმართული) ფილოსო-
ფია, და რომელმაც შეითვისა ძველ ფილოსოფოსთა მეთოდები, გა-
ამარტივა და გააუხეშა რა ისინი საგრძნობლად.

ქრისტიანი ფილოსოფოსები ცდილობდნენ გამოეყენებინათ წარ-
მართული ფილოსოფიის მეთოდები და დასკვნები უმთავრესად იმი-
სათვის, რომ დაემტკიცებინათ თავიანთი მოძღვრების უპირატესობა
და წარმართობის უსუსურობა.

III—IV საუკუნეების საეკლესიო მწერლებიდან დიდი სახელით
სარგებლობდნენ: ორიგენი, ათანასე, ევსევი, არნობი,
ლაქტანციუსი, ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიანელი და
სხვ. ქრისტიანულ ფილოსოფიის პატრისტიკის („ეკლესიის მამათა“
ლიტერატურა) გვირგვინს წარმოადგენს ავგუსტინის თხზულებანი.
ავგუსტინი დაიბადა ნუმიდიაში, 354 წელს, ცნობილ რომაელის
ოჯახში. გაატარა რა სიკვამლე წარჩინებული ახალგაზრდობის წრე-
ში, თავისი ცხოვრების მეორე ნახევარში მან იგრძნო მოწყენილობა
და უქმაყოფილება, და მიიღო ქრისტიანობა იმ იმედით, რომ მასში
ის პოეებდა სულიერ სინშვიდეს, რაც მას აკლდა და ამით ჩააქრობდა
შინაგან განღვრეულობას. თავისი განცდები ავგუსტინმა აგვიწერა
„აღსარებაში“ (Confessiones), ლიტერატურულ საღვთისმეტყველო
ტრაქტატში, რომელიც წარმოადგენს ღირებულებას, როგორც ან-
ტიკური სამყაროს დასასრულის ისტორიული ძეგლი. 395 წელს ავ-
გუსტინმა აფრიკის ერთ-ერთ ქალაქში ეპისკოპოსობა მიიღო და გარ-
დაიცვალა 430 წელს—ვანდალების ქალაქზე თავდასხმის დროს.

ისტორიკოს-სათვის ავგუსტინის ნაწარმოებიდან ყველაზე საინ-
ტერესო წიგნად ჩაითვლება „ს. მეფოსათვის უფლისა“ (De civitate
Dei), სადაც მოცემულია ისტორიის მთელი ფილოსოფია. ავგუსტინ-
ის ფილოსოფიაში სინთეზირებულია სხვადასხვა, ერთიმეორეს სა-
წინააღმდეგო, იდეები ანტიკურ ფილოსოფოსებისა, წარმართებისა,
ქრისტიან-ორთოდოქსებისა და ქრისტიან-მწვალებელთა. უცნაურად
არის შეხამებული მანიქეიზმის სენსუალიზმი აკადემიკოსების სკეპტი-

ციზმთან, პლოტინის რაციონალიზმთან და სპირიტუალიზმთან. რელიგიურ-მისტიკურ თვალსაზრისის მხრივ ავეგუსტინი სქემატიურად ასახავს მოელ მსოფლიო ისტორიას — ორი სამეფოს, ანუ ორი სამკეაროს სახით: სასუფეველი ღვთისა (civitas dei) და სასუფეველი სატანისა (civitas diaboli), სასუფეველი კეთილთა (societas bonorum) და სასუფეველი ბიწიერთა (societas impiorum), მიწიერი (civitas terrena) და ზეციური (coelistis) თემი. ბრძოლა მორწმუნეთა და ურწმუნეთა შორის დამთავრდება უკანასკნელთა დამარცხებით და მაშინ დადგება სამეფო უმაღლესი (სულიერი) სიკოცხლის ნეტარებისა და სიხარულისა.

საბოლოო დასკვნაში ავეგუსტინის ფილოსოფია აღიარებს სულიერი ცხოვრების პრიმატს ხორციელზე და აქედან როგორც დასკვნა: სასულიერო თემის ეკლესიის პრიმატი საერო სახელმწიფოზე, ე. ი. რომის იმპერიაზე, რომელიც, როგორც ცოდვის ბუდე, უნდა დაილუპოს. წარმართული იმპერიის დალუპვის შემდეგ დაიწყება ახალი მეფობა, ე. ი. ეკლესიის ბატონობა. შემდეგში, საშუალო საუკუნეებში. ნეტარი ავეგუსტინის ფილოსოფია გამოყენებულ იქნა კათოლიკური ეკლესიისა და რომის პაპების მიერ ეკლესიის სახელმწიფოზე უპირატესობის დასამტკიცებლად¹.

3. ლიტერატურა. ისტორია

III—V საუკუნეების სხვა ქრისტიან და წარმართ ნწერალთა შორის, რომელთა უმრავლესობას პროვინციელები — ბერძნები, ესპანელები, გერმანელები, აფრიკელები და სხვ. შეადგენდნენ, ყურადღებას იპყრობენ: ავზონიუსი გალიელი პ. აეტი, ავტორი იდილიური ლექსისა „Mosella“, რომელშიაც აღწერილია მოზელის ნაპირები, კლავდიან და მაკრობი — „სატუნალის“ ავტორი, სადაც მოთხრობილია ლიტერატურულ-ისტორიული შინაარსის სანადიმო საუბრები.

გვიანდელი ანტიკურობის მკითხველი საზოგადოების ლიტერატურულ მხატვრული მიმართულებისა და გენოვნებისათვის განსაკუთრებით ტიპურია ისეთი მოთხრობები, როგორიც არის სირიელ პელიოდორეს რომანი „თეაგენი და ქარიკლეა“, რომელიც შეიკავს იმავე ავტორის უფრო ვცელი ნაწარმოების 10 წიგნად დაწერილ „ეთიოპიის“ ნაწილს. „თეაგენი და ხარიკლეა“ სანტიმენტალურ-

¹ P. Alfari, L'évolution intellectuelle de Saint Augustin, Paris, 1918.

ეროტიული რომანია, რომელიც მოგვეთხრობს ეთიოპიის მეფის ჰიდასპის ქალისა და თესალიელი თეაგენის თავგადასავალს, რომლებიც დიდხანს იყვნენ ერთმანეთისაგან განშორებულნი, მაგრამ მიუხედავად ათასგვარი საშიშროებისა და ცდუნებისა ერთმანეთისათვის მათ არ უღალატიათ. რომანი თავდება მორალით, სადაც იმარჯვებს სიკეთე—აღმოცენებული სიყვარულზე; ქალ-ვაჟი დაეუფლებიან ეთიოპიის მეფის ტახტს.—ეს არის ჯილდო მათ მიერ გაწეული მწუხარებისა და ტანჯვისათვის. ამავე სანტიმენტალურ-ეროტიული სტილით წერდა მეორე რომანისტი—ქსენოფონტე ქ. ეფესიდან,—ჰელიოდორის თანამედროვე. ორივე მწერალი ცხოვრობდა III საუკუნის დასასრულს და IV საუკუნის დასაწყისს, როდესაც განსაკუთრებით იგრძნობოდა კრიზისის შედეგები. სანტიმენტალურ-ეროტიული რომანები, მსგავსად ჰელიოდორისა და ქსენაფონტეს რომანებისა, რომლებიც სავესა თავგადასავლებითა და ბუნების აღწერით, იტაცებდნენ მკითხველს ოცნების ინტიმური განცდების შორეულ სამყაროში.

ბერძნული და რომაული რომანების საყვარელი გმირი იყო დაფნისი—ლამაზი ახალგაზრდა გმირი სიცილიელი მწყემსებისა და მწყემსური (ბუკოლიკური) პოეზიისა. დაფნისი იყო ჰერმესა და ფერიის შვილი, მიტოვებული უპატრონოდ დედის მიერ დაფნის (daphniai-ქალა) ქალაში—ჰერეს მთებ შორის სიცილიაში და აღზრდილი მწყემსების მიერ უბრალო, მწყემსურ ზნე-ჩვეულებებზე. დაფნისი შეუყვარდება ქსენიას, ანუ ნომიას, რომელსაც ის შემდეგ ლალატობს, რის გამოც დასჯილ იქნა იმით, რომ კლდედ გარდაიქცა. ჰერმესს, დაფნისის მამას, შეებრალება იკი და წაიყვანს ზეცაში, ხოლო კლდის ადგილს კი გადააქცევს ცივ წყაროს სათავედ, სადაც ყოველწლიურად იკრიბებოდნენ სიცილიელები, სწირავდნენ მსხვერპლს და აწუბობდნენ დღესასწაულებს. მწყემსი დაფნისი გმირია ლონგის რომანისა—„დაფნისი და ქლოია“ (IV საუკუნის ბოლო). აღნიშნული რომანი საოგებლობდა ფართო პოპულარობით გვიანდელი რომის იმპერიის მკითხველთა შორის.

ისტორიკოსებიდან, რომლებიც ცხოვრობდნენ III საუკუნის კრიზისის პერიოდში, აღსანიშნავია კასიუს დიონ კოკციანუსი (Cassius Dio Cocceianus), კასიუს დიონი დიდგვაროვანი და მდიდარი სენატორის ოჯახიდან იყო. სევეროსის დინასტიის დროს მას ექირა მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობანი (პრეტორის, კონსულის), ბევრს მოგზაურობდა და, როგორც პროკონსული, მართავდა მცირე აზიას, აფრიკას, დალმაციასა და პანონიას. სიცოცხლის ბოლო ხა-

ნებში კასუს დიონმა ხელი მოჰკიდა. კაპიტალურ ისტორიულ შრომას -- „რომის ისტორიის“ შედგენას უძველეს დროიდან სვეეროსებამდე -- უკანასკნელთა ჩათვლით. დიონის „რომის ისტორია“ შედგებოდა 80 წიგნისგან, ნაწილზე ჩვენამდე მოაღწია დედნის სახით, მეორე ნაწილი კი შენახულია ბიზანტიელი ისტორიკოსების ბერების -- ქსიფილინისა (XI საუკ.) და ზონარას (XII საუკ.) თხზულებებში. თავის შრომის შედგენისას კასიუს დიონს გამოუყენებია პირველ წყაროთა და მის წინამორბედთა თხზულებების უამრავი მასალა. შრომაზე მუშაობა გრძელდებოდა დაახლოებით 20 წელი.

მასალათა დალაგებისა და დამუშავების ხასიათის მიხედვით დიონი ეკუთვნის ისტორიკოს -- პრაგმატიკების ჯგუფს, რომლებიც ისტორიის მიზანს ჰხედავენ ამბავთა შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენაში. მისი თხრობის ცენტრში მოთავსებულია ომები, დიდი აღამიანების ბიოგრაფიები და სამეფოს კარის ისტორია. დიონი ისტორიას აყენებს მკიდრო კავშირში პოლიტიკასთან და ფილოსოფიასთან. პოლიტიკა და ფილოსოფია აყენებენ პრობლემებს, რომელთაც ისტორია სწყვეტს კონკრეტ მასალათა საფუძვლზე. პოლიტიკა, ფილოსოფია და ისტორია განუყოფელი არიან ერთმეორისაგან, წარმოადგენენ რა ერთიდაიგივე ობიექტის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს, სხვადასხვა სახეს.

„განმანათლებელი მხარე ისტორიისა გამოიხატება, ჩემი აზრით, იმაში, რომ ისტორიკოსი აზროვნების გზით აშუქებს ფაქტების დედაზრს, ამასთანავე ამოწმებს საკუთარ მსჯელობა ია სისწორეს, საზღვრავს რა მათს ფაქტებთან შეთანხმების ხარისხს“¹.

თავისი პოლიტიკური რწმენით დიონი ქონარქისტი და კონსერვატორია, რომელსაც აშინებთ ყოველივე სიახლე, ვმობს სახელმწიფოებრივ გადატრიალებებს და მტრულად არის განწყობილი დემოკრატიისადმი.

ისტორიულ ამბავთა გადმოცემასა და ახსნაში, დიონს გააჩნია ბევრი თვისება, რომლითაც იგი ენათესავება გვიანდელი ანტიკურობის ისტორიკოსებსა და მწერლებს. ამბავთა გადმოცემის დროს ის ხშირად მიმართავს, ერთის მხრივ, რიტორიკას, გაზვიადებას და გაშაბლონებას, მეორეს მხრივ, ის იჩენს მიდრეკილებას გრძელ აღწერებისადმი, საინტერესოდ შეთხზულ და სასწაულებრივ ხასიათის მოთხრობების წერისადმი. რწმენა სასწაულებისა და გარეშე ძღუების შესაბუნებრივი ჩარევისა წითელი ზოლივით გასდევს დიონის

¹ Dio Cass., XLVI, 35.

ყველა ნაწარმოებს. ისტორიული პროცესი ძირითად მოქმედებებში დიონისათვის რჩება ირაციონალური, რომლის ახსნა ადამიანის გონებას არძალუძს.

გვიანდელ იმპერიის ისტორიკოსთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს ამიან მარცელინს, რომელმაც შეადგინა „რომის „ისტორია“, 31 წიგნად (*Rerum gestarum a fine Cornelii Taciti XXXI libri*), დაწკობილი იმპერატორ ნერვადან.

ამიან მარცელინი დაიბადა ქ. ანტიოქიაში, მდინარე ორონტზე, 330 წელს, იგი, იულიანეს თანამედროვე და მისი პატივისმცემელი, ითვლებოდა ისტორიულ მოღვაწეთა ბიოგრაფიებისა და დახასიათებათა შედგენის მხრივ ტაციტის სტილის შესანიშნავ ხელოვნად, თვითონაც თავისთავს სთვლიდა აგი ტაციტის გამგრძელებლად. ამიან მარცელინის ისტორიულ ფილოსოფიური კონცეფცია უახლოვდება ტაციტისას, მაგრამ გამოვლინებულია გაცილებით სუსტად. ამიან მარცელინის, როგორც უპირატესად სამხედრო მწერლის თხრობის ცენტრში, დგას სამხედრო ისტორია, სოციალ-პოლიტიკურ და კულტურულ ისტორიას კი მეორე ადგილი უჭირავს. ომების გარდა, მას ყველაზე მეტად აინტერესებს გეოგრაფიული და ეთნოლოგიური აღწერები, რაც აცოცხლებს და საინტერესოდ ხდის მონოტონურ და მშრალად გადმოცემულ თხრობებს. საეკლესიო საკითხებში, რომლებიც მამინ აღწევებდა რომის სახელმწიფოს და საზოგადოებას, ამიან მარცელინი დგას მთლიანად იულიანეს მხარეზე. ზიზლით და მხოლოდ გაკვრით ლაპარაკობს მსოფლიო საეკლესიო კრებებზე, ორთოდოქსალურ ეკლესიაზე, შენიშნავს ოა ირონიულად, რომ ეპისკოპოსების ხშირი გადასვლ-გადმოსვლა ერთი ადგილიდან მეორეზე მხოლოდ ქანცავს ფოსტის ცხენებს¹; უარყოფითად ეკიდება აგრეთვე ამიან მარცელინი ქრისტიანულ მოწამეთა თაყვანისცემას (*sepulchris haerere*)², თუმცა თვით წამებულებს, როგორც ძლიერებს და რწმენით მტკიცეებს, როგორც თავისებურ გმირებს დადებითად ეპყრობა და, ზოგ შემთხვევაში, თანაგრძობითაც კი³.

დაცემულობის თვისებები ამიან მარცელინის ისტორიაში ყველაზე მკვეთრად მოჩანს მის შიდრეკილებაში მაღალფარდოვანებისაღმი, მრავალსიტყვაობისაღმი, საგანგებო სწავლულობისაღმი, არქაული გამოთქმებისაღმი, ფანტასტიკურობისა და საწაულებრივი-

¹ A m m. Marc., XXI, 16; XXII, 5, 4

² Ibid., XIX, 3, 1; XVIII, 7, 7.

³ Ibid., XXII, 11, 10.

საღმბი. კიდევ უფრო მეტ სასწაულებრივს, ჰიპერბოლურსა და ანეგ-
ლოტურ ელემენტს შეიცავს რომის იმპერატორების ბიოგრაფიათა
კოლექტიური კრებული ჰადრიანედან დიოკლეტიანეს წინამორბედ
ნუმერიანამდე; კრებული ცნობილია „ავგუსტის ისტორიის მწერალ-
თა“ (Scriptores historiae Augustae) სახელით.

ნიმუშად აღებულია სვეტონიუსის „შედარებითი ბიოგრაფიები“. ცოცხალი და მნატკრული ერთ შესრულებული ნარკვევები, სპარტი-
ანესი, კაპიტოლინისა, ლამპრიდიუსისა და სხვა ავტორებისა, რომ-
ლებიც შევიდნენ „ავგუსტების ისტორიის მწერალთა“ რიცხვში, უფ-
რო მოგვაგონებს ისტორიულ რომანს, დაწერილს ეპოქის სტილით,
ვიდრე ისტორიას, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით¹.

გვიანდელი იმპერიის სხვა ისტორიკოსთაგან უნდა დავასახე-
ლოთ ევსევი (IV საუკ.)—კესარიელი ეპისკოპოსი,—ავტორი „ეკ-
ლესიის ისტორიისა“, რომელიც ბერძნულ ენაზეა დაწერილი 10
წიგნად.

გვიანდელ-რომის ყველა ისტორიკოსებისათვის ისტორიის ზო-
გად ფილოსოფიას წარმოადგენს—შეხედულება ისტორიულ პრო-
ცესზე, როგორც ბრძოლა ირაციონალურ და რაციონალურ საწყისთა,
ბედისა (Fortuna) და სათნოებას (Virtus) შორის ბრძოლაზე.
ამასთანავე Virtus-ის ქვეშ იგულისხმებოდა ადამიანის მისწრაფებათა
და ღონისძიებათა ერთობლიობა.

4. საპარტალი

გვიანდელი რომის ლიტერატურულ მემკვიდრეობის ყველა სა-
ხეობათაგან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „იმპერატორე-
ბის კოდექსებს“ (Codices)—იურიდიულ კრებულებს, რომლებ-
შიაც მოცემულია იმპერიის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნახევრების
უფლებრივი ნორმები და იმპერატორთა ინსტრუქციები. პირველ
კოდექსად დროის მიხედვით ითვლება III საუკუნის დასასრულის
გრეგორიანული კოდექსი,—(Codex Gregorianus), დაყოფი-
ლი წიგნებად (libri), წიგნები კი ტიტულებად (tituli). V საუკუნის
პირველ ნახევარში—თეოდოსე II დროს (438 წელს) გამოვიდა ახა-
ლი თეოდოსეს კოდექსი (Codex Theodosianus), რომელიც

¹ „ავგუსტების ისტორიის მწერალთა“ ამომწურავ ანალიზს იძლევა ფრანგი
ისტორიკოსი შარლ ლეკრივენი მონოგრაფიაში: Ch. Lecrivain, Etudes sur
l'histoire Auguste, 1904. იხილე აგრეთვე H. Peter, Die Scriptores Histo-
riae Augustae, 1892.

შედგებოდა 16 წიგნისაგან. დასასრულ, VI საუკუნეში (529 წ.)—შესანიშნავი იუსტინიანეს კოდექსი (Codex Justinianus), რომელიც საფუძვლად დაედო ევროპულ სამართალს.

პრაქტიკულ სახელმძღვანელოდ და სხვა ყოველგვარი იურიდიულ ცნობების ამოსაკრებად განკუთვნილი იყო დიგესტები, ანუ პანდექტები (Digestae vel Pandectae), რომელშიაც მოცემული იყო კლასიკური ეპოქის იურისტების კომენტარიები და გამოთქმები ამათუიმ საკითხის ირგვლივ.

დიგესტების შედგენილობაში შევიდნენ მცირე სცევოლას, ლაბეონის, პროკულის, ნერაციუსის, გაიუსის, პაპინიანის, ულპიანის და რომის სხვა გამოჩენილ იურისტთა და სამართლის მცოდნეთა თხზულებანი.

დიგესტები იყოფა 50 წიგნად, წიგნები კი ტიტულებად, რომლებიც თავის მხრივ იყოფა ნაწყვეტებად (leges ანუ fragmentae), რომლებშიც ნაჩვენებია სახელები ავტორისა და ის ადგილი, საიდანაც ამოკრეფილია ეს ნაწყვეტები. დიგესტის შედგენასთან ერთად, შედგენილ იქნა აგრეთვე სამართლის სახელმძღვანელო „ინსტიტუციები“ (Institutiones), რომელიც გამოქვეყნდა 533 წელს. „ინსტიტუციებს“ საფუძვლად დაედო უმთავრესად გაიუსის და ულპიანის თხზულებანი.

იურიდიული კომისიის დამამთავრებელ სამუშაოდ უნდა ჩაითვალოს იუსტინიანეს კოდექსი, რომელიც შეიცავს 5-000-მდე კონსტიტუციას, —ჰადრიანედან იუსტინიანამდე. კოდექსი დაყოფილია 12 წიგნად. ყველა ცვლილებას, ან დამატებას, რაც შეტანილია კოდექსში მისი გამოცემის შემდეგ, ეწოდება ნოველები (novellae). კოდექსების მეტი ნაწილი წარმოადგენს კომპილატურ ნაწარმოებებს, —შედგენილს გვიანდელ იმპერიის პირობებთან შეგუებულ იურიდიული კრებულებისა და აქტების მდიდარ მასალებზე. კოდექსების ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა გაცილებით ფართოა, ვიდრე იურიდიულ მასალათა უბრალო კრებულებისა. უდიდესი ისტორიული მასალების შემცველი კოდექსები წარმოადგენს იმავე დროს რომაული სამართლის, აზროვნების, ენის, ლიტერატურისა და ფილოსოფიის შესანიშნავ ძეგლებს.

იუსტინიანეს კოდექსის შესავალში, რომელიც დაწერილია გვიანდელი იმპერიის კანცელარული სტილით, გამოთქმულია რომის სამართლისმცოდნეთა და პოლიტიკოსთა შეხედულებანი სახელმწიფოსათვის კანონების მნიშვნელობისა და სამართლიან არსის შესახებ. „სახელმწიფოს უმაღლესი თავდაცვა (summa rei publicae tuitio)

ეყრდნობა ორ საგანს:—იარაღსა და კანონებს (*de stirpe duarum rerum, armorum atque legum*). ამას უნდა უმაღლოდეს რომის ბედნიერი ხალხი (*felix Romanorum genus*), რომ წარსულში მან მიაღწია ბატონობას სხვა ხალხებზე და ღვთის შემწევობით ამ მღვთმარეობას კვლავაც შეინარჩუნებს სამუდამოდ. ერთის გამტკიცება ყოველთვის ხდებოდა მეორეს დახმარებით. რომის შეიარაღებული ძალა ყოველთვის ნახულობდა სიმტკიცეს კანონმდებლობაში იმავე ზომით, რამდენადაც თვით კანონები იყო დაცული იარაღის საშუალებით“¹. ...„რომის იმპერიის დიდება დამშვენებული უნდა იყოს არა მარტო იარაღით, არამედ კანონების სისრულითაც, რათა რომის ხალხმა თავისუფლად მართოს სახელმწიფო, როგორც ომიანობის დროს, აგრეთვე მშვიდობიანობის დროსაც“— ამბობს რომის სამოქალაქო სამართლის პირველი სტრიქონი (*Corpus iuris civilis, praefatio, 7*).

სამართალი განმარტებულია რომის იურისტების მიერ ბუნებრივი სამართლის განყენებულ ცნებებში. სამართალი დაფუძნებულია სიმართლეზე (*iustitia*). სამართლიანობა კი არის უცვლელი და მუდმივი ნება, რათა თითოეულს მიეზღო სათანადო (*suum cuique tribuendi*)., პრინციპები სამართლისა ასეთია: თვითონ პატიოსნად უნდა იცხოვრო (*honeste vivere*), არ უნდა შეურაცყო სხვა და თითოეულს მიუზღო კუთვნილისამებრ. მეცნიერება სამართლის შესახებ (*iuris prudentia*) არის საღვთო და ადამიანურ ნივთთა ცოდნა, მეცნიერება შესახებ სიმართლისა (*iusti atque iniusti scientia*), მაგრამ, როგორც იმავე იურისტის სხვა სენტენციებიდან ჩანს, ცხოვრების რეალურ პირობებში ბუნებრივი სამართლის ნორმების დაცვა შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალ მოქალაქეთა მიმართ. რაც შეეხება მონათა მასებს, ეს უფლებრივი ნორმები მათზე არ ვრცელდებოდა და ამის შედეგად იქმნებოდა შეურთიგებელი წინააღმდეგობანი, რომლის ახსნას რომელი იურისტები ცდილობდნენ საერთაშორისო სამართლის ნორმებზე მითითებით (*ius gentium*), სადაც დაკანონებული იყო მონობა, როგორც სოციალურად აუცილებელი ინსტიტუტი. როგორც ცნობილია,—ამბობს ულპიანე,—ხალხთა სამართლის ძვალსაზრისით ადამიანები განიყოფებიან სამ კატეგორიად: 1) დაბადებიდან თავისუფალნი, 2) მათი მოპირდაპირე—მონები (*liberis et his contrarium servi*), 3) აზატები (*liberti*)².

¹ *Cod. Iust., De Iustiniano Codice Confirmando.*

² *Instit., I, 1.*

რომის სამართალს, მონათმფლობელური წყობის პირობებში, მიუხედავად მისი ფორმალური სისრულისა, არ შეეძლო გადაეჭრა არსებული წესწყობილების ძირითადი წინააღმდეგობა, — ანტაგონიზნი მონასა და მონათმფლობელთა შორის. გვიანდელი რომის იმპერიის რეალური სინამდვილე, როგორც ეს უკვე ვთქვით, იმყოფებოდა მკაცრ წინააღმდეგობაში ბუნებრივ სამართლის ნორმებთან, როგორც ეს ჩანს მაგალითად, კოდექსის მუხლიდან „მონების გასწოების შესახებ“, რომელიც მიგვითითებს ზნეჩვეულებათა სიტლანქესა და სიკაცრუზე. მონათმფლობელნი ლებულობდნენ მონების წინააღმდეგ სასტიკ ზომებს, სცემდნენ მათ კეტებით, ქვებით, აყენებდნენ იარაღით სასიკვდილო ქრილობებს, ჰყრიდნენ კლდიდან უფსკრულში, უყრიდნენ მხეცებს დასაგლეჯად, სწვავდნენ ცეცხლზე, აწამებდნენ და სხვ. ერთი სიტყვით, სჩადიოდნენ ყოველგვარ „სიმხეცეს, რაც სჩვევია გულქვა ბარბაროსებს“ (saevitia immanium barbarorum)¹.

გარდა სამართლისა, ბევრს მეცადინეობდნენ გვიანდელ იმპერიაში ქვემოჩამოთვლილ დისციპლინებში: რიტორიკაში, დიალექტიკაში, გრამატიკაში, მუსიკაში, ასტრონომიაში და გეომეტრიაში. მეცნიერთა სამუშაოები გამოიხატებოდა ძველი მწერლების შესწავლაში, კომენტარიების შედგენაში, თარგმნებში, გამონაკრებში (breviaria) და ა. შ.

რაოდენობის მხრივ, გვიანდელი რომის ლიტერატურული პროდუქცია მეტად დიდია, მაგრამ ხარისხით, გარდა მცირედი გამონაკლისისა, საგრძნობლად დაბალია კლასიკური ეპოქის ნაწარმოებებზე. გვიანდელი ანტიკურობის პოეტურ და ლიტერატურულ ნაწარმოებების მთავარ ნაკლად ჩაითვლება რეალური სინამდვილის გრძნობისა, ზომიერების გრძნობისა, ჰარმონიის, სიახლის, უბრალოებისა და სამართლიანობის გრძნობის დაკარგვა.

რომის უკანასკნელ საუკუნეების მთელ ლიტერატურულ-მხატვრულ შემოქმედებას სულიერი სილატაკისა და დაცემულობის ბეჭედი აზის.

მ. არძიმიძეძურა და ხელოვნება

რაც ითქვა ლიტერატურისა და პოეზიის შესახებ, იგივე უნდა ითქვას, აგრეთვე, პლასტიკური და სახვითი ხელოვნების ყველა დარგის შესახებაც. პირველ რიგში იდგა ხუროთმოძღვრება. სვეეროსისა და მათი მომდევნო დინასტიების დროის ნაგებობანი

¹ Cod. Iust., IX, 14, 1 (De emendatione servorum).

განიჩნეოდნენ თავიანთი სიღიადით, ტექნიკური სისრულით და საშენი მასალის სიმდიდრით. ამ შენობებს თავისი ზომით, კოლოსალური სიმძიმით, გარეგნული ბრწყინვალე მორთულობით და სფუთა დამუშავებით განცვიფრებაში მოჰყავს ადამიანი. ასეთებია, მაგალითად, კოლოსალური თერმები კარაკალასი, თერნები და სასახლეები დიოკლეტიანესი სპალატოში (სალონები — დალმაციაში) და ანტიოქიანი, კონსტანტინეს თალი რომში და სხვა მრავალი. ტექნიკის თვალსაზრისით აღნიშნული შენობები თავისი დიფერენცირებული თაღებით, უხვი ჰაერითა და სინათლით, გვიჩვენებენ ანტიკური ქვეყნის სააღმშენებლო ტექნიკის განვითარების მაღალ დონეს, მაგრამ ამავე დროს ამ მშენებლობაში უკვე იგრძნობა ელემენტები დაცემულობისა და გადაგვარებისა.

ნაგებობათა ხასიათი გვიანდელ იმპერიაში რჩებოდა ისევ ძველი: აგებდნენ თერმებს, სასახლეებს, წყალსადენებს, არხებს, ხიდებს, თაღებს, აღმართავდნენ სვეტებს, ობელისკებს და ცხენიან ქანდაკებებს.

ყველაზე გრანდიოზული და ტიპიური ნაგებობა გვიანდელ საიმპერატორო რომში იყო კარაკალას თერმები. ეს უზარმაზარი შენობა თავისი ცენტრალური სადგომით (cella media), გარშემორტყმული იყო მთელი რიგი სხვა დამატებითი ნაგებობებით, რომელიც მას ეკვროდა.

საკუთრივ აბანოს შენობას ჰქონდა რამდენიმე შესავალი სხვადასხვა მხრიდან. თითოეულ შესავალს ადამიანი შეჰყავდა ჯერ წინკარში (vestibulum) და ტანსაცმელის გასახდელ ოთახში (apodyterium). აქედან იგი შედიოდა აბანოს მთავარ სადგომში — საორთქლაფში (tepidarium), საორთქლაფიდან გადიოდა სააბაზანო ოთახში, სადაც დაჰხედებოდა თბილი წყალი (caldarium), დაბოლოს ადამიანი შედიოდა ფრიგიდარში (frigidarium) — ცივი წყლის აუზში. აბანოს ცენტრალური გათბობა მოწყობილი იყო ეზო-პარკის შუა ადგილას, რომელიც უხვად იყო მცენარეულობით გამწვანებული. პარკში იყო სპეციალურად მოწყობილი დასასვენებელი, სასპორტო და სამკითხველო ბინები.

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით კარაკალას თერმები წარმოადგენს ინტერესს, როგორც გვიანდელი ანტიკურობის არქიტექტურულ პრობლემების (მოცულობის, სინათლის) გადაწყვეტის მაგალითი¹.

¹ Н. И. Брунов, Очерки по истории архитектуры, Academia, 1935 г., стр. 368.

ქრისტიან იმპერატორების დროს, გარდა ამისა, შენდებოდა მრავალი ეკლესია (ბაზილიკები), რომელსაც ამშვენებდა მოხაიკა, მხატვრობა და ქანდაკება¹. IV—V საუკუნეების ქრისტიანული ბაზილიკები არქიტექტურული თავისებურობით წარმოადგენენ გარდამავალ საფეხუოს, ანტიკური ტიპის ნაგებობიდან საშუალო საუკუნეების—რომანულ და ბიზანტიურ ძეგლებზე. ისტორიული ქრისტიანული ბაზილიკები წარმოიშვა ბერძნულ ბაზილიკებიდან—საუცხოო შენობებიდან, რომლებიც განკუთვნილი იყო სასამართლოს სხდომებისა, სავაჭრო და ფულადი ოპერაციებისათვის. თუ შევადარებთ წარმართულ მონუმენტალურ თალიან ბეტონურ ნაგებობებს ქრისტიანულ შენობებს, შევნიშნავთ, რომ უკანასკნელნი განსხვავდებიან პირველთაგან თავისი სიმსუბუქით და ჰაეროვნობით, რაც, ერთის მხრივ, გამოწვეული იყო რელიგიური მოტივებით, და, მეორეს მხრივ, მშენებლობის სისწრაფით. უმეტეს შემთხვევაში ბაზილიკებს აშენებდნენ ძველი მასალებიდან, წარმართების დანგრეულ ტაძრებიდან, სასახლეებიდან, ციხეებიდან და კერძო სახლებიდან. ქრისტიანულ ბაზილიკების ნიმუშად ითვლება წმ. პეტრეს—ბაზილიკა და წმ. აგნესას ბაზილიკა—რომში.

ბაზილიკებს აგებდნენ რომში, კონსტანტინოპოლში, პროვინციულ ქალაქებში და დაბებში, მაგნატების მამულებში და ქრისტიანულ კატაკომბებში. კატაკომბებად, რომელთა დიდი ნაწილი აშენებულია III და IV საუკუნეებში, მცირე—ნაწილი კი—I და II საუკუნეებში, იწოდებოდა გრძელი მიწისქვეშა კორიდორები (გამოქვაბულები), სადაც მარხავდნენ ქრისტიანებს. კატაკომბებში გაშენებული იყო ბაზილიკისებური სასლოცველოები, იკრიბებოდნენ „ქრისტეს თავყანისმცემელნი“, უგებდნენ მიცვალებულთ წესს და ასრულებდნენ კულტის ადათებს. არცერთი ისტორიული ძეგლი არ მეტყველებს ისე თვალსაჩინოდ და დამაჯერებლობით ძველი ბერძნულ ელინური სამყაროს მომაკვდაობაზე, როგორც ქრისტიანული კატაკომბები, რომლებიც ჰქმნის მიწქვეშა მთელ რომს (Roma sotteranea)².

დასასრულ უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი რამ,—ეს არის გვიანდელი იმპერიის ხელოვნებისა და საერთო სტილის დამახასიათებელი მხარე—აღმოსავლეთის გავლენა.

¹ G. Wilpert, La decorazione constantina della basilica Lateranense, „Rivista di Archeologia Cristiana“, 1929.

² R. Styger, Die römischen Katakomben, 1933; O. Beyer, Die Katakombenwelt.


აღმოსავლეთის გავლენა ემჩნეოდა ცხოვრების ყველა სფეროს: სახელმწიფოებრივ დაწესებულებებს, იმპერატორების ტიტულს, სასახლის ცერემონიალებს, ჩაცმულობას, თავის სამკაულებს და სხვ. აღმოსავლეთის სტილის განმასხვავებელ ნიშანს შეადგენდა: მძიმე თვალისმოპკრელი ფუფუნება, სამეფო კარის არისტოკრატიის ყოფაცხოვრებისა და ჩაცმულობის მრავალფერადობა, ხაზების სინტიკიცე და ფერების სიკაშკაშე, ხაზის სიმაგრე და სხვ.,—ეს ერთის მხრივ, სოლო მეორეს მხრივ-კი, მას ახასიათებს რეალიზმიდან დაშორება და ფორმალისმისა და სტილიზაციისადმი მიდრეკილება.

აღმოსავლური მოტივების გავლენას და ძველი კლასიკური ფორმების განდევნას ყველაზე გარკვევით ჩვენ ვამჩნევთ ადრინდელ ქრისტიანულ სტილში, რაც დაადასტურა შუაეფრატზე, დურა-ევროპაში (Dura Europos) უკანასკნელ არქეოლოგიურ გათხრების დროს აღმოჩენილმა ფრესკებმა¹.

ფრესკები, პლასტიკური გამოხატულებანი ქრისტიანულ სარკოფაგებზე და კატაკომბების კედლებზე და სხვა ადრინდელი ქრისტიანული ძეგლები გვაძლევს საბუთს დაეასკვნათ, თუ როგორ სტილიდებოდა კლასიკური სტილი რეალიზმსა და ორნამენტალიზმს და როგორ უახლოვდებოდა იგი აღმოსავლურ სიმბოლიურობასა და სტილიზირებას. ჰკარგავდა რა კავშირს სინამდვილესთან და იქცეოდა რა აბსტრაქტულ იდეებისა და მიზნების ანსახველ საშუალებად, ხელოვნება რეალისტურ და ორნამენტალურიდან ხდებოდა ფორმალისტური და სიმბოლიკური. გვიანდელი ანტიკური, ისე როგორც საშუალსაუკუნეების მათი მიმბაძველი, მხატვრები ცდილობდნენ თავიანთ მისწრაფებაში ხაზი გაეყვანათ მხოლოდ მთავარი იდეისთვის. უშეებენ მრავალჯვარ გადახრებს რეალიზმისაგან, ასახავენ რა, მაგალითად, არაპროპორციულად დიდ თავს, ჰიპერტროფირებულ თვალებს, ყურებს და ა. შ., სხვა დანარჩენის უკანა პლანზე დაყენებით ან სრულიად გამოტოვებით. ასე იქმნებოდა თავისებური აბსტრაქტული „ტრანსცენდენტული სტილი, რომელიც ჩაისახა გვიანდელ ანტიკურობაში და გაფურჩქვნას კი მიაღწია უფრო გვიან—ბიზანტიურსა და საშუალო საუკუნეების ხელოვნებაში².

¹ Koch, Probleme der Spätantike, 47; Kömstedt, Vormittelalterliche Malerei, 1929, S. 49.

² Dvorka, Katakombenmalereien, Die Anfänge der christlichen Kunst, München, 1924.



თ ა ვ ი XXVIII

დასავლეთ რომის იმპერიის დასემა

1. რომაელები და ბარბაროსები

რომის იმპერიის ფეოდალიზაციის პარალელურად წარმოებდა რომის საზოგადოების გაბარბაროსების პროცესი. ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში რომაელები ეჯახებოდნენ გერმანელებს.

გავლენა იყო ურთიერთი—რომაელები ახდენდნენ გავლენას გერმანელებზე, გერმანელები კი დევ, თავის მხრივ—რომაელებზე. ურთიერთ გავლენა ყველაზე მეტად იგრძნობოდა მოსაზღვრე ოლქებში რაინზე, დუნაიზე და მათ შენაკადებზე, რომლის შესწავლაც შუქს ფენს, როგორც გვიანდელ რომის იმპერიის ისტორიას, ისე ადრინდელი გერმანიის ისტორიასაც. განაპირა ოლქების (limes) არქეოლოგიურმა გათხრებმა მოგვცა მდიდარი მასალა—სხვადასხვა ჭურჭლეულის, ვერცხლისა და ოქროს ნივთებისა და სხვა სამხედრო საჭურველის სახით. განსაკუთრებით საინტერესოა ე. წ. აკინკტილიუს ვარას ვერცხლის სასუფრე ჭურჭელი“, რომელიც იპოვეს გათხრების დროს ქ. ჰილდესჰეიმის (Hildesheimer Silberfund) მიდამოებში. პირველხარისხოვან ღირებულებას წარმოადგენს რელიეფური გამოხატულებანი და წარწერები სასაფლაოს ძეგლებზე, რომელთაც პოპულობენ სასაზღვრო ხაზზე და აგრეთვე გალიისა და გერმანიის შიდა ნაწილებში. მიწაში ნაპოვნი საგნები, რომელნიც გაკეთებულია იტალიის, გალების და გერმანელი ხელოსნების მიერ,

მიგვითითებს რომის კულტურის შექცევაზე გერმანიის შუაგულში და გალებისა და გერმანელების რომანიზაციაზე. რომის გავლენის ცენტრებს წარმოადგენენ განაპირა ქალაქები—კელნი, მაინცი, ტრირი და სხვ., რომლებიც ითვისებდნენ რომის წესებს და ამით გავლენას ახდენდნენ გერმანულ და გალურ ტომთა სახელმწიფოების (civitates) კულტურაზე და ყოფაცხოვრებაზე. ქალაქების ნაგებობათა ნაშთები, მაგალითად, ქ. ტირის ალაყაფის კარები (Porta Nigra) და აგრეთვე სხვადასხვა ქალაქებში ნაპოვნი უამრავი ნივთები, რომლითაც სავსეა გერმანიის, ბელგიისა და საფრანგეთის მუზეუმები, წარმოდგენას ვაძლევს იმ სიმდიდრესა კულტურისა და მოსახლეობაზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა განაპირა ქალაქებში და რომელსაც თავისი ცივილიზაციური გავლენა არ დაუკარგავს ე. წ. ხალხთა დიდი გადასახლების დროსაც—კი. ცივილიზაციის დამადასტურებელი ფაქტების რიცხვს უნდა მივკუთვნოთ აგრეთვე გზები, ხიდები, არხები, რომლებითაც დასერილია „დიდი (რაინისიქეთა) გერმანია“ (Magna Germania). ამ ფაქტების შესახებ ცნობებს ჩვენ ვლებულობთ ლიტერატურული (itinerarium provinciarum Antonini Augusti tabula Peutingeriana) და, განსაკუთრებით, არქეოლოგიური ძეგლებიდან.

მოსაზღვრე ქალაქებში და დაბებში ხდებოდა შეხვედრები და ეწყებოდა საქონლის გაცვლა რომაელთა და ადგილობრივ—გალებისა და გერმანელ ვაჭართა შორის. რომაელ-გერმანელების მთავარ სავაჭრო სავაგანს შეადგენდა—ვაჭრობა მონებით, რომელსაც აწარმოებდნენ სპეცილისტი მონათ-ვაჭარნი (manrones) როგორც რომაელებიდან, ისე ადგილობრივ გერმანელებიდან და გალებიდან. რომაელ-გერმანელების ვაჭრობა არ ისაზღვრებოდა მხოლოდ იმ ოლქებით, რომლებიც უშუალოდ გერმანიის ზოლს ეკვროდა. რომის და გალიის ვაჭრები შედიოდნენ გერმანიის სიღრმეში, სადაც ყიდულობდნენ მონებს, ბეწვეულს, ქარვასა და სხვ.¹ ვაჭრები წეძენილ საქონელში აძლიერდნენ ფულს (solidi), ღვინოს, რომში დამუშავებულ სახელოსნო ნაწარმოებს, განსაკუთრებით საქარეულს (იარალს) და სხვა ლათონის ნაწარმს.

საუკუნეების განმავლობაში, ცეზარიდან ტაციანამდე, რომელთა ცნობები ითვლება ძველი გერმანიის წყობილების წყაროდ III საუკუნემდე გერმანიის ცხოვრებაში მოხდა არსებითი ცვლილებები: რომის მოსაზღვრე, გერმანიის მოდგმის მომცაბარე ნომადები უკვე გადაიქცნენ მობინადრე, ან ნახევრად მობინადრე მიწის-

¹ P I I n , Nat. hist., XXXVII, 45.

პუშებად. გერმანელი ტომების დასახლება ახლა ხდება უფრო გეგმიანად და არა ისეთი დიდი რაოდენობით, როგორც ეს იყო პირველ ხანებში. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაში არსებული მიწის დასამუშავებელი უბრალო კავი შეცვლილ იქნა უფრო მაღალი კონსტრუქციის კავითა და ფართო სახნისიანი გუთნით¹.

შრომის განაწილებისა და გაცვლა გამოცვლის შედეგად ხდება ნატურალურ ურთიერთობიდან სასაქონლო-ფულად ურთიერთობაზე გადასვლა დაახლოვებით III საუკუნეში. ჩნდება გერმანული მონეტა და იწყება ხელოსნობა, რომლის ნიმუშებს ჩვენ ვეცნობით გერმანიის სხვადასხვა ადგილას, კერძოდ ტომბერგის ქაობში, აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთების საშუალებით. არქეოლოგიის მიერ აქ აღმოჩენილ ძვირფას მასალებიდან საკმაოა დავასახელოთ: თიხის სანათურები, ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს ნივთები, ტუალეტის საგნები (საკინძები, ქინძისთაგები, საფარცხელი, ბეჭდები, ჯილები, საყურეები—სხვადასხვა ფორმისა და ორნამენტისა), თევშები, ჩამჩები, კურკლები, ფიალები და მრავალი სხვადასხვანაირი ნივთი. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ძნელი დასადგენია, თუ რა წარმოშობისაა აქ ნაპოვნი საგნები, არის ის ადგილობრივ დამზადებული გერმანელების მიერ, თუ შემოტანილია მეზობელ ქვეყნებიდან—რომიდან და გალიიდან.

ფუფუნების განვითარება გულისხმობს გარკვეულ სოციალ-ეკონომიურ დიფერენცირებას და კლასების არსებობას. III V საუკუნეებში ბევრ გერმანელ ტომიდან გამოიყო სამხედრო მიწათმფლობელი არისტოკრატია (ნობილიტეტი), გაიზარდა ეკონომიური უთანასწორობა მიწაზე, კერძო საკუთრების საფუძველზე და გამწვავდა კლასობრივი წინააღმდეგობანი. უკვე ტაციტის დროს (პირველი საუკუნის დასასრულს), გერმანელთა სახალხო კრებაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა: წარჩინებულობას (nobilitas), სამხედრო დამსახურებას (decus bellorum) და ინტელიგენტობას (facundia)². IV—V საუკ. გერმანელი წარჩინებულნი ყველაფერში ბაძადნენ რომაელებს, რომლებთანაც ისინი ხალისით აბამდნენ ნათესაურ კავშირს. ზემოაღნიშნულ სოციალ-ეკონომიურ ცვლილებათა გავლენით, იშლებოდა ძველი გერმანული თემი (მარკა) და ძლერდებოდა ფეოდალური საწყისეაი.

რომის გავლენა ვრცელდებოდა სხვა ხალხებზედაც, რომლებიც

¹ J. Hoops, *Reallexicon der germanischen Altertumskunde*, Ackerbau, B. I, 1913.

² Tacit., *German.*, 11.

ცხოვრობდნენ რომის იმპერიის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ საზღვრებზე. ამ ვავლენის სფერო მოიცავდა შორეული ბრიტანეთის ტომებს და იმ ხალხებს, რომლებიც ცხოვრობდნენ დუნაის პროვინციების ჩრდილო-აღმოსავლეთით (დაკები, იაზიგები, სარმატები და სხვ.). ამასთან ერთად, თვით ბარბაროსებიც იჭებოდნენ რომის საზოგადოებაში. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო არმიაში. ბარბაროსთა რაზმები (გალების, გერმანელების, ნუმიდიელების და სხვ.) მნიშვნელოვან როლს თამაშობენ უკვე რესპუბლიკის ბოლოდან¹. ბარბაროსების რაზმები მონაწილეობას იღებდნენ ფარსალთან ბრძოლაში და ალექსანდრიის ომში². ტიბერიუსისა³ და მარკოს ავრელიუსის დროს გერმანული რაზმები გამოყენებული იყო თავისუფალ გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გერმანელებსა და რომაელებს შორის დამოკიდებულების ისტორიაში გარდამტეხ მომენტად ჩაითვლება მარკომანის ომი, რომელიც მოხდა მარკოს ავრელიუსის დროს და რომელიც დამთავრდა რომაული იარაღის ბრწყინვალე გამარჯვებით. იმპერატორი მარკოს არათუ სარგებლობდა გერმანელი ჯარის ნაწილებით თვით გერმანელ ხალხების წინააღმდეგ ბრძოლაში (*emit et Germanorum auxilia contra Germanos*), არამედ იყენებდა მათ, როგორც მუშა ხელს. იმპერატორის თანხმობით კვადების მრავლი მოდგმა დასახლებულ იქნა ლეტების (კოლონის) უფლებებით, რომის იაპერიის იმ ტერიტორიაზე, რომელიც ომებითა და ეპიდემიით იყო განადგურებული. მამის მაგალითს მიბაძა მისმა შვილმა, კომოდმა, რომელმაც სამსახურში მიიღო 13 ათასი კვადი და იმდენივე მარკომანი. I.I საუკუნის, პოლიტიკურ ანარქიის პერიოდში გერმანელების ჩამოსახლებამ რომაელების მიწაწყალზე უფრო იმაჯა. კლავდიუს II (გოტს), ავრელიანეს და პრობს ათასობით მოჰყავდათ ტყვედ გერმანელები, სკვიობა და სხვა ბარბაროები, იყენებდნენ რა მათ როგორც მებრძოლებსა და მუშა ხელს.

„პროვინციები აივსო ბა-ბაროს-მონებით“ (*impletae barbaris servis provinciae*), არ იყო არცერთი დარგი, სადაც არ ყოფილიყო გოტა-მონა“ (*nec ulla fuit regio, quae Gothum servum triumphali quodam servitio non haberet*)⁴.

¹ Caes. Bell. civ. III, 4

² Caes., Bell. Alex., 29.4.

³ Dio Cass., XLVI, 33. M. Bang, Die Germanen im römischen Dienst, 1906.

⁴ Script, Hist. Aug., Claudius, 9.

პრობის დროს 160 ათასი ბასტარნი ჩასახლებულ იქნა თრაკიაში¹.

„მიწებს, რომელთაც ისინი (გერმანელები) შესაძლებელია, წინათ ანადგურებდნენ და არბევდნენ, ახლა როგორც მონები, კულტურას უბრუნებენ“².

ანალოგიური მითითებანი გერმანელების ტყვედ წაყვანისა და მათი გამოყენების შესახებ როგორც მუნა-ხელისა, გაბნეულია ამიან მარცელინის³, ეგმენისა და სხვათა ნაწარმოებებში. ანტიკური ქვეყნის თანადროული მწერლების დამოწმება საესეებით უარყოფს ბურჯუაზიული ისტორიოგრაფიის მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს გერმანელებს არასოდეს არ განეცადოთ მინობა და არც არასოდეს დამოწაილებოდნენ სხვა ხალხებს.

III საუკუნის ბოლოდან რომის არმიის შეიარაღება, სტრატეგიული და ტაქტიკური ხერხები ბარბაროსდება, არმიის მეთაურთა შემადგენლობა და რიგითი მებრძოლები თითქმის გერმანიის ტყეებისა, ან სამხრეთ რუსეთის ველების შვალეებიდან (სარმატებისაგან) გროვდებოდა. ჯარისკაცი უკვე „ბარბაროსის სინონიმად“ გადაიქცა, სამხედრო ხაზინას ეწოდება „ბარბაროსების ხაზინა“ (fiscus barbaricus) და ასე შემდეგ. რომის ჯარისა და რომაული წესწყობილების გაბარბაროსება, რაც მნიშვნელოვანი იყო III საუკუნეში, უფრო მეტად გაიზარდა ქრისტიან იმპერატორების—კონსტანტინე დიდისა და თეოდოსის დიდის დროს. ბარბაროს ხალხთა შორის ქრისტიანობა პოპულობდა პროზელიტების უფრო მეტ რიცხვს, ვიდრე ძველი ბერძნეთ-ელინთა წარმართულ სამყაროში. გერმანელები სახლებოდნენ არა მარტო განაპირა რაიონებში და ჩრდილოეთ პროვინციებში, არამედ სამხრეთ პროვინციებშიაც—სიცილიაში, სარდინიაში, აფრიკაში, ისპანიაში და სამხრეთ იტალიაში⁴.

ბარბაროსების გავლენა რომის იმპერიაში განსაკუთრებით ძლიერდება გვიანდელ იმპერიაში. დიოკლეტიანე და მაქსიმილიანე თვითონ წარმოშობით ილირიელები იყვნენ. არმის უმაღლესი საზღვრების თანამდებობანიც მათ თანამეტომეების ხელში იყო.

კონსტანტინე იყო მეზიიდან. მისი მეფობის დროს ბარბაროსებს არმიაში და სახსლეში ექირათ თვალსაჩინო თანამდებობანი,

¹ Script. Hist. Aug., Probus, 18.

² Eumen., Panegyr. Constant., 5, 1

³ Ann. Marcell., XVII, 13, 3, XIX, 11, 6; XXVIII, 5, 15; XXXI, 9, 4.

⁴ Ford., Get., 22, 115.

მათ ჩვენ ვხედავთ სახელმწიფოს უმაღლეს საბჭოშიც კი (consistorium principis)¹.

„გერმანელები—ვანდალები, ალამანები, საქსები და ფრანკები—სავსებით დაეუფლენ რომის სახელმწიფოს“,—ჩივის ისტორიკოსი ამიან მარცელინი, რომელიც ვალენტისა და ვალენტიანიანის დროს ცხოვრობდა².

რომის იმპერიის უკანასკნელ საუკუნეების, ამ დაცემულობისა და გახრწნის ეპოქის, დამახასიათებელია მიმბაძველობა ბარბაროსებისადმი. ეს მიმბაძველობა იქცეოდა მოდად, რამაც ჩაითრია თვით სასახლე და არისტოკრატია. ბარბაროსებს ბაძვდნენ ჩაცმა-დახურვაში, გავლა-გამოვლაში, მიმოხვრებში და ლაპარაკში. მოდაში შეიკვირებოდა გრძელი თმისა და წვერის ტარება, ტანსაცმელმა მიიღო ჩრდილოეთის იერი, დაიწყო ქუსლიანი ფეხსაცმელის ტარება, გაჩნდა წინდები და ქურქებიც კი. კულინარიაც კი გაბარბაროსების გზას დაადგა. წინანდელი რომის მცენარეულობის საქმელი შეკვლილ იქნა ხორცითა და რძის ნაწარმით. არისტოკრატიულ გვარებში და აგრეთვე იმპერატორის სასახლის წევრთა შორის გაჩნდნენ გატაცებული გერმანოფილები, მსგავსად კარაკალასი. თვით სახელწოდება „კარაკალა“ წარმოდგება გალურ-გერმანულ სიტყვიდან caracalla, რომელიც ნიშნავდა მოსასხამს. გრაციანს უსყვედურებდნენ გერმანულ ოფიცრებისადმი, — მიკერძებას. დადიოდა ხმები, თითქო კონსტანტინის ჰქონდა მიწერმოწერა ბარბაროსების ბელადებთან და სხვ. თავგამოდებულ გერმანოფილების ჯგუფს ეკუთვნოდა, აგრეთვე, იმპერატორი თეოდოსე დიდი, „გოტებისა და მშვილობიანობის მეგობარი“.

გერმანელების წესწყობილებისა და მათი ადამიკვეულებების იდეალიზაციამ გამოხატულება პოვა ლიტერატურაშიაც, განსაკუთრებით იმ მწერლებში, რომლებიც უარყოფითად იყენენ განწყობილნი კლასიკურ (წარმართული) ეპოქის რომის წესებისა და რომაული კულტურის მიმართ. ამგვარ იდეალიზაციას ჩვენ ვხვდებით, მაგალითად, V საუკუნის ქრისტიან მწერალ პრესვიტერ პაულე ოროზიის—„მსოფლიო ისტორიაში“ (Historiarum libri VII adversus paganos).

2. ხალხთა დიდი გადასახლება

გერმანელების მიწოლა რომის საზღვრებზე განსაკუთრებით საგრძნობი გახდა IV საუკუნის მეოთხე ნახევრიდან, ვალენტიანიანეს დინა-

¹ Eumen., Vita Constantini. VI.

² Ann. Marcell., XXI, 10, 3.

სტიის დროს ე. წ. ხალხთა დიდი გადასახლების დროი-
დან. ხალხთა დიდი გადასახლების ბიძგი ცენტრალურ აზიაში აღ-
მოცენდა.

IV—V საუკუნეებში აზიაში მიმდინარეობდა ევროპის ხალხთა
დიდი გადასახლების ანალოგიური პროცესი. თითქოს მთელი მსოფ-
ლიო მოძრაობაში იყო მოსული. აზიის სახელმწიფოები—ჩინეთი,
ინდოეთი და სპარსეთი—განიცდიდნენ დაუსრულებელ ბიძგებს და
მოწოლას უამრავ თურქ-მონგოლურ ხალხებისაგან, რომლებიც ნელ-
ნელა შემოადიოდნენ აღნიშნულ სახელმწიფოთა საზღვრებში. თურქ-
მონგოლურ ხალხების ერთმა ნაწილმა—ხიუნგ ნუ ანუ ჰუნებმა,
თავიანთი მოძრაობით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, იმ მიზ-
ნით, რომ ხელში ჩაეგდოთ საქონლსათვის საკირო საძოვარი ადგი-
ლები და მიწები, მიაღწიეს კასპიის ზღვას, კასპიის ქიშკრით კი—მდ.
ვოლგის დაბლობსა და შავ ზღვას მიაღწენ. ჰუნების მოზღვაგების
შედევად ამოძრავდნენ გერმანელ ტომთაგან გოთები (Goths,
Gothones). აღმოსავლეთის გუთებმა (ოსტგუთებმა) შეავიწოვეს
დასავლეთის გუთები (ვესტგუთები); ნაწილი გუთებისა დაემორჩილა
ჰუნებს, იქნა ჰუნების ხანის ჰეგემონია და შევიდა ჰუნების სახანოს
შემადგენლობაში; მეორე ნაწილი კი მიაღდა რომის იმპერიას და და-
სახლდა რომის ტერიტორიაზე ფედერატების უფლებებით. მაგრამ
გუთების ურდო არ დაკმაყოფილდა მიღებული ადგილებით, და დაი-
ძრა აღმოსავლეთისაკენ, კონსტანტინეპოლის მიმართულებით. აღმო-
სავლეთ ნახევრის იმპერიის იმპერატორ ვალენტის ცდა, რომ შეეჩე-
რებიათ გუთების მოძრაობა, მარცხით დამთავრდა გააფთრებულ შე-
ტაკების დროს ადრიანოპოლში, 378 წელს, ვალენტი დამარ-
ცბდა და მოკლულ იქნა. შემდეგი მოძრაობა გუთებისა აღმოსავლე-
თისაკენ მანც იქნა შეჩერებული. იმის შიშით, რომ კვლავ არ გან-
მეორეპულიყო გუთების შეტევა კონსტანტინეპოლზე, იმპერატორმა
გრაციანემ დაინიშნა იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში თავის თანამარ-
თველად, ავგუსტის ტიტულის წოდებით, გამოჩენილი სარდალი გა-
მოცდილი მებრძოლი, თეოდოსეს ფლავიუსი, ტომითესპანელი.

IV საუკუნის დასასრულსა და V საუკუნის პირველ ათწლეულში
რომის იმპერია განიცდიდა ნამდვილ კატასტროფას. ცენტრიდანული
ძალები გაიშალა მთელი ძალდონით. გამოჩნდნენ უზურპატორები,
დაიწყო აჯანყებები, ხელთგდებანი ქალაქებისა და მამულებისა. აფ-
რიკაში კვლავ აღდგენენ დონატისტები, პროვინციები აცხადებდნენ
თავიანთ თავს დამოუკიდებელ იმპერიებად. დეზერტირობა და ყა-
ჩალობა იტყვდა გახშირდა და მიაღწია მანამდე არნახულ ზომამდე,

რაც დასტურდება IV საუკუნის დასასრულისა და განსაკუთრებით V საუკუნის ამ საკითხის შესახებ უამრავი საბუთებით¹.

ყოველმხრიდან აწვებოდნენ ბარბაროსები. ჯარების გადაყვანამ აღმოსავლეთ საზღვრებიდან დასავლეთისაკენ დაასუსტა აღმოსავლეთის ფრონტი, რასაც შედეგად მოჰყვა ჰუნების წინსვლა არმენიაში, თრაკიაში, მცირე აზიაში და სირიაში,—საბერძნეთს აოხრებდნენ ვესტგუთები ალარახის წინამძღოლობით, ხოლო მარკომანებმა კი ღუნაის შუა ნაწილებიდან შეუტყეს და წინ წააწიეს აღრიატიკისკენ.

უკანასკნელად რომის იმპერია შეკრობა და გააერთიანა თეოდოსე I დიდმა—გრაციანეს მემკვიდრე, მაგრამ ეს გაერთიანება იყო მეტად ხანმოკლე, ის გაგრძელდა მხოლოდ ერთი წელი. თეოდოსეს სიკვდილის შემდეგ (395 წ.) მემკვიდრეებად დარჩნენ მისი მკირეწლოვანი ვაჟები არკადი და ჰონორიუსი. ამ დროიდან იწყება სახელმწიფო ძალა-უფლების ღრმა გახრწნის პერიოდი, ეკემა იმპერატორის პრესტიჟი, ბატონდებაან დროებით ხელისუფალნი, იმპერატორების მეუ-ვეები. იმპერატორის მეურვეების უმეტესი ნაწილი იყვნენ ბარბაროსები, ხშირად გერმანელები. რომის იმპერატორებია მცურვეებად მღებოდნენ გავლენიანი გერმანელი ბელადები, რომელთაც ჰქონდათ დიდი მამულები. ინახავდნენ თავიანთ ხარჯზე ლაშქარს და ჰყავდათ უამრავი კლენტები და მონები; ბარბაროსი ბელადები, როგორც რომის სახელმწიფოს (რომის პატრიციების) უმალესი მოხელენი თავის შეხედულებათა მიხედვით სკვლიდნენ და ნიშნავდნენ რომის იმპერატორებს, ვიდრე თვით ისინი არ გახდებოდნენ რომის იმპერატორებად.

თანახმად გარდაცვლილ იმპერატორ თეოდოსეს ანდერძისა, იმპერიის აღმოსავლეთ ნახევრის ავგუსტის არკადის (378—408 წწ.) მეტრად დიმიტრიუსი, ხოლო ჰონორიუსის (395—423 წწ.) მეტრად ვნალი სტილიხონი (Stilico), რომელმაც სახელე გაიიქვა ბასტარნებასა, გუთებისა, ჰუნებისა და ალანების წინააღმდეგ ბრძოლაში. ყველა იმ ძალებს, რომლებიც ხრწნიდა რომის სახელმწიფოებრივობას, ხელ დაერთო ახალი ძალა—მტრობა იმპერიის აღმოსავლეთ და დასავლეთ სასახლეთა შორის. მტრულმა განწყობილებამ აღმოსავლეთ და დასავლეთ სასახლეთა შორის და მოსიხსლე მტრობამ ახალგაზრდა იმპერატორების მეურვეთა—რუფინუსსა და სტილიხონს—შორის, საბოლოოდ

¹ Cod., Theod., VII, 18, 4.

დაასუსტა იმპერიის ძალები, რომ შესძლებოდა წინააღმდეგობა გაეწია საზღვრებში შემოჭრილ ბარბაროსებისათვის.

ერთმანეთთან ცუდად განწყობილნი, რუფინუსი და სტილიხონი, რიგ-რიგობით მიმარსავედნენ დახმარებისათვის გუთების ბელადს ალარიხს—(Alaricus) ამიო ისინი მას უქნინდნენ ხელსაყრელ პირობებს იმპერიის შინაურ საქმეში ჩარევისათვის, რითაც ამხადებდნენ ნიადაგს შენდგომნი მთელი რომის გერმანელებისაგან დასაპყრობლად.

რუფინუსის ჩამოცილების შემდეგ სტილიხონი შეიქნა მთელი სახელმწიფოს მეთაურად, რომელმაც თავის მხარეზე მიიმხრო ძველი წარჩინებულნი მათთვის ხელსაყრელი მთელი რიგი რეფორმებით, რომლითაც არისტოკრატთა მანულებს ჩამოეწერა დავალიანებები, რეკრუტების შეკრების ვალდებულება შეცვლილ იქნა მცირე ფულადი გადასახადით და ასე შემდეგ.

მაგრამ მიუხედავად ამისა, სტილიხონის მეგობრობა არისტოკრატთასთან დიდხანს არ გაგრძელებულა. სასახლეში არსებობდა რომელიმე პატრიოტების ჯგუფი, რომელიც იქვის თვალით უცქეროდა ბარბაროს სტილიხონს და მის გვერდში მყოფ გერმანელებისაგან შენდგარ ამალას. პატრიოტებმა შესძლეს გავლენიან ღრობებით მმართველ სტილიხონის წინააღმდეგ აეჩხედრებინათ იმპერატორის ტახტის მემკვიდრე პონორუსი, დაუკავშირდნენ პატრიოტულად განწყობილ ოფიცრობას და ნოაწესს მთელი რიგი აჯანყებანი, რომელთა შორის ყველაზე სერიოზული იყო გილდონის აჯანყება აფრიკაში. აფრიკის ჩამოშორება უმაღვე დეტყო სატახტო ქალაქის მორბაგებას, რამაც გამოიწვია ქალაქში შიმშილის ნიადაგზე სერიოზული უკმაყოფილებანი. სტილიხონმა შესძლო გილდონის (398 წ.) განადგურება, მაგრამ ამას მოჰყვა იტალიაში ალარიხის შეჭრა, რომელიც მოქმედებდა არკადის ცოლიან, დედოფალ ედროქსიასთან შეთანხმებით.

401 წელს ვესს გუთებმა ილირიკიდან, სადაც ისინი იმყოფებოდნენ, შეუტყეს იტალიას, მაგრამ პალენციასა და ვერონასთან (402 წ.) ალარიხი დამარცხებულ იქნა და დათანხმდა შეეკრა ზავი რომთან იმ პირობით, რომ მას დაეთმობოდა ტერიტორიის ნაწილი. პირობა მიღებულ იქნა. ვესტგუთებმა მიიღეს იიწყები მდინარე სავის აუზში.

საქვე ამაზე არ შეჩერებულა. ვესტგუთების შემდეგ ანოდრავდნენ ოსტგუთები; ალახები, ვანდალენი. სეფები, ბურგუნდები, ალანები და ბევრი სხვა გერმანული და არა გერმანული ტომი.

დათმობის პოლიტიკით უკმაყოფილო პატრიოტების პარტიამ ბრალი დასდო სტილიხონს სახელმწიფო ღალატში; ამ საქმეში დაარწმუნეს სუსტი ნებისყოფის პატრონი—ჰონორიუსი. სტილიხონი გაასამართლეს და თავი მოჰკვეთეს (403 წ.).

სტილიხონის სიკვდილმა ვესტგუთებს მისცა საბაზი ახალი შეტევა დაეწკოთ იტალიის წინააღმდეგ. ალარიხი მოითხოვდა იმ პირობის შესრულებას, რომელიც მან დასდო სტილიხონთან და აპის გამო ორჯერ შემოარტყა ალყა რომს და ბოლოს, 410 წლის 14 აგვისტოს, აიღო მსოფლიო დედაქალაქი, სასტიკად გაანადგურა იგი და გაიტაცა დიდძალი ქონება და მრავალი ტყვე, მათ შორის თეოდოსე დიდის ქალი, ჰონორიუსის და პლაციდია¹.

ტყვეთა გამოსასყიდად ალარიხმა მიიღო 5 ათასი გირვანქა ოქრო, 30 ათასი გირვ. ვერცხლი, 3 ათასი ძვირფასი ძოწეულის ტანსაცმელი, 4 ათასი აბრეშუმის კამზოლი, 3 ათასი გირვ. პილპილი და მრავალი სხვ. დადებულ ხარკის გადახდის მიზნით, სენატმა გასცა განკარგულება მოეხდინათ საეკლესიო და კერძო პირთა ქონების კონფისკაცია, გადაედნოთ ძვირფასი ნივთები და ქანდაკებანი, მათ შორის რომაული სიმამაცის (virtus) ქანდაკება,—სიმბოლო რომაელების გამარჯვებათა, დიდებისა და ბატონობისა.

თავის მოძრაობის დროს რავენადან დაწყებული, ვიდრე რომამდე, გუთების ბელადს არ შეხვედრია არავითარი წინააღმდეგობა. მაღალი კლასები იყვნენ სრულიად დემორალიზებულნი და არ შეეძლოთ ცოტად თუ ბევრად დაძაბული წინააღმდეგობა გაეწიათ, გამცემნი და მხდალი მოხელენი-კი შიშით იყვნენ შეპყრობილნი; დაბალი კლასები ალარიხს უკქვროდნენ, როგორც თავიანთ მხსნელს და გადადიოდნენ მის მხარეზე.

რომთან ბრძოლების დროს მონა-გერმანელებმა მოაწყეს თავიანთი ნატონების დარბევა, ალარიხს გაუღეს სალარიის ალაყაფის კარები და 40 ათასი კაცის რაოდენობით მის მხარეზე გადავიდნენ².

რომის სახელმწიფოსადმი სიძულვილმა გააერთიანა ბარბაროსები, მონები და თავისუფალნი. ალარიხი თავის მოწინააღმდეგეებს ზედმოდა სრული სიძულვილით. „რამდენადაც ხშირია ბალახი, იმდენად კარგია სათიბად“, ასე უპასუხა ვესტგუთების კონუნგმა იმ პირებს, რომელთაც მოუტანეს ცნობა, რომს ბევრი დამცველი ჰყავსო.

¹ Iord., Get., 30, 157; Olympiod., fr. 15.

² Zosim., V, 42, 3.

თანამედროვეებზე „სამარადისო ქალაქის“ აღებამ შემადრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა.

„საშინელი ცნობა,—წერს რომაელი თანამედროვე მწერალი იერონიმე (335—420 წწ.),—მოვიდა დასავლეთიდან: რომი ალყაშემორტყმულია, მოქალაქეთა გადარჩენა ოქროთი შეიძინება, მთკვლავ თავს ესხმიან, რომ გაძარცვულთ, ქონების შემდეგ, სიცოცხლეს წაართვან. ხმა ჩამიწყდა, ქვითინი საშუალებას არ მაძლევს განვაგრძო წერილი. დაპყრობილია ქალაქი, რომელმაც მთელი მსოფლიო დაიპყრო“.

შემდეგ იერონიმე აღწერს მოქალაქეთა სასოწარკვეთილ მდგომარეობას, რომის ალყაშემორტყმის პირობებში.

„რომი დასცა არა იმდენად მახვილმა, რამდენადაც შინშილმა და ავაღნყოფობამ. შიმშილით ჯაგოქებულნი ყოველგვარ საზღვარს გადასცდნენ: ერთმანეთს გლეჯდნენ, დედა არ ზოგავდა თავის ძუძუმწოვარა ბავშვს და მისი წიაღი კვლავ იღებდა იმას, რაც მან შობა“¹.

ალარისის მიერ რომის დაპყრობა ერთგვარად შეიძლება ჩათვალოს რომის იმპერიისა და ბერძენ-რომაელთა ანტიკურობის დასასრულად. ქალაქი რომი ვესტგუთებისაგან განადგურების შემდეგ განაგრძობდა არსებობას და თითქმის, ხელმეორედ გაშენდა, მაგრამ ეს უკვე აღარ იყო ძველი იმპერატორების რომი. V საუკუნის რომი უფრო მიაგავდა საშუალო საუკუნეების პაპის ქალაქს თავისი უამრავი ეკლესიებითა და საეკლესიო შენობებით. დედაქალაქის გადატანამ რომიდან ჩრდილოეთ იტალიაში—რავენაში, და განსაკუთრებით კი „მსოფლიო დედაქალაქის“ ბარბაროსების ხელში გადასვლამ, რაც მოწმობდა მონათმფლობელურ სახელმწიფოს სრულ დაშლას და საიმპერატორო ხელისუფლების შესუსტებას,—ხელი შეუწყო ეკლესიისა და მისი მეთაურის, რომის პაპის, ამაღლებას. საერო იმპერატორის ფუნქციები საეკლესიო იმპერატორის,—პაპის ხელში გადადიოდა. მოლაპარაკება ბარბაროსების კოროლებთან, ფინანსების გამგებლობა, ქველმოქმედება, განათლება, გასართობების მოწყობა და სხვ. ეკლესიაზე გადადიოდა. ასეთ პირობებში, ეკლესიისა და მისი მეთაურის „ქალაქის ერთადერთი დამცველისა და მამის“ ასეთი ყოვლადშემძლეობის დროს, რომის იმპერატორებს, მათი სუბიექტიური განწყობილების გარეშე, რელიგიის საკითხში სერიოზული ანგარიში უნდა გაეწიათ ქრისტიანული ეკლესიისა და პაპის ავტორიტე-

¹ Hieronym., Epist., 127, 12.

ტისათვის. ამაშია ჩამარხული მიზეზი მრავალი დეკრეტის გამოცემისა წარმართულ ტაძართა „გაწმენდისა“ და მათზე „წმინდა ქრისტიანული რელიგიის ნიშნის“ აღმართვის შესახებ. დევნა წარმართების სარწმუნოებისა, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი მიმდევარი ჰყავდა და დეკრეტების გამოცემა ორთოდოქსალური ეკლესიის სასარგებლოდ, — ემთხვევა მარცხებს, საზოგადოებრივ უბედურებათა, ეპიდემიების, შიმშილობისა და, მაშასადამე, სახელწიფო ძალა-უფლების დასუსტების, პერიოდს. ასეთებია ზევით მოყვანილი დეკრეტები ჰონორიუსისა და თეოდოსი II, რომლებიც ეხება წარმართული ტაძრების ქონების კონფისკაციასა და მათი დღესასწაულებისა და კულტების აღკვეთას.

რომის დარბევის შემდეგ ალარიხმა აიღო გეზი იტალიის პურის მოსაფლიან ნაწილებისკენ, კამპანიისკენ, აჭედან სიცილიისკენ და შემდეგ კი რომის იმპერიის მთავარი ბელლის აფრიკისაკენ. ნაგრამ ეს გეგმა ვერ იქნა შესრულებული გადასვლის სიძნელეთა და ბელადის მოულოდნელი სიკვდილის გამო. ალარიხი გარდაიცვალა 34 წლისა, — კონსენციაში. გუთებეს ბელადი დაკრძალულ იქნა დიდი პატივისცემით, მის ბანაკში მყოფმა მრავალრიცხოვანი მონების მიერ გათხრილ სასაფლაოში წმინდარე ბუზენტის ფსკერზე. ალარიხის საფლავი ამოაფსეს აურაცხელი განძეულობით და შემდეგ წმინდარე კვლავ ძველი კალაპოტით გაუშვეს, მონები კი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს სასაფლაოს გათხრაში და, იცოდნენ ალარიხის დაკრძალვის ადგილი, დახოცილ იქნენ¹.

ალარიხის მემკვიდრემ, მისმა ძმისწულმა ატაულფმა, უარი სთქვა აფრიკის დაპყრობაზე და გაბრუნდა გალიისაკენ.

ხალხთა მოძრაობის ბიძგი წინანდებურად ახლაც ჰუნების მხრით მოდიოდა. ატილას დროს ჰუნების საყაენომ მიაღწია კოლოსალურ სივრცეს, რომელიც გაშლილი იყო კავკასიიდან რაინამდე და დუნაიმდე. აღმოსაფლეთში კი ატილას ბრძანებლობა ვრცელდებოდა ჩინეთის კედლამდე. ჰუნების საყაენო წარმოადგენდა უზარმაზარს, მაგრამ ცუდად შეკავშირებულ ფედერაციას, რომელიც შედგებოდა აუარებელ სხვადასხვა ტომის ხალხთაგან, სკვითების, სარმატების, ალანების, ფრანკების, რუგიებისა და სხვათაგან. ჰუნების საყაენოში შემავალ სამთავროებს განაგებდნენ საკუთარი თავადები, უმაღლეს ყაენის ვასალები.

¹ Jord., Get., 20, 158.

ატილამ—(484—453 წწ.) გააერთიანა რა ჰუნების საყაენოს ყველა ნაწილი, დაუმორჩილა თავის გავლენას, აგრეთვე, დუნაის მაოჯვენა ნაპირი. ატილა ფიქრობდა აქედან თავის გავლენის გავრცელებას ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე და თრაკიაზე, თვით კონსტანტინეპოლის ჩათვლით. აღმოსავლეთ იმპერიის იმპერატორმა თეოდოსი II (408—450 წწ.) ვერ შესძლო შეეჩერებინა ატილას მოძრაობა, წავიდა დათმობაზე, გადაუხადა მას ერთდროულად 6 ათასი გირვანქა ოქრო და აღიარა თავის თავი ჰუნთა საყაენოს ვასალად; ამასთანავე დათანხმდა ყოველწლიურად ეძლია ხარკი 700 გირვანქა ოქროთი და დაეთმო ტერიტორიის ნაწილი.

თეოდოსი II-სთან ზავის შეკვრის შემდეგ ატილამ აღმოსავლეთიდან პირი იბრუნა დასავლეთით—დუნაის ველისაკენ და ზედა დუნაისა და რაინზე გავლით გაემართა გალიის მიმართულებით. დასავლეთ იმპერიის იმპერატორად ამ დროს იყო ვალენტიანი III (425—455 წწ.), რომლის მცირეწლოვანობის გამოც სახელმწიფოს მართავდა დედა მისი—გალა პლაციდია (Gaila Placidia) და სასახლის გვარდიის უფროსი (comes domesticorum) ილირიელი ფლავიუს აეციუსი (Flavius Aetius). ახალგაზრდა იმპერატორის მეურვე აეციუსს კარგი ავტორიტეტი ჰქონდა. მან რაინ-დუნაის ხაზზე რამდენჯერმე მოუპოვა გამარჯვება თავის ჯარს, მოახერხა ჰუნების მრისხანე მეფესთან საერთო ენის გამონახვა, ამით მან შესძლო სასახლის კოტერიებ შორის ბრძოლის შეწყობა, და იმპერატორისა და მისი დედის თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა. ამასთან ერთად აეციუსი აწარმოებდა ბარბაროსებთან მოქნილ დიპლომატიურ პოლიტიკას. როგორც აღარიბის მძევალი, ის (აეციუსი) დიდხანს ცხოვრობდა—ბარბაროსებს შორის, კარგად შეისწავლა მათი ზნე და ხასიათი, ამიტომ მტრის ბანაკში შემჩნეულ უთანხმოებას ის ოსტატურად იყენებდა, ხოლო ჰუნების დახმარებით დაამარცხა ბურგუნდები, ფრანკები, შეჰკრა ზავი ვანდალების მეფესთან—გეიზერიხთან, ჩააქრო ბავაუდოების აჯანყება და უზრუნველყო რომის პურით მომარაგება.

რომელებმა გერმანელ ხალხთან (ვესტგუთებთან, ბურგუნდებთან, ფრანკებთან) კავშირში, —აეციუსის მეთაურობით, გაილაშქრეს თვით ატილას წინააღმდეგ, რომელიც მიიწევდა დასავლეთ ევროპისაკენ. ატილა მოითხოვდა რომის იმპერატორისაგან ტერიტორიის ნაწილის დათმობას, კონტრიბუციასა და ვალენტინის დის, ჰონორიას, მისთვის ცოლად მიცემას. მიიღო რა ამ მოთხოვნაზე უარი, მან, როგორც გადმოგვცემენ, 700 ათასი კაცი, დასძრა

ჯარი რაინისაკენ, შევიდა გალიაში და ალყა შემოარტყა ქალაქ ორ-
ლენს, მაგრამ სტრატეგიული მოსაზრებით ისევ დაიხია მარნისაკენ
და 451 წელს ტრუას მახლობლად — კატალაუნის ველზე შე-
ეჯახა აეციუსს. გაიმართა „ხალხთა დიდი ბრძოლა“, გამარჯვება
ზედა რომაელებს და მათ მოკავშირეებს (გუთებს). ატილამ დაიხია
რაინის იქით და შემდგომ 452 წელს კვლავ გაილაშქრა იტალიაზე,
მაგრამ აქ, ავილიეიაში, ისევ დაშარტხდა და დაიწყო რომის პაპთან
ლეონთან საზავო მოლაპარაკება, რაც ვერ დამთავრდა — ჰუნების ბე-
ლადის უეცარი სიკვდილის გამო (453 წელს). ატილას დამარცხებამ
გამოიწვია ჰუნების საყაენოს დაშლა-დაქუცმაცება წვრილ ერთე-
ულებად.

მ. დასავლეთ რომის იმპერიის დასასრული

შემდგომ 454 წელში სასახლის ინტრიგისა და იმპერატორის
იკვიანობის შედეგად ატილას დამმარცხებელი აეციუსი, რომელიც
შურს იწვევდა თავისი გავლენით, სიმდიდრითა და ბარბაროსთა
შორის პატივისცემით, მოკლულ იქნა. ერთი წლის შემდეგ იგივე
ბედი ეწვია ვალენტიანიან III, რომელიც აგრეთვე მოკლულ იქნა
შეთქმულთა მიერ¹. ვალენტიანიანს შემდეგ მოდის მთელი სერია
იმპერატორებისა და უზურპატორებისა, რომლებიც ზედზედ ცვლიან
ერთმანეთს, რაც მაჩვენებელი იყო რომის სახელმწიფოს დიდი კრი-
ზისისა და სოციალურ დაჯგუფებათა წინააღმდეგობის არა სიმტკი-
ცისა... ვალენტიანიანე შესცვალა გავლენიანმა სენატორმა, მემამო-
ხეთა მეთაურმა — პეტრონიუს მაქსიმემ. მოკლული იმპერატო-
რის ქვრივმა ევდოქსიამ მკვლელებზე შურის საძიებლად მოიწვია
დასახმარებლად ვანდალების მეფე — გეიზერიხი. უკანასკნელმა მხარი
დაუჭირა ჩამოგდებულ დინასტიას, თავისი ფლოტით ჩაჰკეტა მდ.
ტიბრის შესართავი და მოკლე დროში, 455 წლის 2 ივნისს, აიღო
„მუდმივი ქალაქი“ და ორი კვირის განმავლობაში მისცა იგი საში-
ნელ დარბევას — „ვანდალიზმს“. პეტრონიუს მაქსიმე მოკლულ იქნა
ქუჩაში წარმოებული შეტაკების დროს და იმპერატორად გამოცხა-
დებულ იქნა გალიელი მაგნატი ავიტუსი (Avitus, 455—456 წწ.),
რომლის წინააღმდეგ გამოვიდა თალლითობაში გაქნილი სასახლის
გვარდიის უფროსი სვევი ფლავიუს რიციმერი (Flavius Ri-
cimer). მაგრამ რაც არ უნდა მარჯვე და მოქნილი ყოფილიყო რი-

¹ Sid., Apoll., 359.

ციმერის, — რომელიც რომის სახელმწიფოს სათავეში ედგა 472 წლამდე, — პოლიტიკა, ამ პოლიტიკამ მაინც ვერ შესძლო ვერც იმპერატორის ავტორიტეტის აღდგენა და ვერც რომის იმპერიის დაშლის შეჩერება.

რამდენადაც ანტიკური მსოფლიო უახლოვდებოდა დასასრულს, იმდენად რომის იმპერიის დაშლა სულ უფრო და უფრო ფართოდ ედებოდა და ღრმავდებოდა. V საუკუნეში რომის საერთო მდგომარეობა გაცილებით უარესი იყო, ვიდრე IV საუკუნის გასულს. ომებმა, ბშირმა სახელმწიფოებრივმა გადატრიალებებმა, აუტანელმა გადასახადებმა, ბეგარამა და რეკვიზიციებმა სრულიად გამოუთხარეს ძირი რომის სახელმწიფოს სოციალ ეკონომიურ საფუძველს. „ყველაფერი განადგურებული და დამსხვრეულია“, — ნათქვამია უცნობი ავტორის პოემაში „განგების შესახებ“ (De providentia), — ვისაც ჰყავდა ასი ხარი, მას დარჩა მხოლოდ ორი, ვინც დადიოდა ცხენით, ახლა დადის ქვეითად. მინდვრებმა, ქალაქებმა, ყველაფერმა სახე იცვალა. მახვილი, ცეცხლი, შიმშილი, ყოველგვარი უბედურება ღუპავს ადამიანის მოდგმას. დედამიწაზე მოისპო მშვიდობიანობა: დადგა საერთო აღსასრული“.

სხვა ჭეყნებზე მეტად დაზარალდა იტალია, რომელიც V საუკუნახეარში წარმოადგენდა გაპარტახებისა და გაველურების საცოდავ სანახაობას. მთელი ტერიტორიები იყო დაცარიელებული, უდაბნოებად და მალარიის ჰაობებად გადაქცეული, — მდიდარ კამპანიაში გაუღაბურებულ ადგილთა სივრცე 500 ათას იუგერს აღემატებოდა¹.

სამწუხარო სურათს წარმოადგენდა თვით ქალაქი რომი, ოდესღაც ხმელთაშუა ზღვის იმპერიის, „მარმარილოს დიდი ქალაქი (Caput mundi), რომის ფორუმზე „ბალახი“ ამოვიდა, რომელსაც ღორები სძოვდნენ. რომი უკვე დიდი ხანია აღარ იყო დედა ქალაქი-პოლიტიკურმა ცენტრმა გადაინაცვლა ჩრდილოეთში, მილანსა და რავენაში, ცისპადანიის ვალიაში, რომლებიც — მდებარეობდა ტყეებსა და ჰაობებში და მიუვალ ციხე-სიმაგრეებს წარმოადგენდა. იმპერიის საწარმოო ძალები ქვეითდებოდა, საზოგადოება უხეშდებოდა, ადამიანის სიცოცხლე ჰკარგავდა ყოველგვარ ღირებულებას; ვრცელდებოდა კრუმორწმუნეობა, მცირდებოდა მშობიარობა და სხვ.

როგორც იტალიაში, ისე პროვინციებში, ყველაზე ცუდ მდგომარეობაში იყვნენ რომის საზოგადოების დაბალი კლასები, განსა-

¹ Cod. Theod., XI, 28, 2.

კუთრებით, სოფლის მოსახლეობა—კოლონები, მონები და წვრილი-პოსესორები. დაბოლოს, დაბალი კლასების მდგომარეობა სრულიად აუტანელი გახდა. დაშლის გზაზე შემდგარი სახელმწიფო აძლიერებდა დაწოლას დასაბეგრ კლასებზე, სწოვდა მათ უკანასკნელ სისხლს და უღმობელი სიმკაცრით ატარებდა ცხოვრებაში ბეგარაზე „ნიწერის“ პრინციპს.

„რომის სახელმწიფო უზარმაზარ, რთულ მანქანად იქცა, მისი დანიშნულება ქვეშევრდომთა სისხლის გამოწოვა იყო“¹.

კალაპოტიდან ამოვარდნილი და ადგილებიდან აყრილი ხალხი ეძებდა თავშესაფარს საერო და საეკლესიო მამულების—ციხე-დარბაზთა მაგარ კედლების შიგნით, რომლებიც გარემომორტყპული იყო კოშკებით (turres), თბრილებითა და ზღუდეებით. პატროცინიუმები იზრდებოდა, ხოლო მიწის მატნატები იქცეოდნენ დამოუკიდებელ ფეოდალურ სენიორებად და თავადებად.

სოციალური პროტესტის მეორე ფორმა ფისკალური სისტემის, საიმპერიო ბიუროკრატის თვითნებობისა და მატნატების თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რაც გვიანდელი ანტიკურობის დამახასიათებელია, იყო მონებისა და კოლონების მასიური გაქცევა ბარბაროსებთან, სადაც ცხოვრება თითქოს უფრო იოლი და მარტივი ეგონათ. ამის შესახებ არსებობს საკმაოდ ბევრი ცნობა, მომდინარე სხვადასხვა წყაროდან.

„ჩვენ დროში, —ნათქვამია მარსელის მღვდლის სალვიანის თბზულება— „ღვთის სამართველოში“—ერთადერთი სურვილია, არ მოგვიხდეს ოდესმე კვლავ რომის კანონმდებლობის ქვეშ მოქცევა. რომელი მდამიო ხალხის ერთადერთი და საერთო ოცნებაა იცხოვრონ ბარბაროსებთან და ჩვენ კიდევ გვიკვირს, რომ ვერ ვსძლევთ გუთებს, როდესაც თვით რომაელები ამჯობინებენ მათთან ყოფნას. ამნაირად, ჩვენ ძმებს არათუ სურთ გამოვიდნენ გუთებიდან ჩვენთან, არამედ, პირიქით, ჩვენ გვტოვებენ და მათთან გარბიან“.

„მე, —განაგრძობს იგივე ავტორი, —მაოცებს მხოლოდ ერთი გარემოება: ყველა ჩვენი ქვეყნის ღარიბი და უბედური რატომ არ მიმართავს ამ საშუალებას, რომ თავი იხსნას ჩაგვრისაგან. მე ვფიქრობ, რომ მათ მხოლოდ ერთი რამ აფერხებთ: სიძნელე იმისა, თუ როგორ გადაზიდონ უცხო მიწაზე თავიანთი ხარა-ხურა, ქოხები და ცოლმშვილი“².

¹ ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა. მოსკოვი, პარტგამომცემლობა, 1932 წ., გვერდი 149.

² S a l., De gubern. Dei, V, 15—16.

რომის იმპერიის საზღვრებიდან გაქცევა სახელმწიფოებრივი ავალსაზრისით ითვლებოდა უკანასკნელ და ყველაზე მეტად საშიშარ კლასობრივ ბრძოლის სახედ, რასაც მიმართავდნენ სასოწარკვეთილი და განაწამებნი. მასობრივი გაქცევით მტრებთან კოლონებისა, მონებებისა და საერთოდ რომის იმპერიის ყველა ჩაგრულთა აიხსნებოდა ხშირი დამარცხება და რომის ტერიტორიის გერმანელებისაგან ხელში ჩაგდება.

„გადასახადებმა, სახელმწიფო ბეგარამ, ყოველგვარმა გამოსაღებმა თანდათან გადაატაკეს მოსახლეობის მასა; ტვირთი აუტანელი გახდა ადგილობრივ მმართველებისა, ხარკთამკრეფლებისა, ჯიკატების ძალმომრეობის წყალობით. აი სადამდე მივიდა რომის სახელმწიფო თავისი მსოფლიო ბატონობითურთ: იგი თავის არსებობის უფლებას იმით ასაბუთებდა, რომ შიგნით წესიერებას ვამყარებ, ხოლო გარედან ბარბაროსებს ვიგერიებო. მაგრამ მისი წესიერება უარესი იყო ვიდრე უსაშინელესი უწყსობა, ხოლო ბარბაროსებს, რომელთაგანაც იგი ვითომდა მოქალაქეებს იცავდა, ეს უკანასკნელნი თავიანთ მხსნელებად სთვლიდნენ“¹.

რომის სახელმწიფოს ნივთიერი რესურსები შემცირდა იმდენად, რომ გაღარიბებულ იმპერატორებს არ ჰქონდათ საშუალება გაესტუმრებინათ დაქირავებულნი, რომლებიც მოითხოვდნენ ფულს და მიწას, რის შემდეგადაც ტახტიდან ცვიოდნენ ერთი მეორეზე.

ერთერთ ასეთ აჯანყების დროს, 476 წელს, დაქირავებულ გერმანელების ბელადმა ოდოაკრმა (Odovar ანუ Odoacer), დაამხო რომის იმპერატორი რომულუს ავგუსტულუსი (Romulus Augustulus), რომელსაც წინასწარ მოუკლა მამა—ორესტი, სასახლის გვარდიის უფროსი. თანახმად გერმანელების ჩვეულებისა, ლაშქარმა ოდოაკრი ფარზე ასწია და გამოაცხადა იმპერატორად. მონღარი ფაქტის წინაშე დამდგარი აღმოსავლეთის იმპერატორი ზენონი იძულებული გახდა ეცნო იგი თავის თანამმართველად. ოდოაკრმა ჩაიბარა იტალია რომის პატრიცის ტიტულით.

ოდოაკრმა ხელი არ ახლო რომის ძველ დაწესებულებებს, ოღონდ კონფისკაცია უყო მიწების მესამედს, რომელიც გაანაწილა თავის მხედრებს შორის. უკანასკნელ რომის იმპერატორს, რომულუს ავგუსტულს, გერმანიის თავადმა შეუნარჩუნა სიცოცხლე, აჩუქა მშვენიერი ვილა კამპანიაში და დაუნიშნა ყოველწლიური პენსია—600

¹ ენგელსი „ოჯანის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“, თარგმნილი გერმანულიდან გ. ქიქოძის მიერ, სახელგამი, 1932, გვ. 176.

სოლიდის რაოდენობით. 476 წლის¹ 23 აგვისტო, როდესაც რომულუს ავგუსტულუსი ტახტიდან იქნა ჩამოგდებული და იტალიის ნიადაგზე პირველი გერმანული სამეფო დაარსდა,—ითვლება დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის თარიღად და ანტიკური მსოფლიოს დასასრულად. იტალიაში გერმანული საჭეფოს შექმნა წარმოადგენდა დასავლეთ რომის იმპერიის დანაწილების უკანასკნელ აქორდს და ანტიკურ ნიადაგზე აღმოცენებულ იმ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ წარმონაქმთა შემუსვრას, რომელიც ბარბაროსების მიერ პირქვე იქნა დამხობილი.

„ცნობილია, რომ ძველი რომი სწორედ ისევე უყურებდა ახლანდელი გერმანელების და ფრანგების წინაპრებს, როგორც ამჟამად „უმაღლესი რასის“ წარმომადგენლები უყურებენ სლავიანურ ტომებს. ცნობილია, რომ ძველი რომი დაცინვით უწოდებდა მათ „დაბალ რასას“, „ბარბაროსებს“, რომელნიც მოწოდებული არიან მუდამ ემორჩილებოდნენ „უმაღლესი რასას“, „დიდ რომს“, ამასთან,—ჩვენ შორის იყოს ნათქვამი,—ძველ რომს ამისათვის ჰქონდა ერთგვარი საფუძველი, რაც არ შეიძლება ითქვას ახლანდელი „უმაღლესი რასის“ წარმომადგენლებზე. მეუ რა გამოვიდა აქედან? გამოვიდა ის, რომ არა-რომაელები, ე. ი. ყველა „ბარბაროსები, გაერთიანდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ და ქეჩა ქუბილით დაამხეს რომი“².

რომის იმპერიის დაშლა იმავე დროს იყო საშუალო-საუკუნოებისა და რომაულ ნიადაგზე ნახევადფეოდალური სახელმწიფოებისა და სამეფოების წარმოქმნის დასაწყისი. V საუკუნის განმავლობაში რომის იმპერიის ნანგრევებზე ჩამოყალიბდა: 1) ვესტგუთების სახელმწიფო—გალიასა და ესპანეთში; 2) ბურგუნდების სახელმწიფო; 3) ფრანკთა სახელმწიფო; 4) ოსტგუთების სახელმწიფო; 5) ალამანების სახელმწიფო; 6) ოდოაკრის სახელმწიფო—იტალიაში და 7) ვანდალების სახელმწიფო—აფრიკაში.

თითოეული ზემოდასახელებული სახელმწიფო შემდეგში თავისთავად ნაწილდებოდა პატარა-პატარა წვრილ ერთეულებად. ახალ სახელმწიფოთა და საზოგადოებათა წარმოქმნის პროცესი გრძელდებოდა ჯვაროსნულ ლაშქრობამდე (XI საუკ. დასასრ.), როდესაც ჩამოყალიბდა თანამედროვე დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოები.

¹ Procop. Bell., I. I.

² სტალინი, საანგარიშო მოხიენება XVII პარტყრილობაზე საკ. კ. 3 (ბ) ტ. კ. მუშაობის შესახებ—1954 წ., გვ. 14. ქართულად: სტალინი, „ლენინისპის საკითხები“, 1935 წ., გვ. 645.

დასასრულს, შევაჯამებთ—რა მთელ ჩვენს ნათქვამს რომის იმპერიის დაცემის შესახებ,—ვხედავთ, რომ დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა შედეგი იყო ორი ძირითადი მიზეზისა: 1) რომის მონათმფლობელური სახელმწიფოს გახრწნისა და ამ პროცესთან დაკავშირებული მონებებისა და კოლონების რევოლუციისა და 2) ბარბაროსულ საზოგადოებათა ზრდისა. ორივე შემთხვევაში სოციალურ-ეკონომიური პროცესი მიემართებოდა ფეოდალიზაციის გზით. იმ დროს, როდესაც უფართოვესი ოიკოსი, რომის სახელმწიფოდ სახელწოდებული, ნაწილდებოდა უფრო წვრილ ოიკოსებად,—პროვინციებად, ქალაქებად და მამულებად, მონასტრებად, კორპორაციებად და სხვ., გერმანული თემები ფეოდალურდებოდნენ, გვაროვნულ და ტომობრივ კავშირებიდან იქცეოდნენ ნამდვილ სახელმწიფოებად. V საუკუნეში ბარბაროსთა სახელმწიფოებში ფეოდალიზაციის ორივე პროცესი ერთიმეორეს შეხვდა და გაერთიანდა მთლიან ნაკადად, რომლიდანაც შემდეგში აღმოცენდა დასავლეთ ევროპის საზოგადოებანი და დასავლეთ-ევროპის კულტურა. მონათმფლობელური წესწყობილების რღვევა იწვევდა მონებებისა და კოლონების რევოლუციას და ამავე დროს მწიფდებოდა ახალი ფეოდალური საზოგადოება. ეს იყო რთული ისტორიული პროცესი, რომელიც გრძელდებოდა 300 წლის მანძილზე და, ანტიკური ისტორიის ცოდნის თანამედროვე მდგომარეობის მისეღვით, ეს პროცესი ჩვენთვის ჯერ კიდევ სავსებით ნათელი არ არის, იგი ჯერჯერობით ნაკლებ შესწავლილია.

...იმისათვის, რომ ფეოდალურ მეურნეობის სისტემას დაემტკიცებინა თავისი უპირატესობა მონურ მეურნეობის სისტემაზე, ამახ დასჭირდა. მკონია, ორასი წელი, თუ მეტი არა“¹.

ბარბაროსების მიერ რომის დაპყრობის ისტორიული მნიშვნელობა აღგომარეობდა. იმაში, რომ მათ დაღუპვის გზაზე შემდგარ ანტიკურ ცივილიზაციას შთაბერეს ახალი სიცოცხლე და გადაახალიაგს წარმოების საფუძვლები.

...გაჰქაო ანტიკური მონობა,—ამბობს ენგელსი,—გაჰქრენ გაბატონებული თავისუფალი მოქალაქეები, რომელნიც შრომას, როგორც მონობის შესაფერ ფუნქციას, ზიზღით უცქეროდნენ“, „მეცხრე საუკუნეი საზოგადოების კლასები წარმოიშვენ არა ქვემიმავალი ცივილიზაია იი, ჭაობ იი. არამედ ახალის მშობიარობის ტკივილებში...“² გერმანელებმა მართლაც ხელახლა გამოაცოცხლეს ევროპა, და ამი-

¹ ა. ა. ლინი. „რომაიციის შესახებ“, მოსკოვი, 1928, გვ. 537.

ტომ სახელმწიფოების დაშლა გერმანულ პერიოდში დასრულდა არა მათი დაპყრობით ნორმანებისა და სარკინოზობის მიერ, არამედ ბენეფიციების და კომენდაციების (მთარველობის) განვითარებით ფეოდალიზმისკენ და ხალხის ისეთი გამრავლებით, რომ ორასი წლის შემდეგ ძლიერმა სისხლის გამოშვებამ ჯვაროსანთა ომის დროს დიდი ზიანი ვეღარ მოიტანა“.

„მაგრამ რა იყო ის საიდუმლო ჯადოქრული წამალი, რომლითაც გერმანელებმა მომაკვდავ ევროპას ახალი ცხოველმყოფელი ძალა შთაბერეს? განა ეს მართლაც გერმანელთა ტომის თანდაყოლილი სასწაულთმოძქმედი ნიჭი იყო, როგორც ამას ჩვენი შოვინისტური ისტორიოგრაფია გვარწმუნებს? — სრულიადაც არა, გერმანელები განსაკუთრებით იმ დროს მალაღნიჭიერ არიელ ტომს წარმოადგენდნენ, ისინი ყოველმხრივი ცოცხალი განვითარების გზას ადგენენ, მაგრამ ევროპის გაახალგაზოდება გამოიწვია არა მათმა (გერმანელების) ეროვნულმა თვისებებმა, არამედ მათმა ბარბაროსობამ, მათმა გეაროვნულ წესწყობილებამ“.

...და ამ პროცესისთვის სწორედ ხელსაყრელი იყო ბარბაროსების უმაღლესი საფეხური, რომელზედაც გერმანელები ავიდნენ ხალხთა გადასახლების წინ. ამით ყოველივე იხსნება“¹.

ასე მიმდინარეობდა რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილის დაშლის პროცესი. სხვანაირად ვითარდებოდა მისი აღმოსავლეთ-ნახევრის ისტორია...

რომაული აღმოსავლეთი გამოეყო დასავლეთს ჯერ კიდევ IV საუკუნის დასასრულს. რომის იმპერიის აღმოსავლეთის ნახევარი, ისე როგორც დასავლეთისა, განიცდიდა ბარბაროსების, უმთავრესად აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა, ზეგავლენას. უკვე VI საუკუნის დასაწყისს იწყება შეტაკებანი სლავიანებთან, ეს არ იყო მარტო სამხედრო ხასიათის შეტაკება. სლავიანები დასახლდნენ აღმოსავლეთ რომის იმპერიის სხვადასხვა ოლქებში და თან მოიტანეს თავისი გეაროვნული წყობილება და თემი. მათ აქ შეადგინეს თავისუფალი გლეხობის ძლიერი ფენა.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა თეოდალიზაციას ადგილი ჰქონდა იმპერიის აღმოსავლეთ ნახევარშიც, მაგრამ ეს იყო სხვა ტიპის თეოდაური საზოგადოება, სადაც უფრო ბლომად იყო შემონახული მონაკიმფლობელური ელემენტები, ვიდრე დასავლეთში.

¹ ენგელსი, „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“, თარგმანი ქიქოძის მიერ გერმანულიდან, გვ. 184, 185, 187.

ქალაქები და საქალაქო წყობილება, რაც შეადგენდა რომის იმპერიის საფუძველს, აღმოსავლეთში უფრო მეტად იყო დაკული, ვიდრე დასავლეთში და ამიტომ აქ უფრო მტკიცედ და ხელუხლებლად დარჩა სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ფორმები, რომლებიც ანტიკურ ქალაქთა საზოგადოების დამახასიათებელი იყო. ამის წყალობით, ახალი რომის, ანუ ბიზანტიის, იმპერია, რომელმაც გასტანა XV საუკუნემდე, თამაშობდა შუამავლის დიდ როლს ანტიკურსა და ევროპის ქვეყნებს შორის.



ქრონოლოგიური ტაბულა

- 3000—2000 წწ. — ჩვენს ერამდე. — კავშირის დამყარება ხმელთა შუა ზღვის აფ-
მოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს შორის.
3000 „ დასასრული — იტალიაში ბრინჯაოს საუკუნის დასაწყისი.
2000 „ პირველი ნახევარი — ხიზინჯებიანი შენობები.
1000—700 „ — რკინის საუკუნე, ვილანოვას კულტურა.
IX საუკ. — ფინიკიელების გაბატონება.
814 წ. — კართაგენის დაარსება.
753 (754) წწ. — ქალ. რომის დაარსება (ტრადიციული თარიღი).

753 — 509 წწ. ჩვენს ერამდე. — მეფეთა ხანა.

- VII საუკ. — რომის დაპყრობა ტარკინიუსების მიერ.
VI საუკ. — რომი ეტრუსკების მფლობელობის ქვეშ.
VI საუკ. — საეპკრო ხელშეკრულება რომსა და კართაგენს შორის.
VI საუკ. — სერვიუს ტულიუსი.
509 წ. — ტარკინიუსის განდევნა და მეფის უფლების დაცემა.

509—31 წწ. ჩვენს ერამდე — რესპუბლიკა

- 496 წ. — ლათინების დამარცხება რეგილის ტბასთან.
494 „ — პლებეების პირველი აუკუსია. სახალხო ტრიბუნების თანამ-
დებობის დაარსება (ლივიუსით).
493 „ — სპურიუს კასიუსის მიერ რომსა და ლათინთა ქალაქებს შორის
კავშირის აღდგენა.
486 „ — სპურიუს კასიუსის აგრარული კანონი.
451—450 წწ. — დეცემვირების კომისია და XII ტაბულის კანონები.
449 წ. — პლებეების მეორე სეცესია.
449 „ — ვალერიუს-ჰორაციუსის კანონები.
445 „ — კანულეის კანონი.
444 „ — საკონსულო უფლებიდან სამხედრო ტრიბუნების მაგისტრატუ-
რის დაარსება.
443 „ — ცენზურის შემოღება.
409 „ — პლებეებისგან კვესტორების არჩევა.
396 „ — ვეის ოლქის ჩართვა რომის ტერიტორიის ფარგლებში.
390 „ — რომაელების დამარცხება ალლათთან. ხანძარი და რომის
დაპყრობა გალების მიერ.
367 (366) წწ. — ლიციინუს-სექსტიუსის კანონები.
343—341 „ — I ომი სამნიტებთან.

- 356 წ. — პლებეებს მიერ დიქტატორის უფლების გაზიარება.
- 351 „ — ცენზორების არჩევა პლებეებისადმი.
- 340—338 წწ. — რომაელოა და ლათინთა ომი.
- 337 წ. — პლებეების მიერ პრეტურის მიღება.
- 327—304 წწ. — მეორე ომი სამნიტებთან.
- 326 წ. — პეტელუს პაპირიუსის კანონი ვალის გაშო მონობის აკრძალვის შესახებ.
- 312 „ — აპიუს კლავდიუსის რეფორმები.
- 310 „ — ვადიმონის ტბასთან გამარჯვება.
- 300 „ — ძმების ოფლინიების კანონი.
- 298—290 წწ. — III ომი სამნიტებთან.
- 287 წ. — ჰორტენზიუსის კანონი.
- 281 „ — შეტაკება ტარენტთან.
- 280—275 წწ. — პიროსის ლაშქრობა იტალიასა და სიცილიაში.
- 280 წ. — ბრძოლა ჰერაკლასთან.
- 279 „ — ბრძოლა აუსკულუმთან.
- 275 „ — პიროსის დამარცხება ბენვენეტთან.
- 264—241 წწ. — I—პუნიკური ომი.
- 264—263 „ — რომაელები სიცილიაში. ჰიერონის კავშირი რომთან.
- 262 წ. — აგრიგენტის ალყის შემორტყმა.
- 260 „ — ბრძოლა ლიპარის კუნძულებთან. დუილიუსის სახლვაო გამარჯვება მილასთან.
- 256 „ — რეგულუსის ექსპედიცია აფრიკაში. ბრძოლა ენომის კონცხთან.
- 250 „ — მეტელის გამარჯვება ჰასდრუბალზე პანორმასთან.
- 241 „ — რომაელების გამარჯვება ეგატის კუნძულებთან. ზავი კართაგენთან. ცენტურიების გადანაწილება.
- 232 „ — გაიუს ფლამინიუსის აგრარული კანონმდებლობა.
- 225—222 წწ. — ომი გალურ ტომებთან.
- 218—201 „ — II პუნიკური ომი.
- 218 წ. — რომაელების დამარცხება ტიციონსთან და ტრებასთან.
- 217 „ — ფლამინიუსის დამარცხება ტრაზიმენის ტბასთან.
- 216 „ — ბრძოლა კანასთან.
- 214—205 წწ. — I მაკედონიის ომი.
- 213—212 „ — ალყის შემორტყმა სირაკუზის გარშემო და მისი აღება.
- 211 წ. — კაპუსის აღება. სციპიონის ლაშქრობა ესპანიაში.
- 209 „ — სციპიონის მიერ ახალი კართაგენის აღება.
- 207 „ — ბრძოლა მეტავერასთან.
- 205 „ — სციპიონის არჩევა კონსულად.
- 202 „ — ბრძოლა ზამასთან.
- 200—197 წწ. — მაკედონიის II ომი.
- 197 წ. — ბრძოლა კინოსკეფალთან.
- 192—189 წწ. — სირიის ომი.
- 190 წ. — ბრძოლა მაგნეზიასთან სიპილზე (სმირნის მახლობლად).
- 186 „ — სენატის დადგენილება ვაკხანალიებზე.

- 183 წ. —უფროს პუბლიუს კორნელი სციპიონი აფრაკელის გარდაცვალება. ჰანიბალის გარდაცვალება.
- 171—168 წწ. —მაკედონიის III ომი.
- 168 წ. —ბრძოლა პიდნასთან.
- 149—146 წწ. —III პენაკური ომი.
- 149 წ. —კალპურნიუსის კანონი.
- 147 „ —ვირიათის აჯანყება ესპანეთში.
- 146 „ —კართაგენის დანგრევა.
- 146 „ —კორინთის დანგრევა. საბერძნეთის დამოუკიდებლობის დასასრული.
- 143—133 წწ. —ნუმანციის ომი.
- 137—132 „ —პირველი აჯანყება მონებისა სიცილიაში.
- 133—130 „ —მონების აჯანყება მცირე აზიაში არისტონიკეს წინააღმდეგობით.
- 133 წ. —ტიბერიუს გრაქუსი—სახალხო ტრიბუნი.
- 133 „ —პერგამი—რომის პროვინცია აზია.
- 123 „ —გაიუს გრაქუსი—სახალხო ტრიბუნი.
- 121 „ —ნარბონიის ვალია—რომის პროვინცია.
- 119 „ —გაიუს მარიუსი—სახალხო ტრიბუნი.
- 111 „ —აგრარული კანონი (სპურიუს თორიუსისა).
- 111—105 წწ. —ომი იუგურთასთან.
- 111—101 „ —ომი კიმერებთან და ტევტონებთან.
- 107 წ. —მარიუსის პირველი კონსულობა.
- 106—43 წწ. —მარკოს ტულლიუს ციკერონი.
- 105—101 „ —მონების მეორე აჯანყება სიცილიაში.
- 104 წ. —მარიუსის მეორე კონსულობა.
- 103—102 წწ. —მესამე და მეოთხე კონსულობა მარიუსისა.
- 102 წ. —მარიუსის გამარჯვება ტევტონებზე აკვეა სექსტისთან.
- 101 „ —მარიუსის გამარჯვება კიმერებზე ვერცელთან.
- 101 „ —მარიუსის მეხუთე კონსულობა.
- 100 „ —აბულეი სატურნიუსის მოძრაობა.
- 100—44 წწ. —გაიუს იულიუს ცეზარი.
- 91 წ. —ლივიუს დრუზის გამოსვლა.
- 91—88 წწ. —მოკავშირეთა ომი.
- 90 წ. —იულიუსის კანონი მოკავშირეებზე.
- 89 „ —პაპირიუს პლავციას კანონი.
- 88—84 წწ. —I ომი მიტრიდატთან.
- 87—82 „ —მარიუსელების ბატონობა.
- 87 წ. —მარიუსის მეშვიდე კონსულობა და მისი გარდაცვალება (დაიბად. 157 წ.).
- 86 წ. —სულას მიერ ალყის შემორტყმა ათენის გარშემო.
- 84 „ —დარდანის ზავი.
- 83—81 წწ. —II ომი მიტრიდატთან.
- 82—79 „ —სულას დიქტატურა.
- 80—72 „ —აჯანყება სერტორიუსის ესპანეთში.

- 78 წ. —სულას გარდაცვალება.
 78 „ —ლეპიდუსის აჯანყება.
 74—64 წწ. —III ომი მიტრიდატთან.
 73—71 „ —სპარტაკის აჯანყება.
 70 წ. —პომპეიუსისა და კრასუსის კონსულობა. რესტავრაცია სულან-
 დელი კონსტიტუციისა.
 67 „ —გაბინიუსის კანონი.
 66 „ —ნანილიუსის კანონი.
 64 „ —ციცერონის კონსულად არჩევა.
 64 „ —გაიუს სერვილიუს რულლის აგრარული კანონი.
 63—62 წწ. —კათილინას შეთქმულება.
 62 წ. —კათილინას დამარცხება პისტორიასთან.
 60 „ —I ტრიუმვირატი.
 59 „ —ცეზარის კონსულობა.
 58—51 წწ. —გალიის ომები.
 56 წ. —ტრიუმვირების შეხვედრა ლუკაში.
 55 „ —ცეზარის პირველი ლაშქრობა ბრიტანეთში.
 54—52 წწ. —გალიის დიდი აჯანყება.
 54 წ. —ცეზარის მეორე ლაშქრობა ბრიტანეთში.
 53 „ —კრასუსის დამარცხება კარასთან და მისი გარდაცვალება.
 52 „ —ცეზარის გამარჯვება ალესიასთან.
 52 „ —პომპეიუსი—ერთპიროვნული კონსული.
 49 წ. (14 იანვ.)—ცეზარის რუბიკონზე გადასვლა. სამოქალაქო ომის დასაწყისი.
 49—45 წწ. —ომი პომპეიუსსა და ცეზარს შორის.
 49—44 „ —ცეზარის დიქტატურა.
 48 წ. (9 აგვისტ.)—ბრძოლა ფარსალთან.
 48 წ. —პომპეიუსის გარდაცვალება (დაიბ. 106 წ.).
 48 „ —მარკ ცელიუს რუფის აჯანყება.
 48—47 წწ. —ალექსანდრიის ომი. ომი ფარნაცთან
 46 წ. —ცეზარის გამარჯვება პომპეიუსელებზე ტაპსთან (აფრიკაში).
 46 „ —ცეზარის რომში დაბრუნება.
 —ცეზარის 10 წლიანი დიქტატურის დამყარება.
 46 „ —კანონი მუნიციპიების შესახებ (lex Julia municipalis).
 45 „ —ბრძოლა მუნდთან (ესპანეთში).
 44 „ —ცეზარის სიცოცხლეული დიქტატურის დამყარება.
 44 წ. (15 მარტი) —ცეზარის სიკვდილი.
 43 წ. —ბრძოლა მუტინასთან.
 43 „ —II ტრიუმვირატი.
 43 „ —ციცერონის გარდაცვალება (დაიბ. 106 წ.).
 42 „ —ფილიპთან ბრძოლა.
 41 „ —პეოუნინის ომი.
 40 „ —ბრუნდიზიუმის შეთანხმება.
 39 „ —მისენის შეთანხმება.
 36 „ —სეკსტუს პომპეიუსის დამარცხება მილასთან.
 31 წ. (2 სექტ.) —აკვიუმთან ბრძოლა.
 30 წ. —ეგვიპტის შემოერთება.

- 27 წ. — აგუსტინუსის პრინციპატის დაარსება.
 17 „ — პირველი წელი ახალი ათასწლეულისა.
 15 „ — ჩრდილოეთ ოლქების დამორჩილება. რეციის, ვინდელიკიისა და ნორიკის პროვინციების შემოერთება.
 12 „ — დრუზის ლაშქრობა გერმანიასი.
 14—9 წწ. — დუნაისპირა ქვეყნების დამორჩილება.
 12—8 „ — გერმანიის ჩრდილოეთ ნაწილის დამორჩილება.
 2 წ. ჩვენი ერიდან — ფლავიუს კანინიუს კანონი მონების დაშვების შესახებ.
 6—9 წ.წ. — აჯანყება დალმაციაში და პანონიაში.
 9 წ. — ვარის დამარცხება ტეტრობურგის ტყეში.
 14—37 წწ. — ტიბერიუსი.
 14—16 „ — გერმანიკის ლაშქრობანი.
 37—41 „ — კალიგულა.
 41—54 „ — კლავდიუსი.
 54—68 „ — ნერონი.
 61 წ. — აჯანყება ბრიტანეთში.
 64 „ — სანძარა რომში.
 66—70 წწ. — იუდეის ომი.
 68—69 „ — მოქალაქეობრივი ომი.
 69—79 „ — ვესპასიანე.
 69—71 „ — ბატავების აჯანყება.
 79—81 „ — ტიტე.
 79 წ. — ვეზუვის ამოხეთქვა.
 81—96 წწ. — დომიტიანე.
 96—98 „ — ნერვა.
 98—117 „ — ტრაიანე.
 113 წ. — დეკრეტი ფისკისადმი დავალიანების გაბათილების შესახებ.
 115—117 წწ. — სონენეთისა და მესოპოტამიის დაპყრობა.
 117—138 „ — ჰადრიანე.
 132—135 „ — ბარკობას აჯანყება.
 138—161 „ — ანტონინუს პიუსი.
 161—180 „ — მარკ ავრელიუსი.
 161—165 „ — პართიის ომი.
 167—180 „ — ომი მარკომანებთან.
 172 წ. — ბუკოლების აჯანყება.
 180—192 წწ. — კომოდუსი.
 193—211 „ — სეპტიმიუს სევერუსი.
 211—217 „ — კარაკალა.
 212 წ. — კარაკალას ედიქტი პროვინციებზე რომის მოქალაქეთა უფლებების გავრცელების შესახებ (Constitutio Antoniniana).
 222—235 წწ. — ალექსანდრე სევერუსი.
 235—284 „ — III საუკუნის კრიზისი.
 235—238 „ — მაქსიმიანე თრაკიელი.
 238 წ. — კორდიალების მოძრაობა რომის აფრიკაში.

- 238—244 წწ. —გორდიანე III.
 260—268 „ —ვალიენი
 268—270 „ —კლავდიუსი II გოთი
 270—275 „ —აერელიანე
 284—305 „ —დიოკლიტიანე.
 80 წ. III საუკ. —ბავუდების მოძრაობის დასაწყისი.
 301 წ. —ელიქტი მტკიცე საბაზრო ფასების და ხელფასის შესახებ.
 303 „ —ქრისტიანების დევნა.
 306—337 წწ. —კონსტანტინე დიდი.
 313 წ. —მილანის ედიქტი.
 316 წ. —დეკურიონების მიმაგრება კურიებზე (კონსტანტინეს კონსტიტუცია).
 325 „ —ნიკეის კრება.
 30 წ. IV საუკ. —აფრიკაში აგონისტიკების (ცირკუმცელიონების) მოძრაობის დასაწყისი.
 330 წ. —დედა ქალაქის კონსტანტინეპოლში გადატანა.
 332 „ —კონსტანტინეს დადგენილება კოლონების მიმაგრების შესახებ.
 361—363 წწ. —იულიანე განდგომილი.
 375 წ. —ჭუნების მოსვლა ევროპაში.
 378 „ —ვესტგოთების დასახლება იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში.
 378 „ —ბრძოლა ადრიანოპოლთან და იმპერატორ ვალენტიანის დაღუპვა.
 379—395 წწ. —თეოდოსე I.
 381 წ. —კონსტანტინეპოლის კრება.
 395 „ —რომის იმპერიის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად დაშლა.
 395—408 წწ. —არკადი.
 395—423 „ —ჰონორიუსი.
 401 წ. —ალარიხის პირველი შესევა იტალიაში.
 410 წ. (14 აგვ.) —რომის აღება ალარიხის მიერ.
 425—455 წწ. —ვალენტიანი III.
 434—453 „ —ატილა.
 451 წ. —ბრძოლა კატალაუნის მინდვრებზე.
 455 „ —რომის აღება ვანდალების მიერ.
 476 წ. (23 აგვ.) —დასავლეთ რომის იმპერიის დასრულება.

		83-
თავი	XIV. პრინციპატი.	477
თავი	XV. იულიუს-კლავდიუსების დინასტია.	524
თავი	XVI. პრინციპატის პირველი საუკუნის კულტურა	557
თავი	XVII. ფლავიუსების დინასტია.	579
თავი	XVIII. ხმელთაშუაზღვეთის იმპერია	591
თავი	XIX. რომის კულტურა II საუკუნეში.	647
თავი	XX. ქრისტიანობა	663
თავი	XXI. მონათმფლობელური სისტემის დაშლა.	689
თავი	XXII. პრინციპატიდან დომინატისკენ	731
თავი	XXIII. III საუკუნის კრიზისი	749
თავი	XXIV. გვიანდელი იმპერია (დომინატი)	780
თავი	XXV. რომის იმპერიის ფეოდალიზაცია.	818
თავი	XXVI. ეკლესია და სახელმწიფო	850
თავი	XXVII. გვიანდელი იმპერიის კულტურა	875
თავი	XXVIII. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა	892
რონოლოგიური ტაბულა		913

В. С. СЕРГЕЕВ

**ОЧЕРКИ ПО ИСТОРИИ
ДРЕВНЕГО РИМА**

Издательство

Тбилисского государственного университета
им. **С т а л и н а**

Тбилиси—1941

რედაქტორი გ. გოზალიშვილი

ტირაჟი 4000

ხელნწ. დასაბ. 11/Х—41

უფ 42202

ანაწყ. ზომა 6×10 = 38600

სასტ. ფორ. რაოდ. 28, საავტ. 27,5

სტამბ. შეკვ. № 167.